ივანე
ჯავახიშვილის
სახელობის
თბილისის
სახელმწიფო
უნივერსიტეტი





საქართველოს საზოგადოებრივი გეოგრაფია

//

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

საქართველოს
საზოგადოებრივი გეოგრაფია

პირველი გამოცემა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის გამომცემლობა
2021

საქართველოს საზოგადოებრივი გეოგრაფია (სახელმძღვანელო)

სახელმძღვანელო შექმნილია საქართველოს საზოგადოებრივი გეოგრაფიის საუნივერსიტეტო კურსის ფარგლებში და გათვლილია სტუდენტებისათვის, როგორც ძირითადი სასწავლო-სალექციო ლიტერატურა.

წიგნის მიზანია, საზოგადოებრივი გეოგრაფიისა და სხვა მომიჯნავე სპეციალობის დაინტერესებულ ბაკალავრებს მიაწოდოს სრულყოფილი სასწავლო-სამეცნიერო ინფორმაცია საქართველოს სახელმწიფოს, მისი ბუნებრივი პირობებისა და რესურსების, მოსახლეობის, ეკონომიკის დარგებისა და ქვეყნის აქტუალური პრობლემების შესახებ, რათა სტუდენტებმა შეძლონ სასწავლო მასალის ინტერესითა და სრულფასოვნად ათვისება.

გამოცემულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო საგამომცემლო საბჭოს გადაწყვეტილებით.

წინამდებარე ნაშრომი სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სახელმძღვანელოების საფაკულტეტო კონკურსის გამარჯვებულია.

რედაქტორი

ია იაშვილი, გეოგრაფიის დოქტორი

რეცენზენტები:

გიორგი ლომინაძე, გეოგრაფიის დოქტორი

მარინე ბოკერია, გეოგრაფიის დოქტორი

ISBN 978-9941-491-41-2

© ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა

საა ვტორო უფლებები დაცულია.

თუ ავტორის ან გამომცემლობის წერილობითი ნებართვა არ არსებობს, არ შეიძლება წიგნის რომელიმე მონაკვეთი გადაიბეჭდოს ნებისმიერი, მათ შორის, ელექტრონული ან მექანიკური ფორმით, ქსეროკოპირების, ინფორმაციის შენახვისა და მოძიების ელექტრონული სისტემებით.

Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Faculty of Social and Political Sciences

HUMAN GEOGRAPHY OF GEORGIA

FIRST EDITION

IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY PRESS
2021

Human Geography of Georgia (Textbook)

The textbook is designed for use in the college-level Human Geography of Georgia course and is intended for students as a core literature.

The aim of the book is to provide both human geography majors and non-majors with complete educational-scientific information about the state of Georgia, its natural conditions and resources, population, economy, current problems and main challenges of the country, so that students can master the study material in an interesting way.

Published by the decision of the University Publishing Council of Ivane Javakhishvili Tbilisi State University.

The present book is the winner of the Faculty Competition for Textbooks of the Faculty of Social and Political Sciences at Ivane Javakhishvili Tbilisi State University.

Edited by

Ia Iashvili, PhD (Human Geography)

Reviewers:

Giorgi Lominadze, PhD (Geography)

Marine Bokeria, PhD (Human Geography)

All rights reserved. No part of this book may be reprinted or reproduced or transmitted in any forms or by any means: electronic, mechanical, photocopying or likewise without a written permission from the editor or publisher.

Ivane Javakhishvili Tbilisi State University Publishing House, 2021

ISBN 978-9941-491-41-2

წიგნი ეძღვნება გამოჩენილი ქართველი მეცნიე-
რის, თსუ-ის გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის
ყოფილი დეკანის, საზღვარგარეთის ქვეყნების ეკო-
ნომიკური გეოგრაფიის სასწავლო და სამეცნიერო
მიმართულების დამფუძნებლის,
ბატონი ნოდარ ნაჭყებიას ხსოვნას

მადლობას ვუხდით ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტს სახელმძღვანელოს ელექტრონული ვერსიის მომზადებაში მხარდაჭერისა და დაფინანსებისათვის.

ავტორთა ჯგუფი

The book is dedicated to the memory of Dr. Nodar Nachkebia, the prominent Georgian scientist, former Dean of the Faculty of Geography and Geology and the founder of the scientific school of Economic Geography of Foreign Countries at Tbilisi State University.

We express our acknowledgement to the Faculty of Social and Political Sciences for the support and funding in the preparation of the electronic version of the textbook.

Group of authors

შინაარსი

საქართველოს საზოგადოებრივი გეოგრაფია

წინასიტყვაობა 11

Foreword 13

შესავალი **(რევაზ გაჩეჩილაძე)** 15

თავი I. საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა, ბუნებრივი პირობები და რესურსები **(ნოდარ ელიზბარაშვილი)**

1. 1. გეოგრაფიული მდებარეობა, ბუნებრივი და კულტურული თავისებურებანი 18

1. 2. ბუნებრივი პირობები და რესურსები 21

1. 2. 1. მინერალური რესურსები 21

1.2.2. რელიეფი 24

1.2.3. კლიმატი და კლიმატური რესურსები 26

1.2.4. შიგა წყლები და წყლის რესურსები 29

1.2.5. შავი ზღვა და მისი მნიშვნელობა 30

1.2.6. ნიადაგები და მიწის რესურსები 31

1.2.7. მცენარეული საფარი, ტყის რესურსები და ცხოველთა სამყარო 32

1.2.8. რეკრეაციული რესურსები 33

1.3. ბუნებრივი კატასტროფები და რისკები 34

1.4. დაცული ტერიტორიები 36

თავი II. საქართველოს ისტორიული გეოგრაფია

2.1. ტერიტორიის ფორმირება და საზღვრები **(ზურაბ დავითაშვილი)** 38

2.2. მოსახლეობის ისტორიულ-გეოგრაფიული ფორმირება **(ვაჟა ლორთქიფანიძე, ია იაშვილი)** 53

2.3. ეკონომიკის ზოგადი ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვა **(თამარ დოლბაია)** 58

თავი III. საქართველოს პოლიტიკური გეოგრაფია

3.1. თანამედროვე ადმინისტრაციულ- ტერიტორიული მოწყობა **(დავით სიჭინავა)** 62

3.2 პოლიტიკური სისტემა და არჩევნები **(გიორგი გოგსაძე, დავით სიჭინავა)** 65

3.3. საგარეო პოლიტიკური კავშირები **(ზურაბ დავითაშვილი)** 68

თავი IV. საქართველოს მოსახლეობის გეოგრაფია

4.1. მოსახლეობის დინამიკა და ბუნებრივი მოძრაობა **(ვაჟა ლორთქიფანიძე, ანზორ სახვაძე)** 73

2. მოსახლეობის მიგრაცია **(გიორგი გოგსაძე, გიორგი მელაძე)** 80

4.3. მოსახლეობის სტრუქტურა **(გიორგი მელაძე, ვაჟა ლორთქიფანიძე, ანზორ სახვაძე)** 88

4.3.1. მოსახლეობის სქესობრივი და ასაკობრივი სტრუქტურა 90
4.3.2. მოსახლეობის ეთნოლინგვისტური და რელიგიური სტრუქტურა 92
4.4. ურბანიზაცია და განსახლების სისტემა **(იოსებ სალუქვაძე)** 97

თავი V. საქართველოს ეკონომიკური გეოგრაფია

5.1. თანამედროვე საქართველოს ეკონომიკა **(იოსებ სალუქვაძე)** 104
5.1.1. მრეწველობა და ენერგეტიკა **(ვალერიან მელიქიძე, გიორგი კვინიკაძე)** 109
5.1.2. მშენებლობა **(ვალერიან მელიქიძე, იოსებ ხელაშვილი)** 120
5.1.3. სოფლის მეურნეობა და მიწის რეფორმა **(ია იაშვილი, ვლადიმერ ჩხაიძე)** 123
5.1 4. ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა **(თამარ დოლბაია)** 136
5.1.5. ვაჭრობა (**იოსებ ხელაშვილი**) 149
5.1.6. საბანკო-საფინანსო სისტემა (**იოსებ ხელაშვილი**) 153
5.1.7. ბიზნესგარემო და საინვესტიციო კლიმატი (**იოსებ ხელაშვილი**) 157
5.1.8. ტურიზმი და რეკრეაციული მეურნეობა **(ნინო პავლიაშვილი)** 161
5.1.9. საგარეო ეკონომიკური კავშირ-ურთიერთობები **(გიორგი კვინიკაძე)** 170

თავი VI. საქართველოს სოციალური გეოგრაფია

6.1. შრომითი სტრუქტურა და დასაქმება **(ანზორ სახვაძე)** 174
6.2. განათლება **(მანანა რატიანი)** 180
6.3. ჯანდაცვა (**ია იაშვილი**) 185
6.4. სოციალური დაზღვევა (**ია იაშვილი**) 189

თავი VII. საქართველოს მდგრადი განვითარების პრობლემები და გამოწვევები

7.1. საქართველო რეგიონულ და გლობალურ კონტექსტში: თანამედროვე გეოპოლიტიკური გამოწვევები, ეთნოკონფლიქტები და ტერიტორიული მთლიანობის პრობლემა **(რევაზ გაჩეჩილაძე)** 194
7.2. რეგიონული უთანასწორობა **(იოსებ სალუქვაძე, ია იაშვილი)** 200
7.3. დემოგრაფიული პრობლემები **(გიორგი მელაძე, ვაჟა ლორთქიფანიძე)** 212
7.4. შრომითი მიგრაცია და მასთან დაკავშირებული გენდერული პრობლემები (**ია იაშვილი**) 216
7.5. გარემო და მდგრადი განვითარება (**ია იაშვილი**) 220

რუკები შედგენილია **ვლადიმერ ჩხაიძის, დავით სვანაძისა** და **თედო გორგოძის** მიერ

Contents

Foreword 13

Introduction (**Revaz Gachechiladze**) 15

CHAPTER I. LOCATION OF GEORGIA, NATURAL ENVIRONMENT AND RESOURCES (**Nodar Elizbarashvili**)

1.1. Location, Natural and Cultural Peculiarities 18

1.2. Natural Environment and Resources 21

1.2.1. Mineral Resources 21

1.2.2. Relief 24

1.2.3. Climate and Climate Resources 26

1.2.4. Earth Waters and Water Resources 29

1.2.5. The Black Sea and its Importance 30

1.2.6. Soils and Land Resources 31

1.2.7. Vegetation, Wood Resources and Wildlife 32

1.2.8. Recreational Resources 33

1.3. Natural Hazards and Risks 34

1.4. Protected Territories 36

CHAPTER II. HISTORICAL GEOGRAPHY OF GEORGIA

2.1. Territorial Formation and Borders (**Zurab Davitashvili**) 38

2.2. Historic-Geographical Formation of the Population (**Vazha Lortkipanidze, Ia Iashvili**) 53

2.3. Historic-Geographical Formation of the Economy (**Tamar Dolbaia**) 58

CHAPTER III. POLITICAL GEOGRAPHY OF GEORGIA

3.1. Contemporary Administrative-Territorial Structure (**David Sichinava**) 62

3.2. Political System and Elections (**Giorgi Gogsadze, David Sichinava**) 65

3.3 Foreign Political Affairs (**Zurab Davitashvili**) 68

CHAPTER IV. POPULATION GEOGRAPHY OF GEORGIA

4.1. Population Dynamics and Natural Movement (**Vazha Lortkipanidze, Anzor Sakhvadze**) 73

4.2. Migration (**Giorgi Gogsadze, Giorgi Meladze**) 80

4.3. Population Structure (**Giorgi Meladze, Vazha Lortkipanidze, Anzor Sakhvadze**) 88

4.3.1. Sex-Age Structure 90

4.3.2. Ethno-Linguistic and Religion Structure 92

4.4. Urbanization and Population Distribution (**Joseph Salukvadze**) 97

CHAPTER V. ECONOMIC GEOGRAPHY OF GEORGIA

5.1. Contemporary Economics of Georgia (**Joseph Salukvadze**) 104

5.1.1. Manufacturing and Energetics (**Valerian Melikidze, Giorgi Kvinikadze**) 109

5.1.2. Construction (**Valerian Melikidze, Ioseb Khelashvili**) 120
5.1.3. Agriculture and the Land Reform (**Ia Iashvili, Vladimer Chkhaidze**) 123
5.1.4. Transport and Communication (**Tamar Dolbaia**) 136
5.1.5. Trade (**Ioseb Khelashvili**) 143
5.1.6. Bank-Financial System (**Ioseb Khelashvili**) 149
5.1.7. Business Environment and Investment Climate (**Ioseb Khelashvili**) 153
5.1.8. Tourism and Recreation (**Nino Pavliashvili**) 157
5.1.9. International Economic Affairs (**Giorgi Kvinikadze**) 170

CHAPTER VI. SOCIAL GEOGRAPHY OF GEORGIA

6.1. Labor Structure and Employment (**Anzor Sakhvadze**)....174
6.2. Education (**Manana Ratiani**)....180
6.3. Healthcare (**Ia Iashvili**)....185
6.4. Social Insurance (**Ia Iashvili**)....189

CHAPTER VII. PROBLEMS AND CHALLENGES OF SUSTAINABLE DEVELOPMENT

7.1. Georgia in Regional and Global Context: Contemporary Geopolitical Challenges, Ethno Conflicts and the Problem of the Territorial Unity (**Revaz Gachechiladze**)....194
7.2. Regional Inequality (**Joseph Salukvadze, Ia Iashvili**)....200
7.3. Demographic Problems (**Giorgi Meladze, Vazha Lortkipanidze**)....208
7.4. Labor Migration and the Related Gender Problems (**Ia Iashvili**)....212
7.5. Natural Environment and Sustainable Development (**Ia Iashvili**)....**216**

The maps are made by **Vladimer Chkhaidze, David Svanadze** and **Tedo Gorgodze.**

წინასიტყვაობა

საქართველოს საზოგადოებრივი გეოგრაფიის სალექციო კურსი, *„საქართველოს ეკონომიკური და სოციალური გეოგრაფიის“* სახელწოდებით, წინა ათწლეულების განმავლობაში იკითხებოდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, გეოგრაფიის სპეციალობაზე. 2000–იანი წლებიდან მოხდა დისციპლინის სახელწოდების მოდერნიზება დასავლური მოდელის მიხედვით, სადაც მას ეწოდება Human Geography (ინგლისურად), Géographie Humaine (ფრანგულად) და ა.შ.. დღეისათვის ეს საგანი ჩვენს უნივერსიტეტში სავალდებულო კურსია საზოგადოებრივი გეოგრაფიის სპეციალობის ბაკალავრიატის სტუდენტებისათვის და არჩევითია სხვა სპეციალობებისა და ფაკულტეტების სტუდენტებისათვის. თსუ-ის გარდა, *„საქართველოს საზოგადოებრივი გეოგრაფია“* იკითხება აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ბათუმისა და სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტებში. ასეთი სახელწოდებითა და შინაარსით სახელმძღვანელო პირველად იქმნება.

1996 წელს, პროფესორ ვახტანგ ჯაოშვილის ავტორობით, გამოვიდა სახელმძღვანელო ***„საქართველოს სოციალური და ეკონომიკური გეოგრაფია“,*** რომელიც განიხილავდა საბჭოთა საქართველოს ეკონომიკის დარგებს, შეეხებოდა სოციალურ სფეროს, იძლეოდა საქართველოს მოსახლეობის დინამიკისა და სტრუქტურის სრულყოფილ სურათს, მოკლედ ახასიათებდა ქვეყნის ბუნებრივ-რესურსულ პოტენციალს და გვიჩვენებდა მისი სამეურნეო ათვისების ხარისხს. სახელმძღვანელოს სტატისტიკა მთლიანად ეყრდნობოდა 1989 წლის სრულიად საკავშირო მოსახლეობის აღწერის მონაცემებს საქართველოს სსრ-სათვის. მისი ეპოქისათვის, ვახტანგ ჯაოშვილის წიგნი იყო პირველი სახელმძღვანელო, რომელიც იძლეოდა გარდამავალი პერიოდის საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ და გეოგრაფიულ ანალიზს.

2000 წელს თსუ-ის საქართველოს გეოგრაფიის კათედრამ გამოსცა სახელმძღვანელო სახელწოდებით, ***„საქართველოს გეოგრაფია“,*** სადაც თანაბრადაა წარმოდგენილი ქვეყნის ფიზიკური გეოგრაფიისა და სოციალურ-ეკონომიკური გეოგრაფიის საკითხები.

ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის ორტომეულის, ***„საქართველოს გეოგრაფიის“*** მეორე ნაწილს წარმოადგენს ***„საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური გეოგრაფია“*** (2003 წ.). საქართველოს ტერიტორიის ფორმირების ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვისა და მოსახლეობის თავის შემდეგ ამ ნაშრომის ეკონომიკური ნაწილი განიხილავს დარგობრივ სტრუქტურას, რასაც მოსდევს ქვეყნის რეგიონების მიმოხილვა. მონოგრაფიის გამოცემის დროს ჯერ კიდევ არ იყო ბოლომდე დამუშავებული 2002 წლის საქართველოს მოსახლეობის ეროვნული აღწერის მასალები. ამდენად, წიგნში ვერ აისახებოდა ბოლო სტატისტიკური მონაცემები დამოუკიდებელი საქართველოს მოსახლეობის შესახებ. აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ წიგნი უფრო მონოგრაფიაა, ვიდრე სახელმძღვანელო და შეიძლება, ის სტუდენტებისათვის იოლად გასაგები და შესასწავლი არც იყოს.

2013 წელს, კვლავ გეოგრაფიის ინსტიტუტის პროფესორთა ავტორობით, გამოიცა ***„საქართველოს გეოგრაფია“,*** სადაც საზოგადოებრივ გეოგრაფიას მონოგრაფიის მოცულობის მესამედზე ნაკლები უჭირავს. ცხადია, იქ ვერ აისახებოდა 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის სტატისტიკური შედეგები.

აღნიშნული რეალობიდან გამომდინარე, აუცილებლად მივიჩნიეთ სახელმძღვანელოს შექმნა საქართველოს საზოგადოებრივ გეოგრაფიაში, რომელიც შინაარსითა და სტრუქტურულად, ახალი წიგნია. ისტორიულ-გეოგრაფიული დინამიკის გარდა, მთავარი აქცენტი კეთდება არსებულ პრობლემებზე კერძოდ, საუბარია ისეთ საკითხებზე, რომლებიც აქტუალურია დღეს, განხილულია ის მიმდინარე დარგობრივი თუ რეგიონული პროცესები, რომლებიც წარმოაჩენს ჩვენს ქვეყანას მეზო- ან მაკრო- დონეზე (როგორც ქვეყნისთვის დადებითი, ისე ნაკლებ ხელსაყრელი კუთხით), შეაფასებს საქართველოს ბუნებრივ-გეოგრაფიულ, გეოპოლიტიკურ, დემოგრაფიულ, სატრანსპორტო-ეკონომი-

კურ, სავაჭრო-საექსპორტო, ჰუმანურ-სოციალურ კაპიტალსა და პოტენციალს; მეცნიერული კუთხით აჩვენებს სტუდენტებს ჩვენი ქვეყნის ადგილს მსოფლიო პოლიტიკურ თუ სოციალურ-ეკონომიკურ სისტემებში.

თითოეული თავი სრულდება კითხვებითა და დავალებებით განხილული მასალის ირგვლივ.

სახელმძღვანელო შედგება შესავლისა და შვიდი თავისაგან; თემებიდან გამომდინარე, თან ერთვის მდიდარი კარტოგრაფიული მასალა.

პირველი ექვსი თავი შექმნილია ქართული გეოგრაფიული სახელმძღვანელოებისათვის დამახასიათებელ სტილში, სადაც განხილულია ბუნებრივ-რესურსული, დემოგრაფიული, სამეურნეო, სოციალური სტრუქტურის საკითხები, ხოლო მე-7 თავი ეძღვნება ქვეყანაში არსებულ აქტუალურ პრობლემებს.

სახელმძღვანელოს თანაავტორთა ჯგუფი მრავალრიცხოვანია, რომელშიც მონაწილეობს არა მარტო თსუ-ის საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულების აკადემიური გუნდი, არამედ პროფესორები საერთაშორისო ურთიერთობათა მიმართულებიდან, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის გეოგრაფიის დეპარტამენტიდან, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტიდან; ასევე, ილიას უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიის და განათლების ფაკულტეტიდან და თავდაცვის სამინისტროს კარტოგრაფიის დეპარტამენტიდან.

პროექტის შედეგია ერთობლივი სახელმძღვანელო – პირველი პრეცედენტი ამ სფეროში, როგორც თანამედროვე სასწავლო-სამეცნიერო სავალდებულო ლიტერატურა სტუდენტებისათვის.

გულითად მადლობას ვუხდით სახელმძღვანელოს თითოეულ თანაავტორს გაწეული შრომისათვის, პასუხისმგებლობისა და თანამშრომლობისათვის.

განსაკუთრებული მადლობა ეკუთვნის თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ადმინისტრაციას და მის დეკანს, ქალბატონ თამარ დოლბაიას, რომლის უშუალო ინიციატივით გამოცხადებულ საგრანტო კონკურსის ფარგლებში, ფაკულტეტის ფინანსური მხარდაჭერით შეიქმნა წინამდებარე ნაშრომი.

რედაქტორი

ია იაშვილი

Foreword

The college-level course of Human Geography of Georgia, previously named as "Economic Geography of Georgia" and later "Economic and Social Geography of Georgia", has been taught since 1923 at Tbilisi State University (TSU), Faculty of Geography and Geology. Since the year 2000, the name of the discipline has been modernized according to the western model - Human Geography (in English), Géographie Humaine (in French), etc. Today Human Geography of Georgia is a mandatory course at TSU for undergraduates majoring in human geography and elective for non-majors. In addition to TSU, this discipline is taught at Akaki Tsereteli State University in Kutaisi, as well as at Batumi and Sokhumi State Universities.

During the last three decades a couple of textbooks in the field of Geography of Georgia were published (the latest one in 2013). However, the most part of the books was dedicated to the physical geographical issues. At the same time, the statistics of the textbooks were based either on the all-Union Soviet 1989 census or 2002 the first national census data of independent Georgia. At the same time, few of them concerned the main problematic issues of the Transition period since the independence of the country.

The textbook with the title of Human Geography of Georgia is designed for the first time and it is a new book in terms of content and structure.

In the present volume the main focus is on the existing problems of post-Soviet Georgia - the issues that are relevant today. The current political and socio-economic processes are discussed (both sectoral and regional) that represent our country at the macro-, meso- and micro-levels both from positive and less favorable angles. The main goal is to evaluate the natural-geographic, geopolitical, demographic, economic, transit-transport potential and socio-humanitarian capital of Georgia and show students the place of our country in the world's political and socio-economic systems.

Each chapter concludes with questions and assignments around the material discussed.

The textbook consists of an introduction and seven chapters; rich cartographic material is attached according to the addressed issues.

The first six chapters review the natural environmental and resource potential of Georgia that is followed by the chapters on historic-geographical, political, demographic, economic and social topics. The seventh chapter is dedicated to the current problems and challenges in the country.

The textbook is co-authored with a large number of not only Human Geography academic team members, but also with professors from the TSU Department of International Relations, the Faculty of Exact and Natural Sciences, from Ilia State University and the Cartography Department of the Ministry of Defense. The result of the project is a joint handbook - modern educational-scientific compulsory literature for students.

We cordially thank each of the co-authors for their hard work, responsibility and cooperation. Special thanks to the authority of the Faculty of Social and Political Sciences of TSU and its Dean, Ms. Tamar Dolbaia, by whose direct initiative within the grant competition and with the financial support of the faculty presented textbook was created.

Editor
Ia Iashvili

შესავალი

ფიზიკურ გეოგრაფიასთან ერთად *საზოგადოებრივი გეოგრაფია* არის ერთიანი გეოგრაფიული მეცნიერების ნაწილი. ის სივრცითი პოზიციიდან სწავლობს დედამიწაზე არსებულ ადამიანთა საზოგადოებას. რასაკვირველია, საზოგადოებას ბევრი სხვა სოციალური მეცნიერებაც სწავლობს, მაგრამ გეოგრაფიული მიდგომა გულისხმობს კვლევას, უპირველესად, *სივრცითი პოზიციიდან*. საზოგადოებრივ გეოგრაფებს აინტერესებთ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სივრცითი ასპექტის შესწავლა. შესაბამისად, საზოგადოებრივი გეოგრაფიაც მრავალ განშტოებად არის დაყოფილი:

მოსახლეობის გეოგრაფია იკვლევს იმას, თუ რა განაპირობებს სივრცით განსხვავებებს ადამიანთა ჯგუფების დემოგრაფიულ ქცევაში, როგორ არიან განლაგებული ადამიანები დედამიწაზე, სად, რა ტიპის დასახლებულ პუნქტებში და რა პირობებში ცხოვრობენ, რატომ და რა მიმართულებით ხდება მათი გადაადგილება (მიგრაცია) და ა.შ.

ეკონომიკური გეოგრაფია (რომელიც, თავის მხრივ, მრავალ ქვეგანშტოებად იყოფა, ისეთებად, როგორებიცაა, მაგალითად: მრეწველობის გეოგრაფია, სოფლის მეურნეობის გეოგრაფია, ტრანსპორტის გეოგრაფია, მომსახურების გეოგრაფია, ტურიზმის გეოგრაფია და სხვ.) სწავლობს, თუ სად აწარმოებენ ადამიანები იმ სურსათსა და საგნებს, რომლებსაც სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვთ საზოგადოების არსებობისათვის; სად მოიპოვებენ, სად გადაამუშავებენ, როგორ გადააადგილებენ და სად მოიხმარენ დედამიწის ბუნებრივ რესურსებს, სად ამჯობინებენ ადამიანები გამგზავრებას დასვენებისა და გართობის მიზნით (ტურიზმი ბოლო ათწლეულებში ეკონომიკის სერიოზულ სფეროდ იქცა), როგორ გარდაქმნიან ადამიანები გარემოს თავისი სამეურნეო საქმიანობისას (რაც, სამწუხაროდ, ყოველთვის რაციონალურად არ ხდება და ხანდახან საზიანოა იმავე საზოგადოებისათვის) და ა.შ.

სოციალური გეოგრაფია იკვლევს სოციალურ სფეროს, მაგალითად, განათლების, ჯანდაცვის ობიექტების განლაგებას და მათი მომსახურების არეალებს. პროფესიონალი მკვლევარი ადვილად ამჩნევს სივრცით უთანაბრობას ცხოვრების პირობებსა და ცხოვრების წესში. ის სწავლობს ადამიანთა ქცევას, მათ შორის გადახრით ქცევასაც (მაგალითად, დამნაშავეობას, ნარკომანიას, ლოთობას) სივრცით ჭრილში და ა.შ.

დედამიწაზე ადამიანთა ჯგუფების განსხვავებები, უპირველესად, კულტურულ სხვაობებში ვლინდება, რასაც ***კულტურის გეოგრაფია*** სწავლობს. მას ასევე აინტერესებს კულტურის დიფუზია – როგორ და რა გზით ხდება კულტურული გავლენების გავრცელება და ა.შ.

პოლიტიკური გეოგრაფია სწავლობს როგორც სახელმწიფოთა განსხვავებებს პოლიტიკური სისტემებისა და მმართველობის წესის მიხედვით, მათი საზღვრების ფორმირებას და დღევანდელ მდგომარეობას, გეოპოლიტიკას და სახელმწიფოთა ურთიერთობების გეოგრაფიულ ასპექტებს, ისე შიდასახელმწიფოებრივ პოლიტიკურ საკითხებს, კერძოდ, ქვეყნების შიდა ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ მოწყობას, საარჩევნო ოლქების კონფიგურაციას, მოსახლეობის ელექტორალური (საარჩევნო) ქცევის სივრცით საკითხებს და სხვ.

ყველა ზემოჩამოთვლილი საკითხი შეიძლება შესწავლილ იქნეს ***ისტორიული გეოგრაფიის*** პოზიციიდან, ანუ არსებობს ისტორიული პოლიტიკური გეოგრაფია, ისტორიული მოსახლეობის გეოგრაფია, ისტორიული ეკონომიკური გეოგრაფია და ა. შ.

არსებობს და მომავალშიც შეიქმნება საზოგადოებრივი გეოგრაფიის სხვა განშტოებები და ქვეგანშტოებებიც.

* * *

თანამედროვე მსოფლიო ორგანიზებულია როგორც სახელმწიფოთა სისტემა. საზოგადოებრივი გეოგრაფია ზემოთ ჩამოთვლილ საკითხებს სწავლობს, როგორც მთელი მსოფლიოს ან მისი მსხვილი რეგიონების მასშტაბით, ისე თითოეული სახელმწიფოს ფარგლებშიც.

საქართველოს საზოგადოებრივი გეოგრაფიის სახელმძღვანელოს ***მიზანია,*** კომპლექსურად წარმოაჩინოს ჩვენი სახელმწიფოს საზოგადოება სივრცით ჭრილში. კონკრეტულ ***ამოცანებად*** კი დავისახეთ, მივაწოდოთ სტუდენტებს ზოგადი ინფორმაცია საზოგადოებრივი გეოგრაფიის ცალკეული განშტოებების მიხედვით. უფრო დეტალური ინფორმაცია და ანალიზი მოცემული იქნება ცალკეული საგნების სწავლებისას.

ამ ამოცანების შესაბამისად შედგა სახელმძღვანელოს სტრუქტურა. კერძოდ, განხილულია:

- **საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა, მისი ბუნებრივი პირობები და რესურსები.** ყურადღება აგრეთვე გამახვილებულია ეკოლოგიურ პრობლემებზე;
- **ისტორიული გეოგრაფიის საკითხები:** ტერიტორიის ფორმირება და საზღვრების ცვალებადობა, მოსახლეობის ფორმირებისა და ეკონომიკური განვითარების ისტორიულ-გეოგრაფიული თავისებურებები;
- **პოლიტიკური გეოგრაფიის ასპექტები:** თანამედროვე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა, ელექტორალური გეოგრაფია;
- **მოსახლეობის გეოგრაფია:** მოსახლეობის დინამიკა და მისი სტრუქტურის ელემენტები (სქესობრივ-ასაკობრივი, ეთნოლინგვისტური და რელიგიური სტრუქტურა), მიგრაციული პროცესები, ურბანიზაცია და განსახლების სისტემა;
- **ეკონომიკური გეოგრაფია** (ეს თავი, ბუნებრივია, სახელმძღვანელოში ყველაზე დიდია): მრეწველობის, ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის, მომსახურების სფეროს, ტურიზმის, საბანკო-საფინანსო სისტემის საგარეო-ეკონომიკური კავშირების სივრცითი საკითხები;
- **სოციალური გეოგრაფია:** დასაქმების, განათლების, ჯანდაცვის და დაზღვევის საკითხები;
- **მდგრადი განვითარების პრობლემები და გამოწვევები,** რაც გულისხმობს მსოფლიოში საქართველოს ადგილის განსაზღვრას, საგარეო და შიდა პოლიტიკურ-გეოგრაფიულ გამოწვევებთან გამკვლავებას, პოლიტიკურად სენსიტიური დემოგრაფიული პრობლემის, შრომითი მიგრაციით, რეგიონული და გენდერული უთანასწორობით შექმნილი პრობლემებისა და გლობალურ დათბობასთან დაკავშირებული კლიმატური ცვლილების საქართველოსათვის მნიშვნელობის ხაზგასმას.

* * *

საზოგადოებრივი გეოგრაფიის განვითარება ევროპაში ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში დაიწყო. დასავლეთში ამ გეოგრაფიულ დისციპლინას დღემდე იცნობენ როგორც „ადამიანის გეოგრაფიას“ (Human Geography, Géographie Humaine, Antropogeographie, etc).

ყოფილ საბჭოთა კავშირში, რომლის იდეოლოგია მარქსიზმს ეყრდნობოდა, ყოველთვის ხაზი ესმოდა, სოციალურ საკითხებთან შედარებით, ეკონომიკის უპირატეს ხასიათს. ამიტომაც დიდი ხნის განმავლობაში უმაღლეს სასწავლებლებში ისწავლებოდა მხოლოდ *ეკონომიკური გეოგრაფია.* მოსახლეობის გეოგრაფიაც კი მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გახდა გეოგრაფების სპეციალური კვლევის საგანი. შესაბამისად, უნივერსიტეტებში არსებობდა მხოლოდ ეკონომიკური გეოგრაფიის კათედრები. სხვათა შორის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი პირველი იყო საბჭოთა კავშირში, სადაც 1923 წელს დაარსდა ეკონომიკური გეოგრაფიის კათედრა, მას სათავეში ჩაუდგა და 1956 წლამდე ხელმძღვანელობდა პროფესორი *გიორგი გეხტმანი* (მისი ბებია, დედის მხრიდან, იყო მე-19 საუკუნის ცნობილი საზოგადო მოღვაწე ბარბარე

ჯორჯაძე). პირველი სახელმძღვანელო საქართველოს ეკონომიკურ გეოგრაფიაში სწორედ გიორგი გეხტმანმა შექმნა (1925 წ.), რომელსაც ახლა საინტერესო ისტორიულ-გეოგრაფიული წყაროს მნიშვნელობა უფრო აქვს: მისი მეშვეობით შეგვიძლია ვიმსჯელოთ, თუ როგორი იყო საქართველოს მეურნეობის დარგების განლაგება თითქმის ასი წლის წინ. იმავე წელს მისი ავტორობით გამოიცა „მსოფლიო ეკონომიკური გეოგრაფია", რომელიც ქართულ ენაზე შესრულებული პირველი ნაშრომი იყო ამ სფეროში. ამჟამად ასეთივე „ისტორიული" ფუნქცია ეკისრება პროფ. ლუარსაბ კარბელაშვილის 1963 წელს გამოცემულ „საქართველოს ეკონომიკურ გეოგრაფიის" დამხმარე სახელმძღვანელოს და სხვა ავტორების იმდროინდელ წიგნებსა და სტატიებს ანალოგიურ თემაზე.

1970-იანი წლების ბოლოდან თსუ-ის ეკონომიკური გეოგრაფიის კათედრის თანამშრომლებმა, საბჭოთა კავშირში პირველებმა, დაიწყეს სტატიებისა და წიგნების გამოქვეყნება სოციალურ გეოგრაფიაში. მაგალითად, 1982 წელს პირველად ღია წესით დაიბეჭდა ქართველი მეცნიერების მონოგრაფია „დამნაშავეობის გეოგრაფიის ზოგიერთი საკითხი". სოციალური საკითხების კვლევის გაძლიერებამ, უპირველესად, თბილისის, ტარტუსა (ესტონეთში) და მოსკოვის სამეცნიერო ცენტრებში, უბიძგა საბჭოთა კავშირის უმაღლესი განათლების სამინისტროს, შეეცვალა „ეკონომიკური გეოგრაფიის", როგორც მეცნიერების დარგის, ოფიციალური სახელი და 1980-იანი წლების დასაწყისში მისთვის „ეკონომიკური და სოციალური გეოგრაფია" ეწოდებინა.

1950-იან წლებში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტში დაარსდა ეკონომიკური გეოგრაფიის განყოფილება, სადაც მოღვაწეობდნენ ცნობილი მეცნიერები – პროფესორები: *გიოჰგი გვეღესიანი, ვახტანგ ჯაოშვიღი* და სხვები. აკადემიკოს *თეოფანე დავითაიასა* და *გიოჰგი გვეღესიანის* რედაქტორობით 1970-1973 წლებში გამოვიდა დამხმარე სახელმძღვანელო „საქართველოს ეკონომიკური გეოგრაფიის ძირითადი საკითხები". *ვახტანგ ჯაოშვიღმა* შექმნა დამოუკიდებელი საქართველოს პირობებში პირველი სახელმძღვანელო საქართველოს სოციალურ და ეკონომიკურ გეოგრაფიაში. ის 1996 წელს გამოვიდა და, ბუნებრივია, ვერ ასახავს დღეს, თითქმის მეოთხედი საუკუნის შემდეგ, შექმნილ რეალობას. 2003 წელს აკადემიკოს *ზუჰაბ ტატაშიძის* რედაქციით გამოიცა ორტომეული „საქართველოს გეოგრაფია", რომლის მეორე ტომი სოციალურ-ეკონომიკურ გეოგრაფიას ეძღვნება.

წინამდებარე სახელმძღვანელო პირველია, რომელიც თსუ-ის საზოგადოებრივი გეოგრაფიის დეპარტამენტმა კოლექტიურად მოამზადა და ის მოიცავს საქართველოს საზოგადოებრივი გეოგრაფიის ყველა ძირითადი მიმართულების (განშტოების) მიმოხილვას.

თავი I. საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა, ბუნებრივი პირობები და რესურსები

1. 1. გეოგრაფიული მდებარეობა, ბუნებრივი და კულტურული თავისებურებანი

საქართველო ჩრდილოეთ განედის 41 და 43 გრადუსებს შორის მდებარეობს, რაც წარმოადგენს შუალედურ არეალს ჩრდილოეთ ნახევარსფეროში. ეს განედები, ზოგადგეოგრაფიული თვალსაზრისით, მიეკუთვნება ზომიერ სარტყელს, თუმცა კავკასიონის ქედი ასუსტებს მის გავლენას საქართველოზე. ამის გამოა, რომ ჩვენი ქვეყანა, კლიმატური მახასიათებლების მიხედვით, ძირითადად, მიეკუთვნება *სუბტროპიკულ სარტყელს,* რომელიც ითვლება ადამიანის საცხოვრებლად ყველაზე ხელსაყრელად და კომფორტულად. ამავე განედებში მდებარეობს ამერიკის შეერთებული შტატების მაღალგანვითარებული ჩრდილო-აღმოსავლეთის სამრეწველო-ეკონომიკური რაიონები ქალაქებით – ნიუ-იორკი, ბოსტონი და ჩრდილოეთ ცენტრალური რაიონის ქალაქები – ჩიკაგო და დეტროიტი; ევროპის ქვეყნებიდან ამავე განედებშია ესპანეთის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი, საფრანგეთის სამხრეთი, იტალიის ცენტრალური ნაწილი (რომსა და ნეაპოლს შორის) და სხვ. ევრაზიის კონტინენტის აღმოსავლეთში ჩვენი ქვეყნის განედურ მდებარეობას შეესაბამება ჩრდილო-აღმოსავლეთ ჩინეთის სამრეწველო რაიონები და ჩრდილოეთი იაპონია.

საქართველოს **გეოგრაფიული მდებარეობა** რამდენიმე თავისებურებას უკავშირდება. ზოგიერთი მათგანი დადებითად, ზოგი კი უარყოფითად მოქმედებს ქვეყნის მდგრად განვითარებაზე.

უარყოფითად შეიძლება ჩაითვალოს ფიზიკურ-გეოგრაფიული მდებარეობის ის ასპექტი, რომელიც უკავშირდება საქართველოს მდებარეობას *აქტიურ სეისმურ ხეგიონში,* რაც მოქმედებს ეროზიულ და დენუდაციურ, ღვარცოფულ და მეწყრულ პროცესებზე, გეოეკოლოგიურ ვითარებაზე, მშენებლობისა და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარებაზე, მოსახლეობის ეკოლოგიურ ცნობიერებასა და მატერიალურ მდგომარეობაზე.

საინტერესოა საქართველოს ***კლიმატური*** მდებარეობის თავისებურებანი, რაც ასევე გავლენას ახდენს მეურნეობისა და საზოგადოებრივი საქმიანობის არაერთ მიმართულებაზე. ჩვენი ქვეყნის უდიდესი ნაწილი, განსაკუთრებით *მთათაშორისი ბარი,* მდებარეობს სუბტროპიკულ კლიმატურ სარტყელში. საქართველოში გამოიყოფა ამგვარი კლიმატის 2 ძირითადი ტიპი:

1. *ნოტიო სუბტროპიკული* – გამოირჩევა უხვი ნალექებით, დადებითი წლიური და სეზონური ტემპერატურებით მთელი წლის განმავლობაში. ასეთი კლიმატია დასავლეთ საქართველოს დაბლობ და გორაკბორცვიან ნაწილში;

2. *ნახევრად მშრალი და მშრალი სუბტროპიკული* – წარმოდგენილია აღმოსავლეთ საქართველოში. აქ შედარებით მაღალია ტემპერატურის წლიური ამპლიტუდა და აორთქლებადობა, რაც ბევრ რეგიონში ზრდის სიმშრალის მაჩვენებლებს. ამგვარი კლიმატი დამახასიათებელია აღმოსავლეთ საქართველოს ბარისა და გორაკბორცვიანი ნაწილისათვის.

საქართველოს მთიანეთი *(კავკასიონი, მცირე კავკასიონი, სამხრეთი მთიანეთი)*, ძირითადად, *ზომიერი კლიმატის* ნიშნებს ატარებს. აქ კარგადაა გამოხატული წლის სეზონები, მაღალია ტემპერატურის ამპლიტუდა, თოვლის საფარის სიმძლავრე და ხანგრძლივობა. საქართველოს კლიმატზე ასევე მნიშვნელოვანია შავი ზღვის გავლენა, რაც მცირდება დასავლეთიდან აღმოსავლეთის მიმართულებით. კლიმატური მახასიათებლების ამგვარი თავისებურება აისახება როგორც ნალექების, ისე სითბოს განაწილებასა და ჰავის კონტინენტურობაზე.

საქართველო მდებარეობს მსოფლიოს ერთი ფლორისტული სამეფოს ტერიტორიაზე და მის ფარგლებში არსებული 2 ფლორისტული ოლქის მიჯნაზე. პირველ მათგანზე დიდია ზომიერი კლიმატური სარტყლის გავლენა, ხოლო მეორეზე – ტროპიკულის. ამის გამოა, რომ საქართველოში მცენარეულობიდან გვხდება როგორც ფართოფოთლოვანი, შერეული და წიწვოვანი ტყეები, ისე სტეპები, მდელოები, ნახევრად უდაბნოს მცენარეულობა და სხვ. ამგვარი ვითარება განაპირობებს საქართველოს მაღალ ბიოლოგიურ მრავალფეროვნებას, რაც აისახება ნიადაგურ და ლანდშაფტურ თავისებურებებზე, სოფლის მეურნეობასა და ტურიზმზე.

ხუკა 1

საქართველოს მომიჯნავე და მეზობელი რეგიონები


N
W
E
S
მანძილი თბილისიდან (რადიუსი კმ.)
500
1000
1500
ქვეყნების საზღვრები
მასშტაბი:
0
500
1,000
2,000 კმ.
Source: Esri, DigitalGlobe, GeoEye, Earthstar Geographics, CNES/Airbus DS, USDA, USGS, AEX, Getmapping, Aerogrid, IGN, IGP, swisstopo, and the GIS User Community
მოსკოვი
რუსეთის ფედერაცია
ყაზახეთი
ირანი
ეკვადორი
ბოლივია
ბელორუსი
ბულგარეთი
ბელგრადი
ბაკისტანი
ინდოეთი
ავღანეთი
ალბანეთი
ალჟირი
ანკარა
ასტრახანი
ბაკო
ბაღდადი
ბერლინი
ბრიუსელი
ბუქარესტი
ვენა
ვილნიუსი
ვარშავა
ერევანი
ერბილი
ეროვნული
ვაშინგტონი
ზაგრები
ზაფხული
ზაფხული
ზაფხული

პოლიტიკურ-გეოგრაფიული თვალსაზრისით, საქართველო მდებარეობს *ევროკავშირს, რუსეთს, ნატოს* (მათ შორის თურქეთს), *ახლო აღმოსავლეთს* (მათ შორის ირანს) შორის (რუკა 1). ერთმანეთთან პოლიტიკურად დაპირისპირებული ქვეყნებისა და ალიანსების გარემოცვაში ყოფნა მნიშვნელოვნად ამძიმებს ჩვენი ქვეყნის გეოპოლიტიკურ ვითარებას.

საქართველო ისეთ კულტურულ-გეოგრაფიულ სივრცეში მდებარეობს, სადაც ერთმანეთს უკავშირდება ქრისტიანული და მუსლიმური სამყარო, (მათ შორის, რუსეთის ფედერაციის მოსაზღვრე ადმინისტრაციული ერთეულები კავკასიაში – *ყაბარდო-ბალყარეთი, ყარაჩაი-ჩერქეზეთი, ჩრდილო ოსეთი-ალანია, ინგუშეთი, ჩეჩნეთი* და *დაღესტანი;* ასევე, მეზობელი სახელმწიფოები – *თურქეთი* და *აზერბაიჯანი),* რაც, გარკვეულწილად, მოქმედებს გეოპოლიტიკურ პროცესებზე რეგიონში.

საქართველოს გეოპოლიტიკურ მდებარეობაზე უარყოფით გავლენას ახდენს ის ეთნიკური, რელიგიური თუ ტერიტორიული კონფლიქტები, რომლებიც მიმდინარეობს კავკასიის რეგიონში და მის უახლოეს არეალში. ამჟამად კონფლიქტური რეგიონებია: აფხაზეთი და შიდა ქართლი, ჩრდილოეთ ოსეთი და ინგუშეთი, მთიანი ყარაბაღი, ერაყი, სირია და სხვ. ზოგიერთი მათგანი არსებითად ზემოქმედებს ჩვენი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ წინსვლასა და მდგრადი განვითარების სახელმწიფო სტრატეგიის ეფექტურ რეალიზებაზე.

კავკასია მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე ჭრელი ***ეთნოლინგვისტური*** რეგიონია. კავკასიის ხალხები საუბრობენ 30-ზე მეტ ენაზე, რომლებიც, ძირითადად, სამ ლინგვისტურ ოჯახს – *კავკასიურს, ინდოევროპულსა* და *ალთაურს მიეკუთვნებიან.* კავკასიური ოჯახის ენებზე ლაპარაკობენ ხალხები, რომლებიც რამდენიმე ენობრივ ჯგუფში არიან გაერთიანებული, მათ შორისაა: *აფხაზურ-ადიღეური* (ადიღეელები, ჩერქეზები, ყაბარდოელები, აფხაზები და აბაზგები) და *ვაინახურ-დაღესტნური* (ჩეჩნები, ინგუშები, ბაცბები ანუ წოვათუშები და დაღესტნის ხალხთა უმრავლესობა) ენობრივი ჯგუფები. ქართველებს აერთიანებდნენ კავკასიური ოჯახის ქართველურ ჯგუფში, თუმც დღეს აღიარებულია ცალკე *ქართველური ოჯახის* არსებობა („Kartvelian Languages“, Encyclopedia Britannica), რომელშიც, ქართველურის გარდა, სხვა არცერთი ეთნოლიგვისტური ჯგუფი არ შედის. *ინდოევროპული* ენობრივ ოჯახს მიეკუთვნება კავკასიაში მცხოვრები სამი ჯგუფი: *სლავური* (რუსები, უკრაინელები და სხვ.), *ირანული* (ქურთები, ოსები, თალიშები და სხვ.) და *სომხური* (სომხები). *ალთაურ* ენობრივ ოჯახში ერთიანდება *თურქული* ჯგუფი, კერძოდ: აზერბაიჯანელები, ყარაჩაელები, ბალყარები და სხვ.

საქართველოს საკმაოდ ხელსაყრელი ***სატრანსპორტო-გეოგრაფიული მდებარეობა*** უჭირავს ევროპასა და აზიას შორის. ამის გამო ჩვენი ქვეყანა ევროპა-აზიის *სატრანსპორტო დერეფნის* მნიშვნელოვანი არტერიის ფუნქციას ასრულებს, რაც მკაფიოდ აისახება კავკასიისა და მისი მიმდებარე რეგიონების ქვეყნებს შორის ეკონომიკურ თუ პოლიტიკურ ურთიერთობებზე. მნიშვნელოვან როლს ასევე ასრულებს ქვეყნის *საზღვაო მდებარეობა,* რითაც საქართველო უკავშირდება მსოფლიოს ქვეყნების უდიდეს ნაწილს. სატრანსპორტო კავშირების განვითარებაში დიდ როლს ასრულებს ევროპა-აზიის დამაკავშირებელი მილსადენი და სარკინიგზო ტრანსპორტიც, რაც ზრდის ტვირთბრუნვისა და მგზავრთბრუნვის მაჩვენებლებს, საქართველოს ადგილს მსოფლიო ეკონომიკურ ურთიერთობებში.

ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობის ზოგიერთი მახასიათებელი (განსაკუთრებით კი პოლიტიკური და სატრანსპორტო-გეოგრაფიული) სივრცესა და დროში ცვლადი ფაქტორია. ისინი საუკუნეების განმავლობაში იცვლებოდა პოლიტიკური, სამხედრო, ეკონომიკური თუ დემოგრაფიული პროცესების გავლენით. ამჟამად საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობის არაერთი მახასიათებელი ეფექტურად შეიძლება იქნეს გამოყენებული ქვეყნის მდგრადი განვითარებისთვის.

საქართველო რამდენიმე თვალსაზრისით გამორჩეულია მსოფლიოში, რაც მრავალ ფაქტორს უკავშირდება. მათგან მნიშვნელოვანია: გეოგრაფიული მდებარეობა (ტროპიკული და ზომიერი სარტყლების მიჯნაზე), გაუყინავი შავი ზღვის გავლენა, გეოგრაფიული ფაქტორებისა და თავისებურებების სიმაღლებრივი განაწილება (ზღვის დონიდან 5200 მეტრამდე) და ტერიტორიის სამეურნეო გამოყენების რამდენიმე ათასწლოვანი ისტორია.

საქართველო მსოფლიოში გამოირჩევა „პირველადი“ ანუ ბუნებრივი ლანდშაფტის მაღალი ხვედრითი წილით, რაც ქვეყნის ფართობის 17 პროცენტზეა წარმოდგენილი. განსაკუთრებულ სიმდიდრეს წარმოადგენს ხელუხლებელი ტყეები. მცენარეულობის 6 % (ანუ 900-ამდე სახეობა) *ენდემური* და *ხელიქტურია.* ანალოგიური მრავალფეროვნებით გამოირჩევა ცხოველთა სამყაროც. ცოცხალი სამყაროს სახეობათა რაოდენობის, ენდემიზმისა და ბიომრავალფეროვნების მიხედვით, საქართველო ევროპის ქვეყნების ხუთეულში შედის (საქართველოს გეოგრაფია, 2000, 10).

საქართველო ლანდშაფტების რაოდენობით მე-12 ადგილზეა მსოფლიოში, ხოლო პირველ ადგილზე ევროპაში. ამ მაჩვენებლით ის ჩამორჩება მხოლოდ დიდ სახელმწიფოებს: ჩინეთს, აშშ-ს, რუსეთს, ავსტრალიას, მექსიკას, ინდოეთს, კანადას, ბრაზილიას, არგენტინას, თურქეთსა და ჩილეს. თუმცა, ლანდშაფტური მრავალფეროვნების ტერიტორიის სიდიდესთან შეფარდების მიხედვით, ჩვენი ქვეყანა მსოფლიოში პირველ ადგილზეა. იგი ლანდშაფტური მრავალფეროვნებით 20-ჯერ აღე-

მატება მსოფლიოს საშუალო მაჩვენებელს (საქართველოს ბიოლოგიური..., 2000, 36).

საქართველო ევროპაში, ფართობის ერთეულზე გაანგარიშებით, არაორგანული ბუნების ძეგლების სიუხვითაც გამოირჩევა. ამ მაჩვენებლებისა და თემატიკის მიხედვით, საქართველო ევროპის ერთ-ერთი უდიდესი ტურისტულ-რეკრეაციული ცენტრია (ელიზბარაშვილი და სხვ., 2018, 245).

იუნესკოს ***მსოფლიოს ისტორიული მემკვიდრეობის*** სიაში საქართველო ამჟამად წარმოდგენილია 3 ობიექტით. მათ მიეკუთვნება: *სოფელი ჩაჟაში* (ზემო სვანეთი, ბუნებრივი ლანდშაფტის, შუა საუკუნეების არქიტექტურისა და ტრადიციული მეურნეობის უნიკალური შერწყმა), *გელათის სამონასტრო კომპლექსი* და *მცხეთის ისტორიული ძეგლები* (სტატუსი მიენიჭა 1994 წელს, წარმოდგენილია სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძრის, მცხეთის წმინდა ჯვრის ტაძრისა და სამთავროს მონასტრების სახით). იუნესკოს ***არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის*** ნუსხაში შეტანილია *ქართული მრავალხმიანობა* (2001 წელს), *ქვევრის ღვინის დაყენების ტრადიციული მეთოდი* (2013 წელს), *ქართული ანბანი* (2016 წელს) და *ქართული ჭიდაობა* (2018 წელს) („არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა“, 2020). საქართველოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებს მიეკუთვნება: იაკობ გოგებაშვილისეული სწავლების მეთოდი „დედა ენა“, ცეკვები „ხორუმი“ და „ფერხული“, ბერიკაობა, ლაღიძის წყლების ტექნოლოგია და სხვ. საქართველო აღიარებულია მსოფლიოს *ვაზის სამშობლოდ*. ქვემო ქართლში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული მასალის პალეობოტანიკურმა კვლევებმა დაადასტურა, რომ ადრეული ნეოლითის ხანაში (ძვ.წ. VI ათასწლეული) ამ რეგიონში ვაზი ფართოდ იყო გავრცელებული. ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ 8000 წლის წინ ვაზის კულტივირებისათვის აქ შესაბამისი კლიმატური პირობები იყო და უკვე არსებობდა ვაზის მოყვანისა და ღვინის დაყენების კულტურა (საქართველო – მეღვინეობის აკვანი, 2017). საქართველო ასევე ითვლება კულტურულ მცენარეთა და შინაურ ცხოველთა *ენდემური ჯიშების* ადგილსამყოფლად (ხორბლის მსოფლიოში ცნობილი 14 ჯიშიდან 5 ქართულია; ცნობილია ქართული ფუტკარი, ცხვარი, ცხენი, ძროხა). საქართველოში აღმოჩენილია მსოფლიოში წარმოებული უძველესი *თაფლი* (5500 წლის) და უძველესი *ქსოვილი* (40 ათასი წლის). საქართველო პირველი ***ევროპელების სამშობლოა.*** დმანისის არქეოლოგიური გათხრების შედეგებმა შეცვალა აფრიკიდან ევრაზიაში ადამიანის გავრცელების გეოგრაფია და, შესაბამისად, კაცობრიობის ისტორიულ-გეოგრაფიული განვითარების ტენდენციები („Human Odyssey“). ადამიანის ყველაზე ძველი თავის ქალა, რომელიც ფიქსირდება ევრაზიის კონტინენტზე, 1,8 მილიონი წლისაა და იგი დმანისშია აღმოჩენილი. ქართული *დამწერლობა* და *ენა* უნიკალურია მსოფლიოში. ქართული ანბანი ერთ-ერთია მსოფლიოს 14 დამწერლობას შორის („საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის...“).

1. 2. ბუნებრივი პირობები და რესურსები

1. 2. 1. მინერალური რესურსები

საქართველოს თანამედროვე ტერიტორია გეოლოგიურად აგებულია სხვადასხვა ასაკისა და შედგენილობის ქანებით, რომელთა განლაგებასთან დაკავშირებულია *სასარგებლო წიაღისეულის საბადოები* (რუკა 2). რესურსთა უმეტესი ნაწილი **მცირემარაგიანია,** თუმცა **მაღალხარისხოვანი.**

სათბობ-ენერგეტიკული წიაღისეულიდან აღსანიშნავია ნავთობი, ქვანახშირი და ბუნებრივი აირი. *ნავთობის* საბადოები საქართველოში უძველესი დროიდანაა ცნობილი, თუმცა მათი შესწავლა XX საუკუნის 30-იანი წლებიდან დაიწყო. საქართველოს ნავთობშემცველი ტერიტორიები ორ ძირითად რეგიონს: *შავიზღვისპირას* (დასავლეთი საქართველო, კოლხეთის დაბლობი) და *სამხრეთკასპისპირას* (აღმოსავლეთი საქართველო) მიეკუთვნება. საქართველოში ნავთობის ძირითადი საბადოებია: *აღმოსავლეთ ქაღადიდის* (სამეგრელო), *სუფსის, შრომისუბანი-წყაღწმინდის* (გურია), *ნოხიოს, საცხენისის, თელეთის, სამგორის, ხუსთავის, ტახიბანას, მიხზაანის, პატარა შიხალის* (კახეთი). ნავთობის დაზვერილი მარაგის 70% და მოპოვების 90% მოდის თბილისის მიდამოების, სამგორ-პატარძეულისა და კახეთის რაიონებზე. ნავთობის პროგნოზული მარაგი რამდენიმე ასეული მილიონი ტონაა (Природные ресурсы Грузии, 1991, 171). მისი უმეტესი ნაწილი მცირე რაოდენობით შეიცავს გოგირდს, რაც წიაღისეულის მაღალ ხარისხზე მეტყველებს. *ბუნებრივი აირის* საბადოები გამოვლენილია თბილისის მიდამოებსა და კახეთში.

ᲡᲐᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝ ᲜᲘᲐᲚᲘᲡᲬᲣᲚᲘ



ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲜᲘᲚᲘᲐ Თ. ᲒᲝᲩᲘᲫᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ

ᲠᲣᲙᲐ 2

ქვანახშირის საბადოთა გეოგრაფია მოიცავს ზოლს, რომელიც ვრცელდება აფხაზეთიდან ოკრიბამდე (იმერეთი). აქაა განლაგებული: *ბზიფის, ტყვარჩელის, გეღათის, ტყიბულ-შაორის* საბადოები. მათგან სამრეწველო მნიშვნელობა მხოლოდ ორს – ტყვარჩელსა და ტყიბულ-შაორს – აქვს. უდიდესია ტყიბულ-შაორის საბადო, რომლის მარაგი შეადგენს 700 მლნ. ტონას. ტყვარჩელის საბადო მდებარეობს მდ. ღალიძგის ზემო წელში. მის შესახებ 1881 წლიდანაა ცნობილი. ქვანახშირის ფენის სიმძლავრეა 300 მ. მისი მარაგი 30 მლნ. ტონაა. ახალციხის მურა ნახშირის საბადო ყველაზე მაღლა მდებარეა (ზ.დ.-1000-1600 მ) და ცნობილია XIX ს-ის II ნახევრიდან. აქ დაზვერვითი და მოპოვებითი სამუშაოები შეწყდა გასული საუკუნის 70-იან წლებში, მურა ნახშირზე მოთხოვნილების შემცირების გამო. *ტოხფის* საბადოთა შესწავლა-გამოკვლევები დაიწყო XX ს-ის 30-იან წლებში. ტორფიან ფენებს კოლხეთის დაბლობზე დაკავებული აქვს 20 ათასი ჰა, ხოლო მისი მარაგი 8 მლრდ. $მ^3$-ია. ძირითადი საბადოები გვხვდება შავიზღვისპირა ზოლში *(იმნათის, ნაბადის, ჭუხიის).* ტორფის საბადოთა მარაგი შესწავლილია არასაკმარისად. ეს რესურსი წარმატებით შეიძლება გამოყენებულ იქნეს მეცხოველეობაში (საკვებად), ქიმიური ნივთიერებების მისაღებად. ქართული ტორფის სათბობად გამოყენება არარენტაბელურია.

საქართველოში *შავი ღითონები* წარმოდგენილია *ჩკინისა* და *მანგანუმის* საბადოებით. ეკონომიკურად საინტერესო რკინის საბადოთა რიცხვი ძალზედ მცირეა.

მანგანუმის (მძიმე მოვერცხლისფრო-მოთეთრო ლითონი) არსებობა საქართველოში დიდი ხნის წინ იყო ცნობილი. მანგანუმი ძვირფასი ლითონია, მას იყენებენ შავ მეტალურგიაში გალვანური ელემენტების დასამზადებლად. მანგანუმის რკინასთან შენადნობი *ღეგიჰებუღი ფოღადის* სახელწოდებითაა ცნობილი. ასეთი ფოლადი გამოიყენება ლითონმჭრელი ჩარხების, ლიანდაგების და სხვა მეტად მტკიცე კონსტრუქციების დასამზადებლად. ძირითადი საბადოებია: *ჭიათუხის* (მარაგი 200 მლნ. ტ. პირველი ცნობები მის შესახებ 1848 წლიდანაა ცნობილი, სამრეწველო მოპოვება კი 1879 წელს დაიწყო) და *ჩხახი-აჯამეთის* (ქუთაისისა და თერჯოლის მიდამოებში, მარაგი 5 მლნ. ტ). სულ საქართველოში მანგანუმის გამოვლენილი და სავარაუდო მარაგი 0,5 მლრდ. ტონას აღწევს, რაც მნიშვნელოვანი რესურსია.

საქართველოში *ჩკინის მადნის* გამოვლინების 60 ადგილია ცნობილი. ყველაზე მძლავრია *ფოღადაუხის* საბადო (ბოლნისის მუნიციპალიტეტი), აქ რკინის შემცველობა 40%-ია; რკინის საკმაო მარაგით ხასიათდება *ძამის* საბადო (ქარელის მუნიციპალიტეტი), სადაც რკინის შემცველობის მაღალი მაჩვენებლებია (40-50%); შავიზღვისპირა *მაგნეტიტუხი ქვიშები,* რომელთაც სამკურნალო დანიშნულება აქვთ, 250 კმ-ზე მიუყვება შავი ზღვის სანაპირო ზოლს. აქ რკინის შემცველობა 1-იდან 16%-ამდე მერყეობს (საქართველოს გეოგრაფია, 2000, 34).

საქართველოში *ფეჰადი ღითონები* და მისი საბადოები ისტორიულადაა ცნობილი. ხშირ შემთხვევაში ისინი იშვიათ და კეთილშობილ ლითონებთან ერთად მოიპოვება. უმეტეს საბადოთა პოტენციური მარაგები არასრულადაა შესწავლილი. საქართველოში ცნობილი ფერადი ლითონების პოლიმეტალური საბადოებია: *სპიღენძ-ტყვია-თუთიის* (მადნეული), *ტყვია-თუთიის* (კვაისა), *დახიშხანის (ცანისა და ღუხუმის).* ძვირფასი ლითონების პერსპექტიული უბნებია ბოლნისისა და ჯავის რაიონებში, აგრეთვე დავით გარეჯის მიდამოებში. აღსანიშნავია, რომ მათი უმრავლესობა ოქროს შეიცავს. იშვიათი ან ძვირფასი ლითონები, ძირითადად, თანხვედრილია ფერადი ლითონების მადანთან. მათი ცალკეული გამოვლინებები გვხვდება რაჭაში, სვანეთსა და აფახაზეთში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დარიშხნის საბადოები.

საქართველოში ცნობილია ათობით სამრეწველო და ასეულობით არასამრეწველო დანიშნულების, თუმცა პერსპექტიული, *სამთო-ქიმიუხი ნედღეუღის* საბადო. *ბარიტი* ანუ მძიმე შპატი წარმატებით გამოიყენება მედიცინასა და ქიმიურ მრეწველობაში. საქართველოში ცნობილია ბარიტის 60 მნიშვნელოვანი საბადო. ამჟამად ექსპლუატაციაშია *ჩოხდისა* (ონის მუნიციპალიტეტი) და *მადნეუღის* საბადოები. ბარიტის მარაგი (პროგნოზულიც) 45 მლნ. ტ-ს უდრის. უმეტეს შემთხვევაში ბარიტი სპილენძთან ან სხვა ფერად ლითონთან ერთადაა წარმოდგენილი.

ბენტონიტუხი თიხები ნავთობ-ქიმიური მრეწველობის ტრადიციული და უმნიშვნელოვანესი ნედლეულია. საქართველოში ცნობილია რამდენიმე ათეული საბადო, რომელთაგან მნიშვნელოვანია *ასკანისა* (ოზურგეთის მუნიციპალიტეტი) და *გუმბრინის* (წყალტუბოს მუნიციპალიტეტი) საბადოები. პერსპექტიულია ახალციხის საბადოც.

ღიატომიტი ძალზე მაღალი ხარისხისა, თუმცა მცირე რაოდენობით. მოიპოვება ახალციხის რაიონში (მარაგი 10 მლნ. ტ). იგი მნიშვნელოვანია ქიმიური და კვების მრეწველობისათვის. ასევე დიდი როლის შესრულება შეუძლია მინერალური სასუქების წარმოებაში და კვების პროდუქტების (შაქრის სიროფის, ღვინის, წვენების) ფილტრების დასამზადებლად. დიატომიტი მძლავრი სავალუტო შემოსავლების წყარო შეიძლება გახდეს.

ტაღკი და სერპენტინი ხაშურის რაიონში, ძირულის მასივის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში მოიპოვება. სერპენტინი გამოიყენება ჰიდროსაიზოლაციო მასალების წარმოებასა და სოფლის მეურ-

ნეობაში (სასუქებად). მისი გამოყენება მევენახეობაში ყურძნის მოსავლიანობას 15-40%-ით ზრდის.

ცეოლითი მოიპოვება თეძამისა და ძეგვის საბადოებში. იგი გამოიყენება გაზის მრეწველობაში (გამწმენდად) და სოფლის მეურნეობაში (სასუქად).

ანდეზიტი მოიპოვება ყაზბეგისა და ბორჯომის რაიონებში. მისგან მზადდება მჟავაგამძლე ცემენტი. მისი მარაგია 13 მლნ. $მ^3$.

საქართველო მდიდარია *ნახევრად ძვირფასი და ფერადი ქვებით:* აქატით (ახალციხის მუნიციპალიტეტი), საიუველირო აქატით (მარნეულის მუნიციპალიტეტი), ობსიდიანით (ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი) და სხვ.

საქართველო *საშენი მასალებით* ძალზე მდიდარია. საბადოთა გეოგრაფია მთელ საქართველოს მოიცავს. დაფიქსირებულია სხვადასხვა სახის 300-ზე მეტი საბადო. მათ მიეკუთვნება: ბუნებრივი საშენი მასალები და დეკორატიულ-მოსაპირკეთებელი ქვები (მარმარილო, ტეშენიტი, ბაზალტი, კირქვა, ტუფი, დოლომიტი, გაბრო); საკედლე ქვები (კირქვა, ტუფი), კირი, სილა, ხრეში, სააგურე თიხა, ცემენტის მასალა, სამშენებლო ქვები (კონგლომერატები) და სხვ. მათი საერთო მარაგი 2.640 მლნ. $მ^3$-ია. *მახმახიდოს* მნიშვნელოვანი საბადოებიდან (სულ 13) აღსანიშნავია: *საღიეთის* (ზესტაფონის მუნიციპალიტეტი), *ჭოგნახის* (თერჯოლის მუნიციპალიტეტი), *სადახდოს* (მარნეულის მუნიციპალიტეტი), *მენდედეევის სახელობის* (გაგრა), *გუმისთის* (სოხუმი). საქართველოში არის *ბაზალტის* მარაგიც.

1.2.2. ხეღიეფი

საქართველო, ოროგრაფიული თვალსაზრისით, მრავალფეროვანი ქვეყანაა. აქ გვხვდება მაღალი ქედები, ზეგნები და პლატოები, ბრტყელი დაბლობები და სხვადასხვა სიმაღლეზე მდებარე ვაკეები, ღრმა ხეობები და ქვაბულები. რელიეფის ფორმების მიხედვით, სამი უმთავრესი გეომორფოლოგიური ზონა გამოიყოფა: *კავკასიონის მთიანი ზონა, მთათაშორისი ბარი და სამხრეთ საქართველოს მთიანეთი.* ზედაპირის აბსოლუტური სიმაღლე ცვალებადობს ზღვის დონიდან 5201 მ-მდე (მთა შხარა (რუკა 3).

სიმაღლითი ზონები საქართველოს ტერიტორიაზე არათანაბრადაა განაწილებული. *მაღალმთიანი* რელიეფის წილად მოდის რესპუბლიკის საერთო ფართობის 20%. მისთვის დამახასიათებელია ძლიერ დანაწევრებული ზედაპირი და კლდოვანი მასივები (კავკასიონის მთიანი ზონა). თუმცა ციცაბო კალთებს (35°-ზე მეტი დახრილობით) ხშირად ცვლის მოვაკებული ზედაპირები.

საშუალომთიან ზონაზე მოდის რესპუბლიკის საერთო ფართობის 34%. იგი, ძირითადად, მოქცეულია ზ. დ. 1000-2000 მ სიმაღლეებს შორის, სადაც გაბატონებულია ციცაბო და საშუალო დახრილობის (20-30°) ფერდობები. მდინარეები აქ ავითარებენ სიღრმით ეროზიას, ქმნიან ღრმა და V-სებრი ფორმის ხეობებს.

დაბალმთიანი რელიეფის წილად მოდის საქართველოს საერთო ფართობის 23%-ზე ნაკლები. იგი მოქცეულია ზ.დ. 500-800 მ-იდან 1000 მ-ამდე სიმაღლის დიაპაზონში, სადაც გაბატონებულია დამრეცი ფერდობები. მდინარეთა ხეობები განიერი და ტერასებიანია.

ვაკე-დაბლობებსა და მთისწინეთის გორაკ-ბორცვებს ქვეყნის საერთო ფართობის 23%-ზე მეტი უკავია. იგი წარმოდგენილია საქართველოს მთათაშორისი ბარის დასავლეთ ნაწილში ზ. დ. 200-600 მ-მდე, ხოლო აღმოსავლეთ ნაწილში ზღ.დ.400-1000 მ-მდე სიმაღლეებზე. მდინარეთა ხეობები ძალზედ ფართოა.

საქართველოს რელიეფის საშუალო სიმაღლე 1508 მ-ია. ადმინისტრაციული რაიონებიდან ყველაზე მაღლაა ყაზბეგის (ზ.დ. 2882 მ), აგრეთვე, მესტიის (ზ.დ. 2594 მ), ონის (ზ.დ. 2404 მ), ლენტეხის (ზ.დ. 2410 მ), ნინოწმინდისა (ზ.დ. 2254 მ) და დუშეთის (ზ.დ. 2141 მ) მუნიციპალიტეტები. ყველაზე დაბალი სიმაღლითი მაჩვენებლით გამოირჩევა ხობის მუნიციპალიტეტი (ზ.დ.50 მ).

საქართველოს, როგორც მთიანი ქვეყნის, სპეციფიკა, გასათვალისწინებელია ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური ღონისძიებების მთელი რიგის დაგეგმარებისას.

ხუკა 3



შეგვეძლია თ. გოხვეძის მიერ

1.2.3. კლიმატი და კლიმატური ხესუხსები

საქართველოს კლიმატის ჩამოყალიბებაზე მრავალი ფაქტორი ახდენს გავლენას: *ტეხიტოხიის განედური მდებახეობა, ადგილის სიმაღლე, ატმოსფეხოს ციხკულაცია და ქვეფენილი ზედაპიხის ხასიათი.*

ჰაერის მასები საქართველოს ტერიტორიაზე სხვადასხვა გზით შემოდიან. დასავლეთიდან შემოსვლის დროს ხდება ჰაერის ტემპერატურის დაწევა, ქარბობს ღრუბლიანი და ნალექიანი ამინდები. შავ ზღვაზე გადმოვლისას ისინი იძენენ დიდი რაოდენობით ტენს და მოაქვთ უხვი ატმოსფერული ნალექები, უმთავრესად, დასავლეთ საქართველოში. აღმოსავლეთ საქართველოში კი ლიხის ქედის გადავლის შემდეგ ტენით გაღარიბებულია. ზაფხულში ხშირია ტროპიკული ჰაერის მასების შემოჭრა, რომლებიც აყალიბებენ ცხელ და მშრალ ამინდებს.

ტერიტორიის კლიმატურ თავისებურებებს მნიშვნელოვნად განსაზღვრავს *ოჰოგჰაფიული ბაჰიეჰებიც.* ამ მხრივ, უპირველესად, უნდა აღინიშნოს *კავკასიონის მთავაჰი წყალგამყოფი და გვეჰდითი ქედები,* რომლებიც აფერხებენ ჩრდილოეთის ცივი ჰაერის მასების შემოღწევას საქართველოს (და საერთოდ სამხრეთ კავკასიის) ტერიტორიაზე. სწორედ კავკასიონი განაპირობებს იმას, რომ მთავარი წყალგამყოფი ქედის სამხრეთით მდებარე ტერიტორია სუბტროპიკულ სარტყელშია მოქცეული, მისგან ჩრდილოეთით კი ზომიერ სარტყელში. რომ არა ეს ოროგრაფიული ბარიერი, საქართველოში გაცილებით უფრო ცივი და კონტინენტური კლიმატი იქნებოდა. ასევე მნიშვნელოვანია *ღიხისა და ახსიანის ქედები,* რომლებიც აფერხებენ დასავლეთიდან მომავალი ნოტიო ჰაერის მასების გავრცელებას. ამიტომ დასავლეთი საქართველო უფრო ნალექიანია, ვიდრე აღმოსავლეთი. სწორედ ლიხისა და არსიანის ქედების თხემზე გადის საზღვარი ნოტიო და მშრალ სუბტროპიკებს შორის. *მციხე კავკასიონიც* საკმაოდ მნიშვნელოვან ოროგრაფიულ ბარიერს ქმნის. იგი ერთგვარად ანელებს სამხრეთიდან მომავალი ცხელი ჰაერის მასების ზეგავლენას. რომ არა მისი არსებობა, საქართველოში შედარებით უფრო ცხელი და მშრალი ჰავა იქნებოდა, განსაკუთრებით წლის თბილ პერიოდში (რუკა 4).

ხუკა 4

შედგენილია თ. გოჩგოძის მიერ

შავი და *კასპიის ზღვები* განსხვავებულ ზეგავლენას ახდენს საქართველოს ჰავაზე. ქვეყნის შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე მდებარეობამ აქ უფრო თბილი და ნოტიო კლიმატი განაპირობა (უმთავრესად, მის დასავლეთ ნაწილში). ზღვის ზედაპირზე გადავლილი ჰაერის მასები ჯერდება ტენით (ზამთარშიც კი, ვინაიდან ზღვა არ იყინება და წყალი ინტენსიურად ორთქლდება) და მიემართება საქართველოს ტერიტორიისაკენ. იგივე არ ითქმის კასპიის ზღვაზე, რომლის გავლენა საქართველოს კლიმატზე, ფაქტობრივად, არც არსებობს. კასპიის ზღვა გავლენას ახდენს მხოლოდ მიმდებარე ტერიტორიებისა და მისკენ მიქცეული ფერდობების ჰავაზე.

მთათაშოხისი ბაჰი ხელს უწყობს ჰაერის მასების თავისუფალ გადაადგილებასა და ვენტილაცი-

ას. ამიტომ კლიმატოლოგებმა მას „ამიერკავკასიის დერეფანი“ უწოდეს (საქართველოს გეოგრაფია, 2000, 38).

მზის ნათების *საშუალო წლიური ხანგრძლივობა* საქართველოში 1300–2550 საათია. ეს მაჩვენებელი ყველაზე მაღალია შირაქის ველსა და გარდაბნის ვაკეზე, სადაც იგი 2550 საათზე მეტია, ხოლო შედარებით მცირეა, მაღალი ღრუბლიანობის გამო, კოლხეთის დაბლობზე (1800-2000 სთ.-ს). იგი განსაკუთრებით მცირეა აჭარის ფარგლებში და კავკასიონის მაღალმთიან ზოლში. განსხვავებული სურათი შეინიშნება სამხრეთ საქართველოს მაღალმთიანეთში, სადაც მაღალია მზის ნათების ხანგრძლივობა.

ჰაერის *საშუალო წლიური* ტემპერატურა ყველაზე მაღალია შავი ზღვის სანაპიროზე და +14 +15°C-ის ტოლია, ხოლო შიდა ქართლის ვაკეზე +9 +13°C-ს არ აღემატება.

დასავლეთ საქართველოს ბარში ზამთარი შედარებით თბილია. იანვრის საშუალო ტემპერატურა ზ.დ. 600–700 მ სიმაღლემდე არასოდეს ჩამოდის 0°C-ზე დაბლა. განსაკუთრებით თბილია კოლხეთის დაბლობი და მიმდებარე გორაკბორცვიანი ზოლი, სადაც უცივესი თვის (იანვრის) საშუალო ტემპერატურაა +4 +5°C-ია (ზუგდიდი, სენაკი, სამტრედია), შავი ზღვის სანაპირო ზოლში კი +5 +6°C (გაგრა, სოხუმი, ბათუმი). ამიტომ აქ, ზამთარშიც კი, მზიანი და თბილი ამინდები საკმაოდ დიდხანს გრძელდება. სწორედ ეს განაპირობებს ნოტიო სუბტროპიკული კულტურების ფართოდ გავრცელებას. რაც უფრო ვშორდებით შავი ზღვის სანაპიროს, მით უფრო ეცემა იანვრის საშუალო ტემპერატურა. აღმოსავლეთ საქართველოში, დასავლეთთან შედარებით, ერთსა და იმავე სიმაღლეზე იანვრის საშუალო ტემპერატურა 1–2°C-ით უფრო ნაკლებია. ივრის ზეგანზე (კერძოდ, შირაქის ველზე) აღინიშნება უცივესი თვის ყველაზე დაბალი საშუალო ტემპერატურა (-3,8°C) საქართველოს ბარის ფარგლებში. ჯავახეთის ზეგანზე ზამთარი ცივი და მკაცრია. აქ იანვრის საშუალო ტემპერატურა -8°C-ია. ჰაერის ტემპერატურის აბსოლუტური მინიმუმი (-41°C) აღრიცხულია სოფ. კარწახში (ზ.დ.1860 მ, ახალქალაქის მუნიციპალიტეტი). იგი მიჩნეულია საქართველოს „სიცივის პოლუსად“. მაღალ მთებში აბსოლუტური მინიმალური ტემპერატურა (-42°C) აღნიშნულია ყაზბეგის მეტეოსადგურზე.

თბილი და ნოტიო ზაფხული ახასიათებს კოლხეთის დაბლობსა და მიმდინარე გორაკბორცვიან ზოლს (ოჩამჩირე, ანაკლია, ხონი, ზუგდიდი, სენაკი). ივლისის საშუალო ტემპერატურა შავი ზღვის სანაპიროზე +22 +23°C-ს შეადგენს, თუმცა სამხრეთიდან ცხელი ჰაერის მასების შემოჭრისას ჰაერის ტემპერატურა ცალკეულ დღეებში 40 გრადუსსაც კი აღწევს. აღმოსავლეთისკენ ივლისის საშუალო ტემპერატურა თანდათან მატულობს. აღმოსავლეთ საქართველოს ბარში ზაფხული ცხელი და მშრალია. ივლისის საშუალო ტემპერატურაა +23+25°C, გარდაბნისა და ალაზნის ვაკის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში უფრო მეტიც. ჯავახეთის ზეგანზე ზაფხული თბილია. 10°C-ზე მაღალი საშუალო ტემპერატურები აქ 4–5 თვის განმავლობაში აღინიშნება (უთბილესი თვის საშუალო ტემპერატურა +17°C-ია). ჰაერის ტემპერატურის აბსოლუტური მაქსიმუმი (+43°C) აღინიშნა სამტრედიაში და სოფ. ლათაში (მდ. კოდორის ხეობაში, გულრიფშის რაიონი), ასევე სოფ. ჭარნალში (კახაბრის ვაკეზე, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი).

ატმოსფერული ნალექების წლიური რაოდენობა საქართველოს ტერიტორიაზე მერყეობს 400–4500 მმ-ის ფარგლებში. იგი მინიმალურია ელდარის ვაკეზე, ხოლო მაქსიმალური მთა მტირალზე (ცისკარა, ჩაქვის ქედის ზღვისკენ მოქცეულ ფერდობზე). ცალკეულ წლებში მთა მტირალაზე მოსული ატმოსფერული ნალექების რაოდენობა 5000 მმ-საც აღემატება. დასავლეთ საქართველო უფრო უხვნალექიანია (ნალექების რაოდენობა არსად არ არის 1000 მმ-ზე ნაკლები), ვიდრე აღმოსავლეთი (რუკა 5). უხვნალექიანობის მეორე პოლუსად შეიძლება დავასახელოთ აფხაზეთის კავკასიონი, სადაც მისი რაოდენობა 3000 მმ-ზე მეტია. საქართველოს ტერიტორიაზე ატმოსფერული ნალექების რაოდენობა დასავლეთიდან აღმოსავლეთის მიმართულებით მცირდება და აღმოსავლეთ საქართველოს ბარში მისი საშუალო რაოდენობა 400–500 მმ-ს შეადგენს. აქ ყველაზე მეტი ნალექი (800–1000 მმ) ალაზნის ვაკეზე, კახეთის კავკასიონის სამხრეთ ფერდობზე მოდის.

ხუკა 5

ნალექების საშუალო წლიური განაწილება



წყარო: საქართველოს ეროვნული ატლასი, 2012, 68

ატმოსფეროს ქვედა ფენებში *ქარების ხეჟიმი* დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე და იგი გარკვეული სირთულით ხასიათდება. ეს განპირობებულია ზღვისა და ხმელეთის არათანაბარი გათბობით, ქვეფენილი ზედაპირის ხასიათით და სხვ. საქართველოს ტერიტორიაზე ქარების რეჟიმზე უდიდეს გავლენას ახდენს შავი ზღვა. დასავლეთ საქართველოში წლის ცივ პერიოდში გაბატონებულია აღმოსავლეთის ქარები, წლის თბილ პერიოდში კი დასავლეთის ქარები. ზაფხულში დამახასიათებელია ზღვიური ქარები – *ბრიზები,* რომლებიც ტერიტორიის სიღრმეში 130–135 კმ მანძილზე ვრცელდება. აღმოსავლეთ საქართველოში თითქმის მთელი წლის განმავლობაში ქრის დასავლეთისა და ჩრდილო-დასავლეთის ქარები. სამხრეთი საქართველო ქარის მცირე სიჩქარით გამოირჩევა. ქარის სიჩქარე განსხვავებულია საქართველოს სხვადასხვა რეგიონში. იგი მაქსიმალურია მაღალმთიან ზოლში. მთა მყინვარწვერის კალთებზე ქარის საშუალო სიჩქარეა 6,3 მ/წმ.-ში, ცალკეულ შემთხვევაში კი 45 მ/წმ.-ში. ძლიერქარიან (15 მ/წმ.-ზე მეტი) დღეთა რაოდენობა ცვალებადობს 0,2-იდან (სოფ. ჭრებალო, ამბროლაურის რაიონი) 162 დღემდე (მთა საბუეთი ლიხის ქედზე, ხარაგაულის რაიონი).

ქარის ენერგია ამოუწურავი ბუნებრივი რესურსია. ქარის ელექტროსადგურები იდგმება იქ, სადაც მისი საშუალო წლიური სიჩქარე აღემატება 4 მ/წმ.-ს. ამგვარი ადგილები საქართველოში საკმაოდაა. ქარის ენერგიის ყველაზე მნიშვნელოვანი პოტენციით მთათაშორისი დერეფანი, მდ. მტკვრისა და რიონის ხეობები გამოირჩევა, სადაც ხშირია ისეთი დღეები, როცა ქარის სიჩქარე 15 მ/წმ.-ს აღემატება. ამგვარ დღეთა რიცხვი ქუთაისში 88, ხოლო თბილისში 132-ია; ასევეა მაღალ მთებსა და უღელტეხილებზე. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ქარების მაქსიმუმი მოდის ზამთარზე, ე.ი. მაშინ, როცა ყველაზე მეტი ენერგიაა საჭირო. ამდენად, საქართველოს ბევრ რეგიონში (მთათაშორისი ბარი, ჯავახეთის ზეგანი, ცხრაწყაროს უღელტეხილი, მამისონისა და მთა საბუეთის მიდამოები) წლის 50%–70%-ის განმავლობაში ქრის ენერგეტიკულად მაღალეფექტური ქარები. ქარის მიმღები აპარატების უარყოფით თვისებად შეიძლება ჩაითვალოს: ლანდშაფტის ტექნოგენური დამახინჯება, ხმაური, მაღალი ელექტრომაგნიტური სიხშირეები; დადებითად კი ის, რომ აქ გამომუშავებული ელექტროენერგია 2–3-ჯერ იაფია თბოელექტროსადგურებში გამომუშავებულთან შედარებით. უკანასკნელ ხანებში აქტიურად მიმდინარეობს პროცესები ქარის ენერგიის მისღებად. მისი პირველი სადგური გორის მიდამოებში შეიქმნა, რომლის სიმძლავრე 20 მგვტ.-ია.

მზის ანუ ჰელიოენერგია ეკოლოგიურად სუფთა, თუმცა ძვირადღირებულია. მის მისაღებად დიდი ტერიტორიებია საჭირო. მაგალითად, იმისათვის, რომ დავაკმაყოფილოთ საქართველოს მოთხოვნილება ელექტროენერგიაზე, საჭირო იქნება 140 კმ^2 ტერიტორია დაიფაროს ჰელიოსადგურებით. საქართველოს ტერიტორიაზე მოდის 34 მლრდ. კვტ. სთ. მზის ენერგია, რაც 3-ჯერ სჭარბობს მოთხოვნილებას. ჰელიორესურსების გამოყენების ეფექტურობას ამცირებს ღრუბლიანობა, ჰაერის მტვრიანობა, ექსპოზიციური დაფარულობა, სეზონურობა, დღე-ღამის მონაცვლეობა. ჰელიოენერგიის მისაღებად (180–230 კვტ.სთ./მ^2) ხელსაყრელი ადგილებია აღმოსავლეთი და სამხრეთი საქართველოს მრავალ რეგიონში, აგრეთვე კავკასიონის მაღალმთიანეთში, ზ. დ. 3 ათას მეტრზე მაღლა. სათბობ-ენერგეტიკული რესურსების გამოყენების თანამედროვე მასშტაბები და ზრდის ტენდენცია გვარწმუნებს, რომ საქართველოს XXI საუკუნის პირველ მესამედში ყოველწლიურად დასჭირდე-

ბა 6-7 მლნ. ტონა პირობითი მინერალური საწვავი; ჰელიორესურსების ეფექტური გამოყენება კი მისი ერთი მესამედის ეკონომიის საშუალებას მისცემდა (საცხოვრებელი ბინების გათბობა, რეკრეაციული ობიექტების მომსახურება, სასათბურე მეურნეობა და სხვ.), გააჯანსაღებდა ქალაქებისა და კურორტების მიდამოებში ეკოლოგიურ გარემოს.

1.2.4. შიგა წყლები და წყლის ხესურსები

საქართველოს *ჰიდროგრაფიული ქსელის* გეოგრაფიულ თავისებურებებს განსაზღვრავს რელიეფური პირობები, გეოლოგიური აგებულება, კლიმატის მრავალფეროვნება, ნიადაგმცენარეული საფარისა და, საერთოდ, ლანდშაფტების ვერტიკალური ზონალობა. თითოეული მათგანი თავისებურად ზემოქმედებს ხმელეთის წყლების რესურსებსა და განაწილებაზე.

ხეღიეფი უდიდეს გავლენას ახდენს შიგა წყლებზე. კოლხეთის დაბლობის სუსტად დახრილი ზედაპირი წყლის მდორე დინებას განაპირობებს. სრულიად განსხვავებული სიტუაციაა მთებში, სადაც, რელიეფის დიდი დახრილობის გამო, მდინარეები სწრაფად მიედინება და ქმნიან ჭორომებსა და ჩანჩქერებს. თუმცა საქართველოს მთის მდინარეები ჩანჩქერების რაოდენობით არ გამოირჩევა. ერთადერთი ადგილი, სადაც ჩანჩქერების შედარებითი სიუხვეა, არის მდ. კოდორის აუზი. აქ წყლის ყველაზე დიდი ვარდნა აქვს *კღიჩის ჩანჩქეს,* რომელსაც „აფხაზეთის ნიაგარასაც“ უწოდებენ,

ტერიტორიის *გეოღოგიური აგებუღება* მხოლოდ გარკვეული თვალსაზრისით ახდენს გავლენას ხმელეთის წყლებზე. კარბონატული და ადვილად ხსნადი ქანებით აგებულ ტერიტორიებზე ზედაპირული წყლები ხმელეთში „იკარგება“ და მძლავრი მიწისქვეშა გადინებით ხასიათდება. ამგვარად ყალიბდება ჰიდროგრაფიული ქსელის *კარსტული* ტიპი.

კღიმატური პიჩობები განსაზღვრავს ზედაპირული წყლების ჩამონადენის რაოდენობას, მდინარეთა ქსელის სიხშირეს, წყლის დონის ცვალებადობას, მარილიანობასა და სხვ. კოლხეთის დაბლობზე ატმოსფერული ნალექები მთელი წლის განმავლობაში თანაბრადაა განაწილებული, ამიტომ დასავლეთ საქართველოს მდინარეები წყალუხვობით გამოირჩევა. აღმოსავლეთ საქართველოში კი ტენის დეფიციტია. შესაბამისად, მდინარეები წყალმარჩხია, მცირეა მდინარეული ქსელის სიხშირე და ხშირად ვითარდება დროებითი ნაკადები.

საქართველოს მდინარეები განეკუთვნება შავი ზღვის (ატლანტის ოკეანის) და კასპიის ზღვის (შიდა კონტინენტური) აუზებს, რომელთა შორის წყალგამყოფი გასდევს კავკასიონის მთავარ ქედს, ლიხის, მესხეთისა და არსიანის ქედების თხემებს. მდინარეული ქსელის თავისებურების მიხედვით, საქართველოს ტერიტორია იყოფა სამ ნაწილად: *დასავღეთ, აღმოსავღეთ* და *ჩრდიღოეთ* საქართველოდ. დასავლეთ საქართველოს მდინარეები წყალუხვობითა და მდინარეული ქსელის სიხშირით გამოირჩევა. აღმოსავლეთ საქართველოს მდინარეები მთლიანად მიეკუთვნება მდ. მტკვრის აუზს. დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს მდინარეთა წყალშემკრები აუზების ფართობი დაახლოებით ერთნაირია და შეადგენს რესპუბლიკის საერთო ფართობის 48–48%-ს. ჩრდილოეთ საქართველოს მდინარეები მიეკუთვნება თერგისა (ასა, არღუნი) და სულაკის (პირიქითა ალაზანი, თუშეთის ალაზანი) აუზებს, რომლებიც საქართველოს ფარგლებში კავკასიონის ჩრდილოეთ ფერდობზე მიედინება. ისინი ტიპური მთის მდინარეებია სწრაფი დინებითა და ხშირი ჭორომებით. მათი წყალშემკრები აუზის ფართობი საქართველოს ტერიტორიის 4%-ია.

საქართველოში 26 000-ზე მეტი მდინარეა (Природные ресурсы Грузии, 1991, 268). მათი უმეტესობა (17 000) დასავლეთ საქართველოშია წარმოდგენილი. მდინარეთა საერთო სიგრძე 60 000 კმ-ამდეა, მაგრამ მათი 97% 10 კმ-ზე ნაკლები სიგრძისაა, ხოლო 100 კმ-ზე გრძელი მდინარე საქართველოში რამდენიმეა (მტკვარი, ალაზანი, იორი, რიონი, ენგური, ხრამი, ცხენისწყალი, ხობი, ყვირილა, ალგეთი, კოდორი, დიდი ლიახვი, ბზიფი, არაგვი, სუფსა, ტეხური). ყველაზე გრძელი მდინარეა ალაზანი (407 კმ), მტკვარი კი, რომლის საერთო სიგრძე 1170 კმ-ია, საქართველოს ტერიტორიაზე 351 კმ-ის მანძილზე გაედინება. დასავლეთ საქართველოში ბევრი დამოუკიდებელი მდინარეა, აღმოსავლეთ საქართველოში კი ყველა მდინარე მტკვრის შენაკადია.

საქართველოს მდინარეთა *წღიური ჩამონადენის* 60-70% თოვლის ნადნობი წყლებით იკვებება; სამხრეთ საქართველოს მდინარეთა კვების ნახევარი მიწისქვეშა წყლებზე მოდის; კოლხეთის დაბლობის მდინარეები უპირატესად წვიმის წყლებით, ხოლო მაღალი მთის მდინარეები მყინვარებით საზრდოობენ. წყალდიდობის პერიოდები კვების რეჟიმზეა დამოკიდებული.

საქართველო *ტბები* სიდიდით არ გამოირჩევა. აქ დაახლოებით 850-ამდე ტბას ითვლიან, რომელთა საერთო ფართობია 170 კმ^2 (რესპუბლიკის ტერიტორიის 0,24%). ტბები ძლიერ არათანაბრადაა განლაგებული. მთი უმრავლესობა (საერთო რაოდენობის 54%) თავმოყრილია კავკასიონის მთიანეთის ფარგლებში, ჯავახეთის ზეგანზე კი ტბები გაცილებით დიდი ფართობისაა, მაგრამ ტბათა უმეტესობა მდებარეობს დასახლებული პუნქტებიდან მოშორებით, ძნელად მისადგომ ადგილებში და მაღალ ჰიფსომეტრიულ ნიშნულებზე. საქართველოს ტბების უმეტესობა მტკნარია. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა მაღალი მთის მყინვარული

ტბები, სადაც წყლის მინერალიზაცია 0,1–1 გ/ლ-ს არ აღემატება. სრულიად განსხვავებულია ივრის ზეგნის მლაშე-მწარე ტბები, სადაც მინერალიზაცია შეადგენს 24-69 გ/ლ-ს.

ჭაობები საქართველოს ტერიტორიაზე უმთავრესად თავმოყრილია კოლხეთის დაბლობზე, მდინარეების: კოდორის, ღალიძგის, ენგურის, ხობის, რიონის, სუფსისა და ნატანების ქვემო წელის აუზებში. თავის დროზე კოლხეთის ჭაობების ამოშრობამ დადებითი როლი შეასრულა – მოისპო მალარია. ამჟამად ეს საკითხი სხვა კუთხით განიხილება – კოლხეთის ჭაობები უნიკალური ბუნებრივი ეკოსისტემაა, რომლის კონსერვაცია აუცილებელია არა მარტო საქართველოს, არამედ მეზობელი რეგიონების ორგანული სამყაროს გარკვეული წარმომადგენლების შენარჩუნებისთვის. დღეისათვის კოლხეთის დაბლობის ჭაობების უნიკალური ეკოსისტემა დაცულია *კოლხეთის ეროვნულ პარკში.*

წყალსაცავებს სხვადასხვა ფუნქცია აქვს. მათ უმთავრესად იყენებენ *ენერგეტიკული, საირიგაციო* და *საყოფაცხოვრებო* დანიშნულებით. გარდა ამისა, წყალსაცავები უმნიშვნელოვანესი საკურორტო-რეკრეაციული რესურსია. დასავლეთ საქართველოში, მდინარეული ჩამონადენის მაღალი მაჩვენებლების გამო, წყალსაცავებს უმთავრესად ენერგეტიკული, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში საირიგაციო დანიშნულება აქვთ. საქართველოს ტერიტორიაზე 43 წყალსაცავია.

საქართველოს ჰიდროგრაფიულ ქსელში გარკვეულ როლს ასრულებს *სარწყავი სისტემები.* მაგალითად, სამგორის სარწყავი არხის საშუალებით ირწყვება ქვემო ქართლის ვაკე და ივრის ზეგნის ნაწილი; ალაზნის არხი რწყავს ალაზნის ვაკეს და შირაქის ველს; შიდა ქართლის ვაკეზე გაყვანილია ტირიფონისა და ტაშისკარის სარწყავი არხები.

მყინვარები მტკნარი წყლის მარაგს უზრუნველყოფს. დღეისათვის საქართველოს მყინვარები განიცდის დეგრადაციას, რაც გლობალური დათბობითაა განპირობებული. თუმცა მყინვარების ფართობების შემცირებისა და ცალკეულ ნაწილებად დაყოფის შედეგად ხდება მათი რაოდენობის ზრდა. ამჟამად საქართველოში 800-ზე მეტ მყინვარს ითვლიან, რომელთა საერთო ფართობი 500 კმ^2-ს აღწევს.

საქართველო მდიდარია *მიწისქვეშა წყლებით.* აქედან დასავლეთ საქართველოზე მოდის 67%, აღმოსავლეთზე კი – 33%. ამგვარი წყლების 55% მტკნარია. მიწისქვეშა წყლის გამოყენების მიზნით, ექსპლუატაციაშია 200-ამდე ჭაბურღილი. მათი უმრავლესობა (97%) კახეთშია თავმოყრილი (საქართველოს გეოგრაფია, 2000, 44).

პერსპექტიული ჰიდროენერგორესურსებია *თერმული წყლები.* მისი გამოყენება ეფექტურია კომუნალურ და ენერგეტიკულ მეურნეობაში, სოფლის მეურნეობასა და რეკრეაციაში. თერმული წყლების მარაგია 250 მლნ. მ^3, ტემპერატურა 50-1100° C. მიწისქვეშა თერმული წყლები მიეკუთვნება აღდგენად ბუნებრივ რესურსთა ჯგუფს. თერმული წყლები ექსპლუატაციაშია მთათაშორის ბარის მრავალ რაიონში (სამეგრელო, შიდა ქართლი, კახეთი).

საქართველოში ცნობილია *მინერალური წყლის* არაერთი სახეობა და მრავალი (2000) წყარო. ზოგიერთი მათგანი (ბორჯომი, წყალტუბო) საერთაშორისო მნიშვნელობისაა. ჩვენში მინერალური წყაროების გავრცელების ორი ძირითადი ზონაა: *კავკასიონის სამხრეთი კალთებისა* და *მცირე კავკასიონის.* მინერალური წყლების გამოვლინება დაკავშირებულია ახალგაზრდა ვულკანიზმთან. სწორედ ამგვარ ფენებში ერევა ნახშირმჟავა გაზი მიწისქვეშა წყლებს. საქართველოს მინერალურ წყლებთან დაკავშირებულია მრავალი კურორტი. მათ ფარგლებში ყოველდღიურად 25 ათასი/მ^3 წყალი მოიპოვება, თუმცა წყლის 40% იკარგება. დანაკარგები მნიშვნელოვანია წყალტუბოში (6,5 ათასი მ^3/დღ.), რაც განპირობებულია იმით, რომ ვერ ხერხდება მისი ღამით გამოყენება.

საქართველოს პოტენციური *ჰიდროენერგეტიკული რესურსები* 160 მლრდ. კვტ./სთ.-ს აღემატება. მათი უდიდესი ნაწილი (60%) თავმოყრილია ხუთ მდინარეში (ენგური, რიონი, კოდორი, მტკვარი, ბზიფი). ამჟამად, ათვისებულია ეკონომიკურად ეფექტური ჰიდრორესურსების 1/3. ყველაზე ეფექტურად გამოიყენება მდ. რიონის ჰიდროენერგეტიკული პოტენციალი, რომელზეც 8 ჰესია აშენებული და რომელთა წლიურმა გამომუშავებამ 2 მლრდ. კვტ. სთ-ს შეიძლება მიაღწიოს. პერსპექტივაშია რამდენიმე ჰესის მშენებლობა მდინარე ენგურის, რიონის, აჭარისწყლის, მტკვრისა და ალაზნის აუზებში. მიზანშეწონილია მცირე და საშუალო სიმძლავრის ჰიდროელსადგურების მშენებლობა, რაც შედარებით ნაკლებ ეკოლოგიურ პრობლემებს ქმნის.

1.2.5. შავი ზღვა და მისი მნიშვნელობა

შავი ზღვის პოტენციალის ეფექტურ გამოყენებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საქართველოს განვითარებისთვის. საქართველოს შავი ზღვა დასავლეთიდან ეკვრის 310 კმ მანძილზე. შავი ზღვის სარკის ზედაპირის ფართობი 420 000 კმ^2-ს აღემატება. იგი განედურადაა განფენილი და ოვალური მოყვანილობისაა. სანაპირო ხაზი სუსტადაა დანაწევრებული. იგი პრაქტიკულად მოკლებულია კუნძულებს, განსაკუთრებით საქართველოს სანაპიროზე. წყლის ტემპერატურა ზაფხულში +24°–+26°-ის ტოლია. ზღვის წყალი საქართველოს მიდამოებში არ იყინება. შავი ზღვა 150–200 მ სიღრმიდან ფსკერამდე პრაქტიკულად უსიცოცხლოა, რადგან წყალი სრულიად მოკლებულია ჟა-

ნგბადს და მის ნაცვლად ჭარბადაა მომწამვლელი გაზი – გოგირდწყალბადი (H_2S). შავი ზღვის ანალოგი მსოფლიოში არ არსებობს – იგი უდიდესი უჟანგბადო წყალსატევია. სამაგიეროდ, ზედა თბილი ფენა დიდი რაოდენობით შეიცავს ჟანგბადს და მდიდარია ორგანული სამყაროთი, რომელთა შორის *150 სახეობა ჰეღიქტუჰია, 240 – ენდემუჰი.* თევზებიდან უმეტესად გავრცელებულია *შავი ზღვის ოჰაგუღი, კოღხუჰი ზუთხი (თაჰთი), კეფაღი, სტავჰიდა, საჰდინი, ქაფშია ქაშაყი, ქამბაღა* და სხვ. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დღეისათვის, შავი ზღვის მწვავე ეკოლოგიურმა მდგომარეობამ მნიშვნელოვნად შეზღუდა მისი ბიომრავალფეროვნება – შესამჩნევად შემცირდა სარეწაო მნიშვნელობის თევზების რაოდენობა.

მიუხედავად იმისა, რომ შავი ზღვა მსოფლიო ოკეანეს უკავშირდება (ბოსფორის, დარდანელისა და გიბრალტარის სრუტეებით მარმარილოს, ეგეოსისა და ხმელთაშუა ზღვების გავლით), იგი მაინც ჩაკეტილ წყალსატევად ითვლება და მისი წყლის განახლებას (ხმელთაშუა ზღვის წყლებით) ასობით წელი სჭირდება. შავი ზღვის წყლის სრული მიმოცვლისათვის 130–140 წელიწადია საჭირო. შავი ზღვის მდინარეებს (განსაკუთრებით მდ. დუნაის) ყოველწლიურად შეაქვთ ზღვაში ათასობით ტონა ნიტრატი, ფოსფატი, გოგირდი, ტყვია, თუთია, დარიშხანი, ვერცხლისწყალი და სხვა მავნე ნივთიერებები. ისინი გადარეცხილი ნიადაგებიდან, გამწმენდ ნაგებობათა უქონლობის ან მათი გაუმართაობის გამო, ზღვაში ჩაედინება. ამიტომ ეს პრობლემა შავი ზღვის აუზის ქვეყნების საერთო საზრუნავი გახდა. ზღვაში მდინარეების მიერ ჩატანილი ნარჩენების გამო პასუხისმგებლობა არა მარტო ზღვისპირა ქვეყნებს (საქართველო, თურქეთი, ბულგარეთი, რუმინეთი, უკრაინა, რუსეთი) ეკისრებათ, არამედ იმ ქვეყნებსაც, რომლებიც სამდინარო ქსელით შავი ზღვის აუზშია მოქცეული (გერმანია, ჩეხეთი, სლოვაკეთი, ავსტრია, უნგრეთი, სლოვენია, ხორვატია, სერბეთი, ბელარუსი, მოლდოვა). შავი ზღვის აუზის მდინარეებზე განლაგებულია ისეთი მნიშვნელოვანი ქალაქები, როგორებიცაა: სოფია, ბუქარესტი, ბელგრადი, ბუდაპეშტი, ბრატისლავა, ზაგრები, ლუბლიანა, სარაევო, ვენა, კიშინიოვი, მინსკი, კიევი, ანკარა. კონტინენტური ევროპის ტერიტორიის თითქმის 1/3 მიეკუთვნება შავი ზღვის აუზს, სადაც დაახლოებით 160 მლნ. ადამიანი ცხოვრობს.

საქართველოსა და ყველა ზღვისპირა ქვეყნისათვის შავ ზღვას (როგორც თბილ ზღვას) უდიდესი *ტუჰისტუღ-ჰეკჰეაციუღი* მნიშვნელობა აქვს. ტურისტული სეზონი საქართველოს ზღვის სანაპიროზე 5–6 თვეს გრძელდება (მაისიდან ნოემბრამდე). ტალღების სიძლიერე იშვიათად აღემატება 3 ბალს. უსაფრთხოა შავი ზღვის იქთიოფაუნაც.

შავი ზღვა ძირითადი *საგჰანსპოჰტო ახტეჰი*-აა საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობებში, განსაკუთრებით კი ევროპა-აზიის სატრანსპორტო კავშირებში. ევროპა-აზიის სატრანსპორტო დერეფნის ეფექტურად ამოქმედება საქართველოს ეკონომიკური აღმავლობის მნიშვნელოვანი გარანტია, თუმცა აუცილებლად გასათვალისწინებელია მოსალოდნელი ეკოლოგიური საფრთხეებიც.

შავიზღვისპირა ქვეყნები აქტიურად თანამშრომლობენ სატრანსპორტო სისტემების განვითარების, ბუნებრივი სიმდიდრეების ათვისებისა და დაცვის, ეკონომიკური ურთიერთობებისა და ეკოლოგიური მდგომარეობის გაჯანსაღების მიზნით. 1992 წელს შეიქმნა *შავი ზღვის ეკონომიკუჰი თანამშჰომღობის საეჰთაშოჰისო ოჰგანიზაცია* (ბისეკი) (Black Sea Economic Cooperation BSEC).

1.2.6. ნიადაგები და მიწის ჰესუჰსები

მსოფლიოში საქართველო მრავალფეროვანი და უნიკალური მიწის რესურსებითა და ნიადაგურ-ეკოლოგიური პირობებითაა ცნობილი. განსაკუთრებით ძვირფასია სუბტროპიკული *წითეღმიწები და ყვითეღმიწები, მთისა და ბაჰის შავმიწები.*

პრინციპული სხვაობა დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს მთათაშორისი ბარის ნიადაგურ საფარს შორის განპირობებულია მკვეთრად განსხვავებული კლიმატური პირობებით. დასავლეთ საქართველოს ჰუმიდური (ტენიანი) ჰავის პირობებში წარმოდგენილია *ჭაობის, ეწეჰ-ღებიანი* ნიადაგები (კოლხეთის დაბლობის ზღვისპირა დადაბლებულ ნაწილში), *წითეღმიწები* და *ყვითეღმიწები* (კოლხეთის მთისწინებსა და გორაკბორცვიან ზოლში); აღმოსავლეთ საქართველოს არიდული (მშრალი) ჰავის პირობებში – *ყავისფეჰი, შავმიწა, ჰუხი, წაბღა, ღამღაშებუღი* და სხვა ნიადაგური ტიპები.

სამხრეთ საქართველოს ვულკანური ზეგნებისათვის განსაკუთრებით დამახასიათებელია *მთის შავმიწები.* საქართველოს მაღალ მთებში (1800–2000 მ-ამდე) გავრცელებულია *მთა-მდეღოს ნიადაგების* სახესხვაობები (კორდიანი, ტორფიანი, კორდიან-ტორფიანი).

საქართველოს მიწის რესურსები ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ბუნებრივი სიმდიდრეა**.** მათგან ყველაზე მნიშვნელოვანია *სახნავი მიწები*, რომლებიც მუდმივ შემცირებას განიცდის ეროზიის, დამლაშებისა და მეორეული დაჭაობების შედეგად. სოფლის მეურნეობისათვის ყველაზე ხელსაყრელი ბუნებრივი პირობები დასავლეთ საქართველოში 1625 ათას ჰექტარზეა წარმოდგენილი (საქართველოს ტერიტორიის დაახლოებით 23%), აღმოსავლეთ საქართველოში – 1580 ათას ჰექტარზე (22%). ამ ზონაში (ზ.დ. 1000 მეტრამდე) ცხოვრობს საქართველოს მოსახლეობის 96% და იქმნება მრეწველობის პროდუქციის უდიდესი ნაწილი. დანარჩენ

ტერიტორიაზე, რომელიც ზღვის დონიდან 1000 მეტრზე მაღლაა, მოდის რესპუბლიკის ტერიტორიის 54%.

საქართველოს მიწის ფონდი შემდეგნაირად გამოიყურება: სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები საქართველოს ტერიტორიის 43%-ს შეადგენს, ტყეებით დაფარულია 2/5, ხოლო არასასოფლოსამეურნეო მიწებს (ჭაობები, ბუჩქნარები, მეორეული მდელოები, სამრეწველო ობიექტები, ქალაქები და სხვ.) ტერიტორიის 17% უკავია. რაოდენობრივად სასოფლო-სამეურნეო სავარგულები ყველაზე მეტია კახეთში, ყველაზე ნაკლები – აჭარაში. სასოფლო მიწების 25% სახნავია, რითაც მდიდარია კახეთი, ქვემო ქართლი, სამცხე-ჯავახეთი; ღარიბია აჭარა, მცხეთა-მთიანეთი, რაჭა-ლეჩხუმი. მრავალწლიან კულტურებს 10%, საძოვრებს 60%, სათიბებს კი 5% უკავია. საქართველოს მიწის რესურსების გამოყენების პრობლემათა შორის აღსანიშნავია დაჭაობება (მეორეული), სარწყავი ტერიტორიების არსებობა, დამლაშება და ეროზია.

აღსანიშნავია, რომ ამჟამად სავალალო მდგომარეობაშია ქარსაცავი და წყალდამცავი მცენარეული საფარი. მისი დეგრადაცია განსაკუთრებით თვალსაჩინოა დიდი ქალაქების გარშემო.

1.2.7. მცენარეული საფარი, ტყის რესურსები და ცხოველთა სამყარო

საქართველოში მცენარეთა სახეობების საერთო რაოდენობა 4500-ს აღემატება. კოლხეთში შემორჩენილია *ენდემიტების* არა მარტო ცალკეული სახეობები *(შქერი, ჩვეულებრივი წაბღი, ბიჭვინთის ფიჭვი, წყავი, პონტოს მუხა, ბზა, ძელქვა, უოთხელი),* არამედ ეკოსისტემებიც. ისინი დაცულია *ბაწარის, ღაგოდეხისა* და *თუშეთის ნაკრძალებში,* მდინარეების – *კოდორისა* და *კინტრიშის ხეობებში.* ბაწარის ნაკრძალში შემორჩენილი უძველესი რელიქტი, უთხოვრის ტყე, ერთადერთი კორომია მსოფლიოში (საქართველოს გეოგრაფია, 2000, 57). საქართველოში მრავლად გვხვდება *ენდემური მცენარეულობის* 400-ამდე სახეობა. ესენია: *მუხის* შვიდი სახეობა, *აფხაზური იოხდასაღამი, ბიჭვინთის ფიჭვი, ელდარის ფიჭვი, კოლხური კუნელი, სოსნოვსკის ნეკერჩხალი, ქართული თელა* და სხვ.

ტყეები საქართველოში ვრცელდება ზღვის დონიდან 1900-2400მ სიმაღლემდე. მათ ქვეყნის საერთო ფართობის 40% უკავია.

კოლხეთის დაბლობზე წარმოდგენილ ტყეებში ძირითადი ტყეშემქმნელი ჯიშებია: *მუხა, წაბღი, წიფელი, რცხილა, მუხყანი.* კოლხეთის დაბლობზე ასევე გავრცელებულია ჭაობის ტყეებიც. არიდული ნათელი ტყეები გვხვდება მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს ბარში. მათგან *საკმლის ხე* იშვიათი რელიქტია და ყველაზე დიდ კორომს იგი სწორედ საქართველოში, ვაშლოვანის ნაკრძალის ტერიტორიაზე ქმნის.

მთებში ტყის მცენარეულობას გაცილებით მეტი ფართობები უჭირავს. მათ წილად მოდის საქართველოს ტყეების 95%. ქვედა მთები შემოსილია ფოთლოვანი პოლიდომინანტური ტყეებით, სადაც ძირითადი ტყეშემქმნელი ჯიშებია *მუხა* და *რცხილა.* ტყეების მნიშვნელოვანი ფართობი განადგურებულია და მათი ადგილი დასახლებულ პუნქტებსა და სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს უკავია. შუა მთებში გაბატონებულია *წიფლნარები.* აბსოლუტური სიმაღლის მატებასთან ერთად, დასავლეთ საქართველოს წიფლნარ ტყეებს მუქწიწვიანი ტყეები ენაცვლება, სადაც ძირითადი სახეობებია *ნაძვი* და *სოჭი.* წიფლნარი და მუქწიწვიანი ტყეების გავრცელების არეალის ზემოთ, დაახლოებით ზ.დ.-იდან 1800 მ-იდან, ზოგან (თუშეთი, მდ. ენგურის ზემო წელის აუზი) ამ სარტყელში გვხვდება *ფიჭვის* საკმაოდ მძლავრი ტყეებიც.

ენერგეტიკულმა კრიზისმა და მტაცებლურმა დამოკიდებულებამ მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა ტყეები. საქართველოში არ დარჩა რეგიონი, სადაც ტყის ექსპლუატაციას არ ჰქონოდა მტაცებლური ფორმა. ტყის მასივები ჯანსაღი და ესთეტიკურად მაღალეფექტური ხე-მცენარეების ხარჯზე მცირდება. ხე-ტყის ექსპორტი, ძირითადად, სამხრეთული მიმართულებისაა – გაიტანება აზერბაიჯანში, სომხეთსა და თურქეთში. ეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ბუნებრივი რესურსია ქვეყნისათვის. აქვე აღვნიშნავთ, რომ ჩვენს სიახლოვეს არის ქვეყნები, რომლებიც ამ რესურსების დიდ დეფიციტს განიცდიან.

საქართველოს ტყეების დაახლოებით ნახევარი, სხვადასხვა დაცვით (წყლის, ნიადაგის, გარემოს), ხოლო ერთი მეოთხედი გამაჯანსაღებელ, რეკრეაციულ და საგანმანათლებლო-სანაკრძალო ფუნქციებს ასრულებს. ადმინისტრაციული რაიონებიდან ტერიტორიის ნახევარზე მეტი ტყითაა დაფარული გულრიფშის, სოხუმის, ბორჯომის, ქედის, შუახევისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტებში. ტყეებით ყველაზე ღარიბია წალკის, ასპინძისა და სიღნაღის რაიონები (ტერიტორიის 5-10%).

მწვანე ნარგაობა ფასდაუდებელია დიდი ქალაქების ატმოსფერული ჰაერის გაჯანსაღებისათვის. იგი „ასუფთავებს“ მას მტვრისა და გამონაბოლქვისაგან, იცავს ხმაურისაგან. ჩვენი დედაქალაქი მწვანე საფარის სიმწირითაა (4,5 $მ^2$ ერთ მცხოვრებზე) ცნობილი. მნიშვნელოვანია საქართველოს კურორტების გარშემო მწვანე ნარგავების შენარჩუნების პრობლემა. საქართველოს კურორტებიდან გამწვანების დონით გამოირჩევა: გაგრა, ჯავა, ბაკურიანი და ბორჯომი.

საქართველოში წარმოდგენილია როგორც ნოტიო სუბტროპიკებისა და ნახევრად უდაბნოებისათვის, ისე მაღალი მთისთვის დამახასიათებელი

ცხოველთა სამყარო. აქ მრავლადაა *ენდემური (დასავლეთ- და აღმოსავლეთკავკასიური ჯიხვი, კავკასიური ხოჭო, კოღხური ხოხობი* და *სხვ.)* და *ჰელიქტური* (შავი ვირთაგვა, მავნე კუტკალია და სხვ.) სახეობები.

მაღალი მთის სუბალპური და ალპური ზონის ცხოველებიდან გავრცელებულია: *აჩრვი, ჯიხვი, ნიამორი, გუდაურული მემინდვრია* და სხვ. ნიამორი შემორჩენილია მხოლოდ თუშეთ-ხევსურეთის კავკასიონზე. ფრინველებიდან აღსანიშნავია: *შუხთხი, კაკაბი, მთის აჩრვი, ოხბი, მთის ტოხოლა.*

ფაუნის შემადგენლობის მიხედვით, ძირითადი რეგიონული განსხვავება საქართველოს ბარზე მოდის. კერძოდ, კოლხეთში უფრო მეტად გვხვდება *ტყისთვის*, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოს ბარში *სტეპისა* და *ნახევრად უდაბნოსათვის* დამახასიათებელი ცხოველები. ზოგიერთი სახეობის რაოდენობა ძლიერ შემცირდა ან საერთოდ მოისპო. ეს განსაკუთრებით ითქმის კოლხეთზე, სადაც აღარ გვხვდება დიდი ძუძუმწოვრები (მგელი, ტურა, ფოცხვერი და სხვ.). დასავლეთ საქართველოს ბარში ძუძუმწოვრებიდან აღსანიშნავია: *კავკასიური ციყვი, თეთრყელა კვერნა, ღამური, ევროპული თხუნელა*; ფრინველებიდან: *კოღხური ხოხობი, სხვადასხვა სახეობის თოლია* და *ბუ, შევარდენი, ოფოფი, ჩხიკვი* და სხვ. აღმოსავლეთ საქართველოში გავრცელებულია: *კავკასიური თხუნელა, ხუხი ზაზუნა, მგელი, ტურა, ამიერკავკასიური ველის მელა, ქედანი, ძერა, ყორანი, კაჭკაჭი,* რამდენიმე სახეობის *აჩრვი.* ქვეწარმავლებიდან ბინადრობს გიურზა, სხვადასხვა სახეობის ანკარა, ველის გველგესლა.

ანთროპოგენური ზემოქმედება საქართველოს ფაუნის შემცირების ძირითადი მიზეზია. თანამედროვე ვითარება შეფასებულია როგორც ეკოლოგიური კატასტროფის კრიტიკული ზღვარი. მარტო 1985-1997 წლებში საქართველოში ჯიხვის რაოდენობა შემცირდა 2-ჯერ, ირმის – 3-ჯერ, შვლისა – 4-ჯერ.

1.2.8. ჰეკტეაციული რესურსები

საქართველო გამოირჩევა ბუნებრივი პირობების მრავალფეროვნებით და, შესაბამისად, ბუნებრივ-რეკრეაციული რესურსების სიმდიდრით. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ორი ზონა: *ზღვის სანაპირო* და *მთა* (500-იდან 2000 მ-ამდე), სადაც თავმოყრილია კლიმატურ და ბალნეოლოგიურ კურორტთა უმრავლესობა.

შავი ზღვის წყლები ნაკლები მარილიანობითა და დაბალი ტემპერატურებით გამოირჩევა. ამის გამო იგი უფრო „კომფორტულია“ სუბტროპიკული თუ ტროპიკული სარტყლის სხვა ზღვებთან შედარებით. კურორტებისათვის უარყოფითად უნდა ჩაითვალოს ზაფხულის გარკვეულ პერიოდებში დასავლეთ საქართველოში ჩამოყალიბებადი ტენიანი ტროპიკული ამინდების (მხუთვარე) სიხშირე, რაც დიდი აორთქლებითა და მაღალი ტემპერატურებით არის განპირობებული. ზღვის კურორტების გარდა, დაბლობის ზონას ეკუთვნის რამდენიმე ბალნეოლოგიური კურორტი, რომელთაგან უმნიშვნელოვანესია *წყალტუბო,* რადონის შემცველი სამკურნალო წყლებით. მისი ინფრასტრუქტურა მეტად დაზიანდა აფხზეთის კონფლიქტის შედეგად, როცა არსებული სანატორიუმები დევნილთა დროებით საცხოვრებლად გადაიქცა. დღეისათვის ეტაპობრივად მიმდინარეობს საკურორტო ინფრასტრუტურის რეაბილიტაციის პროცესი.

მეორე ზონაში, ზ.დ. 500-2000 მეტრამდე, თავმოყრილია საქართველოს *ბაღნეო- (მინერალური წყლის)* თუ *კლიმატური* კურორტების უდიდესი ნაწილი. ხშირ შემთხვევაში ეს კურორტები ორივე ფუნქციას ატარებს, რაც ზრდის მათ რეკრეაციულ დანიშნულებას. ზოგიერთი მათგანი საყოველთაოდაა ცნობილი (*ბოჯომი, საირმე, ნუნისი, აბასთუმანი, ბაკურიანი*), თუმცა უმრავლესობის სახელი ნაკლებადაა რეკლამირებული. ამ მხრივ საქართველოს ბუნებრივ-რეკრეაციული რესურსები, პრაქტიკულად, აუთვისებლად შეიძლება ჩაითვალოს.

რეკრეაციული დანიშნულება აქვს *ეროვნულ პარკებს,* რაც მოსახლეობის რეკრეაციული უზრუნველყოფისა და სავალუტო შემოსავლების წყაროა. *ბუნებრივი წარმონაქმნები* – შედარებით იოლად დასაძლევი მწვერვალების და მდინარეთა ხეობების სახით, სამთო ტურიზმის განვითარების საუკეთესო საშუალებას იძლევა. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს *მღვიმეების* რეკრეაციული მიზნით გამოყენებას. სპელეოტურიზმისათვის საინტერესოა წყალტუბოს მიდამოებში აღმოჩენილი ყუმისთავის (პრომეთეს) მღვიმე. მიმდინარეობს სხვა მღვიმეების ინფრასტრუქტურული მოწყობაც.

საქართველოში დიდი რეზერვებია *სპორტულ-სამონადირეო ტურიზმის* განვითარებისათვის. ჩვენი მეზობელი ქვეყნების შეძლებული მოსახლეობა დაინტერესებულია ამგვარი ფორმის რეკრეაციის განვითარებით. საქართველოში გამოჩნდნენ ფირმები, რომლებიც, მონადირეთა დაინტერესების მიზნით, გარეული ცხოველების მოშენებას მისდევენ.

უცხოელთათვის განსაკუთრებით მიმზიდველია საქართველოს *ეთნოგრაფიული მრავალფეროვნება,* თვითმყოფადი კულტურა და ხელოვნება, ადგილობრივი რეწვა და არქიტექტურა. ამ მხრივ საქართველოს ყველა რაიონი გამოირჩევა, განსაკუთრებით კავკასიონის მაღალმთიანეთი (*სვანეთი, რაჭა, ხევსურეთი, თუშეთი* და სხვ.). ერთ-ერთ მნიშვნელოვან რეკრეაციულ რესურსად შეიძლება ჩაითვალოს ტრადიციული სოფლის მეურნეობა, განსაკუთრებით კი მევენახეობა – შემოდგომის რთველი, ღვინის ქარხნები, მათი ტექნოლოგიური პროცესები, ქართული მეღვინეობის ტრადიციები და სხვ.

1.3. ბუნებრივი კატასტროფები და რისკები

ჰიდროგენული კატასტროფებიდან მაღალი რისკები ახასიათებთ *წყალდიდობებს* და *წყალმოვახდენებს*, *ხაც* საქართველოს თითქმის ყველა მდინარისთვისაა დამახასიათებელი. მათ შორის განსაკუთრებით მაღალი რისკით გამოირჩევა: *ბზიფის, კოდოხის, ენგუხის, ხიონის, ცხენისწყლის, ახაგვის, ხრამის, ვეხეს* და *მტკვრის* ცალკეული მონაკვეთების აუზები, აგრეთვე მდინარე *იორი* და *კახეთის კავკასიონის მდინარეები*. უკანასკნელ ათწლეულებში გაიზარდა როგორც წყალმოვარდნების საშუალო განმეორებადობა, ისე ინტენსივობა. ამ სტიქიური მოვლენის შედეგად დიდი ზიანი ადგება სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს, დასახლებებს, საგზაო და კავშირგაბმულობის ინფრასტრუქტურას.

თოვლის ზვავებს იწვევს ძლიერ დანაწევრებული და დახრილი რელიეფი, ინტენსიური თოვა, თოვლის საფარის სიმაღლის სწრაფი მატება, თოვლის ინტენსიური დნობა, ქარბუქი, ჰაერის ტემპერატურის მკვეთრი ცვლილება, წვიმა და ხმაური. თოვლის ზვავები წლის ცივ პერიოდში ყოველწლიურად ფიქსირდება. ამ სტიქიური მოვლენის სიხშირისა და ინტენსივობის ზრდა 1970 წლიდან შეინიშნება. ზვავებმა შესაძლებელია, გარე სამყაროს ხანგრძლივი დროით მოსწყვიტოს ათეულობით დასახლებული პუნქტი, ასობით ოჯახი კი იძულებული გახდეს, დატოვოს მუდმივი საცხოვრებელი ადგილი (რაც მოხდა კიდეც სვანეთში 1987 წელს).

საქართველო მიეკუთვნება მსოფლიოს იმ ქვეყნების რიცხვს, სადაც *ეროზიულ პროცესებს* მეტად ფართო გავრცელება და საშიში ხასიათი აქვს. შეიმჩნევა ინტენსიური *მეწყერული* და *ღვარცოფული* მოვლენები. ეროზიული პროცესების ინტენსივობის ზრდის ერთ-ერთი მიზეზი გახდა მთაგორიანი ტერიტორიების დიდქანობიანი ფერდობების ინტენსიური ათვისება და ძოვება. ეროზიული პროცესების განვითარების თვალსაზრისით, განსაკუთრებით რთული მდგომარეობაა შექმნილი *ზემო იმერეთის, აჭარის, სვანეთის* და საქართველოს სხვა მაღალმთიან რეგიონებში. ღვარცოფული და მეწყრული პროცესები დამახასიათებელია თითქმის სრული სიმაღლებრივი სპექტრის ლანდშაფტებისთვის (რუკები 6 და 7).

საქართველოში *მიწისძვრის* მაქსიმალური მაგნიტუდა არის 7, ხოლო ამ მიწისძვრით გამოწვეული ეფექტისა და ზარალის შეფასება, MSK სკალის მიხედვით, 8-10 ბალი. მიწისძვრები, ეპიცენტრით თბილისში, დაფიქსირებულია 1912, 1913 და 1920 წლებში, რომელთა ეფექტი 5-6 ბალი იყო; 2000 და 2002 წლების თბილისის მიწისძვრებმა, რომელთა სიმძლავრე არ აღემატებოდა 3,5-4,5 ბალს, დააზიანა შენობები თბილისის მოწყვლად უბნებში (ძველი თბილისი, თავისუფლების მოედნის მიმდებარე ტერიტორია). შენობების მოწყვლადობის გამო დაიღუპა 7 ადამიანი, დაზიანდა სკოლები, საცხოვრებელი სახლები. მიწისძვრის ეფექტი იყო 6-7 ბალი (რუკა 8).

რუკა 6

მეწყერსაშიში ზონები



წყარო: *საქართველოს ეროვნული ატლასი, 2012, 52*

ხუკა 7

ღვარცოფსაშიში ზონები



წყარო: *საქართველოს ეროვნული ატლასი, 2012, 53*

ხუკა 8

მიწისძვრები



წყარო: *საქართველოს ეროვნული ატლასი, 2012, 36*

სეტყვა ფიქსირდება ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე. მისი ინტენსივობა და სიხშირე განსაკუთრებით მაღალია აღმოსავლეთ საქართველოში. ყოველწლიურად აღინიშნება ამ მოვლენის 5-იდან 15-ამდე შემთხვევა. არასრული მონაცემებით, ბოლო 13 წელიწადში ქვეყნისთვის სეტყვისგან მიყენებულმა ზარალმა 140 მილიონ ლარს გადააჭარბა.

გვაღვა აღინიშნება ქვეყნის პრაქტიკულად მთელ ტერიტორიაზე, განსაკუთრებული ინტენსივობით კი *კახეთის, შიდა და ქვემო ქართლის,* ასევე *ზემო იმერეთის* რეგიონები გამოირჩევა. მის შედეგად შესაძლებელია, მთლიანად განადგურდეს ერთწლიანი (წლის მოსავალი) და მნიშვნელოვნად დაზიანდეს მრავალწლიანი სასოფლო-სამეურნეო კულტურები. 2000 წელს გვალვამ, რომელიც 7 თვეს გაგრძელდა, ქვეყნის ტერიტორიის 50%-ზე მეტი მოიცვა. სტიქიამ საერთაშორისო კლასიფიკაციით დადგენილი ოთხივე სტადია (მეტეოროლოგიური, ჰიდროლოგიური, სასოფლო-სამეურნეო და სოციალურ-ეკონომიკური) გაიარა. ზარალმა 300 მლნ. ლარს გადააჭარბა.

ტყის ხანძრების საშიშროებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია ხანძრები *სამცხე-ჯავახეთის, იმერეთის, კახეთის, შიდა ქართლისა* და *აჭარის* რეგიონებში (ხანძარსაშიშროების I-III კლასს მიკუთვნებული ფართობები). ბოლო წლების სტატისტიკური მონაცემების თანახმად, ტყის ხანძრების შემთხვევათა უმეტესობა, განსაკუთრებით დასახლებულ პუნქტებთან ახლოს მდებარე ტყის მასივებში, ანთროპოგენული ზემოქმედებით არის გამოწვეული. ხანძრების წარმოქმნის ანთროპოგენული მიზეზებიდან აღსანიშნავია: დასახლებული პუნქტების სიახლოვე (მოსახლეობის დაუდევრობა, ნაგავსაყრელები და ა.შ), სასოფლო-სამეურნეო სავარგულების „გადაწვის“ პრაქტიკა, სამრეწველო ობიექტების სიახლოვე, ხანძარსაწინააღმდეგო დაცვითი ზოლების არარსებობა, ტყითსარგებლობის წესების დარღვევა (ტყის ჭრის ადგილების გაუწმენდაობა). ველის ხანძრის გავრცელების მნიშვნელოვანი ხელშემწყობი ფაქტორია ქარსაფარი ზოლების განადგურება (გაჩეხვის და „გადაწვის“ პრაქტიკის შედეგად). ანთროპოგენულ მიზეზებს ემატება ბუნებრივი ფაქტორებიც (მაგ.: მაღალი ტემპერატურული რეჟიმი 2014 წლის ზაფხულში). საქართველოში მასობრივი ხანძრები შესაძლებელია განვითარდეს რამდენიმე ათას ჰექტარზე (2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დროს ხანძარმა მოიცვა 1 000 ჰა-ამდე ფართობი; უმძიმესი იყო 2017 წლის ტყის ხანძრები ბორჯომის ხეობაში) და, სავარაუდოდ, გამოიწვიოს როგორც მსხვერპლი მოსახლეობაში, ასევე რეგიონების ინფრასტრუქტურის მოშლა, ადგილობრივ მცხოვრებთა ევაკუაცია და შესაბამისი ტერიტორიების გრძელვადიანი (მინიმუმ 5 წელიწადზე მეტი ხნით) ეკოლოგიური დაზიანება.

1.4. დაცული ტერიტორიები

საქართველოში დაცული ტერიტორიების ფორმირებას საუკუნოვანი ისტორია აქვს. პირველი, *ღაგოდეხის ნაკრძალი* 1912 წელს, აღმოსავლეთ საქართველოში, კავკასიონის სამხრეთ-აღმოსავლეთ ფერდობებზე შეიქმნა. მე-20 საუკუნის ბოლოს საქართველოში დაცულ ტერიტორიებს არაერთი კატეგორია დაემატა. მათგან განსაკუთრებული პოპულარობით *ეროვნული პარკები* სარგებლობს. ამჟამად საქართველოს დაცული ტერიტორიების სისტემა მოიცავს 14 სახელმწიფო ნაკრძალს, 11 ეროვნულ პარკს, 19 აღკვეთილს, 42 ბუნების ძეგლს და 2 დაცულ ლანდშაფტს. მათი ფართობი საქართველოს საერთო ფართობის 8,3% (ელიზბარაშვილი და სხვ., 2018, 257), ხოლო ტყით დაფარული ფართობის 10%-ია. უკანასკნელ დროს მკვეთრად გაუმჯობესდა მენეჯმენტი, იკლო ბრაკონიერობისა და ტყის არალეგალური ჭრის შემთხვევებმა, იმატა ტურისტების რაოდენობამ. აღსანიშნავია ისიც, რომ სისტემა კვლავ დინამიკურად და წარმატებით ვითარდება: შეიქმნა ახალი დაცული ტერიტორიები ფშავ-ხევსურეთში, აჭარაში, ჯავახეთში, რაჭაში და სხვ. საქართველოში დაგეგმილია დაცული ტერიტორიების ერთიანი ქსელის ფორმირება, რაც ეკოლოგიური დერეფნების მეშვეობით უნდა განხორციელდეს. ამასთან დაკავშირებით, წინა პლანზე გამოდის გეოგრაფიული კვანძებისა და ბარიერების კვლევა, რომელთა გამოვლენას გადამწყვეტი როლი ენიჭება დაცული ტერიტორიების ეკოლოგიური კორიდორებით დაკავშირების საქმეში. დაცული ტერიტორიების სისტემის შექმნა უკავშირდება პანევროპული ქსელის შექმნისა და ევროპის ეკოფორუმის ინიციატივებს, რაც არაერთხელ გაჟღერდა ევროკავშირის შესაბამისი სტრუქტურების მიერ. რადგან მთიანი რეგიონები ჯერ კიდევ გამოირჩევა ეკოლოგიური, ეკონომიკური, ისტორიული, ეთნიკური და სხვა მრავალფეროვნებით, საქართველოში ახალი დაცული ტერიტორიებისა და ეკოლოგიური კორიდორების შექმნა ან არსებულის გაფართოება, ძირითადად, მთიანი ტერიტორიების ფარგლებში იგეგმება, რაც ზოგჯერ წინააღმდეგობაშია ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ ინტერესებთან. აქ გადამწყვეტი სიტყვა გეოგრაფებს ეკუთვნით, რაც ზემოთ აღნიშნულ პროექტებში აქტიურ მონაწილეობას მოითხოვს. სწორედ მათ უნდა განსაზღვრონ მთიანი ტერიტორიების ლანდშაფტების მდგრადობის ხარისხი ბუნებრივი თუ ანთროპოგენური ზემოქმედების მიმართ, გეოდინამიკურ პროცესთა შესაძლო განვითარების თავისებურებანი, ბუნებათსარგებლობის ძირითადი ფორმები, დემოგრაფიული და სოციალურ-ეკონომიკური პრობლემატიკა, ტერიტორიის ბუნებრივ-რესურსული პოტენციალი და მისი ეფექტური გამოყენების გზები.

კითხვები:

1. რომელი ბუნებრივი რესურსი მიგაჩნიათ ყველაზე სტრატეგიულად საქართველოს ეკონომიკური განვითარებისათვის? პასუხი დაასაბუთეთ.
2. რა გავლენას ახდენს საქართველოს ჰიდროგრაფიული ქსელის ჩამოყალიბებაზე რელიეფი და კლიმატი?

დავალებები:

1. შეადგინეთ კავკასიასა და მიმდებარე რეგიონებში არსებული პოლიტიკური და სამხედრო კონფლიქტების რუკა და ჩაატარეთ მისი გეოგრაფიული ანალიზი.
2. განსაზღვრეთ ის ბუნებრივი ფაქტორები, რაც ტურისტული თვალსაზრისით მიმზიდველს ხდის საქართველოს.
3. შეადგინეთ საქართველოს ბუნებრივი რესურსების განაწილების ცხრილი და ჩაატარეთ მისი გეოგრაფიული ანალიზი.
4. გამოყავით სტიქიური ბუნებრივი მოვლენების მიმართ განსაკუთრებით მოწყვლადი რეგიონები და იმსჯელეთ მათ შესახებ.

გამოყენებული ლიტერატურა:

არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა, საქართველოს იუნესკოს საქმეთა ეროვნული კომისია, 2020, http://unesco.ge/?page_id=570

ელიზბარაშვილი ნ., *გამოყენებითი გეოგრაფიის საფუძვლები,* თბილისი, 2016, 502.

ელიზბარაშვილი ნ., მელაძე გ., მეესენი ჰ., ხოეციანი ა., კოლერი თ., *მთიანი ტეხიტოხიების მდგრადი განვითარება,* თბილისი, 2018, 304.

საქართველოს ბიოლოგიური და ლანდშაფტური მრავალფეროვნება, პირველი ეროვნული კონფერენციის მასალები, თბილისი, 2000, 344.

საქართველოს გეოგრაფია, თბილისი, 2000, 315.

საქართველოს ეროვნული ატლასი, მთავარი რედაქტორი რ. გობეჯიშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის გეოგრაფიის დეპარტამენტი, თბილისი, 2012.

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო, ნანახია: 8 სექტემბერი, 2018, https://www. heritagesites.ge

Kartvelian Languages, Encyclopedia Britannica, ნანახია 25 აგვისტო, 2018, https://www.britannica.com/topic/Kartvelian-languages

Природные ресурсы Грузии, Тбилиси, 1991, 723.

თავი II. საქართველოს ისტორიული გეოგრაფია

2.1. ტერიტორიის ფორმირება და საზღვრები

მსოფლიოს ნებისმიერ ხალხს აქვს განსაზღვრული ტერიტორია, სადაც მოხდა ამ ხალხის ჩამოყალიბება და განვითარება. თითქმის არ არსებობს ხალხი, რომელსაც თავისი ისტორიის განმავლობაში ტერიტორიული ცვლილებები არ განეცადოს. ამ მხრივ გამონაკლისი არც ქართველი ხალხია, რომლის ხანგრძლივი ისტორიისა და მრავალსაუკუნოვანი სახელმწიფოებრიობის განმავლობაში მისი ტერიტორიის სიდიდე და ფორმა არაერთხელ შეცვლილა (გრაფიკი 1).

გრაფიკი 1

საქართველოს მიახლოებითი ფართობი სხვადასხვა საუკუნეში
(ვასალური ტერიტორიების გარეშე)



საქართველოს ტერიტორია უძველესი დროიდან ახ. წ. V საუკუნემდე

ქართველთა წინაპრების პირვანდელ სამშობლოსა და მათ საცხოვრებელ ტერიტორიაზე ერთიანი აზრი არ არის და ეს საკითხი დღემდე კამათის საგანია. მეცნიერ-ისტორიკოსთა დიდი უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ქართველები კავკასიის მკვიდრი, ***ავტოქთონური*** მოსახლეობაა. იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახს ლინგვისტთა უმრავლესობა ორ დამოუკიდებელ, ***ქართველურ*** და ***ჩრდილო კავკასიურ,*** ოჯახად ყოფს.

ქართველური ტომები, სულ ცოტა, 40 საუკუნეა იმ ტერიტორიაზე ცხოვრობენ, სადაც დღეს საქართველოს სახელმწიფოა, თუმცა მათი თავდაპირველი განსახლების არეალი ბევრად უფრო ფართო იყო. მკვლევართა უმრავლესობის აზრით, ქართველურ ტომთა განსახლების არეალი მოიცავდა დღევანდელ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიას მთლიანად, სადაც ***კოლხები*** (ზანები ანუ მეგრელ-ჭანები) და ***სვანები*** სახლობდნენ (სავარაუდოდ, აფხაზეთის ტერიტორიის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში ცხოვრობდნენ აფხაზურ-ადიღეური ტომები). მტკვრის ზემო და შუა წელის აუზი დასახლებული იყო ***იბერებით, მესხებით*** და ***კახებით.*** ქართველური ტომებით იყო დასახლებული მთელი ჭოროხის ხეობა და ევფრატის სათავე (მოსხები, მოსინიკები, ხალიბები) და შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთი სანაპირო ჭოროხის შესართავიდან სამსუნამდე (აგრეთვე კოლხები, კერძოდ ლაზები).

ქართველურ ტომთა პირველი პოლიტიკური **გაერთიანებები ძვ.წ. II ათასწლეულის ბოლოს** შეიქმნა – ***დიაოხი*** ანუ ***დაიენი*** (ჭოროხის ხეობაში, გვიანდელი ტაო) და ***კოლხა*** ანუ კოლხეთის ძველი სამეფო (დასავლეთ საქართველოში). დიაოხი ძვ.წ. XII-VIII საუკუნეებში არსებობდა. მან არსებობა შეწყვიტა კოლხასთან დამარცხების შემდეგ. კოლხა ეკონომიკურად და კულტურულად დაწინაურებული პოლიტიკური ერთეული იყო (რაც აისახა ბერძნულ მითოლოგიაში, არგონავტების ცნობილ ისტორიაში).

ძვ.წ. VI საუკუნეში წარმოშვა ***კოლხეთის ახალი სამეფო*** (იგივე ***ეგრისი).*** მისი სანაპირო ზოლი ნიკოფსიიდან (დღევანდელი ტუაფსე) კერასუნტამდე (გირესუნი, დღევანდელი თურქეთი) იყო გაჭიმული.

ძვ.წ. IV საუკუნის ბოლოს წარმოიქმნა ***იბერიის*** ანუ ***ქართლის სამეფო*** (რუკა 2). იგი მოიცავდა *მტკვრისა* და *ჭოროხის აუზებს*, დასავლეთით აღწევდა *შავ*

ზღვას, აღმოსავლეთით *აღაზნის შესახთავამდე* და *მდინარე გიშისწყალამდე* (დღევანდელი ქალაქ შექის მახლობლად აზერბაიჯანში), ხოლო სამხრეთით, *მდინარე ახალქს* და *სევანის ტბას* ესაზღვრებოდა. ძვ. წ. პირველ საუკუნეში ქართლის სამხრეთ რეგიონებს (დღევანდელი სომხეთის ჩრდილოეთი რაიონი და ქოროხისა და არაქსის ზემო წელი) სომხეთი დაეუფლა.

ხუკა 1

საქართველო ძვ.წ.აღ. I ათასწლეულის მეორე ნახევარში



წყარო: *საქართველოს სსრ ატლასი, 1964, 245*

ხუკა 2

საქართველო I-IV საუკუნეებში



წყარო: *საქართველოს სსრ ატლასი, 1964, 246*

ძველი წელთაღრიცხვის ბოლოს იბერიაც და კოლხეთიც რომმა დაიმორჩილა. ქართლი ჯერ რომის ვასალია, ხოლო ახ.წ. III საუკუნიდან სასანიდური ირანის გავლენის ქვეშ მოექცა, თუმცა მუდმივად ებრძვის მას. ეგრისი უშუალოდ შევიდა რომის იმპერიის შემადგენლობაში, მაგრამ რომმა მალევე ცნო კოლხეთის თვითმმართველობა.

საქართველოს ტერიტორია VI-XII საუკუნეებში

VI საუკუნის ბოლოს ქართლი, ფაქტობრივად, განთავისუფლდა სპარსელებისგან და საკუთარი მმართველი – ერისმთავარი – აირჩია. ამავე პერიოდში აღდგა მეფობა ეგრისშიც.

VII საუკუნეში ქართველ ხალხს ახალი, სასტიკი მტერი გამოუჩნდა – არაბები. ქართლიც და ეგრისიც ვასალურ დამოკიდებულებაში აღმოჩნდნენ ხალიფატთან, ხოლო 736-738 წლების მურვან ყრუს ლაშქრობის შემდეგ ჩამოყალიბდა ***თბილისის საამირო,*** რომელიც აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოს მოიცავდა და უშუალოდ შედიოდა ხალიფატის შემადგენლობაში. მაგრამ უკვე VIII საუკუნის ბოლოდან იმ ტერიტორიებზე, სადაც არაბების გავლენა შედარებით სუსტი იყო, იწყება ახალი, დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოების ჩამოყალიბება.

პირველი ასეთი სახელმწიფო – ***კახეთის სამთავრო*** (საქორეპისკოპოსო) – აღმოსავლეთ საქართველოში ჩამოყალიბდა (რუკა 3). იგი მოიცავდა *ახაგვისა და ივრის აუზების* დიდ ნაწილს და *აღაზნის ზემო წელს.* მისი დასავლეთი საზღვარი ლომისის ქედი იყო. სამხრეთით სევანის ტბამდე აღწევდა, ხოლო აღმოსავლეთი საზღვარი მდ. ლოპოტასა და ალაზანს მიჰყვებოდა. სამთავროს ცენტრი ჯერ თიანეთი იყო, შემდეგ კი *თელავი* გახდა.

კახეთის აღმოსავლეთით ჩამოყალიბდა ***ჰერეთის სამეფო.*** იგი აერთიანებდა დღევანდელ *ყვარღისა და ღაგოდეხის ჰაიონებს, ქიზიყს, საინგილოსა* და *შირვანს.* მთავარი ქალაქები იყო *ნუხპატო* (დღევანდელი შექი, აზერბაიჯანში) და *ხორნაბუჯი* (ქიზიყში). ჰერეთის მოსახლეობა IX-X საუკუნეებში მასობრივად გადავიდა მართლმადიდებლობაზე, რამაც დიდად შეუწყო ხელი კონსოლიდაციის პროცესს მეზობელ კახელებთან. ამ მოვლენების ლოგიკური შედეგი იყო XI საუკუნის დასაწყისში კახეთისა და ჰერეთის გაერთიანება და ერთიანი ***კახეთ-ჰერეთის (ჰანთა და კახთა) სამეფოს*** წარმოქმნა.

დასავლეთ საქართველოში VIII საუკუნის ბოლოს ***აბაზგთა სამთავრომ*** (მისი ტერიტორია ბზიფსა და კოდორს შორის ვრცელდებოდა) დაიმორჩილა ***აფშილეთი*** (ტერიტორია კოდორიდან ენგურამდე), ***სანიგთა სამთავრო ანუ ჯიქეთი*** (ტერიტორია ბზიფის დასავლეთით) და ბოლოს ეგრისიც. ასე წარმოიქმნა ერთიანი დასავლურ-ქართული სახელმწიფო – ***აფხაზთა სამეფო (ეგრის-აფხაზეთი),*** რომლის დედაქალაქი *ქუთაისი* გახდა. აფხაზთა სამეფოს ტერიტორია მოიცავდა *მთელ დღევანდელ დასავლეთ საქართველოს* (მთიანი აჭარის გარდა), აგრეთვე რუსეთის – კრასნოდარის მხარის სანაპირო ზოლს *ტუაფსედან ფსოუმდე.* უკიდურესი სამხრეთი საზღვარი *ჭოჩხის შესართავი* იყო. VIII-X საუკუნეებში მიმდინარეობდა ეკლესიის ენად, ბერძნულის ნაცვლად, ქართულის დამკვიდრება, რომელიც ბევრად უფრო ახლობელი და გასაგები იყო ადგილობრივი მოსახლეობისათვის. აფხაზთა სამეფო ქართული კულტურის მძლავრ კერად იქცა.

IX საუკუნის დასაწყისში დამოუკიდებელი სახელმწიფო წარმოიქმნა სამხრეთ საქართველოშიც. ეს იყო ***ტაო-კლარჯეთის სამთავრო,*** რომელსაც ბაგრატიონთა დინასტია მართავდა და რომელსაც ცოტა მოგვიანებით ***ქართველთა სამეფო*** ეწოდა. მისი დედაქალაქი იყო *არტანუჯი.* სამეფოს ჩრდილოეთი საზღვარი *მესხეთის ქედს* მიჰყვებოდა, ხოლო სამხრეთით *ბასიანამდე* (არაქსის ზემო წელი) ვრცელდებოდა. ქართველთა სამეფო აერთიანებდა *სამცხეს, ჯავახეთს, თრიალეთს, კოლას, არტაანს, აჭარას, შავშეთს, კლარჯეთსა* და *ტაოს.* ეს სახელმწიფო იქცა ქართული კულტურის უმთავრეს ცენტრად და საქართველოს გაერთიანების მეთაურად.

თბილისის საამიროს ტერიტორია მუდმივად მცირდებოდა მეზობელი ქართული სახელმწიფოების გაფართოების ხარჯზე.

X საუკუნის ბოლოს მოხდა აფხაზთა და ქართველთა სამეფოების გაერთიანება. შეიქმნა ***ერთიანი ქართული სახელმწიფო,*** რომლის პირველმა მეფემ – ბაგრატ III-მ – აფხაზთა და ქართველთა მეფის ტიტული მიიღო. მხოლოდ ერთი საუკუნის შემდეგ, XII საუკუნის დასაწყისში, დავით IV აღმაშენებელმა შემოიერთა კახეთ-ჰერეთი, ლორე-ტაშირი (სომეხთა სამეფო სომხურ-ქართული მოსახლეობით) და ბოლოს თბილისიც. საქართველოს გაერთიანება დამთავრდა და მონარქის ტიტულიც გახდა „მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა“. ამ დროიდან ჩნდება სახელწოდება „საქართველოც“ (რუკა 4).

საქართველოს ძლიერების მწვერვალია XII საუკუნე. ამ საუკუნის ბოლოს საქართველოს ტერიტორია მთელი კავკასიაა (ნიკოფსიიდან დარუბანდამდის). საკუთრივ საქართველოს სამეფო *მთელ საქართველოს,* აგრეთვე *სომხეთისა* და *აზერბაიჯანის დიდ ნაწილს* მოიცავდა, ხოლო ყმადნაფიცი და მოხარკე ქვეყნები *ჩრდილოეთ კავკასიას, ჩრდილოეთ ირანსა* და *აღმოსავლეთ თურქეთს* აერთიანებდა. ეს მიწები შორს ვრცელდებოდა ვანის ტბის სამხრეთით და ურმიის ტბას აღწევდა. საქართველოს გავლენის სფერო იყო ტრაპიზონის იმპერიაც. შესაბამისად, საქართველოს მეფის ტიტულს დაემატა *„შირვანშა“* და *„შაჰანშა“.* ასე რომ, თამარი უკვე შვიდი სამეფოს მეფეთ მეფეა.

ხუკა 3



წყარო: შუყიდაძე, 2004, 7

ხუკა 4



წყარო: *შეკილაძე, 2004, 8-9*

საქართველოს ტერიტორია XIII-XVIII საუკუნეებში

XIII საუკუნეში საქართველოს უმძიმესი საფრთხე დაემუქრა *მონღოლი* დამპყრობლების სახით. ქვეყნის აოხრებასა და მოსახლეობის მასობრივ განადგურებას თან დაერთო არა მარტო ადრე შემოერთებული ვასალური ტერიტორიების დაკარგვა, არამედ საკუთრივ ქართული სახელმწიფოს ერთიანობის რღვევა. მონღოლებმა ქვეყანა ორ სამეფოდ – *ღიხთიქითად* (ლიხთიმერეთი) და *ღიხთაქეთად* (ლიხთამერეთი) – გაყვეს და ორმეფობა დაამკვიდრეს. გარდა ამისა, მესხეთი ანუ *სამცხე-საათაბაგო* გამოეყო საქართველოს და უშუალოდ დაემორჩილა მონღოლებს.

XIV საუკუნის პირველ ნახევარში გიორგი ბრწყინვალემ შეძლო საქართველოს ხელახალი გაერთიანება. მეზობელი ხალხების უმრავლესობა კვლავ საქართველოს გავლენის სფეროში მოექცა. სამწუხაროდ, ეს აღორძინება ხანმოკლე აღმოჩნდა. იმავე საუკუნის ბოლოს *თემურ-ღენგის* რვაგზის შემოსევამ საქართველო მიწასთან გაასწორა. ქვეყანა ნანგრევებად იქცა, ხოლო მოსახლეობა კატასტროფულად შემცირდა. ამას მოჰყვა მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური ცვლილებები – ***ბიზანტიის დამხობამ (1453 წელს) და საქართველოს ოსმაღეთის იმპერიასთან დამეზობღებამ ქვეყანას მიისხანე მტერი მოუვღინა და დაუხშო ევროპასთან ეკონომიკური და კულტურული კავშირების შესაძღებლობა,*** ხოლო სპარსეთის გაძლიერებამ კიდევ ერთი აგრესიული მეზობელი გააჩინა და საქართველო უმძიმეს დღეში ჩააგდო. არანაკლები უბედურება, რაც ქვეყანას თავს დაატყდა, იყო ჩრდილოეთ კავკასიის მთიელების გაუთავებელი თავდასხმები და მათი ჩამოსახლება საქართველოს ტერიტორიაზე. მწვავე პრობლემად იქცა, აგრეთვე, ფეოდალების ურთიერთდაპირისპირება და შიდა ომები.

ამ უმძიმეს ვითარებას ქვეყანამ ვერ გაუძლო და XV საუკუნის ბოლოს საქართველოს ერთიანი სახელმწიფო ცალკეულ სამეფოებად და სამთავროებად დაიშალა (რუკა 5). თავდაპირველად, სამი სამეფო – ***ქართღი, კახეთი და იმერეთი*** და ერთი სამთავრო – ***სამცხე-საათაბაგო*** წარმოიქმნა. მოგვიანებით კი იმერეთის სამეფოს გამოეყო და დამოუკიდებელ სამთავროებად ჩამოყალიბდა ***გურია, სამეგრეღო, აფხაზეთი*** და ***სვანეთი.*** ამგვარად, ერთიანი საქართველოს ნაცვლად, XVI საუკუნის შუა წლებისთვის რვა პოლიტიკური ერთეული – სამი სამეფო და ხუთი სამთავრო მივიღეთ.

XVII საუკუნის პირველ ნახევარში *ირანმა* და *ოსმაღეთმა* საქართველო გაიყვეს. ქართლი და კახეთი ირანის ვასალებად იქცნენ, ხოლო იმერეთის სამეფო და ხუთივე სამთავრო – ოსმალეთისა. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა სამცხე-საათაბაგო. აქ *ისღამის* მასობრივმა გავრცელებამ მოსახლეობის დედა ენისა და იდენტობის შეცვლაც გამოიწვია, რასაც მხარის ინტენსიური გათურქება მოჰყვა. ამის შედეგი იყო ის, რომ საქართველოს ამ ძირძველმა კუთხემ მთლიანად დაკარგა დამოუკიდებლობა და ოსმალეთის ნაწილად იქცა ***ახაღციხის საფაშოს*** სახით.

XVII-XVIII საუკუნეები საქართველოს ისტორიის უმძიმესი პერიოდია. ქართველი ხალხი განუწყვეტელ ომებშია აგრესიულ მეზობლებთან და ეს აისახება იმ ტერიტორიულ ცვლილებებში, რაც ქართულ სამეფო-სამთავროებში მოხდა. კერძოდ, კახეთმა დაკარგა თავისი უკიდურესი აღმოსავლეთი ნაწილი – *აღმოსავღეთ ჰერეთი, ღეკების* ინტენსიური ჩამოსახლებისა და ადგილობრივი ქართველი მოსახლეობის გამუსლიმანების შედეგად. ამ ახალ სარწმუნოებაზე გადასულ ქართველებს უწოდებდნენ „იანგილს“ (თურქულად „ახლად მორჯულებული“). აქედან მივიღეთ ეთნონიმი *„ინგილო“* და კუთხის სახელწოდება „საინგილო“. კახეთმა ასევე დაკარგა ისტორიულად მის შემადგენლობაში მყოფი დიდოეთი და წახური (დაღესტნის მაღალმთიანი რაიონები).

ქართლს ჩამოსცილდა *ღვაღეთი* (დღევანდელი ჩრდილოეთ ოსეთის უკიდურესი სამხრეთი, მაღალმთიანი რაიონი), ხოლო შიდა ქართლის მთიან რაიონებში განხორციელდა *ოსების* ინტენსიური მიგრაცია ჩრდილოეთ კავკასიიდან. მოგვიანებით ეს პროცესი ქართლისა და კახეთის დაბლობ რაიონებშიც გავრცელდა. ქვემო ქართლში ჩასახლებულ იქნა მომთაბარე თურქული ტომი – *ბოჰჩაღუ.*

ტერიტორიული ცვლილებები მოხდა დასავლეთ საქართველოს სამთავროებშიც. გურიის სამთავროს თურქეთმა წაართვა სამხრეთი ზღვისპირა რაიონი (ქობულეთი). აფხაზეთის სამთავრო კი მნიშვნელოვნად გაფართოვდა სამეგრელოს სამთავროს ხარჯზე. აფხაზეთ-სამეგრელოს საზღვარმა მდინარე კოდორიდან ენგურზე გადმოინაცვლა.

XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ერეკლე II-მ შეძლო *ქართღისა* და *კახეთის* გაერთიანება და, ფაქტობრივად, დამოუკიდებელი გახდა ირანისგან (რუკა 6). მან თავის გავლენას დაუქვემდებარა *განჯის, ერევნისა* და *ნახჭევანის* სახანოებიც. ***1783 წელს გეორგიევსკის ტრაქტატით*** ქართლ-კახეთის სამეფო რუსეთის პროტექტორატის ქვეშ შევიდა.

ხუკა 5


საქართველო დაშლა სამეფო-სამთავროებად
XV საუკუნის ბოლოს
ადრეფეოდალური ხანის
ეროვნული
ტერიტორიული
ადმინისტრაციული
ერთეულები
ეგრისი
ოდიში
ბაბიერი
ბეჟანეთი
ზემო
ქვემო
ანაკოფია
ცხუმი
ლაზეთი
ბეჟანეთ
ზუბეა
ანაკოფ
ბეჟანეთ
ბეჟანეთ
ბეჟანეთ

ხუკა 6

წყარო: შეყიდაძე, 2004, 11

ხუკა 7



წყარო: *შეყილაძე, 2004, 14*

საქართველოს ტერიტორია XIX-XX საუკუნეებში

1801 წელს რუსეთმა გააუქმა ქართლ-კახეთის სამეფო და შეიერთა იგი რიგითი ***გუბერნიის*** სახით, ხოლო 1810 წელს იმერეთის სამეფოც. ეტაპობრივად, 1864 წლამდე გაუქმებულ იქნა ყველა სამთავრო აფხაზეთის ჩათვლით.

1828-1829 წლების რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ საქართველოს დაუბრუნდა მესხეთის ჩრდილოეთი ნაწილი – ***სამცხე და ჯავახეთი,*** ხოლო 1877-1878 წლების ომის შემდეგ ***აჭარა-ქობულეთი, შავშეთი, ერუშეთი (კოლა-არტაანი და ჩიდილი), კლარჯეთი და ტაოს მცირე ნაწილი (ოლთისი).*** ამრიგად, 1878 წლისათვის საქართველოს ისტორიული ტერიტორია რუსეთის იმპერიის საზღვრებში აღმოჩნდა.

საქართველოს ტერიტორია რუსეთის იმპერიის ტერიტორიულ-ადმინისტრაციული დაყოფით აერთიანებდა *თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებს* და *ყარსის ოლქის ნაწილს* (რუკა 7). გუბერნიები იყოფოდა ***მაზრებად.*** ეთნიკურად ან რელიგიურად განსხვავებული მაზრები კი ***ოკრუგებად*** იწოდებოდა. თბილისის გუბერნიის შემადგენლობაში შედიოდა *ზაქათალის ოკრუგი,* ხოლო ქუთაისის გუბერნიის შემადგენლობაში *სოხუმის, ბათუმისა და ართვინის ოკრუგები. ოლთისისა და არტაანის ოკრუგები* ეკუთვნოდა ყარსის ოლქს.

1917 წელს რუსეთში მომხდარმა რევოლუციამ ვითარება კარდინალურად შეცვალა. ***1918 წლის მარტში დადებული ბრესტის ზავის თანახმად, რუსეთი კისრულობდა, თურქეთისათვის დაებრუნებინა ყველა ის ტერიტორია კავკასიაში, რომლებიც მან ომებით შეიერთა.*** მიუხედავად იმისა, რომ საქართველოზე რუსეთის იურისდიქცია აღარ ვრცელდებოდა და 26 მაისიდან იგი დამოუკიდებელი სახელმწიფო იყო, თურქეთის პრეტენზიები არ შეცვლილა და ივნისში დადებული ზავით საქართველო იძულებული გახდა, თურქეთისათვის დაეთმო არა მარტო 1878 წელს შემოერთებული ტერიტორია აჭარისა და ბათუმის ჩათვლით, არამედ 1829 წელს დაბრუნებული სამცხე-ჯავახეთიც, ორი პუნქტის – აწყურისა და აბასთუმნის გარდა.

თურქეთის დამარცხებამ პირველ მსოფლიო ომში შესაძლებელი გახადა ამ მიწების უკან დაბრუნება. გარდა ამისა, 1918-1920 წლებში საქართველოს ექვემდებარებოდა შავი ზღვის გუბერნიის ნაწილიც – ***სოჭისა და ტუაფსეს რაიონები.*** ასე რომ, საქართველოს ტერიტორიის ფართობმა ***93 ათასი კვადრატული კილომეტრი*** შეადგინა.

1920 წლის 7 მაისს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასა და რუსეთის საბჭოთა ფედერაციულ სოციალისტურ რესპუბლიკას შორის დადებული ხელშეკრულება ამ ორ ქვეყანას შორის საზღვრად აწესებდა ***მდინარე ფსოუს. ზაქათალისა და ღორეს რაიონები აღიარებული იყო საქართველოს ტერიტორიად,*** თუმცა მომავალში დასაშვები იყო რეფერენდუმის ჩატარება მათი მიკუთვნებულობის გასარკვევად. დემოკრატიული საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, საქართველოს განუყოფელი ნაწილები – ***აფხაზეთი (სოხუმის ოლქი), სამუსლიმანო საქართველო (ბათუმის ოლქი) და საინგილო (ზაქათალის ოლქი)*** – სარგებლობდნენ შიდა ავტონომიით.

1921 წლის თებერვალ-მარტში ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის, ძალადატანებითი გასაბჭოებისა და, ბოლოს, ანექსიის შედეგად საქართველომ მნიშვნელოვანი ტერიტორიული ცვლილებები განიცადა, კერძოდ: 1921 წლის მოსკოვისა და ყარსის ხელშეკრულებების თანახმად, ***თურქეთს კვლავ გადაეცა 1877-1878 წლების ომის დროს დაკარგული ტერიტორიები, აჭარისა და ბათუმის გარდა.*** იმავე წლის ივლისში ***ზაქათალის ოლქი გადაეცა აზერბაიჯანს,*** ხოლო ***ღორე სომხეთს.*** ამგვარად,

რუკა 8

საქართველოს სსრ-ის ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობა (1930 წელი)



საქართველოს ტერიტორია 69,7 ათას კვადრატულ კილომეტრამდე შემცირდა. ამ ტერიტორიაზეც სამი პოლიტიკური ერთეული ჩამოაყალიბეს: *აფხაზეთის საბჭოთა რესპუბლიკა*, რომელიც რამდენიმე თვეს საქართველოდან განცალკევებით არსებობდა. 1921-1931 წლებში იყო საქართველოსთან ხელშეკრულებით დაკავშირებული რესპუბლიკა, ხოლო 1931 წლიდან ***ავტონომიური რესპუბლიკა საქართველოს შემადგენლობაში;*** ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსი მიენიჭა *აჭარას*, რომლის საფუძველიც მოსახლეობის რელიგიური შემადგენლობა იყო (რაც ნონსენსად უნდა ჩაითვალოს ათეისტურ სახელმწიფოში); შიდა ქართლში, იმ ტერიტორიაზე, სადაც ჩრდილოეთ კავკასიიდან მიგრირებული ოსები კომპაქტურად იყვნენ დასახლებული, შეიქმნა *ავტონომიური ოლქი*, რომელსაც მანამდე უცნობი სახელწოდება – *სამხრეთ ოსეთი* დაარქვეს (რუკა 8).

1991 წელს, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, მსოფლიო საზოგადოების მიერ ჩვენი ქვეყანა იმ ტერიტორიით და იმ საზღვრებშია აღიარებული, რაც საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას ჰქონდა საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში, ანუ 69,7 ათასი კვადრატული კილომეტრი.

ჯერ კიდევ დამოუკიდებლობის აღდგენამდე (1991 წლამდე) საქართველოს შეექმნა სერიოზული **პრობლემები ტერიტორიული მთლიანობის** თვალსაზრისით. ***ხუსეთის მიერ წახალისებულმა აფხაზმა და ოსმა სეპარატისტებმა*** მიიღეს დადგენილებები, რომლებიც, ფაქტობრივად, ამ ავტონომიური ერთეულების საქართველოს იურისდიქციიდან გამოსვლის ტოლფასი იყო. საქართველოს ხელისუფლებამ კი ამას ხისტი გადაწყვეტილებებით უპასუხა, რამაც, საბოლოოდ, სისხლიან დაპირისპირებამდე მიგვიყვანა. რუსეთის სამხედრო ძალების, კაზაკი და ჩრდილოკავკასიელი ბოევიკების ხელით აფხაზმა და ოსმა სეპარატისტებმა ჩაატარეს ეთნიკური წმენდა და ქართველმა მოსახლეობამ იძულებით დატოვა აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი.

2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ სეპარატისტული რეჟიმები დაეუფლნენ იმ ტერიტორიებსაც, სადაც ჯერ კიდევ ქართული სახელმწიფოს იურისდიქცია იყო შენარჩუნებული ***(კოდორის ხეობა აფხაზეთში, ღიახვის ხეობა და ახალგორის ჰაიონი ცხინვალის ჰეგიონში).*** ამგვარად, ***საქართველოს ტერიტორიის თითქმის 20% ოკუპირებულია ხუსეთის მიერ*** (რუკა 9). რუსეთმა აღიარა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის „დამოუკიდებლობა“, მაგრამ, ხუთიოდე ოდიოზური რეჟიმის გარდა, არც ერთ ქვეყანას ეს არ უცნია. როგორც უკვე ითქვა, საქართველოს სახელმწიფო მსოფლიო საზოგადოების მიერ აღიარებულია იმ საზღვრებში, რომელიც მას ჰქონდა საბჭოთა პერიოდში (69,7 ათასი კვადრატული კილომეტრი).

საქართველოს თანამედროვე საზღვრები

საქართველოს საზღვრების საერთო სიგრძე 2114 კილომეტრია. აქედან 1802 კმ (85%) სახმელეთო საზღვარია, ხოლო 312 კმ (15%) – საზღვაო.

საზღვაო საზღვარი შავი ზღვის საქართველოს სანაპიროს მიჰყვება აჭარის სოფელ ***სარფიდან*** (თურქეთის საზღვარი) ***დაბა ღესელიძემდე აფხაზეთში, მდინარე ფსოუს შესართავამდე*** (რუსეთის საზღვარი). საზღვაო საზღვარი შეადგენს საქართველოს დასავლეთის საზღვრის უდიდეს ნაწილს. დასავლეთის საზღვარს მიეკუთვნება აგრეთვე მდინარე ფსოუ შესართავიდან სათავემდე, ანუ ***მწვერვალ აგეფსთამდე*** (რუკა 10).

აგეფსთადან იწყება საქართველოს ჩრდილოეთი საზღვარი, რომელიც კავკასიონს მიჰყვება. აგეფსთადან მწვერვალ ***ვაციკფარსამდე*** (ყაზბეგის რაიონი) საზღვარი გადის კავკასიონის მთავარ წყალგამყოფ ქედზე. ვაციკფარსიდან კი საზღვარი წყალგამყოფიდან ჩრდილოეთით უხვევს და გადის ***გვერდით (ხოხის) ქედზე,*** მყინვარწვერზე, კვეთს მდინარეებს: თერგს, ასას, არღუნს; მიდის მწვერვალ ***ტებულოსმთამდე,*** შემდეგ მიჰყვება თუშეთის ქედს მწვერვალ ***დიკლოსმთამდე,*** უხვევს სამხრეთით და გადაკვეთს რა მდინარე თუშეთის ალაზანს, ანუ ანდის ყოისუს, აღწევს მწვერვალ ***შავკლემდე*** და აქედან ისევ მიუყვება მთავარ წყალგამყოფ ქედს (კახეთის კავკასიონი) ***მწვერვალ ტინოვრისამდე*** (აზერბაიჯანის საზღვარი).

საქართველოს აღმოსავლეთი საზღვარი იწყება მწვერვალ ტინოვროსოდან, მიუყვება მდინარე ***მაწიმის წყალს,*** გაივლის ალაზნის ველზე და შემდეგ მიუყვება ***მდინარე აღაზანს*** მინგეჩაურის წყალსაცავამდე (ერთი კილომეტრის დაშორებით). ამის შემდეგ საზღვარი მკვეთრად უხვევს დასავლეთისკენ და სამხრეთ საზღვარს ქმნის.

საქართველოს სამხრეთი საზღვარი გაივლის ივრის ზეგანზე, კვეთს მდინარეებს – იორს, მტკვარს, დებედას (სომხეთის საზღვარი), მიუყვება ***ლოქის ანუ სომხითის ქედის*** ჩრდილოეთ კალთებს, გადაკვეთს ***ჯავახეთის ქედს*** და ***ჯავახეთის ზეგანს*** და მიდის ჩრდილის ქედამდე (თურქეთის საზღვარი). ჩრდილის ქედის შემდეგ საზღვარი კვეთს ***კარწახის ტბას, მტკვარს, მიუყვება ერუშეთის ქედს,*** გადაკვეთს მდინარე ფოცხოვს, შემდეგ გასდევს ***არსიანისა და შავშეთის ქედებს,*** გადაკვეთს მაჭახელის ხეობას, მდინარე ჭოროხს და ***ლაზეთის ქედის*** ჩრდილოეთის კალთების გადაკვეთით აღწევს შავი ზღვის სანაპირომდე, სოფელ სარფში.

ᲩᲣᲙᲐ 9

საქართველოს ᲩᲣᲙᲐ XXI საუკუნის დასწყისში (2020)



ინფორმაციის წყარო: საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

შედგენილია ვ. ᲩᲮᲐᲘᲫᲘᲡ მიერ

საქართველო სულ ოთხ სახელმწიფოს ესაზღვრება: დასავლთით და ჩრდილოეთით ***ჩუსეთის ფედეჩაციას*** (898 კმ), კერძოდ: *კჩასნოდარის მხარეს, ყარაჩაი-ჩერქეზეთის, ყაბარდო-ბალყარეთის, ჩრდილოეთ ოსეთ-ალანიის, ინგუშეთის, ჩეჩნეთისა* და *დაღესტნის ავტონომიურ რესპუბლიკებს*. ყველა ჩრდილოკავკასიურ რესპუბლიკას, *ადიღესა* და *სტავროპოლის მხარის* გარდა, აქვს საერთო საზღვარი საქართველოსთან.

აღმოსავლეთიდან და სამხრეთიდან საქართველოს მეზობელია ***აზერბაიჯანი*** (428 კმ), ხოლო სამხრეთიდან ***სომხეთი*** (210 კმ) და ***თურქეთი*** (266 კმ).

მეზობელი ქვეყნებიდან მხოლოდ თურქეთთან არის საზღვარი *დელიმიტირებული* და *დემარკირებული*. სხვა ქვეყნებთან მონაკვეთების მთელ რიგზე არის სადავო ტერიტორიები და და ამიტომ საზღვრის დელიმიტიზაცია გართულებულია. პირველ რიგში, ეს ეხება რუსეთს, რომელმაც მოახდინა აფხაზეთისა და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ოკუპაცია და თვითნებურად ახდენს საზღვრების „კორექტირებას“; მაგრამ არანაკლები პრობლემებია აზერბაიჯანსა და სომხეთთან სასაზღვრო მონაკვეთების გამოც, განსაკუთრებით იქ, სადაც საზღვარი არ მიუყვება მკვეთრად გამოხატულ გეოგრაფიულ ობიექტებს (ქედი, მდინარე და ა.შ.). საკმარისია გავიხსენოთ დავით გარეჯის კომპლექსის ნაწილის კუთვნილების პრობლემა აზერბაიჯანთან და ჰუჯაბის მონასტრის კუთვნილების პრობლემა სომხეთთან.

ის, თუ რამდენად ადვილად თუ ძნელად გადასალახავია საზღვარი, მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო საქართველოს ისტორიაში. მტერი, ძირითადად, აღმოსავლეთიდან და სამხრეთიდან მოდიოდა, სადაც ბუნებრივი ბარიერები არ იყო, ან დიდ დაბრკოლებას არ ქმნიდა. თვით ისეთი ბუნებრივი ზღუდეც კი, როგორიც კავკასიონია, ყველა მონაკვეთზე ერთნაირად ვერ იძლეოდა უსაფრთხოების გარანტიას. კერძოდ: იქ, სადაც ქედის გადმოლახვა თითქმის შეუძლებელი იყო (სვანეთი, რაჭა), მოსახლეობას საფრთხე ჩრდილოეთიდან არ ემუქრებოდა; სადაც ეს არცთუ დიდი სირთულე იყო, თავდასხმები და სხვა ხალხების შემოსახლება იშვიათობა არ იყო (ლიახვის ხეობა, საინგილო).

ხუკა 10

საზღვრების ფიზიკურ-გეოგრაფიული თავისებურებანი



საქართველოს საზღვრები: 1. მაღალმთიან ქედებზე; 2. საშუალო და დაბალმთიან ქედებზე; 3. მდინარეებზე; 4. მკვეთრი ფიზიკურ-გეოგრაფიული ობიექტების (მდინარეების და ქედების) გარეშე; 5. უმთავრესი უღელტეხილები: ა) ქლუხორის, ბ) მამისონის, გ) ჯვრის, დ) ყადორის; 6. გამკვეთი ხეობები: ე) დარიალის, ვ) ასას, ზ) არღუნის, თ) ანდის ყოისუს; 7. საქართველოს საზღვრების მთავარი გარდატეხის ადგილები; 8. გეოგრაფიული ცენტრი.

კითხვები:

1. თქვენი აზრით, რა როლი ენიჭება გეოგრაფიულ გარემოს ეთნოგენეზსა და სახელმწიფოს ტერიტორიის ფორმირებაში?
2. რა ფაქტორებმა განაპირობა ახალი პოლიტიკური ერთეულების წარმოქმნა საქართველოში (VIII-X საუკუნეები)?
3. რომელი საგარეო ფაქტორებით ახსნით საქართველოს გაერთიანებას და ტერიტორიულ გაფართოებას XI-XII საუკუნეებში?
4. რა პრინციპებს ემყარებოდა საქართველოს ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობა რუსეთის იმპერიაში?
5. რა ცვლილებები განიცადა საქართველოს ტერიტორიამ საბჭოთა პერიოდში?

დავალებები:

1. შეადარეთ ადრეფეოდალური (VIII-X საუკუნეების) ქართული სამეფო-სამთავროები გვიანფეოდალურს (XVI-XVIII საუკუნეები) და შეეცადეთ, ახსნათ განსხვავების მიზეზები.
2. შეეცადეთ, ახსნათ საქართველოსა და მისი მეზობლების პრეტენზიები სადავო ტერიტორიების მიმართ.
3. იმსჯელეთ, ან მოაწყეთ დისკუსია თემაზე: „საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების უცვლელობა თუ ისტორიული სამართლიანობის აღდგენა“.
4. შეაფასეთ საქართველოს საზღვრების დადებითი და უარყოფითი მხარეები.

გამოყენებული ლიტერატურა:

საქართველოს სსრ ატლასი, ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტი, თბილისი, 1964

შეყილაძე მ., საქართველოს ისტორიული ატლასი, თბილისი, 2004.

2.2. მოსახლეობის ისტორიულ-გეოგრაფიული ფორმირება

საქართველოს დემოგრაფიული განვითარების ისტორიაც უაღრესად მდიდარი და საინტერესო აქვს. ხანგრძლივი ისტორიული პერიოდის განმავლობაში, მოსახლეობის რაოდენობისა და მისი დემოგრაფიული ქცევის მიხედვით, საქართველო ყოველთვის განეკუთვნებოდა მსოფლიოს დემოგრაფიულად განვითარებულ სახელმწიფოთა რიცხვს.

მთელი *ძველი ქვის ხანის (პალეოლითი,* დაიწყო 2-2,5 მლნ. წლის წინ) განმავლობაში ადამიანის არსებობის, მისი გამრავლებისა და განსახლებისათვის აუცილებელი პირობები საქართველოს ტერიტორიაზე, სხვა ქვეყნებთან შედარებით, მეტად ხელსაყრელი იყო. ადამიანთა ცხოვრებისა და გადარჩენის თვალსაზრისით, საქართველოში გამყინვარების შედეგებიც არ ყოფილა კატასტროფული. ამას ამტკიცებს, უპირველეს ყოვლისა, ის, რომ ჩვენს ქვეყანაში პალეოლითის ეპოქის 400-ზე მეტი ძეგლია მიკვლეული (რუკა 1).

რუკა 1



წყარო: შეყიღაძე, 2004, 2

მეზოლითის (შუა ქვის ხანა, დაიწყო 12-10 ათასი წლის წინ და გაგრძელდა ძვ. წ. VIII ათასწლეულამდე) ეპოქაში დაიწყო საყოველთაო დათბობა, მყინვარებმა უკან დაიხია. საქართველოში მეზოლითური სადგომები გვხვდება როგორც მღვიმეებში, ისე ზეგნებსა და ტერასებზე. ისინი, უპირატესად, მდინარეთა ხეობებს უკავშირდება, მაგრამ მდინარისაგან საკმაოდ დაშორებითაც არის მიკვლეული.

ნეოლითის ეპოქაში (ახალი ქვის ხანა, დაიწყო 10-8 ათასი წლის წინ და საქართველოში ძვ. წ. VI ათასწლეულამდე გაგრძელდა) დასახლებათა ტიპი სოფლის სახეს იღებს. ნამოსახლართა ტოპოგრაფია გარკვევით ასახავს ამ პროცესს. დემოგრაფიული თვალსაზრისით, უაღრესად საინტერესოა არა მარტო სოფლების წარმოქმნა, არამედ გარკვეულ მიკრორეგიონებში მოსახლეობის სიმჭიდროვის ფაქტიც. ამის დადგენის საშუალებასაც დასახლებათა ტოპოგრაფია იძლევა (ძველი ქვის ხანა, 1970). ამდენად, საქართველოს ტერიტორიაზე უკვე არსებობდა ჩამოყალიბებული ბინადარი საზოგადოება, სადაც მეურნეობის მთავარი დარგები იყო მიწათმოქმედება და მესაქონლეობა, რაც, თავის მხრივ,

გულისხმობდა საწარმოო ჩვევებისა და ბინადარი მეურნეობის ხანგრძლივ ტრადიციებსა და საკმაოდ მაღალ დონეს (ნეოლითი, 1970).

საზოგადოების განვითარება, მისი პროგრესი და მოსახლეობის დემოგრაფიული განვითარება საქართველოში არნახულად ჩქარდება და ახალ თვისებრივ მდგომარეობაში გადადის ჯერ *ბრინჯაოს (ენეოლითის ეპოქა,* რომელიც ძვ.წ.აღ-ის V-IV ათასწლეულიდან იწყება), შემდეგ კი *რკინის ხანაში (ძვ.წ. I ათასწლეულის პირველი ნახევარი).* სპილენძისა და რკინის გამოყენებამ ტექნიკის საერთო აღმავლობა გამოიწვია. ამან უდიდესი გავლენა მოახდინა ადამიანის მოღვაწეობის ყველა სფეროსა და დარგზე, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობაზე. ადამიანს საშუალება მიეცა, სტაბილური გაეხადა საარსებო პირობები. ბრინჯაოს ხანაში დიდ მნიშვნელობას იძენს *ოჯახი.*

სამეცნიერო მონაცემების საფუძველზე ფრანგმა მოქანდაკემ ელისაბედ დენიმ დმანისის თავის ქალების მხატვრული რეკონსტრუქცია გააკეთა. სიმბოლურად მათ ძველი ქართული სახელები – ზეზვა და მზია ეწოდათ.

ფოტო აღებულია საიტიდან: http://www.dmanisi.gov.ge/dmanisis-shesaxeb/ghirsshesanishnaobebi

ენეოლითის ხანის ბრინჯაოს ფიგურები

წყარო: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მუზეუმი

საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ადამიანების დემოგრაფიული განვითარებისა და მოსახლეობის რიცხოვნობაზე საუბრისას უთუოდ მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოება, რომ ქართველური ტომების განსახლების არეალი ერთ-ერთი რეგიონია, სადაც ხდებოდა თანამედროვე ადამიანის ჩამოყალიბება. ასეთი რეგიონები კი მაშინდელ მსოფლიოში ბევრი არ იყო. 1991 წლის დმანისის აღმოჩენამ კიდევ უფრო გაამყარა აზრი იმის შესახებ, რომ საქართველოს ტერიტორია პრეისტორიულ ხანაში (პალეოლითი, მეზოლითი, ნეოლითი) უძველესი ადამიანის რეალური საცხოვრისი იყო. ***დმანისელი ადამიანი (ჰომო გეორგიკუსი)*** 1 810 000 წლით თარიღდება. კვლევამ დაადასტურა, რომ აქ ნაპოვნი ნაშთები ***ყველაზე ადრეულია ევრაზიაში.*** აღმოჩენილი ადამიანების ნაშთები ახლოსაა *ჰომო ჰაბილისთან (მარჯვე ადამიანი)* და ასევე ყველაზე ძველ *ჰომო ერექტუსთან (წელში გამართული ადამიანი).* ეს ორი სახეობა კი მხოლოდ აფრიკიდან იყო მანამდე ცნობილი. ჰომო გეორგიკუსი დიდი ევროპული და ევრაზიული ცივილიზაციური ხაზის წინაპარს წარმოადგენს. ანუ აფრიკიდან ხალხის დაძვრა ევროპისკენ იმაზე უფრო ადრე მოხდა, ვიდრე აქამდე თვლიდნენ, დაახლოებით 1,8 მილიონი წლის წინ და ეს ჰომო გეორგიკუსით იწყება (ლორთქიფანიძე, 2016). ამდენად, ქვედა პალეოლითიდან მოყოლებული, აქ ჩანს კულტურათა უწყვეტი და აღმავალი ხაზით განვითარება, რომელიც შავიზღვისპირეთის სამხრეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით საკმაოდ დიდ ტერიტორიაზე ვრცელდებოდა. უძველეს ეპოქაში, ქართული ცივილიზაციის სათავეებიდან მოყოლებული, ახალი ერის დაწყებამდე (და მას შემდეგაც) ადგილობრივი, ავტოქთონური მოსახლეობის აქ მკვიდრობა უცილობელი ფაქტია, სადაც მიმდინარეობდა მოსახლეობის, მართალია, ნელი, მაგრამ უწყვეტი გამრავლება (ძველი ქვის ხანა, 1970).

ახ.წ.აღ-ის IV საუკუნიდან ქართული ანბანის შექმნამ და ქრისტიანობის გავრცელებამ ერთიანი სახელმწიფოსა და ქართველი ერის ჩამოყალიბებას (X საუკუნე) შეუწყო ხელი. შექმნილი პოლიტიკური და ეკონომიკური გარემო პირობები მოსახლეობის რიცხოვნობის ზრდაზეც აისახა – XII საუკუნეში საქართველოს მცხოვრებთა რაოდენობა 2 მილიონზე ნაკლები არ იყო, თუმცა გვიან შუა საუკუნეებში მეზობელი მუსლიმი იმპერიების მუდმივი თავდასხმების შედეგად, ჩვენი ქვეყნის მოსახლეობა ძლიერ შემცირდა და 1800 წლისათვის 800 ათასს აღარ აღემატებოდა (ჯაოშვილი, 1996a, 42).

დავით აღმაშენებლის ეპოქიდან დაწყებული, ხდებოდა ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის აღწერა, თუმცა ისტორიული დოკუმენტები ამის შესახებ არ შემორჩენილა (ჯაოშვილი, 1996b, 15).

XVII-XVIII საუკუნეების საქართველოს მოსახლეობის შესახებ მონაცემები ჩნდება ვახუშტი ბაგრატიონის შრომებსა და უცხოელ მოგზაურთა ჩანაწერებში (გიულდენშტედტი და სხვ.), მაგრამ ეს ინფო-

რმაცია სისტემატიზებული არ არის. გვიანფეოდალურ საქართველოში მეფის ხელისუფლების მიერ ყოველ შვიდ წელიწადში ხდებოდა *საყოშოების* (ტერიტორიული ერთეული) აღწერა. ადგილობრივი მოსახლეობის აღწერა ორი ნიშნით – ბეგარა-გადასახადების აკრეფისა და მოლაშქრე-მეომართა რაოდენობის დადგენის მიზნით – ტარდებოდა. სრულიად გამოტოვებული იყო ქვრივი ქალის კომლი მცირეწლოვნებით. შედეგები ფიქსირდებოდა *აღწერის დავთრებში,* თუმცა არაზუსტად, რადგან ხშირი იყო ყმათა გადამალვის შემთხვევები. ეს დოკუმენტები მხოლოდ ფრაგმენტულადაა ჩვენამდე მოღწეული. ერთ-ერთია ვახუშტი ბატონიშვილის ხელმძღვანელობით შედგენილი *საყოშოს დავთარი,* რომელიც ვახტანგ VI-ის ბრძანებულებით ჩატარებულ 1721 წლის მოსახლეობის აღწერას ასახავს. ცალკე აღიწერებოდა ქალაქები. ივანე ჯავახიშვილს ეკუთვნის ყველაზე ადრეული წყაროს (XVIII საუკუნის პირველი ათწლეულის) დავთრის მიკვლევა, რომელიც ქ. გორის მოსახლეობას აღწერს (ჯაოშვილი, 1996b, 20-27).

მე-19 საუკუნის საქართველოში მიმდინარე ძირითადი დემოგრაფიული პრობლემები, მეტწილად, განპირობებული იყო იმ მნიშვნელოვანი პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ძვრებით, რომლებიც მოჰყვა საქართველოს მეფის რუსეთთან შეერთებასა და ბატონყმობის გაუქმებას.

1864-1865 წლებში, კამერალური აღწერების მიხედვით, საქართველოს მოსახლეობა 1 095,5 ათასს, ხოლო გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების მონაცემებით, 1 212,7 ათასს შეადგენდა (ანთაძე, 1973, 34).

უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო ***1897 წლის რუსეთის იმპერიის მოსახლეობის საყოველთაო აღწერა,*** რომელიც პირველი მეთოდოლოგიურ საფუძველზე აგებული აღწერა იყო რუსეთის იმპერიაში. მან ორივე – *თბილისისა* და *ქუთაისის* – *გუბერნია* მოიცვა. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი დემოგრაფიული მოვლენა არასწორად (მაგ.: ცალ-ცალკე ეროვნებებად იქნნენ მიჩნეული მეგრელები, იმერლები, გურულები და ა.შ.) და არასრულად (მაგ.: არ მოხდა ეროვნულ უმცირესობათა ცალ-ცალკე ჯგუფებად აღწერა) იქნა აღრიცხული, მას მაინც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი ქვეყნისათვის. ამ აღწერის მიხედვით, საქართველოს მოსახლეობამ 1 919,4 ათასი ადამიანი შეადგინა (Первая всеобщая перепись населения Российской империи 1897 года, 1905).

1850-იანი წლებიდან ჩნდება ცნობები ***ბუნებრივი მოძრაობის*** შესახებ. 1855-1864 წლებში ქუთაისის გუბერნიაში შობადობა საშუალოდ შეადგენდა 27‰-ს, სიკვდილიანობა 13,7‰-ს, ბუნებრივი მატება 13,3‰-ს; იგივე პარამეტრები თბილისის გუბერნიისათვის, შესაბამისად, იყო: 37,3 : 25,4 : 11,9. ამდენად, ორივე გუბერნიაში ბუნებრივი მატების კოეფიციენტი საშუალოდ 11-13‰-ს შორის მერყეობდა, რაც შეესაბამება ბუნებრივი მატების საშუალოწლიურ 1%-ს (ჯაოშვილი, 1996 b, 77-78; 101).

საქართველოს მოსახლეობის *სქესობრივი სტრუქტურა,* 1897 წლის აღწერით, 53% : 47%-ს შეადგენდა მამაკაცების სასარგებლოდ. მამაკაცთა რაოდენობა მეტი იყო აღმოსავლეთ საქართველოში, რომლის ერთ-ერთი მიზეზი მუსლიმი მოსახლეობის სიჭარბე გახლდათ. *ასაკობრივ სტრუქტურაში* ყურადღებას იქცევს 19 წლამდე ასაკის კონტინგენტის მაღალი წილი (49,6%), 60 წელზე უხნესნი კი 7,2%-ს არ აღემატებოდნენ (ჯაოშვილი, 1996b, 107-108).

ამ დროისათვის ეროვნულ უმცირესობათა ჯგუფებს შეადგენდნენ: *სომხები, „თათარ-თუჰქები“, ოსები, რუსები, ბერძნები, ებრაელები, გერმანელები, კავკასიის მთიელები, ქურთები, ასირიელები, პოლონელები* (Первая всеобщая перепись населения Российской империи 1897 года, 1905). მთელი საუკუნის განმავლობაში ქართველთა ხვედრითი წილი 78,8%-იდან 70,3%-ამდე შემცირდა, რაც, ერთი მხრივ, მეფის რუსეთის ხელისუფლების მიერ სხვა ეთნოსების ჩამოსახლებით (სომხები, რუსები, ბერძნები), ხოლო, მეორე მხრივ, ქართველ მუსლიმთა

მუჰაჯირობა. სამშობლოდან აყრა და გადასახლება

პ. ნ. გრუზინსკის (1837-1892) ტილო

ოსმალეთში გადახვეწით – მუჰაჯირობით[1] იყო განპირობებული. საქართველოს გარეთ ქართველთა ყველაზე დიდი ეთნიკური ჯგუფი ცხოვრობდა *ირანის ფერეიდანში,* სადაც მე-17 საუკუნის დასაწყისში, შაჰ აბას პირველმა 100 000-ამდე ქართველი ტყვედ წაიყვანა.

[1] მუჰაჯირობა – კავკასიის მკვიდრი მუსლიმი მოსახლეობის იძულებითი გადასახლება რუსეთის იმპერიიდან ოსმალეთის იმპერიაში 1858-1878 წლებში. მუჰაჯირობამ მოიცვა აბაზები, ჩერქეზები, ყაბარდოელები, ყარაჩაელები, უბიხები, ჩეჩნები, ოსები, აფხაზები, აჭარის მაჰმადიანი ქართველები.

კონფესიური თვალსაზრისით, ქართველი მოსახლეობა იყოფოდა *მახთიმადიდებლებად* (94,7%), *მუსლიმებად* (4,62%) და *კათოლიკეებად* (0,65%) (ანთაძე, 1973, 101). საქართველოს თანამედროვე საზღვრებში მცხოვრები ქართველი მაჰმადიანების ბინადრობის არეალი, უმთავრესად, *ახალციხის მაზრითა* და *ბათუმის ოკრუგით* შემოიფარგლებოდა. ისინი *სუნიტური ისლამის* მიმდევრები იყვნენ. კათოლიციზმი ქართველი მოსახლეობის ნაწილმა გამაჰმადიანებისგან თავის დასაცავად, ზოგ შემთხვევაში კი, დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან ურთიერთობის დამყარების მიზნით მიიღო. რადგან ისინი ვაჭრობა-ხელოსნობას მისდევდნენ, უმეტესად, ქალაქის მოსახლეობას შეადგენდნენ; განსახლების სხვა არეალი იყო სოფლები *ახალქალაქის* და *ახალციხის მაზრებში.*

მოსახლეობის ***ტერიტორიული განაწილების*** მიხედვით, მე-19 საუკუნის საქართველო შემდეგ მსხვილ რეგიონებად იყოფოდა: **1. ქართლ-კახეთი** (ქ. თბილისი და აღმოსავლეთ საქართველოს მაზრები ბორჩალოს მაზრის ჩათვლით); **2. მესხეთ-ჯავახეთი** (ახალქალაქისა და ახალციხის მაზრები); **3. იმერეთ-გურია** (ქ. ქუთაისი რაჭის მაზრის ჩათვლით); **4. სამეგრელო-სვანეთი** (ლეჩხუმის მაზრის ჩათვლით); **5. აჭარა** (ბათუმის ოკრუგი); **6. აფხაზეთი** (სოხუმის ოკრუგი) (ანთაძე, 1973, 161-163). ვ. ჯაოშვილის გამოთვლით, აღმოსავლეთ საქართველოში ცხოვრობდა მთელი მოსახლეობის 45,6%, ხოლო დასავლეთ საქართველოში 54,4%. პირველ მათგანში 1კმ²-ზე მოდიოდა 9,5, მეორეში კი 13,2 მცხოვრები (1996b, 70).

მე-18 საუკუნის დასასრულს საქართველოს ტერიტორიაზე არსებობდა 6 **ქალაქი:** *თელავი, სიღნაღი, თბილისი, გორი, ქუთაისი* და *ახალციხე.* მე-19 საუკუნის ბოლოს რკინიგზის გაყვანამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა საქალაქო ცხოვრების ზრდა-განვითარებაზე. არსებულ ქალაქებს დაემატა: *ბათუმი, ფოთი, სოხუმი, ოზურგეთი, ახალქალაქი* და *ლუშეთი.* 1801 წლისათვის საქართველოს ქალაქებს შორის მოსახლეობის რაოდენობით პირველ ადგილზე იყო *თბილისი,* დაახლოებით, 20 000 მცხოვრებით, მეორეზე – *ახალციხე* (სავარაუდოდ, 10 000 ადამიანი), *ქუთაისის, გორის, თელავის* და *სიღნაღის* მოსახლეობა ერთად არ უნდა ყოფილიყო 10 000-ზე მეტი (საშუალოდ, 2-3 ათასი თითოეულში). ქალაქის მოსახლეობა შეადგენდა 5,2%-ს. მე-19 საუკუნის ბოლოსათვის ქალაქის მოსახლეობის წილი გაორმაგდა და 12,6%-ს მიაღწია. თბილისზე მოდიოდა ქვეყნის მოსახლეობის ნახევარი. საარჩევნო ხმის უფლებით სარგებლობდა ქალაქის მოსახლეობის 4-5%. 1897 წლის აღწერით, ქვეყანაში სულ 3686 **სოფელი** აღირიცხა (ანთაძე, 1973, 175; 186-87).

რაც შეეხება ფეოდალური საქართველოს მოსახლეობის **სოციალურ კლასებად** დაყოფას: ზედა კლასს წარმოადგენდნენ ***მეფეები*** ან ***მთავრები*** და ***ბატონიშვილები, თავადები*** და ***აზნაურები;*** ქვედა სოციალურ ჯგუფს ეკუთვნოდნენ ***გლეხები,*** რომლებიც იყოფოდნენ *სახელმწიფო ანუ სახაზინო, საეკლესიო* და *საბატონო გლეხებად.* 1897 წლის აღწერით, თავადაზნაურობაზე მოდიოდა მოსახლეობის 5,6%. თავადთა შორის მსხვილი მემამულეები, ძირითადად, აღმოსავლეთ საქართველოში იყვნენ, სადაც ვრცელ სასოფლო-სამეურნეო მიწებს ფლობდნენ და დიდ სათავადოებსაც განაგებდნენ, ამიტომ განსაკუთრებული გავლენა ჰქონდათ. რუსული მმართველობის დამყარების შემდეგ თავადთა ფენამ დაკარგა პოლიტიკური, სამხედრო და ადმინისტრაციული ძალაუფლება. ნაწილი რუსეთში იძულებით გაიყვანეს, მათი ყმა-მამულები კი ხაზინას გადაეცა. პარალელურად დაიწყო ნაწილის მიზიდვა სახელმწიფო დანიშვნით თანამდებობებზე, როგორც ხელისუფლების მტკიცე დასაყრდენისა ქვეყანაში. 1897 წლის აღწერით, გლეხობა მოსახლეობის 83,6%-ს შეადგენდა (ჯაოშვილი, 1996b, 120-121).

1811 წელს მეფის მთავრობამ გააუქმა საქართველოს **ეკლესიის ავტოკეფალია** და ის რუსეთის ეკლესიის ცენტრს – სინოდს დაუქვემდებარა. საქართველოს ეკლესიის მსახურნი იყოფოდნენ *მაღალ* და *დაბალ სამღვდელოებად.* მაღალი სამღვდელოება სათავეში ედგა ეპარქიებს და საეკლესიო ხაზით აზნაურებსა და დიდძალ ყმა-გლეხებს ფლობდა. დაბალი სამღვდელოება ცხოვრობდა საკუთარ ან თავადაზნაურობის მიწაზე და მებატონეებს უხდიდა საადგილმამულო გადასახადებს, სახელმწიფო გადასახადებისგან კი, განთავისუფლებული იყო. ამიტომ ისინი კამერალურ აღწერებში არ აღირიცხებოდნენ (ანთაძე, 1973, 205). 1897 წლის აღწერით, სამღვდელოების წილი, ოჯახის წევრების ჩათვლით, მოსახლეობის 1,6% იყო. ქალაქებში ძირითად სოციალურ ფენას *საპატიო მოქალაქეები, უცხო ქვეყნის ქვეშევრდომები, ვაჭრები, ხელოსნები,* და *„მეშჩანები“* (დაქირავებული შრომით მომუშავენი) შეადგენდნენ (ჯაოშვილი, 1996b, 121).

ამგვარად, თუ მანამდე, თითქმის 6 საუკუნის განმავლობაში, საქართველოს მოსახლეობა მუდმივად მცირდებოდა, XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე საწინააღმდეგო დემოგრაფიული ვითარება შეიქმნა. 1897-1913 წლებში მოსახლეობის მატების საშუალო წლიურმა ტემპმა 1,92%-ს მიაღწია, რაც ყოველწლიურად 42,5 ათასი ადამიანით მატებას ნიშნავდა. 1913 წლისათვის თბილისის სახეზე მყოფი მოსახლეობა უკვე 344 ათასი იყო. ქვეყნის მოსახლეობის მთლიანი ზრდის 72-75% ბუნებრივ გამრავლებაზე, ხოლო 25-28% მექანიკურ ზრდაზე მოდიოდა (ჯაოშვილი, 1996b, 86-87; 101-106; 111).

1914-1920 წლებში, პირველი მსოფლიო ომისა და დამოუკიდებელი საქართველოს არსებობის პერიოდში, მკვეთრად შეიცვალა დემოგრაფიული ვითარება. ამ წლებში არათუ არ მომხდარა მოსახლეობის მატება, არამედ მცხოვრებთა რაოდენობა 200 ათასი ადამიანით შემცირდა და 1921 წლისათვის, მიახლოებითი გამოთვლით, 2 410 ათასი შეადგინა. ურბანიზაციის დონე 19,7% დაფიქსირდა (ჯაოშვილი, 1996b, 101; 124).

კითხვები:

1. რა უწყობდა ხელს საქართველოს მოსახლეობის მატებას მე-19 საუკუნეში?
2. როგორი იყო მე-19 საუკუნის საქართველოს დემოგრაფიული სურათი (მოსახლეობის ბუნებრივი და მექანიკური მატება, სტრუქტურა და სოციალური შემადგენლობა)?

დავალებები:

1. მოიპოვეთ ინფორმაცია ნეოლითური ძეგლების შესახებ საქართველოში და წარმოადგინეთ მცირე პრეზენტაციის სახით;
2. მოიპოვეთ ინფორმაცია 1897 წლის მოსახლეობის აღწერის შესახებ და თქვენთვის საინტერესო ნებისმიერი საკითხი წარმოადგინეთ მცირე პრეზენტაციის სახით.

გამოყენებული ლიტერატურა:

ანთაძე კ., საქართველოს მოსახლეობა მე-19 საუკუნეში (ისტორიულ-დემოგრაფიული გამოკვლევა), თბილისი, 1973.

ნეოლითი - ახალი ქვის ხანა, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, საქართველო უძველესი დროიდან ახალი წელთაღრიცხვის IV საუკუნემდე (რედ. გ. მელიქიშვილი), თბილისი, 1970, ნანახია 2019 წლის 20 სექტემბერს, http://saunje.ge/index.php?id=1600&lang=en

ლორთქიფანიძე დ., მზია, ჟურნალი National Geographic საქართველო, 01.09.2016, ნანახია 2019 წლის 20 სექტემბერს, http://www.nationalgeographic.ge/wm.php?page=magazine2&fotocat=432&id=513

ძველი ქვის ხანა საქართველოში – ქვედა და ზედა პალეოლითი, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, საქართველო უძველესი დროიდან ახალი წელთაღრიცხვის IV საუკუნემდე (რედ. გ. მელიქიშვილი), თბილისი, 1970, ნანახია 2019 წლის 20 სექტემბერს, http://saunje.ge/index.php?id=1599&lang=en

შეყილაძე მ., საქართველოს ისტორიული ატლასი, თბილისი, 2004;

ჯაოშვილი ვ., *საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური გეოგრაფია*, თბილისი, 1996a

ჯაოშვილი ვ., *საქართველოს მოსახლეობა*, თბილისი, 1996b

Первая всеобщая перепись населения Российской империи 1897 года, ტ. LXVI. Кутаисская Губерния. С-ПБ. 1905.

2.3. ეკონომიკის ზოგადი ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვა

საქართველოს საწარმოო ძალთა განვითარების ისტორია რამდენიმე პერიოდად შეიძლება დაიყოს:

პირველი – ტრადიციული საზოგადოება, უძველესი დროიდან XIX საუკუნემდე;

მეორე – კაპიტალიზმის ჩასახვის პერიოდი, XIX საუკუნე;

მესამე – წარმოების სოციალისტური სისტემა, XX საუკუნე;

მეოთხე – საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პერიოდი 1990-იანი წლებიდან დღემდე.

ქართული სახელმწიფო ისტორიული განვითარების სხვადასხვა ეტაპზე მეურნეობის განსხვავებული დონით ხასიათდებოდა.

ძვ.წ. XII საუკუნეში ჩამოყალიბებული კოლხეთის სამეფო ეკონომიკურად განვითარებული ქვეყანა იყო. სამეფოდან გაჰქონდათ იმდროინდელი სამყაროსთვის კარგად ცნობილი კოლხური სელი, რომელიც გემის იალქნების დასამზადებლად გამოიყენებოდა; ასევე: კანაფი, ცვილი, ფისი, ხე-ტყე და ღვინო; გაჰყავდათ მონები. კოლხეთი ჩართული იყო გლობალურ ვაჭრობაში ბერძნულ სამყაროსთან, რისი დასტურიცაა „კოლხური თეთრი“ – ვერცხლის ფული, რომელიც კოლხეთში იჭრებოდა (აფაქიძე, 2012, 287).

დავით აღმაშენებლის მეფობის პერიოდში (1089-1125 წწ.) მეტად განვითარდა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა. ამას ხელი შეუწყო სარწყავი არხების მშენებლობამ, მიწათმოქმედებაში „ქართული გუთნის“ გამოყენებამ, რომელშიც 8-12 ხარი იყო შებმული (ლორთქიფანიძე, 2012, 269). მოჰყავდათ მარცვლეული კულტურები: ხორბალი, ფეტვი, ქერი, ბრინჯი; ასევე, ბამბა და სელი. არსებობდა ვაზის 500-ამდე ჯიში; დიდი ტრადიცია ჰქონდა მევენახეობას, მემინდვრეობას, მებაღეობასა და მებოსტნეობას; ფართოდ იყო გავრცელებული მესაქონლეობა, მეთევზეობა, მეფუტკრეობა და მეაბრეშუმეობა; უცხოეთში გაჰქონდათ აბრეშუმის, ბამბის, შალის ქსოვილები, ხალიჩები, ცხენები, იარაღი, თიხის ნაწარმი, ღვინო, კაკალი, ცვილი, თაფლი (მეტრეველი, 2012 a, 401). ეს პერიოდი საქალაქო ცხოვრების განვითარების ხანაცაა. დავით აღმაშენებელი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ქალაქთმშენებლობას, ხელოსნობისა და ვაჭრობისათვის სასურველი პირობების შექმნას. მისი ბრძანებით, გზის პირებზე ააგეს ქარვასლები და სასტუმროები, სადაც უცხოელ ვაჭრებს უფასოდ შეეძლოთ ღამის გათევა (მეტრეველი 2012 b, 402). ხელოსანთა გაერთიანებებში, ამქრებში, მისდევდნენ მეთუნეობას, რკინისა და ოქროს მჭედლობას; ამზადებდნენ სამეურნეო და საბრძოლო იარაღებს, აგურს, მრავალგვარ ჭურჭელს, მათ შორის ოქროვერცხლისგან. იზრდებოდა ქალაქის მოსახლეობა, ვითარდებოდა ვაჭრობა, სატრანსპორტო ქსელი, ბაზრები, მოედნები, სახელოსნოების რიგები, დუქნები, წისქვილები, აბანოები. მარტო თბილისში 65 აბანო იყო, მათ შორის ბუნებრივად თბილი გოგირდის წყლებით.

XIII საუკუნეში მონღოლების შემოსევამ შეარყია ქვეყნის ძლიერება. როგორც ივანე ჯავახიშვილი წერდა: „ქვეყნის გასანადგურებლად მარტო მათი ცხენები და აქლემებიც კმაროდა. საუკეთესო საძოვრები მათი საქონლისთვის გამოიყო და სახნავიც მათი საქონლის ფეხით იყო გათელილი“ (ჯავახიშვილი, 2012 [1908], 65).

ქართულ სამეფოებში უმძიმესი პოლიტიკურ-ეკონომიკური ვითარება შეიქმნა მას შემდეგ, რაც 1555 წელს ამასიის ზავით ირანმა და ოსმალეთმა საქართველო გაიყვეს. XVI საუკუნიდან სამცხე-საათაბაგოში დაინერგა მიწათმოქმედების ოსმალური სისტემა, როცა მიწის მფლობელი მხოლოდ მაჰმადიანი შეიძლებოდა ყოფილიყო. ქართველმა ფეოდალებმა მიწის შენარჩუნების მიზნით დაიწყეს გამაჰმადიანება.

ერეკლე მეორეს (1762-1798 წწ.) მეფობის დროს აიგო მინის, საპნის, აგურის, მარილსახდელი, შალის ფაბრიკები. თბილისში იყო იარაღის, დენთის, ზარბაზნის ქარხნები, ზარაფხანა; დაიწყო სპილენძის, ვერცხლისა და ოქროს მადნის მოპოვება და დამუშავება. XVIII ს-ის 50-იანი წლებიდან განვითარდა საქალაქო ცხოვრება გორში, სურამში, თელავში, ცხინვალში, დუშეთში, სიღნაღში და სხვ. დასავლეთ საქართველოში საქალაქო ცხოვრება ჩამორჩა და მხოლოდ ქუთაისი იყო მნიშვნელოვანი ქალაქი. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია თბილისი, რომელიც ამიერკავკასიის კულტურული და სავაჭრო ცენტრი გახდა.

მეორე პერიოდი – XIX საუკუნე კაპიტალიზმის ჩასახვის ეპოქაა საქართველოში.

1801 წლიდან საქართველო რუსეთის იმპერიის შემადგენლობაშია და სულ მალე თბილისი კავკასიის სამხედრო, ადმინისტრაციული და ეკონომიკური ცენტრიც ხდება. საქართველოს ეკონომიკის აღმავლობა 1864 წლიდან, ბატონყმობის გაუქმების

შემდეგ, დაიწყო. ჩაისახა კაპიტალისტური ურთიერთობები და ფულად-საკრედიტო სისტემა. თბილისსა და ქუთაისში 1870-იან წლებში დაარსდა საადგილმამულო ბანკი. თბილისის ბანკის მმართველი გახლდათ ილია ჭავჭავაძე.

სოფლის მეურნეობაში წამყვანი ადგილი დაიკავა მარცვლეული კულტურების მოყვანამ – აღმოსავლეთ საქართველოში ხორბლის, დასავლეთ საქართველოში სიმინდის, რომლებიც საექსპორტოდ გადიოდა; მნიშვნელოვანი იყო მევენახეობა-მეღვინეობა ქართლში, კახეთში, იმერეთში; მთაში მისდევდნენ მეცხოველეობას; განვითარდა მეაბრეშუმეობა, მეთამბაქოეობა, მებოსტნეობა და მეხილეობა. ამგვარად, მე-19 საუკუნის ბოლოს საქართველოს სოფლის მეურნეობა გადაეწყო კაპიტალისტურ რელსებზე და განვითარება დაიწყო სასაქონლო და კაპიტალისტურმა მიწათმოქმედებამ.

1880-1890-იან წლებში სარკინიგზო ქსელის გაფართოებამ ეკონომიკურად დააკავშირა საქართველოს მხარეები, ფართოდ გაუღო კარი კავკასიის რეგიონს მსოფლიო ბაზარზე. საწარმოთა ძირითადი ნაწილი თავმოყრილი იყო თბილისში, ბათუმში, ქუთაისსა და ახალციხეში. აღსანიშნავია ბოზარჯიანცისა და ეფიანჯიანცის თამბაქოს ფაბრიკები (თბილისი, ბათუმი, ქუთაისი, ახალციხე), გაუფის სამხატვრო-სამშენებლო სახელოსნო, ანიევის (კურდღელაური), სორიევისა (თელავი) და ილინის (სამტრედია) აბრეშუმსახვევი ფაბრიკები, ზეზემანისა და ქართველიშვილის ხე-ტყის გადამამუშავებელი ქარხნები ატენში, კავკასიის მთავარმმართებლისა და ჯაბადარის ტიპოგრაფიები, გოზალოვისა და ფრიდონოვის კანფეტების, ფარსადანოვისა და ადელხანოვის ფეხსაცმლის ფაბრიკები თბილისში, ანანოვების კონიაკის ქარხანა ვარციხეში და სხვ. დავით სარაჯიშვილის კონიაკის ქარხანაში (თბილისი) 1900 წელს მუშაობდა 50 კაცზე მეტი და იწარმოებოდა 729 ათასი მანეთის პროდუქცია (ანთელავა, 1970, 180).

ტყიბულ-ქუთაისის რკინიგზის ხაზის გაყვანის შემდეგ, ასევე საგარეო ბაზარზე გაზრდილი მოთხოვნების გამო, 1890-იანი წლებიდან გაიზარდა ქვანახშირის ამოღება. ამ საქმეში უდიდესი ღვაწლი ნიკო ნიკოლაძეს მიუძღვის.

მარგანეცის მადნის მოპოვება რეალობად ასევე ნიკო ნიკოლაძემ აქცია. 1895 წელს, მისი დიდი ძალისხმევის შედეგად, ვიწროლიანდაგიანი რკინიგზის გაყვანამ შორაპნიდან ჭიათურამდე მკვეთრად გაზარდა მადნის საექსპორტო მოცულობა. მარგანეცის ექსპორტზე გატანა ფოთის პორტიდან ხდებოდა, რომლის დაარსებაც ისევ მის სახელს უკავშირდება. მსოფლიო ბაზარზე 1879 წელს პირველად გაიტანეს 835 ტ ქართული მარგანეცი. მომხმარებელი ქვეყნები იყვნენ: გერმანია, ინგლისი, საფრანგეთი, აშშ და სხვ. მოპოვებაზე დასაქმებული იყო 3 700 ადამიანი (Бакрадзе, 1958). ქართულ მარგანეცს დიდხანს ეკავა მსოფლიოში გაბატონებული მდგომარეობა და მისი წილი მსოფლიო ბაზრის 40-50 %-ს შეადგენდა (ბენდიაშვილი, 2012, 96).

ფოთის პორტს მალე კონკურენტი გამოუჩნდა ბათუმის პორტის სახით, მას შემდეგ, რაც 1878 წელს აჭარა საქართველოს შემოუერთდა. 1878-1886 წლებში ბათუმი „პორტო-ფრანკო“ იყო, რაც უბაჟო, თავისუფალ ვაჭრობას ითვალისწინებდა. ბათუმის პორტი ბაქოს ნავთობის გადაზიდვაზე იყო ორიენტირებული. ქალაქის ეკონომიკურ ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა „კასპია-შავი ზღვის საზოგადოება“, რომლის ხელშიც იყო ბაქოს ნავთობის მრეწველობა. მისი აქციონერები იყვნენ: როტშილდი, მანთაშევი, ძმები ნობელები და სხვ. 1880-იანი წლების ბოლოს ბაქოს ნავთობის ექსპორტის საჭიროებისთვის ბათუმში აშენდა თუნუქის ტარისა და ხის ყუთების ქარხნები, სადაც დასაქმებული იყო 2000-ზე მეტი მუშა (Бакрадзе, 1958, 179). 1885-1892 წლებში აშენდა უდიდესი ნავთობჩამომსხმელი სადგური, რომელიც ძმებ ნობელებს ეკუთვნოდათ. 1900 წლისათვის ბათუმის ნავსადგურის ტვირთბრუნვა მსოფლიო ნავთობის 26%-ს შეადგენდა („Batumi Sea port“).

I მსოფლიო ომმა ძლიერ შეაფერხა ქვეყნის ეკონომიკური განვითარება. ბათუმისა და ფოთის პორტები 1918-1921 წლებში რამდენჯერმე თურქებისა და ინგლისელების ხელში გადავიდა, საბოლოოდ კი წითელმა არმიამ დაიკავა. საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ, თავისი არსებობის მცირე დროში, ვერ შეძლო მეურნეობის განვითარებაზე ზრუნვა. 1921 წელს საბჭოთა საქართველოში წარმოების ახალ, საერთო-სახალხო საკუთრებაზე დამყარებულ სოციალისტურ სისტემას ჩაეყარა საფუძველი.

მესამე, წარმოების სოციალისტურ სისტემაზე გადასვლის პერიოდში, საქართველოს მეურნეობა საბჭოთა კავშირის ეკონომიკის ნაწილი გახდა. საქართველო ჩამოყალიბდა *ინდუსტრიულ-აგრარული* რესპუბლიკად და ეკონომიკის შემდგომი ზრდა *ჩაკეტილი საბჭოური სისტემის* ფარგლებში ხდებოდა.

მრეწველობა საბჭოთა საქართველოს ეკონომიკის უმთავრესი დარგი იყო. 1980-იანი წლების დასაწყისში სამრეწველო პროდუქციის წილი მთლიანი წარმოებული პროდუქციის 65%-ს და ეროვნული შემოსავლის 40%-ზე მეტს შეადგენდა (ჯაოშვილი, 1996, 85). მრეწველობა გამოირჩეოდა მკვეთრად გამოხატული საკავშირო და რესპუბლიკური სპეციალიზაციის დარგობრივი სტრუქტურით. საკავშირო სპეციალიზაციის დარგები იყო: *მანქანათმშენებლობა, მეტალურგია, ქიმიური მრეწველობა, კვებისა* და *მსუბუქი მრეწველობა.* ბოლო ორ დარგზე მოდიოდა ქვეყნის მთლიანი სამრეწველო პროდუქციის 60,9% და სამრეწველო პერსონალის 37,5% (საქართველოს გეოგრაფია, 2003, 80).

სათბობ-ენერგეტიკული და *ელექტროენერგეტიკული* ბაზა ემყარებოდა სათბობის სამივე სახის – ქვანახშირის, ნავთობისა და ბუნებრივი გაზისა და მდინარეთა ენერგიების გამოყენებას. მდიდარი ჰიდრორესურსების მარაგის მიუხედავად, სახალხო მეურნეობის სწრაფი ტემპებით განვითარების პირობებში სახეზე იყო უარყოფითი ენერგობალანსი. მაგალითად, 1970-1988 წლებში ელექტროენერგიის გამომუშავება გაიზარდა 62,8%-ით, ხოლო მოხმარება 103,8%-ით (ჯაოშვილი, 1996, 97), დეფიციტის შევსება კი ხდებოდა მეზობელი რესპუბლიკებიდან.

შავი მეტალურგია წარმოდგენილი იყო რუსთავის მეტალურგიული და ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნებით. რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მშენებლობა, ძირითადად, განპირობებული იყო აზერბაიჯანის ნავთობის მრეწველობისთვის საჭირო ფოლადის უნაკერო მილების წარმოებით (ჯაოშვილი, 1996, 100). ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა მუშაობდა ჭიათურის მარგანეცის საბადოს ბაზაზე და მაღალი ხარისხის ფეროშენადნობებით (ლეგირებული ფოლადი) უზრუნველყოფდა სსრკ-ში წარმოებული ფოლადის მთელი მოცულობის 75%-ს. ასევე, ქარხანა სილიკომანგანუმის ერთადერთი მწარმოებელი იყო მთელს კავშირში.

ფერადი მეტალურგიის კომბინატები გადაამუშავებდნენ სპილენძის (მადნეულის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატი), ტყვია-თუთიის (კვაისას ტყვია-თუთიის კომბინატი), დარიშხანის, ვერცხლის, ოქროსა და სხვა მადნებს.

მანქანათმშენებლობას მეორე მსოფლიო ომის წლებში ჩაეყარა საფუძველი. საწარმოები, ძირითადად, თავმოყრილი იყო თბილისში, ქუთაისში, ბათუმსა და ფოთში. საკავშირო სპეციალიზაციის მიმართულება ჰქონდა სატრანსპორტო (თვითმფრინავები, ელმავლები, წყალქვეშაფრთიანი კატარღები), საავტომობილო (მცირეგაბარიტიანი სატვირთო ავტომობილები), სასოფლო-სამეურნეო (მცირეგაბარიტიანი ტრაქტორები, ჩაის საკრეფი მანქანები), ელექტროტექნიკურ მანქანათმშენებლობასა და ჩარხმშენებლობას (ლითონმჭრელი ჩარხები, მოწყობილობები კვებისა და მსუბუქი მრეწველობისათვის).

ქიმიური მრეწველობა აწარმოებდა მინერალურ სასუქებს, ქიმიურ ბოჭკოს, ლაქ-საღებავებს და რეზინის ნაკეთობებს საკავშირო სპეციალიზაციის დარგებით და, ძირითადად, თავმოყრილი იყო რუსთავში (რუსთავის ქიმიური კომბინატი), ქუთაისში (ლითოფონის ქარხანა და რეზინის ტექნიკურ ნაკეთობათა ქარხანა), თბილისსა და ბათუმში (კოფეინის ქარხანა, რომელიც ერთადერთი იყო სსრკ-ში).

მსუბუქი მრეწველობა გამოირჩეოდა აბრეშუმის, შალისა და ბამბის ქსოვილების წარმოებით (თბილისი, ქუთაისი და გორი), ხოლო *კვების მრეწველობა* საკავშირო სპეციალიზაციის დარგებით – მეღვინეობა, ჩაის გადამუშავება, საკონსერვო, მინერალური წყლების, ეთერ-ზეთებისა და თამბაქოს წარმოება (ჯაოშვილი, 1996, 106-121).

ქვეყნის შიდა მოხმარებისთვის განკუთვნილი სამრეწველო პროდუქცია მაღალი ხარისხის მოთხოვნებს ნაკლებად აკმაყოფილებდა.

საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ, 1990-იან წლებში, დაიწყო საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის რთული და წინააღმდეგობებით აღსავსე **მეოთხე პერიოდი.**

კითხვები:

1. როგორ აისახა კაპიტალიზმის განვითარება საქართველოს ეკონომიკაზე?
2. განიხილეთ მეურნეობის სპეციალიზაციის დარგები საბჭოთა პერიოდში. რომელი საწარმოებით იყო ეს დარგები წარმოდგენილი?

დავალება:

მოაწყვეთ დისკუსია თემაზე:

1. რამდენად გამართლებული იყო ეკონომიკის განვითარების საბჭოთა მოდელი საქართველოსათვის?

გამოყენებული ლიტერატურა:

აფაქიძე ა., ანტიკური ხანის საქართველოს კულტურა, თავი XVI წიგნში: *საქართველოს ისტორია,* ტ. 1, გამომცემლობა „პალიტრა L“, თბილისი, 2012.

ანთელავა ი., საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. V, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი: 1970.

ბენდიაშვილი ა., კაპიტალისტური წარმოება. ვაჭრობის და კრედიტის ფორმები, თავი VI წიგნში: *საქართველოს ისტორია,* ტ. 4, გამომცემლობა „პალიტრა L“, თბილისი: 2012.

ლორთქიფანიძე მ., სოციალურ-ეკონომიკური ვითარება IX-X საუკუნეებში, თავი X II წიგნში: *საქართველოს ისტორია,* ტ. 2, გამომცემლობა „პალიტრა L“, თბილისი, 2012.

მეტრეველი(a) რ., სოფლის მეურნეობა, თავი XVI წიგნში: *საქართველოს ისტორია,* ტ. 2. გამომცემლობა „პალიტრა L“, თბილისი, 2012.

მეტრეველი(b) რ., საქალაქო ცხოვრება, თავი XVI წიგნში: *საქართველოს ისტორია,* ტ. 2, გამომცემლობა „პალიტრა L“, თბილისი, 2012.

საქართველოს გეოგრაფია, ნაწ.II, სოციალურ-ეკონომიკური გეოგრაფია, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, გეოგრაფიის ინსტიტუტი, თბილისი, 2003.

ჯავახიშვილი ი., ქართველი ერის ისტორია (t. III), თბილისი, 2012 [1908].

ჯაოშვილი ვ., საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური გეოგრაფია, თბილისი, 1996.

Бакрадзе Г. К., Возникновение и развитие капиталистической промышленности в Грузии в XIX веке, Тбилиси, 1958.

Batumi Sea Port, 2020, ნანახია 2019 წლის 8 დეკემბერს, http://batumiport.com/

თავი III. საქართველოს პოლიტიკური გეოგრაფია

3.1. თანამედროვე ადმინისტრაციულ- ტერიტორიული მოწყობა

ადმინისტრაციულ-პოლიტიკური მოწყობა ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი კომპონენტია. იგი გავლენას ახდენს რეგიონული მართვის ეფექტურობაზე. ამასთან, ტერიტორიულ დაყოფასთან მჭიდრო კავშირშია ადგილობრივი თვითმმართველობაც, კერძოდ ის, თუ როგორაა მოსახლეობა საკუთარი ადგილობრივი თემისთვის აქტუალური საკითხების გადაწყვეტაში ჩართული. ადმინისტრაციულ-ტერიტორიული სისტემის ჩამოყალიბებაზე გავლენას ახდენს როგორც ისტორიული ტრადიცია, ასევე მოცემული პერიოდისთვის არსებული პოლიტიკური კონიუნქტურა, რაც საქართველოს მაგალითზე კარგად ჩანს. წინამდებარე თავში შევეხებით როგორც ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის რეტროსპექტიულ მიმოხილვას, ასევე რამდენიმე პრობლემურ საკითხს.

ჩვენი ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებად დაყოფის ისტორია, თანამედროვე მნიშვნელობით, რუსეთის მიერ ქართული სამეფო-სამთავროების დაპყრობის შემდეგ წარმოიშვა, მანამდე კი, მართვის *ფეოდალური* სისტემაში, ცენტრალური მთავრობის რეგიონებზე კონტროლი ნომინალური გახლდათ.

მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში, რუსული მმართველობის შემოღებასთან ერთად, იმპერიაში არსებული პოლიტიკურ-ადმინისტრაციული დაყოფის ზოგიერთი ფორმა ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე პირდაპირ იქნა გადმოტანილი. 1846 წლისთვის საქართველო-იმერეთის გუბერნია ***თბილისის*** და ***ქუთაისის გუბერნიებად*** დაიყო. ამასთან, სიახლე იყო ისიც, რომ გუბერნიათა იმ განაპირა არეალებში, სადაც *ეთნიკურად ან რელიგიურად* შერეული მოსახლეობა ჭარბობდა, შეიქმნა *მაზრები*, ხოლო ტერიტორიის დანარჩენი ნაწილი გაიყო მსხვილ ერთეულებად. თბილისის გუბერნიაში არსებობდა *ცხრა მაზრა* (თბილისის, ახალქალაქის, ახალციხის, ბორჩალოს, გორის, დუშეთის, სიღნაღის, თელავის, თიანეთის) და *ერთი ოკრუგი* (ზაქათალის). ქუთაისის გუბერნიის შემადგენლობაში შედიოდა *შვიდი მაზრა* (ქუთაისის, ზუგდიდის, ლეჩხუმის, ოზურგეთის, რაჭის, სენაკის, შორაპნის) და *სამი ოკრუგი* (ართვინის, ბათუმის და სოხუმის) (ჯავახიშვილი და ასლანიკაშვილი, 1964).

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში შენარჩუნებული იყო სამაზრო და საოლქო დაყოფა. ამასთან, უკვე 1921 წლის კონსტიტუციაში ჩნდება იდეა ასიმეტრიული უნიტარული მოწყობის შესახებ – დამოუკიდებელი საქართველოს 1918 წლის კონსტიტუციის თანახმად, უნდა ეარსება სამ ავტონომიურ ერთეულს (აფხაზეთი/სოხუმის ოლქი, სამუსლიმანო საქართველო/ბათომის მხარე და ზაქათალის ოლქი), რომლებსაც საკმაოდ ფართო თვითმმართველობა ენიჭებოდა (პაპუაშვილი, 2013), ამასთან, იგეგმებოდა, რომ შენარჩუნებული ყოფილიყო სამაზრო დაყოფა, მცირეოდენი შესწორებებით (ლოსაბერიძე და სხვ., 2013).

საქართველოს ამჟამინდელი ადმინისტრაციული ერთეულები 1930-იანი წლების დასაწყისში შემოღებულ ***რაიონულ დაყოფას*** ეფუძნება, რომლებითაც მაზრები ჩანაცვლდა. მაზრებისგან განსხვავებით, რაიონების რაოდენობა უფრო მრავალრიცხოვანი იყო, რაც, სავარაუდოდ, განპირობებული იყო როგორც ცენტრალური მთავრობის მიერ გეგმური ეკონომიკის პირობებში პერიფერიული სასოფლო ტერიტორიების ეფექტური მართვის სურვილით, ასევე ადგილობრივი ელიტების განწყობებით, ჰქონოდათ მეტი წვდომა რესურსებზე. საბოლოო სახე საბჭოთა ადმინისტრაციულმა დაყოფამ 1970-იან წლებში მიიღო, როდესაც გამოიყო 79 რაიონი.

საბჭოთა პერიოდში ქვეყნის ადმინისტრაციული დაყოფის კიდევ ერთი თავისებურება ***მათთვის ასიმეტრიული სისტემის ახასებობაა.*** ამ პერიოდში ჩამოყალიბდა ავტონომიური ერთეულები *აჭარისა* და *აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკებისა* და *სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის* სახით. პოლიტიკური ავტონომიების წარმოშობა გასაბჭოებამდე და გასაბჭოების პირველ წლებში არსებულ შიდა და საგარეო პოლიტიკურ კონიუნქტურას უკავშირდებოდა. აფხაზეთის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სამოკავშირეო ერთეულის და შემდეგ ავტონომიური ერთეულის სტატუსით შექმნა ბოლშევიკების მხრიდან აფხაზეთის პოლიტიკური ელიტის ნაწილის (ლაკობას და ეშბას დაჯგუფებები) გასაბჭოებაში როლის აღიარება იყო (Blauvelt, 2014); გორის მაზრის ტერიტორიაზე სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნით საბჭოთა საქართველოსა და სამხრეთ კავკასიის ხელმძღვანელობა მწვავე ეთნიკური კონფლიქტის მოგვარებას ცდილობდა (Saparov, 2009); აჭარის (აჭარისტანის) ავტონომიის გამოცხადების ვალდებულება კი საბჭოთა ხელისუფლებას ყარსის ხელშეკრულების ფარგლებში ჰქონდა (შიოშვილი და სხვ., 2010).

საბჭოთა კავშირის მმართველობის პერიოდში ჩამოყალიბებული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა საქართველოს დამოუკიდებლობის ეპოქის მოწყობის საფუძველი გახდა. ამჟამინდელი ადმინისტრაციული დაყოფა ***ასიმეტრიულია.*** მართალია, ქვეყნის კონსტიტუციის თანახმად, ქვეყანაში უნიტარული ტერიტორიული მოწყობაა, თუმცა აქვე არსებობს აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკები. 1990 წელს გაუქმებული სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი 2007 წელს დროებითი ადმინისტრაციული ერთეულის სახით აღდგა, თუმცა მისი ამჟამინდელი სამართლებრივი სტატუსი გაურკვეველია. გარდა ავტონომიებისა, საქართველოში ამჟამად არსებობს 68 მუნიციპალიტეტი (მუნიციპალიტეტების რეესტრი, 2019).

ადმინისტრაციული დაყოფის კიდევ ერთ დონეს 1995 წელს შექმნილი რეგიონები (მხარეები) წარმოადგენს. რეგიონის პოლიტიკური სტრუქტურები, ცენტრალური ხელისუფლების მიერ დანიშნული *გუბერნატორის* სახით, უშუალოდ ექვემდებარება ქვეყნის *ცენტრალურ ხელისუფლებას.* მმართველობის მსგავსი ფორმა კი იმას უზრუნველყოფს, რომ მთავრობა მხარის შემადგენლობაში შემავალ მუნიციპალიტეტებზე *მართვის ეფექტურ ბერკეტს* ფლობს. საინტერესოა ისიც, რომ მხარეების მმართველების (გუბერნატორების) საქმიანობა მთავრობის დადგენილებით რეგულირდება და არა პარლამენტის მიერ დამტკიცებული კანონმდებლობით (საქართველოს მთავრობა, 2013).

დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ადმინისტრაციული ერთეულები და მათი თვითმმართველობის პრინციპები რამდენჯერმე შეიცვალა. 1998 წლისთვის ჩამოყალიბდა თვითმმართველი ქალაქის სტატუსი, რომელიც მიენიჭა თბილისსა და ფოთს, მოგვიანებით – ქუთაისს, რუსთავსა და ბათუმს. 2006 წლისთვის, თვითმმართველობის რეფორმასთან ერთად, ადმინისტრაციულ დაყოფაში ცვლილებები ისევ შევიდა: უფლებამოსილება შეუწყდა აფხაზეთის რაიონების დროებით ადმინისტრაციებს, ხოლო საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ აფხაზეთსა და ცხინვალში კონტროლირებად ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა აჭარის (ზემო აფხაზეთის), ერედვის, თიღვისა და ქურთის მუნიციპალიტეტები (საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, 2019). ამჟამად ეს მუნიციპალიტეტები, ახალგორთან ერთად, ოკუპირებულია რუსეთის მიერ.

კითხვები:

1. რატომ იცვლებოდა საბჭოთა პერიოდში ადმინისტრაციული რაიონების რიცხვი?
2. თქვენი აზრით, რას ემსახურება ადმინისტრაციული რეგიონების (მხარეების) არსებობა საქართველოში?

დავალება:

იმსჯელეთ საქართველოს თანამედროვე ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაზე. თქვენი აზრით, რამდენად აძლევს იგი საშუალებას მოსახლეობას, ჩართული იყოს საკუთარი თემისა თუ დასახლებული პუნქტისთვის მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტაში? რომელია თვითმმართველობის ოპტიმალური ფორმა – ცალკეული დასახლებული პუნქტის ან თემის ზომის, თანამედროვე მუნიციპალიტეტის დონის, თუ უფრო მსხვილი ერთეულების არსებობა?

გამოყენებული ლიტერატურა

ლოსაბერიძე დ., კანდელაკი კ., აბულაძე მ., კონჯარია ო., ადგილობრივი თვითმმართველობა, *თბილისი, 2016.*

პაპუაშვილი გ., საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუცია. *საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, ბათუმი, 2013.*

საქართველოს მთავრობა, სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის დებულების დამტკიცების შესახებ, 29 ნოემბერი, 2013, ნანახია 2019 წლის 31 მარტს, https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4449377

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, მუნიციპალიტეტების რეესტრი, 2019, ნანახია 2019 წლის 31 მარტს, http://mreg.reestri.gov.ge/.

შიოშვილი თ., ბარამიძე რ., ნიჟარაძე გ., ჭიჭილეიშვილი მ., ვარშალომიძე ჯ., მახარაშვილი გ., ქართველი მუსლიმები თანამედროვეობის კონტექსტში, *ბათუმი, 2010.*

ჯავახიშვილი ა., ასლანიკაშვილი ა. (რედ.), საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ატლასი, *თბილისი-მოსკოვი, 1964.*

Blauvelt T. K., The establishment of Soviet power in Abkhazia: ethnicity, contestation and clientelism in the revolutionary periphery. ჟურნალი *Revolutionary Russia, 27(1), 22-46. doi:10.1080/09546545.2014.904472, 2014.*

Saparov A., From Conflict to Autonomy: The Making of the South Ossetian Autonomous Region 1918-1922. ჟურნალი *Europe-Asia Studies, 62(1), 99-123. doi:10.1080/09668130903385416, 2009.*

3.2 პოლიტიკური სისტემა და არჩევნები

საქართველო დემოკრატიული რესპუბლიკაა (საქართველოს კონსტიტუცია, 1995, 2018), რაც იმას ნიშნავს, რომ ქვეყნის მართვა შესაბამისი პრინციპების საფუძველზე ხორციელდება: ძალაუფლების წყარო ხალხია, ტარდება არჩევნები და ა. შ. მართვის დემოკრატიული სისტემა გულისხმობს სამი კომპონენტის – ***დემოკრატიის ინსტიტუტების, მოქალაქეობისა*** და ***საზოგადოებრივი სფეროს*** – ერთობლიობას (Little & McGivern, 2014). დემოკრატიის ინსტიტუტებში *მთავრობა, პარლამენტი, სასამართლო, არჩევნები მოიაზრება*; მოქალაქეობაში – ის *ინდივიდუალური უფლებები* და *თავისუფლებები,* რომლებიც ადამიანს, როგორც კონკრეტული პოლიტიკური ერთობის წევრს, აქვს; ხოლო საზოგადოებრივ სფეროში – პოლიტიკური და საზოგადოებრივი საკითხების განხილვისთვის საჭირო *საზოგადოებრივი სივრცე.*

საზოგადოებრივი გეოგრაფია ამ თითოეულ სფეროს სივრცით ჭრილში განიხილავს, ამასთან, თანამედროვე მიდგომები ჩვენს დისციპლინაში ინტერესდება არა მხოლოდ, ვთქვათ, ხმის მიცემის გეოგრაფიული ასპექტებით, არამედ კრიტიკულად აფასებს სივრცეში მიმდინარე პროცესებს და ნაპოვნი კანონზომიერებების პოლიტიკური თეორიებით ახსნას ცდილობს (Cox et al., 2008).

დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ საქართველომ მმართველობის ფორმა ორჯერ შეცვალა. ამჟამად იგი საპარლამენტო რესპუბლიკაა, რომლის ყველაზე მნიშვნელოვანი პოლიტიკური ფიგურა ***პრემიერმინისტრია,*** ხოლო ქვეყნის *პრეზიდენტს,* მეტწილად, სიმბოლური ძალაუფლება აქვს.

დამოუკიდებლობის აღდგენიდან კარგა ხნის განმავლობაში ქვეყანა *საპრეზიდენტო რესპუბლიკა* გახლდათ, რაც იმას უზრუნველყოფდა, რომ სახელმწიფოს მეთაურს ხელში თითქმის შეუზღუდავი ძალაუფლება ჰქონდა. 2004 წელს მიღებული საკონსტიტუციო ცვლილებებით ქვეყანა ნახევრად საპრეზიდენტო მოდელზე გადავიდა, თუმცა პრაქტიკულ პოლიტიკაში პრეზიდენტის როლი მაინც განმსაზღვრელი იყო. 2010 წლის შესწორებების მიხედვით, პრეზიდენტის უფლებამოსილება შეიზღუდა. 2018 წლის საკონსტიტუციო ცვლილებებით საბოლოოდ დასრულდა ქვეყნის ***საპარლამენტო მმართველობაზე*** გადასვლის პროცესი.

დამოუკიდებელი საქართველოს პარლამენტარიზმის ისტორია 1919 წლის დამფუძნებელი კრების არჩევნებიდან იწყება. პირველი რესპუბლიკის პარლამენტი, რომელიც პროპორციული წესით იქნა არჩეული, ძირითადად, დაკომპლექტებული იყო ***მემარცხენე სოციალ-დემოკრატიული პარტიის*** წარმომადგენლებით, მის შემადგენლობაში ასევე იყვნენ ეთნიკური უმცირესობები. ხაზგასასმელია, რომ 1919 წლის არჩევნებში ქალებს ჰქონდათ როგორც პასიური, ასევე აქტიური საარჩევნო უფლება, რაც იმდროინდელ სამყაროში იშვიათი გამონაკლისი იყო.[1]

საქართველოს გასაბჭოებასთან ერთად მრავალპარტიული არჩევნები ქვეყანაში 1990 წლამდე არ ჩატარებულა. 1990 წელს, ჯერ კიდევ საბჭოთა ეპოქაში, ჩატარებული საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნები კი იმით იყო გამორჩეული, რომ პირველად იქნა დაშვებული *მრავალპარტიულობა.* 250 დეპუტატი არჩეულ იქნა პარტიული სიით და მაჟორიტარული ოლქების მეშვეობით. ახალმა პარლამენტმა მხოლოდ ორ წელს იარსება. ქვეყნის პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას, ხელისუფლების დამხობის შემდგომ, 1992 წელს არჩეულმა საკანონმდებლო ორგანომ მნიშვნელოვანი საფუძველი მოამზადა როგორც ედუარდ შევარდნაძის ხელისუფლების განმტკიცებაში, ასევე ქვეყნის მთავარი კანონის – კონსტიტუციის მომზადებასა და მიღებაში. 1995 და 1999 წლების საპარლამენტო არჩევნების მთავარ შედეგად თანამედროვე ქართული პოლიტიკური ელიტისა და პოლიტიკურ პარტიათა ძირითადი კონფიგურაციის ჩამოყალიბება შეიძლება მივიჩნიოთ (Jones, 2015).

ამავე პერიოდის პოლიტიკურმა კრიზისებმა ისეთი მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენა გამოიწვია, როგორიც 2003 წლის „ვარდების რევოლუცია“ გახლდათ. პარლამენტარიზმისა და ქართული პოლიტიკური სისტემის მთავარ მიღწევად, ალბათ, ის უნდა ჩაითვალოს, რომ 2012 წელს ხელისუფლების ცვლილება მშვიდობიანი გზით – არჩევნებით მოხდა, რაც დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ პირველი პრეცედენტი გახლდათ და პოლიტიკური სისტემის სტაბილიზაციისკენ გადადგმული ნაბიჯი იყო.

ქართულ პარლამენტარიზმს პრობლემების მთელი წყება ახასიათებს. როგორც წესი, ***ხელი-***

[1] აქტიური საარჩევნო უფლება გულისხმობს მოქალაქის უფლებას, აირჩიოს მისთვის სასურველი სუბიექტი. პასიური საარჩევნო უფლება კი აღნიშნავს მოქალაქის შესაძლებლობას, იყოს არჩეული ამა თუ იმ თანამდებობაზე. გასათვალისწინებელია, რომ უფრო ადრე ორივე საარჩევნო უფლება ქალებს 1917 წლის რუსეთის დუმის არჩევნებში მიეცათ.

სუფლებაში მყოფი პოლიტიკური ჯგუფები საკანონმდებლო ორგანოში საკმაოდ კომფორტულ უპირატესობას იქმნიან, რაც მნიშვნელოვანწილად ზღუდავს საპარლამენტო მუშაობის დინამიკასა და ხარისხს. მმართველი ჯგუფები ხშირად იყენებენ საარჩევნო წესებით მანიპულირებას (Gilbreath & Sichinava, 2017) და ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ ტერიტორიებზე ადგილობრივ ელიტებთან *კოოპტაციას*[1] ეწევიან (George, 2014). ერთმანდატიანი ოლქებიდან არჩეული მაჟორიტარები უფრო ადგილობრივი ელიტების ინტერესებს წარმოადგენენ, ვიდრე რომელიმე კონკრეტული პოლიტიკური ჯგუფის ან მოსახლეობის, რაც პარლამენტის ამომრჩევლებისადმი პასუხისმგებლობის პრინციპებს უგულებელყოფს.

პირველი პოლიტიკური პარტიები საქართველოში მე-19 საუკუნის დამლევს გამოჩნდა. თუმცა ორგანიზებული სახე ერთ-ერთმა მათგანმა – „მესამე დასმა“ *სოციალ-დემოკრატიული პარტიის* ფორმით მიიღო. ქართული სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლებმა გამოაცხადეს საქართველოს დამოუკიდებლობა (მენშევიკებმა) და სათავეში ჩაუდგნენ მის გასაბჭოებას (ბოლშევიკები).

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, *საქართველოს კომუნისტური პარტიის* გარდა, სხვა პარტიებმა იატაკქვეშ გადაინაცვლეს. 1924 წლის ანტისაბჭოთა აჯანყების შემდეგ საქართველოს ტერიტორიაზე არსებული თითქმის ყველა პარტიის ლიკვიდაცია მოხდა. წყვეტა 1970-იანი წლების ბოლომდე გაგრძელდა, როდესაც ქვეყანაში პირველი იატაკქვეშა არაკომუნისტური პოლიტიკური ჯგუფი *(საქართველოს რესპუბლიკური პარტია)* აღმოცენდა (ნოდია და პინტო სქოლტბახი, 2006).

1980-იანი წლების ბოლოს, ეროვნული მოძრაობის აღმავლობასთან ერთად, ოთხმოცამდე პოლიტიკური პარტია ჩამოყალიბდა (გაონი, 2009). ცხადია, მათ უმეტესობას რეალური პოლიტიკური წონა არ გააჩნდა, სამაგიეროდ, ყველაზე გავლენიანი ჯგუფები ქარიზმატული ლიდერების (ზვიად გამსახურდია, გიორგი ჭანტურია და ა.შ.) ირგვლივ წარმოიშვა. იდეოლოგიური თვალსაზრისით, ამ პოლიტიკურ ჯგუფებს შორის დიდი სხვაობა არ არსებობდა – მათი უმეტესობა *ნაციონალისტური მიმართულების* გახლდათ.

ასეთმა დაქსაქსულობამ საქართველოს სტაბილურობაზე დიდი გავლენა მოახდინა – დამოუკიდებლობის მოპოვებისთანავე ქვეყანა სამოქალაქო ომში გაეხვია, სადაც დაპირისპირებულ მხარეებს სწორედ ქარიზმატული ლიდერების ირგვლივ გაერთიანებული აქტივისტები წარმოადგენდნენ.

ყურადსაღებია ის ფაქტიც, რომ 1990 წლის არჩევნებისთვის ყველაზე უფრო ჩამოყალიბებული პარტიული სტრუქტურა საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ შეინარჩუნა. სამომავლოდ ამ ფაქტს მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდა ედუარდ შევარდნაძის მმართველობაზე – მის მიერ შექმნილი ***საქართველოს მოქალაქეთა კავშირი,*** გარდა ეროვნული მოძრაობიდან გადმოსული რამდენიმე აქტივისტისა და ე. წ. „ახალი სახეებისა“, ნებისმიერი დონის არჩევნებში სწორედ ყოფილ კომუნისტურ კადრებს ეყრდნობოდა (Jones, 2015).

ქვეყნის თანამედროვე პარტიული ლანდშაფტი დამოუკიდებლობის შემდგომ პოლიტიკურ ისტორიას აირეკლავს – ყველაზე მრავალრიცხოვან და გავლენიან პარტიებში („ქართული ოცნება“, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“) მრავლად არიან წარმოდგენილი ისეთი პოლიტიკოსები, რომლებიც სხვადასხვა დროს „მოქალაქეთა კავშირში“ იყვნენ აქტიურები. მართალია, მსხვილ პარტიებს ჩამოყალიბებული რეგიონული სტრუქტურა აქვთ, თუმცა მათდამი ამომრჩეველთა (და პოლიტიკოსთა) ლოიალობა ლიდერთა გამო უფროა, ვიდრე კონკრეტული იდეოლოგიიდან გამომდინარე.

გამომდინარე იქიდან, რომ, იდეოლოგიური თვალსაზრისით, არც პარტიები არიან ერთგვაროვანნი და არც ამომრჩევლები არიან თანმიმდევრულნი, პარტიებს მხარდამჭერთა მოზიდვის განსხვავებული სტრატეგიები აქვთ. ხშირად პოლიტიკური პარტიები საარჩევნო მობილიზაციას ე. წ. ისტორიული და გეოგრაფიული დაპირისპირებების (ცენტრი-პერიფერია, ქალაქი-სოფელი და ა. შ.) საფუძველზე ახდენენ (Sichinava, 2018). ხმის მიცემის გეოგრაფიის შესწავლა საშუალებას გვაძლევს, შევაფასოთ, თუ რა სტრატეგიებს ირჩევენ პოლიტიკური პარტიები და კანდიდატები არჩევნებისას. მაგალითად, ზოგადად ითვლება, რომ მხარდაჭერის „ნაციონალიზაცია“ ანუ მთელი ქვეყნის მასშტაბით განვრცობა პარტიისთვის მოგებიანია (De Miguel, 2016), თუმცა საქართველოს გამოცდილება აჩვენებს, რომ ჩვენთან პოლიტიკური პარტიები პირიქით ცდილობენ, რომ მხარდაჭერის ტრადიციულ არეალებში უფრო მეტად იმუშაონ (Sichinava, 2018).

როდესაც პოლიტიკური სისტემის საზოგადოებრივ სფეროზე ვსაუბრობთ, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ამ საკითხში მოიაზრება ის სოციალური სივრცე, სადაც ადამიანებს შეუძლიათ, იმსჯელონ და განიხილონ მათთვის მნიშვნელოვანი პრობლემები, რითაც პოლიტიკურ მოქმედებაზე მოახდენენ გავლენას. ცხადია, რომ საზოგადოებრივი სფეროს გაგება თანამედროვე მედიის ზემოქმედებით მნიშვნელოვნად იცვლება – იმ საკითხებზე მსჯელობა, რომელთაც ადრე საფიხვნოზე, ბირჟაზე ან სამზარეულოში განიხილავდნენ, ამჟამად ტელევიზიის, ინტერნეტის და სოციალურ ქსელებში ხდება. როდესაც საზოგადოებრივი სფერო და ინსტიტუციური პოლიტიკა ერთმანეთთან წინააღმდეგობაში მოდის, იქ საზოგადოებრივი პროტესტი ჩნდება – დამოუკიდებლობის იდეის საბჭოთა სისტემასთან შეუთავსებლობა 1988-1989 წლების პროტესტში გადაიზარდა; 2003 წელს საზოგადოებრივ სივრცეში არსებული დისკუსიების ლოგიკური დასასრული

[1] კოოპტაციაში იგულისხმება ერთმანეთისგან განსხვავებული ინტერესთა ჯგუფების თანამშრომლობა საერთო მიზნის მისაღწევად

„ვარდების რევოლუცია“ გახდა; ხოლო ურბანული მემკვიდრეობის შესახებ „თბილისის ფორუმზე“ დაწყებული დისკუსიების კვინტესენცია 2012-2013 წლებში თბილისში გუდიაშვილის მოედნის დასაცავად ჩატარებულ აქციებად შეგვიძლია ჩავთვალოთ (Berikishvili & Sichinava, 2018).

და ბოლოს, 2019 წლის ზაფხულში თბილისში რუსი პარლამენტარის, სერგეი გავრილოვის, ვიზიტთან დაკავშირებით ქართულენოვან სოციალურ ქსელებში აგორებული უკმაყოფილება საზოგადოებრივ სივრცეში 20 ივნისის მრავალრიცხოვანი საპროტესტო აქციის ფორმით გამოვლინდა.

კითხვები:

1. რა უპირატესობები და უარყოფითი მხარეები აქვს საპრეზიდენტო და საპარლამენტო სისტემას?
2. თქვენი აზრით, როგორ შეიძლება, მოახდინოს პოლიტიკურმა პარტიამ საარჩევნო სისტემით მანიპულირება?
3.

დავალება:

მოიძიეთ ინფორმაცია უკანასკნელ წლებში საქართველოში გამართული რომელიმე საპროტესტო აქციის შესახებ. მოამზადეთ მცირე პრეზენტაცია მის გამომწვევ მიზეზებსა და მონაწილეებზე. თქვენი აზრით, საზოგადოების რომელი ფენები იყო ჩართული ამ პროტესტებში? როგორ შეიძლება, ასეთი მოვლენების წარმოშობა ავხსნათ იმით, რომ ამ ჯგუფებს შეზღუდული აქვთ საკუთარი იდეების პოლიტიკურ სივრცეში გადატანის საშუალება?

გამოყენებული ლიტერატურა:

გაონი ი., პოლიტიკური პარტიები და პოლიტიკური კულტურა წიგნში: „საქართველოში 2008 წლის საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნებში დაგროვილი გამოცდილება“, *თბილისი, 2009.*

ნოდია გ., პინტო სქოლტბახი ა., საქართველოს პოლიტიკური ლანდშაფტი: პოლიტიკური პარტიები: მიღწევები, გამოწვევები და პერსპექტივები. *მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი, 2006.*

საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 1, თავი 1.

Berikishvili E., & Sichinava D., Transformation of Urban Protests in Tbilisi: From *Spontaneous Activism to Social Movements* in Neuburg, K., Pranz, S., Tseretelli, W., et al. (eds.), Archive of Transition. Salenstein, Switzerland, 2018.

Cox K. R., Low M., & Robinson J., Political geography: Traditions and turns. *The SAGE handbook of political geography, 2008, 1-14.*

de Miguel C.,The role of electoral geography in the territorialization of party systems. *Electoral Studies, 2016.*

George J. A., Can hybrid regimes foster constituencies? Ethnic minorities in Georgian elections, 1992-2012. *Electoral Studies, 2014, 35.*

Gilbreath D. & Sichinava, D.,Georgia: Proposed Reform Could Tilt Electoral Field Toward Incumbents. *Eurasianet, 2017.*

Jones S., Georgia: a political history since independence. *IB Tauris, 2015.*

Little W., & McGivern, R., Introduction to Sociology - 1st Canadian Edition. თავი 17, 2014.

Sichinava D.,Cleavages, electoral geography, and the territorialization of political parties in the Republic of Georgia. *Eurasian Geography and Economics*, *0*(0), 2018, 1-21.

3.3. საგარეო პოლიტიკური კავშირები

საქართველო მთელი თავისი სახელმწიფოებრიობის ხანგრძლივი ისტორიის განმავლობაში აქტიურად იყო ჩართული პოლიტიკურ ურთიერთობებში სხვადასხვა ქვეყანასთან. იმის მიხედვით, თუ როგორი იყო გეოპოლიტიკური ვითარება და საერთაშორისო სისტემის ხასიათი, იცვლებოდა ქვეყნის საგარეო პოლიტიკური ვექტორები. როგორც პატარა ქვეყანას, საქართველოს უწევდა, გაეკეთებინა არჩევანი იმ ურთიერთმოქიშპე დიდ სახელმწიფოებს შორის, რომლებსაც საქართველოზე ჰქონდათ პრეტენზია. როგორც წესი, ჩვენი ქვეყანა იმ სახელმწიფოზე იღებდა ორიენტაციას, რომელიც უფრო პროგრესული და დაწინაურებული იყო. ცხადია, გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, საქართველოს პოლიტიკური კავშირები, ძირითადად, ახლო და შუა აღმოსავლეთისა და ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებთან ჰქონდა.

რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის შემდეგ საქართველოს აღარ ჰქონია შესაძლებლობა, დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკა და დიპლომატიური ურთიერთობები ჰქონოდა. ამიტომ დიდი ხნით ამოვარდა მსოფლიო პოლიტიკური ცხოვრებიდან.

საქართველოს ხელახალი, თუმცა ძალიან ხანმოკლე, გამოჩენა საერთაშორისო ასპარეზზე უკავშირდება 1918-1921 წლებს, როცა ქვეყანამ დამოუკიდებლობა აღიდგინა და **საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის** სახელით ჩაერთო მსოფლიო პოლიტიკურ ცხოვრებაში.

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება 1918 წლის 26 მაისს, რაც გამოწვეული იყო 1917 წლის თებერვლისა და ოქტომბრის რევოლუციების შედეგად რუსეთის იმპერიის დაშლით, გერმანიის რჩევით მოხდა. ამიტომ პირველი სახელმწიფოები, რომლებმაც საქართველოს დამოუკიდებლობა აღიარეს, გერმანია და მისი მოკავშირეები – თურქეთი და ავსტრია-უნგრეთი იყვნენ. მაგრამ ამ ქვეყნების ომში დამარცხებამ და არსებული სახით მათი სახელმწიფოების დამხობამ, საქართველო გარკვეული ვადით დიპლომატიურ ვაკუუმში დატოვა.

პირველი ქვეყანა, რომელმაც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა დე-ფაქტოდ ცნო, იყო **არგენტინა** (1919 წლის სექტემბერში). 1920 წლის იანვარ-თებერვალში კი საქართველოს დამოუკიდებლობა დე-ფაქტოდ ცნეს იტალიამ, საფრანგეთმა, ინგლისმა, იაპონიამ და ჩეხოსლოვაკიამ.

1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებით, რუსეთის ფედერაციამ *დე-იურედ* ცნო საქართველოს სახელმწიფო. სწორედ ამის შემდეგ დაიწყო საქართველოს სახელმწიფოს დე-იურედ აღიარება. 1920 წელს ეს ნაბიჯი გადადგეს გერმანიამ და შვეიცარიამ, ხოლო 1921 წლის იანვარ-თებერვალში საფრანგეთმა, ინგლისმა, იტალიამ, იაპონიამ, ბელგიამ, ავსტრიამ, პოლონეთმა და რუმინეთმა.

1921 წლის თებერვალ-მარტში ბოლშევიკურმა რუსეთმა მოახდინა საქართველოს **ოკუპაცია და ძალდატანებითი გასაბჭოება**. მაგრამ 1922 წლის მარტამდე, ფორმალურად, დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ითვლებოდა.

1922 წლიდან 1991 წლამდე საქართველო, როგორც დამოუკიდებელი, სუვერენული სახელმწიფო, კვლავ გამქრალია პოლიტიკური რუკიდან.

ოჰმხხივი დიპდომატიუჰი უჰთიეჰთობები

1991 წლის 9 აპრილს საქართველომ გამოაცხადა დამოუკიდებლობის აღდგენა, მაგრამ მისი დამოუკიდებლობა 1991 წლის დეკემბრამდე, ანუ საბჭოთა კავშირის დაშლამდე, სხვა ქვეყნებს არ უცვნიათ (გამონაკლისი იყო რუმინეთი).

საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარების ძირითადი ტალღა 1991 წლის დეკემბრიდან დაიწყო და 1992-1993 წლებს მოიცავს. ამ პერიოდში საქართველო ცნო 110-მა ქვეყანამ (რუკა 1).

2018 წლის იანვრისათვის საქართველოს დიპლომატიური ურთიერთობა დამყარებული ჰქონდა 180 სახელმწიფოსთან, მაგრამ მკვეთრად განსხვავებული სურათი გვაქვს იმის მიხედვით, თუ რა დონეზეა დიპლომატიური ურთიერთობები ცალკეულ ქვეყნებთან.

პირველი ქვეყნები, რომლებმაც საქართველოსთან დიპლომატიური ურთიერთობები დაამყარეს, იყვნენ **გერმანია და აშშ.** დამოუკიდებლობის პირველსავე წელს (1992) საქართველომ დიპლომატიური ურთიერთობები დაამყარა 66 სახელმწიფოსთან, 1993-1994 წლებში კიდევ 34 ქვეყანასთან, 1995-2000 წლებში 17-თან, 2001-2008 წლებში კი მხოლოდ 5-თან.

დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების ახალი ტალღა დაიწყო 2009 წლის შემდეგ. მას მერე, რაც რუსეთმა ცნო *აფხაზეთისა* და *ე.წ. სამხრეთ ოსეთის* დამოუკიდებლობა და სამიოდე ოდიოზური რეჟიმის ქვეყანამ იგივე ნაბიჯი გადადგა, აუცილებელი გახდა საქართველოს აქტიური ბრძოლა, რათა დიპლომატიური ურთიერთობები დამყარებულიყო იმ ქვეყნებთან, რომლებთანაც ჯერ არ არსებობდა. ასეთი სახელმწიფოები კი საკმაოდ იყვნენ ლათინურ ამერიკაში, აფრიკასა და ოკეანეთში. სულ 2009-2017 წლებში დიპლომატიური ურთიერთობა დამყარებულ იქნა 58 სახელმწიფოსთან.

ხუკა 1



შედგენილია ვ. ჩხაიძის მიერ

2018 წლის დასაწყისისთვის საქართველოს მსოფლიოს 192 სუვერენულ სახელმწიფოს შორის დიპლომატიური ურთიერთობა არ ჰქონდა **12 ქვეყანასთან.** მათგან სამთან (რუსეთი, სირია, ვენესუელა) დიპლომატიური ურთიერთობა საქართველომ გაწყვიტა ამ ქვეყნების მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარების გამო; კიდევ ორ ქვეყანასთან, რომლებმაც ამ ტერიტორიების დამოუკიდებლობა აღიარეს (ნიკარაგუა, ნაურუ), საქართველოს არც მანამდე ჰქონია დიპლომატიური ურთიერთობები; დანარჩენ შვიდ ქვეყანასთან კი დიპლომატიური ურთიერთობები ჯერ არ დამყარებულა. ეს ქვეყნებია: ბარბადოსი, ბელიზი, ბუტანი, ნიგერი, პალაუ, პაპუა-ახალი გვინეა, სან-ტომე და პრინსიპი.

საქართველოს წარმომადგენლობები საზღვარგარეთის ქვეყნებში

დიპლომატიური ურთიერთობები არ ნიშნავს, რომ ეს ურთიერთობები აუცილებლად ელჩების დონეზეა. კერძოდ, იმ 180 ქვეყნიდან, რომლებთანაც საქართველოს აქვს დიპლომატიური ურთიერთობები, 51-ში ჩვენს ქვეყანას წარმომადგენელი საერთოდ არ ჰყავს. ასეთ შემთხვევაში დიპლომატიური ურთიერთობების არსებობა უფრო დეკლარაციული და ფორმალურია. დანარჩენ ქვეყნებში საქართველო ***ელჩის*** დონეზეა წარმოდგენილი, მაგრამ ასევე არ არის აუცილებელი, ელჩი მხოლოდ ერთ ქვეყანაში იყოს აკრედიტებული. საქართველოს ელჩების დიდი უმრავლესობა ერთდროულად რამდენიმე ქვეყანაშია ელჩად მივლინებული. ასეთ შემთხვევაში საელჩო იმ ქვეყნიდან, სადაც მდებარეობს, ფარავს კიდევ ერთ, ორ ან რამდენიმე ქვეყანას.

2018 წლისთვის საქართველოს საელჩო 55 სახელმწიფოს დედაქალაქში ფუნქციონირებდა, საიდანაც კიდევ 74 ქვეყანა იფარებოდა. ამრიგად, საქართველოს 55 ელჩი 129 ქვეყანაში იყო აკრედიტებული.

ბუნებრივია, საქართველოს საელჩო, უპირველეს ყოვლისა, იმ ქვეყნებშია, რომლებთანაც ქვეყანას მჭიდრო პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობები აქვს და რომლებთანაც ურთიერთობების ხანგრძლივი ტრადიციაა. ასეთი ქვეყნების უმრავლესობა ევროპაში, პოსტსაბჭოთა სივრცესა და ახლო აღმოსავლეთშია.

კერძოდ, *ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს* შორის საქართველოს საელჩო ყველა მათგანშია, გარდა ტაჯიკეთისა და ყირგიზეთისა, რომლებიც, შესაბამისად, უზბეკეთიდან და ყაზახეთიდან იფარება. თურქმენეთიდან იფარება ავღანეთი. რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობები 2008 წლის შემდეგ გაწყვეტილია.

პოსტსაბჭოთა სივრცის მსგავსი სიტუაციაა *ევროპაშიც,* სადაც სულ რამდენიმე ქვეყანაა, სადაც საქართველოს საელჩო არ არის და ელჩი სხვა ქვეყნიდან ასრულებს თავის მოვალეობას. ასეთი ქვეყნებია: ისლანდია (იფარება დანიიდან), ლუქსემბურგი (ბელგიიდან), სერბეთი (საბერძნეთიდან), ხორვატია და მონტენეგრო (უნგრეთიდან), ალბანეთი და ბოსნია-ჰერცეგოვინა (თურქეთიდან) და მიკროსახელმწიფოები: მალტა და სან-მარინო (იტალიიდან), მონაკო (საფრანგეთიდან), ანდორა (ესპანეთიდან), ლიხტენშტეინი (შვეიცარიიდან). რაც შეეხება ევროპაში მდებარე საქართველოს საელჩოებიდან დაფარულ არაევროპულ ქვეყნებს, ასეთებია: მაროკო და ალჟირი, რომლებიც ესპანეთიდან იფარება.

ახლო აღმოსავლეთში საქართველოს 8 საელჩო ფუნქციონირებს. აქედან თურქეთში, ყატარსა და ისრაელში ელჩებს არ აქვთ აკრედიტაცია სხვა ქვეყნებში. ელჩები ამ რეგიონის დანარჩენ სახელმწიფოებში კი სხვა ქვეყნებსაც ფარავენ. მაგალითად, ირანიდან იფარება პაკისტანი; საუდის არაბეთიდან – იემენი, ომანი და ბაჰრეინი და ა.შ.

ამერიკის კონტინენტზე მომუშავე საქართველოს ელჩებიდან მხოლოდ კანადასა და კუბაში მყოფი ელჩები არ ფარავენ სხვა ქვეყნებს. ლათინურ ამერიკაში არსებული სამი საელჩოდან (მექსიკაში, ბრაზილიასა და არგენტინაში) თითოეული მათგანი რამდენიმე ქვეყანას ფარავს; აშშ-იდან კი იფარება სამი ქვეყანა: ბაჰამის თანამეგობრობა, გრენადა და ჰაიტი.

მსგავსი სიტუაციაა *აზიის* ქვეყნებში. ჩინეთში საქართველოს ელჩი იმავდროულად არის ელჩი ვიეტნამსა და მონღოლეთში; ინდოეთიდან იფარება ტაილანდი, ბანგლადეში, ნეპალი, შრი-ლანკა და მალდივის რესპუბლიკა; სამხრეთ კორეასა და მალაიზიაში აკრედიტებული ელჩების უფლებამოსილება კი მხოლოდ ამ ქვეყნებით ისაზღვრება.

რაც შეეხება ტროპიკულ *აფრიკას* და *ავსტრალიიან ოკეანეთს,* გასაგებია, რომ აქ ერთი საელჩო (მაგალითად, საელჩო ეთიოპიაში ან საელჩო სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში) მრავალ ქვეყანას ფარავს. ხოლო ავსტრალიაში საქართველოს ელჩი ფარავს ახალ ზელანდიასა და ოკეანეთის რამდენიმე სახელმწიფოს.

საზღვარგარეთის ქვეყნების წარმომადგენლობები საქართველოში

2018 წლისთვის საქართველოში ელჩი ჰყავდა 116 სახელმწიფოს.

პირველი ქვეყანა, რომლის საელჩოც დაფუძნდა საქართველოში, იყო გერმანია (1992 წელს). დამოუკიდებლობის პირველ წელს თბილისში კიდევ ორი საელჩო ამოქმედდა – ამერიკის შეერთებული შტატებისა და თურქეთისა.

ამჟამად საქართველოს დედაქალაქში 37 საელჩო ფუნქციონირებს. აქედან 18 ევროპული ქვე-

ყნების საელჩოებია. გარდა გერმანიისა, თბილისში საელჩოები აქვთ: ავსტრიას, ბულგარეთს, დიდ ბრიტანეთს, ესპანეთს, ვატიკანს, იტალიას, ნიდერლანდს, პოლონეთს, რუმინეთს, საბერძნეთს, საფრანგეთს, სლოვაკეთს, უნგრეთს, შვედეთს, შვეიცარიასა და ჩეხეთს, აგრეთვე მალტის სუვერენულ ორდენს.

ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებიდან თბილისში არის: უკრაინის, ბელარუსის, ლიეტუვის, ლატვიის, ესტონეთის, სომხეთის, აზერბაიჯანის, ყაზახეთისა და თურქმენეთის საელჩოები.

ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებიდან თბილისში მდებარეობს: თურქეთის, ირანის, ისრაელის, ერაყის, ყატარისა და არაბთა გაერთიანებული საამიროების საელჩოები.

ამერიკის სახელმწიფოებიდან საქართველოში მხოლოდ აშშ-ისა და ბრაზილიის საელჩოები ფუნქციონირებს, ხოლო აზიიდან იაპონიისა და სამხრეთ კორეის.

აფრიკისა და ავსტრალია-ოკეანეთის არცერთ ქვეყანას არ აქვს საელჩო საქართველოში.

საზღვარგარეთის 79 ქვეყნის საელჩო სხვა სახელმწიფოებიდან ფარავს საქართველოს.

ამ თვალსაზრისით პირველ ადგილზეა თურქეთი. თურქეთში აკრედიტებული 22 ქვეყნის ელჩები იმავდროულად არიან ელჩები საქართველოში.

მრავალმხრივი დიპლომატიური ურთიერთობები

თანამედროვე ეპოქაში, გლობალიზაციის ერაში, განსაკუთრებულ როლს ასრულებენ ***საერთაშორისო ორგანიზაციები,*** რომლებიც შეიძლება იყვნენ *სამთავრობო* და *არასამთავრობო.* პირველი მათგანის წევრები არიან *სახელმწიფოები* და, შესაბამისად, ასეთ ორგანიზაციაში მათ საქმიანობაზე პასუხისმგებელი სახელმწიფოს მთავრობაა; არასამთავრობო საერთაშორისო ორგანიზაციების წევრები კი ადგილობრივი ორგანიზაციებია. მაგალითად, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრია არა საქართველოს სახელმწიფო, არამედ *საქართველოს ოლიმპიური კომიტეტი.* საქართველო, ამჟამად, რამდენიმე ასეულ საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციაშია წარმოდგენილი, ხოლო საქართველოს სახელმწიფო ორმოცზე მეტი საერთაშორისო სამთავრობო ორგანიზაციის წევრია.

მთავარ საერთაშორისო (გლობალურ და უნივერსალურ) ორგანიზაციაში – ***გაეროში*** საქართველო 1992 წლის 31 ივლისს მიიღეს, ყველაზე გვიან ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს შორის, რაც ქვეყნის შიდა პოლიტიკური ვითარებით იყო განპირობებული (არჩეული ხელისუფლება დამხობილი იყო, ხოლო ახალი არჩევნები ჯერ არ იყო ჩატარებული). იგი ამ ორგანიზაციის 179-ე წევრი გახდა. იმავე წელს საქართველო ახალი საერთაშორისო ორგანიზაციის – ***ბისეკის*** (შავი ზღვის ქვეყნების ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია) დამფუძნებელი წევრი გახდა; დამოუკიდებლობის მოპოვებისთანავე საქართველო გახდა ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის კონფერენციის *(**ეუთო**)* წევრი.

1993 წელს, აფხაზეთის ოკუპაციის შემდეგ, საქართველო აიძულეს, შესულიყო დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში *(**დსთ**),* მაგრამ 2008 წელს, რუსეთის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარების გამო, ჩვენმა ქვეყანამ ეს ორგანიზაცია დატოვა.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო საქართველოს გაწევრიანება ***ევროსაბჭოში*** 1999 წელს. ეს იყო აღიარება, რომ საქართველო უკვე ჩამოყალიბდა ევროპული ღირებულებების დემოკრატიულ სახელმწიფოდ და მისი მომავალი ევროპასთან არის დაკავშირებული. აქედან გამომდინარე, გასაგებია ის განსაკუთრებული ყურადღება, რომელსაც საქართველო უთმობს ევროატლანტიკური და ევროპული ინტეგრაციის საკითხებს, კერძოდ ***ევროკავშირსა*** და ***ნატოსთან*** ურთიერთობებს.

ამ ურთიერთობების წარმატებულად განვითარების მაგალითია ვიზალიბერალიზაცია, რაც საშუალებას აძლევს საქართველოს მოქალაქეებს, უვიზოდ იმოგზაურონ ევროკავშირის სახელმწიფოებში; ხოლო ნატოსთან ურთიერთობების ინტენსიფიკაციის გამოვლინებად უნდა ჩაითვალოს გახშირებული სამხედრო წვრთნები ნატოს წევრ სახელმწიფოებთან ერთად. განსაკუთრებით აღსანიშნავია ქართველი ჯარისკაცების აქტიური მონაწილეობა საერთაშორისო სამშვიდობო ოპერაციებში ავღანეთში, ერაყში, კოსოვოში, მალისა და ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში.

ამჟამად საქართველოში 25 საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლობა ფუნქციონირებს. ბუნებრივია, მათ შორის, პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს გაეროს, ევროკავშირის, ევროსაბჭოს, ეუთოს, ნატოს დიპლომატიური წარმომადგენლობები; ასევე, საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების წარმომადგენლობები (მსოფლიო ბანკი, საერთაშორისო სავალუტო ფონდი, აზიის განვითარების ბანკი და ა.შ.).

რაც შეეხება საქართველოს წარმომადგენლობებს საერთაშორისო ორგანიზაციებში, მას მხოლოდ *გაეროში, ნატოში, ევროსაბჭოსა* და *ჟენევაში მდებარე გაეროს სპეციალიზებულ დაწესებულებებში* ჰყავს ელჩი-რეზიდენტები. დანარჩენ ორგანიზაციებში (მათ შორის ევროკავშირსა და ეუთოში) ელჩის მოვალეობას ასრულებენ იმ ქვეყნებში აკრედიტებული ელჩები, სადაც ამ ორგანიზაციების შტაბ-ბინებია განლაგებული.

კითხვები:

1. რა ფაქტორები განაპირობებდა საქართველოს პოლიტიკური კავშირების ხასიათს ისტორიულად?
2. რა თავისებურებებით ხასიათდება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკური კავშირები?
3. რამ განაპირობა დიპლომატიური ურთიერთობების ინტენსიური დამყარება ლათინური ამერიკის, აფრიკისა და ოკეანეთის ქვეყნებთან 2009-2010 წლებში?
4. თქვენი აზრით, რომელ ქვეყნებშია საჭიროება, გაიხსნას საქართველოს ახალი საელჩოები და რატომ?
5. რომელი ქვეყნების საელჩოების გახსნის საჭიროებას ხედავთ თბილისში და რატომ?

დავალებები:

1. გააანალიზეთ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დიპლომატიური ურთიერთობების გეოგრაფიული სურათი.
2. გამოყავით ქვეყნები, სადაც საქართველოს აქვს საელჩოები და შეადარეთ იმ ქვეყნებს, რომლებსაც საქართველოში აქვთ საელჩოები. რომელი ქვეყნების შემთხვევაშია საელჩოები ორგანვე და რომელი ქვეყნების შემთხვევაში მხოლოდ ერთ მხარეს. ამ მეორე შემთხვევისთვის შეეცადეთ, დაადგინოთ მიზეზი, რატომ ანიჭებს ერთი მხარე უპირატესობას იმ ქვეყანას, რომლისთვისაც თვითონ ნაკლებად საინტერესოა.
3. შეაფასეთ საერთაშორისო ორგანიზაციების როლი საქართველოს პრობლემების გადაწყვეტაში.

თავი IV. საქართველოს მოსახლეობის გეოგრაფია

4.1. მოსახლეობის დინამიკა და ბუნებრივი მოძრაობა

მოსახლეობის დინამიკა არის მისი რაოდენობის ცვლილება დროში. მაშასადამე, ეს ნიშნავს, რომ მოსახლეობის დინამიკის შესწავლისას პასუხი უნდა გავცეთ კითხვას: რა იყო და რა გახდა, ანუ როგორ შეიცვალა მოსახლეობის რიცხოვნობა დროის გარკვეული პერიოდში.

მოვლენის დინამიკის დასახასიათებლად აგებენ ***დინამიკის მწკრივებს***. დინამიკური მწკრივის მაგალითს წარმოადგენს მოსახლეობის აღწერის წლებში საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობის მნიშვნელობათა მწკრივი (ცხრილი 1).

ცხრილი 1

საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობის დინამიკა
საყოველთაო აღწერების მიხედვით

	წლები								
	1897	**1926**	**1939**	**1959**	**1970**	**1979**	**1989**	**2002**	**2014**
მოსახლეობის რიცხოვნობა (ათასობით).	1 968,8	2 666,5	3 540,0	4 044,0	4 674,6	4 993,2	5 400,8	4 371,5	3 713,8

დინამიკის პროცესის შესწავლისთვის გამოითვლება ***აბსოლუტური მატება*** და ***მატების ტემპი.*** *აბსოლუტური მატება* – ეს არის დინამიკური მწკრივის ორ დონეს შორის სხვაობა. იგი გვიხასიათებს დროის ერთეულში დინამიკის მწკრივის დონეთა ცვლილებას (აბსოლუტურ გამოსახულებებში). შესადარ დონეს ეწოდება *მიმდინარე*, ხოლო იმ დონეს, რომელთანაც ხდება შედარება – *საბაზისო*.

თუკი ხორციელდება თითოეული მოცემული დონის მის წინა დონესთან შედარება, მაშინ იღებენ *ჯაჭვური წესით* გამოანგარიშებულ აბსოლუტურ მატებას, ხოლო თუ თითოეულ დონეს უდარებენ საწყის ან რომელიმე სხვა, მუდმივ ბაზად მიღებულ დონეს, მაშინ იღებენ *საბაზისო წესით* გამოთვლილ აბსოლუტურ მატებებს.

როგორც მოტანილი მონაცემებიდან (ცხრილი 2) ჩანს, 1897-იდან 1989 წლამდე პერიოდში საქართველოს მოსახლეობა განუხრელად *იზრდებოდა*, 1989-იდან 2014 წლამდე პერიოდში კი განუხრელად *კლებულობდა*. თუმცა აღწერებს შორის პერიოდებში აბსოლუტური მატების (ან კლების) მონაცემები სრულიად განსხვავებული იყო. მაგალითად, აბსოლუტური მატება ყველაზე მეტი (873,5 ათასი) იყო 1926-1939 წლების 13-წლიან პერიოდში, ყველაზე დიდი აბსოლუტური კლება კი დაფიქსირდა 1989-2002 წლების ისევ 13-წლიან პერიოდში. ამ დინამიკას თავისი ახსნა აქვს. საქართველოს მოსახლეობა ყოველთვის, ძირითადად, ბუნებრივი მატების ხარჯზე იზრდებოდა, თუმც 1926-1939 წლებში მეტად მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მექანიკურმა მატებამაც. მიუხედავად იმისა, რომ 1920-იანი წლების დასაწყისში ქვეყანა დატოვა ქართულმა პოლიტიკურმა ემიგრაციამ და ბევრიც შიგა დაპირისპირებებს შეეწირა, გასაბჭოების პერიოდში საქართველოში დაიწყო სხვა რესპუბლიკებიდან მიგრანტების შემოსვლა, რომლებიც ბოლშევიკურ რეპრესიებს განერიდნენ. 1926-1939 წლებში მათი რაოდენობა საქართველოში 110,5 ათასიდან 354,0 ათასამდე გაიზარდა. ამავე პერიოდში ჩამოსულთა ხარჯზე მნიშვნელოვნად მოიმატა სომხების რიცხოვნობამ – 307-იდან 414 ათასამდე. ცხადია, მოსახლეობაზე უარყოფითად აისახა 1937 წლის რეპრესიები, თუმც ზუსტი რიცხვის დადგენა შეუძლებელია (საქართველოს გეოგრაფია, 2003, 34).

ცხრილი 2

საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობის აბსოლუტური მატების დინამიკა
საყოველთაო აღწერების მიხედვით

რიგითი №	აღწერის წლები	მოსახლეობის რიცხოვნობა (ათასობით)	აბსოლუტური მატება	
			ჯაჭვური წესით	საბაზისო წესით
1	1897	1 968,8	–	–
2	1926	2 666,5	2666,5–1968,8=**697,7**	2666,5–1968,8=697,7
3	1939	3 540,0	3540,0–2666,5=**873,5**	3540,0–1968,8=1571,2
4	1959	4 044,0	4044,0–3540,0=**504,0**	4044,0–1968,8=2075,2
5	1970	4 674,6	4674,6–4044,0=**630,6**	4674,6–1968,8=2705,8
6	1979	4 993,2	4993,2–4674,6=**318,6**	4993,2–1968,8=3024,4
7	1989	5 400,8	5400,8–4993,2=**407,6**	5400,8–1968,8=3432,0
8	2002	4 371,5	4371,5–5400,8= –**1029,3**	4371,5–1968,8=2402,7
9	2014	3 713,8	3 713,8–4 371,5= –**657,7**	**3 713,8–1 968,8=1 745,0**

რაც შეეხება მოსახლეობის უპრეცედენტო კლების ტენდენციას, რომელიც აღინიშნა 1989-2002 წლებში, მისი მიზეზი საქართველოს დამოუკიდებლობის შემდგომ მეტად გართულებულ პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ სიტუაციას, სამხედრო დაპირისპირებებსა და სამოქალაქო ომს უკავშირდება. შედეგად, ასიათასობით ადამიანმა დატოვა ქვეყანა; კონფლიქტებში დაღუპულთა რიცხვმა კი 12 ათასს მიაღწია (წულაძე, ბადურაშვილი, 1999; საქართველოს გეოგრაფია, 2003, 29).

რაც შეეხება *მატების ტემპს – ის* არის დინამიკის შეფარდებითი მაჩვენებელი, რომელიც წარმოადგენს აბსოლუტური მატების შეფარდებას დინამიკის იმ დონესთან, რომლის მიმართაც ის იანგარიშება. მატების ტემპი გამოისახება პროცენტებში (ცხრილი 3).

ცხრილი 3

საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობის მატების ტემპის
დინამიკა საყოველთაო აღწერების მიხედვით

რიგითი №	აღწერის წლები	მოსახლეობის რიცხოვნობა (ათასობით)	**მატების ტემპი**	
			ჯაჭვური წესით	საბაზისო წესით
1	1897	1968,8	–	–
2	1926	2666,5	$\frac{2666,5-1968,8}{1968,8}\times 100 = 35,4\%$	$\frac{2666,5-1968,8}{1968,8}\times 100 = 35,4\%$
3	1939	3540,0	$\frac{3540,0-2666,5}{2666,5}\times 100 = 32,8\%$	$\frac{3540,0-1968,8}{1968,8}\times 100 = 79,8\%$
4	1959	4044,0	$\frac{4044,0-3540,0}{3540,0}\times 100 = 14,2\%$	$\frac{4044,0-1968,8}{1968,8}\times 100 = 105,4\%$
5	1970	4674,6	$\frac{4674,6-4044,0}{4044,0}\times 100 = 15,6\%$	$\frac{4674,6-1968,8}{1968,8}\times 100 = 137,4\%$
6	1979	4993,2	$\frac{4993,2-4674,6}{4674,6}\times 100 = 6,8\%$	$\frac{4993,2-1968,8}{1968,8}\times 100 = 153,6\%$
7	1989	5400,8	$\frac{5400,8-4993,2}{4993,2}\times 100 = 8,2\%$	$\frac{5400,8-1968,8}{1968,8}\times 100 = 174,3\%$
8	2002	4371,5	$\frac{4371,5-5400,8}{5400,8}\times 100 = -19,1\%$	$\frac{4371,5-1968,8}{1968,8}\times 100 = 122,0\%$
9	2014	3713,8	$\frac{3713,8-4371,5}{4371,5}\times 100 = -15,0\%$	$\frac{3713,8-1968,8}{\mathbf{1968,8}}\times 100 = \mathbf{88,6}\%$

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მოსახლეობის რიცხოვნობის დინამიკა გულისხმობს მისი რაოდენობის ცვლილებას დროში. თუ, მაგალითად, P_0-ით აღვნიშნავთ მოსახლეობის რიცხოვნობას წლის დასაწყისისთვის (როგორც წესი, 1 იანვრის მდგომარეობით), ხოლო P_1-ით მის რიცხოვნობას წლის ბოლოსათვის (როგორც წესი, 31 დეკემბრის ან, რაც იგივეა, მომდევნო წლის დასაწყისის, ანუ 1 იანვრისათვის), მაშინ მათ შორის არსებული დამოკიდებულება შეიძლება გამოვსახოთ შემდეგი ფორმულით:

$$P_1 - P_0 = N - M + I - E$$

სადაც $P_1 - P_0$ არის მოსახლეობის საერთო მატება;

N – წლის განმავლობაში ცოცხლად დაბადებული ბავშვების რიცხვი;

M – წლის განმავლობაში გარდაცვლილი ადამიანების რიცხვი;

I –წლის განმავლობაში ჩამოსული იმიგრანტების რაოდენობა;

E – წლის განმავლობაში წასული ემიგრანტების რაოდენობა.

სწორედ ამ ფორმულით სარგებლობენ აღწერებს შორის პერიოდში მოსახლეობის რიცხოვნობის დასადგენად.

მოსახლეობის ბუნებრივი მატება არის დროის განსაზღვრული შუალედისთვის დაბადებულთა (*N*) და გარდაცვლილთა (*M*) რიცხვებს შორის სხვაობის აბსოლუტური სიდიდე. მთელი დედამიწის მოსახლეობა იცვლება მხოლოდ ბუნებრივი მატების საფუძველზე.

მოსახლეობის მიგრაციული მატება ანუ ***მიგრაციის სალდო*** (იტალ. *saldo* – სხვაობა, ნაშთი შემოსავალსა და გასავალს შორის) არის სხვაობა დროის გარკვეულ პერიოდში მოცემულ ტერიტორიაზე გადმოსახლებულ და ამ ტერიტორიიდან გადასახლებულ ადამიანთა რიცხვებს შორის. ის შეიძლება იყოს უარყოფითიც, თუკი ქვეყანაში შემოსული მოსახლეობა აჭარბებს ქვეყნიდან გასული მოსახლეობის რაოდენობას. მოსახლეობის მიგრაციული მატება ახასიათებს მხოლოდ მიგრაციის შედეგს და არა მის რეალურ მასშტაბებს. მოსახლეობის მიგრაციული მატების ფარდობით მოცემული ტერიტორიის მოსახლეობის საშუალოწლიურ რიცხოვნობასთან ანგარიშობენ *შეფარდებით მოსახლეობის მიგრაციულ მატებას*, ხოლო მიგრაციის ბრუნვასთან შეფარდებით – *მიგრაციის ეფექტურობას.*

ბუნებრივი მატება[1] მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მახასიათებელია. ტერმინი „მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობა“ გაჩნდა მე-19 საუკუნის მე-2 ნახევრის გერმანულ სტატისტიკაში, რომელიც გამიჯნავდა *მოსახლეობის მდგომარეობასა* და *მოსახლეობის მოძრაობას*. მოსახლეობის ბუნებრივ მოძრაობას, ჩვეულებრივ, აკუთვნებენ აგრეთვე ქორწინებასა და განქორწინებას, რომლებიც, თუმც ვერ ცვლიან მოსახლეობის რიცხოვნობას, მაგრამ აღირიცხება იმავე წესით, როგორც დაბადება და გარდაცვალება.

შობადობის ზოგადი კოეფიციენტი გვიჩვენებს, თუ საშუალოდ რამდენი ბავშვი იბადება წლის განმავლობაში ცოცხლად, მოსახლეობის ყოველ 1000 სულზე გაანგარიშებით. ის გამოისახება პრომილეებში (‰).

მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტი გვიჩვენებს, თუ საშუალოდ რამდენი ადამიანი კვდება წლის განმავლობაში მოსახლეობის ყოველ 1000 სულზე გაანგარიშებით და გამოისახება პრომილეებში.

მოსახლეობის ***ბუნებრივი მატების ზოგადი კოეფიციენტი*** კი არის სხვაობა შობადობისა და მოკვდაობის ზოგად კოეფიციენტებს შორის. ის შეიძლება იყოს როგორც დადებითი, ასევე ნულის ტოლი და უარყოფითიც კი (უარყოფითი მაჩვენებელი შეიძლება გამოწვეული იყოს როგორც მოსახლეობის საერთო რიცხოვნობის კლებით, ასევე შობადობაზე მაღალი მოკვდაობით, რასაც ***დეპოპულაციას*** უწოდებენ).

მე-20 საუკუნის 1930-იან წლებში საქართველოს მოსახლეობის უმაღლესი ბუნებრივი მატება (18,6‰), განპირობებული იყო შემცირებული მოკვდაობით (8,8‰) შობადობა კი, 27,4 ‰-ს შეადგენდა (საქართველოს გეოგრაფია, 2013, 222-223). ეს მაჩვენებელი მიღწეულ იქნა ქვეყანაში ინფექციური დაავადებების დამარცხებით და სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების გაუმჯობესებით; მშობიარობის სტაციონარში მიღებამ კი უფრო მეტი ახალშობილისა და დედის სიცოცხლის შენარჩუნებას შეუწყო ხელი.

II მსოფლიო ომით გამოწვეული კლების შემდეგ ბუნებრივი მატების მაღალი დონე ისევ განმეორდა 1950-იან წლებში, როცა საქართველო, როგორც საბჭოეთის სხვა რესპუბლიკები და დასავლეთის ქვეყნები, „ბეიბი ბუმმა“ მოიცვა. 1960-იან წლებამდე ჩვენი ქვეყნის დემოგრაფიული პარამეტრები (შობადობა – მოკვდაობა – ბუნებრივი მატება), შესაბამისად, შეადგენდა 23,8‰ – 6,7‰ – 17,1‰-ს (საქართველოს გეოგრაფია, 2003, 31). ამ დინამიკის მთავარი მიზეზი მკვეთრად შემცირებული სიკვდილიანობა გახლდათ, რაც, დიდწილად, მედიცინის წინსვლით (მათ შორის, ბრიტანეთში პირველი ანტიბიოტიკის, პენიცილინის, მიღებით) იქნა მიღწეული. 1960 წლის შემდეგ შობადობის დაქვეითება და სიკვდილიანობის ზრდა გაგრძელდა მთელი 70-იანი და 80-იანი წლების განმავლობაში.

[1] ზოგჯერ „ბუნებრივი მატების“ ნაცვლად იყენებენ ტერმინს – „ბუნებრივი ნამატი“, რაც არასწორია, რადგანაც ამგვარი ტერმინი უფრო ხშირად გამოიყენება ზოოტექნიკაში და არა დემოგრაფიასა და გეოგრაფიაში, სადაც ტრადიციულად დამკვიდრებულია „ბუნებრივი მატება“.

საქართველოს მოსახლეობის მასშტაბური კლება 1990 წლის შემდეგ დაიწყო, როცა ქვეყანა უმძიმესი პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისის წინაშე აღმოჩნდა. 1995 წლისათვის ბუნებრივი მატების მაჩვენებელი აღარ აღემატებოდა 1,5‰-ს, რაც 2000 წელს 0,3‰-მდე შემცირდა (დემოგრაფიული ვითარება, 2017, 21).

უკანასკნელი 12 წლის განმავლობაში საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობა არაერთგვაროვნად იცვლებოდა (ცხრილი 4). 2008-2014 წლებში განუხრელი კლების შემდეგ, ის ოდნავ გაიზარდა, თუმც 2019 წლიდან კვლავ კლებით შეიცვალა; ბუნებრივი მატების კოეფიციენტმა კი 2020 წლისათვის უარყოფითი გამოსახულება მიიღო.

ცხრილი 4

საქართველოს მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის
მაჩვენებლები 2008-2020 წლებში

წლები	მოსახლეობის რიცხოვნობა 1 იანვრის მდგომარეობით (ათასი ადამიანი) (P)	დაბადებულთა რიცხვი (N)	გარდაცვლილთა რიცხვი (M)	ბუნებრივი მატება	საშუალოწლიური მოსახლეობა	შობადობის ზოგადი კოეფიციენტი	მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტი	ბუნებრივი მატების ზოგადი კოეფიციენტი
A	1	2	3	4	5	6	7	8
2008	3 847.6	52 442	50 490	1 952	3 848,4	13.6	13.1	0.5
2009	3 829.0	56 568	50 794	5 774	3 814,4	14.8	13.3	1.5
2010	3 799.8	55 230	51 066	4 164	3 786,7	14.6	13.5	1.1
2011	3 773.6	51 565	49 818	1 747	3 756,4	13.7	13.3	0.5
2012	3 739.3	49 969	49 347	622	3 728,9	13.4	13.2	0.2
2013	3 718.4	49 657	48 564	1 093	3 717,7	13.4	13.1	0.3
2014	3 716.9	60 635	49 087	11 548	3 719,4	16.3	13.2	3.1
2015	3 721.9	59 249	49 121	10 128	3 725,3	15.9	13.2	2.7
2016	3 728.6	56 569	50 771	5 798	3 727,5	15.2	13.6	1.6
2017	3 726.4	53 293	47 822	5 471	3 728,0	14.3	12.8	1.5
2018	3 729.6	51 138	46 524	4 614	_	13.7	12.4	1.2
2019	3 723.5	48 296	46 659	1637	3 720.2	13,1	12,5	0,4
2020	3 716.9	46 520	50 537	-4017	3 722.7	12,5	13,6	-1,1

წყარო: *„მოსახლეობა“, 2021, საქსტატი*

მოსახლეობის რიცხოვნობისგან განსხვავებით, კიდევ უფრო ცვალებადი იყო იმავე პერიოდის ბუნებრივი მატების მაჩვენებლების დინამიკა. მაგალითად, თუ 2008 წელს საქართველოს მოსახლეობის ბუნებრივი მატების ოდენობა 1952 ადამიანს შეადგენდა, უკვე მომდევნო 2009 წელს მან 5 774-ს მიაღწია, ანუ წინა წელთან შედარებით თითქმის სამჯერ (2,96-ჯერ) მოიმატა. ეს, უმთავრესად, ცოცხლადდაბადებული ბავშვების რიცხვის ზრდით იყო განპირობებული, რომელიც იმავე ერთი წლის განმავლობაში 52 442-იდან 56 568-ამდე გაიზარდა. უფრო მეტიც, იგივე ცხრილი 4-ის მონაცემებიდან ჩანს, რომ ბუნებრივი მატების უჩვეულოდ სწრაფი ზრდა აღინიშნა 2014 წელს, რომელმაც, წინა, 2013 წელთან შედარებით 1093-იდან 11 548-ამდე, ე.ი. 10,6-ჯერ მოიმატა, რაც ძნელად ასახსნელი და ნაკლებად დამაჯერებელია, რადგან, როგორც წესი, ცოცხლადდაბადებულთა რიცხვის ასეთი სწრაფი (22,1%-ით) ზრდა ერთ წელიწადში, პრაქტიკულად, შეუძლებელია. ამიტომაც ვვარაუდობთ, რომ ეს შეიძლება გამოწვეული იყოს, ძირითადად, სტატისტიკური აღრიცხვის ხარვეზებით, კერძოდ: 2014 წლის მოსახლეობის აღწერამ აჩვენა განსხვავება რეგისტრირებულ ცოცხლად დაბადებულთა რაოდენობასა და აღწერიდან მიღებულ მონაცემებს შორის, რამაც დღის წესრიგში დააყენა წინა წლების ძირითადი დემოგრაფიული მონაცემების გადაანგარიშებისა და განახლების აუცილებლობა, რათა უზრუნველყოფილიყო ისტორიული მწკრივის ჰარმონიზაცია აღწერიდან მიღებულ შედეგებთან.

ამასთანავე, 2011 წლიდან სისტემაში შევიდა ცვლილებები – დაბადების და გარდაცვალების ფაქტის რეგისტრაცია სავალდებულო გახდა 5 დღის ვადაში, რამაც მნიშვნელოვნად გაზარდა დაბადებულთა და გარდაცვლილთა აღრიცხვიანობა. შესაბამისად, ***ბუნებრივი მატების შესახებ მონაცემები 1995-2013 წლებში წარმოადგენს შეფასებით მონაცემებს, 2014 წლიდან კი ეყრდნობა რეგისტრირებულ მონაცემებს*** (წიკლაური, 2019, ელექტრონული მიმოწერა).

მე-4 ცხრილიდან ჩანს, რომ 2017 წელს საქართველოში ბუნებრივი მატების ზოგადი კოეფიციენტი 1,5‰-ს შეადგენდა, ანუ საქართველოს მოსახლეობა, ბუნებრივი მოძრაობის ხარჯზე, ყოველ 1000 სულზე წელიწადში 1,5 ადამიანით იმატებდა. საქმე ის არის, რომ გარე მიგრაციის უარყოფითი სალდოს საკმაოდ მყარი ტენდენციის პირობებში (ცხრილი 5) ბუნებრივი მატების ზოგადი კოეფიციენტის ასეთი მცირე დონე სულ უფრო აძნელებს მოსახლეობის რიცხოვნობის შენარჩუნების შესაძლებლობას. ამიტომაც საჭიროა, რომ აქტიური დემოგრაფიული პოლიტიკის გატარების გზით ქვეყნის ხელისუფლებამ იზრუნოს მოსახლეობის ბუნებრივი მატების დონის გაზრდაზე, რათა თავიდან ავიცილოთ ჯერ კიდევ 1990-იანი წლების დასაწყისიდან მომდინარე დეპოპულაციის გარდაუვალი და უაღრესად ნეგატიური პროცესი.

ცხრილი 5

საქართველოს მოსახლეობის გარე მიგრაციის
სალდო 2008-2020 წლებში

წელი	გარე მიგრაციული სალდო	კოეფიციენტი მოსახლეობის 1 000 ადამიანზე
2008	-20 542	-5,3
2009	-34 948	-9,2
2010	-30 438	-8,0
2011	-35 982	-9,6
2012	-21 521	-5,8
2013	-2 606	-0,7
2014	-6 620	-1,8
2015	-3 408	-0,9
2016	-8 060	-2,2
2017	-2 212	-0,6
2018	-10 783	-2,9
2019	-8 243	-2,2
2020	15 732	4,2

წყარო: *„მოსახლეობა“, 2021, საქსტატი*

მოსახლეობის ბუნებრივი მატება არ არის ერთგვაროვანი ქვეყნის რეგიონების მიხედვით. ზოგიერთ რეგიონში უკვე დიდი ხანია, მიმდინარეობს მოსახლეობის ბუნებრივი მატება უარყოფითი ნიშნით, ე.ი. ბუნებრივი კლება და, პირიქით, არის ისეთი რეგიონებიც, რომლებსაც ბუნებრივი კლება ჯერ არ შეხებია. გარდა ამისა, არის რეგიონები, სადაც ბუნებრივი კლება მხოლოდ ცალკეულ წლებში (ეპიზოდურად) დაფიქსირდა და არა ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში.

როგორც ცხრილი 6-იდან ჩანს, ბოლო ათწლეულის (2010-2020 წწ.) განმავლობაში მხოლოდ დადებითი ბუნებრივი მატების ტენდენციით გამოირჩეოდნენ: თბილისის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა და ქვემო ქართლის რეგიონები. გურიის, იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის, ასევე სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონებში კი, მთელი საანალიზო პერიოდის განმავლობაში, აღინიშნებოდა ბუნებრივი კლება. რაც შეეხება კახეთის, და მცხეთა-მთიანეთის რეგიონებს, მათში ეპიზოდურად ირღვეოდა ბუნებრივი კლების ტენდენცია, რაც, თავისი მასშტაბებიდან გამომდინარე, ვერ ცვლიდა ბუნებრივი კლების საერთო სურათს. რაც შეეხება სამცხე-ჯავახეთსა და შიდა ქართლში კი, პირიქით, ეპიზოდური ხასიათი ჰქონდა ამ მოვლენას, რაც ასევე ვერ ცვლიდა დადებითი ბუნებრივი მატების მთლიან ტენდენციას.

მოსახლეობის ბუნებრივი მატების აღნიშნული რეგიონული განსხვავებები იმაზეც მეტყველებს, რომ, ძირითადად, ბუნებრივი კლება ხდება ქართველებით დასახლებულ რეგიონებში (გურია, იმერეთი, კახეთი, მცხეთა-მთიანეთი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი, სამეგრელო და ზემო სვანეთი), ხოლო უმეტესად არაქართველებით დასახლებული რეგიონებისთვის (ქვემო ქართლი, სამცხე-ჯავახეთი, შიდა ქართლი) ბუნებრივი მატებაა დამახასიათებელი. ასეთი მდგომარეობა მეტად საყურადღებოა და იმაზეც მიანიშნებს, რომ დემოგრაფიული პოლიტიკის ღონისძიებები აუცილებლად უნდა ითვალისწინებდეს ქვეყნის რეგიონულ თავისებურებებს, რათა დროულად ავიცილოთ თავიდან ავტოქთონი ერის დამცრობისა და დაკნინების კარს მომდგარი შედეგი.

ცხრილი 6

საქართველოს მოსახლეობის ბუნებრივი მატება
რეგიონების მიხედვით 2008-2020 წლებში (ათასი ადამიანი)

რეგიონი	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020
საქართველო	4 164	1 747	622	1 093	11 548	10 128	5 798	5 471	4614	1637	-4017
თბილისი	5 760	3 847	3 025	2 826	5 645	5 132	4 064	2 930	4039	3473	1393
აფხაზეთის ა/რ	-	-	-	-	-	-	-	-			
აჭარის ა/რ	1 630	1 591	1 546	1 627	2 919	2 824	2 355	2 628	2362	2333	1346
გურია	-454	-558	-617	-619	-243	-227	-297	-390	-419	-575	-699
იმერეთი	-1 285	-1 706	-1 739	-1 820	-229	-210	-1 318	-1 159	-1248	-1968	-2716
კახეთი	-1 053	-1 339	-861	-737	187	255	-229	-84	-370	-648	-716
მცხეთა-მთიანეთი	-38	-134	-315	-218	-49	-184	-236	-165	-262	-365	-483
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	-654	-554	-626	-510	-399	-473	-496	-395	-328	-402	-505
სამეგრელო-ზემო სვანეთი	-1 982	-1 614	-1 597	-1 525	-169	-399	-735	-683	-932	-1401	-1660
სამცხე-ჯავახეთი	-14	167	81	152	248	182	296	237	180	-41	-143
ქვემო ქართლი	2 145	2 174	1 762	1 967	2 977	2 659	2 037	2 342	1654	1473	638
შიდა ქართლი	109	-127	-37	-50	661	569	357	210	-62	-242	-472

წყარო: *„მოსახლეობა“, 2021, საქსტატი*

საქართველოს მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის შესახებ საუბრისას უნდა აღინიშნოს *„დემოგრაფიული ორმოსა“* და *„დემოგრაფიული ექოს“* შესახებ, რაც გულისხმობს იმას, რომ მცირე თაობა რეპროდუქციულ ასაკში იძლევა მცირე შთამომავლობას. ეს მოვლენები პირველად 1940-იან და 1960-იან წლებში აღინიშნა. საქართველოს მოსახლეობის ბუნებრივი მატების მკვეთრი დაცემა 60-იანი წლების შუა პერიოდიდან აღინიშნა, როცა საგრძნობლად შემცირდა შობადობის კოეფიციენტი. ამ „დემოგრაფიული ექოს“ მიზეზი იყო 1940-იანი წლების („დემოგრაფიული ორმო“) მეტად მცირე თაობა, რომელმაც რეპროდუქციულ ასაკში დაიწყო შესვლა (საქართველოს გეოგრაფია, 2003, 31). მსგავსი მოვლენა განმეორდა 1990-იან წლებშიც, როდესაც, ფაქტობრივად, განახევრდა დაბადებულ ბავშვთა რაოდენობა („დემოგრაფიული ორმო“). თუკი 1990 წელს საქართველოში 92 815 ბავშვი დაიბადა, 2000 წელს მისი მაჩვენებელი აღარ აღემატებოდა 48 800 (დემოგრაფიული ვითარება, 2017, 22). მიუხედავად იმისა, რომ მას შემდეგ შობადობის მცირე მატება ხდება, 2010 წლიდან საქორწინო ასაკში შესული ეს თაობა აუცილებლად მოგვცემს „დემოგრაფიულ ექოს“ მომდევნო ათწლეულებშიც. ამ პრობლემას, ცხადია, მეორე მიზეზიც ემატება – აქტიური ემიგრაცია, როცა საქართველო 1990-იანი წლებში რეპროდუქციულ ასაკში მყოფმა ნახევარ მილიონზე მეტმა ადამიანმა დატოვა (გოგუაძე, 2018).

ქორწინება და ***განქორწინებაც*** მოსახლეობის დემოგრაფიულ მდგომარეობას ასახავს, თუმც ის სოციალური და არა ბუნებრივი მოძრაობაა. თითქმის ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში ქორწინებებს საქართველოში კლების ტენდენცია აქვს (1990 წელს – 36 812 და 2016 წელს – 25 101 ქორწინება). განქორწინებათა რიცხვი კი მკვეთრად მცირდებოდა 1990-2005 წლებში (7796-იდან 1928-ამდე), შემდეგ კი განუხრელად იზრდება (9539 განქორწინება 2016 წელს). ქორწინების ყველაზე დიდი რაოდენობა 20-29 წლამდე ასაკობრივ ჯგუფზე მოდის. განქორწინებათა რიცხვი კი ყველაზე მეტია 30-იდან 39-ამდე წლის ასაკის მოსახლეობაში. განქორწინებულ წყვილთა რაოდენობით ლიდერობს თბილისი (დემოგრაფიული ვითარება, 2017, 74; 91-92; 97).

კითხვები:

1. როგორ გამოითვლება მოსახლეობის ბუნებრივი მატება, თუკი ცნობილია მოსახლეობის საერთო და მიგრაციული მატება?
2. რას გვიჩვენებს შობადობის კოეფიციენტი? სიკვდილიანობის კოეფიციენტი? ბუნებრივი მატების კოეფიციენტი?

დავალება:

1. გამოთვალეთ საქართველოს მოსახლეობის მატების ტემპი 1990 წლიდან 2000 წლამდე, 2000 წლიდან 2010 წლამდე და 2010 წლიდან დღემდე. შეადარეთ აღნიშნული ათწლეულები ერთმანეთს.

გამოყენებული ლიტერატურა:

გოგუაძე თ., უფრო მეტი გარდაცვლილი, ვიდრე დაბადებული, ფორტუნა, 20 თებერვალი, 2018, ნანახია 2018 წლის 25 აგვისტოს, http://fortuna.ge/ufro-meti-gardacvlili-vidre-dabadebuli-sagangasho-demografiuli-statistika/

დემოგრაფიული ვითარება საქართველოში, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2017, ნანახია 2018 წლის 25 აგვისტოს, http://geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/population/Demografiuli%20Vitareba%20SaqartveloSi-Krebuli%202017.pdf

მოსახლეობა, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2021, ნანახია 2021 წლის 25 აგვისტოს, http://www.geostat.ge/?action=page&p_id=151&lang=geo

საქართველოს გეოგრაფია, ნაწილი II, ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტი, თბილისი, 2003.

საქართველოს გეოგრაფია, ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტი, თბილისი, 2013.

4.2. მოსახლეობის მიგრაცია

შიდა მიგრაცია

შიდა მიგრაციის შესწავლა საშუალებას გვაძლევს, ვიმსჯელოთ ქვეყანაში მიმდინარე უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ პროცესებზე. მიგრაციის კვლევაში განსაკუთრებული ადგილი ეთმობა ტერიტორიული თავისებურებებისა და კანონზომიერებების გამოვლენას. 2002 და 2014 წლების საქართველოს მოსახლეობის საყოველთაო აღწერების შედეგები საშუალებას გვაძლევს, განვიხილოთ და შევაფასოთ ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე შიდა გადაადგილებების ძირითადი გეოგრაფიული (რეგიონული) ტენდენციები.

მოსახლეობის უკანასკნელ ორ აღწერათა შორის პერიოდში საქართველოში შეიცვალა *ქალაქი-სოფლის მოსახლეობის სტრუქტურა.* როგორც ცნობილია, ქვეყნის მთელი მოსახლეობა დაახლოებით 600 ათასზე მეტი ადამიანით შემცირდა. სასოფლო მოსახლეობამ თითქმის 1/3-ით დაიკლო (500 ათასი ადამიანით). სოფლის მოსახლეობის ასეთი მნიშვნელოვანი კლება ინტენსიური შიდა და გარე მიგრაციებითაა განპირობებული.

დიაგრამა 1

საქართველოს მოსახლეობა 2002 და 2014 წლებში (ქალაქი/სოფლის ჭრილი. ათასი ადამიანი)



შედგენილია წყაროს მიხედვით: მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერა. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი)

როგორც დიაგრამა 1-იდან ჩანს, საქალაქო მოსახლეობის წილი ქვეყნის მთელ მოსახლეობაში გაიზარდა (5%-ით). ეს გამოიწვია როგორც შიდა მიგრაციამ (რუსთავის შემთხვევა), ასევე ზოგიერთი ქალაქის საზღვრების გაფართოებამ (თბილისისა და ბათუმის შემთხვევები).

დიაგრამა 2

თბილისში მიგრანტების პროცენტული განაწილება
წინა მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით (2014 წ.)



შედგენილია წყაროს მიხედვით: მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერა. (საქსტატი)

მოსახლეობის უკანასკნელი აღწერის მიხედვით, ქვეყნის მოსახლეობის ¼ თბილისში ცხოვრობს. უფრო მეტიც, შიდა მიგრანტების მესამედი სწორედ დედაქალაქშია თავმოყრილი. ამ მოვლენას მარტივი ახსნა აქვს. უკანასკნელი 25 წლის განმავლობაში საქართველოს უმნიშვნელოვანესი პრობლემაა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაბალი დონე. შესაბამისად, მოსახლეობის ყოფისთვის დამახასიათებელია დასაქმების შეზღუდული შესაძლებლობა და მატერიალური სიდუხჭირე. ზოგადად მსხვილი ქალაქები, კონკრეტულად კი თბილისი, შრომითი მოწყობის უფრო მაღალი შესაძლებლობით გამოირჩევა. ამასთან, ის ქვეყნის უდიდესი საგანმანათლებლო ცენტრია. თბილისის მოსახლეობის ზრდა ტერიტორიულმა გაფართოებამაც გამოიწვია. უკანასკნელი 10-15 წლის განმავლობაში დედაქალაქმა ახლომდებარე სოფლები და დასახლებები შეიერთა. ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში თბილისის მოსახლეობის ზრდაში განსაკუთრებული ადგილი იმერეთიდან, კახეთიდან, სამეგრელოდან მიგრაციას ეკავა. დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, 1990-იან წლებში, თბილისს თავი შეაფარა აფხაზეთიდან დევნილმა ათიათასობით ადამიანმა; 2008 წლის საქართველო-რუსეთის ომის შედეგად, რასაც ცხინვალის რეგიონიდან ეთნიკური ქართველების გამოდევნა მოჰყვა, თბილისს 5 ათასამდე სამაჩაბლოელი დევნილი შეემატა. მთლიანად კი იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მონაცემების მიხედვით, 2008 წლის კონფლიქტის შედეგად საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან საცხოვრებელი ადგილის დატოვება მოუხდა 22 ათას ადგილნაცვალ პირს, მათგან 15 912-ს დევნილის სტატუსი აქვს მინიჭებული.

დიაგრამა 3

მიგრანტების განაწილება თბილისის მუნიციპალიტეტების
მიხედვით (2014 წ.)



შედგენილია წყაროს მიხედვით: მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერა. (საქსტატი)

საგულისხმოა, რომ თბილისი ყველაზე ნაკლებად მიმზიდველი აჭარის მოსახლეობისთვისაა (დიაგრამა 2). ამჟამად დედაქალაქში აჭარიდან გამოსული, დაახლოებით, 11 ათასი ადამიანი ცხოვრობს, რაც გაცილებით ნაკლებია, ვიდრე სხვა რეგიონებიდან ჩამოსულთა რიცხვი. შიდა მობილობა ასევე დაბალია ქვემო ქართლსა და სამცხე ჯავახეთში, რაც ეთნიკური ფაქტორითაა განპირობებული. ამ რეგიონებში მრავლად ცხოვრობს ეთნიკურად არაქართველი მოსახლეობა (ქვემო ქართლში – აზერბაიჯანლები, სამცხე-ჯავახეთში – სომხები), რომელთა სამოქალაქო ინტეგრაცია ჯერ კიდევ დაბალია. შესაბამისად, მათი ჩართულობა შიდამიგრაციულ პროცესებში სუსტია.

თბილისში მცხოვრებ მიგრანტთა განსახლებაში მნიშვნელოვანი ტერიტორიული დისპროპორცია აღინიშნება (დიაგრამა 3). ამის ერთ-ერთი მიზეზია ცალკეულ მუნიციპალიტეტებში უძრავ ქონებაზე განსხვავებული ფასები. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია საზოგადოებრივ ტრანსპორტზე, უპირველეს ყოვლისა, მეტროზე წვდომა. თბილისში მოსახლე მიგრანტთა ყველაზე დიდი ნაწილი გლდანსა (18.5%) და სამგორშია (18%) თავმოყრილი. ეს უბნები უძრავ ქონებაზე შედარებით დაბალი ფასით, მიგრანტებისთვის მოხერხებული სატრანსპორტო ინფრასტრუქტურით და დასაქმების შედარებით მაღალი შესაძლებლობებით გამოირჩევა. აღსანიშნავია, რომ თვითონ თბილისელები ნაკლებად მობილურები არიან. შიდა მიგრაციაში 10-იდან მხოლოდ 1 თბილისელი მონაწილეობს.

ქვემოთ მოცემული რუკა 1-ის ანალიზი საშუალებას გვაძლევს, გავაკეთოთ დასკვნა, რომ დედაქალაქის შედარებით პრესტიჟული უბნები (მთაწმინდა, კრწანისი, ჩუღურეთი, ვაკე) მიგრანტებს შორის ყველაზე ნაკლები პოპულარობით სარგებლობს. აქ ბინების დაქირავება ან ყიდვა გაცილებით ძვირია. გარდა ამისა, მიგრანტებისთვის ნაკლებად ხელსაყრელია ცენტრალური უბნების სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა (მაგ., ვაკეს მეტროსადგური არ აქვს).

ხუკა 1

შიდა მიგრანტების განაწილება თბილისის მუნიციპალიტეტების
მიხედვით (2014 წ.)



შედგენილია წყაროს მიხედვით: მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერა. საქსტატი

ხუკა 2

საქართველოში შიდა მიგრანტთა განაწილება ამჟამინდელი
საცხოვრებელი ადგილის მიხედვით
(მუნიციპალიტეტების ჭრილში, 2014 წ.)



რუკა შედგენილია წყაროს საფუძველზე: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

თბილისის შემდგომ ახლანდელი საცხოვრებელი ადგილი ყველა შიდა მიგრანტის 15,1%-ისთვის არის იმერეთი, რომელშიც დიდი წილი ქუთაისზე მოდის (4%). ესეც იმითაა გამოწვეული, რომ ქუთაისი ეკონომიკურად აქტიური ქალაქია, ხოლო იქ რამდენიმე სამთავრობო სამსახურის გადატანამ ხელი შეუწყო ქალაქის ფუნქციის ზრდას, გაჩნდა სამუშაო ადგილები, რამაც ასევე გაზარდა შიდა მიგრანტების რაოდენობა.

რუკა 2-ზე ღია ფერით აღნიშნულია ის მუნიციპალიტეტები, სადაც ყველაზე ნაკლები შიდა მიგრანტი ჩავიდა. ძირითადად, ეს მაღალმთიანი რეგიონებია, რომლებისთვისაც დამახასიათებელია ნაკლებად ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა, მცირემიწიანობა, სუსტი სოციალურ-ეკონომიკური განვითარება. ესენია: მაღალმთიანი აჭარის, სვანეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და სხვა მაღალმთიანი მუნიციპალიტეტები.

მოსახლეობის ორივე აღწერამ აჩვენა, რომ საქართველოში მაღალია *უკუმიგრაცია*. შიდა მიგრანტთა საკმაოდ დიდი რაოდენობისთვის (2002 წლის აღწერა – 96,9 ათასი ადამიანი; 2014 წლის აღწერა – 96,4 ათასი) თბილისი წინა საცხოვრებელი ადგილი იყო. ეს ის ადამიანები არიან, რომლებიც ერთ დროს საცხოვრებლად თბილისში ჩამოვიდნენ, ხოლო შემდეგ საკუთარ რეგიონებში დაბრუნდნენ. 2014 წლის აღწერის მონაცემებით, ამ მიმართებით პირველ ადგილზეა თბილისი (350 013 ადამიანი), რომელსაც მოჰყვება რუსთავი (46 413 ადამიანი), ქუთაისი (42 791 ადამიანი), ბათუმი (39 240 ადამიანი) და ზუგდიდი (28 358 ადამიანი).

ამრიგად, საქართველოში შიდა მიგრაციების ანალიზი საშუალებას გვაძლევს, გავაკეთოთ შემდეგი დასკვნები:

- ქვეყნის მოსახლეობისთვის დამახასიათებელია მაღალი შიდა მობილობა, რაც მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობით არის გამოწვეული. მოსახლეობა იძულებულია, დატოვოს მუდმივი საცხოვრებელი ადგილი და სამუშაო დიდ ქალაქებში ეძებოს;
- შიდა მიგრაციის მთავარი მიმართულებაა სოფელი–ქალაქი, უფრო კონკრეტულად, სოფელი–მსხვილი ქალაქი, განსაკუთრებით თბილისი;
- შიდა მიგრანტების მნიშვნელოვანი წილი მოდის იმ მიგრანტებზე, რომელთა წინა საცხოვრებელი ადგილი იყო იმერეთი და აფხაზეთი;
- მთიანი რაიონების გეოგრაფიული, ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის გამო მოსახლეობა გადაადგილდება ბარში. მათი წილი შიდა მიგრანტებში დიდი არ არის, მაგრამ ეს განპირობებულია იმით, რომ თვითონ მოსახლეობის რაოდენობა არის მცირე ასეთ რაიონებში;
- შიდამიგრაციულ გადაადგილებაზე დიდი ზეგავლენა 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომმა მოახდინა. შედეგად, საცხოვრებელი ადგილის დატოვება 22 ათას დევნილს მოუხდა. ქ. ცხინვალისა და მისი მიმდებარე სოფლების, ასევე ყორნისისა და ახალგორის რაიონებიდან დევნილების დიდი ნაწილი მათთვის აშენებულ დასახლებებში ჩაასახლეს.

საგარეო მიგრაცია

საქართველოს სახელმწიფოს ჩამოყალიბებისა და განვითარების ხანგრძლივი ისტორიის განმავლობაში სხვადასხვა ფორმითა და ინტენსივობით ყოველთვის ახასიათებდა მიგრაციული პროცესები. მიუხედავად ამისა, ისტორიულად, ქართველები ნაკლებად მობილურ ერებს მიეკუთვნებოდნენ, რასაც ხელს უწყობდა მიწათმოქმედების უძველესი ტრადიციები. საბჭოთა სახელმწიფოს არსებობის პერიოდში გარემიგრაციული პროცესები მინიმალური იყო, ვინაიდან იმპერია პრაქტიკულად ჩაკეტილი სივრცე იყო. ამ შემთხვევაში საქართველოსათვის გარე მიგრაციად უნდა მივიჩნიოთ ცალკეულ საბჭოთა რესპუბლიკებთან არსებული მიგრაციული პროცესები. ოფიციალური სტატისტიკური მონაცემებით, საქართველო ემიგრაციულ ქვეყნად 1950-იანი წლების ბოლოდან ხდება. ქვეყნიდან გასულთა რაოდენობამ 16,8 ათასით გადააჭარბა შემოსულთა რაოდენობას. 1990 წლამდე მიგრაციის უარყოფითი სალდოს ყველაზე მაღალი მნიშვნელობა 1975 წელს დაფიქსირდა (-25,5 ათასი), რის შემდგომ იგი შემცირდა და 1976-1990 წწ.-ში საშუალოდ -17,6 ათასს შეადგენდა. ***მიუხედავად იმისა, რომ განხილული ლრის მონაკვეთში მიგრაციული საალო უარყოფითი იყო, მოსახლეობის ბუნებრივი მატების შედარებით მაღალი მაჩვენებლების შედეგად, ქვეყნის მოსახლეობის საერთო რაოდენობა არასოლეს შემცირებულა.***

საქართველოში გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში განვითარებულმა პროცესებმა უმძიმესი სოციალურ-ეკონომიკური კრიზისი და დემოგრაფიული სისტემის მნიშვნელოვანი დეფორმირება გამოიწვია. ამ მოვლენაში კატალიზატორის როლი ათობით წლების განმავლობაში არსებული ეკონომიკური კავშირების მყისიერმა გაწყვეტამ, აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში გარე ძალების მიერ ხელოვნურად ინსპირირებულმა შეიარაღებულმა კონფლიქტებმა და სამოქალაქო ომმა შეასრულა (Salukvadze, Meladze, 2014, 151).

პოსტსოციალისტურ სივრცეში ეკონომიკის დაქვეითებას არსად მიუღია ისეთი მასშტაბები და ინტენსიური ხასიათი, როგორიც საქართველოში. 1994 წელს მრეწველობის მთლიანი პროდუქცია 1958 წლის, ხოლო სოფლის მეურნეობისა 1945 წლის დონეზე იყო დაქვეითებული (ჩიქავა, 1997, 25). მოხდა საქართველოს დეინდუსტრიალიზაცია (გაჩეჩილაძე, 2011, 26), მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი უმუშევარი დარჩა. 1994 წელს საშუალოთვიურმა ინფლაციამ 56,3% შეადგინა (არჩვაძე, 2012). 1994 წელს მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე მხოლოდ 506 დოლარის ტოლი იყო (UN Stats, Country profile-Georgia, GDP).

არსებული უმძიმესი სოციალურ-ეკონომიკური ვითარების გამო, 1990-იან წლებში ემიგრაციულმა პროცესებმა საქართველოში უმაგალითო მასშტაბები შეიძინა. ქვეყანა დროებით, გაურკვეველი ვადით ან სამუდამოდ დატოვა მილიონზე მეტმა ადამიანმა. განსაკუთრებით მაღალი იყო მიგრაციის უარყოფითი სალდო 1992-1997 წლებში -947,7 ათასი (დიაგრამა 4). 1990-2017 წლებში მიგრაციის უარყოფითმა სალდომ -1579,0 ათასი შეადგინა.

უკანასკნელ წლებში გარე მიგრაციის სალდოს კოეფიციენტი შემცირებულია და ყოველ ათას მცხოვრებზე -0,6 პრომილეა, რაც ნაკლებია 1990 წლის მაჩვენებელზე.

დიაგრამა 4

გარემიგრაციული სალდოს დინამიკა საქართველოში
1990-2017 წლებში



წყარო: *საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური*

უკანასკნელი აღწერის (2014 წ.) მონაცემების მიხედვით, ემიგრანტების რაოდენობა 88,5 ათასია, მათ შორის: 48,3 ათასი ქალი და 40,2 მამაკაცი. აღსანიშნავია, რომ ეს ციფრები არ ასახავს ემიგრანტების ზუსტ რაოდენობას და მათი რიცხვი გაცილებით მეტია. ემიგრირებულთა ძირითად ნაწილს 20-54 ასაკობრივი ინტერვალის მოსახლეობა (ემიგრანტების 75,1%) შეადგენს (საქსტატი. მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო...).

აღწერათა შორის დროის მონაკვეთში (2002-2014 წწ.) მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა ემიგრანტების ნაკადების მიმართულებაში (დიაგრამა 5).

დიაგრამა 5

ემიგრანტების განაწილება ცალკეულ ქვეყნებში
2002 და 2014 წლების მოსახლეობის აღწერების მიხედვით



წყარო: *საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.*

2002 წლის მოსახლეობის აღწერის თანახმად, ემიგრანტების საერთო რაოდენობიდან ემიგრაციის ძირითადი მიმართულება რუსეთი იყო. 2014 წლის აღწერის მიხედვით კი, ეს ნაკადები მნიშვნელოვნადაა შემცირებული. შემცირების მიზეზებს წარმოადგენს გართულებული სავიზო რეჟიმი და 2008 წლის რუსეთ-საქართველოს აგვისტოს ომით განპირობებული დაძაბული პოლიტიკური ურთიერთობები. საქართველოდან ემიგრირებულთა საგრძნობი წილი (თითქმის 40%) მოდის საბერძნეთზე, თურქეთსა და იტალიაზე.

უკანასკნელ წლებში მიგრანტებს შორის შესამჩნევია ქალების წილის ზრდა (ცხრილი 1). 2002 წლის აღწერის მიხედვით, ემიგრანტების საერთო რაოდენობაში ქალების წილი 41,3%-ს შეადგენდა, 2014 წლის აღწერით კი 54,6%-ია. ამჟამად, ემიგრაციაში მყოფი ქალების ნახევარზე მეტი (54,9%) სამ ქვეყანაში (საბერძნეთი, იტალია, თურქეთი) იმყოფება. 2002-2014 წწ.-ის აღწერებს შორის პერიოდში განახევრდა რუსეთში წასულ მამაკაცთა წილი. მიუხედავად ამისა, 2014 წლის აღწერის მიხედვით, მათი საერთო რაოდენობიდან მესამედისათვის მაინც რუსეთია საემიგრაციო სივრცე. საბერძნეთის გარდა, მნიშვნელოვნადაა გაზრდილი ემიგრანტი მამაკაცების წილი ყველა დანარჩენ ქვეყანაში.

აღსანიშნავია, რომ, თუკი 1990-იან წლებში ემიგრაციის ძირითადი მიზეზი უმუშევრობა იყო, შემდგომ წლებში მას დასაქმებულთა დაბალი ანაზღაურებაც დაემატა. ბოლო გამოკვლევებით, ყოველი შრომითი მიგრანტი უმუშევრობის გამო კი არა, არამედ შემოსავლის გაზრდის მიზნით მიემგზავრება ქვეყნიდან (შელია, 2017, 119; გოგსაძე, იაშვილი, წულაძე, გვენეტაძე, 2017, 271).

ცხრილი 1

მიგრანტების განაწილება სქესისა და
მიმღები ქვეყნების მიხედვით (პროცენტებში)

ქვეყანა	2002		2014*	
	მამაკაცი	ქალი	მამაკაცი	ქალი
რუსეთი	69.6	57.0	33.9	11.5
საბერძნეთი	12.4	22.1	5.9	24.1
თურქეთი	1.0	1.7	8.1	13.8
იტალია	0.01	0.2	3.4	17.0
გერმანია	3.5	5.5	7.0	7.1
აშშ	3.2	4.6	6.1	5.3
ესპანეთი	0.9	0.5	4.3	3.9
საფრანგეთი	0.5	0.5	4.7	2.9
უკრაინა	2.0	1.4	6.5	1.4
აზერბაიჯანი	0.8	0.9	2.7	1.5
სხვა ქვეყანა	4.6	3.6	16.1	10.6

** მიგრანტების პროცენტული წილი ერთად 100-ს, ვინაიდან აღწერის დროს ზოგიერთმა მიგრანტმა ქვეყანა არ მიუთითა.*

წყარო: *საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.*

მოსახლეობის უკანასკნელი აღწერის მიხედვით (2014 წ.), ემიგრირებულთა შორის თბილისის წილი მესამედზე მეტს შეადგენდა, ასევე მნიშვნელოვანი იყო იმერეთიდან და ქვემო ქართლიდან გასული მოსახლეობის პროცენტული მაჩვენებლებიც. რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის წილი ყველაზე დაბალი აღმოჩნდა და არ აღემატებოდა 0.6%-ს.

აღსანიშნავია, რომ პროცენტული განაწილება არ გვიჩვენებს გარე მიგრაციის რეალურ ინტენსივობას. თბილისის მოსახლეობის მაღალი წილი განპირობებულია საქართველოს მოსახლეობის საერთო რაოდენობაში თბილისის მოსახლეობის დიდი რიცხვით. რეალური ვითარების დასადგენად მიზანშეწონილია გამოვიყენოთ ***ემიგრაციის ინტე-***

ნსიუჰობის ფაჰდობითი ინდექსის მაჩვენებელი, რომელიც წარმოადგენს რეგიონიდან გასული მოსახლეობის წილისა (ემიგრანტების საერთო რაოდენობიდან) და რეგიონის მოსახლეობის წილის (მოსახლეობის საერთო რაოდენობიდან) შეფარდებას. ამის მიხედვით, ყველაზე მაღალი მაჩვენებელი იმერეთში აღინიშნა (1.595), რაც ნიშნავს, რომ ქვეყნის გარეთ ყველაზე ინტენსიურად ამ რეგიონის მოსახლეობა გავიდა; მეორე ადგილზეა ქვემო ქართლი, მესამეზე თბილისი. განხილული ინდექსის მიხედვით, ყველაზე დაბალი ემიგრაციული ინტენსივობით აჭარა გამოირჩევა.

მიგრაცია მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ქვეყანაში არსებულ სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ სიტუაციაზე, მსოფლიოში მიმდინარე გლობალურ პროცესებზე. შესაბამისად, იგი მუდმივად ცვალებადი პროცესია, რომელიც ყოველ ახალ გამოწვევაზე სათანადო რეაგირებას მოითხოვს. ქვეყნის დემოგრაფიულ განვითარებაზე ზეგავლენის თვალსაზრისით, XXI საუკუნეში მიგრაცია გამორჩეული იქნება. იგი შეცვლის ქვეყნების არა მარტო დემოგრაფიულ მახასიათებლებს, არამედ მოსახლეობის სტრუქტურასაც (Coleman, 2006, 423).

საზღვარგარეთ დასაქმებული ჩვენი თანამემამულეები სამშობლოში დარჩენილ ოჯახებს ფულს უგზავნიან, რაც ბევრი ქართული ოჯახის გარკვეული ნაწილისთვის შემოსავლის ერთადერთი წყაროა. საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებით, 2017 წელს საბანკო არხების მეშვეობით შრომითმა მიგრანტებმა საქართველოში დაახლოებით 1,4 მილიარდი აშშ-ის დოლარი გადმოგზავნეს. საინტერესოა ფულადი გზავნილების (Remittances) გეოგრაფია. ყველაზე დიდი თანხა (455 მილიონი აშშ-ის დოლარი) რუსეთიდან გადმოირიცხა, რაც მთელი გზავნილების 1/3-ია. რუსეთი რჩება ქართული შრომითი მიგრაციის ძირითად კერად, თუმცა მისი წილი ფინანსურ ტრანსფერებში უკანასკნელი რამდენიმე წლის განმავლობაში 20%-ით შემცირდა. სამაგიეროდ, ამ მიმართულებით სწრაფად იზრდება თურქეთის, ევროპული ქვეყნების (საბერძნეთის, იტალიის, ესპანეთის), აშშ-ისა და ისრაელის როლი.

თუკი მხედველობაში მივიღებთ საქართველოს გეოგრაფიულ მდებარეობას და მზარდ საერთაშორისო მნიშვნელობას, უნდა ვივარაუდოთ, რომ ის აშშ-ის, ევროპისა და აზიის სახელმწიფოთა სულ უფრო დიდი ყურადღების ობიექტი გახდება. შესაბამისად, მიგრაციის თვალსაზრისით, იგი არა მარტო ემიგრანტების წარმომშობი, არამედ იმიგრანტების მიმღები ქვეყანა იქნება. მომავალში, მიგრაციული პროცესები საქართველოს მოსახლეობის ფორმირებაზე კვლავ მნიშვნელოვან ზეგავლენას მოახდენს.

კითხვები:

1. რა არის შიდა მიგრაციის უმთავრესი გამომწვევი მიზეზები საქართველოში? რომელი რეგიონები გამოირჩევა აქტიური მიგრაციული ნაკადებით?
2. რას გვიჩვენებს *ემიგრაციის ინტენსიურობის ფარდობითი ინდექსი* და როგორ გამოითვლება ის?

დავალება:

1. 2014 წლის მოსახლეობის აღწერის შედეგების მიხედვით მოამზადეთ მცირე პრეზენტაცია საქართველოს შიდა ან გარე მიგრაციების შესახებ

გამოყენებული ლიტერატურა:

არჩვაძე ი., სტატისტიკური შოკი, საქართველო და მსოფლიო, 2012, ნანახია 2012 წლის 15 სექტემბერს, http://www.geworld.ge/View.php?ArtId=4241&Title=statistikuri+Soki&lang=ge

გაჩეჩილაძე რ., *ჩემი XX საუკუნე,* ტ. II, თბილისი, 2011,26.

გოგსაძე გ., იაშვილი ი., წულაძე ლ., გვენეტაძე თ., ქალთა შრომითი მიგრაცია: სოციალურ-ეკონომიკური გავლენა მიგრანტთა ოჯახებზე საქართველოში., შრომათა კრებულში: „გეოგრაფია გლობალურ კონტექსტში: მიღწევები და გამოწვევები", ქუთაისი, 2017, 262-275.

მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერა, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, ნანახია 2018 წლის 10 ოქტომბერს, http://census.ge/ge/results/census

საქართველოს ეროვნული ბანკი, ფულადი გზავნილები ქვეყნების მიხედვით (2010-2018 წლები),ნანახია 2018 წლის 10 ოქტომბერს, https://www.nbg.gov.ge/index.php?m=306

შელია მ., ქალთა შრომითი ემიგრაცია საქართველოდან, ჟურნალი „მიგრაცია", N8, თბილისი, 2017, 119.

ჩიქავა ლ., დემოგრაფიული ვითარების გამწვავება საქართველოში და მისი სოციალურ-ეკონომიკური ასპექტები. საერთაშორისო სამეცნიერო სიმპოზიუმის „სოციალურ-ეკონომიკურ გარდაქმნათა სტრატეგია და ტაქტიკა გარდამავალ პერიოდში", მასალები, თბილისი, 13-14 ნოემბერი, 1997, 25.

Coleman D., Immigration and Ethnic Change in Low Fertility Countries: Third Demographic Transition // Population and Demographic Rewiev 32 (3) September, 2006, 423).

Salukvadze J., Meladze G. Georgia: Migration, a Main Risk Tovards Sustainable Demographic Future. Discovering Migration Between Visegrad Countries and Eastern Partners. HAS RCAES Geographical Institute. Budapest, Hungary, 2014,151.

UN Stats, Country profile-Georgia, GDP. ნანახია 10 აგვისტოს, 2018 საიტზე: https://unstats.un.org/unsd/snaama/resCountry.asp

4.3. მოსახლეობის სტრუქტურა

4.3.1. მოსახლეობის სქესობრივი და ასაკობრივი სტრუქტურა

ქვეყანაში არსებულ დემოგრაფიულ სიტუაციას მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მამაკაცებისა და ქალების რაოდენობის შეფარდება, რაზეც დამოკიდებულია მოსახლეობის აღწარმოება. მის ცვლილებასა და ჩამოყალიბებაზე სამი უმთავრესი ფაქტორი ახდენს ზემოქმედებას:

1. ახალშობილ ვაჟებსა და გოგონებს შორის თანაფარდობა (რომელიც შედარებით მუდმივია და ყოველ 100 ახალშობილ გოგონაზე 105-106 ვაჟს შეადგენს);

2. ქვეყანაში არსებული ქალებისა და მამაკაცების მოკვდაობის დონე;

3. მიგრაციული პროცესები.

წარსულში საქართველოში (ისევე, როგორც მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში), მოსახლეობის საერთო რაოდენობაში მამაკაცები ჭარბობდნენ. ასეთ რეალობას მნიშვნელოვნად განსაზღვრავდა მაღალი მოკვდაობა მშობიარე ქალებს შორის. სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმებისა და მედიცინის განვითარების შედეგად მკვეთრად შემცირდა ქალთა სიკვდილიანობა. დღეს ინდუსტრიულ ქვეყნებში, ქალებთან შედარებით, მაღალია მამაკაცთა მოკვდაობა, რაც განპირობებულია ამ უკანასკნელთა უფრო ხშირი საწარმოო ტრავმატიზმითა და ავტოსაგზაო შემთხვევებით; მამაკაცები უფრო ხშირად არიან დაკავებული სიცოცხლისათვის მავნე სამუშაოებით, მათ შორის ასევე დიდია დანაკარგები ომებისა და კონფლიქტების დროს.

საქართველოში მე-19 საუკუნის ბოლოს მამაკაცების რაოდენობა მნიშვნელოვნად (132.2 ათასით) აღემატებოდა ქალების რაოდენობას (ცხრილი 1). შემდგომ წლებში არსებული სხვაობა შემცირდა და 1939 წელს უკვე ქალების რაოდენობამ გადააჭარბა მამაკაცებისას. მეორე მსოფლიო ომში მამაკაცების დიდი დანაკარგის გამო, 1959 წლის აღწერის შედეგებით, მოსახლეობის საერთო რაოდენობის 53.9% ქალებმა შეადგინეს. გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან მიმდინარეობს მამაკაცებისა და ქალების აბსოლუტური რაოდენობების დაახლოების პროცესი. 2018 წელს ქალების წილი მხოლოდ 4 პუნქტით სჭარბობდა მამაკაცების მაჩვენებელს და 52.0%-ის ტოლი იყო (*ბოხისოვი, 2001, 150; საქართველოს დემოგრაფიული წელიწდეული, 2014, 18-19)*.

ცხრილი 1

საქართველოს მოსახლეობის სქესობრივი სტრუქტურა

წლები	ხვედრითი წილი (%) მოსახლეობაში		ქალები 1000 ვაჟზე
	ვაჟები	ქალები	
1897	53.4	46.6	874
1926	50.5	49.5	978
1939	49.9	50.1	1006
1959	46.1	53.9	1168
1970	47.0	53.0	1128
1979	46.8	53.2	1135
1989	47.4	52.6	1108
2002	47.6	52.4	1102
2014	47.7	52.3	1095
2018	48.0	52.0	1082

წყარო: *საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი)*

სქესობრივი თანაფარდობის დასახასიათებლად ასევე იყენებენ *ერთი სქესის მოსახლეობის რაოდენობის შეფარდებას საწინააღმდეგო სქესის მოსახლეობის რაოდენობასთან.* ამ მაჩვენებლის მიხედვით, 1897 წელს საქართველოში ყოველ ათას მამაკაცს 874 ქალი შეესაბამებოდა; 1959 წელს ქალების რაოდენობა 1168-ს შეადგენდა ყოველ ათას მამაკაცზე, რაც ყველაზე მაღალი სხვაობა იყო სქე-

სთა თანაფარდობაში; უახლოესი მონაცემებით (2018 წელი), საქართველოში ყოველ ათას მამაკაცზე 1082 ქალი მოდის.

მოსახლეობის ***ასაკობრივი სტრუქტურა*** აქტიურ როლს ასრულებს დემოგრაფიულ პროცესებში. მე-19 საუკუნის მიწურულს საქართველოს დემოგრაფიული სისტემა დემოგრაფიული გადასვლის პირველ ფაზაში იმყოფებოდა (მელაძე, წულაძე, 1997, 8-9). ამ ფაზაში მოკვდაობა უფრო მნიშვნელოვნად კლებულობს, ვიდრე შობადობა, რაც მოსახლეობის ბუნებრივი მატების ზრდას განაპირობებს. ამ მიზეზით 1897 წელს ასაკობრივ-სქესობრივ სტრუქტურაში 15 წლამდე ორივე სქესის ბავშვების წილი 40.5%-ს შეადგენდა. ვინაიდან დაბალი იყო სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა, 65 წლის და უფროსი ასაკის ორივე სქესის მოსახლეობის წილი მხოლოდ 4%-ის ტოლი იყო (ცხრილი 2). ამ შემთხვევაში, გაეროს მოსახლეობის სამსაფეხურიანი დაბერების სკალის მიხედვით,[1] საქართველოს მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურა სიბერის ზღურბლზე იმყოფებოდა.

ცხრილი 2

საქართველოს მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა
1897, 1959 და 2018 წლებში

წლები	<15			15-64			65+		
	კაცი	ქალი	ორივე სქესი	კაცი	ქალი	ორივე სქესი	კაცი	ქალი	ორივე სქესი
%									
1897	39.1	42.1	40.5	56.9	53.9	55.5	4.0	4.0	4.0
1959	32.4	26.6	29.3	60.5	65.3	63.0	7.1	8.1	7.7
2018	15.5	13.2	14.3	73.0	69.2	71.0	11.5	17.6	14.6

წყარო: *საქართველოს მოსახლეობა, 2003, 8,12; საქსტატი*

არსებობს ურთიერთსაწინააღმდეგო დამოკიდებულება ორი უკიდურესი ასაკობრივი ჯგუფის ფარდობით შეთანწყობაში: ახალგაზრდა კონტინგენტის ხვედრითი რაოდენობის შემცირება განაპირობებს ხანდაზმული ასაკის მოსახლეობის ფარდობითი ოდენობის გადიდებას, და პირიქით (ჯაოშვილი, 1996, 252). თანამედროვე საქართველოს სქესობრივ-ასაკობრივ სტრუქტურაში მკვეთრადაა შემცირებული 15 წლამდე ასაკის მოსახლეობის წილი. 2018 წლის მონაცემებით, ორივე სქესის წილი ერთად მოსახლეობის საერთო რაოდენობაში მხოლოდ 14.3%-ს შეადგენს. მნიშვნელოვნადაა გაზრდილი 65 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის წილი, რომელიც 14.6%-ია. ამ უკანასკნელი მაჩვენებლის მიხედვით, განხილული სტრუქტურა 2-ჯერ და მეტჯერ აღემატება დემოგრაფიული დაბერების დონის (7%) ნიშნულს.

მოსახლეობის სტრუქტურაში მიმდინარე ცვლილებებს ნათლად ასახავს სქესობრივ-ასაკობრივი პირამიდა.

განასხვავებენ სამი ტიპის ასაკობრივ-სქესობრივ პირამიდას (დიაგრამა 1):

2. *პროგრესული ტიპის პირამიდა* გამოირჩევა ფართო ფუძითა და ვიწრო წვერით, რაც მაღალი შობადობით და მოკვდაობითაა განპირობებული. საქართველოს მოსახლეობას მსგავსი ასაკობრივ-სქესობრივი პირამიდა 1897 წელს ჰქონდა;
3. *სტაციონარული პირამიდა* ხასიათდება გამოზნექილი შუა ნაწილით, რაც ასახავს საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების შედეგად შობადობისა და მოკვდაობის დონეების შემცირებას და მოსახლეობის რაოდენობრივი ზრდის შეფერხებას. მსგავსი ფორმა აქვს საქართველოს 1959 წლის სქესობრივ-ასაკობრივ პირამიდას. გარდა ამისა, ამ პირამიდაზე ნათლადაა ასახული მეორე მსოფლიო ომის გავლენა, რაც ომში მონაწილე მამაკაცების (განსაკუთრებით 35-39 და 40-44 წლის თაობების) მნიშვნელოვან სიმცირეში გამოიხატება. ასევე აშკარად შესამჩნევია ომის პერიოდში შობადობის კლების ფაქტი, რომელიც მკვეთრადაა ასახული 10-14 და15-19 წლის ასაკობრივ ჯგუფებში. განხილულ პირამიდას, 1897 წლის პირამიდისაგან განსხვავებით, ეტყობა უფროსი ასაკის მოსახლეობის რაოდენობრივი ზრდა;
4. *რეგრესული ტიპის* პირამიდას ახასიათებს საგრძნობლად შევიწროებული ფუძე ახალგაზრდების ნაკლებობის გამო და გაგანიერებული ზედა ნაწილი, რაც ხანდაზმული მოსახლეობის

[1] გაეროს მოსახლეობის სამსაფეხურიანი დაბერების სკალა – 65 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის წილი მთელ მოსახლეობაში: 4%-ზე ნაკლები – ახალგაზრდა მოსახლეობა, 4-7% – სიბერის ზღურბლზე მყოფი მოსახლეობა, 7%-ზე მეტი – დაბერებული მოსახლეობა.

მატებითაა განპირობებული. ამ პირამიდის გამოხატულებაა საქართველოს მოსახლეობის 2018 წლის სქესობრივ-ასაკობრივი პირამიდა.

დიაგრამა 1

საქართველოს მოსახლეობის ასაკობრივ-სქესობრივი პირამიდები



1897 წელი



1959 წელი



2018 წელი

4.3.2. მოსახლეობის ეთნოლინგვისტური და ხელიგიური სტრუქტურა

ეთნიკური სტრუქტურა

საქართველოს მოსახლეობის უდიდეს ნაწილს ქართველი ერი წარმოადგენს, რომელიც, უმთავრესად, ამ ტერიტორიაზე განსახლებული ქართველური ტომებისა და უცხო ეთნოსთა შერევის შედეგად ჩამოყალიბდა. ქართველი ერი სამი მონათესავე ტომის (ქართველების, მეგრელ-ჭანების ანუ ზანების და სვანების) შერწყმის შედეგად მიღებული სოციალურ-კულტურული ერთეულია (თოფჩიშვილი, 2005, 7).

თავისი განვითარების ხანგრძლივი ისტორიის განმავლობაში ქართული სახელმწიფო არ იყო მონოეთნიკური. ჩვ. წ. აღ-ამდე VI ს-იდან საქართველოს შავი ზღვის სანაპიროზე *ბერძნების* მიერ დაარსებული ქალაქ-პოლისების (დიოსკურია (დღევანდელი სოხუმი), ფაზისი (ფოთი), გიენოსი (ოჩამჩირე), პიტიუნტი (ბიჭვინთა)) მოსახლეობის შერევა მოგვიანებით მოხდა ქართულ მოსახლეობასთან. საქართველოში მცხოვრები არაქართული მოსახლეობიდან *ებრაელები* ყველაზე ადრე, ჩვ. წ. აღ-მდე VI საუკუნეში, არიან მოსულნი. მათი პირველადი განსახლების არეალი იყო ქვეყნის ძველი დედაქალაქი მცხეთა.

XII საუკუნეში საქართველო მრავალეთნიკური ძლიერი სახელმწიფოა, რომელიც, მკვიდრ ქართველებთან ერთად, სხვა ერებით დასახლებულ მოხარკე და ვასალურ ტერიტორიებსაც მოიცავდა.

ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით, მე-17 საუკუნის დასაწყისში, შაჰ აბას პირველმა ქართულ მიწაზე *ღოჰეს სახანო* შექმნა და იქ *ბოჰჩაღუს* მუსლიმი ტომი ჩაასახლა. შემდგომ პერიოდში აღმოსავლეთ საქართველოში, უმთავრესად კახეთსა და ქვემო ქართლში (ამჟამინდელი გარდაბნისა და მარნეულის მუნიციპალიტეტები), *ჰასანღუს* ტომის ნაწილი ჩასახლდა. ამავე პერიოდს უკავშირდება *ნასიბუს* ტომის შემოსვლა, რომელიც, უმთავრესად, ყარაიას საძოვრებზე განსახლდა. დროთა განმავლობაში აღნიშნული ტომების მოსახლეობა თანდათანობით შეერწყა ქართული ფეოდალური სახელმწიფოს სისტემას. ისინი მონაწილეობას იღებდნენ ქართული სახელმწიფოს ცხოვრებაში. იმავდროულად, მიმდინარეობდა საწინააღმდეგო პროცესებიც, მაგალითად: საქართველოს სამხედრო პოტენციალის და ეკონომიკურად მისი დასუსტების მიზნით 1614-1617 წლებში შაჰ აბას პირველმა 300 ათასამდე ქართველი ირანში გადაასახლა.

მე-18 საუკუნის მეორე ნახევრისათვის გაუთავებელი ომების შედეგად შექმნილი ვითარების გამო, მეფე ერეკლე მეორე იძულებული შეიქნა მე-18 საუკუნის შუა ხანებში ქართლში *ოსები* შემოეყვანა; მანვე სპილენძისა და ვერცხლის მოპოვებისა და დამუშავების მიზნით ახტალაში *ბეჰძნები* ჩამოასახლა (ჯავახიშვილი, 1919, 22).

მდგომარეობა მნიშვნელოვნად იცვლება 1801 წლიდან, რუსეთის იმპერიის მიერ ქართლ-კახეთის სამეფოს ანექსიის შემდგომ. ამ პერიოდიდან, მართალია, შეწყდა პერმანენტული ომები გარემომცველ მუსულმანურ სამყაროსთან, მაგრამ რუსეთის პოლიტიკური წრეების მიერ გატარებულმა კოლონიურმა პოლიტიკამ, რაც არაქართული მოსახლეობის ჩამოსახლებასაც ითვალისწინებდა, ქართველების წილის შემცირება განაპირობა (Meladze, 2000, 1). თუმცა ცარიზმი XIX საუკუნის პირველი ათეული წლების განმავლობაში გარკვეულ სიფრთხილეს იჩენდა და არ მიმართავდა საქართველოში რუსული კოლონიების შექმნას (ჯაოშვილი, 1996, 284).

1817 წელს ვიურტემბერგიდან საქართველოში ჩამოსახლდა ***გეჰმანეღ*** კოლონისტთა პირველი ჯგუფი (სულ 181 ადამიანი), ხოლო 1819 წელს 5000 კოლონისტი, რომლებიც თბილისში, რუსთავსა და ქვემო ქართლში განსახლდნენ. მათ 8 კოლონია დააარსეს – *მაჰიენფეღდი* (სართიჭალის მახლობლად), *ეკატეჰინენფეღდი* (ბოლნისის მახლობლად), *აღექსანდეჰსდორფი* (დიდუბის მიწებზე) და სხვ. (სარჯველაძე, შუშანია, მელიქიშვილი, ბალიაშვილი, 2009, 51). გერმანელების იმიგრაცია საქართველოში შემდგომ წლებშიც გრძელდებოდა.

1809-1811 წწ.-ში თბილისში ყარაბაღიდან გადმოსახლდა 2140 ***სომეხი,*** ხოლო ერევნის სახანოდან 2000-ზე მეტი სომეხი (Шопен, 1852, 461; Акты собранные Кавказскою..., 1870, 953). 1828-1829 წლებში დამარცხებულ სპარსეთისა და ოსმალეთის იმპერიებთან დადებული ზავის შედეგად გაფართოვდა რუსეთის სამხრეთი სამფლობელოები. 1829-1831 წწ.-ში საქართველოს მიწა-წყალზე 6 ათასზე მეტი სომხური ოჯახი დაფუძნდა. თითოეული ოჯახი საშუალოდ 6 წევრისაგან შედგებოდა (Акты собранные Кавказскою..., 1878, 847). აქედან გამომდინარე, ჩამოსახლებულთა რაოდენობა 35 ათასზე მეტი უნდა ყოფილიყო.

მე-19 საუკუნის უკანასკნელ მესამედში სომეხი მოსახლეობის იმიგრაცია ვრცელდებოდა შავიზღვისპირეთშიც (სოხუმის ოკრუგი და ქალაქი ბათუმი) (ანთაძე, 1973, 111). განსაკუთრებით დიდი იყო სომეხი ლტოლვილების რაოდენობა ოსმალეთიდან მე-19 საუკუნის ბოლო წლებში. 1897 წლის მოსახლეობის აღწერის მიხედვით, სომეხთა რაოდენობამ საქართველოში 197.0 ათასი შეადგინა (ჯაოშვილი, 1996, 287; 82;116). ეს ეროვნული ჯგუფი ქართველების შემდეგ ყველაზე მრავალრიცხოვანი იყო ქვეყანაში.

აფხაზები მეორე *ავტოქთონი* ერია ჩვენს ქვეყანაში, რომლებიც ათასწლოვანი ისტორიით არიან დაკავშირებულნი საქართველოსა და ქართველებთან. აფხაზებისა და ქართველების დაახლოებას განაპირობებდა ორივე ხალხის მიერ ქრისტიანული რელიგიის აღიარება (Инал-ипа, 1962, 376). მე-15 საუკუნის მეორე ნახევარში, საქართველოს სამეფოს დაშლის შემდგომ, აფხაზეთში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა. იწყება ადიღეური და (აბაზური) მთიელი ტომების ჩამოსახლება. თანამედროვე აფხაზური (აფსუა) ეთნოსი ჩამოსახლებულ მთიელთა და აბორიგენი მოსახლეობის შერწყმის შედეგად წარმოიქმნა. მე-16-მე-18 საუკუნეებში თურქების მრავალგზის შემოსევების შედეგად თანდათანობით გავრცელდა ისლამი. აფხაზები ერთადერთ ეროვნებას წარმოადგენდნენ, რომელთა რაოდენობა მე-19 საუკუნეში შემცირდა. ამ ეროვნების კლება, უმთავრესად, მეფის რუსეთის ხელისუფლების მიერ ოსმალეთის იმპერიაში მათ იძულებით მასობრივ ემიგრაციას უკავშირდება, რაც *მუჰაჯირობის* სახელითაა ცნობილი. ეს პროცესი რამდენიმე ტალღად მიმდინარეობდა. ყველაზე სერიოზული ხასიათი მან 1864-1878 წლებში მიიღო (Инал-Ипа, 1965, 150; Дзидзария, 1960, 215). აფხაზეთის მრავალი კუთხე მთლიანად გაუკაცრიელდა (ანთაძე, 1973: 138). მაგალითად, ბიჭვინთის ოკრუგის მოსახლეობა სრულად იქნა გასახლებული (Газ.,Кавказ''. 1878). მუჰაჯირობის შედეგად, სავარაუდოდ, თურქეთში 135 ათასამდე აფხაზი და აბაზი წავიდა (ეთნოსები საქართველოში, 2008, 12). 1897 წლის აღწერის მიხედვით, აფხაზების რაოდენობამ საქართველოში

42.6 ათასი შეადგინა (ჯაოშვილი. 1996, 116). აღსანიშნავია, რომ აფხაზები მე-19 საუკუნეში, უმთავრესად, მთებში მოსახლეობდნენ. 1886 წლის საოჯახო სიების მიხედვით სოხუმში მხოლოდ სამი აფხაზი ცხოვრობდა (Свод статистических данных..., 1893, 58).

ქართლის მთიანეთში ***ოსების*** პირველი ჩასახლებები მე-17 საუკუნეში ჩნდება. 1850-იანი წლებიდან, მათი ჩრდილოეთ კავკასიიდან, კერძოდ, ოსეთიდან მიგრაციული პროცესების გაძლიერების შედეგად, იწყება ოსების რაოდენობის სწრაფი ზრდა. 1860-1880 წლებში საქართველოში 18 020 ოსი გადმოსახლებულა (თოთაძე, 1993, 77). ოსების რაოდენობა მე-19 საუკუნის განმავლობაში თითქმის სამჯერ გაიზარდა და 1897 წელს 81.5 ათასი შეადგინა (ჯაოშვილი, 1996, 116). აღსანიშნავია, რომ გარდა მექანიკური მატებისა, ხელსაყრელ ეკონომიკურ პირობებში მოხვედრისთანავე, ეს მაღალი ბუნებრივი მატებითაც იყო განპირობებული (Энциклопедический словарь, 1897, 263).

აზერბაიჯანელების წინაპრები თითქმის მთლიანად ირანიდან და თურქეთიდან მოვიდნენ. მათ დასახლებას საქართველოში, სამხედრო და პოლიტიკური მოსაზრებებით, ხელს უწყობდნენ აღნიშნული სახელმწიფოების მმართველები. თურქული მოსახლეობის პირველი მასობრივი შემოსვლა საქართველოში, „დიდი თურქობის“ პერიოდის დასაწყისს უკავშირდება (1080-იანი წლები). ვინაიდან მე-19 საუკუნის ოფიციალური სტატისტიკა აზერბაიჯანელებს არ იცნობდა, როგორც ცალკე ეროვნებას, საკუთრივ აზერბაიჯანელ და სხვა მუსლიმ ტომებს აღრიცხავდნენ როგორც თურქებს ან როგორც, „აზერბაიჯანელ თურქებს“. მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის სტატისტიკურ მონაცემებში ხშირად გაერთიანებულია აგრეთვე ლეკები, ქურთები და თვით ირანელებიც (გუგუშვილი, 1949, 689). აღსანიშნავია, რომ თურქულ მოსახლეობასთან ასევე გაიგივებული იყო საქართველოს სამხრეთში მცხოვრები მუსლიმანი ქართველების ნაწილიც. მე-19 საუკუნის ბოლოს აღნიშნული მოსახლეობის რაოდენობამ 81,1 ათასი შეადგინა (ჯაოშვილი, 1996 116).

მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში გრძელდებოდა ***ბეჰძნების*** თურქეთიდან მიგრირების პროცესი. ისინი თრიალეთის მოდამოებში ჩაასახლეს. ამ საუკუნის შუა წლებიდან მათი დასახლებები ჩნდება აჭარასა და აფხაზეთში. 1897 წლის აღწერით, საქართველოში 41.6 ათასი ბერძენი ცხოვრობდა.

ხუსები საქართველოში მე-19 საუკუნის დასაწყისიდან ფუძნდებიან. ამ პერიოდში მათი რაოდენობა მხოლოდ შეიარაღებული ძალებითა და მეფის მოხელეებით შემოიფარგლებოდა. 1825 წელს გადმოსახლებულ იქნნენ *სკოპცები* (სექტანტები), სულ 300 ადამიანი, რომლებიც სოფელ მარანში განასახლეს. მათ მოვალეობას შეადგენდა რუსი ჯარისკაცების სამხედრო ტვირთების გადაზიდვა მდ. რიონზე (Военно-статистическое обозрение..., 1858, 140). 1832 წელს რუსი მოხელეებისა და მათი ოჯახის წევრების რაოდენობა ხუთასს შეადგენდა (ანთაძე, 1973, 127). 1830-იანი წლებიდან, კავკასიაში რუსეთის კოლონიური პოლიტიკის შესაბამისად, გაფართოვდა ინტერესი საქართველოში რუსული სამხედრო და სამოქალაქო დასახლებათა შექმნის მიმართ. კავკასიის სამხედრო კოლონიზაციის პროექტი ითვალისწინებდა ცოლიანი რიგითი ჯარისკაცების დასახლებას, რომლებსაც მოხდილი ჰქონდათ 15-წლიანი სამსახურის ვადა (გუგუშვილი, 1949, 615).

1841 წლიდან დაიწყო *დუხობორების* (სექტანტები) ჩამოსახლება, რომელთა რაოდენობამ 1855 წლისათვის საქართველოს სამხრეთ ნაწილში (ჯავახეთი) 2873 ადამიანი შეადგინა (Военно-статистическое обозрение..., 1858, 142). დაახლოებით იმავე პერიოდიდან იწყება *მოღოკნების* (სექტანტები) თბილისში, (Военно-стстистическое описание..., 1902, 411), ხოლო მე-20 საუკუნის დასაწყისში, რუსეთის მონარქიის დამხობის შემდეგ, *სტახოვეხების* (სექტანტები) ჩამოსახლებაც (თბილისში 1912 წელს; საბოლოოდ, დასახლდნენ სოფ. გრიგოლეთში (ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი)). 1886-1897 წლებში, რუსი ეროვნების მოსახლეობამ 101,0 ათასი შეადგინა (ჯაოშვილი, 1996, 116).

1930-იან წლებში პიკს მიაღწია სსრ კავშირის სხვა რესპუბლიკებიდან არაქართველი მოსახლეობის ჩამოსვლამ. ძალადობრივი გასაბჭოების შემდეგ მოკავშირე რესპუბლიკებში ძლიერი წინააღმდეგობა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა დაიწყო. საბჭოთა რუსეთი კომპრომისზე წავიდა და ახალი ეკონომიკური პოლიტიკის (НЭП - Новая Экономическая Политика) შედეგად გლეხობამ მიწა საკუთრებაში მიიღო. ამან ქვეყნის მოსახლეობას მყარი ეკონომიკური საფუძველი შეუქმნა, განსაკუთრებით, სლავურ რესპუბლიკებში, სადაც ერთ კომლზე ხორბლის ვრცელი ფართობები მოდიოდა. ბოლშევიკურმა მთავრობამ მალე მასობრივი რეპრესიები დაიწყო – მესაკუთრე გლეხების ან „კულაკად“ გამოცხადება და ციმბირში გადასახლება, ან ლიკვიდაცია და მათი ქონების კოლექტივში გაერთიანება. კულაკების მეურნეობების მოშლით სასურსათო დეფიციტი შეიქმნა, 1932-33 წლებში კი უკრაინაში შიმშილმა პიკს მიაღწია. სტალინის ხელისუფლების მიერ, უკრაინული ნაციონალიზმის დათრგუნვის მიზნით, ამ ხელოვნურად ორგანიზებულ შიმშილს, რომელიც *გოღოდომორის* სახელწოდებითაა ცნობილი, 4 მილიონი ადამიანი შეეწირა. სურსათისა და სახლ-კარის გარეშე დარჩენილი გლეხობის ნაწილი სოფლებს გაეცალა და დიდ ქალაქებს ან სხვა რესპუბლიკებს, მათ შორის საქართველოს, შეაფარა თავი (თევზაძე, 2014). 1926-1939 წწ.-ის აღწერებს შორის პერიოდში 3-ჯერ და მეტჯერ გაიზარდა რუსებისა და ***უკრაინელების,*** 1,6-ჯერ ბერძნების, ხოლო 1,4-ჯერ სომხების, აზერბაიჯანელებისა და ებრაელების რაოდენობა. ამ პერიოდისათვის საქართველოს გარე მიგრაციის დადებითმა სალდომ 240 ათასი შეადგინა (ჯაოშვილი,1996, 135). მიმდინარე ცვლილებების შედეგად ქართველების პროცენტული მაჩვენებელი უპრეცედენტოდ შემცირდა და 61,4%-ს გაუტოლდა.

1944 წელს მოხდა *მაჰმადიანი მესხების* დეპორტაცია. გასახლებულები, ძირითადად, ქართველი ეროვნებისანი იყვნენ.

1959-1989 წწ.-ის აღწერებს შორის პერიოდში პერმანენტულად მატულობდა ქართველების როგორც აბსოლუტური, ასევე პროცენტული მაჩვენებელი. 1989 წელს ქართველების წილმა მოსახლეობის საერთო რაოდენობაში 70,1% შეადგინა. დროის ამ მონაკვეთში უმნიშვნელოდ შემცირდა სომხების რაოდენობა, ისინი რაოდენობრივად მეორე ადგილზე იყვნენ. საგრძნობლად შემცირდა რუსი და ებრაელი მოსახლეობა. ამ უკანასკნელთა კლებას 1970-იან წლებში დაწყებული რეპატრიაციის პროცესი განაპირობებდა. ისრაელის ცენტრალური სტატისტიკური ბიუროს მონაცემებით, 1989-2000 წწ.-ში საქართველოდან ემიგრაციაში წავიდა 20.4 ათასი ებრაელი (Тольц, 2003). გაორმაგდა აზერბაიჯანული მოსახლეობის რაოდენობა, რაც, ძირითადად, მათი მაღალი ბუნებრივი მატებით აიხსნება. ასევე 2-ჯერ გაიზარდა ქურთი (ამ ეროვნებას აღნიშნულ აღწერებში მიკუთვნებულნი იყვნენ იეზიდებიც) ეროვნების მოსახლეობა.

1990-იანი წლებიდან საქართველოში განვითარებულმა უმძიმესმა სოციალურ-ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა პროცესებმა მოსახლეობის ეთნიკური სტრუქტურის რადიკალური ცვლილებები გამოიწვია.

2002-2014 წწ.-ში მოსახლეობის აღწერათაშორის დროის მონაკვეთში შემცირდა საქართველოში მცხოვრები ყველა ეროვნების მოსახლეობის აბსოლუტური რაოდენობა, განსაკუთრებით სომხების, რუსების, ებრაელებისა და ბერძნების; ყველაზე ნაკლები კლება დაფიქსირდა აზერბაიჯანელებს შორის. ეს ეროვნება, 2014 წლის აღწერის შედეგების მიხედვით, 233.0 ათასს შეადგენს და რაოდენობრივად, ქართველების შემდგომ, მეორე ადგილზეა. მიუხედავად საგრძნობი აბსოლუტური რაოდენობის კლებისა (-129.2 ათასი), ქართველების წილი მოსახლეობის საერთო რაოდენობაში გაიზარდა და 86,9%-ს გაუტოლდა.

ლინგვისტური შემადგენლობა

საქართველო, ლინგვისტური თვალსაზრისით, მრავალფეროვნებით გამოირჩევა. ლეონტი მროველის მიხედვით, ჯერ კიდევ ჩვ. წ. აღ-ამდე მე-6 საუკუნეში ქართლში, ქართულის გარდა, ხუთ ენაზე – ბერძნულზე, ებრაულზე, სომხურზე, ასურულსა და ხაზარულზე საუბრობდნენ (უმცირესობათა ენები, 2016,4).

ქართველური ენები ქმნიან ერთ საერთო გენეტიკურ ჯგუფს, რომელიც შედგება საკუთრივ ქართულისა და ახლომონათესავე დიალექტებისგან – მეგრულ-ლაზურისა და სვანურისაგან და რომლებიც ისტორიულად ერთი საერთო ფუძეენისაგან ე.წ. საერთო – ქართველური ენისაგან მომდინარეობს (გამყრელიძე, 2008, 90).

საქართველოს მოსახლეობის 2014 წლის აღწერის მონაცემების თანახმად, ქართულს მშობლიურ ენად მიიჩნევს მოსახლეობის 88% (3 255 ათასი ადამიანი). ქართულის შემდგომ ყველაზე გავრცელებული ენებია აზერბაიჯანული და სომხური. ქურთებისა და იეზიდების ენას *კუმანჯი* წარმოადგენს, რომელიც ქურთული ენის ჩრდილოური დიალექტია.

საქართველოში მცხოვრები სხვა ეროვნებებიდან აღსანიშნავია ასურელები, რომლებიც *ახალი არამეული ენის ასურული* დიალექტზე საუბრობენ. ისინი, ძირითადად, სოფელ ძველ ქანდასა და ქუთაისში არიან განსახლებულნი (მათ არასწორად *აისორებად* მოიხსენიებენ). ჩეჩნური ენის *ქისტურ* დიალექტზე მეტყველებს პანკისის ხეობის მოსახლეობა. საქართველოში მცხოვრები ბერძნები ლინგვისტურად ორ ჯგუფად იყოფიან. ბერძნული ენის *პონტოურ დიალექტზე* მოსაუბრე ბერძნულენოვანები, უმთავრესად, ქვემო ქართლში, აჭარაში, სამცხე-ჯავახეთსა და თბილისში ცხოვრობენ (მნიშვნელოვანი იყო მათი რაოდენობა აფხაზეთში 1990-იანი წლების დასაწყისამდე), ხოლო *უკუმთა თუსქული დიალექტზე* მოსაუბრე ბერძნები, ძირითადად, წალკისა და დმანისის მუნიციპალიტეტებში (ქვემო ქართლი). დღეისათვის ამ ენაზე მხოლოდ ხანდაზმული მოსახლეობა საუბრობს. *უდიური* ენაზე საუბრობენ უდიები (უდინები), კავკასიის ერთ-ერთი ყველაზე მცირერიცხოვანი ეთნიკური ჯგუფი. ეს ენა იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახს მიეკუთვნება. უდიები ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ზინობიანში ცხოვრობენ. *ხუნძური* ენაზე (მიეკუთვნება იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახს) საუბრობენ ავარები (იგივე ხუნძები). ისინი ცხოვრობენ ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფლებში (თივი, ჩანტლისყურე, სარუსო). *თათური* ენაზე (მიეკუთვნება ირანულ ენათა ჯგუფს) საუბრობენ საქართველოში მცხოვრები ლაიჯები (იგივე თათები), რომლებიც საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ გომბორის მოსახლეობაა.

საქართველოს სახელმწიფო, 2015 წელს მიღებული სახელმწიფო ენის შესახებ კანონის შესაბამისად, იცავს და განამტკიცებს ქვეყანაში ენათა და კულტურათა თანაარსებობისა და ჰარმონიული განვითარების საუკუნეთა განმავლობაში ჩამოყალიბებულ ტრადიციას.

ხელიგიური სტრუქტურა

საქართველო, თავისი გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, ყოველთვის გამოირჩეოდა რელიგიური მრავალფეროვნებით. მართლმადიდებლების გვერდით მნიშვნელოვანი იყო *მაჰმადიანური, სომხურ-გრიგორიანული (მონოფიზიტური), იუდეური* და სხვა რელიგიების წარმომადგენელთა რაოდენობა. ისტორიული წყაროებიდან ცნობილია, რომ მეფე დავით აღმაშენებლის პერიოდში მიზანმიმართულად ტარდებოდა შემწყნარებლური პოლიტიკა სხვა კონფესიების მიმართ. მოგზაური ჟან შარდენი მიუთითებდა, რომ საქართველოში „უფლება

გაქვს, იცხოვრო შენი სარწმუნოებით და ადათებით, იმსჯელო მასზე და დაიცვა იგი (ჟან შარდენის მოგზაურობა..., 1975, 297-298). მსგავს ჩანაწერს ვხვდებით ი. გიულდენშტედთანაც: „მმართველობა და სამღვდელოება ამჟღავნებს სრულ რჯულთშემწყნარებლობას სომხების, კათოლიკეების, მაჰმადიანი და ებრაელი მოსახლეობის რელიგიის მიმართ, რომლებიც სრულებით არ ეკუთვნიან ბერძნულ ეკლესიას და არ სდევნიან მათ“ (გიულდენშტედტი, 1962, 209).

ქართველმა ერმა მეოთხე საუკუნის დასაწყისში მიიღო ქრისტიანობა. ამ ფაქტით მან განსაზღვრა თავისი განვითარების დასავლური გზა. ***მახთღმადიდებლობას*** განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვის საქართველოს სახელმწიფოს წინაშე. მისი მეშვეობით მოხდა ქვეყნის რეგიონების გაერთიანება და ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცება. ის უკვე თითქმის ჩვიდმეტი საუკუნეა, ქართველთა ეროვნული სარწმუნოებაა, ქრისტიანობისათვის ბრძოლა ნიშნავდა ქართული ეთნიკური ერთობისათვის, მისი გადარჩენისათვის ბრძოლასაც (თოფჩიშვილი, 2005, 75).

ქრისტიანობის ერთ-ერთი განშტოება ***კათოლიციზმი*** საქართველოში მე-13 საუკუნიდან იწყებს გავრცელებას. კათოლიკური სარწმუნოების აღმსარებლებს საქართველოში *ფრანგებს* უწოდებდნენ. მე-19 საუკუნეში საქართველოში კათოლიკური ტაძრები აშენდა თბილისში, ქუთაისში და ბათუმში.

ებრაელი ერის სარწმუნოება ***იუდაიზმია.*** საქართველოში თითქმის ნახევარი საუკუნეა, მათი რაოდენობა მცირდება. იუდეველების სინაგოგები მდებარეობს თბილისში, ბათუმში, ქუთაისში, სოხუმში, ონში და სხვაგან (გაჩეჩილაძე, 2003).

საქართველოში ***ისლამის*** გავრცელება არაბების ბატონობის ხანას უკავშირდება. საუკუნეების წინ თურქების მიერ დაპყრობილ აჭარის, ჯავახეთისა და სამცხის ტერიტორიებზე ქართველთა მაჰმადიანური ჯგუფები წარმოიშვა; ისლამი მიიღო აგრეთვე აღმოსავლეთ კახეთის მოსახლეობამ – ინგილოებმა. დღეისათვის *შიიტური ისლამის* აღმსარებელია ქვემო ქართლის აზერბაიჯანელების უმრავლესობა, *სუნიტური ისლამის* მიმდევრები კი არიან აჭარის ქართველი მუსლიმები და ქისტები.

მონოფიზიტური (გრიგორიანული) რელიგიის მიმდევარია საქართველოში მცხოვრები სომეხი ეროვნების მოსახლეობა.

საქართველოში აგრეთვე ცხოვრობენ *პროტესტანტები* (ლუთერანები, ევანგელისტები, იეჰოვას მოწმეები და სხვ.), რუსი *სექტანტები* (დუხობორები, სტაროვერები, მოლოკნები).

2002-14 წლების აღწერათაშორის პერიოდში გარკვეული ცვლილებები მოხდა საქართველოს რელიგიურ სტრუქტურაში. მნიშვნელოვნად დაიკლო კათოლიკური, სომხურ-გრიგორიანული და იუდეური აღმსარებლობის მოსახლეობის როგორც აბსოლუტურმა, ასევე ფარდობითმა მაჩვენებელმა. საწინააღმდეგო ტენდენცია დაფიქსირდა მუსლიმთა შორის. ამ უკანასკნელთა წილი 10,7%-ამდე გაიზარდა. უმნიშვნელოდ შემცირდა მართლმადიდებელთა წილი, რომელიც 83,4%-ის ტოლია (ცხრილი3).

ცხრილი 3

საქართველოს მოსახლეობის რელიგიური შემადგენლობა
1897, 2002 და 2014 წლების მოსახლეობის საყოველთაო აღწერების მიხედვით

წლები	ქრისტიანული			იუდეური	მაჰმადიანური	სხვა	არცერთი	სულ
	მართლმადიდებლური	კათოლიკური	სომხური სამოციქულო					
1897	75.2	1.9	11.4	0.9	9.2	1.4	0.0	100,0
2002	83.9	0.8	3.9	0.1	9.9	0.8	0.6	100.0
2014	83.4	0.5	2.9	0.0	10.7	0.7	0.5	98.7*

* ჯამი არ ემთხვევა 100%-ს, ვინაიდან მოსახლეობის ნაწილმა უარი განაცხადა პასუხზე, ან არ მიუთითა რელიგიური კუთვნილება.

წყარო: *მეღაძე, 2007, 86-87, საქახთველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.*

საქართველოში ისლამის აღმსარებელი მოსახლეობის ძირითადი განსახლების რეგიონებია: ქვემო ქართლი, აჭარა და პანკისის ხეობა. აღსანიშნავია, რომ 2014 წლის მოსახლეობის აღწერის თანახმად, ქვეყანაში მცხოვრები 398,7 ათასი მუსლიმიდან 41% ქართველი ეროვნებისაა. სომხური სამოციქულო ეკლესიის მიმდევრების უდიდესი ნაწილი (59%) სამცხე-ჯავახეთში ცხოვრობს, დანარჩენი თბილისსა და ქვემო ქართლში. კათოლიკეების უდიდესი უმრავლესობა (78,3%) სამცხე-ჯავახეთშია განსახლებული.

„სხვა“ რელიგიურ ჯგუფში გაერთიანებულთა შორის რაოდენობრივად გამოირჩევა *იეზიდური* აღმსარებლობის ხალხი, რომელიც თავს ცალკე ეთნოსად მიიჩნევს.

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, ყოველ ადამიანს აქვს სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლება. დაუშვებელია ადამიანის დევნა აღმსარებლობის ან რწმენის გამო, აგრეთვე მისი იძულება, გამოთქვას თავისი შეხედულება მათ შესახებ. ამასთანავე, კონსტიტუცია ადგენს, რომ აღნიშნულ თავისუფლებათა შეზღუდვა დაუშვებელია, თუ მათი გამოვლინება არ ლახავს სხვათა უფლებებს.

კითხვები:

5. მოსახლეობის აღწარმოების ცვლილებებსა და ჩამოყალიბებაზე მოქმედი სამი უმთავრესი ფაქტორიდან, ძირითადად, რომელი განსაზღვრავდა სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურის ჩამოყალიბებას საქართველოში 1990-იან წლებში?
6. დაასახელეთ მოსახლეობის დემოგრაფიული დაბერების განმსაზღვრელი ფაქტორები.
7. საქართველოში მე-20 საუკუნეში ჩატარებული მოსახლეობის საყოველთაო აღწერებიდან რომელი აღწერის დროს დაფიქსირდა ქართველების ყველაზე დაბალი წილი და რა იყო აღნიშნული ფაქტის გამომწვევი მიზეზი?

დავალება:

საქართველოს მოსახლეობის 2014 წლის აღწერის თანახმად, ქვეყანაში 100 წლისა და უფროსი ასაკის მამაკაცების წილი 4,9%-ს შეადგენდა. აღნიშნული ასაკის მოსახლეობის საერთო რაოდენობა 287-ის ტოლი იყო. განსაზღვრეთ მამაკაცებისა და ქალების რაოდენობა.

გამოყენებული ლიტერატურა:

ანთაძე კ., *საქართველოს მოსახლეობა მე-19 საუკუნეში,* თბილისი, 1973.

ბორისოვი ვ., *დემოგრაფია* (სახვაძე ა., თარგმანი რუსულიდან), თბილისი, 2001.

გამყრელიძე თ., ენა და ენობრივი ნიშანი (სტატიების კრებული), თბილისი, 2008.

გაჩეჩილაძე რ., ახლო აღმოსავლეთი: სივრცე, ხალხი და პოლიტიკა, თბილისი, 2003.

გიულდენშტედტი ი., *მოგზაურობა საქართველოში,* ტ.1, თბილისი, 1962.

გუგუშვილი პ., *საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX სს.,* ტ. 1, თბილისი, 1949.

ეთნოსები საქართველოში, საქართველოს სახალხო დამცველის ბიბლიოთეკა, თბილისი, 2008, ნანახია 2018 წლის 1 ივლისს, http://www.pmmg.org.ge/res/uploads/Etnosebi_Saqartveloshi.pdf

თევზაძე ნ., გოლოდომორი, ჟურნალი „ისტორიანი“, N8 (44), 2014.

თეთვაძე შ., თეთვაძე ო., *სომხები საქართველოში,* თბილისი, 1998.

თოთაძე ა., *საქართველოს დემოგრაფიული პოტენციალი,* თბილისი, 1993.

თოფჩიშვილი რ., *ეთნოისტორიული ეტიუდები,* წიგნი I, თბილისი, 2005.

თოფჩიშვილი რ., ქართველთა ეთნიკური ისტორია და საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეები, ნანახია 2018 წლის 2 ივლისს, https://javakhishviliinstitute.files.wordpress.com/2009/07/topchishvili.pdf

მელაძე გ., *საქართველოს დემოგრაფიული გამოწვევები,* თბილისი, 2007.

მელაძე გ., წულაძე გ., *საქართველოს მოსახლეობა და დემოგრაფიული პროცესები,* თბილისი, 1997.

ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, თბილისი, 1975.

სარჯველაძე ნ., შუშანია ნ., მელიქიშვილი ლ., ბალიაშვილი მ., ტოლერანტობა მრავალეროვან საქართველოში, თბილისი, 2009.

საქართველოს დემოგრაფიული წელიწდეული, თბილისი, 2014.

საქართველოს მოსახლეობა, სტატისტიკური კრებული, თბილისი, 2003.

საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის პირველი საყოველთაო აღწერის ძირითადი შედეგები, სტატისტიკური კრებული, თბილისი, 2004.

უმცირესობათა ენები საქართველოში, Council of Europe, 2016, https://www.coe.int/t/dg4/education/minlang/aboutcharter/Minority%20languages%20in%20Georgia_GE.pdf

ფირცხალავა გ., 1937 წლის აღწერის ტრაგიკული პერიპეტიები, ფარსი და რეაბილიტაცია. გაზ. მილიონთა ბედი, 2 მაისი, 1998.

წულაძე გ., *ემიგრაცია საქართველოდან 2002 წლის მოსახლეობის აღწერის მონაცემების მიხედვით,* თბილისი, 2005.

ჯავახიშვილი ი., *საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით,* ტფილისი, 1919.

ჯაოშვილი ვ., *საქართველოს მოსახლეობა,* თბილისი, 1996.

Meladze G., Population and Societe. The Information Bulletin of National Centre of Population Research, N2. Tbilisi, 2000.

Tukhashvili M., Evolution of Ethnic Structure of Georgian Population in 1897-1989.

Population and Societe. The Information Bulletin of National Centre of Population Research, N2. Tbilisi, 2000.

Акты собранные Кавказскою археографического комиссиею, Т. 7, ч. 2, Тифлис, 1878.

Акты собранные Кавказскою археографического комиссиею, Т. 4, N1447, Тифлис, 1870.

Военно-статистическое обозрение Российской империи, Т. 16. СПб, Кавказский край: Ч.5. Кутайсское генерал-губернаторство, 1858.

Военно-стстистическое описание Тифлисской губернии и Закатальского округа, Газ.,Кавказ''. (1878). N131Тифлис, 1902..

Дзидзария Г.А., Присоединение Абхазии к России и его историческое значение, Сухуми, 1960.

Инал-Ипа Ш.Д., Абхазы историко-демографические очерки, Сухуми, 1965.

Инал-ипа Ш.Д., Народы Кавказа, Т. II, Москва, 1962.

Свод статистических данных о населении Закавказского края извлечённых из посемейных списков 1886 г., Тифлисъ, 1893.

Шопен И., Исторический памятник состояния Армянской области в эпоху присоеденения к Российской империи. СПб., 1852.

Тольц М.С., Перепись приговоренная к забвению. Семья и семейная политика. Москва,1991.

Тольц М., Эмиграция евреев с постсоветского пространства и из России, 2003, http://www.demoscope.ru/weekly/2003/0105/tema01.php

Энциклопедический словарь, Изд. Ф.А. Брокгаузъ., И.А. Ефронъ. Т. 22, СПб., 1897.

4.4. ურბანიზაცია და განსახლების სისტემა

უიბანიზაციის ზოგადი ტენდენციები

საქართველო ზომიერად ურბანიზებულ ქვეყნებს უნდა მივაკუთვნოთ. მისი ურბანიზაციის დონე 58%-ს შეადგენს (2018) და ამ მაჩვენებლით ის ცოტათი აღემატება მსოფლიოს ანალოგიურ პარამეტრს, რამაც 2018 წელს 55% შეადგინა (United Nations, 2018).

საბჭოთა პერიოდში, 1930-1950-იანი წლების ურბანიზაციის შედარებით მაღალი ტემპების შემდგომ, რაც სსრკ-ის ინდუსტრიალიზაციისა და სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის განვითარების საჭიროებებით იყო განპირობებული, საქალაქო მოსახლეობის ზრდა ზომიერი ტემპით მიმდინარეობდა (დიაგრამა 1). მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა დამოუკიდებლობის პირველ წლებში, როცა პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური სირთულეების ზემოქმედებით, საქართველოს მოსახლეობის მასობრივი ემიგრაციის პირობებში, ქვეყნის ურბანიზაციის დონე 56%-იდან (1989) 52%-ამდე (2002) დაეცა. მხოლოდ ჩვენი საუკუნის ნულოვანი წლების შუა პერიოდიდან კვლავ დაიწყო ურბანული მოსახლეობის შეფარდებითი ზრდის ტენდენცია, რამაც 2018 წელს ისტორიულ პიკს – 58,3%-ს მიაღწია. ნიშანდობლივია, რომ ***საქართველოში უიბანიზაციის დონის ზრდა საქალაქო მოსახლეობის აბსოლუტური რაოდენობის შემცირების ფონზე ხდება.*** 1994 წლიდან 2018 წლამდე ურბანული მოსახლეობის რაოდენობა თითქმის ნახევარი მილიონი მცხოვრებით შემცირდა, თუმცა იმავე პერიოდში ურბანიზაციის დონე 4,5%-ით გაიზარდა (საქსტატი, 2018). ეს სტატისტიკა ცხადყოფს, რომ 1990-იან წლებში ქვეყნიდან მასობრივ ემიგრაციაში, ძირითადად, საქალაქო მოსახლეობა მონაწილეობდა, რაც მნიშვნელოვანწილად „ტვინების გადინების“ ხასიათს ატარებდა და განაპირობა ურბანიზაციის საერთო დონის შემცირება. რა თქმა უნდა, იმავე პერიოდში ხდებოდა მოსახლეობის სოფლიდან ქალაქებში მიგრაციაც, მაგრამ ამ პროცესმა მხოლოდ ნაწილობრივ მოახდინა ქვეყნის ურბანული მოსახლეობის კლების კომპენსირება და კიდევ უფრო ნაკლებად – საზღვარგარეთ გადინებული კვალიფიციური მუშახელის სრულფასოვანი ჩანაცვლება: *„ემიგრანტთა უმრავლესობა თეთრსაყელოიანი მუშა-მოსამსახურეები*[1] *არიან; ზოგიერთი მათგანი მცირეიცხოვანი საშუალო ან სულაც ზესაშუალო კლასის წარმომადგენელია, ყველა მათგანი ქალაქელია. თბილისში მათი „ჩამნაცვლებელი“ მოსახლეობა საქართველოს მცირე პროვინციული ქალაქებისა და სასოფლო არეალების მცხოვრებლებითაა წარმოდგენილი... ისინი უპირატესად ახალგაზრდა, ნაკლებად განათლებული ხალხია, ვინც თბილისს თავისი კომერციული და ზოგჯერ კრიმინალური, საქმიანობის არენად იყენებს. ადგილნაცვალი მოსახლეობის ნაწილიც ცდილობს დედაქალაქში დამკვიდრებას... ახალჩამოსული იმიგრანტების რაოდენობა მრავალრიცხოვანია... ისინი ვერ ახდენენ სწრაფ ადაპტირებას საქალაქო ცხოვრების წესთან, რადგან „უიბანული აქტივობები“ შეზღუდულია ეკონომიკური კრიზისის გამო“* (Gachechiladze,1995, 164). შემდგომ პერიოდში, განსაკუთრებით, ბოლო 10-12 წლის განმავლობაში, ქალაქის მოსახლეობის საზღვარგარეთ გადინების მასშტაბები მნიშვნელოვნად შემცირდა, ხოლო სოფლიდან ქალაქად მოსახლეობის გადასვლა კი კვლავ საგრძნობია, რაც შესაბამისად აისახა ქვეყნის ურბანიზაციის დონის ზრდაში. ეს პროცესი სასოფლო არეალებში რთული ეკონომიკური პირობებით, სამუშაო ადგილების ქრონიკული ნაკლებობითა და დაბალი შემოსავლებით, სოფლად არაადეკვატური საცხოვრებელი პირობებითა და ზოგადი უპერსპექტივობის განცდით უნდა აიხსნას. მიუხედავად იმისა, რომ, სამწუხაროდ, საქართველოს ურბანული რეგიონებიც დღემდე ვერ იძლევა დასაქმებისა და ღირსეული ცხოვრებისათვის სასურველ პირობებს, მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის (განსაკუთრებით შრომისუნარიანი მოსახლეობისათვის), ქალაქად ცხოვრება მაინც უფრო მიმზიდველად და პერსპექტიულად აღიქმება. ასეთი აღქმა კი სისტემატურად „კვებავს“ ურბანიზაციის პროცესს თანამედროვე საქართველოში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მსგავსი პროცესი არ არის უნიკალური საქართველოსათვის, ის დამახასიათებელია შედარებით დაბალურბანიზებული და ეკონომიკურად სუსტი არაერთი ქვეყნისათვის, მათ შორის ყოფილ საბჭოთა სივრცეშიც. უნდა ვივარაუდოთ, რომ ჩვენს ქვეყანაში ურბანიზაციის დონის ზრდის ტენდენცია შენარჩუნებული იქნება მომავალ წლებშიც და საკმაოდ მალე ურბანიზაციის მაჩვენებელი 60%-ს გადააჭარბებს. ამავე დროს, მნიშვნელოვანია, რომ ურბანიზაციის პროცესთან ერთად გამყარდეს ქვეყნის ქალაქების ეკონომიკური ბაზა, გაუმჯობესდეს მოსახლეობის სოციალურ-კულტურული პირობები, რათა არ გაღრმავდეს „ფსევდოურბანიზაციის“ საფრთხე, რისი ნიშნებიც გვიან საბჭოთა და, განსაკუთრებით, დამოუკიდებლობის წლებში აშკარად გამოიკვეთა ქართულ ქალაქებში, დედაქალაქის ჩათვლით. ამაში იგულისხმება ქალაქად არაურბანული ყოფითი და ეკოლოგიური კულტურის გამო-

[1] თეთრსაყელოიანი მოსამსახურეებს უწოდებენ ეკონომიკის მესამეულ და მეოთხეულ დარგებში დასაქმებულ, მომსახურების სფეროს პერსონალს, რომელთა საქმიანობის ტიპი არ ითვლება ფიზიკურ შრომად

ვლინებები, კოლექტიური და საჯარო სივრცეების ხელყოფა და მათ მიმართ „მტაცებლური“ დამოკიდებულება, ნაშენი საქალაქო გარემოს დაზიანება „თვითშემოქმედების“ გზით განხორციელებული მშენებლობებით და ა.შ.

დიაგრამა1

საქართველოს ურბანული მოსახლეობის ცვლილება ბოლო საუკუნის განმავლობაში
(მოსახლეობის აღწერების მონაცემების მიხედვით)



წყარო: *შედგენილია ავტორის მიერ, საქართველოს გეოგრაფია, 2003, 27; Джаошвили, 1978, 63; და საქსტატის მონაცემებზე დაყრდნობით*

შენიშვნა: * არასააღწერო წელი (შეფასება)

ქალაქების სისტემა და იერარქია

საქართველოში 91 ურბანული დასახლებაა – 54 ქალაქი და 37 დაბა. ბუნებრივია, ეს დასახლებები განსხვავდება ერთმანეთისაგან ასაკითა და ზრდა-განვითარების ისტორიით, მოსახლეობის რაოდენობით, ფუნქციებით, შიდა სტრუქტურით, მიზიდულობის არეალის (ჰინტერლანდის) მასშტაბებით და ა.შ. საქალაქო დასახლებების ერთობლიობა, მათ შორის არსებული ურთიერთკავშირებითა და ურთიერთზეგავლენით ქმნის ***საქალაქო განსახლების ეროვნულ სისტემას***. ამ სისტემის შესახებ მსჯელობა რამდენიმე მახასიათებლის მიხედვით არის შესაძლებელი. ერთი მეტად მნიშვნელოვანი და თვალსაჩინო მათგანია *ქალაქების სიდიდე და მისი ცვლილების დინამიკა.*

პოსტსაბჭოთა პერიოდში საქართველოს თითქმის ყველა ქალაქმა მოსახლეობის კლება განიცადა, რაც პირდაპირ უკავშირდება ქვეყნიდან მასობრივი მიგრაციის ზემოთ ნახსენებ პროცესს. თუ შევადარებთ 1989 წლის მოსახლეობის ბოლო საკავშირო აღწერისა და 2017 წლის მონაცემებს, ვნახავთ, რომ გამონაკლისი მხოლოდ ორი საქალაქო დასახლება – ბათუმი და წნორია, სადაც მოსახლეობის ზრდის ძირითადი წყარო არა დემოგრაფიული და/ან მიგრაციული პროცესები, არამედ *ადმინისტრაციული საზღვრების ცვლილებაა*, რაც მათთვის ახალი ტერიტორიების, მათ შორის უკვე არსებული დასახლებების მიერთებით გამოიხატება. განსაკუთრებით მძიმე პირობებში აღმოჩნდა სამთო-მოპოვებითი მონოფუნქციური ქალაქები, სადაც მოსახლეობის კლებამ საგანგაშო მასშტაბები მიიღო, მაგალითად, 1989 წლიდან 2017 წლამდე ჭიათურის მოსახლეობა შემცირდა 29-იდან 13 ათასამდე, ტყიბულის – 22-იდან 9 ათასამდე, ვალესი კი 7-იდან 3,5 ათასამდე. ანუ თითოეულ მათგანში მოსახლეობა, უკეთეს შემთხვევაში, განახევრდა. ეს, რა თქმა უნდა, პირდაპირ კავშირშია ამ ქალაქების მასაზრდოებელი ეკონომიკური ბაზის მოშლასთან, იქ წარმოებული პროდუქციის გასაღების ბაზრის გაქრობასა და მოპოვებითი მრეწველობის დარგის ვერჩანაცვლებასთან ეკონომიკის სხვა სექტორებით, რაც მეტად სერიოზული და, ხშირ შემთხვევაში, ჯერ კიდევ გადაულახავი პრობლემაა საქართველოს ქალაქებისათვის.

ქვეყნის ურბანული სისტემის კიდევ ერთი დამახასიათებელი ნიშანია *დედაქალაქის სრული ჰეგემონია და დომინირება ქვეყნის სხვა ქალაქებზე,* რაც საქალაქო იერარქიის დარღვევასა და სისტემის განუვითარებლობაზე მიუთითებს. ტრადიციულად, თბილისი საუკუნეების განმავლობაში იყო საქართველოს ყველაზე დიდი ქალაქი და მისი უპირატესობა კიდევ უფრო გამოიკვეთა საბჭოთა პერიოდში, როცა პატარა საბჭოთა რესპუბლიკების დედაქალაქებში დაიწყო მნიშვნელოვანი ინვესტიციების დაბანდება, შედარებით მცირე ქალაქები კი

ხელისუფლების გაცილებით ნაკლებ ყურადღებას იმსახურებდნენ და მათზე ნაკლები რესურსი (მათ შორის ფინანსური) იხარჯებოდა. ეს ტენდენცია პოსტსაბჭოთა პერიოდში კიდევ უფრო გაძლიერდა, როცა საბაზრო ეკონომიკის პირობებში თბილისი, საერთაშორისო მასშტაბით, პრაქტიკულად ქვეყნის ერთადერთ კონკურენტუნარიან ქალაქად ჩამოყალიბდა (შესაძლოა, გარკვეულწილად, ბათუმიც მოვიაზროთ ასეთ ქალაქად). დღეს თბილისი თავს უყრის ქვეყნის ურბანული მოსახლეობის ნახევარზე მეტს და მთელი მოსახლეობის თითქმის 30%-ს. მოსახლეობის რაოდენობის სხვაობა თბილისსა (1,158 ათასი 2018 წელს) და სხვა ქალაქებს შორის ძალიან დიდია. ის 7-ჯერ აღემატება საქართველოს სიდიდით მეორე ქალაქს – ბათუმს (155 ათასი 2017 წელს). შემდეგი სამი უდიდესი ქალაქი, – ბათუმი, რუსთავი, ქუთაისი, – რომელთაგან თითოეული 100-იდან 200 ათას მოსახლემდე ითვლის, ერთად თავს უყრის ნახევარ მილიონზე ნაკლებ მოსახლეობას (მთელი ურბანული მოსახლეობის 20%-ამდე). კიდევ ერთი საყურადღებო და არასასურველი „უფსკრული“, რაც საქართველოს ქალაქების იერარქიაში აღინიშნება, არის საშუალო ქალაქების (50 000-100 000 მცხოვრები) არარსებობა. ზემოთ დასახელებული ქალაქების გარდა, ყველა სხვა ქალაქი 50 000 მცხოვრებზე ნაკლებს ითვლის, რაც ხაზს უსვამს ქვეყნის საქალაქო იერარქიის მნიშვნელოვან დისპროპორციას.

საქართველოს ურბანული სისტემა მეტად უთანაბრო ტერიტორიული განლაგებითაც ხასიათდება. დიდი და საშუალო ქალაქების მნიშვნელოვანი ნაწილი აღმოსავლეთ-დასავლეთის საავტომობილო და სარკინიგზო მაგისტრალების გასწვრივაა განლაგებული. მთელი ქვეყნის ურბანული მოსახლეობის თითქმის 70% ტერიტორიის 1%-ზე, ოთხი დიდი ქალაქის – თბილისის, ბათუმის, რუსთავის, ქუთაისისა – ადმინისტრაციულ საზღვრებშია თავმოყრილი. ეს მდგომარეობა ქმნის ძალიან დიდ სხვაობებს ცალკეული მუნიციპალიტეტებისა და რეგიონების ურბანიზაციის დონესა და მოსახლეობის სიმჭიდროვეს შორის. საქართველოს რეგიონებს შორის მხოლოდ აჭარაა ურბანული (55%-ზე მეტი ცხოვრობს ურბანულ არეალებში) და იმერეთია ახლოს 50%-თან. ყველა სხვა რეგიონი, უპირატესად, **რურარულია** და ზოგ მათგანში (რაჭა-ლეჩხუმი, კახეთი, მცხეთა-მთიანეთი, გურია) ურბანიზაციის დონე 30%-საც ვერ აღწევს. შესაბამისად, მოსახლეობის ყველაზე მაღალი სიმჭიდროვე დიდი თვითმმართველი ქალაქების ფარგლებში აღინიშნება, სადაც ეს მაჩვენებელი ხშირად 2 000 კაცს/კმ²-ს აღემატება, მაშინ, როცა ქვეყნის საშუალო მაჩვენებელი 55 კაცი/კმ²-ზე ნაკლებია. ამრიგად, სრულიად ნათელია გეოგრაფიული და ეკონომიკურ-ინფრასტრუქტურული ფაქტორების გავლენა ქვეყნის ურბანიზაციასა და საქალაქო სისტემის განვითარებაზე.

ქალაქების სოციალურ-ეკონომიკური ტიპები

საქართველოს ქალაქებს შორის თვალსაჩინო სხვაობები, მოსახლეობის რაოდენობის, ეკონომიკური პროფილის, ადამიანური კაპიტალისა (მუშახელის კვალიფიკაციის) და სხვა ფაქტორების თვალსაზრისით, განაპირობებს მათ განსხვავებულ როლს ურბანულ სისტემაში. მათი მნიშვნელობისა და როლის მიხედვით, ეროვნულ ეკონომიკასა და სოციალურ-კულტურულ განვითარებაში ქალაქები შეიძლება დავაჯგუფოთ სამ ძირითად ტიპად (The World Bank, 2015): (1) **„დიდი ოთხეული“**, (2) **რეგიონული ცენტრები** და (3) **მეორე რიგის ურბანული დასახლებები.**

„დიდი ოთხეული“ აერთიანებს თბილისსა და ქვეყნის დიდ ქალაქებს – ბათუმს, რუსთავს, ქუთაისს, და ისინი საქართველოს ურბანული ზრდით გამორჩეული ცენტრებია. ეს ოთხეული გამოირჩევა ეკონომიკური ბაზის უკეთესი დივერსიფიკაციითა და ხელსაყრელი საინვესტიციო გარემოთი და თავს უყრის ქვეყნის მოსახლეობის ეკონომიკური პოტენციალის, მშპ-ისა და შემოსული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების „ლომის წილს“. ის თითქმის სრულად მოიცავს საქართველოს სოციალურ-კულტურულ, ეკონომიკურ და ინტელექტუალურ კაპიტალს; ეს ჯგუფი ლიდერია ქვეყნის მასშტაბით ვაჭრობასა და ბიზნესის წარმოებაში და მას დიდი პასუხისმგებლობა აკისრია საქართველოს ეკონომიკის მდგრადი განვითარების უზრუნველყოფაში. ამავე დროს, **თბილისი** არის საქართველოში უდიდესი და, ძირითადად, ერთადერთი საქალაქო აგლომერაციის ცენტრი, რომელიც მოიცავს ქალაქ რუსთავს, მცხეთისა და გარდაბნის მუნიციპალიტეტებს და 1,5 მილიონ მცხოვრებს აერთიანებს; **ბათუმი** განვითარების სტრატეგიას აგებს საკუთარ მდებარეობაზე და ცდილობს, ჩამოყალიბდეს როგორც მსხვილი ტურისტული ჰაბი და საქართველოს მეორე საზღვაო პორტი; **რუსთავი** გამოკვეთილი სამრეწველო ცენტრია, რომელიც კარგად სარგებლობს თბილისთან სიახლოვით და მასთან მჭიდრო კოოპერაციით; **ქუთაისი** დასავლეთ საქართველოს ტრადიციული ცენტრი და ქვეყნის ე.წ. „მეორე დედაქალაქია“. მას აქვს არამდგრადი ინდუსტრიული ბაზა, რომელიც მნიშვნელოვან განახლებასა და თანამედროვე დარგებზე რეორიენტაციას მოითხოვს; ამავე დროს, ის განათლების ტრადიციული ცენტრი და ახლად ფორმირებადი ტურისტული ჰაბიცაა (2012 წელს ქუთაისში საერთაშორისო აეროპორტის აშენების შემდეგ). „დიდი ოთხეულის“ თითოეულ ქალაქს შეუძლია, მიაღწიოს უკეთეს განვითარებას, თუ უფრო სრულად გამოიყენებს საკუთარ საბაზრო პოტენციალს განვითარების პრიორიტეტების მკაფიო და სწორი გამოკვეთის გზით, ასევე

ბიზნესგარემოს გაუმჯობესებითა და კონკურენტუნარიანი ეკონომიკის სექტორების მიზანმიმართული რეფორმირებით.

ხეგიონული ცენტრები უფრო ლოკალური მიზიდულობით, შედარებით, დაშორებულია მაგისტრალური სატრანსპორტო კორიდორებიდან და ზრდის მთავარი ცენტრებიდან („დიდი ოთხეულიდან“). თუმცა ამ ჯგუფის ქალაქებს მნიშვნელოვანი როლი აკისრია, როგორც მაღალი რანგის ადმინისტრაციულ ცენტრებს. რეგიონული ცენტრების კარგი მაგალითებია: *გორი* – შიდა ქართლში, *თელავი* – კახეთში და *ზუგდიდი* – სამეგრელოში.

მეოხე ხიგის უხბანული დასახლებების განვითარების პერსპექტივები დამოკიდებულია „დიდი ოთხეულის“ (ნაწილობრივ რეგიონული ცენტრების) ზრდის პოტენციალზე და მათ ბაზრებში ინტეგრირების შესაძლებლობაზე. ამ ჯგუფში შემავალ ზოგიერთ, შედარებით მცირე ქალაქს შესწევს უნარი, გადაიქცეს განვითარების ლოკალურ ცენტრად. თუმცა მათი უმეტესობა ჯერ კიდევ წარუმატებლად ცდილობს არსებობისათვის ისეთი ფუნდამენტური პრობლემების გადაჭრას, როგორებიცაა საბაზო კომუნალური პირობებისა და სერვისების უზრუნველოფა, სათანადო ინფრასტრუქტურის განვითარება და ადეკვატური დაფინანსების მოპოვება.

შიდასაქალაქო განვითარების თავისებურებები და გამოწვევები

საქართველოს ქალაქების პოსტსაბჭოთა ტრანზიციის მთავარი მახასიათებელია საცხოვრებელი ფონდისა და უძრავი ქონების, ურბანული მიწისა და სხვა ეკონომიკური აქტივების ***მასობრივი პრივატიზაცია***. საქართველომ, სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებთან შედარებით ყველაზე ლიბერალური, თავისუფალ ბაზარზე ორიენტირებული, რეფორმები გაატარა. თუმცა კერძო საკუთრებასა და მეწარმეობაზე გადასვლა, ხშირ შემთხვევაში, სათანადოდ ვერ აისახა ეკონომიკურ ზრდასა და მოსახლეობის კეთილდღეობაზე, ისევე როგორც ვერ უზრუნველყო უკეთესი საქალაქო გარემო და ურბანული წესრიგი (Salukvadze, 2009).

მეორე მნიშვნელოვანი გარემოებაა ***სივრცითი დაგეგმარებისა და ქალაქმშენებლობითი ხეგულაციების ნაწილობრივი ან სრული უგულებელოფა ქალაქების განაშენიანების პროცესში.*** საქალაქო გარემოს ცვლილებები დამოუკიდებელ საქართველოში თითქმის ორი ათწლეულის განმავლობაში მნიშვნელოვანი ქალაქგეგმარებითი დოკუმენტების – მიწათსარგებლობის გეგმებისა და დიდი საქალაქო სივრცეების დეტალური დაგეგმარების პროექტების – გარეშე ან მათი გვერდის ავლით, მხოლოდ უძრავი ქონების ბაზრისა და მცირერიცხოვანი ინტერესჯგუფების – კერძო დეველოპერების/მენაშენეებისა და სახელისუფლო ჯგუფების – კარნახით ხორციელდებოდა. საბჭოთა გეგმარებითი სისტემის, რომელიც თავადაც არ გახლდათ სანიმუშო, დემონტაჟმა და მისმა არჩანაცვლებამ ახალი სისტემით, შექმნა ვაკუუმი, რომლითაც მოსახლეობის მხოლოდ გავლენიანმა ჯგუფებმა ისარგებლეს, ფართო საზოგადოების ინტერესები კი სისტემატურად დაუცველი რჩებოდა (Van Assche, & Salukvadze, 2012). დღეისათვის ქვეყანას უკვე აქვს სივრცითი დაგეგმარების სფეროში შესაბამისი საკანონმდებლო დოკუმენტების ძირითადი ნაწილი[1], ხოლო დიდი ქალაქებისათვის შექმნილია ან მზადდება თანამედროვე გეგმარებითი დოკუმენტები (მაგ., თბილისის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა, რომელიც 2018 წელს დამტკიცდა). თუმცა მეტად რთული იქნება ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში დაშვებული არასასურველი შედეგების სრულფასოვანი გამოსწორება.

მესამე დამახასიათებელი გარემოებაა ***საბინაო მშენებლობის*** მნიშვნელოვანი დომინირება თითქმის ყველა ქალაქში და მისი განმსაზღვრელი როლი ურბანული ტერიტორიების ზრდაში. საბჭოთა პერიოდში, მიუხედავად საბინაო მშენებლობის დიდი მასშტაბებისა, ქალაქების მოსახლეობა საბინაო ფართის ქრონიკულ უკმარისობას განიცდიდა: სახელმწიფოს მიერ მოქალაქეთათვის თითქმის უსასყიდლოდ გადაცემული საცხოვრებელი ფართის დაბალი ნორმა (9 მ² ერთ სულ მოსახლეზე) და ახალი ბინის მიღების რთული და ხანგრძლივი ბიუროკრატული პროცედურები, ბინების შედარებით დაბალ ხარისხსა და ერთფეროვნებასთან ერთად, მოქალაქეთა დიდი ნაწილის *„საბინაო შიმშილს“* განაპირობებდა. 1990-იანი წლების ღრმა ეკონომიკური კრიზისის პირობებში ამ პროცესმა, უპირატესად, მრავალბინიან მაღლივ საცხოვრებელ სახლებზე „მიშენება-დაშენების“ ფორმა მიიღო, რაც საცხოვრებელი გარემოს უსაფრთხოებისა და მათი ესთეტიკური მხარის მკვეთრი გაუარესების ხარჯზე მოხდა. 2000-იანი წლებიდან, როცა ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა შედარებით გაუმჯობესდა, დიდ ქალაქებში (მაგ.: თბილისში, ბათუმში) გააქტიურდნენ კერძო სამშენებლო კომპანიები, რომლებმაც საბანკო სექტორის მხარდაჭერით დაიწყეს ახალი მრავალსართულიანი საბინაო მშენებლობა. თუმცა ***ასეთი ბინათმშენებლობა მთლიანად საბაზრო, კომერციულ საწყისებზე მიმდინარეობს და ბინების ფასი ბევრად აღემატება მოქალაქეთა დიდი ნაწილის შემოსავალსა და მსყიდველუნარიანო-***

[1] მაგალითად, 2005 წელს მიღებული საქართველოს კანონი „სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ“, რომელიც ქალაქგეგმარებისა და განვითარების ახალ ზოგად პრინციპებსა და საფუძვლებს ნერგავს.

ბას. ახალი საბინაო მშენებლობისათვის ფართო მასშტაბების უზრუნველყოფა იმანაც განაპირობა, რომ საქართველოდან საზღვარგარეთ სამუშაოდ წასულ ემიგრანტთა ფულადი გადმორიცხვების დიდი ნაწილი სწორედ ბინათმშენებლობაში ბანდდება. ბევრი ახალაშენებული ბინა ახალი მესაკუთრეების მიერ არ გამოიყენება საკუთრივ საცხოვრებლად, არამედ გამიზნულია გასაქირავებლად ან შემდგომი გადაყიდვისთვის (Gentile, Salukvadze, & Gogishvili, 2015). საბინაო მშენებლობის მიმართ მხოლოდ ცალმხრივი კომერციული, კერძო კაპიტალის ინტერესებით ნაკარნახევი საბაზრო მიდგომა, საზოგადოებრივი საჭიროებების უგულებელყოფის ფონზე, იწვევს განაშენიანების ზღვარგადასულ შემჭიდროებას ქალაქების ცენტრალურ უბნებში და *„უხბანუღ ცოცვას“*[2]; მეორე მხრივ, ახალი ძვირადღირებული საბინაო ერთეულების ჭარბი მასშტაბით მიწოდება, რისი შეძენაც მხოლოდ საზოგადოების მცირერიცხოვან შეძლებულ ჯგუფებს შეუძლია, აღრმავებს საბინაო უთანასწორობასა და მოსახლეობის სეგრეგაციას, რაც მეტად არასასურველ გარემოებად უნდა ჩაითვალოს (Salukvadze, 2016).

საბინაო მშენებლობის ბუმი უარყოფით ზეგავლენას ახდენს ურბანულ გარემოსა და ეკოლოგიურ მდგომარეობაზე. ამ კონტექსტში, მოუგვარებელ მნიშვნელოვან ურბანულ პრობლემებს უნდა მივაკუთვნოთ ასევე მწვანე სივრცეების (საქალაქო ბაღები, პარკები და სხვ.) საგრძნობი შემცირება, საზოგადოებრივი ტრანსპორტის, განსაკუთრებით გარემოსთვის უვნებელი ელექტრონული ტრანსპორტის სახეების (მაგ., ტრამვაი), არარსებობა ან უკმარობა, ბევრი მცირე ქალაქის კეთილმოუწყობლობა და საბაზო კომუნალური (მაგ.: სასმელი წყალი, კანალიზაცია, გათბობა) ინფრასტრუქტურის სიმწირე და გაუმართაობა.

ბოლოს, უკანასკნელი ათწლეულის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ტენდენციაა *უხბანუღი მოდეხნიზაციის* მცდელობა და წახალისება ხელისუფლების მხრიდან, რაც ზოგიერთ შერჩეულ ქალაქში განხორციელებულ ახალ სამშენებლო და ინფრასტრუქტურულ პროექტებში ვლინდება. ეს პროექტები, რომლებიც ითვალისწინებს ქალაქების ისტორიული და ცენტრალური ნაწილების რეკონსტრუქცია-რეგენერაციას (მაგ.: თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, მცხეთაში, სიღნაღში, მესტიაში, ახალციხეში და ა.შ.), ულტრათანამედროვე ტიპის გამორჩეული შენობა-ნაგებობების აშენებას (მაგ.: „სიყვარულის ხიდი“ თბილისში, ახალი პარლამენტის შენობა ქუთაისში, რიგი მაღლივი სასტუმროებისა ბათუმში, იუსტიციის სახლები საქართველოს მრავალ ქალაქში) და ა.შ., მიმართულია ურბანული გარემოს გაუმჯობესებისა და მისი მიმზიდველობისა და ცნობადობის ამაღლებისკენ (*„ბხენდინგი“*). აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ზოგი ასეთი პროექტის (მაგ., პარლამენტის შენობა) განხორციელების საჭიროება და მისი მხატვრული ღირებულების საკითხი სპეციალისტებისა და ფართო საზოგადოების განსჯისა და გარკვეული კონფრონტაციის საგანი გახდა (Salukvadze, 2018).

ამრიგად, საქართველოს ქალაქები და მთელი ურბანული სისტემა ჯერ კიდევ პოსტსაბჭოთა ტრანზიციისა და სტრუქტურული ტრანსფორმაციის პროცესშია. ურბანულ პროცესში სახეზეა გარკვეული შეუსაბამობა და დისბალანსი, ერთგვარი შინაგანი ბრძოლა, რაც, ერთი მხრივ, *ტხანზიციას*, ხოლო მეორე მხრივ, *გლობალიზაციას* უკავშირდება (Salukvadze, & Golubchikov, 2016). ქალაქების განვითარების დაბალანსება, საქალაქო გარემოს გაჯანსაღება და მოსახლეობის კეთილდღეობის დონის გაუმჯობესება შემდგომი წლების მთავარი გამოწვევაა ჩვენი ქვეყნის მდგრადი ურბანული განვითარების გზაზე.

[2] *უხბანუღ ცოცვა (urban sprawl)* აღნიშნავს ქალაქის ნაშენი ტერიტორიის ექსტენსიურ ზრდას უშენი ტერიტორიების მასშტაბური ათვისების ხარჯზე და, შედეგად, გაფანტული და გაწელილი ურბანული ფორმის მიღებას.

კითხვები:

1. რით აიხსნება საქართველოში ურბანული მოსახლეობის კლება საბჭოთა კავშირის დაშლისა და დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ და რა შედეგი გამოიწვია ამ პროცესმა?
2. რაში გამოიხატება საქართველოს საქალაქო განსახლების სისტემის თანამედროვე თავისებურებები?
3. როგორია დღევანდელი საქართველოს ქალაქების შიდა ურბანული პრობლემები და გამოწვევები?

დავალებები:

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (საქსტატი) ვებგვერდის (http://www.geostat.ge/) გამოყენებით:

დიაგრამა 1-ის გამოყენებით შეადგინეთ საქალაქო მოსახლეობის ბოლო 10 წლის ცვლილებების (აბსოლუტური და პროცენტული მაჩვენებლები) ცხრილი და გრაფიკი; გააანალიზეთ ცვლილებების ტენდენციები.

შეადგინეთ მიმდინარე პერიოდში საქართველოს 20 უდიდესი ქალაქის სია და გრაფიკი; დაახასიათეთ ქვეყნის საქალაქო იერარქია.

გამოყენებული ლიტერატურა:

საქართველოს გეოგრაფია, ნაწილი II: სოციალურ-ეკონომიკური გეოგრაფია, თბილისი, 2003.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი), ნანახია 2018 წლის 15 ივლისს, http://www.geostat.ge/.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი), 1994-2014 წლების ძირითადი დემოგრაფიული მონაცემების გადაანგარიშება, ნანახია 2018 წლის 15 ივლისს, http://www.geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/population/gadaangarisheba%20report%20_%20Geo_2018.pdf

Gachechiladze R., The new Georgia: Space, society, politics, Texas A&M University Press, 1995.

Gentile M., Salukvadze J. & Gogishvili, D., „Newbuild gentrification, teleurbanization and urban growth: placing the cities of the post-Communist South in the gentrification debate", ჟურნალში: Geografie, 2015,120, 134-163.

Salukvadze J., „Market Versus Planning? Mechanisms of Spatial Change in Post-Soviet Tbilisi", წიგნში Van Assche K., Salukvadze, J. &Shavishvili, N. (eds.), City Culture and City Planning in Tbilisi: Where Europe and Asia Meet, Lewiston, 2009.

Salukvadze J., „The Current State of Housing in Tbilisi and Yerevan: a Brief Primer", ჟურნალში: Caucasus Analytical Digest, 87, 2016,8-11.

Salukvadze J., „Urbanization Trends and Development of Cities in Georgia", in Gogishvili, David & Coppola, Alessandro (eds), Cities of the South Caucasus: a view from Georgia, *iQuaderni di UrbanisticaTre*, 15: 6. 2018,19-32.

Salukvadze J. & Golubchikov, O., „City as a geopolitics: Tbilisi, Georgia — A globalizing metropolis in a turbulent region", ჟურნალში: Cities, 52, 2016, 39-54.

The World Bank, Georgia: Urban Strategy: Economic Role of Cities. Report, 2015.

Van Assche K. &Salukvadze, J., „Tbilisi reinvented: planning, development and the unfinished project of democracy in Georgia", ჟურნალში Planning Perspectives, 27, 2012,1-24.

UN-HABITAT, The State of European Cities in Transition 2013, Taking stock after 20 years of reform. Krakow, 2013.

United Nations 2018, (2018). Revision of World Urbanization Prospects. Department of Economic and Social Affairs, 2018.

Джаошвили В.Ш., Урбанизация Грузии: Генезис, процессы, проблемы. Тбилиси, 1978.

თავი V. საქართველოს ეკონომიკური გეოგრაფია

5.1. თანამედროვე საქართველოს ეკონომიკა

საქართველო, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის „ადამიანის განვითარების ინდექსით“ (2016), განვითარების მაღალი დონის მქონე ქვეყანათა ჯგუფშია გაერთიანებული („Human Development Report“, 2016); იმავე ჯგუფში პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან საქართველოზე ცოტა წინ იმყოფება ბელარუსი, რუსეთის ფედერაცია და ყაზახეთი, ხოლო თავად საქართველო უსწრებს უკრაინას და სამხრეთ კავკასიის რეგიონის ორ მეზობელს – სომხეთსა და აზერბაიჯანს. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო ათწლეულის განმავლობაში ჩვენმა ქვეყანამ ეს მაჩვენებლი გააუმჯობესა და საშუალო განვითარების მქონე ქვეყნებიდან მაღალგანვითარებული ქვეყნების ჯგუფში გადაინაცვლა, ის ჯერ კიდევ მოკრძალებულ ადგილს იკავებს ევროპის სახელმწიფოთა შორის (ბოლო ათეულშია) და ჩამორჩება ევროპის რეგიონის საშუალო მაჩვენებელს. საყურადღებოა, რომ, აღნიშნული ინდექსის მიხედვით, საქართველოს მიერ დაკავებული პოზიცია (70-ე ადგილი მსოფლიოში 2016 წელს) მიღწეულია განათლებისა და ჯანდაცვის უკეთესი ინდიკატორებისა და შედარებით მაღალი სტანდარტების ხარჯზე, მაშინ, როცა ეკონომიკისა და შემოსავლების პარამეტრები წლების განმავლობაში გაუმჯობესების არასაკმარის ტემპებსა და მასშტაბებს ავლენს.

საქართველოში მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ) ერთ სულ მოსახლეზე 4 274.6 აშშ-ის დოლარია (2020) (საქსტატი, 2018). ეს მხოლოდ მეხუთედია ბალტიის ქვეყნების, მეოთხედი – რუსეთის ფედერაციის და ნახევარიც არ არის მეზობელი აზერბაიჯანის ანალოგიური მაჩვენებლისა, რაც თვალსაჩინოს და, გარკვეულწილად, საგანგაშოს ხდის თანამედროვე საქართველოს ზოგად სამეურნეო მდგომარეობასა და მოსახლეობის ეკონომიკური კეთილდღეობის დონეს. ეს ეკონომიკური ტრანზიციისა და მეურნეობის სტრუქტურული რეფორმაციის სირთულეებზეც მიგვანიშნებს.

საბჭოთა დროს საქართველო ერთ-ერთ ყველაზე მდიდარ მოკავშირე რესპუბლიკად ითვლებოდა. ეს, დიდწილად, განპირობებული იყო საქართველოს უნიკალური ბუნებრივი, განსაკუთრებით კლიმატური, პირობებით, რაც ნახევრად დახურული, თითქმის ავტარკიული საბჭოთა ბაზრის პირობებში, მას გარკვეულ მონოპოლიას უქმნიდა ზოგიერთი მოთხოვნადი სასოფლო-სამეურნეო და სასურსათო პროდუქციის – ჩაის, ციტრუსების, ღვინის, ხილის და სხვ. – წარმოებასა და გასაღებაზე. ეს გარემოება, ქვეყანაში განხორციელებული ინდუსტრიალიზაციის, განვითარებული ტურიზმის სექტორისა და არცთუ უმნიშვნელო არაფორმალური (ე.წ. „რუხი“ ან „ჩრდილოვანი“) ეკონომიკის პირობებში, საქართველოს მოსახლეობას საბჭოთა სტანდარტებით ღირსეული შემოსავლით უზრუნველყოფდა. მდგომარეობა კარდინალურად შეიცვალა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ– ძალიან სწრაფად მოხდა საკავშირო მასშტაბით მჭიდროდ ინტეგრირებული ***ინდუსტრიული და სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის ღვევა, საქონლის გასაღების ბაზრის მოშლა და საბჭოთა რუბლის ჰიპერინფლაცია.*** ამას თან დაერთო საკუთრივ ჩვენს ქვეყანაში განვითარებული სამოქალაქო დაპირისპირება და ეთნოპოლიტიკური კონფლიქტები, სახელმწიფო ინსტიტუტების რღვევა. ყოველივე ეს კი მწვავე ეკონომიკურ კრიზისში აისახა. საქართველოში მალე გაჩერდა სამრეწველო საწარმოების დიდი ნაწილი, მოიშალა ტურიზმის კერები, სასოფლო სამეურნეო პროდუქცია კი (მაგ.: ჩაი, ღვინო) საერთაშორისო ბაზარზე დაბალკონკურენტუნარიანი აღმოჩნდა. შედეგად, მსოფლიო ბანკის მონაცემებით (World Bank national accounts data, 2017), საქართველოს მშპ 1990-იდან 1994 წლამდე 7.8 მილიარდიდან 2.5 მილიარდ აშშ-ის დოლარამდე დაეცა, ანუ სულ რაღაც ოთხი წლის განმავლობაში სამჯერ შემცირდა.

საქართველოს თანამედროვე ეკონომიკის დახასიათებისას საჭიროა, ერთი მხრივ, ხაზი გავუსვათ საბჭოთა მემკვიდრეობასთან დაკავშირებულ იმ ძირითად მიზეზებს, რამაც განაპირობა მეუნეობის, განსაკუთრებით მრეწველობის, ნგრევა პოსტსაბჭოთა პერიოდში და მეორე მხრივ, ავსახოთ ეკონომიკური ტრანსფორმაციის ძირითადი მიმართულებები:

1. საქართველო, როგორც სრულიად საკავშირო ტერიტორიულ-საწარმოო ეკონომიკური კომპლექსის შემადგენელი ნაწილი, მთლიანად იყო დამოკიდებული *საბჭოთა მოთხოვნაზე.* საქართველოში მომუშავე სამრეწველო საწარმოების უდიდესი ნაწილი სსრკ-ის სხვა რეგიონებში არსებული საჭიროებებისათვის ქმნიდა პროდუქციას. მაგალითად, რუსთავის მეტალუ-

რგიულ კომბინატში ნაწარმი მილების თითქმის 90% რუსეთის ფედერაციის გაზ- და ნავთობმომპოვებელ რეგიონებში გაჰქონდათ. საბჭოთა კავშირის მეტად შეზღუდული საგარეო ვაჭრობის პირობებში, საქართველოში დამზადებული პროდუქციის ექსპორტის წილიც უმნიშვნელო იყო და მას, ძირითადად, საბჭოთა ქვეყნის შიგნით მოიხმარდნენ. ასე რომ, საქართველოს ინდუსტრიული წარმოება მთლიანად ორიენტირებული იყო *საბჭოთა ბაზარზე*. შესაბამისად, ქართული სამრეწველო პროდუქციის *კონკურენტუნარიანობა მეტად დაბალი აღმოჩნდა საერთაშორისო ბაზარზე დასამკვიდრებლად;*

2. საქართველოს მთელი სამრეწველო პროდუქციის წარმოება, კვებისა და საშენ მასალათა მრეწველობის დარგების გარდა, დამოკიდებული იყო სხვა რესპუბლიკებიდან *შემოტანილ ნედლეულზე*. რესპუბლიკებს შორის კავშირების რღვევამ განაპირობა საქართველოს ინდუსტრიის მნიშვნელოვანი ნაწილის გაჩერება. 1990-იან წლებში, დიდწილად ქაოსური პოლიტიკური მდგომარეობის გამო, საქართველოს არ აღმოაჩნდა უნარი, რომ ღია ბაზარზე შეეძინა სამრეწველო ნედლეული და კონკურენტუნარიანი პროდუქცია ეწარმოებინა;

3. მეოცე საუკუნის საქართველოს *ეკონომიკის სტრუქტურირება* სრულიად საკავშირო ინტერესებით იყო განპირობებული. სოფლის მეურნეობა გადაყვანილ იქნა პლანტაციურ ტიპზე; სუბტროპიკული მეურნეობა – ჩაის, მანდარინის, თამბაქოს ან ყურძნისა და ხილის მოყვანა – გახდა შემოსავლის ძირითადი შემომტანი. მოხდა მრეწველობის სპეციალიზაცია მანქანათმშენებლობის პროდუქციაზე, როგორებიცაა: ლითონმჭრელი ჩარხები, ელექტროლოკომოტივები და ელექტროტექნიკური მოწყობილობები. შედეგად, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ აღმოჩნდა, რომ საქართველოს არ ყოფნის მარცვლეული და ცხოველური პროდუქტი, რითაც ის ტრადიციულად თვითკმარი იყო, ასევე არ აქვს ნავთობი, ბუნებრივი გაზი, საკმარისი ქვანახშირი და ელექტროენერგია, სასუქი და ქსოვილები, რაც არ იწარმოებოდა ადგილობრივად;

4. საბჭოთა პერიოდის ეკონომიკის მყისიერი ნგრევისა და რთული პოლიტიკური ვითარების ფონზე საქართველოს 1990-ინი წლების დასაწყისიდანვე მოუხდა *ახალი ეკონომიკური ბაზის* ძიება. ხდებოდა ეკონომიკის მასშტაბური სტრუქტურული ცვლილებები, რაც დარგების მასობრივ დისლოკაციასა და სწრაფ ადაპტაციასთან იყო დაკავშირებული. თავისუფალი ბაზრისკენ *ეკონომიკური ტრანზიცია* სახელმწიფო ქონების ***პრივატიზაციაზე*** გადიოდა, რამაც, სახელმწიფო ინსტიტუტების უკიდურესი დასუსტებისა და არაკომპეტენტურობის პირობებში, არაგამჭვირვალე და, ხშირად, კორუფციული ფორმა მიიღო; საბჭოთა ეკონომიკური სტრუქტურების მოშლას თან არ სდევდა მათი ახლით ჩანაცვლების პროცესი. მშპ-ის კატასტროფულად შემცირებას სერიოზული სოციალური შედეგები მოჰყვა: *„...1990-2000 წლების განმავლობაში ეროვნულ ეკონომიკაში დასაქმებულთა კონტინგენტი 1 მილიონზე მეტი კაცით შემცირდა... განსაკუთრებით მძიმე დარტყმა მიიღო მრეწველობამ...* (საქართველოს გეოგრაფია, 2003, 76). ყოველივე ამის შედეგად, როგორც დიაგრამა 1-იდან ჩანს, საქართველოს ეკონომიკის სტრუქტურა ეტაპობრივად და საგრძნობლად შეიცვალა: საბჭოთა პერიოდის ბოლოს ეკონომიკის პირველადი (სოფლის მეურნეობა, მეთევზეობა და მეტყევეობა) და მეორეული (მრეწველობა) სექტორები დომინირებდა. 30 წლის შემდეგ კი ქვეყნის ეკონომიკის ძირითადი სექტორებია: *ვაჭრობა* და *მომსახურება*. მესამეული და მეოთხეული დარგების – *ტურიზმის, უძრავი ქონების, კერძო და საზოგადოებრივი მომსახურების, განათლებისა და ჯანდაცვის* – წილმა კი 2015 წლისთვის 60%-ს გადააჭარბა. ამრიგად, საქართველო საბჭოთა პერიოდის ***აგრარულ-ინდუსტრიული*** ქვეყნიდან ***პოსტინდუსტრიულ*** ქვეყნად გარდაიქმნა. თუმცა, სინამდვილეში, **მისი დღევანდელი სამეურნეო პოტენციალი და ეკონომიკური მაჩვენებლები ნაკლებად შეესაბამება ამ ტიპის მაღალგანვითარებული ქვეყნების რეალურ მახასიათებლებს;** შესაბამისად, უფრო სამართლიანი იქნება, თუ საქართველოს ***დეინდუსტრიალიზებულ*** ქვეყნად მივიჩნევთ;

დიაგრამა 1

ცვლილებები საქართველოს მშპ-ის სტრუქტურაში



წყარო: *შედგენილია ავტორის მიერ, საქართველოს გეოგრაფია, 2003, ნაწილი II და საქსტატის მონაცემებზე დაყრდნობით*

5. არანაკლებ მკვეთრი ცვლილება განიცადა *სასოფლო-სამეურნეო* სექტორმა: მიწის მასობრივ პრივატიზაციაზე დაფუძნებულმა მიწის რეფორმამ კარდინალურად შეცვალა სოფლად სამეურნეო ერთეულების სტრუქტურა და წარმოების ტიპი. საბჭოთა დროს მთელი სასოფლო-სამეურნეო მიწის 90% მსხვილ სასოფლო-სამეურნეო ერთეულებს *-კოლმეურნეობებსა* და *საბჭოთა მეურნეობებს* ეკავა. მათი რაოდენობა საქართველოს მასშტაბით 200-ს არ აღემატებოდა. მიწის რეფორმის შედეგად, უკვე 1999 წლისთვის, დაახლოებით, 1 მილიონამდე ჰა მიწა პრივატიზებული იყო (საქართველოს გეოგრაფია, 2003); შედეგად, საქართველოში შეიქმნა 700 ათასზე მეტი წვრილი (1 ჰა-ამდე მიწით) გლეხური/ფერმერული მეურნეობა, რამაც მიწის იჯარის შესაძლებლობასთან ერთად, 1990-იან წლებში და შემდგომაც, ბევრ ოჯახს მისცა საკვები პროდუქტების წარმოების საშუალება და გადაარჩინა შიმშილის საფრთხეს. ამავე დროს, მცირე ნაკვეთებად ფრაგმენტირებული მიწა არ იძლევა კონკურენტუნარიანი კომერციული, ეკონომიკურად ეფექტიანი სოფლის მეურნეობის განვითარების საშუალებას; ასევე, ართულებს წარმოებული პროდუქციის მარკეტინგს. შედეგად, ბოლო ათწლეულის განმავლობაში სოფლის მეურნეობა ეკონომიკის პრობლემურ და დაბალპროდუქტიულ სექტორად ჩამოყალიბდა, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ *დასაქმებულთა თითქმის 50%-ს* უყრის თავს[1], ეროვნული *მშპ-ის მხოლოდ 8-9%-ს* აწარმოებს. დამატებით სირთულეებს ქმნის შიდა გასაღების ბაზრის შეზღუდულობა, მთავარი საექსპორტო ბაზრის – რუსეთის ფედერაციის არასტაბილურობა და არასანდოობა, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების არასაკმარისი დონე და სხვ.;

6. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ სრულიად განსხვავებული მნიშვნელობა შეიძინა საქართველოს *საგრანსპორტო-გეოგრაფიულმა* ფაქტორმა. ის ბოლო 20-25 წლის პოლიტიკური და ეკონომიკური ცვლილებების ერთ-ერთი ქვაკუთხედია. გარე სამყაროსთან (იგულისხმება საბჭოთა კავშირის მიღმა არსებული სივრცე) პირდაპირი კავშირ-ურთიერთობების არქონის სამოცდაათწლიანი პერიოდის შემდეგ საქართველომ დაიწყო სატრანსპორტო ტრანზიტულ ქვეყნად ჩამოყალიბება: კასპიის ნავთობი და გაზი გაედინება ბაქო-ბათუმისა და ბაქო-სუფსის მილსადენებით, 2000-იან წლებში მწყობრში ჩადგა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი და შაჰ-დენიზ-თბილისი-ერზერუმის გაზსადენი. გაიზარდა საქართველოს საზღვაო პორტების როლი, რომლებიც არა მარტო ჩვენი ქვეყნის, არამედ სომხეთის, აზერბაიჯანისა და ცენტრალური აზიის ქვეყნების ტვირთებსაც ემსახურება. საქართველოზე გამავალი სატრანზიტო ტვირთის უდიდესი ნაწილი სპეციალიზებული სატვირთო ტრანსპორტით გადაიზიდება, მაშინ, როცა სარკინიგზო გადაზიდვის მოცულობა შემცირდა და მან დაკარგა თავისი ადრინდელი მნიშვნელობა მას შემდეგ, რაც ჩაიკეტა რკინიგზის აფხაზეთის მონაკვეთი. სავარაუდოდ, სარკინიგზო ტრანსპორტმა უნდა აღიდგინოს და გაზარდოს თავისი როლი: *ბაქო-თბილისი-ყარსის* რკინიგზის *ახალქალაქი-ყარსის* მონაკვეთის დასრულებით (2018 წელს) ის შეიძლება გახდეს ჩინეთისა და ევროპის დამაკავშირებელი უმოკლესი გზის ნაწილი. მგზავრთა საერთაშორისო გადაზიდვაში

[1] საყურადღებოა, რომ საქართველოს ოფიციალური სტატისტიკა სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთების მესაკუთრეებს მიაკუთვნებს სოფლის მეურნეობაში თვითდასაქმებულთა კატეგორიას.

უდავოა საჰაერო ტრანსპორტის როლი. მისი მნიშვნელობა კიდევ უფრო გაიზარდა *ბათუმისა და ქუთაისის აეროპორტების* რეკონსტრუქციისა და მათთვის საერთაშორისო სტატუსის მინიჭებით. თუმცა მისი მნიშვნელობა იზრდება ადგილობრივი მასშტაბითაც, რასაც ხელს უწყობს მთიან დასახლებებში – *მესტიასა და ამბროლაურში* – ახალი აეროპორტების არსებობა;

7. საქართველოში ბოლო ხანს გამოიკვეთა *ტურიზმისა და სტუმარმასპინძლობის სექტორის* პრიორიტეტული როლი და სწრაფი ზრდა ეკონომიკის სხვა დარგებთან შედარებით. მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტები და ზემოთ აღნიშნული ძვრები სატრანსპორტო გადაზიდვებში, განსაკუთრებით საჰაერო ტრანსპორტში, მიზნად ისახავს საქართველოს გადაქცევას რეგიონის მთავარ ტურისტულ ქვეყნად. საქართველოსათვის ტურისტული ბიზნესის მოდერნიზაცია მეტად მნიშვნელოვანი წარმატებაა, მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ტურიზმი ეკონომიკის საკმაოდ მოწყვლადი სექტორია და ბევრ გარე და შინა ფაქტორზეა დამოკიდებული.

თანამედროვე საქართველოს ეკონომიკის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი თავისებურებაა მისი ***არათანაბარი ტერიტორიული განაგება.*** *დედაქალაქზე მთელი მშპ-ის თითქმის ნახევარი მოდის,* მაშინ, როცა პრაქტიკულად ყველა დანარჩენი რეგიონის წილი მცირდება და ვერც ერთი მათგანის მაჩვენებელი 10%-საც კი ვერ აღწევს. ეს მიგვანიშნებს ქვეყნისათვის არცთუ სასურველ ტენდენციაზე, როცა მხოლოდ ერთი ზრდის პოლუსი ვითარდება და მთელი დანარჩენი ტერიტორია ეკონომიკურ სტაგნაციას განიცდის.

ასევე, მეტად თვალსაჩინოა ეკონომიკური სხვაობები ქალაქებსა და სასოფლო არეალებს შორის. ქვეყნის მშპ-ის 70%-ზე მეტი ურბანულ ტერიტორიებზე იქმნება და, შესაბამისად, დიდი ურბანული ცენტრების მოსახლეობის შემოსავალი და კეთილდღეობა გაცილებით მაღალია. სასოფლო რეგიონებში შრომის პროდუქტიულობის ზრდა და სასოფლო ეკონომიკური აქტივობების კომერციულად მოგებიან საქმიანობად გარდაქმნა საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა.

ამრიგად, საქართველოს ეკონომიკას თანამედროვე ეტაპზე როგორც ზოგადი, ასევე ტერიტორიული ხასიათის არაერთი პრობლემა და გამოწვევა აქვს, რომელთა წარმატებით აღმოფხვრა შემდეგი ათწლეულის უმთავრესი ამოცანა იქნება ქვეყნის მდგრადი და შეუქცევადი განვითარების მისაღწევად.

კითხვები:

8. რას გულისხმობს საქართველოს ეკონომიკური ტრანზიცია და რა ძირითადი ნიშნებით ხასიათდება ის?
9. როგორ შეიცვალა საქართველოს ეკონომიკის სტრუქტურა (მსხვილი ეკონომიკური სექტორების მიხედვით) დამოუკიდებლობის წლებში?
10. რა არის თანამედროვე საქართველოს ეკონომიკის განვითარების ძირითადი გამოწვევები?

დავალება:

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (საქსტატი) ვებგვერდის (http://www.geostat.ge/) გამოყენებით, უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით, შეადგინეთ (გრაფიკულად ასახეთ) და გააანალიზეთ საქართველოს ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურა.

გამოყენებული ლიტერატურა:

საქართველოს გეოგრაფია, ნაწილი II: სოციალურ-ეკონომიკური გეოგრაფია, თბილისი, 2003.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი), ნანახია 2021 წლის 5 სექტემბერს, http://www.geostat.ge

Human Development Report, Human Development for Everyone. UNDP, 2016, ნანახია 2018 წლის 13 ივლისს, http://hdr.undp.org/sites/default/files/2016_human_development_report.pdf

World Bank national accounts data, and OECD National Accounts data files.GDP current US, ნანახია 2018 წლის 13 ივლისს, http://data.worldbank.org/indicator/NY.GDP.MKTP.CD?locations=GE

5.1.1. მრეწველობა და ენერგეტიკა

თანამედროვე მსოფლიოში მრეწველობა (Industry) განიხილება როგორც ეკონომიკის დარგი, რომელიც შედგება საკუთრივ *მრეწველობისაგან* (უფრო სწორად, სამრეწველო წარმოებისაგან (manufacturing)), *ენერგეტიკისა* და *მშენებლობისაგან*. ის ახდენს გადამწყვეტ გავლენას ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონეზე. მე-18-მე-19 საუკუნეების ინდუსტრიული რევოლუციის შემდგომ ნებისმიერი ქვეყნის წარმატებული განვითარების საწინდარი ინდუსტრიალიზაციის პროცესის გავლაა. საქართველოს, ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკების უმრავლესობის მსგავსად, არ გაუვლია ნამდვილი, საბაზრო ეკონომიკის პრინციპებზე, თავისუფალ კონკურენციასა და შრომის საერთაშორისო დანაწილებაზე დაფუძნებული, ინდუსტრიალიზაცია.

ინდუსტრიალიზაცია – გრძელვადიანი/სტაბილური ეკონომიკური განვითარებაა, რომელიც ეფუძნება საქარხნო წარმოებას, შრომის დანაწილებას, წარმოებისა და მოსახლეობის კონცენტრაციას განსაზღვრულ გეოგრაფიულ არეალებში და ურბანიზაციას („Industrialization“, 2019).

ინდუსტრიალიზაცია ჩანაცვლებული იყო ფრიად სპეციფიკური, დახურული ეკონომიკური სისტემის განვითარებაზე მიმართული პროცესით, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, ქვეყნის მილიტარიზაციას ემსახურებოდა და, შესაბამისად, გადამწყვეტ მნიშვნელობას მძიმე ინდუსტრიის მშენებლობას ანიჭებდა.

საქართველოს, მისი ტერიტორიისა და მოსახლეობის სიდიდიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანი რაოდენობით სტრატეგიული სასარგებლო წიაღისეულის არარსებობის, ასევე არახელსაყრელი გეოსტრატეგიული მდებარეობის გამო, ამ პროცესში მნიშვნელოვანი ადგილი არ ეკავა. მიუხედავად ამისა, ის მაინც „დაიტვირთა“ სამრეწველო ობიექტებით, თუმც, რეალურად, რენტაბელური, კონკურენტუნარიანი საწარმოები საქართველოში თითზე ჩამოსათვლელი იყო (მაგალითად: ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა, ბორჯომის მინერალური წყლების საწარმო, რუსთავის აზოტი და რამდენიმე სხვა). უმეტესობა აწარმოებდა პროდუქციას, რომელიც საბჭოური სტანდარტებითაც კი უხარისხო იყო და წაგებაზე მუშაობდა.

საბჭოთა კავშირის დაშლამ სამრეწველო სექტორს სერიოზული დარტყმა მიაყენა. ადგილობრივმა სამრეწველო საწარმოებმა მოკლე ხანში დაკარგეს დაფინანსების წყაროები, მზა პროდუქციის მომხმარებლები, ნედლეულის, ნახევარფაბრიკატების, მანქანა-დანადგარების მიმწოდებლები. ყველაფერი ეს მიმდინარეობდა ქვეყანაში არსებული სამოქალაქო დაპირისპირების, შეიარაღებული კონფლიქტების, სუსტი ხელისუფლების ფონზე. სიტუაცია უფრო გაამწვავა კვალიფიციური კადრების (მუშების, ტექნიკოსების, ინჟინრების) მასობრივმა გადინებამ ქვეყნიდან; თავისი როლი შეასრულა ცუდად დაგეგმილმა და განხორციელებულმა პრივატიზაციის პროცესმაც. წარმოება გაჩერდა, სამრეწველო საწარმოების უმეტესობა, უბრალოდ, გაქრა. მათ განკარგულებაში არსებული ნედლეულის, მზა პროდუქციის უდიდესი მარაგები იქნა მითვისებული და საკუთარი მოგებისთვის გასაღებული (უმეტესწილად, საქართველოს ფარგლებს გარეთ), ძირითადად, ამ საწარმოების ყოფილი საბჭოთა დირექტორებისა და კრიმინალური ელემენტების მიერ. იგივე ბედი ეწია მანქანა-დანადგარებს და შენობა-ნაგებობებს. ჯართი გადაიქცა საქართველოს ექსპორტის ერთ-ერთ უმთავრეს სახეობად და ასეთად დარჩა წლების განმავლობაში (საქსტატის მონაცემებით, 2011 წელს ექსპორტირებული ჯართის ღირებულება 116.8 მილიონ აშშ-ის დოლარს უდრიდა).

1990-იანი წლების მინიმალური ნიშნულიდან (594.4 მლნ. აშშ-ის დოლარი) მრეწველობაში (მშენებლობის ჩათვლით) წარმოებული დამატებითი ღირებულების მოცულობა 2004 წლისათვის ერთ მილიარდ აშშ-ის დოლარამდე გაიზარდა, როდესაც ქვეყანაში ღრმა სტრუქტურული გარდაქმნები დაიწყო. 2008 წლისთვის ეს წარმოება, ფაქტობრივად, გაორმაგდა (2.4 მილიარდი) და 1990 წლის ნიშნულს გაუთანაბრდა. 2009 წლის შემდეგ მრეწველობაში წარმოებული დამატებითი ღირებულება განუწყვეტლივ მატულობდა და 2018 წელს 3.6 მილიარდ აშშ-ის დოლარს მიაღწია (Industry (including construction) – Georgia, 2019). ე.ი. 2004-2018 წლებში ის გასამმაგდა. ამავე დროს, ეს მოცულობა ფრიად მცირეა დაახლოებით საქართველოს ზომისა და ეკონომიკის ტიპის სხვა პოსტსაბჭოურ ქვეყნებთან (მაგალითად ბალტიის) შედარებით. ის 1,8-ჯერ ნაკლებია ლატვიის, თითქმის ორჯერ ესტონეთის და 3,7-ჯერ ლიეტუვის ანალოგიურ მაჩვენებლებზე (Industry (including construction) – Estonia, Latvia, Lithuania, 2019).

დამატებითი ღირებულება იქმნება პროდუქტის დამუშავების, გადამუშავებისა და ბაზარზე გატანის პროცესში. წარმოების რაც მეტ საფეხურს გაივლის პროდუქტი, მით მეტია მისი დამატებითი ღირებულება, ე.ი. მაქსიმალური დამატებითი ღირებულება აქვს მაღალტექნოლოგიურ საქონელს, რომლის წარმოებაში ჩართულია კვალიფიცირებული მუშახელი (Industry (including construction), 2019).

მრეწველობა

მიუხედავად იმ ღრმა ტრანსფორმაციისა, რომელიც საქართველომ განიცადა დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, მისი სამრეწველო წარმოება დღესაც ვითარდება იმ სტრუქტურის ჩარჩოებში, რომელიც საბჭოთა პერიოდში ჩამოყალიბდა. მასში დაახლოებით თანაბრად არის წარმოდგენილი სამთო-მოპოვებითი და მძიმე მრეწველობის ისეთი დარგები, როგორებიცაა: ლითონების და ლითონის მზა ნაწარმის წარმოება (მანქანებისა და მოწყობილობების გარდა), არალითონური მინერალური პროდუქტების წარმოება (ძირითადად, საშენი მასალების) და კვების პროდუქტებისა და სასმელების წარმოება. ერთად ეს დარგები სამრეწველო წარმოების დამატებითი ღირებულების დაახლოებით 4/5-ს ქმნიან (დიაგრამა 1). ამავე დროს, საქართველოს მრეწველობაში, ფაქტობრივად, არ არის წარმოდგენილი შრომა- და მეცნიერებატევადი, მაღალი დამატებითი ღირებულების პროდუქციის მწარმოებელი ისეთი დარგები, როგორებიცაა: კომპიუტერების, ელექტრონული, ოპტიკური პროდუქციის და ა.შ. წარმოება. 2017 წელს ასეთი ტიპის პროდუქციის დამატებითმა ღირებულებამ ქვეყანაში, საქსტატის მონაცემებით, დაახლოებით 700 ათასი ლარი შეადგინა, ხოლო კაპიტალდაბანდებები ასეთი ტიპის საწარმოებში საერთოდ არ განხორციელებულა. ეს მეტყველებს ქვეყნის სამრეწველო წარმოების სერიოზულ სისუსტეზე და მას დამოკიდებულს ხდის, ძირითადად, სასარგებლო წიაღისეულისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამუშავებაზე.

იგივე მდგომარეობაა ქვეყნის ექსპორტშიც, სადაც სამთო-მოპოვებითი მრეწველობისა და მისი პროდუქციის გადამამუშავებელი რამდენიმე საწარმო, ასევე სასურსათო პროდუქტებისა და სასმელების წარმოების სექტორი ერთად უზრუნველყოფდა ქვეყნიდან გატანილი საქონლის მთლიანი ღირებულების თითქმის 60%-ს (27,6% და 22,7%-ს, შესაბამისად).

დიაგრამა 1

სამრეწველო წარმოების დამატებითი ღირებულების ფორმირება, 2018 წ.



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

2018 წლის მონაცემებით, უცხოური კაპიტალის მფლობელობაში არსებული საწარმოები უზრუნველყოფენ საქართველოს მთლიანი ექსპორტის 27,6%-ს, კერძოდ: ქვემო ქართლის ბოლნისის მუნიციპალიტეტში არსებული ორი საწარმო – *„არემჯი გოლდი“ (RMG Gold)* და *„არემჯი კოპერი“ (RMG Copper),* რომლებიც ნიდერლანდში დარეგისტრირებულ Rich Metals Group-ს ეკუთვნის („არემჯი“, 2019). „არემჯი კოპერი“ საბჭოთა საქართველოს მადნეულის სამთო-მოპოვებითი კომბინატის მემკვიდრეა. ის აწარმოებს სპილენძის კონცენტრატს, ხოლო „არემჯი გოლდი“ ოქროს დორე[2] შენადნობს. ამ ნახევარფაბრიკატების გაწმენდა და სუფთა ლითონების წარმოება საქართველოში არ ხდება. სპილენძის კონცენტრატი არის ქვეყნის უმსხვილესი საექსპორტო საქონელი (504.5 მლნ. აშშ-ის დოლარი 2018 წელს). ამას ემატება 69.8 მილიონი აშშ-ის დოლარის ოქროს შენადნობების ექსპორტი.

[2] ოქროს მადნის მოპოვებისა და გადამუშავების შედეგად მიღებული ოქროს მაღალკონცენტრული შენადნობი (70 %-ზე მეტი), რომელიც შეიცავს ვერცხლსაც. არის ნახევარფაბრიკატი ოქროს შემდგომი გადამუშავებისათვის (გასაწმენდად, ნაკეთობათა დასამზადებლად და სხვ.) (Doré Gold Bars, 2020).

მეორე ასეთი მნიშვნელოვანი ობიექტია ზესტაფონის (ზესტაფონის მუნიციპალიტეტი, იმერეთის რეგიონი) ფეროშენადნობთა ქარხნის გარშემო შექმნილი საწარმოთა თუ სერვისების კომპლექსი. ამ კომპლექსში შედის *ჭიათურის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატი* (ჭიათურის მუნიციპალიტეტი, იმერეთის რეგიონი), სადაც ხდება მანგანუმის მადნის მოპოვება და გამდიდრება; *ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა*, რომელსაც კომბინატი ამარაგებს ნედლეულით (მანგანუმის კონცენტრატით) და *ვარციხეს* ელექტროენერგიით წარმოების უზრუნველსაყოფად. ქარხანაში მზადდება სამი ტიპის ფეროშენადნობი, რომლებიც გამოიყენება შავ მეტალურგიაში გამდნარ რკინასა და ფოლადში ჟანგბადის მოსაცილებლად და ფოლადის გასაძლიერებლად (ლეგირებული ფოლადის წარმოებისათვის). ფეროშენადნობების ექსპორტი ხდება ისეთ ქვეყნებში, როგორებიცაა: აშშ, კანადა, იაპონია და საფრანგეთი. კომპლექსში შემავალი სამივე წარმოება ეკუთვნის „ჯორჯიან ემერიქენ ელოის“ (Georgian American Alloys) ჰოლდინგს, რომლის სათავო ოფისი აშშ-ში, მაიამიში მდებარეობს (Georgian American Alloys, 2018). ამას ემატება სოფ. არგვეთაში (ზესტაფონის მუნიციპალიტეტი) განლაგებული, ადგილობრივი კაპიტალით 2011 წელს დაფუძნებული საწარმო „გი-ტი-ემ გრუპ“ („GTM Group“, 2019), რომელიც აგრეთვე ფეროშენადნობებს აწარმოებს. ფეროშენადნობებს უკავია მესამე ადგილი საქართველოს ექსპორტში (352,6 მლნ. აშშ-ის დოლარი 2018 წელს) სპილენძის კონცენტრატისა და ავტომანქანების შემდეგ.

საქართველოს მთლიან შიდა პროდუქტში მრეწველობის წილი 2018 წელს 17%-ს აღწევდა, თუმცა, რეგიონების მიხედვით, ეს მონაცემი საკმაოდ დიდ ფარგლებში მერყეობს (დიაგრამა 2). ის ძალიან მაღალია მცხეთა-მთიანეთსა და ქვემო ქართლში (რეგიონული შიდა პროდუქტის 37%-ზე მეტი), საშუალოზე მაღალია სამცხე-ჯავახეთსა და შიდა ქართლში, საშუალოს ტოლია იმერეთში. დანარჩენ რეგიონებში ის საშუალოზე საგრძნობლად დაბალია, მათ შორის აჭარაში შეადგენს 7,8, ხოლო რაჭაში 5,1%-ს.

საქსტატის მონაცემებით, 2018 წელს საქართველოს სამრეწველო სექტორში აღირიცხებოდა 65-ამდე დიდი, დარგწარმომქმნელი საწარმო. ასეთ საწარმოებზე მოდიოდა მრეწველობაში წარმოებული დამატებითი ღირებულების ნახევარზე მეტი. მსხვილი ზომისაა საწარმოები, სადაც დასაქმებულთა საშუალოწლიური რაოდენობა აღემატება 250 კაცს ან საშუალო წლიური ბრუნვის მოცულობა 60 მლნ. ლარს; საშუალო საწარმო – 50-249 დასაქმებული, წლიური ბრუნვა –12-59 მლნ. ლარი.

დიაგრამა 2

სამრეწველო წარმოების წილი მთლიან შიდა პროდუქტში
საქართველოს რეგიონების მიხედვით, 2017 წ.(%)



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ასეთი დიდი საწარმოებიდან 30 განლაგებულია უშუალოდ თბილისის ფარგლებში, დიდწილად, მის გარეუბნებში – სამგორის, დიდუბის, ისნის რაიონებში. თუ ამას მივათვლით თბილისის უშუალოდ მომიჯნავე მუნიციპალიტეტებს (ქ. რუსთავი, მცხეთის, გარდაბნის მუნიციპალიტეტები) ანუ, ფაქტობრივად, დედაქალაქის საქალაქო აგლომერაციის შიდა ბირთვს, ასეთი მსხვილი საწარმოების რაოდენობა 38-ამდე გაიზრდება. ე.ი. დედაქალაქი იზიდავს ქვეყნის მსხვილი საწარმოების 3/5-ს.

ეს კონცენტრაცია გამოწვეულია რამდენიმე ფაქტორით, მათ შორის აქ არსებული საწარმოო დანიშნულების შენობა-ნაგებობებით, განვითარებული მატერიალური ინფრასტრუქტურით (ტრანსპორტი, ენერგო- და წყალმომარაგება და ა.შ.), ლოჯისტიკით, ინფორმაციული ინფრასტრუქტურით, განვითარებული შრომის ბაზრით. აქ განლაგებული მსხვილი საწარმოებიდან ნახევარზე მეტი ეკუთვნის საკვები პროდუქტებისა და სასმელების სექტორს. მათი ასეთი კონცენტრაცია, დამატებით, განპირობებულია თბილისის, როგორც ამ სექტორების პროდუქციის მომხმარებლების უდიდესი ცენტრის, არსებობით (რუკა 1).

რუკა 1

მსხვილი სამრეწველო საწარმოების გაადგილება
საქართველოს ტერიტორიაზე, 2018 წ.



წყარო: *საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური*

მძიმე მრეწველობის საწარმოების დიდი ნაწილი კონცენტრირებულია ქალაქ რუსთავში (ქვემო ქართლის რეგიონი), თუმცა აქაც ისინი შექმნილია ყოფილი საბჭოთა საწარმოების რესტრუქტურიზაციისა და განახლების შედეგად. დღეს რუსთავის მეტალურგიული კომბინატის ბაზაზე ფუნქციონირებს ორი დიდი საწარმო – შპს „რუსთავის ფოლადი“ და შპს „ჯეოსთილი“ (ფოლადის მილების, მილსადენების, ღრუ პროფილების წარმოება). შპს „რუსელოისი“ აწარმოებს ფეროშენადნობს. ის ახდენს მანგანუმის მადნის მოპოვებას საკუთარ საბადოებზე დასავლეთ საქართველოში და მანგანუმის კონცენტრატის წარმოებას გამამდიდრებელ ქარხანაში ქ. თერჯოლაში (იმერეთის რეგიონი) (“Rusalloys”, 2015).

კიდევ ერთი რეკონსტრუირებული ყოფილი საბჭოთა საწარმო – სს „რუსთავის აზოტი“ სამხრეთ კავკასიაში მინერალური სასუქებისა და ინდუსტრიული ქიმიკატების უმსხვილესი მწარმოებელია.

ქუთაისმა, რომელიც გასული საუკუნის 50-იან წლებში მიზანდასახულად ყალიბდებოდა, როგორც ქვეყნის წამყვანი ინდუსტრიული ცენტრი, ფაქტობრივად, დაკარგა შესაბამისი ადგილი საქართველოს სამრეწველო წარმოებაში. აქ დღეს მხოლოდ ერთი მსხვილი საწარმო, სს „სამკერვალო კომპანია იმერი“ ფუნქციონირებს.

ამავე დროს, აჭარა ჩამოყალიბდა მსუბუქი მრეწველობის (სამკერვალო წარმოება) ცენტრად, ძირითადად, თურქული კაპიტალის შემოსვლის ხარჯზე. დღეისათვის, ფუნქციონირებს 6 სამკერვალო ფაბრიკა. მათ შორისაა შპს „აჭარატექსტილი“ (ს. ბობოყვათი, ქობულეთის მუნიციპალიტეტი), რომელიც სპორტულ ტანსაცმელს აწარმოებს. აქ ისეთი მსოფლიო ბრენდების პროდუქცია იკერება, როგორებიცაა, მაგალითად, Nike, Puma და სხვ.

განსხვავებით სამრეწველო წარმოების სხვა დარგებისგან, სასმელების (ალკოჰოლური და უალკოჰოლო), განსაკუთრებით ყურძნის ღვინის, წარმოება არ მოითხოვს მის კონცენტრაციას მსხვილ საწარმოებში ცნობადი ბრენდის შესაქმნელად. საქართველოში 2018 წელს იყო რეგისტრირებული 330 სხვადასხვა ზომის ღვინის ქარხანა, მათ შორის: 156 კახეთში, 69 თბილისში, 22 იმერეთში, 18 შიდა ქართლში, 9 რაჭაში. ანუ ისინი მიილტვიან ყურძნის წარმოების რეგიონებისკენ. ამავე დროს, მსხვილი და საშუალო საწარმოების კონცენტრაცია, ძირითადად, ხდება კახეთში (უპირატესად, თელავის მუნიციპალიტეტში), სადაც თავმოყრილია 3 მსხვილი (შპს „ბადაგონი“, სს „თელავის ღვინის მარანი“, შპს „ქართული ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების კომპანია“) და 14 საშუალო ქარხანა. თბილისში არის 2 მსხვილი (შპს „კახური ტრადიციული მეღვინეობა“ და შპს „მეღვინეობა „ხარება“) და 8 საშუალო საწარმო („ბაგრატიონი“, „თბილღვინო“ და სხვ.); რაჭაში მხოლოდ ერთი საშუალო ზომის – ამბროლაურის ღვინის ქარხანაა წარმოდგენილი („ქართული ღვინის...“, 2018).

საქართველოს მინერალური წყლების წარმოებაც, მისი მნიშვნელობის მიუხედავად, მხოლოდ ერთი დიდი საწარმოთი არის წარმოდგენილი – ეს არის „IDS ბორჯომი საქართველო“, რომელიც IDS Borjomi International-ის საქართველოს ფილიალს წარმოადგენს. თავის მხრივ, IDS Borjomi International ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე მინერალური წყლების უდიდესი მწარმოებელია. საქართველოში კომპანია სამი ცნობილი ბრენდითაა წარმოდგენილი – ბორჯომი, ბაკურიანი და ლიკანი. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი და ცნობილია ბორჯომის ჰიდროკარბონატული მინერალური წყალი, რომლის ჩამოსხმა 1854 წელს დაიწყო. კომპანიის ნაწარმი მრავალ ქვეყანაში იყიდება, თუმცა მისი ძირითადი მომხმარებელი მაინც რუსეთია.

ცნობილია აგრეთვე ისეთი საშუალო ზომის მინერალური წყლის ჩამომსხმელი კომპანიები, როგორებიცაა: შპს „წყალი მარგებელი“ (ნაბეღლავი, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი, გურიის რეგიონი) და შპს „საირმე მინერალ ვოთერს“ (საირმე, ბაღდათის მუნიციპალიტეტი, იმერეთის რეგიონი).

ენერგეტიკა

ენერგეტიკა არის მრეწველობის დარგი, რომელიც მოიცავს (თბური და ელექტრო-) ენერგიის წარმოებას, გადაცემას და მომხმარებლისთვის მიწოდებას. ნებისმიერი ქვეყნის განვითარების დონე და, შესაბამისად, მისი მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობა დიდწილადაა დამოკიდებული ენერგეტიკის სექტორის სიდიდეზე, ეფექტიანობაზე, გამართულ მუშაობაზე.

ამა თუ იმ ქვეყნის ენერგეტიკის სექტორის ინტეგრალური მაჩვენებელია მისი **ენერგობალანსი,** რომელიც თავს უყრის მონაცემებს ენერგიის მიწოდების, წარმოებისა და მოხმარების შესახებ.

საქართველოს 2017 წლის ენერგობალანსის შესაბამისად, რომელსაც საქსტატი აქვეყნებს, ქვეყანა ენერგიის მოთხოვნილებას, ძირითადად, იკმაყოფილებს იმპორტის ხარჯზე, ხოლო საკუთარ წარმოებაზე მოდის ენერგიის მხოლოდ 28,2%. ადგილობრივი წარმოების ენერგიიდან 61,5% მოდის ელექტროენერგიასა და თბოენერგიაზე, 27,4 % ბიოსაწვავსა და ნარჩენებისაგან წარმოებულ ენერგიაზე (თითქმის მთლიანად შეშა), 8,2% კი ქვანახშირზე. ადგილობრივ ნავთობისა და ნავთობპროდუქტებზე, ბუნებრივ აირზე, ჯამში, მოდის მხოლოდ 2,9% (დიაგრამა 3).

დიაგრამა 3

საქართველოში ენერგიის საბოლოო მოხმარება
ენერგიის წყაროების მიხედვით, 2017 წ.



წყარო: *საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური*

საქართველოს შემოაქვს *ნავთობპროდუქტების* 100 და *ბუნებრივი აირის* 99,7% (ძირითადად აზერბაიჯანიდან). ამავე დროს, ნავთობპროდუქტებზე მოდის ქვეყანაში ენერგიის საბოლოო მოხმარების 30%, ხოლო გაზზე 33%. ეს კი ქვეყანას საკმაოდ მოწყვლადს ხდის მსოფლიოს საწვავის ბაზრის მიმართ და საფრთხეს უქმნის მის ენერგოდამოუკიდებლობას. *ნავთობის* მოპოვება ქვეყანაში მინიმალურია და ატარებს უფრო სიმბოლურ ხასიათს, ვიდრე პრაქტიკულს. 2017 წელს ადგილობრივი ნავთობის წარმოება შეადგენდა იმპორტირებული ნავთობისა და ნავთობპროდუქტების დაახლოებით 2,5%-ს (23425 ტონა). ადგილობრივი წარმოების *ბუნებრივი აირი* კი იმპორტირებულის დაახლოებით 0,3%-ს.

ენერგიის წარმოებაში 8,2% უკავია საკუთარი წარმოების *ქვანახშირს*, რომლის მოპოვება ხდება ტყიბულში. ადგილობრივი ქვანახშირი საკმაოდ დაბალი ხარისხისაა, მაღაროები ამორტიზებულია, ხშირია უბედური შემთხვევა, მათ შორის ფატალური შედეგებით. ადგილობრივი ქვანახშირი ქვეყნის მოთხოვნილებებს ვერ აკმაყოფილებს და მისი იმპორტი 2017 წელს ადგილობრივ წარმოებას 1,8-ჯერ აღემატებოდა.

ენერგიის ადგილობრივ წარმოებაში წამყვანი ადგილი უკავია *ელექტროენერგიას*. ენერგიის ადგილობრივი წყაროებიდან ელექტროენერგიის წარმოების მაქსიმიზაცია ქვეყნის განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია. მიუხედავად ამისა, ელექტროენერგიის წარმოებამ მხოლოდ 2010 წელს გაუსწრო 1970 წლის დონეს და 2018 წელს 1990 წლის დონის დაახლოებით 85% შეადგინა (დიაგრამა 4).

დიაგრამა 4

საქართველოში ელექტროენერგიის წარმოების დინამიკა,
1970-2018 წწ., მგვტ.სთ



წყარო: *სტატისტიკის ეროვნული სამსახური*

2019 წელს ელექტროსადგურების ჯამური დადგმული სიმძლავრე[3] (Installed capacity) 4225.17 მგვტ. იყო. 2018 წელს წარმოებული ელექტროენერგიის 81,9% მოდიოდა ჰიდროელექტროსადგურებზე, 17,4% – თბოელექტროსადგურებზე და დარჩენილი 0,7% საქართველოში პირველ და ერთადერთ ქარის ელექტროსადგურზე (დიაგრამა 5), რომელიც 2016 წელს გორის მუნიციპალიტეტში აშენდა. მისი სიმძლავრე 20,7 მეგავატია.

1 კილოვატი (კვტ.)=1000 ვატს (ვტ.), 1 მეგავატი (მგვტ.)= 1000 კილოვატს, 1 გიგავატი (გვტ.)= 1000 მეგავატს ანუ 1 000 000 კვტ.-ს, 1 ტერავატი= 1000 გვტ.-ს, 1000 000 მვტ.-ს.

2019 წელს თბოელექტროსადგურები წარმოდგენილი იყო გარდაბანში განლაგებული 3 ენერგობლოკითა და ერთი კომბინირებული ელექტროსადგურით, რომელთა დადგმული სიმძლავრე 926,4 მვტ.-ია. ეს ელექტროსადგურები, ძირითადად, აზერბაიჯანიდან იმპორტირებულ გაზზე მუშაობს. კიდევ ერთი თბოელექტროსადგური ფუნქციონი-

[3] დადგმული ეწოდება იმ მაქსიმალურ სიმძლავრეს, რომლის გამომუშავებაზე გათვლილია (დაპროექტებულია) ელექტროსადგური. რეალურად, არც ერთი სადგური ამ სიმძლავრით არ მუშაობს. ჰიდროელექტროსადგურები, ხშირად, დადგმული სიმძლავრის 50%-ს თუ გამოიმუშავებენ, ზოგჯერ ნაკლებსაც, რაც დამოკიდებულია მოწოდებული წყლის მოცულობაზე.

რებს ტყიბულის ქვანახშირის საბადოს ბაზაზე (13.2 მგვტ.) (რუკა 2). თბოელექტროსადგურებზე მოდის ელექტროენერგეტიკის სექტორის მთლიანი დადგმული სიმძლავრეების 21,9%.

დიაგრამა 5

ელექტროენერგიის გენერაციის სიმძლავრეების სტრუქტურა, 2019 წ.



წყარო: *ესკო. ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორი*

საქართველოს ჰიდროტექნიკური რესურსების ეკონომიკური პოტენციალის უდიდესი ნაწილი მოდის დასავლეთი საქართველოს მდინარეებზე. მათ შორის: ენგურზე 31,7%, რიონზე (ცხენისწყალით) 22,2%, კოდორზე 16,7%. იმავე 2019 წელს საქართველოში იყო 26 დიდი და საშუალო ჰიდროელექტროსადგური 4027,12 მგვტ დადგმული სიმძლავრით (დადგმული სიმძლავრეების 72,9%). 62 მცირე ჰიდროელექტროსადგურზე სულ მოდიოდა 198,05 მგვტ დადგმული სიმძლავრე (4,7%).

ენგურჰესი (1 300 მგვტ.) და ვარდნილჰესის კასკადი (220 მგვტ.) ყველაზე მსხვილი ჰიდროელექტროსადგურებია და სახელმწიფოს საკუთრებაა. ენგურჰესი ნაწილობრივ, ხოლო ვარდნილჰესის კასკადი მთლიანად ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე იმყოფება. შესაბამისად, ამ ჰესებზე გამომუშავებული ელექტროენერგიის ხარჯზე ხდება აფხაზეთის მოთხოვნილების დაკმაყოფილება. ეს მოთხოვნილება კი დღითიდღე იზრდება და 2017 წელს საქართველოს მთლიანი მოხმარების 15,3% შეადგინა. გარდა ამისა, საქართველოს ელექტროენერგიით მომარაგებაზე უარყოფითად მოქმედებს ის ფაქტიც, რომ ჰესების ძირითადი ნაწილი სეზონურია. მათ მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის უდიდესი ნაწილი მოდის გაზაფხულის ბოლოსა და ზაფხულის თვეებზე, როდესაც ქვეყნის მდინარეების ჩამონადენი მაქსიმალურია. აპრილ-ივლისში ჰიდროელექტროსადგურებზე მოდის წარმოებული ელექტროენერგიის 99%-ზე მეტი. ამავე დროს, ქვეყანაში არსებული ჰესებიდან მხოლოდ შვიდია მარეგულირებელი კაშხლიანი ელექტროსადგური (ენგურჰესი, ვარდნილჰესი, ხრამი-1, ხრამი-2, შაორჰესი, ძევრულჰესი, და ჟინვალჰესი), რომელთაც აქვთ უნარი, დააგროვონ წყალი და გამოიყენონ ის მოთხოვნილების შესაბამისად. მათზე საშუალოდ მოდის ჰესების მიერ გამომუშავებული მთლიანი ელექტროენერგიის 60%-ამდე, მათ შორის ენგურჰესზე დაახლოებით 40%, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს საქართველოს მთლიანი ენერგოსისტემის სტრატეგიულ მოწყვლადობაზე.

ხუკა 2

დიდი და საშუალო ელექტროსადგურების გაადგილება
საქართველოს ტერიტორიაზე, 2020 წ.



წყარო: *ესკო. ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორი*

ზამთრის პერიოდში იქმნება ჰიდროენერგიის დეფიციტი, რომლის გადაფარვა გარანტირებული სიმძლავრის საწარმოების (თბოელექტროსადგურების) ხარჯზე ვერ ხერხდება. იმპორტის მოცულობა სტაბილური არ არის და დიდწილადაა დამოკიდებული ამა თუ იმ წელს არსებულ ფაქტობრივ წყალმოდინებაზე ქვეყნის მდინარეებში. მაგალითად, 2017 წელს იმპორტმა სამჯერ გადააჭარბა წინა, 2016 წლის მაჩვენებელს. ჰიდროენერგიის წარმოების პიკზე საქართველოს გააქვს ელექტროენერგია, მაგრამ ექსპორტი ყოველთვის ვერ აბალანსებს იმპორტს. 2018 წელს იმპორტმა მაგალითად 2,55-ჯერ გადააჭარბა ექსპორტს.

ენერგიის შიდა მოხმარების სტრუქტურა აგრეთვე მიუთითებს საქართველოს ეკონომიკური განვითარების შედარებით დაბალ დონეზე. ენერგიის ყველაზე დიდი მომხმარებელი ქვეყანაში ტრანსპორტია – 31,8%, აქედან 31% საავტომობილო ტრანსპორტზე მოდის და მხოლოდ 0,8% სარკინიგზო ტრანსპორტზე. ენერგიის 26,6%-ს შინამეურნეობები (მოსახლეობა) მოიხმარს და მხოლოდ 12,6%-ს მრეწველობა. მრეწველობაში ენერგიის მოხმარების ლომის წილი შავი ლითონებისა და საამშენებლო მასალების წარმოებაზე მოდის.

ამავე დროს, გამონაკლისი შემთხვევების გარდა, იქ, სადაც ელექტროენერგიის მიწოდება ტექნიკურად ან ეკონომიკურად ნაკლებად რენტაბელურია (მაღალმთიანი სოფლები მცირე მოსახლეობით), ქვეყნის მოსახლეობა ამ სახის ენერგიით დაკმაყოფილებულია. თუმცა საქართველოს ხელისუფლება ცდილობს, მიაღწიოს ქვეყნის მთლიან ელექტრიფიკაციას. რაც შეეხება ბუნებრივ აირს, დიდი ქალაქები და ბარის დასახლებული პუნქტები, ძირითადად, მიერთებულია მაგისტრალურ გამანაწილებელ ქსელებზე და ამ ქსელების გაფართოება განუწყვეტლივ მიმდინარეობს[4]. მაღალმთიან რეგიონებში კი (მთიანი აჭარა, რაჭის ნაწილი, სვანეთი და ა.შ.), ტექნიკური სირთულეების გამო, გაზიფიკაცია ახლო მომავალში არ იგეგმება.

[4] მაგისტრალურ გაზსადენზე მიერთება არ ნიშნავს იმას, რომ ის მოსახლეობას მიეწოდება. განსაკუთრებით სოფლად და მცირე ქალაქებში ღარიბი მოსახლეობა ვერ იყენებს ბუნებრივ აირს ქსელზე მიერთების შედარებით მაღალი ღირებულების და მოხმარების საფასურის გამო.

ადგილობრივი წარმოების ენერგიიდან, ელექტროენერგიის შემდეგ, ყველაზე მნიშვნელოვანია *ბიოსაწვავი და ნახჩენები*, ე.ი., ფაქტობრივად, შეშა, რომელსაც შინამეურნეობები, ძირითადად, გასათბობად და, დამატებით, საჭმლის მოსამზადებლად იყენებენ. ნავთობის ეკვივალენტში ეს მოხმარება უახლოვდება ბუნებრივი აირის იმ მოცულობას, რომელსაც მოიხმარენ ქვეყნის თბოელექტროსადგურები. შედეგად, საქართველოში იქმნება საკმაოდ პარადოქსული სიტუაცია, როდესაც მცირე ქალაქებისა და სასოფლო მოსახლეობის ის ნაწილიც, რომელსაც ხელი მიუწვდება ბუნებრივ გაზზე (ე.ი. ამ მოსახლეობის უმეტესობა), გასათბობად ზამთარში შეშას იყენებს, რაც იწვევს გაზის მოხმარების ატიპურ ინვერსიას – ზამთარში ბევრგან გაზის მოხმარება მცირდება ზაფხულთან შედარებით, მაშინ როდესაც, წესით, პირიქით უნდა იყოს, რაც ხდება კიდეც თბილისში და სხვა დიდ საქალაქო დასახლებებში. შედეგად, ბიოსაწვავის იმპორტის არარსებობის პირობებში, შეშის მასობრივი მოპოვება ტყის რესურსების დეგრადაციას და მის თანმხლებ ეკოლოგიურ პრობლემებს იწვევს.

მსოფლიო ბანკის განვითარების ინდიკატორების საინფორმაციო ბაზაში მსოფლიოს რეგიონებისა და ქვეყნების ენერგეტიკული სექტორი წარმოდგენილია ათამდე პარამეტრით (World Development Indicators). აქედან ყველაზე თვალსაჩინოა და შესადარებლად მოხერხებული ენერგიის მოხმარება (ნავთობის ეკვივალენტის კგ ერთ მოსახლეზე)[5]. ეს პარამეტრი, ზოგადად, მიგვითითებს ამა თუ იმ ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონესა და მოსახლეობის კეთილდღეობაზე. უმეტეს შემთხვევაში, რაც მეტ ენერგიას მოიხმარს ქვეყანა ერთ მოსახლეზე, მით უფრო მაღალია მისი განვითარების დონე.

ერთ მოსახლეზე ენერგიის მოხმარების პიკს საქართველომ მიაღწია 1990 წელს, როდესაც ეს მაჩვენებელი გაუტოლდა 2583 კგ-ს. შემდგომ კრიზისულ წლებში ენერგიის მოხმარება მკვეთრად დაეცა და 2000 წელს მხოლოდ 704 კგ შეადგინა, ანუ 3,7-ჯერ ნაკლები. 2014 წლისთვის მოხმარება 1180 კგ-ამდე გაიზარდა, თუმცა ეს 1990 წლის მოხმარების მხოლოდ 46%-ს შეადგენდა.[6] ეს პარამეტრი მსოფლიოს საშუალო მაჩვენებლის მხოლოდ 61,4%-ია, მაღალი საშუალო შემოსავლების ქვეყნების – 53,8%, ესტონეთის – 28,3%, ლატვიის – 54,2%, ხოლო ლიეტუვის – 49,4% („IEA Statistics“, 2019). როგორც ჩანს, ეს ჩამორჩენა განპირობებულია, ძირითადად, იმით, რომ ქვეყანაში აღარ აღდგა ის ინდუსტრიული ბაზა, რომელიც მას საბჭოთა ხელისუფლების ბოლო წლებში ჰქონდა. თანაც, მოხმარება შედარებით უფრო ეფექტური გახდა ახალი ტექნოლოგიებისა და ენერგიის შედარებით მაღალი ფასების გამო.

[5] 1 კგ ნავთობის ეკვივალენტი არის ენერგიის ერთეული, განსაზღვრული როგორც ენერგიის რაოდენობა, რომელიც გამოიყოფა 1 კგ ნედლი ნავთობის წვის შედეგად. ის დახლოებით = 11,630 კვ/სთ-ს. იმის გამო, რომ სხვადასხვა ხარისხის ნავთობს განსხვავებული კალორიული შემცველობა აქვს, მოყვანილი რიცხვი გასაშუალოებულია ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს მიერ. https://www.iea.org/statistics/resources/unitconverter/

[6] საერთაშორისო სტატისტიკა 2014-2015 წლების შემდგომ შესაბამის მონაცემებს არ იძლევა. ავტორების მიახლოებითი გამოთვლებით, 2018 წლისათვის ეს მონაცემი, როგორც მინიმუმ, არ გაზრდილა და შესაძლოა, შემცირებულიც იყო.

დავალებები:

1. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ვებგვერდის ბმულზე

*http://br.geostat.ge/register_geo/index.php?action=search – იხილეთ **სტატისტიკური ბიზნესრეგისტრი/ეკონომიკური სუბიექტების ძებნა.***

*მოძებნეთ **ფაქტობრივი მისამართი,** სადაც ეკონომიკური სუბიექტები დალაგებულია რეგიონისა და მუნიციპალიტეტის/ქალაქის მიხედვით. ჩამოშალეთ **რეგიონის** ფანჯარა და აირჩიეთ თქვენთვის საინტერესო რეგიონი. შესაძლებელია რეგიონის ნაცვლად საქართველოს ქალაქების არჩევაც, თუმცა უმჯობესია, ამ შემთხვევაში ბათუმით და რუსთავით შემოიფარგლოთ.*

*ჩამოშალეთ ფანჯარა **საქმიანობის დასახელება** და აირჩიეთ მრეწველობის, მინიმუმ, ორი დარგი, რომელიც, თქვენი აზრით, არჩეული რეგიონისთვის/ქალაქისთვის არის მნიშვნელოვანი (Nace Rev. 1.1.).*

*აირჩიეთ **აქტიური ეკონომიკური სუბიექტები.** მიეცით ბრძანება **ძიება**, რომელიც წითლად არის მონიშნული. შედეგად გაიხსნება ფანჯარა **ეკონომიკური სუბიექტების ჩამონათვალი.***

ამ ფანჯარაში მოცემული ეკონომიკური სუბიექტები დააჯგუფეთ სამართლებრივი ფორმის, ფაქტობრივი მისამართის (მუნიციპალიტეტი), საქმიანობის დასახელების (Nace Rev. 2.), საკუთრების ფორმის მიხედვით. გამოთვალეთ, მაგალითად, ასეთი სუბიექტების რა ნაწილს ხელმძღვანელობენ ქალები (%). დაწერეთ მოკლე ესე (300-500 სიტყვა), შეადგინეთ ცხრილები, სადაც ნაპოვნი ინფორმაცია იქნება დაჯგუფებული სხვადასხვა პარამეტრის შესაბამისად.

2. ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორის (ესკო) ვებგვერდის ბმულზე https://esco.ge/ka/kvalifitsiuri-satsarmoebi/small-power-plants მოძებნეთ **მცირე ელექტროსადგურები** და დაალაგეთ რეგიონების მიხედვით. შეადგინეთ შესაბამისი ცხრილი, სადაც მიუთითებთ რეგიონს, ელექტროსადგურების დასახელებას, მათ სიმძლავრეს. დააჯამეთ ელექტროსადგურების რაოდენობა და მათი სიმძლავრეები რეგიონების მიხედვით.

შეადგინეთ გრაფიკი, სადაც მოცემული იქნება მცირე ელექტროსადგურების რეგისტრაცია წლების მიხედვით. ყოველ წელს მათი ჯამური რაოდენობისა და ჯამური სიმძლავრეების შესაბამისად.

*იგივე გაიმეორეთ ბმულზე – https://esco.ge/ka/kvalifitsiuri-satsarmoebi/generation-licensees – **წარმოების ლიცენზიანტები**, სადაც მოყვანილია დიდი და საშუალო ელექტროსადგურები, მაგრამ დაყავით ისინი თბო- და ჰიდროელექტროსადგურებად (ქარის ერთი სადგურია საქართველოში). დაადგინეთ და ახსენით, რას ნიშნავს კვალიფიციური საწარმოები და წარმოების ლიცენზიანტები.*

გამოყენებული ლიტერატურა:

არემჯი Rich Metals Group, 2019, ნანახია 2019 წლის 12 სექტემბერს, https://www.richmetalsgroup.com/index.php?a=main&pid=9&lang=geo

ესკო – ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორი, 2020, ნანახია 2019 წლის 12 დეკემბერს, https://esco.ge/ka

ქართული ღვინის 10 ყველაზე მსხვილი ექსპორტიორი კომპანია, Forbs Georgia, 23 იანვარი, 2018, ნანახია 2019 წლის 22 სექტემბერს,http://forbes.ge/news/3339/Rvinis-10-yvelaze-msxvili-eqsportiori-kompania

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2019, ნანახია 2019 წლის 22 სექტემბერს, www.geostat.ge

Doré Gold Bars, 2020, ნანახია 2020 წლის 3 მაისს, http://portlandgoldbuyers.com/gold-dore-bar/

Georgian-American Alloys, 2018, ნანახია 2019 წლის 22 ოქტომბერს, http://www.gaalloys.ge/ge/about-us

GTM Group, 2019, ნანახია 2019 წლის 22 ოქტომბერს, http://gtmgroup.ge/eng/

Industrialization, 2019, ნანახია 2019 წლის 12 აგვისტოს, BusinessDictionary, http://www.businessdictionary.com/definition/industrialization.html

Industry (including construction), value added (constant 2010 US$),2019. World Bank national accounts data, and OECD National Accounts data files. *License* : CC BY-4.0, 2019, ნანახია 2019 წლის 12 აგვისტოს, https://data.worldbank.org/indicator/NV.IND.TOTL.KD?view=chart

Industry (including construction), value added (constant 2010 US$) – Georgia, World Bank national accounts data, and OECD National Accounts data files, 2019, ნანახია 2019 წლის 12 აგვისტოს, https://data.worldbank.org/indicator/NV.IND.TOTL.KD?locations=GE&view=chart

Industry (including construction), value added (constant 2010 US$) – Estonia, World Bank national accounts data, and OECD National Accounts data files, 2019, ნანახია 2019 წლის 12 აგვისტოს, https://data.worldbank.org/indicator/NV.IND.TOTL.KD?locations=EE&view=chart

Industry (including construction), value added (constant 2010 US$) – Latvia,World Bank national accounts data, and OECD National Accounts data files, 2019, ნანახია 2019 წლის 12 აგვისტოს, https://data.worldbank.org/indicator/NV.IND.TOTL.KD?locations=LV&view=chart

Industry (including construction), value added (constant 2010 US$) – Lithuania,World Bank national accounts data, and OECD National Accounts data files, 2019,ნანახია 2019 წლის 12 აგვისტოს, https://data.worldbank.org/indicator/NV.IND.TOTL.KD?locations=LT&view=chart

IEA Statistics. Energy use (kg of oil equivalent per capita), 2019,ნანახია 2019 წლის 12 აგვისტოს, iea.org/stats/index.asp

Russalloys – Ferosilicon Manganese production, 2015, ნანახია 2019 წლის 12 აგვისტოს, http://rusalloys.com/?lng=geo

5.1.2. მშენებლობა

მშენებლობა მრეწველობის ქვედარგია, რომლის მრავალპროფილიანი დარგები შეიძლება განზოგადდეს ***სამრეწველო*** (ქარხნები, ფაბრიკები, სამრეწველო დანიშნულების საწყობები, სამხედრო ობიექტები და ა.შ.), ***სამოქალაქო*** (საცხოვრებელი სახლები, ტურისტული ობიექტები, კულტურული და საყოფაცხოვრებო მომსახურების ნაგებობები და სხვ.) და ***ინფრასტრუქტურა*** (გზები, კომუნიკაციები, კომუნალური ნაგებობები და ა.შ.) მიმართულებებად. საქართველოში 2017 წელს, საქსტატის მონაცემებით, მშენებლობის დამატებითი ღირებულება (3014,5 მილიონი ლარი) დიდად არ ჩამოუვარდებოდა სამრეწველო წარმოების ანალოგიურ მაჩვენებელს (3158,4). აქ წარმოებული პროდუქციის ძირითადი ნაწილი (44,9%) მოდიოდა უშუალოდ შენობებზე, 19,5% – გზებზე (ძირითადად საავტომობილო), ხოლო 17,5% საინჟინრო ნაგებობებზე (ელექტროსადგურები, მილსადენები, ელექტროენერგიის გადაცემის ხაზები, ა.შ.).

2018 წელს მშენებლობის ინდუსტრიის წილმა საქართველოს მშპ-ის 9,3% შეადგინა (2018 წელს, 2019). საქართველოში ამ სექტორის განვითარების შედეგები თვალშისაცემია – მოდერნიზებული აღმოსავლეთ-დასავლეთის საავტომობილო მაგისტრალების ქსელი, ახალი აეროპორტები, ყარსი-ბაქოს რკინიგზის საქართველოს მონაკვეთი; ფაქტობრივად, მთლიანად გარდაქმნილი ბათუმი და დიდწილად თბილისის ცენტრი.

განსხვავებით წარმოების სხვა დარგებისაგან, პროდუქციის გამოშვების მოცულობა მშენებლობაში, მნიშვნელოვანწილად, დამოკიდებულია ამა თუ იმ კონკრეტული პროექტის ან პროგრამის ინიცირებასა თუ დასრულებაზე, ან ბაზრის კონიუნქტურაზე (ძირითადად, სამოქალაქო მშენებლობაში). შესაბამისად, პროდუქციის მოცულობა შეიძლება წლიდან წლამდე მნიშვნელოვან რყევას განიცდიდეს. მასზე აგრეთვე დიდ გავლენას ახდენს ისეთი ფაქტორები, როგორიცაა ქვეყნის მიმზიდველობა ინვესტორებისთვის მისი პოლიტიკური სტაბილურობის, ბიზნესის კეთების სიადვილის გათვალისწინებით. გარდამავალი ეკონომიკის პირობებში მშენებლობის დინამიკა თანხვედრაშია მთლიანად ქვეყნის განვითარების წარმატებასთან (ან წარუმატებლობასთან). საქართველოს პირობებში ეს სწორედ ქვეყნის განვითარების დადებით დინამიკას მიუთითებს.

დარგის აღორძინება 2006 წლიდან დაიწყო, როდესაც გატარებული რეფორმების შედეგები ქვეყანას პირველად დაეტყო. პროდუქციის მოცულობა (ფულად გამოხატულებაში) 2006-2007 წლებში გაიზარდა 54%-ით; შემდეგი ნახტომის დროს – 2010-2011 წლებში – ის თითქმის გაორმაგდა (წლიური მატება – 94%), ხოლო 2017 წელს 2011 წლის 225% შეადგინა (გრაფიკი 1).

ტერიტორიის ათვისება, როგორც წესი, იწყება ინფრასტრუქტურული მშენებლობებით, რომლებშიც წამყვან როლს გზების დაგება ასრულებს. ამ ეტაპზე პრიორიტეტული მნიშვნელობა ენიჭება *სახელმწიფო ინვესტიციებს*. ინფრასტრუქტურულად მოწყობილი ტერიტორია უფრო ადვილად იზიდავს კერძო კაპიტალს შემდგომი ათვისებისათვის გარკვეული ეკონომიკური სპეციალიზაციით. მიუხედავად იმისა, თუ რა სპეციალიზაციას შეიძენს ტერიტორია – სამრეწველო თუ სამოქალაქო მიმართულებით, შემდგომ ეტაპზე ხდება მისი არაწამყვანი მიმართულებით შევსება. მაგალითად, თუ ჯერ აშენდა სამრეწველო ობიექტები, მას დასჭირდება სამოქალაქო ობიექტების დამატება, და პირიქით.

მშენებლობაში გაცემული ნებართვების თანაფარდობა საცხოვრებელ და არასაცხოვრებელ შენობებს შორის მკაფიოდ ასახავს ამა თუ იმ რეგიონის მიმზიდველობას ადამიანებისთვის და მისი განვითარების პრიორიტეტებს. 2017 წელს მთლიანად საქართველოში საცხოვრებელი ნებართვები აჭარბებდა არასაცხოვრებელს 1,8-ჯერ, მათ შორის: თბილისში – 3,2-ჯერ, აჭარაში – 2,5-ჯერ, მაგრამ იმერეთში არასაცხოვრებელი ნებართვები აჭარბებდა საცხოვრებელს 1,6-ჯერ, კახეთში – 2,2-ჯერ, რაჭაში – ოთხჯერ, სამეგრელოში – 1,7-ჯერ, შიდა ქართლში – 2,9-ჯერ.

გრაფიკი 1

მშენებლობაში პროდუქციის გამოშვების დინამიკა
1999-2017 წწ., მლნ. ლარი



წყარო: *„მშენებლობა", საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური*

მიუხედავად იმისა, რომ 2006-2017 წლების პერიოდში მშენებლობაში წარმოებული პროდუქცია 1,2 მლრდ. ლარიდან 7,6 მლრდ. ლარამდე გაიზარდა (საქსტატი, 2019), მისი განვითარება მრავალი თვალსაზრისით (კაპიტალბრუნვა, დასაქმება, ინვესტიციები), დიდი რეგიონული უთანაბრობით გამოირჩევა. სამშენებლო ბიზნესი და, შესაბამისად, დარგში შექმნილი პროდუქცია კონცენტრირებულია

დედაქალაქსა და აჭარაში. ქვეყნის დანარჩენი რეგიონები კი მათ ბევრად ჩამორჩება. 2017 წელს ამ ორ რეგიონზე ჯამურად მოდიოდა მშენებლობაში წარმოებული დამატებული ღირებულების მოცულობის 89,2%, მათ შორის თბილისზე – 71% (დიაგრამა 1). მშენებლობაში დასაქმებულთა რაოდენობაც თვალსაჩინოა

დიაგრამა 1

თბილისის და აჭარის ა/რ-ის წილი საქართველოს მშენებლობაში
წარმოებულ დამატებით ღირებულებაში, 2011-2017 წწ, %



წყარო: *„მშენებლობა", საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური*

თბილისისა და ბათუმის ხარჯზე. შესაბამისად, ამ მზარდ ბიზნესს ხელს უწყობს დარგში განხორციელებული მოცულობითი ინვესტიციები. აღნიშნული სტატისტიკა ქვეყნის რეგიონული განვითარების უთანაბრობაზე მიუთითებს – მეტისმეტად იზრდება კონკრეტულ ტერიტორიებზე სამშენებლო ობიექტების, მოსახლეობის, ასევე ფინანსური რესურსების თავმოყრა, რაც ქმნის როგორც ეკოლოგიურ (მეტისმეტად მჭიდრო განაშენიანება დედაქალაქში და გადატვირთული საქალაქო გარემო), ასევე სოციალურ პრობლემებს (უმუშევრობის მაღალი დონე რეგიონებში).

ამავე დროს, თავად სამშენებლო სექტორი საკმაოდ პრობლემურია. საქართველოში თითქმის არ არსებობს სამშენებლო ნორმები და სტანდარტები, ხოლო არსებულის კონტროლი სუსტია. ეს განსაკუთრებით ეხება საცხოვრებელი სახლების მშენებლობას, რომელთა უდიდესი ნაწილი შენდება დაბალი ხარისხის სამშენებლო მასალების გამოყენებით; კედლების სისქე დაახლოებით ორჯერ ნაკლებია, ვიდრე ეს საბჭოთა ნორმებითაც კი იყო გათვალისწინებული. ეს საკმაოდ აიაფებს მშენებლობას, მაგრამ მნიშვნელოვან პრობლემებს უქმნის ასეთი შენობების ბინადრებს, რომლებიც ზედმეტ ფულს იხდიან გათბობისათვის კომფორტული საცხოვრებელი პირობების შესაქმნელად. შედარებით მაღალი ხარისხის ახალი საცხოვრებელი სახლები თითზე ჩამოსათვლელია, ძირითადად, თბილისისა და ბათუმის ცენტრებში. მაგრამ აქ ერთი კვადრატული მეტრის ღირებულება უკვე უახლოვდება ევროპულ ფასებს, რაც მიუწვდომელს ხდის მათ საქართველოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილისათვის. გარდა ამისა, დეველოპერების მცდელობა, მაქსიმალურად აითვისონ თბილისის ცენტრში მშენებლობისთვის ხელმისაწვდომი მიწის ნაკვეთები, იწვევს სახოვრებელი სახლების სართულიანობის მატებას, რაც ამახინჯებს ურბანულ ლანდშაფტს, მძიმე ტვირთად აწვება არსებულ სატრანსპორტო, ენერგო- და წყალმომარაგების ინფრასტრუქტურას.

გეოგრაფიული თვალსაზრისით, მშენებლობის ბიზნესი შეიცავს მთელ რიგს თავისებურებებისას, კერძოდ: ***სოციალურ-ეკონომიკურ ასპექტში*** ეს თავისებურება განსაკუთრებით ვლინდება დასაქმების სფეროში. მშენებლობის ბიზნესი *კაპიტალტევადი* და *შრომატევადი* მიმართულებაა შესაბამისი სამუშაო ადგილების ფართო სპექტრის შექმნით, თუმცა სამუშაო ადგილები იქმნება მხოლოდ მშენებლობის პროცესში და უქმდება სამუშაოების დასრულებისთანავე. გარდა ამისა, კაპიტალტევადი სამშენებლო ინდუსტრიის განვითარება ქმნის მოთხოვნებს ფართო სპექტრის პროდუქციაზე – სამშენებლო მასალებსა და მშენებლობის წარმოების საშუალებებზე. რაც უფრო სრულად დაკმაყოფილდება ეს მოთხოვნები *ადგილობრივი წარმოების* კონკურენტუნარიანი პროდუქციით, მით უფრო შე-

ნარჩუნდება აღნიშნული ინვესტირებული კაპიტალის ბრუნვა ქვეყნის ფარგლებში, შეიქმნება მეტი სამუშაო ადგილები, გაიზრდება მთლიანი შიდა პროდუქტი და გაუმჯობესდება სხვა მაკროეკონომიკური მაჩვენებლები. იმპორტირებულ პროდუქციას კი ერთგვარად „გადააქვს“ ეს დადებითი ეფექტი ამ პროდუქციის მწარმოებელ ქვეყნებში. ***ფიზიკურ-გეოგრაფიული*** თვალსაზრისით კი, მშენებლობა უკავშირდება შედარებით *დიდი სივრცის ათვისებას* და ტერიტორიის ზედაპირის მორგებას სამშენებლო ობიექტებზე. ეს პროცესი განსაკუთრებით პრობლემურია მთიან რეგიონებში, სადაც ნებისმიერი ჩარევა ბუნებრივ პროცესებში ზეგავლენას ახდენს დაბლობის იმ არეალზე, რომლებიც ბუნებრივად დაკავშირებულია ამ მთიან უბნებთან. მაგალითად, ჭოროხის ზედა დინებაში კაშხლების მშენებლობამ გამოიწვია მდინარის მიერ ჩამორეცხილი მასალის გაფილტვრა. ამან, თავის მხრივ, დაარღვია ბალანსი მდინარეების მიერ ჩამოზიდული ზღვის ნაპირამგები მასალისა და ზღვის დინებებისა და ტალღების მიერ ამ მასალის გაზიდვას შორის. შედეგად, ხდება სანაპირო ზოლის მონაკვეთების ჩარეცხვა (აბრაზია). მათი აღდგენა ძვირადღირებული პროცესია და, ამასთან, აქვს მოკლევადიანი ეფექტი. ამის დასტურია ბათუმის სამხრეთის, ე.წ. ახალი ბულვარის, 1.8 კმ-იანი ზონის გამაგრებითი სამუშაოების პროექტი 2016 წელს, რომლის ღირებულებამ 12 მილიონი ევრო შედგინა (ჯორბენაძე, 2016). აღვნიშნავთ, რომ რაოდენობრივად ეს თანხა იმდროინდელი აჭარის ბიუჯეტის 16% იყო.

კითხვები:

1. რა გეოგრაფიულ თავისებურებებს უკავშირდება მშენებლობის ბიზნესი და რითაა განპირობებული ეს?

დავალება:

1. 2018 წლის მონაცემებით, საქართველოს დიდი სამშენებლო კომპანიების ჩამონათვალი ქვემოთაა მოყვანილი. ამ სიიდან აირჩიეთ კომპანიების წყვილი. მოძებნეთ მათი ვებგვერდები, შეადარეთ მათ მიერ აშენებული/მშენებარე ობიექტები ტიპების, რეგიონების, წლების მიხედვით, აგრეთვე საცხოვრებელი ფართის კვადრატული მეტრის ფასების მიხედვით (სადაც ეს შესაძლებელია). ნახეთ, რით განსხვავდებიან ისინი ერთმანეთისგან. დაწერეთ მოკლე ანალიტიკური ესე.

   შპს „საბა კონსტრაქშენ“; შპს „ორბი ჯგუფი“; შპს „სინერჯი ქონსტრაქშენ“; შპს „ორბი ჯგუფი – ბათუმი“; შპს „ბურჯი“; „თავ მშენებლობა – საქართველო; ჩენგდუს დიზაინისა და სამშენებლო მასალების კვლევის ინსტიტუტის შპს, თბილისის ფილიალი; შპს „დაგი“; შპს „ას ჯორჯია“; შპს „ალიანსი“; შპს „სახელმწიფო სამშენებლო კომპანია“; შპს „ანაგი“; შპს „ინ-სი“; სს „ტრანსმშენი“; სს „Hualing international special economic zone“; შპს „ბკ კაპიტალი“.

გამოყენებული ლიტერატურა:

მშენებლობა ეკონომიკური საქმიანობის სახეების კლასიფიკატორის NACE rev.1.1 მიხედვით, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2019, ნანახია 2019 წლის 20 ოქტომბერს, http://www.geostat.ge/?action=page&p_id=2419&lang=geo

ჯორბენაძე თ., ბათუმის ნაპირგამაგრებისთვის 12 მილიონამდე ევრო დაიხარჯება, გაზეთი „ბათუმელები“, 28.08.2016, ნანახია 2018 წლის 25 მაისს, http://batumelebi.netgazeti.ge/ambebi/54984/#sthash.9lfBOsl6.yP957NUW.dpbs

2018 წელს მთლიან შიდა პროდუქტში მრეწველობის წილი გაიზარდა, იმედი News, 2019, ნანახია 2018 წლის 25 მაისს https://imedinews.ge/ge/ekonomika/101206/2018-tsels-mtlian-shida-produqtshi-mretsvelobis-tsili-gaizarda

5.1.3. სოფლის მეურნეობა და მიწის ხეფორმა

სოფლის მეურნეობა

საქართველოს ბუნებრივი გარემო და ნიადაგურ-კლიმატური პირობები მეტად ხელშემწყობია სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის. ისტორიულად საქართველო ყოველთვის აგრარული ქვეყანა იყო. სოფლის მეურნეობა დღესაც ჩვენი ეკონომიკის ტრადიციული დარგია. საბჭოთა ეპოქაში მეურნეობის ძირითადი მიმართულება აგრარულ-ინდუსტრიული გახდა, თუმცა საკავშირო ეკონომიკური სისტემის დაშლის შემდეგ ორივე დარგმა მნიშვნელოვანი დაცემა განიცადა.

დიდი ძვრები საქართველოს სოფლის მეურნეობაში 1864 წლიდან დაიწყო, როცა განხორციელდა ბურჟუაზიული რეფორმები და ქვეყანა კაპიტალისტურ ფორმაციაზე გადავიდა. საუკუნის ბოლოსათვის საფუძველი შეექმნა კულტურების მთელი რიგის: თამბაქოს, აბრეშუმის პარკის, ყურძნის სასაქონლო წარმოებას, მაგრამ წარმოების ზრდის ტემპი დაბალი იყო (ჯაოშვილი, 1996, 126).

მე-20 საუკუნის დასაწყისში პეტერბურგში განხილულ იქნა საკითხი დასავლეთ საქართველოში ჭაობების ამოშრობის შესახებ, *სუბტროპიკული კულტურების* გაშენების მიზნით. მეფის რუსეთის ხელისუფლება სწორედ ამ მიმართულებით მოიაზრებდა საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარებას, მაგრამ I მსოფლიო ომის გამო პროექტი შეჩერდა (Колхидская низменность, 1990, 117).

უდიდესი ცვლილებები საქართველოს სოფლის მეურნეობაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ განხორციელდა, დარგის განვითარების აღნიშნული სტრატეგია და მიმართულება კი უცვლელი დარჩა. 1920-იან წლებში ე.წ. „კოლხეთის პრობლემის“ წინ წამოწევის მთავარი მიზანი მალარიის ლიკვიდაცია და ქ. ფოთისა და მიმდებარე ტერიტორიების ხშირი წყალდიდობებისგან დაცვა იყო, მაგრამ უმთავრესი მაინც ასიათასობით ჰექტარი აუთვისებელი მიწების დამუშავება და მასზე მძლავრი *სასაქონლო სუბტროპიკული მეურნეობის* შექმნა იყო. დაჭაობებულ ტერიტორიებს მთელი კოლხეთის დაბლობის 22,5%, ხოლო საქართველოს ტერიტორიის, 3,2% ეჭირა. მელიორაციის მიზნით წარმართულმა სამუშაოებმა გაამართლა და 1940 წლისთვის ათეულათასობით ჰექტარზე ჩაის, ციტრუსისა და დაფნის პლანტაციები გაშენდა. სრულად ლიკვიდირებულ იქნა მალარია (Колхидская низменность, 1990, 6-7).

მიუხედავად ამისა, 1920-1930-იან წლებში მიმდინარე პროცესების ცალსახად შეფასება შეუძლებელია. კოლექტივიზაციის პროცესმა, რომელიც 1928 წელს დაიწყო, მთლიანად გამოაცალა გლეხობას შრომით მოპოვებული საკუთრების შექმნის სტიმული. 1930-იანი წლებიდან, ვიდრე დამოუკიდებლობის ეპოქამდე, ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობა საერთო-საკავშირო ბაზრის ინტერესებს ემსახურებოდა და, დიდწილად, აკმაყოფილებდა მოთხოვნას სპეციალიზაციის დარგების – ინტენსიური მევენახეობის, მეჩაიეობის, მეციტრუსეობის, მეხილეობის, მეთამბაქოეობის, სუბტროპიკული და ეთერზეთოვანი კულტურების პროდუქციაზე. ამას შედეგად მოჰყვა სხვა სასურსათო პროდუქტების წარმოების ჩამორჩენა. ხელოვნურად მოხდა იმ დარგების მოცულობისა და პროდუქტიულობის შემცირება, რომლებიც სურსათზე მოსახლეობის პირველადი მოთხოვნილების დაკმაყოფილებას ემსახურებოდა – დეფიციტად ქცეული ხორბალი, კვერცხი, ხორცისა და რძის პროდუქტები მეზობელი რესპუბლიკებიდან შემოდიოდა (ჯაოშვილი, 1996, 127; ნეიძე, 2013, 249). რადგან მიწა სახელმწიფო საკუთრება იყო, რაც იმას ნიშნავდა, რომ ის „ეკუთვნოდა ყველას და არავის“ (Gachechiladze, 1995, 13), კოლმეურნეებს არ ჰქონდათ მოტივაცია კოლექტივის მიწების რაციონალურად გამოყენებისა; შესაბამისად, შრომისნაყოფიერებაც დაბალი გახლდათ. ასეთ ვითარებაში გლეხები მთავარ ყურადღებას თავის საკარმიდამო ნაკვეთს უთმობდნენ და ცდილობდნენ, იქიდან მაქსიმალური შემოსავალი მიეღოთ. სახელმწიფო აგროპროდუქცია ***კოლმეურნეობებსა*** და ***საბჭოთა მეურნეობებში*** იქმნებოდა, რომელთაც მთელი სასოფლო-სამეურნეო სავარგულების 87% ეჭირა; საკუთრების მეორე ფორმას ***საკარმიდამო ნაკვეთი*** წარმოადგენდა და სასარგებლო მიწების საერთო ფართის მხოლოდ 5,5%-ს მოიცავდა. სამაგიეროდ, მასზე მთელი სახნავი მიწების 13 % და მრავალწლოვანი კულტურების ქვეშ ათვისებული მიწების 20 % მოდიოდა. 1989 წლისთვის, ასეთ მიწებზე მოჰყავდათ სიმინდის 51%, ყურძნის 41 %, კარტოფილის 45 %, ციტრუსის 64 %, ხილის 76 %; საკარმიდამო მეურნეობაში იწარმოებოდა კვერცხის 30 %, ხორცის 51%, რძის 58 % და მატყლის 63 % (Gachechiladze, 1995, 13).

საკავშირო სისტემის დაშლის შემდეგ საქართველო მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა – აუცილებელი მოხმარების პროდუქტებით სხვა რესპუბლიკებზე დამოკიდებულებამ მწვავე სასურსათო კრიზისი შექმნა – ძველი ბაზარი დაიკარგა, ხოლო საერთაშორისო ბაზრებისათვის ჩვენს ქვეყანაში წარმოებული პროდუქცია (ჩაი, ღვინო, მინერალური წყლები, ციტრუსი, თამბაქო, ეთერზეთები) არაკონკურენტუნარიანი აღმოჩნდა.

საქართველოს დამოუკიდებლობის პირველი წლებიდანვე ქვეყანაში დაიწყო ***აგრარული ხეფორმის*** განხორციელება, რომლის მთავარი არსი მიწის კერძო საკუთრებაში გადაცემა იყო. ***პრივატიზაციის*** ეს პროცესი ბევრგან არაობიექტურად და წესების დარღვევით წარიმართა. ამასთან, პრივატიზებული მიწების ფართობების ნაწილი დღესაც დაუმუშავებელია სხვადასხვა მიზეზის გამო (მოყვანილი მოსავლის რეალიზაციის პრობლემა, მაღალი თვით-

ღირებულება იმპორტულ პროდუქტთან შედარებით, მიწის დამუშავებისათვის საჭირო ტექნიკისა და რესურსების სიმწირე და სხვ.) (ნეიძე, 2013, 249).

თუ ადრე სოფლის მეურნეობის მთელი პროდუქცია კოლმეურნეობებში იქმნებოდა, დღეისათვის დარგის წარმოების ძირითადი პოტენციალი *საოჯახო წვრილ-გლეხურ მეურნეობებშია* თავმოყრილი (ცხრილი 1). გამონაკლისია მეფრინველეობა, სადაც აგროწარმოების მეტი წილი მსხვილ ფერმერულ მეურნეობებზე მოდის.

ცხრილი 1

ოჯახური მეურნეობებისა და სასოფლო-სამეურნეო საწარმოების წილი სოფლის მეურნეობის სექტორში (პროცენტობით) 2017 წელი

დარგები	ოჯახური მეურნეობების წილი	სასოფლო-სამეურნეო საწარმოების წილი
მიწათმოქმედება		
ეითწლოვანი კულტურები (მარცვლოვანები, პარკოსნები, კარტოფილი, ბოსტნეულ-ბაღჩეული და სხვა ნათესი კულტურები)	93.3	6.7
მრავალწლოვანი კულტურები:		
ხილი	97.4	2.6
ყურძენი	83.9	16.1
ციტრუსი	99.9	0.1
ჩაის ფოთოლი	73.3	26.7
მეცხოველეობა		
მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი	99.2	0.8
ღორი	94.7	5.3
ცხვარი და თხა	95.9	4.1
ფრინველი	48.8	51.2
ფუტკარი	98.8	1.2

წყარო: *„საქართველოს სოფლის მეურნეობა 2017“, 2018. შედგენილია ავტორთა მიერ*

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში, დაახლოებით, 642,2 ათასი სასოფლო მეურნეობაა, მათგან მხოლოდ 2,2 ათასია იურიდიული პირი. ანუ ბიზნესსექტორის დასაქმებაში დარგის წილი მხოლოდ 2%-ს შეადგენს, რაც სოფლად თვითდასაქმებულთა მაღალი ხვედრითი ოდენობით აიხსნება (საქართველოს შრომის ბაზრის ანალიზი, 2017, 17). სხვაგვარად რომ ვთქვათ, გლეხები მიწის მცირე ნაკვეთებს ფლობენ და, შესაბამისად, ნაწარმი პროდუქტიც მცირეა, რაც იმას ნიშნავს, რომ დასაქმებულთა დიდი ნაწილი საკუთარი ოჯახის გამოსაკვებად მომუშავე ინდივიდებია, რომლებსაც სასაქონლო პროდუქციის შექმნის არც უნარები და არც რესურსები გააჩნიათ (კვალიფიციური კადრების დეფიციტი, სასაწყობო მეურნეობების არქონა, პრობლემები ვეტერინარული მოვლისა და მცენარეთა დაცვის მომსახურებაში და სხვ.) (ევროკავშირთან ასოცირების..., 2017, 4). თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ეკონომიკის ამ სექტორში ჩვენი ქვეყნის დასაქმებული მოსახლეობის თითქმის 50 %-ია ჩაბმული, რომელიც ბოლო წლებია, სტაბილურად მშპ-ის მხოლოდ 9 პროცენტს ქმნის, ნათელი გახდება დარგის მეტად ***დაბალეფექტურობა*** (საქართველოს შრომის ბაზრის ანალიზი, 2017, 17).

შექმნილი მდგომარეობა სოფლის შინამეურნეობებზეც უარყოფითად აისახება – მწირი შემოსავლები (ცხრილი 2) აღრმავებს სიღარიბეს და ბიძგს აძლევს მოსახლეობის მიგრაციას ურბანულ ცენტრებში ან ქვეყნის გარეთ. სოფლის მეურნეობის სექტორის ჩამორჩენას, დიდწილად, სახელმწიფო დაფინანსებისა და უცხოური ინვესტიციების მწვავე სიმცირე განაპირობებს (ევროკავშირთან ასოცირების..., 2017, 4). ცხრილი 3 გვიჩვენებს, რომ უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში ამ მიმართებით დარგში თითქმის არაფერი შეცვლილა. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ყველაზე დიდი წილი, 2017 წლის მონაცემებით, ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაზე (28,3%), საფინანსო სექტორზე (16,3%), მშენებლობაზე (15,8%), ენერგეტიკაზე (10,1%), უძრავ ქონებაზე (8,6%), სასტუმროებსა და რესტორნებზე (4,8%), დამამუშავებელ მრეწველობასა (4%) და სამთო-მომპოვებელ მრეწველობაზე (2,9%) მოდის.

ცხრილი 2

შინამეურნეობების შემოსავლები სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების რეალიზაციიდან		
წლები	**სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლების წილი შინამეურნეობის ფულად შემოსავლებში (პროცენტულად)**	**სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების რეალიზაციიდან მიღებული საშუალო თვიური შემოსავლები, გაანგარიშებული ერთ შინამეურნეობაზე (ლარებში)**
2014	6.5	59.8
2015	7.1	68.5
2016	6.4	63
2017	4.7	48.8

წყარო: *„საქართველოს სოფლის მეურნეობა 2017", 2018, 19. შედგენილია ავტორების მიერ*

სოფლის მეურნეობის სექტორი კი რეალურად, დაფინანსების მიღმა რჩება (მიმდინარე ეკონომიკური ტენდენციები, 2018, 14). მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ზრდის მნიშვნელოვანი პოტენციალი აქვს, პროდუქციის დიდი ნაწილი უცხოეთიდან შემოდის, რომელსაც კონკურენციას ვერ უწევს ადგილობრივი ნაწარმი. ანუ, საერთო ჯამში, ქვეყანას *ძაღიან დაბაღი აგროსამეურნეო წარმადობა აქვს* (ევროკავშირთან ასოცირების, 2017, 4).

ცხრილი 3

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების წილი საქართველოს სოფლის მეურნეობაში (პროცენტულად)

წლები	**2007**	**2008**	**2009**	**2010**	**2011**	**2012**	**2013**	**2014**	**2015**	**2016**	**2017**
სულ საქართველოში ეკონომიკის ყველა სექტორში	100	100	100	100	100	100	100	100	100	100	100
სოფლის მეურნეობასა და თევზჭერაში	0.87	0.67	3.36	1.02	1.49	1.57	1.27	0.67	1.11	0.53	0.65

წყარო: *„პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ეკონომიკის სექტორების მიხედვით", 2018. შედგენილია ავტორების მიერ*

საქართველოში სასოფლო სამეურნეო კულტურების ***ტერიტორიული განაწილება ჰიფსომეტრიული ზონალობის*** მიხედვით შემდეგნაირია: I ზონაში (ზ.დ. 250 მ-მდე) უმეტესად გავრცელებულია დასავლეთ საქართველოს სუბტროპიკული კულტურები; II ზონა (ზ.დ. 250-500 მ.) მებაღეობა-მებოსტნეობის, მევენახეობის, ინტენსიური მესიმინდეობის რეგიონია; III ზონაში (ზ.დ. 500-1000 მ.) ჭარბობს თავთავიანი კულტურები, სათიბ-საძოვრები, მეცხოველეობა; IV ზონა (ზ.დ. 1000-1500 მ.), ძირითადად, სათიბ-საძოვრებს უჭირავს და მემინდვრეობა სუსტად არის განვითარებული; V ზონაც (ზ.დ. 1500-2000 მ.), უპირატესად, სათიბ-საძოვრების გავრცელების არეალია; VI ზონა (ზ.დ. 2000 მ-ის მაღლა) არ გამოიყენება სოფლის მეურნეობაში (ზონენაშვილი, 2003, 113; ნეიძე, 2013, 250).

დამუშავებული ***მიწების სტრუქტურა*** დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში განსხვავებულია, კერძოდ: აღმოსავლეთში (ქართლ-კახეთი) ჭარბობს *სახნავი მიწები* (ერთწლოვანი კულტურებისათვის), დასავლეთში კი *მრავალწლიანი ნარგავები*; ქვეყნის რელიეფური თავისებურებებიდან გამომდინარე, აღმოსავლეთ საქართველოს ბარში შედარებით *მსხვილი მასივებია* გავრცელებული, მაშინ, როცა გორაკბორცვიან და ჭარბტენიან კოლხეთში ათვისებული მიწები *ცალკეული სავარგულების* სახით არის წარმოდგენილი; მთებში დახრილი ფერდობებისა და ტყის მასივების არსებობა (განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში) სასარგებლო მიწების *დისპერსიულობას* განაპირობებს. აღმოსავლეთ საქართველოში სასოფლო სამეურნეო საქმიანობა, ძირითადად, *სარწყავ მიწებზე* წარმოებს, ხოლო დასავლეთის რეგიონში *უარწყავი მიწათმოქმედებაა* წარმოდგენილი; ნოტიო სუბტროპიკებში ჭარბტენიანი ტერიტორიები *მელიორაციას* (ამოშრობას), ხოლო აღმოსავლეთში, ზომიერად

მშრალი და მშრალი სუბტროპიკული კლიმატის პირობებში, მიწები *ირიგაციას* (მორწყვას) საჭიროებს. სამწუხაროდ, 1990-იანი წლების კრიზისის დროს მწყობრიდან გამოვიდა და გაიძარცვა სარწყავი და სამელიორაციო სისტემების დიდი ნაწილი (ნეიძე, 2013, 250-251).

თანამედროვე საქართველოს სასოფლო სამეურნეო რეგიონების ***დარგობრივი მიმართულებები*** წინა ათწლეულებისგან ნაკლებად განსხვავდება, მაგრამ სერიოზულადაა შემცირებული ათვისებული ფართობები და მიღებული მოსავლის რაოდენობაც. სხვაობა ისაა, რომ დღეს *მეცხოველეობის სექტორის წილი სჭარბობს მიწათმოქმედებას* (ცხრილი 4), რაც არ იყო დამახასიათებელი ჩვენი ქვეყნისათვის – მემცენარეობა ყოველთვის წამყვანი დარგი იყო სოფლის მეურნეობაში; მეორე მხრივ, სასაქონლო მნიშვნელობა შეიძინა სუბტროპიკულმა კულტურებმა – *თხილმა* და *კივიმ* (დასავლეთ საქართველოში), ხოლო აღმოსავლეთის ბარში *ზეთისხილის* ბაღები გაშენდა და 2016 წელს პირველი მოსავალიც მიიღეს.

დღევანდელი საქართველოს სოფლის მეურნეობის დარგების რეგიონული სტრუქტურა მოცემულია მე-5 ცხრილში.

ეთნოგენეტიკური მარცვლოვანი კულტურებიდან საქართველოში მოჰყავთ ***სიმინდი*** და ***ხორბალი.*** სიმინდი დასავლეთ საქართველოს ძირითადი სასურსათო კულტურაა, რომლის ფართობებით იმერეთი (24, 6 ათასი ჰა) და სამეგრელო (21,1 ათასი ჰა) აღემატება დანარჩენ რეგიონებს; სიმინდი ასევე მოჰყავთ კახეთსა და ქართლში, გურიასა და აჭარაში. საშემოდგომო ხორბლის ნათესებით გამოირჩევა კახეთი (35,2 ათასი ჰა), რომელსაც ბევრად ჩამორჩება შიდა ქართლი (3,9 ათასი ჰა), სადაც საუკეთესო კლიმატურ-ნიადაგური პირობებია ამ კულტურისათვის. მეტად მნიშვნელოვანი რეგიონია სამცხე-ჯავახეთი. აქ მთის სტეპის შავმიწები საგაზაფხულო ხორბლისათვის ოპტიმალურ გარემოს ქმნის. თუმცა ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში, მეცხოველეობის ბაზის გაძლიერების მოტივით, ხელოვნურად მოხდა ხორბლის ნათესების მინიმუმამდე შემცირება და ჩანაცვლდა საკვები ბალახით, იონჯით (ჯაოშვილი, 1996, 139-140; 159). დღეისათვის ხორბლის ნათესების ფართობი აქ 1,9 ათას ჰა-ს არ აღემატება.

ცხრილი 4

საქართველოს სოფლის მეურნეობის პროდუქციის გამოშვება

წლები	მემცენარეობისა და მეცხოველეობის წილი სოფლის მეურნეობის პროდუქციის გამოშვებაში (პროცენტებში)*		
	მემცენარეობა	მეცხოველეობა	სულ
2014	48	48	100
2015	44	50	100
2016	43	51	100
2017	45	50	100

წყარო: *„საქართველოს სოფლის მეურნეობა 2017", 2018:18. შედგენილია ავტორების მიერ*

ერთწლოვანებს შორის ტექნიკურ კულტურებს განეკუთვნება *მზესუმზირა*. მისი მომყვანი რეგიონიც კახეთია. წინა ათწლეულებთან შედარებით, ნათესები მკვეთრადაა შემცირებული და დღეისათვის მთლიანი ნათესი ფართობი 4,3 ათას ჰექტარს შეადგენს, აქედან 3,5 ჰექტარი კახეთზე მოდის. ერთწლიანი კულტურებია *პარკოსნები, ბოსტნეული* და *ბაღჩეული,* რომლებიც საქართველოს ბარსა და მთისწინეთში თითქმის ყველგან მოჰყავთ. *კარტოფილის* ფართობებით გამოირჩევა სამცხე-ჯავახეთი. მის ქვეშ ათვისებულია 10,8 ათასი ჰექტარი საუკეთესო შავმიწები.

მრავალწლიან კულტურებს მიეკუთვნება *ხეხილი, ვაზი, ჩაი* და *ციტრუსი.* 1988 წლის მონაცემებით, საქართველოს მოჰყავდა 653 ათასი ტ. ხილი, 620 ათასი ტ. ყურძენი, 437 ათასი ტ. ციტრუსი და 500 ათას ტონაზე მეტი ჩაი (თვალჭრელიძე და სხვ., 2010). მათი წარმოება ჩვენი სოფლის მეურნეობის მთავარ მიმართულებად რჩება, თუმცა მოსავლის დინამიკა მეტად შემცირებულია და დარგობრივ ჭრილში არასტაბილობით ხასიათდება (ცხრილი 6).

მიღებული მოსავლის მიხედვით, *მევენახეობას,* ისევე როგორც *მეხილეობას,* კახეთში ზრდის ტენდენცია აქვს, ხოლო შიდა ქართლში, მეხილეობის სტრატეგიულ რაიონში, ხილის წარმოება კლების დინამიკას აჩვენებს (ცხრილი 7). არსებული მდგომარეობა, სხვა ლოკალურ პრობლემებთან ერთად, ტრადიციული ბაზრების დაკარგვითაა გამოწვეული.

ცხრილი 5

საქართველოს რეგიონები სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების მიხედვით (2017 წელი)

რეგიონები	კახეთი	ქვემო ქართლი	მცხეთა- მთიანეთი	შიდა ქართლი	იმერეთი	რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთი	სამეგრელო-ზემო სვანეთი	გურია	აჭარა	სამცხე- ჯავახეთი	**საქართველო**
	მიწათმოქმედება										
ხორბლის აღებული ფართობი (ათასი ჰა)	35.2	3.5	–	3.9	0.4	–	–	–	–	1.2	**44.2 (0.4)**
სამარცვლე სიმინდის აღებული ფართობი (ათასი ჰა)	16.5	4.4	0.9	3.2	24.6	0.9	21.1	4.6	1.6	0.9	**78.6**
კარტოფილის აღებული ფართობი (ათასი ჰა)	0.9	4.1	0.4	1.7	–	–	–	–	1.1	10.8	**19.7 (0.7)**
ხილის წარმოება (ათასი ტ.)	40.5	8.8	1.6	15.6	11.2	1.4	13.4	9.4	9.6	1.7	**114.1 (0.7)**
თხილის წარმოება (ათასი ტ.)	2	0.3	0.1	0.1	2.8	–	7.3	6.4	2.4	–	**21.4 (0.1)**
ჩაის ფოთლის წარმოება (ათასი ტ.)	–	–	–	–	0.3	–	1.1	0.5	0.4	–	**2.3**
ყურძნის წარმოება (ათასი ტ.)	134.8	4.5	2.8	8	20.9	2.3	2.1	1.9	1.6	0.7	**180.8 (1.3)**
ციტრუსის წარმოება (ათასი ტ.)	–	–	–	–	0.2	–	1	10.9	46.1	–	**58.2**
	მეცხოველეობა										
მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობა (ათასი)	95.9	148.8	35.8	58.6	166.6	17.8	175.5	39.9	63.9	103.5	**909.7 (3.5)**
ცხვრის სულადობა (ათასი)	499.8	193.4	45.4	20.7	19.6	–	–	–	–	70.7	**855.9 (6.2)**
ფრინველის რაოდენობა1(ათასი)	146.7	3641.9	231.8	426	1 019.9	45.9	863	237.7	93.6	194.7	**8 386 (484)**
ფუტკრის ოჯახების რაოდენობა (ათასი სკა)	53.3	24.7	–	11.8	49.9	–	38.2	–	14.2	16.8	**240.6 (32.3)**
ფრჩხილებში ჩასმულია მონაცემები თბილისისა და დანარჩენი რეგიონებისათვის											

წყარო: *„საქართველოს სოფლის მეურნეობა 2017“, 2018:37-77. შედგენილია ავტორების მიერ*

ცხრილი 6

მრავალწლიანი კულტურების მოყვანა საქართველოში (ათასი ტონა)

წლები	**1988**	**2014**	**2015**	**2016**	**2017**
ხილი	653	210	144.3	186.4	114.1
ყურძენი	620	172.6	214.5	159.2	180.8
ციტრუსი	437	69.8	77.6	65.5	58.2
ჩაის ფოთოლი	500	1.8	2.1	3	2.3

წყარო: *თვაღჭიღიძე და სხვ., 2010; „საქართველოს სოფლის მეურნეობა 2017", 2017, 60*

მევენახეობის ოთხი მთავარი რეგიონი გამოიყოფა: ***კახეთი,*** სადაც ძირითადი სასაქონლო ჯიშებია *ხქაწითელი* და *საფერავი;* ***იმერეთი*** – *ციცქა* და *ცოღიკაური;* ***ხაჭა-ღეჩხუმი*** – *აღექსანდროული, მუჯურეთული, უსახელოური;* და ***შიდა ქართლი*** – *გოხური მწვანე* და *ჩინური (ჩინებული).* სხვა ღირებული ჯიშები – *ოცხანური საფერე* (ზესტაფონი-თერჯოლის ზონა), *ოჯალეში* (ლეჩხუმი), *ჩხავერი* (გურია), *კარახუნა* (ბაღდათის რაიონი), *ქისი* (შიგა კახეთი), *ხიხვი* (კარდენახის ზონა) და ა.შ. მცირე ფართობებზე გვხვდება და შეზღუდული რაოდენობით მოდის.

მსოფლიო ბაზარი საქართველოს სოფლის მეურნეობის პროდუქტებიდან ***თხილით*** არის დაინტერესებული, რომლის პლანტაციური გაშენება 2000-იანი წლებიდან დაიწყო. მისი მოყვანის ძირითადი რეგიონებია *სამეგრელო* და *გურია.* 2014 წელს სამეგრელოში მიღებულმა მოსავალმა 20,7 ათასი ტონა შეადგინა, ხოლო 2017 წლისათვის ეს მაჩვენებელი 7,3 ათას ტონამდე შემცირდა ("საქართველოს სოფლის მეურნეობა 2017", 2018, 66). აზიურმა ფაროსანამ ბოლო 2-3 წლის განმავლობაში სერიოზული ზიანი მიაყენა ჩვენთვის ამ მეტად სტრატეგიულ კულტურას. მოსავლიანობის მკვეთრად დაცემა სწორედ მის გავრცელებას უკავშირდება, რის გამოც 2017 წლის დანაკარგმა რეგიონის საერთო მოსავლის დაახლოებით 70 % შეადგინა (თხილის ბიზნესი, 2017).

მეჩაიეობა და **მეციტრუსეობა** საბჭოთა საქართველოს ეკონომიკის სპეციალიზაციის დარგები იყო. არცთუ ვრცელ კოლხეთის დაბლობზე მოყვანილი მოსავალი დიდწილად აკმაყოფილებდა საკავშირო ბაზრის მოთხოვნას. სწორედ ეს არის მთავარი მიზეზი იმისა, რომ 1990-იან წლებში ორივე დარგი ყველაზე მეტად დაზარალდა, გავერანდა ციტრუსისა და ჩაის პლანტაციები *აფხაზეთში, სამეგრელოში, გურიაში, აჭარასა* და *იმერეთში;* მწყობრიდან გამოვიდა სადრენაჟო სისტემები. 1999 წლიდან გაეროს მსოფლიო სასურსათო პროგრამის (World Food Program (WFP)) დახმარებით დაიწყო სასოფლო მიწების რეკულტივაცია, რამაც სამეგრელოსა და გურიის მოსახლეობას საშუალება მისცა, გარკვეულ ფართობებზე აღედგინათ ციტრუსის ბაღები. დღეისათვის ასეთი მიწები მთლიანად კერძო გლეხური მეურნეობების საკუთრებაშია. მცირე ფართობებზე მოხდა ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციაც, თუმც საერთო მოსავლიანობა 24 ათასი ტონიდან (2000 წელი) შემცირებულია 2,3 ათას ტონამდე (2017 წელი).

ცხრილი 7

ხილისა და ყურძნის წარმოება რეგიონების მიხედვით (ათასი ტონა)

რეგიონები	**წლები**							
	2014		**2015**		**2016**		**2017**	
	ხილი	ყურძენი	ხილი	ყურძენი	ხილი	ყურძენი	ხილი	ყურძენი
ქ. თბილისი	...	...	...	...	0.8	1.2	0.7	1.3
აჭარის ა/რ	8.8	...	13.1	...	9.8	1.5	9.6	1.6
გურია	...	...	...	...	12.5	2	9.4	1.9
იმერეთი	13.9	11.7	17.4	28.6	11.8	21.7	11.2	20.9
კახეთი	29.7	124.3	25.3	150.3	38.3	111	40.5	134.8
მცხეთა-მთიანეთი	...	...	...	...	3.1	3.9	1.6	2.8

რაჭა-ლეჩხუმ ქვემო სვანეთი	...	...	...	...	1	2.8	1.4	2.3
სამეგრელო ზემო სვანეთი	40.3	...	39.9	...	26.5	2.4	13.4	2.1
სამცხე-ჯავახეთი	8.6	....	3	...	3.3	1	1.7	0.7
ქვემო ქართლი	5.6	...	6	...	9.5	3.4	8.8	4.5
შიდა ქართლი	83.6	16.4	25.8	15.1	69.9	8.4	15.6	8
დანარჩენი რეგიონები	16.9	20.1	13.8	20.4	x	x	x	x
საქართველო	**210**	**172.6**	**144.3**	**214.5**	**186.4**	**159.2**	**114.1**	**180.8**

წყარო: *საქართველოს სოფლის მეურნეობა 2017, 2018, 61; 67. შედგენილია ავტორების მიერ*

1990 წლისათვის საქართველოს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის 68,7 % მემცენარეობაზე, ხოლო 31,3 % მეცხოველეობაზე მოდიოდა (ნეიძე, 2013, 252). როგორც აღინიშნა, დღეისათვის მეტია მეცხოველეობის წილი. ყველა სახის პირუტყვის სულადობრივი ნორმა, საბჭოთა პერიოდთან შედარებით, ბევრად შემცირებულია, მაგრამ ბოლო წლებში დარგისათვის მეტ-ნაკლები მატების დინამიკაა გამოხატული.

მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის მოშენებას *ბახის* და *მთის ზონაში,* დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში მისდევენ. მთის რეგიონებში ***მესაქონლეობა*** ეკონომიკის წამყვანი დარგია *(სვანეთი, მცხეთა-მთიანეთი, სამცხე-ჯავახეთი, ქვემო ქართლის მთიანი ზონა, მთიანი აჭარა*). ზაფხულობით დამახასიათებელია პირუტყვის მაღალ მთაში, ალპურ საძოვრებზე გადარეკვა. დიდი მნიშვნელობა აქვს სათიბ-საძოვრების ეფექტურად გამოყენებას საკვებწარმოებისათვის ზამთრის მარაგის შესაქმნელად. *მეცხვარეობა* სოფლის მეურნეობის ძირითადი მიმართულებაა *აღმოსავლეთ კავკასიონსა და სამხრეთ მთიანეთში.* ზამთარში ცხვარი შირაქ-ელდარის ბუნებრივ საძოვრებზე გადაჰყავთ. ბოლო რამდენიმე წელია, ქართულ ცხვარზე გაჩნდა მოთხოვნა ახლო აღმოსავლეთის ბაზრებზე. *მეთხეობა,* უპირატესად, *სამეგრელოშია* განვითარებული. *მეღორეობა* ყველა რეგიონშია, თუმც სულ რამდენიმე წლის წინ გაჩენილმა ჭირმა მკვეთრად შეამცირა მათი სულადობა. *მეფრინველეობა* მატების ტენდენციით გამოირჩევა, რაც მოსახლეობის გაზრდილ მოთხოვნას უკავშირდება ადგილობრივად ნაწარმ, გაუყინავ პროდუქტზე. რამდენიმე მსხვილი ფერმერული მეურნეობის არსებობამ ამ დარგში შეამცირა იმპორტული ფრინველის ხორცის შემოტანა ბაზარზე. ზრდის დინამიკა ახასიათებს *მეფუტკრეობასაც,* რომელიც საქართველოს თითქმის ყველა რეგიონშია წარმოდგენილი.

2014 წელს საქართველომ ხელი მოაწერა ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებას, რომელიც მოიცავს *ღრმა და ყოვლისმომცველ თავისუფალ სავაჭრო სივრცეს* (Deep and Comprehensive Free Trade Areas (DCFTA)). ამ ხელშეკრულებით, საქართველოს სოფლის მეურნეობის პროდუქციას გზა ეხსნება ევროკავშირის ქვეყნების ბაზრებისაკენ, რაც სტაბილურ სავაჭრო გარემოს, ღია თამაშის წესებს, დისტრიბუციის გამართულ ქსელს, ნატურალურ პროდუქტებზე მზარდ ფასებსა და მოთხოვნას ნიშნავს. ეს ურთიერთობები, პირველ რიგში, დადებით გავლენას იქონიებს ღვინის, თაფლის, თხილის და სხვა პროდუქტების ექსპორტზე. ხელშეკრულების მოთხოვნების შესაბამისად, საქართველოში უნდა მოხდეს პარტნიორი მხარის მიერ შეთავაზებული ყველა სტანდარტის დაკმაყოფილება, სურსათის უვნებლობის, მცენარეთა დაცვისა და ვეტერინარიის სისტემის რეფორმირება, სანიტარიული და ფიტოსანიტარიული კანონმდებლობის თანხმობა ევროკავშირის კანონმდებლობასთან და ა.შ. მაგალითად, ტექნიკური რეგლამენტი თაფლის ექსპორტის მიმართ, რომელიც ძალაში 2015 წლის ივნისიდან შევიდა, მეწარმეს ავალდებულებს, რომ საფუტკრე მეურნეობა განთავსდეს ცხოველთა სადგომებისაგან, გუბურებისა და ნაგავსაყრელებისაგან დაშორებულ ტერიტორიაზე; სისტემატიურად გაკონტროლდეს ფუტკრის დაავადებები და გამოყენებული პრეპარატები; კატეგორიულად იკრძალება თაფლში საკვები დანამატების გამოყენება ან მისი შემადგენლობის შეცვლა გადამუშავების გზით. თხილის ტექნიკური რეგლამენტი ძალაში 2016 წლის ივნისიდან შევიდა. ის აწესებს მოთხოვნებს გაუტეხავი თხილის, თხილის გულისა და გადამუშავებული თხილის შემადგენლობის, ზომის, წონის, ფორმის მიმართ და ა.შ. საბოლოო ჯამში, ყოველივე ეს ხელს შეუწყობს არა მარტო ევროკავშირში საქართველოს სოფლის მეურნეობის პროდუქტების ექსპორტის ზრდას, არამედ დაიცავს ადგილობრივ მომხმარებელსაც.

ევროსტანდარტებთან თანხმობის პროცესი ეტაპობრივად, 2030 წელს უნდა დასრულდეს (ევროკავშირთან ასოცირების, 2017).

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობაში არსებული ერთ-ერთი მთავარი პრობლემა ***თვითდასაქმებულთა მაღალი ხვედრითი წილი*** და ***წარმოების დაბალპროდუქტიულობაა.*** დარგის კრიზისიდან გამოყვანისათვის აუცილებელია ინვესტიციების მოზიდვა, ეროვნული სტრატეგიის, ცოდნისა და ტექნოლოგიების შემოტანა, რათა, ერთი მხრივ, ჩვენი ქვეყანა სასურსათო პროდუქტების წარმოებით, ძირითადად, თვითკმარი გახდეს, ხოლო მეორე მხრივ, ექსპორტზე გაიტანოს ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისი პროდუქცია.

სასოფლო-სამეურნეო მიწის რეფორმა

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ (1991 წ.) დაიგეგმა მიწის რეფორმის ჩატარება, რომელმაც მოიცვა, ძირითადად, ის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების არეალები, რომლებიც საბჭოთა კავშირის დროს კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების სახელწოდებებით იყო ცნობილი.

1992 წლიდან დაიწყო სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რეფორმის რეალური შესრულება. ამ პერიოდამდე, საბჭოთა მემკვიდრეობის გათვალისწინებით, მიწა მხოლოდ სახელმწიფო საკუთრებაში შეიძლებოდა ყოფილიყო (საკანონმდებლო რეფორმა, 2015). მიღებულ იქნა საკანონმდებლო აქტი, რომელიც ითვალისწინებდა მიწების კლასიფიცირებასა და დაყოფას სხვადასხვა კატეგორიად, მათ შორის სახელმწიფო მიწებისა და მიწის რეფორმის ფონდებად (საქართველოს რესპუბლიკაში..., 1992).

საგულისხმოა აღინიშნოს, რომ ეს პროცესები ეფუძნებოდა მხოლოდ ძველ (საბჭოთა) სარეგისტრაციო მონაცემებს (დოკუმენტაციას) (ნახაზი 1), რომელთაც არ გააჩნდათ შესაბამისი (ზუსტი) გეოგრაფიული პარამეტრები (კოორდინატები, მდებარეობა, და ა.შ.), რამაც განაპირობა შემდგომში პრობლემათა მთელი რიგის წარმოქმნა.

ნახაზი 1

საბჭოთა მეურნეობის მიწების დოკუმენტაცია/რუკები (ფრაგმენტი):



წყარო: *საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო*

შემდგომში განხორციელდა მიწების გადაცემა ადგილობრივ მოსახლეობაზე არარსებული ან არასრულფასოვანი გეოგრაფიული აღწერით.

მიწების ადგილმდებარეობის, ფართობის და სხვა გეოგრაფიული პარამეტრების დასაფიქსირებლად აუცილებელი გახდა მსოფლიოში აპრობირებული ***მიწის კადასტრის სისტემის*** შექმნა და დანერგვა საქართველოში. ამან განაპირობა გეოგრაფიული ინფორმაციული სისტემების (გის) გამოყენების აუცილებლობა. ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და გის-ის გამოყენება მიწის აღრიცხვისა და რეგისტრაციის პროცესში საერთაშორისო პროექტების ფარგლებში დაიწყო. ამ პროექტების შედეგებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სპე-

ციალისტების მომზადება, ახალი ტექნოლოგიების შესწავლა და დანერგვა.

1996 წლიდან სხვადასხვა საერთაშორისო პროექტის მიერ შესრულდა მიწის აღრიცხვის, ინვენტარიზაციისა და რეგისტრაციის სამუშაოები (ცხრილი 8 და რუკა 1). მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა პროექტი იყენებდა განსხვავებულ ტექნოლოგიებს, ზოგადი პრინციპები შეესაბამებოდა იმდროინდელ საერთაშორისო სტანდარტებს.

ცხრილი 8

საერთაშორისო პროექტები, რომელთა ფარგლებშიც შესრულდა მიწის აღრიცხვის, ინვენტარიზაციისა და რეგისტრაციის სამუშაოები

პროექტი	**KFW**	**USAID**	**IFAD/WB**	**UNDP/EU**	**GTZ**
თარიღები	1999 - 2007	1997- 2004, 2003 - 2007	1997 - 2005	1999 -2005	2000 -2007
გამოყენებული პროგრამული უზრუნველყოფა	ArcGIS	LandCad	MapInfo	ArcGIS	AutoCAD, EZSI
მონაცემთა შეგროვების მეთოდოლოგია	ორთოფოტო, საკადასტრო აზომვები	საკადასტრო აზომვები	ორთოფოტო, საკადასტრო აზომვები	ორთოფოტო, საკადასტრო აზომვები	ორთოფოტო, საკადასტრო აზომვები
ინფორმაციის იურიდიული სტატუსი	არა	კი	კი, სარეგისტრაციო ჩანაწერის შემთხვევაში	კი, სარეგისტრაციო ჩანაწერის შემთხვევაში	კი
დაფარული ტერიტორიები	48 ზონა და 4 ქალაქი,	სასოფლო-სამეურნეო მიწების რეფორმის ტერიტორიები	მცხეთა და გარდაბნის სექტორები	ქალაქი გორი და მიმდებარე სასოფლო-სამეურნეო მიწები	ქალაქი თბილისი ურბანული ტერიტორია

წყარო: *საჯარო ჰეესტრის ეროვნული სააგენტო*

2000-იანი წლების პირველ ნახევარში დადგა ინსტიტუციური რეფორმის აუცილებლობა ანუ ისეთი ორგანიზაციის დაარსების საჭიროება, რომელიც მოახდენდა დარგის ადმინისტრირებას, უძრავ ქონებაზე უფლებათა რეგისტრაციას და, ზოგადად, ხელს შეუწყობდა მიწის ბაზრის განვითარების პროცესებს. ამ მიზნით 2004 წელს შეიქმნა ***საჯარო ჰეესტრის ეროვნული სააგენტო*** („ისტორია“, 2015). სააგენტოს უმთავრეს ფუნქციად განისაზღვრა არა მარტო სასოფლო-სამეურნეო მიწების, არამედ ყველა უძრავი ქონების ობიექტის აღრიცხვა და რეგისტრაცია. ამისათვის შეიქმნა ერთიანი სარეგისტრაციო სტრუქტურა, რომელიც უზრუნველყოფს უძრავი ქონების რეგისტრაციასთან დაკავშირებული პროცესების გამარტივებასა და საჯაროობას (მიწის სისტემური რეგისტრაციის, 2018).

ჩუკა 1

წყარო: *საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო*

2007 წლიდან მიწის რეგისტრაციის პროცესის განუყოფელ (აუცილებელ) ნაწილად დადგინდა საკადასტრო გეოგრაფიული მონაცემები – ***ობიექტის საკადასტრო გეგმა*** და *საკადასტრო ჩუკა*. შემუშავებულ იქნა საკადასტრო კოდირების სტანდარტი, რისთვისაც საქართველოს ტერიტორია დაიყო საკადასტრო ზონებად (2 თანრიგიანი კოდი „ზზ“). ყოველი ზონა დაყოფილია სექტორებად (2 თანრიგიანი კოდი „სს“), ხოლო სექტორები – კვარტლებად (2 „კკ“ თანრიგიანი კოდი) და თითოეულ ნაკვეთს ენიჭება 3 თანრიგიანი ნომერი („ნნნ“). ამ კოდების კომბინაცია („ზზსსკკნნნ“) განაპირობებს ნებისმიერი ნაკვეთის საკადასტრო კოდის უნიკალურობას მთელი საქართველოს მასშტაბით (რუკა 2).

2016 წლის 1 სექტემბრიდან *მოქმედებს საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი ნახაზის ციფრული ვერსიის შესრულების ინსტრუქცია*, რომელშიც მოცემულია ყველა საჭირო მონაცემის დეტალური აღწერა (ნახაზი 2) (სტანდარტები, 2018). საკადასტრო რუკა წარმოადგენს საჯარო რეესტრის მონაცემთა ბაზაში დაცული ყველა დარეგისტრირებული ობიექტის ერთობლიობას, რომელიც ხელმისაწვდომია ინტერნეტის მეშვეობით შემდეგი საიტებიდან: http:/napr.gov.ge; http://maps.napr.gov.ge; http://gisappsn.napr.gov.ge/geocadastre/.

ჩუკა 2

საქართველოს საკადასტრო ზონირება



ნახაზი 2

საკადასტრო გეგმის მაგალითი



საქართველოს მთელი ტერიტორია ჯერ არ არის სრულად დაფარული გეოგრაფიული ინფორმაციით. ამ მიმართულებით უკვე დაწყებულია რამდენიმე პროექტი, რომელთა მიზანია, შეიქმნას სრულფასოვანი გეოგრაფიული ინფორმაცია მთელი საქართველოს მასშტაბით. დღეისათვის:

- შექმნილია ხარისხობრივად ახალი პროდუქტი – საქართველოს მიწის კადასტრი;
- არსებული ინფორმაცია ციფრულია და აგებულია თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების, ე.წ. გეომონაცემთა ბაზების გამოყენებით;
- არის სხვა სახის მნიშვნელოვანი გეოგრაფიული ობიექტების აღრიცხვის/ რეგისტრაციის შესაძ-ლებლობები, როგორებიცაა: სახელმწიფო სატყეო ფონდი, დაცული ტერიტორიები და ა.შ.;
- შექმნის პროცესშია ეროვნული სივრცითი ინფორმაციის ინფრასტრუქტურა (NSDI), რომელიც მუ-შავდება ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისად (საქართველოს ეროვნული სივრცითი, 2018).

კითხვები:

1. რამდენად გამართლებული იყო საქართველოს სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციის ძირითად მიმართულებად სუბტროპიკული მეურნეობის შექმნა და როგორ აისახებოდა ეს მოსახლეობის კეთილდღეობაზე?
2. როგორ აისახა საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პერიოდი საქართველოს სოფლის მეურნეობაზე? რა იყო მთავარი მიზეზი იმისა, რომ 1990-იანი წლებიდან საქართველოს სოფლის მეურნეობა ვეღარ უზრუნველყოფდა მოსახლეობის სასურსათო პროდუქტებით მომარაგებას?
3. რამდენად შეუწყო ხელი პრივატიზაციის პროცესმა ფერმერული მეურნეობის ჩამოყალიბებას?

დავალება:

იმსჯელეთ სასოფლო-სამეურნეო მიწის რეფორმის შესახებ. რას გულისხმობდა ის და რამდენად წარმატებით განხორციელდა?

გამოყენებული ლიტერატურა:

ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების და DCFTA-ის მოთხოვნები სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებლებისთვის, ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი, 2017, ნანახია 2019 წლის 1 თებერვალს, https://www.eprc.ge/admin/editor/uploads/files/%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%90.pdf

ზონენაშვილი ჟ., სოფლის მეურნეობა, საქართველოს გეოგრაფია. ნაწილი II. ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტი. თბილისი, 2003

თვალჭრელიძე ა., სილაგაძე ა., ქეშელაშვილი ბ., გეგია დ., საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამა, 2010, ნანახია 2019 წლის 5 თებერვალს,

http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00-off-0ekonomik00-10-10-0-0-0prompt-10-4-0-1l11-ka-50-20-about-00-3-1-00-0-0-11-1-0utfZz-8-00&cl=CL1.2&d=HASH611428d3-5ab6e96ac30284.7.4&gc=1

თხილის ბიზნესი: მოსავლის მნიშვნელოვანი ნაწილი განადგურებულია, ნეტგაზეთი, 21.08.2017,ნანახია 2019 წლის 5 თებერვალს, http://netgazeti.ge/news/215206/

ისტორია,საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, 2018, ნანახია 2018 წლის 5 ოქტომბერს, https://napr.gov.ge/p/141

მიმდინარე ეკონომიკური ტენდენციები, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, 2018, ნანახია 2019 წლის 5 თებერვალს, https://www.mof.ge/images/File/Outlook%20April%202018_GEO.pdf

მიწის სისტემური რეგისტრაციის საპილოტო პროექტი, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, 2018, ნანახია 2018 წლის 5 ოქტომბერს, https://napr.gov.ge/

ნეიძე ვ., სოფლის მეურნეობა. საქართველოს გეოგრაფია. ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტი, თბილისი, 2013.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ეკონომიკის სექტორების მიხედვით, საქსტატი, 2018, ნანახია2019წლის1თებერვალს,http://www.geostat.ge/?action=page&p_id=2230&lang=geo

საკანონმდებლო რეფორმა, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, 2018, ნანახია 2018 წლის 5 ოქტომბერს,https://napr.gov.ge/p/273

საქართველოს სოფლის მეურნეობა 2017, სტატისტიკური პუბლიკაცია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, თბილისი, 2018, ნანახია 2019 წლის 25 იანვარს http://geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/agriculture/2017%20wlis%20soflis%20meurneoba.pdf

საქართველოს შრომის ბაზრის ანალიზი საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, 2017, ნანახია 2019 წლის 25 იანვარს, http://www.lmis.gov.ge/Lmis/Lmis.Portal.Web/Handlers/GetFile.ashx?Type=Content&ID=7932b932-0eac-4a14-8ebd-9ec6d2409352

საქართველოს ეროვნული სივრცითი მონაცემების ინფრასტრუქტურა 2018, http://nsdi.gov.ge

საქართველოს რესპუბლიკაში მიწის რეფორმის პირველი ეტაპის განხორციელების ღონისძიებებისა და საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 18 იანვრის N 48 და 6 თებერვლის N 128 დადგენილებებში ნაწილობრივ ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილება N 290, 1992 წლის 10 მარტი, ქ. თბილისი, ნანახია 2018 წლის 1 ოქტომბერს, https://www.google.ge/url?sa=t&rct=j&q=&esrc=s&source=web&cd=9&cad=rja&uact=8&ved=0ahUKEwjU7-Gopa_ZAhUO_KQKHU2mBO0QFghkMAg&url=https%3A%2F%2Fforum.ge%2F%3Fact%3DAttach%26type%3Dpost%26id%3D40337923&usg=AOvVaw09K64pjkRHWQMKiCVP6m3g)

სოფლის მეურნეობა, გარემო და სასურსათო უსაფრთხოება,საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2018, ნანახია 2019 წლის 25 იანვარს, http://www.geostat.ge/?action=page&p_id=427&lang=geo

სტანდარტები, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, 2018, ნანახია 2018 წლის 5 ოქტომბერს, https://napr.gov.ge/p/633

ჯაოშვილი ვ., *საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური გეოგრაფია,* თბილისი, 1996

Gachechiladze, R.,*The New Georgia: Space, Society, Politics*. Texas A&M University Press, 1995

Колхидская низменность: Научные предпосылки освоения, Академиа наук Грузинской ССР Институт Географии им. Вахушти Багратиони, Москва, 1990

5.1 4. ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა

ხელსაყრელმა სატრანსპორტო-გეოგრაფიულმა მდებარეობამ საქართველო ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფნის მნიშვნელოვანი ნაწილი გახადა და ქვეყნის რეგიონულ სატრანსპორტო ჰაბად გადაქცევისათვის ხელშემწყობი პირობები შექმნა. საქართველომ დამოუკიდებლობის შემდგომ მყარად დაიმკვიდრა სატრანზიტო ქვეყნის სტატუსი, რაც მისი ეკონომიკური განვითარებისა და სტაბილურობის გარანტი გახდა.

ბოლო ათწლეულებია, საქართველოს სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა მოდერნიზაციას განიცდის. რეაბილიტაცია ჩაუტარდა საავტომობილო ქსელს, გაფართოვდა აეროპორტები, რამდენიმე მონაკვეთზე განახლდა სარკინიგზო ხაზები, დაიგეგმა და განხორციელდა ახალი საპორტო პროექტები. ამასთანავე, გამარტივდა საგადასახადო სისტემა, საბაჟო და საზღვრის კვეთის პროცედურები. დღეისათვის საქართველოს ტრანსპორტი და ლოჯისტიკა იძლევა ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის 6,3 პროცენტს (მთლიანი შიდა პროდუქტი, 2019), თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს რკინიგზის ტარიფები და საქართველოს ნავსადგურებში საპორტო მოსაკრებელი მნიშვნელოვნად აღემატება შავი ზღვის აუზის სხვა ნავსადგურებისა და აზერბაიჯანის რკინიგზის მოსაკრებლებს; სატრანზიტო ტვირთის დიდი ნაწილი კონკურენტ დერეფნებში გადაედინება საქართველოს ტერიტორიაზე მომსახურების დაბალი ხარისხისა და მაღალი ტარიფების გამო.

საქართველოს სატრანსპორტო ქსელის განვითარების მნიშვნელოვანი ფაქტორია სამხრეთ კავკასიის ერთიანი სატრანსპორტო ქსელის შექმნა, რაც არც ისე ადვილია, ერთი მხრივ, რელიეფის, ხოლო მეორე მხრივ, რეგიონში არსებული კონფლიქტების გამო. *ბუნებრივ-გეოგრაფიული ფაქტორებიდან* უმნიშვნელოვანესი – რელიეფი – ართულებს გზების გაყვანას საქართველოში. ამიტომ სარკინიგზო და საავტომობილო მაგისტრალები, ძირითადად, განედური მიმართულებისაა და მთათაშორის ბარშია განლაგებული. *ეკონომიკურ-გეოგრაფიული ფაქტორებიდან* მნიშვნელოვანია ეკონომიკის განვითარების დონე, რაც გავლენას ახდენს გადაზიდვების მოცულობაზე, ტვირთბრუნვის სტრუქტურაზე, სატრანსპორტო ქსელის კონფიგურაციასა და ტვირთნაკადების მიმართულებაზე. თავის მხრივ, ტრანსპორტი დიდწილად განსაზღვრავს მეურნეობის, რეგიონის სპეციალიზაციას და დასახლებული პუნქტების განვითარებას.

საქართველოს სატრანსპორტო სისტემა მოიცავს: *სარკინიგზო, საავტომობილო, საზღვაო, საჰაერო* და *მილსადენ* ტრანსპორტს. საქართველოს ტრანსპორტის ძირითადი დარგების მიერ გადაზიდული ტვირთების თანაფარდობა ასახულია დიაგრამა 1-ზე.

დიაგრამა 1



	2000	2002	2004	2006	2008	2012	2014	2016	2018
სარკინიგზო	11,4	14,9	15,4	22,6	21,2	20,1	16,1	11,8	8,3
საავტომობილო	18,5	22,5	25,7	27,2	27,8	29,1	29,7	30,4	24,8
საზღვაო	6,3	3,6	2,4	4	1,2	18,4	17,5	17,6	12,4
საჰაერო	1	2	2	1	1	0	0,02	0,02	0,09

***წყარო**: საქსტატი. „ტრანსპორტი“*

სარკინიგზო ტრანსპორტი

საქართველოში პირველი რკინიგზა 1871 წელს *ფოთი-ყვირილის* (დღევანდელი ზესტაფონი) მონაკვეთზე გაიყვანეს, რომელიც 1872 წელს თბილისის მიმართულებით გაგრძელდა *ფოთი-თბილისის* სარკინიგზო ხაზის სახით. 1883 წელს *ბაქო-თბილისი-ბათუმის* რკინიგზა გაიხსნა, რომლის მეშვეობით ბაქოს ნავთობი მსოფლიო ბაზარზე საექსპორტოდ ბათუმის პორტიდან გავიდა. 1890 წელს გაჭრეს წიფის გვირაბი, 1899 წელს საქართველო სომხეთს დაუკავშირდა სარკინიგზო ხაზით და, ამგვარად, ჩა-

მოყალიბდა ამიერკავკასიის რკინიგზის ძირითადი კონტურები.

საბჭოთა პერიოდში საქართველოს რკინიგზა გაფართოვდა. 1949 წელს *სოხუმი-ადღეჰის* რკინიგზის მშენებლობა დასრულდა და საქართველო დაუკავშირდა რუსეთისა და მეზობელი რესპუბლიკების სარკინიგზო მაგისტრალებს. ამით ის საბჭოთა კავშირის ერთიანი სარკინიგზო ქსელის ნაწილი გახდა. 1967 წელს დასრულდა სარკინიგზო გზების სრული ელექტროფიცირება.

დამოუკიდებლობის მოპოვების საწყის ეტაპზე არასტაბილურმა პოლიტიკურ-ეკონომიკურმა მდგომარეობამ, კონფლიქტებმა ქვეყნის შიგნით და მეზობელ სომხეთ-აზერბაიჯანში მკვეთრად შეამცირა ტვირთების გადაზიდვა. პოსტსაბჭოთა ქვეყნების მხარდაჭერის მიზნით 1993 წელს შემუშავდა ევროკავშირის მიერ ინიცირებული *ტჰასეკას* პროექტი (ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფანი TRACECA). პროექტის ფარგლებში დიდი ყურადღება დაეთმო საქართველოს სარკინიგზო მაგისტრალის რეკონსტრუქციასა და საქართველოს რკინიგზის ჩართვას საერთაშორისო სატრანსპორტო გადაზიდვებში. ამჟამად საქართველოს რკინიგზის მთლიანი საექსპლუატაციო სიგრძე 1145,5კმ-ია, ორლიანდაგიანი უბნების სიგრძე – 295 კმ, ხოლო ერთლიანდაგიანის – 850 კმ. საქართველოს სარკინიგზო ქსელის სიმჭიდროვეზე წარმოდგენას გვიქმნის რუკა 1. ქვეყანაში მოქმედებს 32 გვირაბი და 1298 სარკინიგზო ხიდი. გადაზიდულ ტვირთებში ჭარბობს ნედლი ნავთობი და ნავთობპროდუქტები; ასევე, მარცვლეული, შაქრის ნედლეული, რკინა, მანგანუმი, ფერადი ლითონები, მინერალური სასუქები და სხვ. ტვირთის 60%-ამდე არის მეზობელი ქვეყნებიდან/კენ მოძრავი ტრანზიტული ნაყარი ტვირთი, რომლის 90% ნავთობი და ნავთობპროდუქტებია.

ეკონომიკის სამინისტროს მონაცემებით, ბოლო წლებში რკინიგზით გადაზიდული ტვირთის მოცულობა მცირდება საავტომობილო ტრანსპორტის მაღალი კონკურენციის გამო. 2010-2016 წლებში ტრანზიტი შემცირდა 53%-ით და მეტით მეზობელი აზერბაიჯანიდან, ყაზახეთიდან და თურქმენეთიდან.

ქვეყნისთვის ახალი მნიშვნელოვანი პროექტი და გლობალურ ეკონომიკურ სივრცეში ჩართვის საშუალებაა *ბაქო-თბილისი-ყარსის* რკინიგზა, რომელიც გაიხსნა 2017 წელს. ის აერთიანებს საქართველოს, აზერბაიჯანისა და თურქეთის სარკინიგზო ქსელს და არის სარკინიგზო დერეფანი აზიიდან ევროპისკენ. რკინიგზის სიგრძე 826 კმ-ია. საქართველოს ტერიტორიაზე – 254 კმ, ტვირთბრუნვა – 6,5 მლნ. ტონა, რომელიც, სავარაუდოდ, 17 მლნ. ტონამდე გაიზრდება (სატვირთო გადაზიდვები, საქართველოს რკინიგზა). ამ ხაზს „რკინის აბრეშუმის გზასაც“ უწოდებენ. ჩინეთიდან საქართველოს მიმართულებით პირველი სატესტო მატარებელი 2015 წელს გავიდა. ეს გზა რამდენიმე კვირით ამცირებს მანძილს ევროპასა და აზიას შორის.

ხუკა 1

საქართველოს სარკინიგზო ქსელის სიმჭიდროვე



შედგენილია დ. სვანაძის მიერ

საქართველოს სარკინიგზო ტრანსპორტის განვითარების მთავარი გამოწვევებია სატვირთო გადაზიდვებში რკინიგზის წილის გაზრდა, საკონტეინერო ტვირთების მოზიდვა, ინტერმოდალური ინფრასტრუქტურის განვითარება, ტრანზიტის ხანგრძლივობის შემცირება და ტრანსკავკასიურ დერეფანში თბილისის ლოჯისტიკურ ცენტრად ჩამოყალიბება. რკინიგზამ უნდა უზრუნველყოს საიმედო მომსახურება შავი და კასპიის ზღვების აუზების პორტებსა და შიდა პუნქტებს შორის და ეცადოს, მეზობელ ქვეყნებთან გონივრული ტარიფების დადგენის გზით გახდეს საიმედო პარტნიორი.

საავტომობილო ტრანსპორტი

საავტომობილო ტრანსპორტი საქართველოში მეოცე საუკუნის დასაწყისში ჩაისახა. საგზაო მშენებლობებმა ფართო ხასიათი მიიღო 1950-იანი წლებიდან. საბჭოთა პერიოდში აიგო მთავარი საავტომობილო მაგისტრალი, რომელიც მიუყვებოდა სარკინიგზო ხაზს შავი ზღვა – აზერბაიჯანის საზღვრამდე და ქმნიდა განშტოებებს: სამტრედიიდან გურია-აჭარის და სამეგრელო-აფხაზეთის მიმართულებებით, ხოლო თბილისიდან კახეთისა და სომხეთის მიმართულებებით. თბილისი იყო ძირითადი საავტომობილო კვანძი.

საქართველოს საერთაშორისო საავტომობილო გზების სიგრძე 1603 კმ-ია, ხოლო შიდასახელმწიფოებრივის – 5371 კმ. საქართველოს საავტომობილო გზების სიმჭიდროვეს ასახავს მე-2 რუკა.

მას შემდეგ, რაც საქართველო ევროპა–კავკასია–აზიის სატრანსპორტო დერეფნის ნაწილი გახდა, მის ტერიტორიაზე გადის საერთაშორისო მაგისტრალები – E60, E70, E117.

E60 – ბრესტი (საფრანგეთი) – ირკეშტამი (ყირგიზეთი) – კაშგარი (ჩინეთი);

E70 – ლა კორუნია (ესპანეთი) – ფოთი;

E117 – მინერალური წყლები (რუსეთი) – მეღრი (სომხეთი). ამ გზის ნაწილია ისტორიული *საქართველოს სამხედრო გზა*, რომელიც გაყვანილ იქნა 1899 წელს ნატახტარიდან ყაზბეგის გავლით რუსეთისკენ. საერთაშორისო მნიშვნელობის გზები საქართველოდან ასევე მიემართება თურქეთისაკენ (ერთი გზა სარფის და მეორე ვალეს გავლით), აზერბაიჯანისკენ (წითელი ხიდის საბაჟოს გავლით), სომხეთისაკენ (სადახლოს საბაჟოს გავლით).

ხუკა 2

საქართველოს საავტომობილო გზების სიმჭიდროვე



შედგენილია დ. სვანაძის მიერ

საავტომობილო ტრანსპორტის ტვირთბრუნვამ 2011 წლიდან (628,4 მლნ. ტ/კმ) 2017 წლისათვის 680.0 მლნ. ტ/კმ შეადგინა. იმავე პერიოდში საავტომობილო პარკი 762,2 ათასიდან 1228,1 ათას ერთეულამდე გაიზარდა, მათ შორის მსუბუქი ავტომობილების რიცხვი 620,9 ათასიდან, 1030,6 ათასამდე (საავტომობილო გზების დეპარტამენტი, 2020). საავტომობილო პარკის ასაკობრივი მაჩვენებლები 5-15 წელია და, ძირითადად, მეორეული მოხმარების ავტომობილებისაგან შედგება, რომლებიც სა-

წვავის ხარჯითა და გამონაბოლქვის ტოქსიკურობით საფრთხეს უქმნიან გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობას.

საქართველოში საერთაშორისო სატრანზიტო გადაზიდვების მეტი წილი საავტომობილო ტრანსპორტზე მოდის. ჩვენი ქვეყნის საერთაშორისო სატრანზიტო იმიჯზე უარყოფითად მოქმედებს მთელი რიგი ფაქტორებისა: მაღალი ტარიფები, უსაფრთხოებისა და მომსახურების დაბალი ხარისხი, ხშირი ავტოსაგზაო შემთხვევები; ასევე, არსებობს ტრანსკავკასიური დერეფნის ალტერნატიული, კონკურენტული გზები რუსეთის, ირანისა და თურქეთის გავლით. ტვირთის მოსაზიდად აუცილებელია მისი გარანტირებული დაცვა, სწრაფი გადაზიდვა, ხარჯების შემცირება, გზების უსაფრთხოება და მაღალი გამტარუნარიანობა, რაც, თავის მხრივ, ქვეყნის საბიუჯეტო შემოსავლებს გაზრდის. სარფისა და წითელი ხიდის სასაზღვრო-გამშვებ პუნქტებთან ნაკადების განსატვირთად და ეკოლოგიური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად აუცილებელია თურქული საავტომობილო ტვირთის გადასვლა რკინიგზაზე.

საზღვაო ტრანსპორტი

საქართველოს აქვს პრეტენზია, იყოს სამხრეთ კავკასიის „საზღვაო ჭიშკარი“, ვინაიდან შავ ზღვაზე გასასვლელის გამო მას რეგიონში გამორჩეული სტრატეგიული მდებარეობა აქვს. სამხრეთ კავკასიის რეგიონის ქვეყნები – სომხეთი და აზერბაიჯანი საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების მნიშვნელოვან ნაწილს საქართველოს პორტების მეშვეობით ახორციელებენ.

ფოთი საქართველოს პირველი საპორტო ქალაქია, აგებული 1858 წელს, რომლის სპეციალიზაციად იმთავითვე განისაზღვრა ჭიათურის მარგანეცის ექსპორტი ევროპაში. 1884 წელს მისი ტვირთბრუნვა უკვე 172 000 ტონა იყო, 1913 წელს კი 1 071 400 ტონამდე გაიზარდა. პორტის ტვირთბრუნვაში მარგანეცის წილი 88% იყო, რაც ევროპაში მოხმარებული მარგანეცის 70%-ს შეადგენდა (დოლბაია, 2011). ბათუმის პორტის ტვირთბრუნვაში კი წამყვანი იყო ნავთობპროდუქტები, რომელთა წილი 1902 წლისთვის 74,4%-ს აღწევდა. ეს იყო აზერბაიჯანის ნავთობის ექსპორტის პიკი საქართველოდან. რუსეთს მთლიანად ეპყრა ევროპის ნავთობის ბაზარი, მაგრამ მალე კონკურენტად აშშ გამოუჩნდა, რაც ბათუმის პორტის ტვირთბრუნვის შემცირებაზეც აისახა (დოლბაია, 2011).

საბჭოთა პერიოდში ამიერკავკასიისა და შუა აზიის რესპუბლიკების საერთაშორისო და შიდა კავშირები საბჭოთა კავშირის სამხრეთ რაიონებსა და საზღვარგარეთის ქვეყნებთან ქართული პორტების მეშვეობით ხორციელდებოდა. თუმცა ეს კავშირები ნაკლებად ინტენსიური იყო, ცენტრალიზებული ეკონომიკისა და სოციალისტური ბანაკის ჩაკეტილი სივრცის გამო.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ საქართველოს პორტები უკვე სამხრეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და მსოფლიო ეკონომიკურ სივრცეში ჩართვის მნიშვნელოვან ინსტრუმენტებად იქცნენ.

თანამედროვე საქართველოს საპორტო სისტემა რამდენიმე ნავსადგურსა და ტერმინალს მოიცავს –- *ბათუმისა* და *ფოთის პორტები, ბათუმის, სუფსისა* და *ყულევის ტერმინალები.*

ბათუმის ნავსადგური 2008 წელს „ყაზტრანსოილმა“ შეიძინა 49-წლიანი მართვის უფლებით. პორტს აქვს 11 ნავმისადგომი და 5 ტერმინალი, მათ შორის ერთი სამგზავრო. ნავსადგურის გამტარუნარიანობაა 18 მლნ. ტონა ტვირთი, სამგზავრო ტერმინალის – 180 000 მგზავრი. ბათუმის პორტი საბორნე მიმოსვლით დაკავშირებულია ვარნასა (ბულგარეთი) და ილიჩევსკისთან (უკრაინა). დღეისათვის ბათუმის პორტის მშრალი და თხევადი ტვირთების ტვირთბრუნვა 2010 წელთან შედარებით შემცირებულია. სამაგიეროდ, ამავე პერიოდში მკვეთრად გაიზარდა საკონტეინერო ტვირთების რაოდენობა. ბათუმის პორტის ტვირთბრუნვაში ექსპორტტრანზიტული ტვირთებია: აზერბაიჯანიდან ნავთობი, სომხეთიდან ჯართი. იმპორტტრანზიტული ტვირთები განკუთვნილია აზერბაიჯანის, სომხეთისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებისათვის (Batumi Sea Port, 2019).

2008 წლიდან *ფოთის პორტს* ფლობს AP Moller –- Maersk Group-ის შვილობილი APM Terminals. პორტს აქვს 15 ნავმისადგომი. ნავსადგურის გამტარუნარიანობა თხევად ტვირთებზე 9 მლნ. ტონაა, ხოლო მშრალ ტვირთებზე 2,3 მლნ. ტონა, საკონტეინერო ტერმინალის გამტარუნარიანობაა 400 000 TEU (გემის ტვირთტევადობის საზომი ერთეული Twenty-Foot Equvalent Units (ოცი ფუტის ეკვივალენტი ერთეული). ბათუმის მსგავსად, ფოთის პორტი საბორნე მიმოსვლით დაკავშირებულია ვარნასა და ილიჩევსკისთან. ფოთის პორტმა 2018 წელს გადაამუშავა 4,7 მლნ. ტონა ტვირთი. საქართველოს ნავსადგურებში გადამუშავებული საკონტეინერო ტვირთის 85% ფოთის პორტზე მოდის. ტვირთის 40,5% ტრანზიტულია აზერბაიჯანის, სომხეთისა და ცენტრალური აზიისთვის (APM Terminals). მე-2 დიაგრამაზე მოცემულია ფოთისა და ბათუმის ნავსადგურებში საკონტეინერო ტვირთების რაოდენობა.

შავი ზღვის ტერმინალი/ყულევის პორტი 2007 წელს აზერბაიჯანის ნავთობკომპანია „სოკარმა“ შეიძინა. ტერმინალის გამტარუნარიანობა 10 მლნ. ტონაა. მას ერთდროულად შეუძლია 168 სარკინიგზო ცისტერნის მიღება.

სუფსის ტერმინალი ოფშორული ნავთობტერმინალია და მას „ბრიტიშ პეტროლიუმი“ (BP) მართავს. ის ბაქო-სუფსის მილსადენის ბოლო პუნქტია. სუფსის ტერმინალის გამტარუნარიანობა დღეში 155 000 ბარელია, წელიწადში – 6 მლნ. ტონა ნავთობი.

დიაგრამა 2



წყარო: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო; საქართველოს საკანონმდებლო მაცნე

2016 წელს ფოთის პორტის რეკონსტრუქციის გახანგრძლივებამ და მომსახურების არასტაბილურობამ უარყოფითად იმოქმედა სახმელეთო ტრანსპორტის მუშაობაზეც და, ზოგადად, ვაჭრობაზეც. სავარაუდოა, რომ სატრანზიტო ნაკადების ნაწილმა კიდევაც გადაინაცვლა ტრანსკავკასიური დერეფნიდან.

საქართველოს რკინიგზამ უნდა უზრუნველყოს პორტიდან შემოსული ტვირთის რეგულარული, დროული, იაფი და საიმედო გადაზიდვა. ბათუმისა და ფოთის პორტები საჭიროებენ სარკინიგზო და საავტომობილო კავშირების გაუმჯობესებას. შავი ზღვის აუზში ყველაზე ძვირი ქართული პორტებია გემის მომსახურების ხარჯით, მაღალი ტარიფითა და ნავმისადგომში ლოდინის მაღალი ხანგრძლივობით. ქართული პორტების მიმზიდველობისთვის აუცილებელია: ტვირთის მიწოდების ფიქსირებული ტარიფების დაწესება, გემების მოცდის დროის შემცირება, საკონტეინერო მატარებლების რეგულარული მიმოსვლის დაწესება და, რაც მნიშვნელოვანია, ერთი ფანჯრის პრინციპით მომსახურების დანერგვა (SWS), რითაც წინასწარ არის განსაზღვრული ტვირთის მიღების, გადაადგილებისა და სხვა საჭიროებების პაკეტი.

საჰაერო ტრანსპორტი

საქართველოში საჰაერო ტრანსპორტი განვითარდა საბჭოთა პერიოდში და შეიქმნა სამოქალაქო და სამხედრო აეროპორტების ქსელი. საჰაერო ტრანსპორტის ძირითადი დანიშნულება მგზავრების გადაყვანა იყო; ასევე სრულდებოდა სატვირთო ოპერაციები მალფუჭებადი პროდუქციისა და საფოსტო ტვირთის გადაზიდვების სახით, სასწრაფო-სამედიცინო დახმარება და სხვადასხვა ტიპის სპეციალური დანიშნულების ოპერაციები. საკავშირო და შიდარესპუბლიკურ ავიარეისებს ემსახურებოდა „აეროფლოტი“. საქართველოს ავიახაზებით საერთაშორისო რეისები არ სრულდებოდა. საკავშირო აეროპორტები იყო: თბილისის, ბათუმის, ქუთაისის, სოხუმის; სამხედრო: ვაზიანის, სენაკის, გუდაუთის; ხოლო ადგილობრივი დანიშნულების: ზუგდიდის, თელავის, ფოთის, მესტიის, ამბროლაურისა და სხვ.

დღეისათვის საქართველოში მგზავრთა გადაყვანას ემსახურება სამი საერთაშორისო აეროპორტი – თბილისის, ბათუმისა და ქუთაისის. საერთაშორისო გადაყვანების გეოგრაფია მკვეთრად გაიზარდა და მოიცვა მსოფლიოს თითქმის ყველა მნიშვნელოვანი პუნქტი.

თბილისსა და *ბათუმის საერთაშორისო აეროპორტების* ოპერატორია თურქული ჰოლდინგი „TAV“. ტვირთის გადაზიდვა ხდება მხოლოდ თბილისის აეროპორტიდან. ტვირთბრუნვა 2010-2018 წლებში 15 266 ტონიდან 25 511 ტონამდე გაიზარდა (საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტო, 2019), ხოლო მგზავრთბრუნვა 2005 წლიდან 2018 წლამდე ექვსჯერ (დიაგრამა 3) (TAV Airports თბილისის აეროპორტი, 2019). აეროპორტში ფრენებს ახორციელებს 35-ზე მეტი საერთაშორისო ავიაკომპანია.

დიაგრამა 3



წყარო: *TAV Airports თბილისის აეროპორტი*

ბათუმის საერთაშორისო აეროპორტიდან ფრენები სრულდება თბილისის, სტამბოლის, ხარკოვის, თეირანის, კიევისა და ერევნის მიმართულებით. გადაყვანილ მგზავრთა რაოდენობა 2005 წელს 39 762-ს შეადგენდა, ხოლო 2017 წელს ნახევარ მილიონს მიაღწია (TAV Airports ბათუმის აეროპორტი, 2019).

დავით აღმაშენებლის სახელობის ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტი დაბალბიუჯეტიანი ავიაკომპანიების მოზიდვის არეალია, რაც კონკურენტუნარიანი გარემოსა და ტურისტულად აქტიური ზონის შექმნას უწყობს ხელს. ბილეთის ხელმისაწვდომი ფასი იზიდავს მგზავრებს, რომლებსაც აქვთ შესაძლებლობა, დაბალ ფასად იმოგზაურონ მსოფლიოს 13 ქვეყანაში. 2017 წელს ქუთაისის აეროპორტი მოემსახურა 405 000 მგზავრს. საქართველოს საერთაშორისო აეროპორტების მგზავრთბრუნვა წლიდან წლამდე მზარდი დინამიკით ხასიათდება (დიაგრამა 4).

ისევე, როგორც მსოფლიოს ყველა ქვეყანაში, საქართველოს საავიაციო სექტორიც მნიშვნელოვნად დააზარალა კოვიდ 19-ის პანდემიამ. 2019 წლიდან 2020 წლისათვის, ფრენები 83.99%-ით შემცირდა, ხოლო გადაყვანილ მგზავრთა რაოდენობა 5 209 505-დან 833 846-მდე დაეცა. კლების ეს მკვეთრი დინამიკა განსაკუთრებით უარყოფითად აისახა ქუთაისის აეროპორტის სტატისტიკაზე, საიდანაც ძირითადად, დაბალბიუჯეტიანი „ვიზ ეარი“ ოპერირებს, რომელსაც საქართველოს საავიაციო ბაზრის ყველაზე დიდი წილი - 23.1% უჭირავს (საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტო, 2021).

დიაგრამა 4

მგზავრთნაკადი საქართველოს აეროპორტებში



წყარო: *საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტო*

საქართველოს ადგილობრივი აეროპორტებია *მესტიის, თელავის, ნატახტარისა* და *ამბროლაურის.*

თამარ მეფის სახელობის მესტიის აეროპორტში მგზავრთა მიღება 2010 წლიდან დაიწყო. ორიგინალური არქიტექტურის გამო ის მსოფლიოს 10 ყველაზე უჩვეულო აეროპორტთა სიაშია. მდებარეობს ზღვის დონიდან 1400 მეტრზე, ზამთარში იღებს 18-ადგილიან თვითმფრინავს, ზაფხულში – 50-ადგილიანს. 2018 წლის აგვისტოში მესტიის აეროპორტი მოემსახურა 1000 მგზავრს (საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტო, 2019).

რაც შეეხება *თელავის აეროპორტს*, ის ამჟამად საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის სასწავლო აეროპორტ „მიმინოდ“ იწოდება და სასწავლო დანიშნულებით გამოიყენება. აეროპორტი რეაბილიტაციის პროცესშია და რეკონსტრუქცი-

ის შემდგომ შიდა და ჩარტერულ გადაზიდვებს მოემსახურება.

ყველაზე ნაკლები პრობლემები საქართველოს სატრანსპორტო სისტემის საავიაციო რგოლშია, ვინაიდან საჭირო ინფრასტრუქტურა და მომსახურების ხარისხი, უსაფრთხოება და კომფორტი თითქმის სრულადაა უზრუნველყოფილი. საჰაერო ტვირთგადაზიდვები შეზღუდულია მოცულობით, შეიცავს მაღალი ღირებულების სამომხმარებლო საქონელს, პირად ნივთებს და გზავნილებს. წარმოებს მაღალი ღირებულების სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტი, თუმცა მცირე მოცულობით, რაც არასაკმარისია რეგულარული ფრენებისთვის. საჰაერო გადაზიდვებშიც არის სატრანზიტო ტვირთი, რომელიც შემდეგ საავტომობილო ტრანსპორტით მიემართება სომხეთსა და აზერბაიჯანში.

მიღსადენი ტრანსპორტი

საქართველო მსოფლიო ენერგეტიკული ბაზრის სატრანზიტო არეალია კასპიის ზღვიდან ნავთობისა და გაზის ევროპაში ექსპორტისათვის.

პირველი ნავთობსადენი საქართველოში 1897 – 1907 წლებში გაიყვანეს ბაქო – ბათუმის მიმართულებით. მისი დანიშნულება იყო ბათუმის პორტიდან ევროპის ბაზარზე ბაქოს ნავთობის გატანა. საბჭოთა პერიოდში, საქართველოს ნავთობის საბადოების ექსპლუატაციის მიზნით, გაყვანილ იქნა მცირე სიგრძის ნავთობსადენები. 1980 წელს დასრულდა *სამგორი-ბათუმის* მილსადენის მშენებლობა. ამჟამად საქართველოში ნავთობის წლიური მოპოვება 43,6 ათასი ტონას არ აღემატება (საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია, 2019).

1958-1963 წლებში გაიყვანეს *ოჰჯონიკიძე* (დღევანდელი ვლადიკავკაზი, რუსეთი)-*თბილისისა* და *ყახადაღი-აღსტაფა* (აზერბაიჯანი)-*თბილისის* გაზსადენები. 1980 წელს მოხმარებული აირის მოცულობამ 4 მლრდ. მეტრ/კუბს გადააჭარბა (საქართველოს გეოგრაფია, 2003, 146).

დამოუკიდებლობის წლებში კიდევ უფრო გაღრმავდა საქართველოს როლი ნავთობისა და გაზის ტრანსპორტირებისათვის აზიიდან ევროპაში. 1999 წელს გაიხსნა *ბაქო-სუფსის* ანუ დასავლეთის მარშრუტის საექსპორტო მილსადენი (WREP), რომელშიც ჩირაგის (აზერბაიჯანი) ნავთობი *სანგაჩაღის* ტერმინალიდან *სუფსის* ტერმინალამდე მოედინება. მისი სიგრძეა 830 კმ, საქართველოს ტერიტორიაზე კი 375კმ. სუფსის ტერმინალის ტევადობაა 1 მლნ. ბარელი, სიმძლავრე კი 5 მლნ. ტ.

მსოფლიო ბაზარზე კასპიის ზღვის აუზის ნავთობის მიწოდების გაზრდისთვის გაყვანილ იქნა ნავთობსადენი *ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი (BTC)*, აზერბაიჯანის ჩირაგ-გიუნეშლის საბადოდან კასპიის ზღვაში, ხმელთაშუა ზღვის პორტ ჯეიჰანამდე, თურქეთში. მისი სიგრძე 1768კმ-ია. აქედან საქართველოს ტერიტორიაზე 249 კმ გადის. გამტარუნარიანობა – 1,2 მლნ. ბარელი ნავთობი დღეში (bp საქართველო, 2019). ორივე მილსადენით ნავთობის ტრანსპორტირების დინამიკას ასახავს მე-5 დიაგრამა.

საქართველოში გაზის ტრანზიტი წარმოებს სამხრეთ კავკასიისა (SCP) და ჩრდილოეთ-სამხრეთის (NSGP) გაზსადენებით.

სამხეთ კავკასიის, იმავე ბაქო-თბილისი-ეზეზუმის, მილსადენით, რომელიც მოქმედებს 2006 წლიდან, აზერბაიჯანის შაჰ-დენიზის საბადოდან გაზის მიწოდება ხდება თურქეთისათვის. საქართველოში მისი სიგრძე 249კმ-ია, გამტარუნარიანობა 20 მლრდ. კუბური მეტრი. გაყვანილია ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენის პარალელურად.

დიაგრამა 5

ნავთობის ტრანსპორტირება საქართველოში არსებული მილსადენებით
2007-2017 წწ. (მლნ. ბარელი)



წყარო: *ცისკახიძე, 2018*

ჩრდილოეთ-სამხეთის გაზსადენი, იგივე რუსეთ-სომხეთის (ვლადიკავკაზი-ერევანი) გაზსადენი, რომელიც ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში მოქმედებდა და გაზი მოზდოკიდან თბილისზე გავლით სომხეთში მიედინებოდა, ახლა ჩრდილოეთ-სამხრეთის გაზსადენად იწოდება. საქართველოში მისი სიგრძე 234კმ-ია, ხოლო გამტარუნარიანობა წელიწადში 12 მლრდ. მ³. ტრანზიტის დინამიკა მოცემულია მე-6 დიაგრამაზე.

დიაგრამა 6

სამხრეთ-კავკასიური და ჩრდილოეთ-სამხრეთის მაგისტრალური გაზსადენები

გაზის ტრანსპორტირება წლიური 2007-17 წწ. (მლრდ მ³)



წყარო: *ცისკახიძე, 2018*

მსოფლიოში იზრდება ინტერმოდალური გადაზიდვები, რაც ნიშნავს ტრანსპორტის სხვადახვა სახეობით ტვირთის გადაზიდვასა და ურთიერთდამაკავშირებელი ინფრასტრუქტურის განვითარებას, განსაკუთრებით, პორტებში. საქართველოს სატრანსპორტო-ლოჯისტიკური ეფექტიანობის გასაუმჯობესებლად საჭიროა სისტემის საიმედოობის, ინტერმოდალური განვითარებისა და მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფა. როგორც ზოგიერთი მეცნიერი თვლის, მალე მოვა დრო, როცა „ტრანსპორტის“ კონცეფცია შეიცვლება „გლობალური ლოჯისტიკის“ კონცეფციით, რაც საქონლის წარმოების, ტრანსპორტირების, დისტრიბუციისა და მოხმარების ჯაჭვს ნიშნავს, შექმნილს „დროულად მიწოდების“ პრინციპით.

კავშირგაბმულობა

კავშირგაბმულობის დანიშნულებაა მოსახლეობის, სახელმწიფო მმართველობისა და სხვა ორგანიზაციების, ასევე ფიზიკური და იურიდიული პირების საჭიროებების დაკმაყოფილება ელექტროკავშირითა და საფოსტო მომსახურებით.

კავშირგაბმულობას საქართველოში მე-19 საუკუნის დასაწყისში ჩაეყარა საფუძველი, როცა რუსეთის იმპერიაში მმართველობის განხორციელებისთვის მუდმივი *საფოსტო კავშირების* დამყარება გახდა აუცილებელი. 1805 წელს თბილისში პირველი საფოსტო კანტორა გაიხსნა; 1870-იან წლებში კი 11-ამდე გაიზარდა, რომელთაც 650 ცხენი ემსახურებოდა. 1890-იანი წლებიდან ფოსტით ფულის გაგზავნაც დაიწყო. პირველი *სატელეგრაფო* კავშირი 1858 წელს დამყარდა თბილისსა და კოჯორს შორის. 1893 წლისათვის თბილისის შიდასაქალაქო *სატელეფონო ქსელი* 120 აბონენტს ითვლიდა (საქართველოს ფოსტა, 2019).

1993 წლიდან საქართველო მსოფლიო საფოსტო კავშირის (UPU) წევრია. 1995 წელს შეიქმნა ეროვნული საფოსტო ოპერატორი „საქართველოს ფოსტა“, რომელიც დღეისათვის აღჭურვილია ახალი ტექნოლოგიებით და ახორციელებს საფოსტო გზავნილების, ამანათების, წერილების, ფულადი გზავნილების ტრანსპორტირებას.

საბჭოთა პერიოდში პირველი *რადიოგადაცემა* 1925 წელს, ხოლო პირველი *სატელევიზიო* გადაცემა 1956 წლის 30 დეკემბერს გავიდა ეთერში. 2000 წელს დაარსდა სახელმწიფო კომპანია „საქართველოს ტელერადიო ცენტრი“, რომელიც ფლობს 150-ზე მეტ ანძასა და ინფრასტრუქტურულ კომპონენტებს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე. აქვს თანამედროვე მულტიპლექს პლატფორმა, რომლითაც ვრცელდება საზოგადოებრივი მაუწყებელი, აჭარის ტელევიზია და FM რადიოსამაუწყებლო ქსელი ქვეყნის მოსახლეობის 99 %-იანი დაფარვით. ამავე კომპანიას ეკუთვნის თბილისის სატელევიზიო კოშკი, რომელიც აიგო 1974 წელს. მისი სიმაღლეა 274 მ. და ზ.დ.-დან 740 მ-ზე მდებარეობს. 2017 წელს მას კიდევ დაემატა 3,5 მეტრი სიმაღლის ანტენა, რომელიც ყველაზე მაღალი ნაგებობაა საქართველოში. იგი აღჭურვილია თანამედროვე და მაღალი სიხშირის სატელეკომუნიკაციო სისტემებით (საქართველოს ტელერადიოცენტრი, 2019).

2000 წელს *მაუწყებლობისა* და *ელექტრონული კომუნიკაციების* სფეროს რეგულირების მიზნით შეიქმნა საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული სააგენტო, რომლის ინფორმაციით, სატელეფონო სადგურების რაოდენობა ჩვენს ქვეყანაში 249 ერთეულია; ქსელში ჩართული აბონენტების რაოდენობა მკვეთრად შემცირდა ფიქური აბონენტების რაოდენობის ზრდის გამო(დიაგრამა 7).

2017 წელს საქართველოს მოსახლეობამ 63,5 ტერაბაიტი ***მობილური ინტერნეტი*** მოიხმარა. მოსახლეობის 70,7 %-ს აქვს მობილურ ინტერნეტთან წვდომა. ამავე ინფორმაციით, საქართველოში სულ 5.7 მლნ. აბონენტია, რაც ნიშნავს, რომ 1 მოქალაქეზე 1.57 ნომერი მოდის. უმსხვილესი ინტერნეტპროვაიდერია „მაგთი“ (საქართველოს ტელეკომუნიკაციების ეროვნული კომისია, 2019). საქართველოს ტერიტორიის ინტერნეტით უზრუნველყოფას გვიჩვენებს რუკა 3. შედარებისთვის, 2018 წლის მონაცემებით, სომხეთში ინტერნეტმფლობელ მომხმარებელთა წილი ქვეყნის მოსახლეობის 88,23%-ს (Transport and Communication), ხოლო აზერბაიჯანში 103,59%-ს შეადგენდა (The State Statistical Committee, 2020). მსოფლიოში კი ინტერნეტმომხმარებელთა რიცხვი პლანეტის მოსახლეობის 49.34 %-ია.

დიაგრამა 7

კავშირგაბმულობის ძირითადი მაჩვენებლები



	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017
სატელეფონო სადგურების რაოდენობა, ერთეული	208	231	248	243	223	268	249
სატელეფონო ქსელში ჩართული აბონენტების რაოდენობა სულ, ათასი ცალი	594	601,4	584,2	575,2	537,8	506,8	486,7
სატელეფონო ქსელში ჩართული აბონენტების რაოდენობა, აქედან ბინის	511,5	540,3	525,9	518	482,5	454,6	435
ფიქური კავშირის აბონენტების რაოდენობა, ათასი	3 921,20	4 046,80	4 411,80	4 515,10	4 945,30	4 851,90	5217,9

წყარო: *საქსტატი*

რუკა 3

საქართველოს ტერიტორიის ინტერნეტით უზრუნველყოფა



შედგენილია დ. სვანაძის მიერ

2018 წელს „მაგთიკომის“ საბაზრო წილი შეადგენდა 40,3%-ს, „სილქნეტის“ – 35,8%-ს, „ვიონი საქართველოს“ – 23,9%-ს. (საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია, 2020).

2008 წელს შავი ზღვის ფსკერზე, ფოთი-ვარნის მიმართულებით, გაყვანილ იქნა მაღალი გამტარობის ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელი, რომლითაც საქართველო შეუერთდა ევროპის ინტერნეტ- და სატელეფონო ქსელებს და უზრუნველყოფს აზერბაიჯანსა და სომხეთს; მას ასევე თავისუფლად შეუძლია მოამარაგოს ცენტრალური აზია და ახლო აღმოსავლეთიც. ამ ქსელმა სამხრეთ კავკასიის ქვეყნები დამოუკიდებელი გახადა რუსეთისა და თურქეთის ქსელებისგან. ფართოზოლოვანი ოპტიკურ-ბოჭკოვანი ინფრასტრუქტურის განვითარება ნიშნავს დაცულ საინფორმაციო ნაკადებს და ქვეყნის სრულად დაფარვას ოპტიკური მაგისტრალებით, რაც მაღალსიჩქარიანი ინტერნეტით სარგებლობის ფართო შესაძლებლობებს იძლევა.

საქართველოს სახელმწიფო ენერგოსისტემა (სსე) შეიქმნა 2002 წელს ელექტროენერგიის მიწოდების, გადამცემი ქსელის განვითარებისა და მეზობელ სახელმწიფოებთან ელექტროენერგიის გაცვლის კოორდინაციისთვის. მისი ინფრასტრუქტურული ელემენტებია 3350 კმ ელექტროგადამცემი ხაზები და 90 ქვესადგური (Georgian Stock Exchange, 2019). მე-4 რუკა გვიჩვენებს ენერგოგენერაციასა და გადაცემას საქართველოდან პარტნიორ სახელმწიფოებში.

რუკა 4

ელექტროენერგიის გენერაცია და გადაცემა



შედგენილია დ. სვანაძის მიერ

საქართველოს სახელმწიფო ენერგოსისტემა გადამცემი სისტემის ოპერატორების სამხრეთკავკასიურ და ევროპულ (ENTSO-E) ქსელებშია ჩართული, რითაც ცდილობს, ენერგეტიკულ ბაზარზე მნიშვნელოვან მოთამაშედ იქცეს. სსე ასევე ჩართულია „ჩრდილოეთ-სამხრეთის“ ენერგეტიკული დერეფნის შესაძლო განვითარების პროცესში რუსეთთან, სომხეთსა და ირანთან ერთად.

საქართველოს გადამცემი ქსელის დიდი ნაწილი განლაგებულია დასავლეთით, მოხმარების უმეტესი წილი კი ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილზე მოდის (თბილისი-რუსთავი). ამჟამად საქართველოს ენერგოსისტემის სიმძლავრეა 4166 მგვტ. როგორც სსე გეგმავს, 2029 წლისთვის ის გაიზრდება 8767 მგვტ.-ამდე (საქართველოს გადამცემი ქსელის..., 2019). 2017 წლის მონაცემებით, საქართველოში გამომუშავდა 11 531 მლნ. კვტ./სთ. ენერგია, მოხმარებული იყო 12 343 მლნ. კვტ/სთ.; საექსპორტოდ გავიდა 686 მლნ. კვტ./სთ., იმპორტმა შეადგინა 1496 მლნ. კვტ/სთ (Georgian Stock Exchange, 2019). სატრანზიტო ელექტროგადამცემი ხაზები მიემართება რუსეთში („კავკასიონი“), თურქეთში („მესხეთი“, „აჭარა“), აზერბაიჯანში („მუხრანის ველი“, „გარდაბანი“), სომხეთში („ალავერდი“), და პირიქით. 2029 წლამდე დაგეგმილია ახალი პროექტების განხორციელება, რომელთა შორის მნიშვნელოვანია: „ჯვარი-წყალტუბო-ახალციხე“ და „ქსანი-სტეფანწმინდა-მოზდოკი“.

ელექტრონული მმართველობა

მეოცე საუკუნის 60-70-იანი წლებიდან ტექნოლოგიური პროგრესის ახალმა ტალღამ განვითარებული სამყარო ახალ, „საინფორმაციო საზოგადოების“ ეტაპზე, ელექტრონული მმართველობის დამკვიდრების ეპოქაში გადაიყვანა.

საქართველოში ადგილობრივ თვითმმართველობებში ელექტრონული მმართველობის დანერგვა 2010 წლიდან დაიწყო და უკვე 2014 წელს 190 ქვეყანას შორის 56-ე პოზიცია დაიკავა (ელექტრონული მმართველობის გზამკვლევი, 2014).

საწარმოთა მიერ ინტერნეტის გამოყენების გრაფიკს ხელისუფლების ორგანოებთან ურთიერთობისთვის გვიჩვენებს მე-8 დიაგრამა.

საქართველოში თანამედროვე ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებამ გაამარტივა საჯარო მომსახურებების მიღება, სამთავრობო რესურსებსა და ინფორმაციაზე წვდომა, რამაც ბიზნესს გაუადვილა საქმის წარმოება, ხოლო მოსახლეობას დაუზოგა დრო და ფინანსები. საკომუნიკაციო სფეროში ახალი ტექნოლოგიების დანერგვა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა.

დიაგრამა 8

საწარმოთა მიერ ინტერნეტის გამოყენება ხელისუფლების* ორგანოებთან ურთიერთობისთვის
(ელ.ფოსტით მიმოწერის გარდა), წლების მიხედვით (%)



წყარო: საქსტატი

კითხვები:

1. რა ფაქტორები განაპირობებენ საქართველოს სატრანსპორტო ქსელის არსებულ კონფიგურაციას?
2. როგორია სატრანზიტო დერეფნებში ტვირთნაკადების დინამიკა?
3. როგორია საქართველოს სატრანსპორტო სისტემის პრობლემები და გამოწვევები?
4. გააკეთეთ საქართველოს სატრანსპორტო დარგების ტვირთბრუნვისა და მგზავრთბრუნვის ანალიზი 20-წლიანი ინტერვალით.
5. როგორია კავშირგაბმულობის დარგების განვითარების ხარისხი საქართველოში?

დავალება:

მოაწყვეთ დისკუსია/პრეზენტაცია თემაზე:

1. საქართველოს სატრანსპორტო სისტემა როგორც ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ფაქტორი.
2. გლობალიზაცია 2: ჩინური ინიციატივა: „ერთი გზა – ერთი სარტყელი“ და საქართველოს პერსპექტივა.
3. ელექტრონული მმართველობა საქართველოსა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში: შედარებითი ანალიზი

გამოყენებული ლიტერატურა:

დოლბაია თ., საქართველოს საპორტო სისტემების ფუნქციონირებისა და განვითარების გეოგრაფიული კანონზომიერებები, დისერტაცია, თბილისი, 2011.

ელექტრონული მმართველობის გზამკვლევი 2014, ნანახია 2020 წლის 1 თებერვალს, http://www.dea.gov.ge/uploads/Egov_GuideBook.pdf

მთლიანი შიდა პროდუქტი, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2019, ნანახია 2020 წლის 1 თებერვალს, https://www.geostat.ge/ka/modules/categories/23/mtliani-shida-produkti-mshp

საავტომობილო გზების დეპარტამენტი, 2020, ნანახია 2020 წლის 10 იანვარს. http://www.georoad.ge/

სატვირთო გადაზიდვები. საქართველოს რკინიგზა, 2020, ნანახია 2020 წლის 10 იანვარს, http://www.railway.ge/satvirtos-gveri/

საქართველოს გადამცემი ქსელის განვითარების ათწლიანი გეგმა 2019-2029, 2019, ნანახია 2020 წლის 12 იანვარს, http://www.gse.com.ge/sw/static/file/TYNDP_GE-2019-2029_GEO.pdf

საქართველოს გეოგრაფია. ნაწილი II, სოციალურ-ეკონომიკური გეოგრაფია (2003). გეოგრაფიის ინსტიტუტი, თბილისი.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, ტრანსპორტი, 2019, ნანახია 2020 წლის 10 იანვარს, http://www.economy.ge/?page=ecoreview&s=26

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია, 2020, ნანახია 2020 წლის 15 იანვარს, http://www.gncc.ge/ge/

საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია, პროექტები, 2019, ნანახია 2020 წლის 1 თებერვალს, https://www.gogc.ge/ka/projects/all/2/

საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2017 წლის ანგარიში, 2017, ნანახია 2020 წლის 15 იანვარს, https://matsne.gov.ge/ka/document/view/3898819?publication=0

საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტო, 2021, ნანახია 2021 წლის 10 სექტემბერს, http://www.gcaa.ge/geo/;

საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტო, მესტიის თამარ მეფის სახელობის აეროპორტი, 2019, ნანახია 2020 წლის 1 თებერვალს, http://www.gcaa.ge/geo/mestiisaeroporti.php

საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა, 2017 წლის ანგარიში, 2018, ნანახია 2020 წლის 15 იანვარს,

http://www.gse.com.ge/sw/static/file/GSE_ANNUAL_REPORT_2017_GEO.pdf

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2020, ნანახია 2020 წლის 1 თებერვალს, https://www.geostat.ge/ka

საქართველოს ტელერადიოცენტრი, 2019, ნანახია 2020 წლის 15 იანვარს, http://www.tvrcenter.ge/

საქართველოს ტელეკომუნიკაციების ეროვნული კომისია, 2019), ნანახია 2020 წლის 15 იანვარს, http://www.gncc.ge/ge/news/press-releases/saqartvelos-komunikaciebis-erovnuli-komisia

საქართველოს ფოსტა, 2019, ნანახია 2020 წლის 15 იანვარს, https://www.gpost.ge/

ცისკარიძე დ., მაგისტრალური მილსადენებით ნავთობისა და გაზის ტრანზიტის როლი და გავლენა საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში, დისერტაცია, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი, 2018, ნანახია 2020 წლის 10 იანვარს, https://gtu.ge/pet/pdf/Science-Engineering/avtoreferatebi/davit%20ciskaridze.pdf

APM Terminals. ნანახია 2020 წლის 15 იანვარს, https://www.apmterminals.com/en/about/our-company

Batumi Sea Port, საწარმო მაჩვენებლები, 2019, ნანახია 2020 წლის 10 იანვარს, http://batumiport.com/ge/generaluri_direqtoris_mimartva/statistika/?1823910799

bp საქართველო, 2019, ნანახია 2020 წლის 10 იანვარს, https://www.bp.com/ka_ge/georgia/home.html

Georgian Stock Exchange, 2019, ნანახია 2020 წლის 10 იანვარს, www.gse.ge

Statistical Yearbook of Armenia, Transport and Communication, 2018, ნანახია 2020 წლის 10 იანვარს, https://www.armstat.am/file/doc/99510808.pdf

TAV Airports, თბილისის აეროპორტი, სტატისტიკა, 2019, ნანახია 2020 წლის 10 იანვარს, http://www.tbilisiairport.com/ka-GE/business-airlines-ge/page/stats-ge

TAV Airports, ბათუმის აეროპორტი, სტატისტიკა, 2019, ნანახია 2020 წლის 10 იანვარს, http://www.batumiairport.com/ka-GE/business-airlines-ge/page/stats-ge

The State Statistical Committee of the Republic of Azerbaijan, 2020, ნანახია 2020 წლის 10 იანვარს, https://www.stat.gov.az/source/communication/?lang=en

5.1.5. ვაჭრობა

ვაჭრობა, როგორც კომერციული საქმიანობა, არის ფასეულობების გაცვლა მიმწოდებელსა და მომხმარებელს შორის. ეს ფასეულობა მიმწოდებლის მხრიდან შეიძლება იყოს *პროდუქტი* ან *მომსახურება*, ხოლო მომხმარებლის მხრიდან – *ფული*. თუმცა ხდება სხვა ფასეულობების გაცვლაც – ერთი საქონლის ან მომსახურების მეორე საქონელზე ან მომსახურებაზე. ამ გარიგებას *ბარტერი* ეწოდება.

ვაჭრობის დარგობრივი სპეციალიზაცია ყველაზე ზოგადი მიდგომით შეიძლება დაიყოს შემდეგ მიმართულებებად: ***სასაქონლო, არასასაქონლო (მათ შორის მომსახურება)*** და ***შერეული***. ვაჭრობაში აგრეთვე გამოიყოფა *საცალო* და *საბითუმო* სახეობები. მათ ვაჭრობის განსხვავებულ ფორმებადაც მოიხსენიებენ.

საცალო ვაჭრობის ორგანიზაცია განსაკუთრებული მრავალფეროვნებით გამოირჩევა – როგორებიცაა არაორგანიზებული ან ნაკლებად ორგანიზებული გარე ვაჭრობა და უნივერსალური მაღაზიები, ანუ ე.წ. მოლები. ასევე დიდი მრავალფეროვნებით გამოირჩევა ამ *ბიზნესის მფლობელობა*, დაწყებული ინდივიდუალური მოვაჭრით, რომელიც შესაძლოა, თვითონვე იყოს პროდუქტის მესაკუთრე და მწარმოებელი და დამთავრებული *კორპორაციული მფლობელობით*, რომლებსაც აქვთ სავაჭრო ობიექტების ქსელი. მსოფლიოს ასეთ ქსელურ ბრენდებს წარმოადგენს მაგალითად: Wal-Mart Stories, The Kroger Co, Costco, Carrefur და სხვ. (Stores, 2017). საქართველოში ასეთი ქსელის მაგალითებია: *ელიტელექტრონიკსი, ფუდმარტი, PSP, ავერსი, ნიკორა, აღტა-OK* და სხვ.

საქართველოში ვაჭრობა დინამიკურად ვითარდება და წამყვან როლს ასრულებს ქვეყნის ეკონომიკაში, როგორც ბრუნვის მოცულობით (გრაფიკი 1), ისე შემოსავლებისა და დასაქმების თვალსაზრისით (დასაქმებულთა 12%); მისი წილი ყველაზე დიდია მშპ-ის სტრუქტურაში და 14,4%-ს შეადგენს (დიაგრამა 1).

გრაფიკი 1



წყარო: *„ვაჭრობა". საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი, 2020)*

რეგიონულ ჭრილში სავაჭრო ბრუნვით გამოირჩევა *თბილისი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა, იმერეთი* და *ქვემო ქართლი*, რაც სრულ თავსებადობაშია ამ რეგიონების ეკონომიკური განვითარების დონეებთან (ვაჭრობის..., 2018).

ყურადღებას იმსახურებს სავაჭრო საწარმოების ასიმეტრიული განაწილება სიდიდის მიხედვით, რაც დამახასიათებელია ეკონომიკურად გარდამავალ პერიოდში მყოფი ქვეყნისთვის. კერძოდ, ეკონომიკურად არათანაბარი ტერიტორიული განვითარების პირობებში საწყისი ეტაპისათვის დამახასიათებელია მრავალრიცხოვანი მცირე სავაჭრო ობიექტების გავრცელება. ისინი შემდგომშიც ინარჩუნებენ სტაბილურობას მთიან ან სხვა რთულად განსავითარებელ რეგიონებში. ამასთან, ეკონომიკური ზრდის „პოლუსებში" ხდება *მცირე საწარმოების მსხვილი საწარმოებით ჩანაცვლება*. ეს კანონზომიერება ვლინდება საქართველოშიც,

სადაც მცირე (50-ამდე დასაქმებული) სავაჭრო ობიექტებზე მოდის დასაქმებულთა ჯერ კიდევ ნახევარზე მეტი. მაგრამ 30%-ამდე უკვე მუშაობს მსხვილ (249 დასაქმებულზე მეტი) საწარმოებში (ვაჭრობის...2018).

დიაგრამა 1



წყარო: *„ვაჭრობა", საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური , 2020*

გეოგრაფიული თვალსაზრისით, ყურადღებას იმსახურებს, ერთი მხრივ, ***გარემოს ზეგავლენა სავაჭრო ობიექტების სივრცით განლაგებაზე*** და, მეორე მხრივ, ***ვაჭრობის სფეროს ზეგავლენა სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე.***

მოსახლეობის კონცენტრაცია, როგორც გარემოს ფაქტორი, განაპირობებს საცალო ვაჭრობის ობიექტების მიზიდულობას. ამასთან, გადამწყვეტ როლს ასრულებს საკუთრივ სარეალიზაციო პროდუქციისა და მომსახურების სახეობა. რაც უფრო ხშირია მათი *მოხმარების ციკლი*, მით მეტი სიახლოვისკენ მიისწრაფვის შესაბამისი სავაჭრო ობიექტები მომხმარებლების დასახლებულ უბნებთან, დასაქმების ადგილებსა და გადაადგილების მარშრუტებთან. მაგალითად, მაქსიმალური სიახლოვით გამოირჩევა სურსათის მაღაზიები და აფთიაქები, შედარებით დაცილებულია, მაგალითად, ავეჯისა და ხელსაწყოების მაღაზიები. გარემოს მეორე ფაქტორი – *ტერიტორიის ფასი* და სივრცითი მაჩვენებლები – ზემოქმედებს სავაჭრო ობიექტების სიდიდეზე. ტერიტორიის ფასის ზრდა უკავშირდება საინვესტიციო ხარჯების მატებას, რომელთა უკუგება დამოკიდებულია სავაჭრო შემოსავლებზე. ამიტომ ძვირადღირებულ ტერიტორიებზე – ქალაქის ცენტრში, „პრესტიჟულ" ან მჭიდროდ დასახლებულ რაიონებში – სავაჭრო ობიექტების რაოდენობა ნაკლებია, მაგრამ მათი მოცულობა უფრო დიდია და სარეალიზაციო პროდუქციაც უფრო მრავალფეროვანი.

ქალაქის გარეუბნებში, სადაც მიწის ფასი შედარებით ნაკლებია, იქმნება პირობები მსხვილი სავაჭრო ობიექტების განთავსებისთვის. ასეთი დაშორების კომპენსაცია ხდება სავაჭრო ბიზნესის მაღალი კონცენტრაციით, პროდუქციისა და მომსახურების მაქსიმალური დივერსიფიკაციით და პროდუქციის გაიაფებით ვაჭრობის მოცულობის ზრდის ხარჯზე. აღნიშნულის ნათელი მაგალითია „თბილისი მოლისა" და „კარფურის" დაფუძნება დედაქალაქის დასავლეთ შემოსასვლელში, სადაც ფასი მიწაზე უფრო იაფია, ვიდრე ცენტრში.

საბითუმო ვაჭრობა ვითარდება მაშინ, როდესაც მატულობს პროდუქციისა და მომსახურების გაყიდვების რაოდენობა და შუამავლის მონაწილეობა ხდება ბიზნესისათვის გამართლებული. იგულისხმება ვითარება, როდესაც მსხვილი მოვაჭრეებისთვის უფრო მოგებიანი და ნაკლებად რისკიანია პროდუქციის ან მომსახურების შუამავლებისათვის დიდი რაოდენობით მიყიდვა, ვიდრე საცალო მომხმარებლებზე გასვლა, რაც მათი დიდი რაოდენობის გამო მნიშვნელოვან ხარჯებს მოითხოვს. ტურიზმის სფეროში ამ ფუნქციებს ხშირად ***ტუროპერატორული კომპანიები*** ასრულებენ. მსგავსი ობიექტე-

ბის გეოგრაფიული მდებარეობა განსხვავებული ფაქტორებით განისაზღვრება. მაგალითად, დიდი რაოდენობის საქონლისათვის საწყობების განლაგება უფრო მოსახერხებელია ქალაქების გარეუბნებში, სადაც ნაკლებია მიწის და ნაგებობების შეძენის ან არენდის ფასი. იმავე მიზეზით საწყობები ხშირად მდებარეობს სატვირთო-სატრანსპორტო კვანძებთან ახლოს: საზღვაო პორტებში, აეროპორტებში, რკინიგზის სადგურებთან, საერთაშორისო და რეგიონულ ავტოსადგურებთან; საწყობები ხშირად არის განლაგებული თავისუფალ ეკონომიკურ ან ინდუსტრიულ ზონებში, ბიზნესის წარმოების შეღავათიანი პირობების გამო. მაგალითად, აღმოსავლეთ საქართველოში არსებობს ე.წ. *თბილისის თავისუფალი ზონა* (თბილისის თავისუფალი ზონა; City 24.ge; საწყობების იჯარით გაცემა), სადაც ამ ტიპის სტრუქტურებია განთავსებული.

გახემოზე ზეგავლენის თვალსაზრისით, ვაჭრობის სფეროს აქვს როგორც დადებითი, ასევე ნაკლებად სასურველი შედეგების მოტანის პოტენციალი. ერთი ასეთი თვისებაა ამ სფეროში შედარებით *აღვილად დასაქმების შესაძლებლობა*. ეს დადებით ზეგავლენას ახდენს დასაქმებაზე მაშინ, როდესაც ტერიტორია ან ქვეყანა კარგავს ადრინდელ ეკონომიკურ ფუნქციას და არის ახალი ფუნქციის ძიებაში ან განვითარებაში. ამ პერიოდისათვის დამახასიათებელია უმუშევრობის მაღალი დონე, ხოლო ვაჭრობის მცირე ბიზნესი ქმნის დასაქმებისა და შემოსავლების მიღების შესაძლებლობებს. ამის მაგალითებია მთიანი რეგიონები, სადაც ტურიზმის განვითარება ანაცვლებს ადრინდელ სოფლის მეურნეობას, რომელიც გახდა წაგებიანი. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, შესაბამისი ბაზრების დაკარგვის შედეგად, საქართველო დღემდე იმყოფება რეგიონული ფუნქციების განვითარების პროცესში. ამ ვითარებაში ვაჭრობაში დასაქმებულთა რიცხვმა მკვეთრად იმატა, რამაც გარკვეული დადებითი როლი შეასრულა და დღესაც ასრულებს გარდამავალ ეტაპზე (გრაფიკი 2).

გრაფიკი 2



წყარო: *„ვაჭრობა". საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2020*

აღნიშნული თვისების დადებითი ზეგავლენა სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე შეიძლება გამოვლინდეს მხოლოდ დროის შეზღუდულ პერიოდში. იგივე გარემოება, კერძოდ, მოსახლეობის ნაკლებად კვალიფიციურ სფეროში მასობრივი და ხანგრძლივი დასაქმება აფერხებს სოციალურ, ტექნოლოგიურ და, ზოგადად, ეკონომიკურ პროგრესს რეგიონსა და ქვეყანაში, ხდის მას არაკონკურენტულს საერთაშორისო ბაზარზე. ამიტომ ტერიტორიის ეკონომიკური ფუნქციის შეცვლის საწყის ეტაპებზე უაღრესად დიდი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს ახალი პერსპექტიული ეკონომიკური ფუნქციების განვითარებას, უცხოური ინვესტიციების მოზიდვას. ამ კუთხით მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია საცალო ვაჭრობას. მაგალითად, პოლონეთში მიმდინარე საუკუნის პირველ ათწლეულში მოზიდული უცხოური ინვესტიციების 40% საცალო ვაჭრობამ განაპირობა (The Power of Retai, 2018).

კითხვები:

1. რით განსხვავდება საცალო ვაჭრობა საბითუმო ვაჭრობისაგან ძირითადი დანიშნულებით, გეოგრაფიული განლაგების თავისებურებებით და სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე ზეგავლენით?
2. რა წილი უჭირავს ვაჭრობას საქართველოს ეკონომიკაში? პასუხი დაასაბუთეთ უახლესი სტატისტიკური მონაცემებით

დავალებები:

1. აირჩიეთ თბილისში მდებარე რომელიმე ქსელური სავაჭრო ფირმა და დაახასიათეთ მისი ობიექტების გეოგრაფიული განლაგების თავისებურებები.

გამოყენებული ლიტერატურა:

ვაჭრობის, ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი ეკონომიკური საქმიანობის სახეების კლასიფიკატორის NACE rev.1.1 მიხედვით, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2018, ნანახია 2018 წლის 25 მაისს, http://www.geostat.ge/?action=page&p_id=2425&lang=geo

მომსახურების სტატისტიკა: ვაჭრობა, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი), 2020. ნანახია 20 ივნისს, 2020 https://www.geostat.ge/ka/modules/categories/388/vachroba301

თბილისის თავისუფალი ზონა, ნანახია 2018 წლის 25 მაისს, http://www.tfz.ge/ka/510/

საწყობების იჯარით გაცემა, ნანახია 2018 წლის 25 მაისს, https://www.yell.ge/companies.php?lan=geo&rub=391

City 24.ge, ნანახია 2018 წლის 25 მაისს, https://www.city24.ge/ge/tbilisi/catalogue/service/warehouse

Stores Top Retailers, 2017, ნანახია 2018 წლის 25 მაისს, https://stores.org/stores-top-retailers-2017/

The Power of Retail: Delivering Development Impact in Emerging Markets, 2018 International Finance Corporation, World Bank group, 2018, ნანახია 2018 წლის 25 მაისს, https://www.ifc.org/wps/wcm/connect/news_ext_content/ifc_external_corporate_site/news+and+events/news/the+power+of+retail-eca

5.1.6. საბანკო-საფინანსო სისტემა

ბანკების საქმიანობა და მათი გეოგრაფიულ ასპექტში განხილვა მოითხოვს წინა საკითხისაგან განსხვავებულ მიდგომას. ეს განპირობებულია ამ დარგის საქმიანობის სპეციფიკით. კერძოდ, საბანკო საქმიანობა ვლინდება რეგიონების ან ქვეყნების ეკონომიკის დონეზე, ხოლო ამ საქმიანობის როლი განისაზღვრება, პირველ რიგში, ბანკის სახეობით და ნაკლებად მისი მდებარეობით. შესაბამისად, თემის განხილვა წარმოებს ბანკების ***სახეობისა*** და მათი ***დანიშნულების*** მიხედვით. რაც შეეხება საკუთრივ საბანკო ობიექტების მიკროგეოგრაფიული განლაგების თავისებურებებს, ის ნაკლებად დამოკიდებულია გარემო ფაქტორების მრავალფეროვნებაზე. როგორც წესი, ბანკის შენობები მდებარეობს ქალაქის ცენტრში და „პრესტიჟულ" რაიონებში, ხოლო საცალო მომსახურების მცირე ობიექტები და ფილიალები ორიენტირებულია მოსახლეობის საცხოვრებელ და სამუშაო ადგილებზე, რითაც ნაკლებად განსხვავდება საცალო მომსახურების სხვა ობიექტების გეოგრაფიული განლაგების თავისებურებებისაგან.

ბანკი ქვეყნის ფინანსური სექტორის მთავარი რგოლია. საქართველოში მისი აქტივების წილი ფინანსურ სექტორში, 2016 წლის მონაცემებით, 90%-ს აღემატებოდა. (Macroeconomic overview, 2018, 36).

ბანკები, მათი დანიშნულების შესაბამისად, შეიძლება დაიყოს შემდეგ კატეგორიებად (სახეებად): ***ეროვნული*** (მაგ., საქართველოში) ან ***ცენტრალური ბანკები*** (მაგ., ევროპის ცენტრალური ბანკი, ინდოეთის ცენტრალური ბანკი და სხვა), რომლებიც მეტწილად სახელმწიფო დაქვემდებარებაშია; ***კომერციული*** (მათ შორის საცალო მომსახურების) და ***საინვესტიციო*** ბანკები.

ცენტრალური (ან ეროვნული) ბანკს ევალება ქვეყნის მაკროეკონომიკური ამოცანები, ანუ ქვეყნის ეკონომიკის, სტაბილიზაციის უზრუნველყოფა ე.წ. მონეტარული პოლიტიკის გატარების გზით. ძირითად მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებს განეკუთვნება: მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ), ინფლაციის დონე, საგარეო სავაჭრო ბალანსი, მათ შორის ექსპორტ-იმპორტის მაჩვენებლები და უცხოური ინვესტიციები, ქვეყნის საერთაშორისო რეზერვები და სხვ. (ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები, 2018).

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ცენტრალური (ეროვნული) ბანკის მონეტარული პოლიტიკის ისეთი ფუნქცია, როგორიცაა ბანკებისათვის სესხების გაცემა და მათზე მიზნობრივი საპროცენტო განაკვეთის განსაზღვრა ანუ ***რეფინანსირების საპროცენტო განაკვეთის*** დაწესება.

როდესაც ქვეყნის ეკონომიკის განვითარება ფერხდება, მაგალითად, კლებულობს მშპ-ის მაჩვენებელი, ცენტრალური ბანკი ცდილობს, გააქტიუროს თანხების ბრუნვა ქვეყანაში *ფულადი მასის გაზრდით.* ამისათვის გამოიყენება აღნიშნული რეფინანსირების საპროცენტო განაკვეთი, კერძოდ, ხდება მისი შემცირება, რაც ნიშნავს ბანკთაშორის ბირჟაზე კომერციული ბანკების მიერ *სესხების აღების გაიაფებას.* შედეგად, კომერციული ბანკები იზიდავენ მეტ საკრედიტო რესურსებს, გასცემენ მეტ გაიაფებულ სესხებს, აქტიურდება ბიზნესი, ჩნდება მეტი სამუშაო ადგილი, ხდება მეტი პროდუქტის შეძენა ადგილობრივ ბაზარზე და მატულობს საბრუნავი ფულის მასა. ცენტრალურ ბანკს ასევე შეუძლია, უბრალოდ, განახორციელოს ***ფულის ემისია*** – ადგილობრივი ფულის ანუ ბანკნოტებისა და მონეტების მიმოქცევაში გაშვება, რაც ასევე ზრდის ბრუნვაში მყოფ ფულის მასას. ამ მიზნებზე ორიენტირებულ ქმედებებს უწოდებენ *ექსპანსიურ* ან *შეჩხიერების მონეტარულ პოლიტიკას.*

აღნიშნული ღონისძიებები შეიცავს ნეგატიურ თვისებებსაც. კერძოდ, ქვეყანაში მიმოქცევაში მყოფი ფულის მასის ზრდა ხელს უწყობს *ინფლაციური პროცესების* განვითარებას. როდესაც ინფლაცია გადააჭარბებს ცენტრალური ბანკის მიერ განსაზღვრულ ე.წ. მიზნობრივ მაჩვენებელს, მონეტარული პოლიტიკა იცვლება საპირისპირო მიმართულებით და აქტუალური ხდება ქვეყანაში ფულის მასის შემცირება.

ფულის მასის შემცირება შეიძლება განხორციელდეს ზემოთ აღნიშნული ***რეფინანსირების განაკვეთის გაზრდით,*** რაც აძვირებს სესხებს კომერციული ბანკებისათვის და, შესაბამისად, ბიზნესისთვის. ამავე მიზნებს ემსახურება კომერციული ბანკებისათვის სავალდებულო სარეზერვო მოთხოვნების გამკაცრება, ანუ ფულის მასის *„დასაწყობება".* უფრო ზუსტად, ეს ქმედება ითვალისწინებს კომერციული ბანკების მიერ მოზიდული დეპოზიტების გარკვეული ნაწილის დარეზერვებას და მათ ცენტრალურ ბანკში შენახვას. მაგალითად, დღეს საქართველოს კომერციული ბანკები ვალდებულნი არიან, 14-დღიანი პერიოდით სარეზერვო ანგარიშზე იქონიონ ლარებში მოზიდული თანხების 7% და უცხოური ვალუტის 20%. (მინიმალური სარეზერვო მოთხოვნები, 2018). ბრუნვაში არსებული ფულის მასის შემცირებაზე გათვლის ქმედებებს ეწოდება ***კონტრაქციული,*** ანუ გამკაცრების (ან ანტიინფლაციური) პოლიტიკა.

საქართველოში მონეტარული პოლიტიკა ბოლო 10 წლის განმავლობაში 5-6-ჯერ შეიცვალა გამკაცრებისა და შერბილების ცვალებადობით (გრაფიკი 1). შერბილება გამოვლინდა 2008- 2010 წლებში, როდესაც ეროვნული ბანკის განაკვეთი შემცირდა 10%-იდან 4,5%-ამდე; შემდეგ მოხდა გამკაცრება და განაკვეთი აიწია 8%-ამდე 2011 წლისათვის; მას მოჰყვა ისევ შერბილება, რაც გამოიხატა განაკვეთის დაწევაში 3,8%-ამდე 2013 წლისათ-

ვის; შემდგომ ისევ გამკაცრება განაკვეთის 8%-ამდე აწევით 2016 წლის აპრილამდე; ისევ დაბრუნდა შერბილების პოლიტიკა, რომელიც გაგრძელდა 2016 წლის ოქტომბრამდე და განაკვეთი შემცირდა 4,5%-ით და ბოლოს კვლავ გამკაცრდა განაკვეთის 6%-ამდე აწევით 2018 წლის იანვრისთვის (საქართველოს ეროვნული ბანკი, 2018).

ეროვნული ბანკის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია ე.წ. **საერთაშორისო სარეზერვო ფონდი,** რომელსაც იგი ფლობს, ინახავს და განკარგავს (საქართველოს ორგანული კანონი საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ. მუხლი 40, 18). იგი წარმოადგენს ქვეყნის ერთგვარ საგარეო აქტივებს (International Reserves, 2018). მისი დანიშნულებაა, პირველ რიგში, ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების დაცვა, შემდეგ ლიკვიდურობის შენარჩუნება და, ბოლოს, შემოსავლიანობის უზრუნველყოფა. შესაბამისად, საერთაშორისო რეზერვები განთავსებულია მხოლოდ მაღალი რეიტინგის მქონე სახელმწიფო და მულტინაციონალურ ფასიან ქაღალდებსა და ბანკების დეპოზიტებზე (სავალუტო პოლიტიკა, 2018). რაოდენობრივად, საერთაშორისო სავალუტო ფონდი მიიჩნევს, რომ მონეტარული მდგრადობისათვის ქვეყნის საერთაშორისო რეზერვების მოცულობა წლის ბოლოსთვის უნდა უდრიდეს იმპორტის სამთვიან მოცულობას (ბაიაშვილი, 2015).

გრაფიკი 1

საქართველოს მონეტარული პოლიტიკა 2008-2017 წლებში



წყარო: *საქართველოს ეროვნული ბანკი*

საქართველოში ოფიციალური საერთაშორისო რეზერვები დაახლოებით 3 მლრდ. აშშ-ის დოლარს შეადგენს (სექტემბერი, 2017). საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ მოზიდული საერთაშორისო რეზერვების ოდენობა წლების განმავლობაში სტაბილურად აღემატება ადეკვატური პერიოდების იმპორტის სამთვიან მაჩვენებლებს. მაგალითად, უკანასკნელი მონაცემებით, 2017 წლის მესამე კვარტლის 3 თვის იმპორტმა შეადგინა 2,47 მილიარდი დოლარი, როდესაც საერთაშორისო სარეზერვო ფონდი იყო 2,8 მილიარდის ტოლფასი (საქართველოს ეროვნული ბანკი, 2018; International Reserves, 2018).

კომერციული ბანკი ემსახურება როგორც მოსახლეობას, ისე კომპანიებს. ძირითადად, იგი იღებს დეპოზიტებს (ფულად სახსრებს ან გადახდის სხვა საშუალებებს) და მათი გამოყენებით თავისი სახელით აწარმოებს საბანკო საქმიანობას (საქართველოს ორგანული კანონი საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ, 2009, 1). ეს საქმიანობა მოიცავს პრაქტიკულად ყველა სახის საბანკო ოპერაციებს – იბარებს ანაბრებს, გასცემს კრედიტებსა და სესხებს, აფინანსებს სავაჭრო ოპერაციებს, გასცემს გარანტიებს, ახორციელებს გადარიცხვებს და ანგარიშსწორებებს, უზრუნველყოფს სავალუტო გაცვლებს, იძენს და ყიდის სახელმწიფო და კერძო ფასიან ქაღალდებს, უზრუნველყოფს საკრედიტო ბარათების და ჩეკების მომსახურებას, იბარებს შესანახად ფასეულობებს, ეწევა საკონსულტაციო საქმიანობას და სხვ. მათი საქმიანობა, როგორც კერძო ბიზნესის სხვა ნებისმიერი სახეობა, მიმართულია მოგების მიღე-

ბაზე. შემოსავალი, ძირითადად, მიიღება ანაბრებზე გაცემული საპროცენტო განაკვეთების სახით, ასევე გაწეულ მომსახურებაზე მიღებული საკომისიო გადასახადებით, დაგირავებული ქონების რეალიზაციით და ა.შ.

საინვესტიციო ბანკების ძირითადი საქმიანობა ითვალისწინებს მომსახურებას ინვესტიციების მოზიდვაში კლიენტებისათვის, აქციებისა და სხვა ფასიანი ქაღალდების გაყიდვაში, ინვესტორებსა და ფასიანი ქაღალდების გამომშვებს შორის შუამავლის ფუნქციის შესრულებაში, დაფინანსების საკითხებში კონსულტაციების გაწევაში; ასევე, მომსახურებას კომპანიების შეერთებისა და შეძენის რთულ და ხანგრძლივ პროცედურებში.

საქართველოში საინვესტიციო ბანკის ფუნქციებს 20-ზე მეტი ბანკი ასრულებს (List of Investment Banks, 2012), რომელთა შორისაა გალტ & ტაგარტი (Galt & Taggart), საინვესტიციო ჯგუფი „ბიჯეო“ და სხვ.

საინვესტიციო საქმიანობაში განვითარებად ქვეყნებსა და იმ ქვეყნებში, სადაც ეკონომიკა იმყოფება გარდაქმნის ეტაპზე, კერძოდ, ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში, მოქმედებენ ინვესტიციების ხელშემწყობი საერთაშორისო და უცხოური საფინანსო ორგანიზაციებიც. საქართველოს მაგალითზე აღსანიშნავია ***მსოფლიო ბანკი*** და მისი სტრუქტურული ერთეულები, მათ შორის: *საერთაშორისო განვითარების სააგენტო, საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია, საერთაშორისო სავალუტო ფონდი* (იგი ურთიერთობს მხოლოდ ქვეყნის ეროვნულ ბანკთან მაკროეკონომიკურ საკითხებში), *შავი ზღვის ვაჭრობისა და განვითარების ბანკი, ევროპის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკი* და სხვ.

კითხვები:

1. დაასახელეთ საქართველოს ფინანსური სექტორის ორგანიზაციები და ბანკების სახეები.
2. დაახასიათეთ ბანკის ძირითადი ფუნქციები.
3. რით განსხვავდება კომერციული ბანკი საინვესტიციო ბანკისაგან?

დავალებები:

1. ინტერნეტის მეშვეობით მოიძიეთ ინფორმაცია – რა სახის მომსახურებას სთავაზობს კერძო ბიზნესს საქართველოს ერთ-ერთი წამყვანი კომერციული ბანკი.
2. ინტერნეტის მეშვეობით მოიძიეთ ინფორმაცია – რა სახის პროექტებს ახორციელებს ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი საქართველოში.

გამოყენებული ლიტერატურა:

ბაიაშვილი თ., ოპტიმალური სავალუტო პოლიტიკა საქართველოს ეკონომიკისათვის, *ეკონომიკა და საბანკო საქმე*, ტ.3, N3, 2015, ნანახია 2018 წლის 1 ივნისს, https://www.nbg.gov.ge/uploads/journal/2015/2015_3/3.pdf

მინიმალური სარეზერვო მოთხოვნები, საქართველოს ეროვნული ბანკი, 2018, ნანახია 2018 წლის 1 ივნისს, https://www.nbg.gov.ge/index.php?m=558

სავალუტო პოლიტიკა და რეზერვების მართვა საქართველოს ეროვნული ბანკი, 2018, ნანახია 2018 წლის 1 ივნისს, https://www.nbg.gov.ge/index.php?m=521

საქართველოს ეროვნული ბანკი, 2018, ნანახია 2018 წლის 1 ივნისს, https://www.nbg.gov.ge/uploads/publications/pres/2018/master_presentation_for_web_05_03_2018.pdf

საქართველოს ორგანული კანონი საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ, თბილისი, 2009, ნანახია 2018 წლის 1 ივნისს, https://www.nbg.gov.ge/uploads/legalacts/nbglow/new/organic_low_nbg.pdf

ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები და საერთაშორისო რეიტინგები, საქართველოს ეროვნული ბანკი, 2018, ნანახია 2018 წლის 1 ივნისს, https://www.nbg.gov.ge/index.php?m=494

International Reserves of Countries Worldwide, *Global Finance*, August 28, 2018. ნანახია 2018 წლის 1 ივნისს, https://www.gfmag.com/global-data/economic-data/international-reserves-by-country

List of Investment Banks In Georgia, Global Banking and Finance Review, October 30, 2012, ნანახია 2018 წლის 1 ივნისს, https://www.globalbankingandfinance.com/list-of-investment-banks-in-georgia

Macroeconomic Overview, საქართველოს ეროვნული ბანკი, 2018, ნანახია 2018 წლის 1 ივნისს, https://www.nbg.gov.ge/uploads/publications/pres/2018/master_presentation_for_web_05_03_2018.pdf

5.1.7. ბიზნესგარემო და საინვესტიციო კლიმატი

ბიზნესსა და ინვესტიციებთან დაკავშირებულ საქმიანობაში პოპულარობა მოიპოვა ორმა ცნებამ, ესენია: ***ბიზნესგარემო*** და ე.წ. ***საინვესტიციო კლიმატი.*** როგორც სათაურიდან ჩანს, პირველი ეხება *მოქმედი სამეწარმეო საქმიანობის* პირობებს, ხოლო მეორე –კაპიტალდაბანდებას *სამომავლო სამეწარმეო საქმიანობისათვის*. ორივე ცნება უკავშირდება ბიზნესის წარმოების გარემოს და მასში მოიაზრება ყველა ის გარე და შიდა ფაქტორი, რომლებიც ზეგავლენას ახდენს მეწარმეობაზე. ბუნებრივია, გარემოს აქვს გეოგრაფიული განზომილება და იგი წარმოდგენილია კონკრეტულ ტერიტორიაზე მრავალფეროვანი ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური, ბუნებრივი, ტექნოლოგიური და სხვა კატეგორიის ფაქტორების ერთობლიობით.

ბიზნესგარემოს ფაქტორებში განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს:

- ქვეყნის რეგულირება ბიზნესის დაწყებასთან დაკავშირებით (ხშირად მოიხსენიება როგორც „ბაზარზე შესვლის ბარიერები“);
- ბიზნესის ფუნქციონირების უსაფრთხოება – მაგალითად, რისკები, რომლებიც უკავშირდება *ექსპროპრიაციას* (კერძო საკუთრებიდან სახელმწიფო მფლობელობაში გადაცემის პოლიტიკა და პრაქტიკა) და *ნაციონალიზაციას* (მასშტაბური ექსპროპრიაცია);
- სახელმწიფოს კეთილგანწყობა კერძო საკუთრების მიმართ (შესაბამისი რეგულაციები);
- გადასახადები და სამეწარმეო საქმიანობასთან დაკავშირებული პროცედურები;
- ბიზნესიდან გასვლის პირობები და სხვ.

ბიზნესგარემოს სისტემატიურად აფასებენ ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციები მათივე შემუშავებული მეთოდიკით, მათ შორისაა: ბიზნესის გახსნის პროცედურები, მშენებლობაზე ლიცენზიებისა და ნებართვების მოპოვება, კრედიტის აღების პირობები, მცირე ინვესტორთა ინტერესების დაცვა, გადასახადები, კონტრაქტის შესრულების პრაქტიკა, წარმოქმნილი პრობლემების რეგულაციები და სხვ. (Economy Rankings, 2018). რეგიონულ ჭრილში ყველაზე ხელსაყრელი პირობები აქვს ევროპის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) წევრ ქვეყნებს, ხოლო ყველაზე რთულ რეგიონს წარმოადგენს სუბსაჰარა.

აღსანიშნავია, რომ საქართველო ამ მაჩვენებლით მოწინავე პოზიციებს იკავებს. კერძოდ, 2018 წელს 190 ქვეყანას შორის მას ეჭირა მე-9 ადგილი და დაწინაურდა 2017 წლის მე-16 პოზიციიდან (Doing Business, 2018; Doing Business, 2017), ხოლო 2019 წელს მე-7 ადგილზე გადმოინაცვლა (Georgia Renks 7th, 2019).

საინვესტიციო კლიმატში იგულისხმება ის პირობები, რომლებიც გავლენას ახდენს ზოგადად *ინვესტიციაზე* ქვეყნის ფარგლებში, მათ შორის უცხოურ ინვესტიციებზე. ეს პირობები მნიშვნელოვნად მოიცავს ბიზნესის გარემოს შეფასებისას გათვალისწინებულ ფაქტორებს. ამასთან, მეტი ყურადღება ექცევა იმ კომპონენტებს, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ კაპიტალის დაბანდებასა და ბიზნესის წარმოების სტაბილურობაზე *პერსპექტივაში.* ამ თვალსაზრისით ტიპური ინდიკატორებია:

- ეროვნული უსაფრთხოება;
- ქვეყანაში მმართველი ძალების სტაბილურობა და ზოგადი პოლიტიკური სტაბილურობა;
- მთავრობის ანგარიშვალდებულების მდგომარეობა და ქმედებების გამჭვირვალობა;
- სახელმწიფო რეგულირება, მათ შორის ინვესტიციების ჩადების პირობები, მოსალოდნელი მოგების ქვეყნიდან გატანის პირობები;
- საკუთრების უფლების დაცვა, მათ შორის საკანონმდებლო რეგულირების პრაქტიკაში;
- დაცულობა, უცხოელი ინვესტორების ინტერესების დაცვა, მათ შორის კონფლიქტურ ვითარებაში, ექსპროპრიაციისა და ნაციონალიზაციის პრაქტიკა;
- ინფრასტრუქტურა;
- კრიმინალური ვითარება და კანონის უზენაესობა (ეხება კორუფციის საკითხებს);
- შრომითი რესურსები;
- სიღარიბის დონე (ზოგჯერ გამოიყენება ტერმინი სიღატაკის დონე);
- მაკროეკონომიკური სტაბილურობა, მათ შორის: ინფლაციური პროცესები, გაცვლითი კურსის მერყეობა, ქვეყნის მონეტარული პოლიტიკა და სხვ.

ბოლო ათწლეულებში სულ უფრო ფართოვდება ქვეყნებს შორის ურთიერთინვესტირების დაცვისა და წესების უნიფიცირების ორმხრივი ხელშეკრულებების გაფორმება. შეთანხმების საკითხი, როგორც წესი, არის ***ორმაგი დაბეგვრის*** აცილება.[1]

[1] ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების ხელშეკრულება ეხება იმ კომპანიებს, რომლებიც მოქმედებენ ხელშეკრულების მონაწილე ორივე ქვეყანაში. ამ შემთხვევაში კომპანია იბეგრება ერთი ქვეყნის გადასახადებით (ე.წ. კომპანიის გადასახადების რეზიდენტ ქვეყანაში) და თავისუფლდება გადასახადებიდან მეორე ქვეყანაში.

არსებობს ე.წ. უპირატესი ხელშეწყობის მინიჭების სტატუსი, რომლის თანახმადაც პრაქტიკულად ხდება საინვესტიციო პირობების უნიფიცირება ქვეყნებს შორის.

მაგალითისათვის აღვნიშნავთ, რომ საქართველოს ხელმოწერილი აქვს ამ ტიპის ხელშეკრულება 30-ზე მეტ ქვეყანასთან (Rijvadze, 2015, 186) და რამდენიმე ათეული ხელშეკრულება არის განხილვისა და საბოლოო გაფორმების პროცესში (ნადირაძე, 2013). საქართველო, ევროკავშირთან *ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის* (DCFTA) შესახებ შეთანხმების ფარგლებში, ვალდებულია, დაიცვას მოგებისა და კაპიტალის თავისუფალი გადაადგილება (DCFTA, თავი 7), (ევროკავშირთან..., 2018).

უცხოური ინვესტიციების მოზიდვისა და სტიმულირების კუთხით განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ***თავისუფალი ეკონომიკური ზონების*** ფორმირება, სადაც ინვესტორებს ეძლევათ მთელი რიგი საგადასახადო და პროცედურული შეღავათებისა. თავისუფალი ეკონომიკური ზონა შეიძლება დაკონკრეტებული იყოს გარკვეული მიმართულებით, მაგალითად: *თავისუფალი სავაჭრო ზონა, თავისუფალი უხბანული ზონა, თავისუფალი პორტები* და სხვა. მაგალითად, საქართველოში არსებობს 10-ზე მეტი სპეციალიზებული თავისუფალი ეკონომიკური ზონა. რამდენიმე ე.წ. *თავისუფალი ინდუსტრიული ზონა* არის თბილისსა და ქუთაისში, ფოთში და ყულევში. ამ ზონებში ანგარიშსწორება ხორციელდება ნებისმიერი ვალუტით, ცალკეულ საქმიანობაზე დასაშვებია ლიცენზიის/ნებართვის აღების ვალდებულებისაგან გათავისუფლება ან პროცედურის გამარტივება, ზონის საწარმოები თავისუფლდებიან მოგების, იმპორტის სააქციზო და ქონების გადასახადებისგან (Free Zones, 2018; აბსანძე, 2017; Hualing Group, თბილისის თავისუფალი ზონა).

თავისუფალი ტურისტული ზონები ფუნქციონირებს ქობულეთში, ანაკლიასა და განმუხურში. ამ ადგილებში მაღალი და საშუალო კლასის სასტუმროების ინვესტორები, რომლებიც ჩადებენ 1 მილიონ ლარზე მეტ თანხას, 15 წლის განმავლობაში აღარ იხდიან ქონებისა და მოგების გადასახადს. მიწის ნაკვეთი გადაეცემათ სიმბოლურ ფასად – 1 ლარად. ამას გარდა, სახელმწიფო უზრუნველყოფს შესაბამისი ინფრასტრუქტურის (გზების, წყლის, წყალარინების, ელექტროენერგიის მიწოდების) მოწყობას, ამ სასტუმროებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტის სტატუსის მინიჭებას და მშენებლობის ნებართვის გამარტივებული წესით გაცემას (საქართველოს კანონი თავისუფალი ტურისტული..., 2015).

თავისუფალი საინფორმაციო ტექნოლოგიური (იგივე ვირტუალური) ზონა დაარსდა თბილისში. რეგულაციების თანახმად, ამ ზონაში არ იბეგრება ადგილზე შექმნილი საინფორმაციო ტექნოლოგიები და პროგრამული უზრუნველყოფის პროდუქცია, საწარმოები გათავისუფლებულია ყოველგვარი სპეციალური რეგულაციებისაგან, მათ შორის ლიცენზიებისა და ნებართვების აღების ვალდებულებებისაგან (საქართველოს კანონი საინფორმაციო ტექნოლოგიური..., 2012).

მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ ასეთ ზონებს *ნაკლები სახგებელი* მოაქვთ ქვეყნის ცენტრალური ბიუჯეტისათვის და დადებითი ეფექტი, ძირითადად, ვლინდება ლოკალურ დონეზე, მეტწილად ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებაში. ექსპერტები ასევე აღნიშნავენ რისკებს, რომლებიც ახლავს თავისუფალი ეკონომიკური ზონების განვითარებას:

- თავისუფალი ეკონომიკური ზონა, ერთი მხრივ, ხელს უწყობს საინვესტიციო პროცესების გააქტიურებას, მაგრამ, მეორე მხრივ, საშეღავათო სისტემის არსებობის პირობებში, ადგილობრივი და უცხოელი ინვესტორებისთვის ქვეყანაში პრიორიტეტული ხდება თავისუფალი ეკონომიკური ზონა;
- თავისუფალი ეკონომიკური ზონის შექმნის შემდეგ აღნიშნული ტერიტორია რჩება ქვეყნის ეკონომიკური კონტროლის გარეთ და სახელმწიფო და ადგილობრივ ბიუჯეტს უმცირდება შემოსავალი; ასევე, არსებობს არალეგალური საქმიანობის, ფულის გათეთრებისა და კორუფციული გარიგებების წარმოების მაღალი ალბათობა (Hualing Group, 2015).

უცხოური ინვესტიციების დაბანდებას განვითარებად ქვეყნებში ხელს უწყობს მთელი რიგი საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებისა, როგორებიცაა მსოფლიო ბანკის ჯგუფში (WB group) შემავალი ორგანიზაციები. ისინი აქტიურად მოქმედებენ საქართველოშიც, მაგალითად: *ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა (European Bank for Reconstruction and Development (EBRD)* განახორციელა 198 პროექტი. მათი დაფინანსების საერთო მოცულობამ შეადგინა 3.630 მილიარდი ევრო, აქედან 77% კერძო სექტორში. ძირითადი მიმართულებებია: ენერგეტიკა, საფინანსო ინსტიტუტები, მრეწველობა, ინფრასტრუქტურა. *ოკეანისგაღმა ქვეყნებში კერძო ინვესტიციების კორპორაციამ აშშ-ში (Overseas Private Investment Corporation (OPIC)*, 2011 წლიდან ინვესტიციები ჩადო ჯანდაცვის სფეროში, კვების პროდუქტების სადისტრიბუციო და ღვინის წარმოების კომპანიებში, სასტუმროების, რესტორნების და სასწავლო დაწესებულებების მშენებლობა-განახლებაში; დააზღვია ევრაზიის საპარტნიორო ფონდის მიერ შენობის შეძენა (Active OPIC Projects, 2018). *აზიის ინფრასტრუქტურისა და ინვესტიციების ბანკმა (Asian Infrastructure Investment Bank (AIIB)* 2017 წელს საქართველოს გამოუყო 114 მილიონი დოლარის სესხი ბათუმის შემოვლითი გზის მშენებლობისათვის (AIIB, Georgia, 2017) და ა.შ.

კაპიტალური დაბანდებების წახალისების საპირისპიროდ პრაქტიკაში მოქმედებს სხვადასხვა სახისა და დონის შეზღუდვებიც უცხოურ ინვესტი-

ციებზე. იგი მეტწილად წარმოდგენილია არასაბაზრო ეკონომიკის და/ან განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში. ასეთი შეზღუდვები ხშირად ვრცელდება: კერძო საკუთრების დაშვებაზე, მიწის ფლობაზე, ფილიალების გახსნაზე, მოგების და/ან კაპიტალის გატანასა და მათ ვადებზე, უცხოელების მიერ პრივატიზებაზე ან ტენდერებში მონაწილეობაზე, უცხოური კერძო კაპიტალის შემოტანის ან/და გატანის რაოდენობაზე, დაბანდების ადგილებსა და/ან სფეროებზე, უცხოელი კადრების დასაქმებაზე და სხვ. ხდება სპეციალური ლიცენზიების, ნებართვების და სხვა „ბარიერების" დაწესება (Foreign Direct Investment; NAREAIT, 2018). მაგალითად, ბრაზილიაში ფასიანი ქაღალდებიდან მიღებული მოგების გატანა დასაშვებია მხოლოდ რამდენიმე თვის შემდეგ; ჩილეში შესაძლებელია უცხოური კაპიტალის ქვეყნიდან გატანის შეჩერება რამდენიმე წლით; ინდონეზიაში უცხოური ინვესტიციების განხორციელება დასაშვებია მხოლოდ სპეციალიზებულ ფონდებში, რომლებიც შემდგომში თვითონ განკარგავენ კაპიტალური დაბანდებების რეგიონულ და დარგობრივ პრიორიტეტებს და სხვ.

საქართველოში ***პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა*** 1996-2017 წლების პერიოდში 18.4 მილიარდ დოლარი შეადგინა. ბოლო ათწლეულში ჩადებულ ინვესტიციებში პრიორიტეტული მიმართულებები იყო ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა (22%-ამდე), ენერგეტიკა (11,4%) და დამამუშავებელი მრეწველობა (10,2%) (პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, 2018).

დღეისათვის არსებობს არაერთი სახელმწიფო, საერთაშორისო და კერძო ორგანიზაცია, რომლებიც პერიოდულად აქვეყნებენ ინფორმაციას სახელმწიფოებსა და რეგიონებში საინვესტიციო პირობების შესახებ (მსოფლიო ბანკი, საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია, საერთაშორისო სავალუტო ფონდი და სხვ.). ინვესტიციებისა და კრედიტების რისკების შეფასებებს აკეთებენ სარეიტინგო კომპანიები. მათი ინდექსების მიხედვით, საქართველო, ბევრი საშუალო შემოსავლების მქონე ქვეყნის მსგავსად, ფასდება როგორც ***რისკიანი (Speculative)*** და ექცევა თურქეთსა და რუსეთს შორის (2016-2018 წლების შეფასება) (Country comparison, 2017; Business Environment, 2017; Expropriation and Nationalisation, 2017).

ამრიგად, ბიზნესგარემო და საინვესტიციო კლიმატი არის სამეწარმეო საქმიანობის პირობები, რომლებიც შედგება მრავალი ურთიერთდაკავშირებული ფაქტორისაგან, ყალიბდება გარკვეული ტერიტორიის ფარგლებში და ახასიათებს დროში ცვალებადობა. მათი მნიშვნელობიდან გამომდინარე, სისტემატურად ხორციელდება ამ პირობების შეფასება და მონიტორინგი გლობალური, რეგიონული და ცალკეული ქვეყნის მასშტაბით. ასევე აღსანიშნავია, რომ როგორც ბიზნესგარემოს, ისე „საინვესტიციო კლიმატის" ფორმირებაში გადამწყვეტი როლი ენიჭება მოქმედ რეგულაციებსა და პოლიტიკას. შესაბამისად, სწორი სტრატეგიული მიმართულებების განსაზღვრა და მათი ეკონომიკური სტიმულირება არსებითად განაპირობებს ქვეყნის განვითარებას და მისი მოსახლეობის კეთილდღეობას.

კითხვები:

1. რა სხვაობაა ბიზნესგარემოსა და საინვესტიციო კლიმატის ცნებებს შორის?
2. რა უპირატესობებს და რისკებს შეიცავს თავისუფალი ეკონომიკური ზონა?

დავალება:

1. მოიძიეთ ინფორმაცია და დაახასიათეთ საქართველოში არსებული ერთ-ერთი თავისუფალი ეკონომიკური ზონა.
2. მოცემული ვებგვერდების მეშვეობით მოიძიეთ ინფორმაცია საქართველოში ბიზნესის კეთების შესახებ და შეადარეთ ისინი ერთმანეთს:

   The Economist. (2018). All Countries. http://country.eiu.com/AllCountries.aspx

   2018 Index of Economic Freedom. (2018). About The Index. https://www.heritage.org/index/about

   The Global Competitiveness Report 2017-2018 (2018). World Economic Forum. https://www.weforum.org/reports/the-global-competitiveness-report-2017-2018

გამოყენებული ლიტერატურა:

აბსანძე თ., რა აფერხებს საქართველოში თიზების განვითარებას? Forbs, 26.12.2017, ნანახია 2018 წლის 5 ივნისს, http://forbes.ge/news/3229/ra-aferxebs-Tizebis-ganviTarebas

ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება (DCFTA) საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტრო, 2018, ნანახია 2018 წლის 5 ივნისს, http://www.economy.ge/ge/dcfta

ნადირაძე ა., რამდენად მიზანშეწონილია ინვესტიციების დაცვის ორმხრივი ხელშეკრულებების დადება, 2013, ნანახია 2018 წლის 5 ივნისს, http://www.transparency.ge/blog/ramdenad-mizanshetsonilia-investitsiebis-datsvis-ormkhrivi-khelshekrulebebis-dadeba?page=1https:/

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2018, ნანახია 2018 წლის 5 ივნისს, http://www.geostat.ge/?action=page&p_id=2230&lang=geo

საქართველოს კანონი თავისუფალი ტურისტული ზონების განვითარების ხელშეწყობის შესახებ, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 2015, ნანახია 2018 წლის 5 ივნისს, https://matsne.gov.ge/ka/document/view/1073482

საქართველოს კანონი საინფორმაციო ტექნოლოგიური ზონების შესახებ, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 2012, ნანახია 2018 წლის 5 ივნისს, https://matsne.gov.ge/ka/document/view/1152405

Active OPIC Projects, 2018, ნანახია 2018 წლის 10 ივნისს, https://www.opic.gov/opic-action/active-opic-projects

AIIB, Georgia Sign Loan Agreement for Batumi Bypass Road Project. Asian Infrastructure Investment Bank, June 19, 2017, ნანახია 2018 წლის 5 ივნისს, https://www.aiib.org/en/news-events/news/2017/20170619_001.html

Business Environment. The World Bank, August 10, 2017, ნანახია 2018 წლის 5 ივნისს, http://www.worldbank.org/en/topic/investment-climate/brief/business-environment

Country comparison Turkey vs Georgia, 2017 ნანახია 2018 წლის 10 ივნისს, https://countryeconomy.com/countries/compare/turkey/georgia

Doing Business 2017 Equal Opportunity for All, A World Bank Group Flagship Report, 2017, ნანახია 2018 წლის 5 ივნისს, http://www.doingbusiness.org/~/media/WBG/DoingBusiness/Documents/Annual-Reports/English/DB17-Report.pdf

Doing Business 2018 Reforming to Create Jobs, A World Bank Group Flagship Report, 2018, ნანახია 2018 წლის 5 ივნისს, http://www.doingbusiness.org/~/media/WBG/DoingBusiness/Documents/Annual-Reports/English/DB2018-Full-Report.pdf

Economy RankingsThe World Bank, 2018, ნანახია 2018 წლის 10 ივნისს, http://www.doingbusiness.org/rankings

Expropriation and Nationalisation. Global Arbitration Review, 2017, ნანახია 2018 წლის 10 ივნისს, https://globalarbitrationreview.com/chapter/1142558/expropriation-and-nationalisation

Georgia Renks 7th in the World for Ease of Doing BusinessThe World Bank, 2019, ნანახია 2018 წლის 10 ივნისს, https://www.worldbank.org/en/news/press-release/2019/10/24/georgia-ranks-7th-in-the-world-for-ease-of-doing-business-says-latest-world-bank-study

Foreign Direct Investment in Developing Countries. IMF, ნანახია 2018 წლის 10 ივნისს, https://books.google.com.cy/books?id=X4Yeg3CPcEsC&pg=PA31&lpg=PA31&dq=capital+ repatriation+regulations+by+countries&source=bl&ots=pZyHGWE45A&sig=fws9dzJnMbGjHS27IpoPj8yjNOk&hl=en&sa=X&redir_esc=y#v=onepage&q=capital%20repatriation%20regulations%20by%20countries&f=false

Free Zones in Georgia. NoMoreTax, 2018), ნანახია 2018 წლის 10 ივნისს, http://www.nomoretax.eu/free-zones-georgia/

Hualing Group, 2015, ნანახია 2018 წლის 10 ივნისს, http://hualing.ge/language/ka/ჰუალინგის-თავისუფალი-ინდ/ თბილისის თავისუფალი ზონა 2015, ნანახია 2018 წლის 10 ივნისს, http://www.tfz.ge/ka/510

NAREAIT: Total Return data, 2018, ნანახია 2018 წლის 10 ივნისს, https://www.reit.com/investing/reit-basics/reit-financial-benefits/reits-and-investment-performanc

Rijvadze T., The Investment Laws of Georgia: Key FDI Driver or Irrelevance?. The 3-rd International Academic Conference on Social Sciences. Istanbul, Turkey, 2015, ნანახია 2018 წლის 10 ივნისს, http://socscienceconf.com/admin/editor/uploads/files/Tornike%20Rijvadze.pdf

5.1.8. ტუიზმი და ჰეკჰეაციუღი მეუჰნეობა

საქართველო ტურიზმის ტრადიციული ქვეყანაა. მის შედარებით მცირე ტერიტორიაზე გვხვდება დედამიწაზე არსებული ლანდშაფტების უმეტესობა – დაწყებული ტენიანი სუბტროპიკებითა და თბილი ზღვით (დასავლეთ საქართველოში), დამთავრებული ნახევარუდაბნოებით (ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილში) და მარადი თოვლითა და მყინვარით დაფარული მთებით. ბუნებრივი ლანდშაფტების ასეთი მრავალფეროვნების მონახულება რამდენიმე დღის განმავლობაშია შესაძლებელი.

რეკრეანტთა განსაკუთრებული მოზღვავება საბჭოთა პერიოდის ბოლოს დაფიქსირდა: 1980-იანი წლების მიწურულს ხუთმილიონიან ქვეყანაში დაახლოებით 4,5 მლნ. ტურისტი ჩამოვიდა (Павлиашвили, 1989, 6).

მთავარი მიმზიდველი ფაქტორი ქვეყნის მრავალფეროვანი *ტუისტუღ-ჰეკჰეაციუღი ჰესუჰსებია.* ტურისტულ-რეკრეაციულ რესურსებს მიეკუთვნება *ბუნებჰივი და ანთჰოპოგენუჰი ობიექტები და მოვღენები, ჰომღებიც განსაზღვჰუღი ღჰოის განმავღობაში გამოიყენება ადამიანთა დასვენებისა და გაჰთობის ოჰგანიზებისთვის.*

კღიმატუჰი ჰესუჰსი ერთ-ერთი ძირითადი სამკურნალო-პროფილაქტიკური ფაქტორია. რეკრეაციის მრავალი სახეობა (გარუჯვით დაწყებული და ლარული სამთო კლიმატური და ბალნეოკლიმატური კურორტები: *ბოჰჯომი, საიჰმე, წაღვეჰი, ოქჰოყანა, სუჰამი, წავკისი, წყნეთი, აბასთუმანი, კიკეთი, კოჯოჰი, მანგღისი, ბახმაჰო, ბაკუჰიანი (ჰუკა 1).*

წყლის ობიექტებთან (ზღვა, ტბა, წყალსაცავი, მდინარე) დასვენება და გართობა მრავალი ტურისტის საყვარელი საქმიანობაა. ამ ჩამონათვალში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ზღვას. საქართველოს შავი ზღვის სანაპიროს სიგრძე 310 კმ-ია. ზაფხულის თვეებში ზღვის წყლის ტემპერატურა ბათუმსა და სოხუმში 22°C-დან 26°C-მდე მერყეობს, მაშინ, როდესაც ბალტიის ზღვის ანალოგიური მაჩვენებელი რიგაი 14°C-დან 18°C-მდე იცვლება (Sea Temperature Info, 2018), ხოლო ყირიმის სანაპიროზე 22-23°C-ია. სანაპირო თითქმის მთელ სიგრძეზე, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა (ციხისძირი-მახინჯაურის, ხოლოდნაია რეჩკა-გაგრა, ზემო და ქვემო ეშერის მონაკვეთები), ფართო პლაჟებითაა წარმოდგენილი. ქარების რეჟიმისა და ღელვის მიხედვით, საქართველოს აკვატორია შედარებით მშვიდია. გაბატონებული ქარების გამო ღელვა იშვიათად აღემატება 3 ბალს. უსაფრთხოა იქთიოფაუნაც (საქართველოს გეოგრაფია, 2013, 100); ამას ემატება ზღვისა და მთის პეიზაჟების შეხამებით წარმოქმნილი შესანიშნავი ესთეტიკური რესურსები, მდიდარი სუბტროპიკული მცენარეულობა, რაც კიდევ უფრო მიმზიდველს ხდის ქვეყნის სანაპირო ზოლს. აღსანიშნავია, რომ მდინარეებს – სუფსასა და ნატანებს – შორის არსებული პლაჟების ქვიშა 4%-მდე მაგნეტიტს შეიცავს, რომელსაც სამედიცი-

საქართველოს კურორტები
თბილისის საკურორტო ზონა
ბორჯომის საკურორტო ზონა
ეგრისი
ბაკურიანი
ციხისძირი
ბაკუჰიანი
ბაბანეული
ბაბანეული
ბაბანეული

ნო დანიშნულება აქვს ბავშვებში საყრდენ-მამოძრავებელი სისტემის დაავადებების სამკურნალოდ (Элизбарашвили, Гонгладзе, 1980, 195).

პოპულარული საზღვაო კურორტები განლაგებულია აფხაზეთის *(გაგრა, სოხუმი, ბიჭვინთა, ახალი ათონი)*, აჭარისა *(ქობულეთი, ბათუმი, მწვანე კონცხი)* და გურია-სამეგრელოს *(უჩეკი, გჩიგოლეთი, ანაკლია)* სანაპირო ზოლებში. საქართველოში, ექსპერტების ვარაუდით, მასობრივი ბანაობისთვის ხელსაყრელ დღეთა რაოდენობა 130-ის ფარგლებშია (Корнилова, 1979, 51) და საბანაო სეზონი მაისის შუა რიცხვებიდან ოქტომბრამდე გრძელდება.

საქართველო *მტკნარი წყლის* რესურსებით მდიდარი ქვეყანაა. მდინარეები, ტბები, წყალსაცავები მნიშვნელოვანი ტურისტულ-რეკრეაციული რესურსია და წლის თბილ პერიოდში საკმაოდ აქტიურად გამოიყენება მოსახლეობისა და ტურისტების დასვენება-გაჯანსაღებისთვის. ტბების ტურისტულ-რეკრეაციულ რესურსად განხილვის დროს გასათვალისწინებელია მათი მდებარეობა, კერძოდ, სიახლოვე ტურისტულ-რეკრეაციული მოთხოვნილების ჩამოყალიბების ძირითად რაიონებსა და ქალაქებთან. ტურისტულ-რეკრეაციული მიზნებისთვის ქვეყანაში აქტიურად გამოიყენება *ხიწის, პალიასტომის, ბაზალეთის, ღისის, კუს ტბები*. მთათაშორის ბარში, ტბების ნაკლებობის გამო, ბოლო ხანებში საპლაჟე-საბანაო დასვენებისთვის სულ უფრო აქტიურად იყენებენ წყალსაცავებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია რამდენიმე მათგანი, მაგალითად, დედაქალაქის ფარგლებში არსებული *„თბილისის ზღვა“*, თბილისიდან 2-საათიანი მისადგომობის ზონაში – *სიონისა* და *ჟინვალის* წყალსაცავები, ასევე *შაორის* ულამაზესი წყალსაცავი რაჭაში. საქართველოს მდინარეების უმეტესობა მაღალ მთებში იღებს სათავეს, ზემო წელში დინება სწრაფი და ბობოქარია, რაც შესაძლებელს ხდის მათი *ჯომახდობისთვის* გამოყენებას, როგორც მოყვარულთათვის, ისე პროფესიონალებისთვის. რაფტინგისთვის უკვე ათვისებული უბნებია *მდ. მტკვარზე ბოჰჯომის ხეობა, მდ. ფშავისა და მთიულეთის არაგვის მონაკვეთები*. ბოლო ხანებში ფეხს იკიდებს ასევე კანიონინგი გურიის მდინარე ბჟუჟზე.

საქართველოში უძველესი დროიდან სარგებლობდნენ აქ არსებული მრავალფეროვანი ***ბალნეოლოგიური ხესურსებით*** (მინერალური წყლები და სამკურნალო ტალახები). ქვეყანაში 2 ათასზე მეტი მინერალური წყაროა შესწავლილი (საერთო დებიტი 130 მლნ ლ/დღე-ღამეში), რომლებიც, განსხვავებული შემადგენლობისა და სამკურნალო ჩვენებების გამო, ფართო სპექტრის დაავადებების სამკურნალოდ გამოიყენება. მინერალური წყლების რაოდენობითა და ჩამონადენის მოდულით (წყლის დღეღამური რაოდენობა ტერიტორიის 1 კმ^2-ზე) გამოირჩევა *ყაზბეგის, ბოჰჯომის მუნიციპალიტეტები* და *წყალტუბო* (Павлиашвили, 1989, 31).

სამკურნალო ტალახები, იგივე *პელოიდები* (ბერძნ. pelos – თიხა, ტალახი) სხვადასხვა წყალსატევისა თუ ჭაობების ნალექი, ან ტალახის ვულკანებიდან ამოფრქვეული ბუნებრივი მასაა, რომელიც შემთბარი სახით სამკურნალოდ გამოიყენება. საქართველოში ორი კურორტი *(ახტალა და კუმისი)* გამოირჩევა იქ არსებული სამკურნალო ტალახებით, რომლებსაც ფართოდ იყენებენ პელოიდოთერაპიაში.

ტყეს ადამიანი უძველესი დროიდან იყენებდა რეკრეაციული მიზნებისთვის. ამ რესურსებს განსაკუთრებული დატვირთვა აქვთ ქვეყნის სამხრეთ რეგიონებში. წიწვიანი მცენარეების მიერ გამომუშავებული ნივთიერებები – *ფიტონციდები*[2] ჰაერს ასუფთავებენ მტვრისა და სხვა მავნე ნივთიერებებისგან, მნიშვნელოვნად ამცირებენ და თრგუნავენ დაავადებათა გამომწვევ ბაქტერიებს (მათ შორის ტუბერკულოზის ჩხირებს). თანაბარ ფართობებზე არსებული წიწვოვნები, ფოთლოვნებთან შედარებით, 2,5-ჯერ მეტ ფიტონციდებს გამოიმუშავებენ (Чаклин А., 1987, 140-141).

საქართველოს ეროვნული სატყეო სააგენტოს მონაცემებით, ტყეების საერთო ფართობი 3 მლნ. ჰექტრის ფარგლებშია, რაც ტერიტორიის 43%-ს შეადგენს. ტყეები ქვეყნის ტერიტორიაზე არათანაბრადაა განაწილებული. მათი ძირითადი ნაწილი კავკასიონის სამხრეთ ფერდობებზეა განლაგებული. შემადგენლობით ტყეების უმეტესობა ფართოფოთლოვანი ჯიშებისგან შედგება (საქართველოს სატყეო ეროვნული სააგენტო, 2018). ტყიანობის მაჩვენებლით გამოირჩევა *გაგრის, ბაღდათის, ხახაგაულის, ქედის, შუახევის, სოხუმის, ხელვაჩაურის, ამბროლაურის, ქობულეთის, წალენჯიხის, ცაგერისა* და *ტყიბულის* მუნიციპალიტეტები, სადაც ტყიანობის კოეფიციენტი 60%-ს აღემატება. სამწუხაროდ, დღეისათვის მიმდინარეობს ტყეების უკონტროლო, დაუნდობელი გაჩეხვა. კერძოდ, კოლხური ტყეების უმეტესობა გაჩეხილია და ისინი მხოლოდ დაცულ ტერიტორიებზეა შემორჩენილი.

მსოფლიოში გარემოს შენარჩუნების მიზნით იქმნება ***დაცული ტერიტორიები.*** საქართველოში დაცული ტერიტორიების 5 კატეგორია არსებობს *(სახელმწიფო ნაკრძალი, ეროვნული პარკი, აღკვეთილი, ბუნების ძეგლი და დაცული ландშაფტი)*, რომელთა საერთო ფართობი 520,8 ათასი ჰექტარია, რაც ქვეყნის ტერიტორიის 8,6%-ს შეადგენს (საქართველოს დაცული ტერიტორიების სააგენტო, 2020).

კარსტული სიღრუეების არსებობა მნიშვნელოვნად ზრდის საქართველოს ტურისტული რეგიონების მიმზიდველობას. დღეს ტურისტის მოტივაციის გათვალისწინებით, მიწისქვეშა სამყაროს ათვისების შემდეგი მიმართულებები გამოიყოფა: *ექსტრე-*

[2] ფიტონციდი (ბერძ. phyton – მცენარე და ლათ. caedo – მოკვლა) – აქროლადი ნივთიერებები, რომლებსაც უმაღლესი მცენარეები გამოიმუშავებენ.

მაღუხი, შემეცნებითი და *სამკუხნაღო.* სამკურნალო ფაქტორად გამოიყენება მღვიმეში არსებული თერმოტენიანობის უცვლელი ძირითადი პარამეტრები, მუდმივი ბარომეტრული ველი, იონიზაციის მომატებული ფონი და ჰაერის ბუნებრივი რადიაქტიურობა; ასევე, ჰაერის იდეალური სისუფთავე, სიჩუმე, პათოგენური მიკრობებისა და ალერგენების თითქმის სრული არარსებობა, ეგზოტიკური პეიზაჟების სიუხვე და სხვ. ბუნებრივი მღვიმეების უმეტესი ნაწილი დასავლეთ საქართველოშია (იმერეთში, სამეგრელოსა და აფხაზეთში) თავმოყრილი.

შემეცნებითი მიზნით 1980-იანი წლების ბოლომდე, გამოიყენებოდა ახალი ათონისა და სათაფლიის მღვიმეები. სათაფლიის პოპულარობის ზრდას ხელს უწყობს იქ აღმოჩენილი დინოზავრების ნაკვალევი (სათაფლია). ამჟამად წყალტუბოს მუნიციპალიტეტში ტურისტულ-შემეცნებითი მიზნით, საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, მოწყობილია *სათაფლიისა* და *ყუმისთავის* (პრომეთეს) მღვიმეები, ხოლო სპელეოთერაპიისთვის გამიზნულია *საწუხბღიას* მღვიმე.

თოვღი და მთის ღანდშაფტები დასვენების ზამთრის სახეობებისთვის აუცილებელი რესურსია. საქართველო, ძირითადად, მთიანი ქვეყანაა და მისი ტერიტორიის 75% ზღვის დონიდან 500 მ-ის ზემოთ მდებარეობს. მდგრადი თოვლის საფარის ზონა 500-700 მ-იდან იწყება. საშუალო და მაღალმთიან ზონაში იგი ეხამება შესაფერის რელიეფს, მზის ნათების საათების დიდ რაოდენობას, ჰავის პირობებს.

საქართველოში სამთო-სათხილამურო კომპლექსების გაშენებისთვის საუკეთესო პირობებია *ბაკუხიანსა* და *აბასთუმანში, სვანეთსა* და *თუშეთში.* ამ რესურსების გამოყენება რამდენიმე უბანზე ხდება: ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სამთო-სათხილამურო კომპლექსია *გუდაუხი,* რომელიც ფართოვდება კობის მიმართულებით. მესტიაში უკვე ფუნქციონირებს ტურისტული ცენტრი *ჰაწვაღი,* რომელიც განკუთვნილია, ძირითადად, დამწყები მოთხილამურეებისთვის და *თეთნუღდი,* სადაც იქმნება მაღალი სირთულის ტრასებიც; ის სამხრეთ კავკასიის მნიშვნელოვან სამთო-სათხილამურო ბაზად ყალიბდება. *გოდეხძის უღეღტეხიღზე* (ხულოს მუნიციპალიტეტი) უკვე ფუნქციონირებს საბაგირო და სასტუმრო; ამ ტერიტორიის ათვისება გრძელდება. რაც შეეხება *ბახმახოს,* ავსტრიელმა ექსპერტებმა შეისწავლეს ტერიტორია და ვარაუდობენ, რომ მოხერხდება კურორტზე სპორტის ზამთრის სახეობების განვითარება.

ზემოთ აღნიშნული მრავალფეროვანი ბუნებრივი რესურსების ბაზაზე, კანონით „ტურიზმის და კურორტების შესახებ“ და პრეზიდენტის ბრძანებულებით (N655, 22.07.2005), საქართველოში გამოყოფილია 103 კურორტი და 180-ზე მეტი საკურორტო ადგილი, თუმცა ამჟამად მათ შორის ზღვარი პირობითია. იმავე კანონში ***კუხოხტი*** განმარტებულია როგორც სამკურნალო რესურსების მქონე ადგილი, რომელიც ფლობს შესაბამის ინფრასტრუქტურას, ხოლო ***საკუხოხტო ადგიღი*** არის სამკურნალო რესურსების მქონე ტერიტორია შესაბამისი ინფრასტრუქტურის გარეშე. დღევანდელი მდგომარეობით, რიგი საკურორტო ადგილებისა ფლობს გამართულ ინფრასტრუქტურას, თუმცა კანონით მიღებულ სიაში ისინი არ ფიგურირებენ. ამის ნათელი მაგალითებია: გუდაური, მესტია, გოდერძი, ლოპოტა, სარფი, კვარიათი, გონიო. ამდენად, ყურადღებით გადასახედია კურორტებისა და საკურორტო ადგილების ნუსხა და მასში შესაბამისი ცვლილებებია შესატანი (ნეიძე, პავლიაშვილი, თუთბერიძე, 2017, 66).

ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების მეორე მნიშვნელოვანი მდგენელია ***ანთროპოგენური ტურისტულ-რეკრეაციული*** რესურსები, რომლებიც წარმოადგენს საზოგადოების განვითარების პროცესში ადამიანის მიერ შექმნილ მემკვიდრეობას. მათ განსაკუთრებული შემეცნებითი და აღმზრდელობითი ფუნქცია აქვთ.

ძირითადი მიზნებიდან გამომდინარე, ანთროპოგენური ტურისტულ-რეკრეაციული რესურსები იყოფა: *ისტორიულ, არქეოლოგიურ, ქალაქ-მშენებლობისა* და *არქიტექტურის, დოკუმენტურ* და *ხელოვნების* ძეგლებად. ანთროპოგენურ ტურისტულ-რეკრეაციულ რესურსებს განეკუთვნება ასევე ტურისტებისთვის საინტერესო სასოფლო-სამეურნეო თუ სამრეწველო ობიექტები, თემატური პარკები, ქართული სამზარეულო და მასთან დაკავშირებული ფესტივალები (ღვინის, ყველის), ადგილობრივი ტრადიციული კუსტარული ნაწარმი, სოფლის დღეობები, ფოლკლორის ნიმუშები და ა.შ.

საქართველოში 15 ათასამდე ისტორიული ძეგლია. იუნესკომ მსოფლიო კულტურის მატერიალურ და არამატერიალურ ძეგლთა ნუსხაში რამდენიმე ქართული შედევრი შეიყვანა: მატერიალური ძეგლებიდან – მცხეთა, გელათი, სოფ. ჩაჟაში, ხოლო არამატერიალურიდან – ქართული მრავალხმიანობა, ქვევრის ღვინის დაყენების უძველესი ქართული ტრადიციული მეთოდი, ქართული ანბანის სამი სახეობა და ქართული ჭიდაობა (UNESCO, „Georgia“, 2018).

საქართველოში ტურისტული და რეკრეაციული მეურნეობის განვითარებას, რომელიც ქვეყნის ეკონომიკის მნიშვნელოვან მიმართულებად იქცა, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია კურირებს. ადმინისტრაციის მონაცემებით, 2017 წელს დარგიდან მიღებულმა შემოსავალმა 2,75 მლრდ აშშ-ის დოლარს მიაღწია, რაც მთლიანი შიდა პროდუქტის 6,9%-ს და ქვეყნის მომსახურების ექსპორტიდან მიღებული შემოსავლის 68%-ს შეადგენს. შედარებისთვის, 2016 წელს მშპ-ში ტურიზმის წილის საშუალო მაჩვენებელი მსოფლიოში 10,2% იყო, პოპულარული ტურიზმის სხვა ქვეყნებში კი ასე გამოიყურებოდა: საბერძნეთი – 18,6%, პორტუგალია – 16,6%, ესპანეთი – 14,2%, თურქეთი – 12,5%, იტალია – 11,1%, საფრანგეთი – 8,9%, აშშ – 8,1% (Travel and

Tourism, Econonmic Impact, 2017, 12). ერთი ვიზიტორი საქართველოში საშუალოდ 889 ლარს ხარჯავს (საქართველოს ტურიზმის სტატისტიკური მიმოხილვა, 2017, 3, 11, 20).

ბოლო წლებში სწრაფი ტემპით ვითარდება ჩვენი ქვეყნის ტურიზმისთვის აქამდე უცხო სახეობები – *საქმიანი, სათავგადასავლო, ეკოლოგიური, ექსტრემალური* და სხვ.

ცხრილი 1-იდან ჩანს, რომ ტურისტების რაოდენობა საქართველოში განუხრელად იზრდება. ყველაზე მეტი ტურისტი ჩამოდის მეზობელი ქვეყნებიდან (რუსეთი, აზერბაიჯანი, თურქეთი, სომხეთი) (ცხრილი 2). უკანასკნელ ხანებში, სავიზო რეჟიმის გამარტივების გამო, მკვეთრად გაიზარდა ვიზიტორების რიცხვი აზიის ქვეყნებიდან – ირანიდან, ისრაელიდან, ყაზახეთიდან.

ცხრილი 1

საერთაშორისო მოგზაურობების დინამიკა საქართველოში

	2015	2016	2017	ცვლილება, 2016-2017, %
საერთაშორისო მოგზაურები	6, 305, 635	6, 719, 975	7, 902, 509	17, 6
საერთაშორისო ვიზიტორები	5, 255, 999	5, 392, 816	6, 482, 830	20, 2
მ.შ. ტურისტები	3, 011, 663	3, 297, 275	4, 069, 354	23, 4
ერთდღიანი ვიზიტორები (ექსკურსანტები)	2, 244, 336	2, 095, 541	2, 413, 476	15, 2
სხვა (არატურისტული) მოგზაურები	1, 049, 636	1, 327, 159	1, 419, 679	7

წყარო: *საქართველოს ტურიზმის სტატისტიკური მიმოხილვა, 2017, 6*

2017 წლის სტატისტიკურ მონაცემებში პირველად გამოჩნდა ჩანაწერი საქართველოში დაბადებულ, მაგრამ ამჟამად უცხოეთში მცხოვრებ და ქვეყანაში დროებით ჩამოსულთა რაოდენობის შესახებ, რომელმაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელი შეადგინა – 404,584. ამ კატეგორიის ადამიანები ცხრილში მე-5 პოზიციას იკავებენ.

უცხოელი ტურისტების ვიზიტის *მოტივაციაში* რამდენიმე მიზეზი გამოიკვეთა: საქართველოში შვებულების გატარების (37,7%), ნათესავებისა და მეგობრების მონახულების (22,2%), შოპინგის (9,5%), პროფესიული საქმიანობისა (8,2%) და მკურნალობის (2,7%) სურვილი. ტურისტების ქვეყანაში დარჩენის საშუალო ხანგრძლივობამ 4 ღამე შეადგინა. მეზობელი ქვეყნებიდან ჩამოსულები ნაკლები დროით რჩებიან, გამონაკლისს შეადგენენ რუსი ტურისტები, რომლებიც საშუალოზე მეტ – 6 ღამეს ათევენ აქ (საქართველოს ტურიზმის სტატისტიკური მიმოხილვა, 2017, 11).

ყველაზე მოთხოვნადი მიმართულებებია: დედაქალაქი *თბილისი,* რომელსაც საერთაშორისო ტურისტების 50% სტუმრობს; მას 30%-ით მოსდევს აჭარის ზღვისპირა კურორტი *ბათუმი* (საქართველოს ტურიზმის სტატისტიკური მიმოხილვა, 2017, 11). აღსანიშნავია, რომ მეზობელი ქვეყნებიდან (რუსეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი) ჩამოსულ ტურისტებს, ძირითადად, ზღვის სანაპიროზე დასვენება იზიდავთ, სხვა ვიზიტორებს კი – კულტურული, ღვინის ტურიზმი და ქვეყნის ბუნების ესთეტიკური რესურსებით ტკბობა.

ცხრილი 2

საერთაშორისო ტურისტების გენერატორი 10 მოწინავე ქვეყანა

		2016	2017	საერთაშორისო ვიზიტორების წილი, %	ცვლილება, %
1.	რუსეთი	607, 666	825, 437	15, 7	35, 8
2.	აზერბაიჯანი	510, 771	608, 682	11, 6	19, 2
3.	თურქეთი	557, 303	547, 983	10, 4	-1, 7

4.	სომხეთი	404, 497	466, 449	8, 9	15, 3
5.	საქართველო (არარეზიდენტები)	378, 404	404, 584	7, 7	6, 9
6.	ირანი	124, 864	273, 842	5, 2	119, 3
7.	უკრაინა	131, 835	147, 389	2, 8	11, 8
8.	ისრაელი	83, 451	112, 827	2, 1	35, 2
9.	პოლონეთი	40, 671	47, 604	0, 9	17
10.	ყაზახეთი	38, 194	43, 699	0, 8	14, 4

წყარო: *საქართველოს ტურიზმის სტატისტიკური მიმოხილვა, 2017, 9*

როგორც მსოფლიოს ყველა რეგიონში, კოვიდ 19 პანდემიამ საქართველოშიც უდიდესი ზიანი მიაყენა ტურიზმის ინდუსტრიას. 2020 წლისთვის საერთაშორისო ვიზიტორთა რაოდენობა ქვეყანაში 80,5 % შემცირდა (ცხრილი 3). საქართველოს ხელისუფლებას სერიოზული ძალისხმევა დასჭირდება, რათა ეკონომიკის ამ სექტორში სასურველ ნიშნულს დაუბრუნდეს და, იმავდროულად, საერთაშორისო ვიზიტების აღმავალ დინამიკას მიაღწიოს.

ცხრილი 3

ტურიზმის სტატისტიკა მსოფლიოს რეგიონებსა და საქართველოში კოვიდ 19 პანდემიის პირობებში (2018-2019 და 2020 წლები)

რეგიონი/ქვეყანა	საერთაშორისო ტურისტთა რაოდენობა მსოფლიოს რეგიონებში (მლნ.) და საქართველოში (ათასი)			საერთაშორისო ტურისტთა რაოდენობის ცვლილება (%)	
	2018	2019	2020	2019/2018	2020/2019
ევროპა	716,3	746,3	235,1	4,2	-68,5
ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკა	216	219,3	69,7	1,5	-68,2
აზია და ოკეანეთი	346,5	360,4	57,1	4	-84,1
ახლო აღმოსავლეთი	65,5	70	18,2	6,8	-74
აფრიკა	68,7	70,1	18,2	2	-74
საქართველო	600,3	643,8	126,1	7,2	-80,5

წყარო: *შედგენილია ავტორის მიერ საქსტატისა და World Tourism Barometer მონაცემების მიხედვით*

ტურისტების ეფექტიანი მომსახურებისთვის მნიშვნელოვანია საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბება. ამ მხრივ ვიზიტორების მომსახურებისთვის ძალზე მნიშვნელოვანია ტრანსპორტის სხვადასხვა სახეობის გამართული ფუნქციონირება. ტურისტების უმეტესობა საქართველოში *საავტომობილო* და *საჰაერო ტრანსპორტით* ჩამოდის. მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ქვეყნის მთავარი ავტომაგისტრალის ძირითად უბნებზე ბეტონისსაფარიანი ავტომაგისტრალია მოწყობილი, რომლის სიგრძე ყოველწლიურად იზრდება. 2018 წელს მწყობრში ჩადგა ქობულეთის შემოვლითი ავტოგზა, რომელმაც გაამარტივა და დააჩქარა ბათუმამდე ჩასვლა. რიკოთის უღელტეხილის სარკინიგზო მაგისტრალზე ხორციელდება მნიშვნელოვანი უბნების რეკონსტრუქცია, შენდება ახალი გვირაბები; თანდათან განახლდება რკინიგზის ხაზები, მოხდება ცალმხრივ მოძრაობაზე გადასვლა და გაიზრდება მატარებლების მოძრაობის სიჩქარე. შედეგად, ზაფხულის სეზონზე დაჩქარდება საზღვაო კურორტებზე ჩასვლა და თბილისი-ბათუმის კომფორტული მატარებელი ამ მანძილს, სავარაუდოდ, 4 საათში დაფარავს. დღეისათვის საქართველოს რკინიგზა, არსებული პოლიტიკური სიტუაციიდან გამომდინარე, მხოლოდ ქვეყნის ფარგლებში და სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებში ახდენს მგზავრთა გადაყვანას. საბჭოთა კავშირის დაშლამდე უამრავი

ტურისტი რუსეთიდან სწორედ რკინიგზით შემოდიოდა, რომელიც დღეს საავტომობილო და საჰაერო ტრანსპორტმა ჩაანაცვლა.

ბოლო წლებში მნიშვნელოვანი ცვლილებები ხდება *ავიატრანსპორტის* განვითარების მიმართულებითაც: საქართველოს საჰაერო ბაზარზე შემოვიდა ახალი ტიპის დაბალფასიანი ავიახაზები (Wizz Air, Pegasus, Air Arabia, Air Arabia Jordan, Flynas და Pobeda Airlines). ძალზე მნიშვნელოვანია, რომ ინიშნება ახალი, პირდაპირი რეისები ქუთაისის დავით აღმაშენებლის სახელობის აეროპორტიდან პოპულარული ტურისტული ადგილებისაკენ (2018 წლის გაზაფხულიდან ბრატისლავის, ბერლინის, ბარსელონის, ბრიუსელის, ბოლონიის, კელნის, პარიზის მიმართულებებით), და პირიქით. ახალი ფრენები მგზავრებისთვის მოსახერხებელ დღის მონაკვეთში ხორციელდება (საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტო, 2018). ქვეყანაში სამი საერთაშორისო (თბილისის, ბათუმისა და ქუთაისის) აეროპორტი ფუნქციონირებს. ზაფხულის სეზონზე მნიშვნელოვანია მესტიის თამარ მეფის სახელობის ადგილობრივი აეროპორტის მუშაობაც. საქართველოში ცნობილი ავიაკომპანიები ახორციელებენ ფრენებს, როგორებიცაა: სამამულო Georgian Airways, უცხოური Luftansa, LOT Polish Airlines, Turkish Airlines, Wizz Air Hungary, EL AL Israel Airlines, Aegean Airlines, Ellinair, Air Baltic, Arkia, China Southern Airlines, Ukraine International Airlines, FlyDubai, Aeroflot და სხვ.

2017 წელს საქართველოს აეროპორტები 4 მლნ.-ზე მეტ მგზავრს მოემსახურა, რაც წინა წლის მაჩვენებელს 43%-ით აღემატება. ბუნებრივია, ყველაზე მეტი მგზავრი თბილისის აეროპორტში დაფიქსირდა (3,2 მლნ.), მგზავრთა დაახლოებით თანაბარმა რაოდენობამ ისარგებლა ბათუმისა და ქუთაისის აეროპორტებით (496 ათასი და 405 ათასი, შესაბამისად), ხოლო მესტიის აეროპორტში მხოლოდ 7 ათასმა მგზავრმა იფრინა, თუმცა სწორედ ამ აეროპორტმა აჩვენა ყველაზე მაღალი მატება (72%) წინა წელთან შედარებით (საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტო, 2018). სამწუხაროდ, 2020 წელს მსოფლიოში კოვიდ 19-ის პანდემიით გამოწვეული კრიზისი მგზავრთნაკადების მკვეთრად შემცირებული დინამიკით, საქართველოს ტურიზმის სტატისტიკაზეც აისახა (ცხრილი 4).

საქართველოში ტურისტების მომსახურებისთვის საწყლოსნო ტრანსპორტიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს. ბოლო წლებში აჭარაში ხდება *საკრუიზო ტურიზმის* აღორძინება, ბათუმის პორტში ზაფხულის სეზონზე სხვადასხვა ქვეყნიდან ათეულობით საკრუიზო გემი შემოდის, როგორებიცაა: „Riviera“, „Amadeus“, „Island Sky“, „Albatros“, „Silver Wind“, „Minerva“, „Spirit of Adventure“, „Regatta“, „Princess Daphne“. 2013 წელს აჭარას 16 საკრუიზო გემით 5162 ტურისტი ეწვია. თუკი მოხდება ბათუმის პორტის რეკონსტრუქცია ისე, რომ მან შეძლოს დიდი საკრუიზო ლაინერების მიღება, მნიშვნელოვნად გაიზრდება ტურისტების რაოდენობა (აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი, 2018, საკრუიზო ტურიზმის ხიბლი და პრობლემები).

ცხრილი 4

საჰაერო ტრანსპორტით გადაყვანილ მგზავრთა რაოდენობა (ათასი)

აეროპორტის დასახელება	2010	2015	2016	2017	ცვლილება 2017-2016 %	2019	2020	ცვლილება 2020-2019 %
თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის აეროპორტი	822,7	1847,1	2252,5	3164,1	40,5	3692,1	590,1	-84
ბათუმის საერთაშორისო აეროპორტი	88,6	226,5	312,3	495,7	58,7	873,6	183,8	-79
ქუთაისის დავით აღმაშენებლის სახელობის საერთაშორისო აეროპორტი	7,7	182,9	271,4	405,2	49,3	624,1	51,4	-92
მესტიის თამარ მეფის სახელობის აეროპორტი	0,05	4,5	4,2	7,2	72,2	8,6	3,1	-63
ამბროლაურის აეროპორტი	_	_	_	_	_	2	1,2	-38
სულ	918,8	2261,0	2840,5	4073,9	43,4	5209,5	833,8	-84

წყარო: *შედგენილია ავტორის მიერ საქსტატისა და World Tourism Barometer მონაცემების მიხედვით*

საქართველოში ***სასტუმროებისა და მსგავსი ტიპის განთავსების ობიექტებისა*** და მათში ადგილების რაოდენობა წლიდან წლამდე მნიშვნელოვნად იზრდება (ცხრილი 5).

1980-იანი წლების მიწურულს საქართველოში 500-ამდე დასასვენებელი დაწესებულება არსებობდა 120 ათასამდე საწოლით (Рекреационные ресурсы Грузии и проблемы их рационального

использования, 1991, 631). დღეისათვის განთავსების საშუალებების რაოდენობა 4,5-ჯერ მეტია, თუმცა მათში საწოლების რაოდენობა მაშინდელი ტევადობის მხოლოდ 70%-ს შეადგენს.

2018 წელს საქართველოში რეგისტრირებულია 2342 განთავსების ობიექტი, რომელთა საერთო ტევადობა 84 ათასის ფარგლებშია. სასტუმროებისა და მათში ადგილების რაოდენობით გამოირჩევა აჭარა (შესაბამისად: 474 სასტუმრო და 25842 საწოლი) და თბილისი (453 და 19386). აღსანიშნავია, რომ ქვეყანაში მოქმედი 26 ბრენდული სასტუმროდან 20 (80%) თბილისსა და ბათუმშია განთავსებული (12 და 8 ერთეული, შესაბამისად), დანარჩენი 6-იდან კი 3 ბორჯომში და თითო ბაკურიანში, სტეფანწმინდასა და ქუთაისში. ქვეყანაში წარმოდგენილია პოპულარული საერთაშორისო ბრენდები: „Sheraton“, „Radisson“, „Hilton“, „Marriott“, „Holiday Inn“, „Best Western“, „Mercure“, „Golden Tulip“, „Biltmore“ (საქართველოს ტურიზმის სტატისტიკური მიმოხილვა, 2017, 30).

ცხრილი 5

განთავსების საშუალებების რაოდენობა და ტევადობა

რეგიონები	2017		2018	
	განთავსების ობიექტების რაოდენობა	საწოლების რაოდენობა	განთავსების ობიექტების რაოდენობა	საწოლების რაოდენობა
აჭარა	267	12126	474	25842
თბილისი	428	17956	453	19386
სამცხე-ჯავახეთი	204	9750	208	10003
სამეგრელო-ზემო სვანეთი	350	5227	483	7409
მცხეთა-მთიანეთი	153	5290	161	5517
იმერეთი	159	4954	161	4988
გურია	107	4564	108	4625
კახეთი	183	3614	188	3710
რაჭა-ლეჩხუმი, ქვემო სვანეთი	66	1423	68	1458
ქვემო ქართლი	16	554	16	554
შიდა ქართლი	22	485	22	485
სულ :	1955	65943	2342	83977

წყარო: საქართველოს ტურიზმის სტატისტიკური მიმოხილვა, 2019, 31, 32; ტურისტული სეზონების მიმწოდებლები – განთავსების საშუალებები.

ვინაიდან ***ეროვნული სამზარეულო*** ხალხის კულტურის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს, კვება ტურიზმის სფეროში, ერთდროულად, ადამიანის ბუნებრივი მოთხოვნილების დაკმაყოფილების, სიამოვნების მიღებისა და ადგილობრივი კულტურის შემეცნების საშუალებაა.

ტურისტები, როგორც წესი, სარგებლობენ კლასიკური ან სწრაფი კვების რესტორნებით, თუმცა მათ განსაკუთრებით აინტერესებთ ქართული ეროვნული სამზარეულოს სპეციალიზებული საწარმოები, როგორებიცაა: სახაჭაპურე, სახინკლე თუ სალობიე.

კვების ობიექტების ორგანიზება ძალზე მოგებიანი ბიზნესია. კვების ობიექტებით მომსახურების მოცულობა 2016 წელს შეადგენდა 736,7 მილიონ ლარს, რაც წინა წლის მაჩვენებელს 124 მლნ. ლარით აღემატება, მაგრამ 2007 წლის მაჩვენებელს (100,6 მლნ ლარი) 7-ჯერ აჭარბებს. საკვების მიწოდებას, ძირითადად, (96%) კერძო სექტორი უზრუნველყოფს. კვების ობიექტებით მომსახურების ნახევარი (50,4%) თბილისზე მოდის, სხვა რეგიონებიდან აღსანიშნავია: აჭარა – 24%-ით, სამცხე-ჯავახეთი – 7,5%-ით, მცხეთა-მთიანეთი და კახეთი – 5-5%-ით. აღსანიშნავია, რომ 2007 წელთან შედარებით, მხოლოდ თბილისში დაფიქსირდა 20%-იანი კლება, თითქმის ყველა სხვა რეგიონში აღინიშნა ზრდა. რაც შეეხება კვების ობიექტებში დასაქმებულთა რაოდენობას, ის 9 წლის წინანდელ მაჩვენე-

ბელს (10 ათასი) 2-ჯერ აღემატება (21,8 ათასი) (საქართველოს გეოგრაფია, 2013, 302; საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული, 2017, 212).

საქართველოში ტურიზმის განვითარებას ახლავს რიგი პრობლემებისა: ფასისა და მომსახურების ხარისხის შეუსაბამობა, ეკოლოგიური საკითხების მოუგვარებლობა, ცენტრალური მაგისტრალის გარდა, ტურისტული ადგილების/ობიექტების მიმართულებით სატრანსპორტო გზების გაუმართაობა, ტურიზმში პირადი ინიციატივით ჩართული ადგილობრივი მოსახლეობის მიერ მომსახურების საბაზო უნარ-ჩვევების არქონა, ტურისტული პროდუქტის მრავალფეროვნების ნაკლებობა; ერთ-ერთი ყველაზე მწვავე პრობლემაა საზოგადოებრივი ტუალეტების არარსებობა ან მათი მსოფლიო სტანდარტებთან სრული შეუსაბამობა და სხვ. აღნიშნული ჩრდილოვანი მხარეების აღმოფხვრა, ხშირ შემთხვევაში, სახელმწიფოს ჩარევის გარეშე შეუძლებელია, თუმცა ზოგჯერ საკმარისია მცირე ინვესტიციები დაინტერესებული კომპანიებისა თუ პირების მხრიდან და თვით ტურიზმში დასაქმებული ადამიანების კეთილი ნება და მონდომება.

უკანასკნელ ხანებში ხდება საქართველოში მოქმედი კურორტებისა და ტურისტული ადგილების *ჰებჰენდინგი,* ახალ მომსახურებათა შეთავაზება როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო ტურისტებისთვის. აღნიშნულის საუკეთესო ნიმუშებია კურორტი საირმე და წინანდლის ჭავჭავაძეების სასახლის კომპლექსი.

საირმე ათწლეულების განმავლობაში ძალზე პოპულარული სამკურნალო კურორტი იყო. ახალგაზრდა კოლექტივის ინოვაციური ხედვის გათვალისწინებით და გერმანელი ექსპერტების დახმარებით, კურორტი თანდათან ყველა ასაკის დამსვენებლის საყვარელ და ოთხივე სეზონზე მოქმედ კურორტად გადაიქცა. კურორტი არასეზონურ პერიოდში მასპინძლობს საქმიან და ინტელექტუალურ-შემეცნებით შეხვედრებს.

რაც შეეხება წინანდლის კომპლექსს, რომელიც ცნობილია ჭავჭავაძეების სასახლით, ულამაზესი პარკით და ძველი ენოთეკით, Silk Road Group-ის ინვესტიციით ის ძველებურად კულტურული და სალონური ცხოვრების კერაა. წინანდალში დაფუძნდა კლასიკური მუსიკის ფესტივალი, რომელიც პირველად 2019 წელს გაიმართა. უკვე შექმნილია ღია ამფითეატრი, უახლოეს მომავალში აშენდება კამპუსი, სასტუმრო და დახურული დარბაზი. კომპლექსის სიახლოვეს გაშენდა ახალი ვენახი და ღვინის ქარხანა, 2010 წლიდან იმართება მეღვინეობის საკვირაო სკოლა.

მსგავსი სიახლეები მნიშვნელოვნად გაზრდის ტურისტების დაინტერესებას და მათ მოზიდვას საქართველოში ახალი, მათთვის უცხო ტურისტული შთაბეჭდილებებისა და ემოციების მისაღებად.

კითხვები:

1. საქართველოს რომელ ტურისტულ-რეკრეაციულ რესურსს თვლით მსოფლიო დონის მნიშვნელობის მქონედ და რატომ?
2. თქვენი აზრით, რომელი ძირითადი ფაქტორები აფერხებენ ტურიზმის განვითარებას საქართველოში? რატომ?
3. საქართველოსთვის ტურიზმის რომელ სახეობათა განვითარება გესახებათ ხელსაყრელად ამჟამად და რატომ?

დავალებები:

1. მოიძიეთ მასალა თქვენს მუნიციპალიტეტში არსებული ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების შესახებ.
2. მოიფიქრეთ, რა ტურისტული სერვისები შევთავაზოთ უცხოელ ტურისტებს მათთვის მიმზიდველ ტურისტულ ობიექტზე ახალი შთაბეჭდილებების მისაღებად.

გამოყენებული ლიტერატურა:

აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი, 2018, ნანახია: 10.08.2018, http://gobatumi.com/ka/type-of-tourism/cruise-tourism

ნეიძე ვ., პავლიაშვილი ნ., თუთბერიძე მ., „საკურორტო ტურიზმის განვითარების ტენდენციები საქართველოში", ჟურ.: „მეცნიერება და ტექნოლოგიები" N2, 2017, 60-69, გამომც. „ტექნიკური უნივერსიტეტი", თბილისი

სათაფლია, 2018, ნანახია: 13.08.2018, http://apa.gov.ge/ge/eco-tourism/servisebi-da-tarifebi/sataflia

საკრუიზო ტურიზმის ხიბლი და პრობლემები, 2014, ნანახია: 12.08.2018, http://batumelebi.netgazeti.ge/news/7213/

საქართველოს გეოგრაფია, თბილისი, 2013

საქართველოს ეროვნული სატყეო სააგენტო, 2018, ნანახია: 07.08.2018, http://forestry.gov.ge/ge/about-us/georgias-forests/georgianforests

საქართველოს კანონი ტურიზმისა და კურორტების შესახებ, N599, 6.03.1997, ნანახია: 07.08.2018, http://www.economy.ge/uploads/kanonmdebloba/turizmi/turizmis_kanoni.pdf

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება N655, 22.07.2005, „საქართველოს კურორტებისა და საკურორტო ადგილების ნუსხის შესახებ", ნანახია: 07.08.2018, https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/1260851

საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტო, 2018, ნანახია: 09.09.2018. http://www.gcaa.ge/geo/regular.php, http://gcaa.ge/geo/news.php?id=6373, ნანახია: 07.08.2018

საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2017

საქართველოს ტურიზმის სტატისტიკური მიმოხილვა, საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, 2017

ტურისტული სერვისების მიმწოდებლები – განთავსების საშუალებები, 2018, საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, ნანახია: 09.08.2018, https://gnta.ge/ge/%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%99%E1%83%90/

უცხოელ ვიზიტორთა სტატისტიკა. საქართველოს ტურიზმის ეროვნული სამსახური, 2021. www.geostat.ge

Properties Inscribed on the World Heritage List, 2018, ნანახია: 07.08.2018, https://whc.unesco.org/en/statesparties/ge

Travel and Tourism. Econonmic Impact, World Travel and Tourism Council, 2017

Sea Temperature Info, 2018, ნანახია: 13.08.2018, https://seatemperature.info/baltic-sea-water-temperature.html, https://seatemperature.info/black-sea-water-temperature.html

UNESCO. Georgia, 2018, ნანახია: 07.08.2018, https://whc.unesco.org/en/statesparties/ge

Корнилова Р.П., Продолжительность купального сезона на территории СССР, Известия АН СССР, Серия геогр., 1979, №4, 47-51

Павлиашвили Н., Природно-рекреационные ресурсы Грузинской ССР и проблемы их рационального использования. Диссертация на соискание ученой степени кандидата географических наук, 1989

Чаклин А., Геогрфия здоровья. Москва, 1986

Элизбарашвили Э., Гонгладзе Н., Климатография курортов Грузии, Тбилиси, 1980

5.1.9. საგარეო ეკონომიკური კავშირ-ურთიერთობები

დღეს ქვეყნებს შორის არსებული ეკონომიკური კავშირების გაღრმავება-გაფართოება მსოფლიო განვითარების ერთ-ერთ განმსაზღვრელ ფაქტორად იქცა. საერთაშორისო ეკონომიკური კავშირები განიხილება როგორც ეროვნული ეკონომიკების, ასევე გლობალური ეკონომიკის აქტორების ურთიერთობათა სისტემა, რომელიც ეფუძნება შრომის საერთაშორისო დანაწილებას და დამაკავშირებელ როლს ასრულებს ეროვნულ ეკონომიკებს, ტრანსნაციონალურ სუბიექტებსა და გლობალური ეკონომიკის ინსტიტუტებს შორის. იმ ფაქტორთა შორის, რომლებიც ზემოქმედებენ თანამედროვე საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებზე, აღსანიშნავია: ***გლობალიზაცია, ტექნოლოგიური პროგრესი, ეკონომიკის ტრანსნაციონალური აქტორების სწრაფი ზრდა, რეგიონული ეკონომიკური კავშირების შექმნისა და სახელმწიფოს ინტერნაციონალიზაციის*** პერმანენტული პროცესები. ამ მოცემულობაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქვეყნების ურთიერთობებს მსოფლიოს ფინანსურ-ეკონომიკურ ინსტიტუტებთან.

1993 წლიდან საქართველომ, როგორც სახელმწიფომ, აქტიური თანამშრომლობა დაიწყო ისეთ ავტორიტეტულ ეკონომიკურ ორგანიზაციებთან, როგორებიც გახლავთ *მსოფლიო ბანკი* და *საერთაშორისო სავალუტო ფონდი.* ორიოდე წლის შემდეგ ჩვენმა ქვეყანამ *მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის* კარი შეაღო (გაჩეჩილაძე, 2002).

საქართველოს მჭიდრო თანამშრომლობა აქვს *მსოფლიო ბანკთან* (World Bank (WB), რომელიც, ეკონომიკური ზრდისა და სიღატაკის შემცირების მიზნით, დაბალი საპროცენტო განაკვეთის მქონე სესხებით, უპროცენტო კრედიტებითა და გრანტების საშუალებით ინვესტირებას ახდენს ინფრასტრუქტურის, განათლების, სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის, სოფლის მეურნეობის, კერძო და ფინანსური სექტორების, გარემოს დაცვის, ბუნებრივი რესურსების მენეჯმენტისა და სხვა სფეროებში.

მნიშვნელოვანია *საერთაშორისო სავალუტო ფონდთან* (International Monetary Fund (IMF) თანამშრომლობა, რომელიც საქართველოს უზრუნველყოფს ტექნიკური დახმარების პროგრამებით მაკროეკონომიკურ, ფინანსურ და სტრუქტურულ საკითხებში; ასევე, შეღავათიანი სესხების საშუალებით ეხმარება მაკროეკონომიკური სტაბილურობის მიღწევაში, სავალუტო რეზერვების შექმნაში, საგარეო ვალის რესტრუქტურიზაციისა და ფისკალური პოლიტიკის სხვა საკითხებში (საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, 2018).

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში (World Trade Organisation (WTO) საქართველოს წევრობა მნიშვნელოვანი მიღწევაა გლობალურ ეკონომიკურ სისტემაში ჩვენი ქვეყნის ინტეგრაციის კუთხით. საინტერესოა იმის აღნიშვნა, რომ დოჰას მინისტერიალზე (2001 წელს) საფუძველი ჩაეყარა „განვითარების რაუნდს". ამავე მინისტერიალზე საქართველო პირველად წარდგა როგორც სრულუფლებიანი ქვეყანა. სწორედ აქ შემუშავდა მნიშვნელოვანი დებულება შვიდი ახალგაწევრიანებული ქვეყნისთვის (მათ შორის საქართველოსთვის). დებულება ასეთია: მიუხედავად იმისა, რომ ეს ქვეყნები მხარს უჭერენ ბაზრების ლიბერალიზაციას, გარკვეულწილად, ეს უკვე განხორციელებული აქვთ და არ უნდა მოეთხოვოთ ბაზრის შემდგომი გახსნა იმავე მასშტაბით, როგორც სხვა წევრებს. ამავე მინისტერიალზე გადაწყდა, ნაკლებად განვითარებული და განვითარებადი ქვეყნების მიხედვით დამკვიდრებულიყო ახალი ტერმინი – *„მცირე, გაჰდამავალი ეკონომიკის და დაბალშემოსავლიანი ქვეყნები".* ეს ტერმინი სპეციალური, განსხვავებული მიდგომისა და ტექნიკური დახმარების საკითხთა კონტექსტში იყო გამოყენებული. ამ დეკლარაციაში აისახა რამდენიმე ინიციატივა, რომლებითაც საქართველო განსაკუთრებით იყო დაინტერესებული. ეს იყო *ღვინოსა და აღკოჰოლის სასმელებზე გეოგრაფიული აღნიშვნათა რეგისტრაციის მრავალმხრივი სისტემის დაფუძნება;* ასევე, განვითარებული ქვეყნების ბაზრების გახსნა განვითარებადი ქვეყნების სოფლის მეურნეობის პროდუქციისათვის და ა.შ.

რეგიონული პარტნიორობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური და საფინანსო ინსტიტუტების თანამშრომლობას ***ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკთან*** (European Bank For Reconstructionand Development (EBRD). ეს ბანკი მნიშვნელოვან დახმარებას უწევს საქართველოს სამეწარმეო საქმიანობაში. ბანკის ფინანსური ინვესტიციები და ბიზნესმომსახურება მეტად მნიშვნელოვანია ქვეყნის ეკონომიკისათვის.

ბოლო პერიოდში საქართველო აქტიურად ურთიერთობს ***აზიის განვითარების ბანკთან*** (Asian Development Bank (ADB), რომელიც ფართოდ მონაწილეობს ქვეყნის ინფრასტრუქტურული და სხვა სახის პროექტების დაფინანსებაში.

განვითარების დიდი პოტენციალი აქვს ***შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციას (ბისეკი)*** (Black Sea Economic Cooperation (BSEC). თუმცა დღეისათვის, ორგანიზაციაში წინათ არსებულ სირთულეებზე დამატებით, რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებულმა აგრესიამ გაართულა ბისეკის, როგორც რეგიონული თანამშრომლობის ფორმატის, ეფექტიანად გამოყენების პერსპექტივები.

ქვეყნის საგარეო ეკონომიკური კავშირების უმნიშვნელოვანესი მახასიათებელია **საგარეო ვაჭრობა,** რომელიც, ეკონომიკის ზრდაზე გავლენის სიძლიერის მიხედვით, ერთ-ერთი მთავარი სფეროა. ამ დარგს საქართველოს ეკონომიკის სტრუქ-

ტურაში წამყვანი ადგილი უჭირავს და, იმავდროულად, ვალუტის შემოდინების მთავარი არხიცაა. ეკონომიკის გლობალიზაცია და ბარიერების დაწევა საგარეო ვაჭრობაში ხშირად აუმჯობესებს ქვეყნებს შორის ურთიერთობებს, თუმცა მას ასევე „წარმატებით“ ძალუძს, მოახდინოს სავაჭრო ომებისა და სატარიფო დავების პროვოცირება (კვინიკაძე, 2016).

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მონაცემებით, 2017 წელს საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვა 13,8%-ით გაიზარდა და 10 707,4 მლნ. აშშ-ის დოლარს გაუტოლდა; ექსპორტი გაიზარდა 29,1%-ით და 2 728 მლნ. აშშ-ის დოლარით განისაზღვრა; იმპორტი გაიზარდა 9,4%-ით და 7 979,4 მლნ. აშშ-ის დოლარი შეადგინა. ჯამში, სავაჭრო ბალანსი 5 251,1 მლნ. აშშ-ის დოლარი და საგარეო სავაჭრო ბრუნვის 49% იყო (ცხრილი 1). 2017 წელს, წინა წელთან შედარებით, საგარეო ვაჭრობაში ექსპორტის წილის 22%-იდან 25%-ამდე ზრდამ უარყოფითი სავაჭრო ბალანსის 6%-ით შემცირება განაპირობა. 2019 წლის მდგომარეობით, საქართველოს საექსპორტო პარტნიორებს შორის პირველ ადგილზეა რუსეთი და აზერბაიჯანი, ხოლო მეორეზე – სომხეთი; მნიშვნელოვანი პარტნიორებია ბულგარეთი, უკრაინა, ჩინეთი და თურქეთი (ცხრილი 2). რაც შეეხება იმპორტს, ამ სფეროში ლიდერობენ თურქეთი, რუსეთი და ჩინეთი.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მონაცემებით, 2017 წელს საექსპორტო საქონლის ათეულში პირველ ადგილზე იყო სპილენძის კონცენტრატი – 419,8 მლნ. აშშ-ის დოლარი (15,4%), მეორეზე ფეროშენადნობები – 306,9 მლნ. აშშ-ის დოლარი (11,3%), ხოლო მესამეზე, 234,9 მლნ. აშშ-ის დოლარით, მსუბუქი ავტომობილები (8,6%). საქსტატის მიხედვით, 2019 წლის დინამიკაში, წამყვანი ადგილი უჭირავს მსუბუქი ავტომობილების ექსპორტს, შემდეგ სპილენძის მადნებსა და კონცენტრატებს და ფეროშენადნობებს (საგარეო ვაჭრობა, 2020).

ცხრილი 1

საქართველოს საგარეო ვაჭრობა

წლები	2008	2009	2013	2014	2016	2017
ბრუნვა (მლნ. ლარი)	7 797	5 609	10 933	11 463	9 400	10 707
ზრდის ტემპი (%)	21%	-28%	5%	5%	-1%	13.8%
ექსპორტი (მლნ.ლარი)	1 495	1 134	2 911	2 861	2 113	2 728.0
ზრდის ტემპი (%)	21%	-24%	22%	-1.7%	-4%	29.1%
იმპორტი (მლნ. ლარი)	6 302	4 476	8 023	8 602	7 287	7 979
ზრდის ტემპი (%)	21%	-29	-0.2%	7%	-0.1%	9.4%
სალდო (მლნ. ლარი)	-4 806	-3 342	-5 112	-5 741	-5 175	- 5 251

წყარო: *საქართველოს საგარეო ვაჭრობა. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო.*

ექსპორტის ზრდა ტრადიციული საექსპორტო საქონლის – სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და ლითონების – გაზრდილი გაყიდვების შედეგია, რაც, თავის მხრივ, უკავშირდება დადებით ეკონომიკურ დინამიკას ყველა ძირითად სავაჭრო პარტნიორ ქვეყანაში. დღეისათვის მზარდია ჩინეთის ბაზარი, მაგრამ ეს ჯერჯერობით, უპირატესად, იმპორტშია ასახული.

საინტერესო სურათს იძლევა საქართველოს სავაჭრო კავშირები *ევროპულ ქვეყნებში.* ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია საქართველო-ევროკავშირის სავაჭრო ურთიერთობები. ევროკავშირი, დამოუკიდებელ ქვეყანათა თანამეგობრობის (დსთ) შემდგომ, საქართველოს მეორე უმსხვილეს პარტნიორს წარმოადგენს. უკანასკნელი რამდენიმე წლის განმავლობაში სავაჭრო ტვირთბრუნვა ევროკავშირის ქვეყნებთან გაიზარდა; თანმიმდევრულად იზრდებოდა ექსპორტისა და იმპორტის მაჩვენებლები (თუ არ ჩავთვლით უკუსვლას 2009 და 2010 წლებში). ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრის მონაცემებით, საქართველოს აქვს დაბეგვრის ყველაზე დაბალი ტარიფი ევროკავშირის პროდუქციაზე, მათ შორის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე 5,57%, ხოლო სამრეწველოზე 0,45% (ევროკავშირის შეთანხმება, 2014). აღნიშნულმა დიდწილად განაპირობა ის ფაქტი, რომ საქართველო-ევროკავშირის სავაჭრო ბრუნვა გაიზარდა 2%-ით, ანუ შეადგინა 2 844 მლნ. აშშ-ის დოლარი და საქართველოს სავაჭრო ბრუნვის 26,6% დაიკავა. 2019 წლის მდგომარეობით, ევროკავშირთან ექსპორტი ქვეყნის ექსპორტის 21,7%-ს, ხოლო იმპორტი 25,5%-ს შეადგენს. რაც შეეხება დსთ-ს, საქართველოს ექსპორტში მისი წილი 53,2 % ხოლო იმპორტში 26,7%-ია. წინა წლებთან შედარებით, მომატებულია საქართელოს იმპორტი სხვა ქვეყნებიდან (საგარეო ვაჭრობა, 2020).

ცხრილი 2

უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორების წილი საქართველოს სავაჭრო ბალანსში 2019 წლის მდგომარეობით (%)

ვაჭრობა	ქვეყანა	წილი
ექსპორტი	რუსეთი	13, 2
	აზერბაიჯანი	13, 2
	სომხეთი	10, 9
	ბულგარეთი	7, 5
	უკრაინა	6, 5
	ჩინეთი	6, 0
	თურქეთი	5, 3
იმპორტი	თურქეთი	17, 7
	რუსეთი	10, 7
	ჩინეთი	9, 4
	აზერბაიჯანი	6, 1
	გერმანია	4, 9
	უკრაინა	4, 5
	აშშ	5, 10 4, 4
ექსპორტი	ევროკავშირის ქვეყნები	21, 7
	დსთ-ის ქვეყნები	53, 2
	დანარჩენი ქვეყნები	25, 1
იმპორტი	ევროკავშირის ქვეყნები	25, 5
	დსთ-ის ქვეყნები	26, 7
	დანარჩენი ქვეყნები	47, 8

შედგენილია ავტორის მიერ
წყარო: *საგარეო ვაჭრობა. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური*

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (FDI) დიდ როლს ასრულებს ქვეყნის ეკონომიურ ზრდაში. საქსტატის მონაცემებით, 2008 წელთან შედარებით, მნიშვნელოვნად იყო გაზრდილი მისი მოცულობა 2017 წლის ჩათვლით როგორც დსთ-ის, ასევე ევროკავშირის სახელმწიფოებიდან. დანარჩენი ქვეყნებიდან კი საგრძნობლად შემცირდა (ცხრილი 3). 2019 წლისათვის, ამ უკანასკნელი ჯგუფიდან მატება, ხოლო დსთ-ის სივრციდან კლება ფიქსირდება; წინა წელთან შედარებით, ასევე მცირე მატებაა სახეზე ევროკავშირის ქვეყნებიდანაც. 2019 წლის მონაცემებით, მთავარი ინვესტორები არიან გაერთიანებული სამეფო, თურქეთი, ირლანდია, აშშ. სხვა ქვეყნებიდან კი აღსანიშნავია: პანამა, ნიდერლანდის სამეფო, რუსეთი, ჩინეთი, იაპონია (პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, 2020).

ცხრილი 3

საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები რეგიონულ პარტნიორებთან (ათასი აშშ-ის დოლარი)

წელი/რეგიონი	**ევროკავშირი**	**დსთ**	**დანარჩენი ქვეყნები**
2008	478 478, 3	121 004, 7	946 589, 4
2009	226 636, 4	8 342, 6	387 405, 8
2013	421 082, 9	144 429, 5	393 450, 5

2014	838 461, 4	457 018, 1	628 656, 8
2016	381 989, 6	621 702, 6	560 975, 5
2017	733 037, 3	522 803, 8	602 894, 1
2018	590 111, 1	290 285, 3	383 212, 2
2019	598 479, 7	115 333, 4	547 023, 3

წყარო: *პირდაპირი უცხოური ინვესტიციები. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური*

კითხვები:

1. რა ცვლილებებია საქართველოს სავაჭრო პარტნიორების პირველ სამეულში და რით შეიძლება მისი ახსნა?
2. რაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების პირველი ათეულის ჯამურმა ექსპორტმა საქართველოს მთლიანი ექსპორტის 68,8% დაიკავა?

დავალება:

1. მოიპოვეთ ინფორმაცია საქართველოსა და ევროკავშირს შორის არსებული სავაჭრო ტენდენციების შესახებ და გამართეთ დებატები.
2. გამართეთ დისკუსია თემაზე: საქართველოსა და ჩინეთს შორის დადებული თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულების დადებითი და უარყოფითი მხარეები.

გამოყენებული ლიტერატურა:

კვინიკაძე გ., *გეოეკონომიკური ნაჩკვევები,* თბილისი, 2016.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, ნანახია 3 ივლისს, 2018, http://www.economy.ge/

საქართველოს საგარეო ვაჭრობა, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, ნანახია 4 ივლისს, 2018. http://www.economy.ge/uploads/files/2017/foreign_trade/trade_turnover_2017_12_month_final_11.pdf

გაჩეჩილაძე ზ., საქართველო და საერთაშორისო ორგანიზაციები. ეკონომიკა, რადიო „თავისუფლება", 4 ივლისი, 2002, ნანახია 4 ივლისს, 2018, https://www.radiotavisupleba.ge/a/1521823.html

საგარეო ვაჭრობა, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, ნანახია 1 აპრილს, 2020, https://www.geostat.ge/ka/modules/categories/35/sagareo-vachroba

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, ნანახია 4 აპრილს, 2020, https://www.geostat.ge/ka/modules/categories/191/pirdapiri-utskhouri-investitsiebi

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, ნანახია 3 ივლისს, 2018, http://www.mfa.gov.ge/Home.aspx

ევროკავშირის შეთანხმება ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ და საქართველო, ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი (EPERS), 2014, ნანახია 3 ივლისს, 2018, http://www.parliament.ge/uploads/other/22/22580.pdf

თავი VI. საქართველოს სოციალური გეოგრაფია

6.1. შრომითი სტრუქტურა და დასაქმება

ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში გადამწყვეტ როლს ასრულებენ საწარმოო ძალები, ანუ ის ძალები, რომელთა დახმარებითაც საზოგადოება ზემოქმედებს ბუნებაზე და ცვლის მას. ამ ძალებს *შრომით ჰესუხსებს* უწოდებენ, ხოლო დასავლეთის ქვეყნებში *ადამიანური ჰესუხსების* ან *სამუშაო ძალის* სახელით მოიხსენიებენ.

შრომითი რესურსები – ესაა ქვეყნის მოსახლეობის ნაწილი, რომელსაც თავისი ფიზიკური განვითარების, მიღებული განათლებისა და პროფესიული კვალიფიკაციის დონით შეუძლია საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობაში მონაწილეობა. შრომით რესურსებში შედიან როგორც დასაქმებული, ასევე პოტენციური მუშაკებიც.

მთლიანად ქვეყნის ან ცალკეული რეგიონის შრომითი რესურსების რიცხოვნობა განისაზღვრება შემდეგნაირად:

$$T = T_{\text{შრ. უნარ. ას.}} - T_{\text{არამომ.}} + T_{\text{მოზ.}} + T_{\text{მომ. პენს.}}$$

სადაც T – არის შრომითი რესურსების რიცხოვნობა;

$T_{\text{შრ. უნარ. ას.}}$ – შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის რიცხოვნობა;

$T_{\text{არამომ.}}$ – იმავე ასაკის არამომუშავე პირები, რომლებიც სახელმწიფოს მიერ, სამართლებრივი დებულებებით, მიჩნეულია შრომისუუნაროებად (პირველი და მეორე ჯგუფების შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პირები, შეღავათიანი საპენსიო ასაკის პირები);

$T_{\text{მოზ.}}$ – მომუშავე მოზარდების (16 წლამდე ასაკის პირთა) რიცხოვნობა;

$T_{\text{მომ. პენს.}}$ – მომუშავე საპენსიო ასაკის მოსახლეობის რიცხოვნობა.

მაშასადამე, რაოდენობრივი თვალსაზრისით, შრომითი რესურსების შემადგენლობაში შედის ეროვნულ მეურნეობასა და ინდივიდუალური შრომითი საქმიანობით დასაქმებული მთელი შრომისუნარიანი მოსახლეობა, ასაკის მიუხედავად. მათ შემადგენლობაში ჩაირთვება ასევე შრომისუნარიანი ასაკის პირებიც, რომლებსაც პოტენციურად შესწევთ უნარი, მაგრამ დასაქმებულები არიან საშინაო ან პირად გლეხურ მეურნეობაში, სწავლობენ წარმოებისგან მოწყვეტით ან იმყოფებიან სამხედრო სამსახურში. ე.ი. საზოგადოებრივ წარმოებაში მონაწილეობის პოზიციიდან შრომითი რესურსების სტრუქტურაში გამოყოფენ ორ ნაწილს: *აქტიუს (ფუნქციონიჰებადს)* და *პასიუს (პოტენციუს).*

საქართველოში ამჟამად მოქმედი „საქართველოს შრომის კოდექსის“ თანახმად, სამუშაოზე მიღების მინიმალურ და შრომითი ქმედუნარიანობის წარმოშობის ასაკად დადგენილია 16 წელი (ფიზიკური პირის შრომითი ქმედუნარიანობა წარმოიშობა 16 წლის ასაკიდან, მუხლი 4, პუნქტი 1). კოდექსი ასევე ითვალისწინებს 14 წლამდე ასაკის არასრულწლოვნებთან შრომითი ხელშეკრულების დადებას „მხოლოდ სპორტულ, ხელოვნებასთან დაკავშირებულ და კულტურის სფეროში საქმიანობაზე, ასევე სარეკლამო სამუშაოს შესასრულებლად“ (მუხლი 4, პუნქტი 3.).

საქართველოში ამჟამად მოქმედი კანონის – „საქართველოს კანონი სახელმწიფო პენსიის შესახებ“ – თანახმად, შრომისუნარიანი ასაკის ზედა ზღვრად, ანუ სახელმწიფო პენსიის დანიშვნისთვის დადგენილია მამაკაცებისთვის 65, ხოლო ქალებისთვის 60 წელი.[1]

1959-1989 წლებში შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის აბსოლუტური რიცხოვნობა განუხრელად *იზრდებოდა*, *1989-2014 წლებში* კი, პირიქით, განუხრელად *კლებულობდა* (ე.ი. შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის რიცხოვნობის პიკი იყო 1989 წელს). იგივე კანონზომიერება ვლინდება თითოეული სქესის მიხედვითაც. ამასთან, 1959-1989 წლებში შრომისუნარიანი ასაკის ვაჟების ზრდის ტემპი საგრძნობლად აღემატებოდა შრომისუნარიანი ასაკის ქალების ზრდის ტემპს და მნიშვნელოვანწილად განაპირობებდა მთელი ქვეყნის შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის აღნიშნული ზრდის ტემპებსაც.

შრომისუნარიანი ასაკის ვაჟებისა და ქალების ზრდის ტემპების ასეთი დიფერენციაცია უნდა აიხსნას მეორე მსოფლიოს ომის შემდგომ პერიოდში გაზრდილი შობადობის დონითა და, შესაბამისად, სქესთა მეორეული თანაფარდობის (ახალშობილ-

[1] 1959, 1970, 1979 და 1989 წლებში შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობას მიეკუთვნებოდნენ ვაჟები 16-59 და ქალები 16-54 წლის ასაკში, ხოლო 2002 და 2014 წლებში კაცები 16-64 და ქალები 16-59 წლის ასაკში (Итоги..., 1972:30-35; Итоги..., 1980: 80-84; მოსახლეობის რიცხოვნობა, 1990:38-40; საქართველოს მოსახლეობის..., 2003, 101-103; მოსახლეობის 2014წლის..., საქსტატი).

თა შორის გოგონებთან შედარებით ბიჭების სიჭარბე) გამო, ვაჟების აბსოლუტური რიცხვის მომატებით. 1959-1989 წლებში შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის ზრდის ტემპები უფრო მაღალი იყო ქალაქად, ვიდრე მთელ მოსახლეობაში, რაც, უდავოდ, საქართველოში ამ დროს მიმდინარე ურბანიზაციის ინტენსიურ პროცესს უნდა მიეწეროს.

1989 წლის შემდგომ პერიოდში კი შეიმჩნევა შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის ორივე სქესის სულ უფრო მზარდი ტემპით შემცირება (როგორც ქალაქად, ისე სოფლად). მაგალითად, თუ 1989-2002 წლებში (ანუ 13 წელიწადში) შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობა საქართველოში 8%-ით შემცირდა, უკვე 2002-2014 წლებში (ანუ 12 წელიწადში) ამ შემცირებამ 15,1% შეადგინა. შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის ასეთი კლება, ძირითადად, განპირობებული იყო მათი რაოდენობის სოფლად შემცირებით და, განსაკუთრებით, ქალებში. 2002-2014 წლებში სოფლად შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობა შემცირდა 22,3%-ით, მათგან ქალები 25,2%-ით.

როგორც ცნობილია, ეკონომიკურ-დემოგრაფიული თვალსაზრისით, ქვეყნის მოსახლეობა იყოფა სამ ასაკობრივ ჯგუფად: *შრომისუნარიან ასაკამდელი, შრომისუნარიან ასაკში მყოფი* და *შრომისუნარიან ასაკს გადაცილებულები* (სქემა 1)

სქემა 1



ჩვენი ქვეყნის აღნიშნულ ეკონომიკურ-დემოგრაფიულ სტრუქტურას გვიჩვენებს ცხრილი 1, საიდანაც ჩანს, რომ შრომისუნარიან ასაკში მყოფი მოსახლეობა შეადგენს მთელი მოსახლეობის ნახევარზე მეტს. გარდა ამისა, ამ ცხრილიდან აშკარაა ისიც, რომ შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის ხვედრითი წილის განუხრელი ზრდა, ძირითადად, შრომისუნარიან ასაკზე ***უმცროსი ასაკის მოსახლეობის აბსოლუტური და, შესაბამისად, ხვედრითი წილის შემცირებით*** იყო გამოწვეული. ეს, თავის მხრივ, განპირობებული იყო შობადობის დონის შემცირებით და მომავალში შრომითი რესურსების სავარაუდო დეფიციტზე მიანიშნებდა.

შრომითი რესურსების შევსება ხდება როგორც *ბუნებრივი*, ასევე *მექანიკური მოძრაობის (მიგრაციის)* შედეგად.

შრომითი რესურსების ბუნებრივი შევსება ხდება 16 წლის ასაკს მიღწეული პირებისა და, ფაქტობრივად, მომუშავე მოზარდებისა და პენსიონრების ხარჯზე. შრომითი რესურსების კატეგორიიდან ბუნებრივი გასვლა (კლება) კი განისაზღვრება იმ პენსიონრების რაოდენობით, რომლებმაც შეწყვიტეს საზოგადოებრივ საქმიანობაში მონაწილეობა. სხვაობა ბუნებრივ შევსებასა და კლებას შორის განსაზღვრავს შრომითი რესურსების **წმინდა მატებას,** ხოლო სხვაობა შემოსულებსა და წასულებს შორის განსაზღვრავს ქვეყნის (რეგიონის) მიხედვით შრომითი რესურსების **მექანიკურ (მიგრაციულ) მატებას.** ქვეყნის ფარგლებში ცალკეული რეგიონისთვის შრომითი რესურსების საერთო მატება უდრის მათი ბუნებრივი და მექანიკური მატებების ჯამს.

როგორც აღვნიშნეთ, შრომითი რესურსების კატეგორიაში გადამწყვეტ როლს ასრულებს შრომისუნარიან ასაკში მყოფი მოსახლეობა, რომელიც, თავის მხრივ, შედგება ორი – ***ეკონომიკურად აქტიური***[2] და ***ეკონომიკურად არააქტიური*** – ჯგუფისაგან (სქემა 2).

[2] შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის განმარტებით: „ეკონომიკურად აქტიური – 15 წლის და უფროსი ასაკის პირი, რომელიც მუშაობს ან სთავაზობს თავის შრომას იმ საქონლისა და მომსახურების საწარმოებლად, რომლებიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (გაერო) ეროვნული ანგარიშების სისტემაში ეროვნული პროდუქტის განსაზღვრის ჩარჩოებში ხვდება (დასაქმებული და უმუშევარი პირები).“ //იხ. http://geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/methodology/Labour%20Force%20Statistics.pdf

ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობას მიეკუთვნება ყველა დასაქმებული[3] და უმუშევარი.[4]

ცხრილი 1

საქართველოს მუდმივი მოსახლეობის განაწილების დინამიკა სქესისა და ეკონომიკურ-დემოგრაფიული სტრუქტურის მიხედვით

	1989			2002			2014		
	ორივე სქესი	ვაჟი	ქალი	ორივე სქესი	ვაჟი	ქალი	ორივე სქესი	ვაჟი	ქალი
საქართველოს მოსახლეობა სულ მათ შორის ასაკში	100	100	100	100	100	100	100	100	100
შრომისუნარიანზე უმცროსი	26,3	28,3	24,6	20,9	22,8	19,3	18,6	20,5	16,9
შრომისუნარიანი	56,3	60,4	52,5	64,0	67,7	60,7	63,9	68,2	60,0
შრომისუნარიანზე უფროსი	17,4	11,3	22,9	15,1	9,5	20,0	17,5	11,3	23,1

სქემა 2

შრომისუნარიანი მოსახლეობა

= შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობა + შრომისუნარიან ასაკამდელი მოსახლეობა + შრომისუნარიან ასაკს გადაცილებული დასაქმებული მოსახლეობა + შრომისუნარიანი ასაკის დაუსაქმებელი პირები

ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა = დასაქმებულები + უმუშევრები

ეკონომიკურად არააქტიური მოსახლეობა = რომლებსაც რაიმე მიზეზით არ სურთ მუშაობა (საოჯახო მეურნეობის წარმართვით, ავადმყოფების, ბავშვებისა და ა.შ. მოვლით დაკავებულები) + პირები, რომლებიც პენსიას იღებენ შეღავათიანი პირობებით + შშმ პირები, რომლებიც იღებენ პენსიას და არ არიან დაკავებულნი არავითარი საქმიანობით + ისინი, ვინც დაკარგა სამუშაოს პოვნის იმედი.

[3] შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის განმარტებით: „დასაქმებული (დაქირავებული ან თვითდასაქმებული) – 15 წლის და უფროსი ასაკის პირი, რომელიც გამოკითხვის მომენტის წინა 7 დღის განმავლობაში მუშაობდა (სულ მცირე, ერთი საათი მაინც) შემოსავლის (ხელფასის, ნატურალური შემოსავლის, მოგების და ა.შ.) მიღების მიზნით, ეხმარებოდა უსასყიდლოდ სხვა შინამეურნეობის წევრებს, ან რაიმე მიზეზით არ იმყოფებოდა სამუშაოზე, თუმცა ფორმალურად ირიცხებოდა მომუშავედ.“ //იხ. http://geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/methodology/Labour%20Force%20Statistics.pdf

[4] შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის განმარტებით: „უმუშევარი – 15 წლის და უფროსი ასაკის პირი, რომელიც არ მუშაობდა (ერთი საათითაც კი) გამოკითხვის მომენტის წინა 7 დღის განმავლობაში, ეძებდა სამუშაოს ბოლო 4 კვირაში და მზად იყო მუშაობის დასაწყებად მომავალი 2 კვირის განმავლობაში.“//იხ. http://geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/methodology/Labour%20Force%20Statistics.pdf

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის კლასიფიკაციით, ***ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის*** შემადგენლობაში გამოიყოფა:

დასაქმებული მოსახლეობა, მათ შორის: 1) დაქირავებით მომუშავენი, 2) სამუშაოს მიმცემნი, 3) საკუთარ საწარმოში დასაქმებულები, 4) მუშაკთა დაქირავების გარეშე, ინდივიდუალურ საფუძველზე მომუშავენი, 5) ოჯახური საწარმოს მუშაკები არარეგულარული ანაზღაურებით, 6) პირები, რომლებიც არაა კლასიფიცირებული დასაქმების სტატუსის მიხედვით, 7) დასაქმებული მოსახლეობის საერთო რიცხვიდან პენსიონრები, 8) მოსწავლეები; და ***დაუსაქმებელი მოსახლეობა,*** აქედან: 1) უმუშევრები, რომლებიც მზად არიან, შეუდგნენ მუშაობას, მათ შორის პენსიონრები.

რაც შეეხება ***ეკონომიკურად არააქტიური მოსახლეობას,*** ისინი კლასიფიცირებულია შემდეგნაირად: 1) პენსიონრები, 2) მოსწავლეები, 3) პირები, რომლებიც იღებენ დახმარებას ან სახელმწიფო უზრუნველყოფის სხვა სახეს, 4) პირები, რომლებიც იღებენ შემოსავალს მხოლოდ საკუთრებიდან და დანაზოგიდან, 5) სხვა პირის კმაყოფაზე მყოფნი, 6) არსებობის საშუალებათა ძირითადი წყარო არაა მითითებული (საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის..., 2004, 43-44).

საქართველოში დასაქმებული, ე.ი. ეკონომიკურად ყველაზე აქტიური შრომითი რესურსების დინამიკა 1939-იდან 1989 წლამდე პერიოდში განუხრელი ზრდით გამოირჩეოდა, ხოლო 1989-2014 წლებში ეს ტენდენცია საკმაოდ მნიშვნელოვანი კლებით შეიცვალა. განსაკუთრებით თვალშისაცემი იყო დასაქმებულთა რიცხვის შემცირება 1989-2002 წლებში, როდესაც მათი ზრდის ტემპი მთლიანად საქართველოში, -37,3%-ით დაეცა და თითქმის ერთნაირი ტემპებით, როგორც ვაჟებში (-37,3%), ისე ქალებში (-37,2%). ეს კი განპირობებული იყო საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ პერიოდში ჩვენს ქვეყანაში მრეწველობის მასშტაბების უკიდურესად შემცირებით. როგორც ცხრილი 2-იდან ჩანს, 2016 წელს ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობაში ყველაზე დიდი ხვედრითი წილით (13,5%) გამოირჩეოდა 65 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობა, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ პენსიონერთა დიდი ნაწილი კვლავ განაგრძობს შრომით საქმიანობას.

ცხრილი 2

15 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობის განაწილება ეკონომიკური აქტიურობის მიხედვით ასაკობრივ ჭრილში (2016 წ.) (ათასი კაცი)

	ასაკობრივი ჯგუფები											
	15-19	**20-24**	**25-29**	**30-34**	**35-39**	**40-44**	**45-49**	**50-54**	**55-59**	**60-64**	**65+**	**სულ**
ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურა (%)	1,8	6,1	8,6	9,4	8,8	10,5	10,8	10,9	10,4	9,2	13,5	100
აქტიურობის დონე (%)	**16,7**	**50,0**	**62,4**	**70,7**	**70,4**	**86,2**	**90,1**	**83,8**	**82,0**	**85,0**	**50,2**	**66,4**

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, უკანასკნელ პერიოდში, ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის რაოდენობა სტაბილურია და 2 მილიონის ფარგლებში მერყეობს. 2016 წლის მონაცემებით, მათგან 54,2% მამაკაცია, 45,8% კი ქალი; და ეს, მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში, ჩვენი ქვეყნის მთლიან მოსახლეობაში საპირისპირო ვითარებაა – მამაკაცები შეადგენენ მთელი მოსახლეობის 48,0%-ს, ქალები კი – 52,0%-ს.

ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა მეტია სოფლად (58,4%), ვიდრე ქალაქად (41,6%). ეს ტენდენცია ბოლო 17 წლის (1998-2017 წწ.) განმავლობაში პრაქტიკულად, უცვლელია.

დიდი კონტრასტულობით ხასიათდება ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის რეგიონული სტრუქტურა ანუ დასაქმებისა და უმუშევრობის გეოგრაფიული კონცენტრაცია. ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის ხვედრითი წილით პირველ ადგილზეა ქ. თბილისი (22,0%), მეორეზე – იმერეთი (18,9%), მესამეზე – „დანარჩენი რეგიონები“ (11,5%), მაშინ, როცა დასაქმების ყველაზე მაღალი დონე დაფიქსირებულია „დანარჩენი რეგიონების“ ჯგუფში (72,5%), ხოლო ყველაზე დაბალი დონით ქ. თბილისი გამოირჩევა (44,2%). ასეთ სურათს ქმნის *თვითდასაქმებულთა* მაღალი წილი სოფლად. სამუშაო ძალის მობილიზება ხდება დედაქალაქში, რაც, თავის მხრივ, ზრდის იქ უმუშევრობის დონეს. ქვეყნის მასშტაბით, უმუშევრობა ყველაზე მაღალია თბილისში და 2016 წლის მონაცემებით 22%-ს შეადგენდა (საქართველოს შრომის ბაზრის ანალიზი, 2017, 9).

შრომითი რესურსების დასაქმების მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება ერთი მხრივ, *დასაქმებულთა განაწილება* (დასაქმება და თვითდასაქმება), და მეორე მხრივ, *დასაქმებულთა განაწილება ეკონომიკის სექტორების* მიხედვით (საქართველოს შრომის ბაზრის ანალიზი, 2017, 6). 2015 წელს დასაქმებულთა 48,6% სოფლის მეურნეობაზე მოდიოდა, მაშინ როცა ამ დარგის წილი მთლიან შიდა პროდუქტში არ აღემატებოდა 9,1%-ს. აღნიშნული მაჩვენებელი 2017 წელს, პრაქტიკულად, არ შეცვლილა (დიაგრამა 1 და 2). სოფლის მეურნეობის დაბალი პროდუქტიუ-

ლობა და მიწის ფრაგმენტაცია განაპირობებს იმას, რომ ფერმერები სასოფლო-სამეურნეო დოვლათს, პრაქტიკულად, საკუთარი მოხმარებისთვის აწარმოებენ. ქალები წარმოადგენენ თვითდასაქმებულების დიდ ნაწილს (საქართველოს სოფლის განვითარების სტრატეგია, 2017, 5; 13). დასაქმების დონე ყველაზე მაღალია 30-იდან 65 წლამდე ასაკობრივ ჯგუფში, ხოლო დასაქმების მაჩვენებლები საშუალოზე დაბალია 15-29 წლის და 65 წელზე უფროს თაობაში.

დიაგრამა 1



წყარო: საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტი 2017, 2018; საქართველოს სოფლის განვითარების.., 2017; საქართველოს შრომის ბაზრის..., 2017

დიაგრამა 2



წყარო: საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტი 2017, 2018; საქართველოს სოფლის განვითარების..., 2017; საქართველოს შრომის ბაზრის.., 2017

კითხვები:

1. რას ნიშნავს ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა? მოსახლეობის რომელი კატეგორიები მიეკუთვნება მას?
2. როგორ ხდება შრომითი რესურსების ბუნებრივი და მექანიკური შევსება/კლება?

დავალება:

სტატისტიკურ მასალაზე დაყრდნობით იმსჯელეთ საქართველოს შრომისუნარიანი მოსახლეობის დინამიკის შესახებ მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან დღემდე.

გამოყენებული ლიტერატურა:

მოსახლეობის რიცხოვნობა, სქესობრივი და ასაკობრივი სტრუქტურა, ქორწინება და განქორწინება (1989 წლის მოსახლეობის აღწერის მასალების მიხედვით), თბ., 1990, 38-40.

საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტი 2017. წინასწარი მონაცემები, (2018), სტატისტიკის ეროვნული სამსახური, ნანახია 12 ივლისს, http://www.geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/nad/Press%20release%20GDP%202017_Geo.pdf

საქართველოს შრომის ბაზრის ანალიზი. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, 2017, ნანახია 2018 წლის 12 ივლისს, http://www.lmis.gov.ge/Lmis/Lmis.Portal.Web/Handlers/GetFile.ashx?Type=Content&ID=7932b932-0eac-4a14-8ebd-9ec6d2409352

საქართველოს მოსახლეობის დასაქმება, მოსახლეობის 1989 წლის საკავშირო აღწერის მიხედვით სტატისტიკური კრებული, ნაწილი I, თბილისი, 1991, 4-15.

საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის პირველი ეროვნული საყოველთაო აღწერის შედეგები, ტომი I, თბილისი, 2003, 101-103.

საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის პირველი ეროვნული საყოველთაო აღწერის შედეგები, ტომი III, ნაწილი I; მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური დახასიათება, თბილისი, 2004, 43-44.

მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის ძირითადი შედეგები, 2016, ნანახია 2018 წლის 12 ივლისს, http://www.geostat.ge/

საქართველოს ორგანული კანონი. საქართველოს შრომის კოდექსი, 2010, ნანახია 2018 წლის 12 ივლისს, https://matsne.gov.ge/ka/document/view/1155567?publication=8

„საქართველოს კანონი სახელმწიფო პენსიის შესახებ“, ნანახია 10 ივლისს, 2018, http://ssa.go.ge/files/01_GEO/JAN_PROG/Brdzanebebi-Kanonebi/8.pdf

საქართველოს სოფლის განვითარების სტრატეგია 2017-2020, 2017, ნანახია 10 ივლისს, 2018, http://enpard.ge/ge/wp-content/uploads/2015/

Итоги всесоюзной переписи населения 1970 года по Грузинской ССР (по программе сплошной переписи) книга 1. Тбилиси, 1972, 30-35.

Итоги всесоюзной переписи населения 1979 года по Грузинской ССР (по программе сплошной переписи) том 1. Тбилиси, 1980, 80-84.

6.2. განათლება

სწავლა-განათლების კერები ძველ საქართველოში ეკლესია-მონასტრებთან არსებობდა და დიდ როლს ასრულებდა ერის გაერთიანებაში. გვიანი ფეოდალური ხანის საქართველოში საზოგადოებრივი ცხოვრების ჩამორჩენამ განათლებაზეც უარყოფითად იმოქმედა. მე-19 საუკუნის მიწურულისათვის 9-49 წლამდე ასაკის მოსახლეობის მხოლოდ 23,6% იყო წერა-კითხვის მცოდნე და მათ უმრავლესობას მხოლოდ დაწყებითი განათლება ჰქონდა; სულ რამდენიმე ქალაქში არსებობდა საშუალო განათლების სასწავლებლები. უდიდესი მოვლენა ქვეყნის ისტორიაში 1918 წელს თბილისის უნივერსიტეტის დაარსება იყო. 1940 წელს შეიქმნა სახალხო განათლების ერთიანი სისტემა, 1970-იანი წლებიდან კი საშუალო განათლების მიღება სავალდებულო გახდა. 1941 წელს დაარსდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემია. 1990 წლისათვის მის შემადგენლობაში შედიოდა 40-ზე მეტი კვლევითი ინსტიტუტი (ჯაოშვილი, 1996, 196-201), 2010 წლიდან კი მათი უმეტესობა ქვეყნის სხვადასხვა უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეული გახდა.

ყველა ადამიანს აქვს განათლების მიღების უფლება, რომელიც მისი სოციალური უფლებაა. განათლების მიღება შესაძლებელია როგორც სახელმწიფო, ისე არასახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებებში.

საქართველოს კონსტიტუციით უზრუნველყოფილია ზოგადი განათლების სრული დაფინანსება, რომელშიც დაწყებითი (1-6 კლასები) და საბაზო განათლება (7-9 კლასები) სავალდებულოა, ხოლო საშუალო საფეხური (10-12 კლასები) ხელმისაწვდომია ყველასათვის, ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე (სქემა 1). საგანმანათლებლო დაწესებულებები უნდა აკმაყოფილებდნენ სახელმწიფოსგან დაწესებულ სტანდარტებს და მათი შერჩევის უფლება პიროვნებისთვის ნებაყოფლობითია. ეს უფლება უნდა ხორციელდებოდეს ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე.

საქართველომ თავისი დამოუკიდებლობის პერიოდში არაერთი ფუნდამენტური რეფორმა განახორციელა. ეს რეფორმები უზრუნველყოფდა ქვეყანაში პოსტსაბჭოთა განათლების სისტემის თანამედროვე საგანმანათლებლო სისტემად გარდაქმნას. რეფორმებიდან მნიშვნელოვანი იყო სისტემის *ინტეგრაციონალიზაცია, სტანდარტების შექმნა*, რომლებიც შეესაბამება თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებს. დაფინანსების ზრდის მიუხედავად, სამინისტროს მიერ 2017 წელს განათლებაზე მშპ-ის 3,1% დაიხარჯა (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების..., 2017). ეს მაჩვენებელი, 2016 წლის მონაცემებით, ალბანეთში 3,4%, სომხეთში 2,7%, ბელარუსში 4,9%, ირანში 3,3%, ყაზახეთში 2,9%, კოსტა-რიკაში 7,6%, კოლუმბიაში 4,8% იყო (Education1, 2018). ეს საკითხი საქართველოში კვლავ ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება.

სკოლამდელი განათლება საქართველოს კანონმდებლობით არაა სავალდებულო. საგანმანათლებლო დაწესებულებები სრულად ვერ ფარავს და ვერ აკმაყოფილებს მასზე მოთხოვნას. თუმცა თანამედროვე კვლევები ამ ეტაპს უმნიშვნელოვანესად მიიჩნევენ ბავშვის განვითარებაში, მის შემდგომ წარმატებაში. ამასთანავე, ადრეული განათლების საფეხური ეხმარება სოციალური უთანასწორობის შემცირებასა და ქალების მეტ ჩართულობას შრომის ბაზარზე. 1990-იანი წლებიდან მოყოლებული, დაეცა იმ ბავშვთა პროცენტული მაჩვენებელი, რომლებიც ამ დაწესებულებების ბენეფიციარები იყვნენ. საქართველოში დღეისათვის ადრეული ასაკის ბავშვთა სკოლამდელ სტრუქტურებში ჩართულობის მაჩვენებელი 69,5%-ია. განსაკუთრებით დაბალია ამ დაწესებულებების მომსახურებაზე წვდომა სოფლებში (46,8%), ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ ბავშვებში (33%) და სოციალურად დაუცველ ბავშვებში (39,7%) (საქართველოში სკოლამდელი..., 2018).

სქემა 1

საქართველოს განათლების სისტემა



წყარო: *საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო "*

ზოგადი განათლების სისტემა 3 საფეხურს – *დაწყებითს, საბაზოსა* და *საშუალოს* – მოიცავს და რეგულირდება საქართველოს კანონით „ზოგადი

განათლების შესახებ“ და სხვა კანონქვემდებარე აქტებით.

2018 წლის აპრილის თვის მონაცემებით, საქართველოში ფუნქციონირებს 2085 საჯარო და 224 კერძო სკოლა. რეგიონების მიხედვით, ყველაზე მეტი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაა იმერეთში, შემდეგ თბილისში, ქვემო ქართლში, სამეგრელო-ზემო სვანეთსა და აჭარაში (დიაგრამა 1). ზოგადი განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, შემოღებულია დაფინანსების სისტემა. ვაუჩერი თითოეულ მოსწავლეზე გათვლით ერიცხება იმ საჯარო თუ კერძო სკოლას, რომელშიც მოსწავლე სწავლობს. სახელმწიფო მოსწავლეებს სახელმძღვანელოებით სრულად უზრუნველყოფს, ეს კი ოჯახებს მნიშვნელოვნად აცილებს სოციალურ ტვირთს, რაც განათლების დაფინანსებასთან არის დაკავშირებული. კიდევ ერთი ინიციატივაა მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფა. სპეციალური პროგრამა 2013 წელს იმ საჯარო სკოლების მოსწავლეთათვის ამოქმედდა, რომლებსაც სკოლამდე მისასვლელად ფეხით დიდი

დიაგრამა 1

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების განაწილება
რეგიონების მიხედვით



წყარო: *საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური*

მანძილის გავლა უხდებოდათ. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რეფორმა, რაც ზოგად განათლებაში განხორციელდა, არის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების ბავშვებისა და მოზარდების სრულფასოვანი ინტეგრირება საგანმანათლებლო გარემოში. ამ მხრივ პროგრესი თვალსაჩინოა. ბოლო 5 წლის განმავლობაში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) მოსწავლეების რაოდენობა 167-იდან 7000-ამდე გაიზარდა და დღეისათვის საგანმანათლებლო სერვისით სხვადასხვა საჭიროების მქონე მოსწავლეები სარგებლობენ. მათ 1400-ზე მეტი დამატებითი სპეციალისტი (სპეციალური მასწავლებელი, ფსიქოლოგი, ინკლუზიური განათლების კოორდინატორი და ა.შ.) ემსახურება (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების..., 2017).

სტატისტიკური მონაცემები გვიჩვენებს (ცხრილი 1), რომ თბილისში, აჭარაში, სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში შედარებით დიდია მოსწავლეთა წილი მოსახლეობის რიცხოვნებაში, რაც მაღალი შობადობით აიხსნება, ხოლო დედაქალაქის შემთხვევაში ურბანიზაციის მიმდინარე პროცესით. რაც შეეხება ყველაზე დაბალ მაჩვენებლებს, ის რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთში, გურიასა და მცხეთა-მთიანეთში აღინიშნება, რისი მიზეზი აქტიური მიგრაციული პროცესებია საქალაქო ცენტრების მიმართულებით. სკოლების უმეტესობაში მოსწავლეების რაოდენობა 150 მოსწავლეზე ნაკლებია, თუმცა, იმავდროულად, არის სკოლები, სადაც მოსწავლეების რიცხოვნება 2000-ს აღემატება.

ცხრილი 1

მოსწავლეების წილი მოსახლეობის საერთო რიცხოვნებაში
რეგიონების მიხედვით, 2018

რეგიონები	მოსწავლეების წილი პროცენტულად
ქ. თბილისი	16, 9
აფხაზეთის არ	-
აჭარის არ	16, 4
გურია	12, 9
იმერეთი	14, 8
კახეთი	13, 5
მცხეთა-მთიანეთი	12, 5
რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთი	9, 8
სამეგრელო-ზემო სვანეთი	13, 4
სამცხე-ჯავახეთი	15, 7
ქვემო ქართლი	16
შიდა ქართლი	14, 5
სულ	15, 4

წყარო: *საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური*

პროფესიული განათლების სისტემას საქართველოში დიდი ხნის ისტორია აქვს. ტრადიციულ ოსტატ-შეგირდობასთან ერთად, მე-19 საუკუნეში სხვადასხვა მიმართულების *სახელობო* და *სამეურნეო* სასწავლებლებს ჩაეყარა საფუძველი. მოგვიანებით, მსხვილი საწარმოების გაჩენასთან ერთად, პირველი საფაბრიკო-საქარხნო სკოლებიც შეიქმნა. საბჭოთა დროში პროფესიული სასწავლებლების პრესტიჟი დაბალი იყო. ბოლო ათწლეულის განმავლობაში პროფესიული სასწავლებლებისადმი დამოკიდებულება რადიკალურად შეიცვალა. საერთაშორისო დონორების დახმარებით, ამ სექტორის რეფორმირება მიმდინარეობს. 2016 წლიდან დაიწყო პროფესიული პროგრამების სამუშაოზე დაფუძნებული/დუალური სწავლების პრინციპით განხორციელება.

საქართველოში პროფესიული განათლება რეგულირდება საქართველოს კანონით „პროფესიული განათლების შესახებ“ და სხვა კანონქვემდებარე აქტებით. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება შეიძლება იყოს როგორც *საჯარო*, ისე *კერძო*. საჯარო პროგრამებზე სწავლება სრულად ფინანსდება სახელმწიფოს მიერ. საგანმანათლებლო პროგრამას ახორციელებს: *პროფესიული კოლეჯი, საზოგადოებრივი კოლეჯი, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება*, რომელიც უფლებამოსილია, განახორციელოს პროფესიული განათლების პირველი სამი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამები და *უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება*, რომელიც უფლებამოსილია, განახორციელოს ყველა საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები (დიაგრამა 2) (პროფესიული განათლება, 2018).

დიაგრამა 2

საგანმანათლებლო დაწესებულებების რაოდენობა, რომლებიც ახორციელებდნენ სტუდენტების მიღებას პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე



წყარო: *საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური*

პროფესიული განათლება პირდაპირ უკავშირდება შრომის ბაზარს. მისი პროგრამები მუდმივად ახლდება და თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი ხდება. ნებისმიერ მოქალაქეს საშუალება ეძლევა, შეიცვალოს კვალიფიკაცია, მოემზადოს შრომის ბაზრისთვის და გახდეს კონკურენტუნარიანი. ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, პროფესიულ განათლებაში ინერგება ინკლუზიური განათლების პრინციპები, იქმნება ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისთვის.

უმაღლესი განათლების სფეროო რეგულირდება საქართველოს კანონებით „უმაღლესი განათლების შესახებ“, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ და სხვა საკანონმდებლო აქტებით; ასევე, ევროკავშირთან ასოცირების დღის წესრიგით, ბოლონიის პროცესისა და ევროპის უმაღლესი განათლების სივრცის ჩარჩო დოკუმენტებით ნაკისრი ვალდებულებებით.

საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემამ ბოლო ათწლეულის განმავლობაში მნიშვნელოვანი ტრანსფორმაცია განიცადა. ამოქმედდა უმაღლესი განათლების სამსაფეხურიანი სისტემა – *ბაკალავრიატი, მაგისტრატურა* და *დოქტორანტურა;* კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემა (ECTS), გაჩნდა სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის მობილობის შესაძლებლობა.

აკადემიურ პროგრამებზე ჩარიცხვა ხორციელდება ერთიანი ეროვნული გამოცდებით. პრიორიტეტული მიმართულებები ფინანსდება სახელმწიფოს მხრიდან, რაც ახალგაზრდებისთვის ზრდის ბაკალავრიატზე ხელმისაწვდომობას. ამასთან, ნებისმიერ პროგრამაზე ფინანსდებიან სრული ან ნაწილობრივი გრანტით ის აბიტურიენტები, რომლებიც მაღალი შედეგებით აბარებენ ერთიან ეროვნულ გამოცდებს. მოქმედებს სოციალური გრანტების სისტემა მოწყვლადი ჯგუფებისთვის.

2017 წლის მდგომარეობით, საქართველოში ფუნქციონირებს 75 ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, მათში 140 000 სტუდენტი სწავლობს და დასაქმებულია 13 000-ამდე აკადემიური და კვლევითი პერსონალი (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების..., 2017).

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახეებია:

ა) კოლეჯი – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებს;

ბ) სასწავლო უნივერსიტეტი – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამებს;

გ) უნივერსიტეტი – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს სამივე საფეხურის უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებსა და სამეცნიერო კვლევებს.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება შეიძლება იყოს როგორც საჯარო, ისე კერძო. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვება შესაძლებელია ავტორიზაციის გზით. სახელმწიფო აღიარებს მხოლოდ აკრედიტებული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემულ დიპლომს.

კითხვები:

1. რატომ არის მნიშვნელოვანი განათლების ხელმისაწვდომობა?
2. რა პრობლემები შეიძლება მოიტანოს განათლებაზე ხელმისაწვდომობის შეზღუდვამ?
3. ახსენით, რომელი საფეხურის დაწესებულებები და მასში ჩართული აღსაზრდელები/მოსწავლეები/სტუდენტები ჭარბობს, ახსენით მიზეზები?

დავალება:

აირჩიეთ განათლების ერთ-ერთი საფეხური და დაწერეთ მისი განვითარების 3-წლიანი სამოქმედო გეგმა, იმუშავეთ ჯგუფებში. ამის შემდეგ გაეცანით „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ერთიან სტრატეგია 2017-2021-ს", მიუთითეთ ის კომპონენტები, რომლებზეც თქვენს სამოქმედო გეგმაში არ გაგიმახვილებიათ ყურადღება და ის კომპონენტები, რომლებზეც სტრატეგიაში არ არის საუბარი.

გამოყენებული ლიტერატურა:

ადრეული და სკოლამდელი აღზრდა და განათლება, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2018, ნანახია 27 ივნისს, 2018, http://www.geostat.ge/?action=page&p_id=2602&lang=geo

ზოგადი განათლება, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2018, ნანახია 27 ივნისს, 2018, http://www.geostat.ge/?action=page&p_id=2098&lang=geo

პროფესიული განათლება, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2018, ნანახია 27 ივნისს, 2018, http://www.geostat.ge/?action=page&p_id=2101&lang=geo

პროფესიული განათლება, ნანახია 27 ივნისს, 2018, http://vet.ge/

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია 2017-2021, საქართველოს უმაღლესი განათლება, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, 2017, ნანახია 27 ივნისს, 2018, http://mes.gov.ge/content.php?id=131&lang=geo

საქართველოში სკოლამდელი პროგრამების ხარისხის კვლევა, UNICEF, 2018

ჯანელიძე ა., სკოლამდელი განათლება საქართველოში, 2015 ნანახია 24 ივნისს, 2018, www.mastsavlebeli.ge

ჯაოშვილი ვ., *საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური გეოგრაფია*, თბილისი, 1996

Education1: Expenditure on education as % of GDP (from government source), Sustainable Development Goals, 2018, ნანახია 27 ივნისს, 2018, http://data.uis.unesco.org/index.aspx?queryid=181

6.3. ჯანდაცვა

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (ჯანმო) განმარტებით, ჯანდაცვის სისტემა არის ყველა ორგანიზაციის, დაწესებულების ერთობლივი ძალისხმევა, რომლის მიზანია ადამიანთა ჯანმრთელობის ხელშეწყობა და გაუმჯობესება. ჯანდაცვის სისტემა მოიცავს ***სამედიცინო მომსახურების მიწოდებას*** – პირველად და მეორეულ პროფილაქტიკას, მკურნალობას, ზრუნვასა და რეაბილიტაციას; ასევე, სამედიცინო მომსახურებისთვის მიმართულ ქმედებებს, განსაკუთრებით, დაფინანსების, რესურსების გენერირებისა და მართვის ფუნქციებს (საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის..., 2017, 6).

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ჯანმრთელობის დაცვა რომელიმე გამორჩეული ჯგუფის პრივილეგია არ არის, არამედ ნებისმიერი ადამიანის უფლებაა. გარდა ამისა, ჯანდაცვისკენ მიმართული თანხა არ არის უბრალოდ დახარჯული თანხა, არამედ პირდაპირი ინვესტიციაა ქვეყნის ეკონომიკაში (ჯანდცვის რეფორმები, 2015).

ჯანდაცვის დაფინანსების სისტემას ***პოლიტიკური მნიშვნელობა*** აქვს. თუ ქვეყანაში არ არის ჩამოყალიბებული ჯანდაცვის შესაბამისი დაფინანსების სისტემა, მოსახლეობის გაღარიბების ერთ-ერთი მიზეზი მძიმე ავადმყოფობის მკურნალობაზე გაწეული დიდი ხარჯები შეიძლება გახდეს; არასწორი ფინანსური პოლიტიკის შემთხვევაში ჯანდაცვის ხარჯები ტვირთად აწვება სახელმწიფოს ბიუჯეტსაც. ამიტომ დარგის დაფინანსების პოლიტიკა განსაზღვრავს, თუ *ჰამდენად ხელმისაწვდომია სამედიცინო დახმარების ძირითადი სახეები ქვეყნის მთელი მოსახლეობისათვის და სამედიცინო დახმარების ჰა სახეები უნდა დაფინანსდეს.*

მსოფლიო მოსახლეობის შემოსავლების მატებამ და ***ეკონომიკური მდგომარეობის*** გაუმჯობესებამ მნიშვნელოვნად გაზარდა სამედიცინო მომსახურების მიღების სურვილი. სწორედ ფინანსური შემოსავლების ზრდის გამო ადამიანები აღარ კმაყოფილდებიან კონსერვატიული მკურნალობით და ძვირადღირებულ მომსახურებას ანიჭებენ უპირატესობას.

საზოგადოების განვითარებასთან ერთად იცვლება ***დემოგრაფიული სტრუქტურა*** – იზრდება ხანდაზმულთა წილი მსოფლიო მოსახლეობაში. თუ 1900 წლისათვის მსოფლიოში სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 31 წელი იყო, ხოლო მე-20 საუკუნის შუა პერიოდში 48 წელი, 2005 წლისათვის ამ პარამეტრმა 65,5 წელი შეადგინა. როგორც ვარაუდობენ, ეს მაჩვენებელი სამომავლოდ კიდევ გაიზრდება. განვითარებულ ქვეყნებში შობადობის დაბალი დონე, შედარებით დაბალი სიკვდილიანობა და სიცოცხლის მაღალი ხანგრძლივობა მოსახლეობის დაბერებას განაპირობებს. ეს პროცესი საქართველოსაც შეეხო. თუმცა, განვითარებული ქვეყნებისაგან განსხვავებით, მოსახლეობის დემოგრაფიული დაბერება აქ შობადობის შემცირების ხარჯზე მიმდინარეობს. 1926-2000 წლებში 60 წელზე უფროსი ასაკის მოსახლეობა ჩვენს ქვეყანაში 8,7%-იდან 18,8%-ამდე გაიზარდა, ხოლო 15 წლამდე ასაკის თაობა 40,8%-იდან 20,4%-ამდე შემცირდა (ვერულავა, 2009, 158-162).

მოსახლეობის დაბერება, მასთან დაკავშირებული მრავალი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გამო, არაეფექტური პროცესია. ხანდაზმული მოსახლეობისათვის უარესდება ცხოვრების ხარისხი, ხოლო მათი რაოდენობის გაზრდით მცირდება შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის ხვედრითი წილი. ეს კი, თავის მხრივ, დემოგრაფიულ დატვირთვაზე მოქმედებს. თუკი 1960 წლისათვის შრომისუნარიანი კონტინგენტი მსოფლიო მოსახლეობის თითქმის 74%-ს შეადგენდა, 2017 წლისათვის ეს მაჩვენებელი არ აღემატება 54%-ს (Age dependency, 2017). დღეისათვის საქართველოში ყოველ 100 შრომისუნარიანზე 22,2 ხანდაზმული მოდის. ამ მიმართებით ის ახლოს დგას დასავლეთისა და ზოგიერთ პოსტსაბჭოთა სახელმწიფოსთან (მაგ.: საფრანგეთში – 30,9, პოლონეთში – 23,4, ბრიტანეთში – 28,6, უკრაინაში – 23,5, აშშ-ში – 22,7), მაშინ, როცა აზიის ქვეყნებში ეს მაჩვენებელი გაცილებით დაბალია (მაგ.: ყაზახეთში – 10,4, ირანში –7,3, თურქეთში– 11,9, ერაყში – 5,5) (Age dependency Ratio, Old, 2017). არანაკლებ მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ დემოგრაფიული დაბერება მნიშვნელოვნად ზრდის ავადობის მაჩვენებელს, რაც, თავის მხრივ, ზრდის მოთხოვნას სამედიცინო მომსახურებაზე და, შესაბამისად, ჯანდაცვის ხარჯებსაც (ვერულავა, 2009, 205).

მსოფლიო ბანკის 2017 წლის კლასიფიკაციის მიხედვით, საქართველო საშუალოზე დაბალი შემოსავლების ქვეყნების ჯგუფს მიეკუთვნება. *მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ) ეით სულზე* 2017 წელს 4067,7 აშშ-ის დოლარი იყო. ფარდობითი სიღარიბე მედიანური მოხმარების 60%-ის მიმართ 2017 წელს, წინა წელთან შედარებით (21,0%), გაზრდილია და 22,3%-ს შეადგენს (საქსტატი, 2018). მიუხედავად ბოლო წლებში ჯანმრთელობაზე დანახარჯების მნიშვნელოვანი ზრდისა, არსებული მონაცემებით, ევროპის რეგიონის ქვეყნებს შორის საქართველო ჯერ კიდევ ერთ-ერთ ბოლო ადგილზეა სახელმწიფო ჯანდაცვაზე დანახარჯის წილით, როგორც მთლიან ჯანდაცვაზე დანახარჯებში (2015 – 36%), ასევე მშპ-სა (2015 –

2.9%) და სახელმწიფო ბიუჯეტში (2015 – 8.6%), (საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის..., 2017, 5).

საქართველოს ჯანდაცვა დღემდე რეფორმირების პროცესშია. რადიკალური ცვლილებები კი 1990-იანი წლებიდან დაიწყო, როცა არსებობა შეწყვიტა საყოველთაო უფასო ჯანდაცვის საბჭოთა სისტემამ და ქვეყანა საბაზრო ეკონომიკის პრობლემების წინაშე აღმოჩნდა. თუ საბჭოთა პერიოდში სახელმწიფო ერთ ადამიანზე დაახლოებით 130-135 $-ს ხარჯავდა, შემდეგ ეს მაჩვენებელი 0,45-0,8 $-ამდე დაეცა. ელვისებურმა ეკონომიკურმა კრიზისმა სახელმწიფო დაფინანსება უეცრად გააქრო და სამედიცინო პერსონალი და პაციენტები ერთმანეთის პირისპირ დატოვა. არც ერთ მხარეს ერთმანეთთან ეკონომიკური თანამშრომლობის გამოცდილება მანამდე არ ჰქონია, თუ არ ჩავთვლით საქართველოში საბჭოთა პერიოდიდან გავრცელებულ, ექიმებისათვის მადლიერების ნიშნად, „არაოფიციალურად“ ფულის გადახდის პრაქტიკას. განადგურდა და გაიძარცვა სამედიცინო ინფრასტრუქტურა; რესურსები უკიდურესად შემცირდა და ინდუსტრია პირველად გახდა კლიენტზე დამოკიდებული. დატვირთვა მთლიანად პაციენტს დააწვა – დაფინანსების მიღების ერთადერთი გზა მის მიერ მომსახურების ფასის ჯიბიდან გადახდა გახდა. მიუხედავად იმისა, რომ ჰუმანიტარული დახმარება ვერ აღწევდა ყველა მომხმარებლამდე, ამ პერიოდში საერთაშორისო ორგანიზაციების (ACTS Georgia, World Food Program (WFP) და სხვ.) მიერ გაწეულ დახმარებას სტაციონარების მედიკამენტებითა და ამბულატორიების ბავშვთა კვებით უზრუნველყოფაში, სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა. 1993 წლიდან იწყება ინტენსიური მუშაობა ჯანდაცვის ეკონომიკური და იურიდიული ფონის შესაქმნელად, ანუ ე.წ. „ფასიან მედიცინაზე“ გადასასვლელად. 1995-2005 წლებში გაჩნდა კერძო დანახარჯებთან შედარებით მცირე (10% -15%), მაგრამ მაინც ცენტრალიზებული დაფინანსების წყარო. თუმცა სამედიცინო პროგრამის საბაზრო ღირებულება მრავალჯერ აღემატებოდა სახელმწიფო პროგრამის ბიუჯეტით გათვალისწინებულ დაფინანსების მოცულობას. სახელმწიფო არ ამოწმებდა დაწესებულებების მიერ გაწეული მომსახურების ხარისხს და არ ერეოდა მართვაში. 2006 წლიდან, ჯანდაცვის რეფორმის შედეგად, სახელმწიფო სამედიცინო ობიექტების დიდი ნაწილი კერძო საკუთრება გახდა (კვანტალიანი ვ., 2018, ინტერვიუ).

2011 წლის ბიუჯეტით, საქართველოში სახელმწიფოს მიერ გაღებული ხარჯები ჯანდაცვაზე შეადგენდა მშპ-ის 1,5%-ს, მაშინ, როდესაც, საშუალოდ, მსოფლიოში ეს მაჩვენებელი 5,8 % იყო, მათ შორის: განვითარებად ქვეყნებში – 2,2%, განვითარებულ ქვეყნებში – 6,7%. საქართველოში ჯანდაცვის დაფინანსების ძირითად წყაროდ კვლავ მოსახლეობის კერძო დანახარჯები რჩებოდა. ჯიბიდან გადახდები დანახარჯების 73%-ს შეადგენდა. ამ მაჩვენებლით ევროკავშირსა და პოსტსაბჭოთა სივრცეში მხოლოდ ტაჯიკეთი გვისწრებდა. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის ცნობით, საქართველოს მოსახლეობის 76%-ს არ გააჩნდა ჯანმრთელობის დაზღვევის პოლისი. ეს არც არის გასაკვირი, რადგან სტაბილური სამუშაოს არქონის პირობებში თითქმის შეუძლებელია დაზღვევის მიღება. ოჯახები არასაკვები ხარჯების 40%-ზე მეტს სამედიცინო სერვისებზე ხარჯავდნენ (დღევანდელი ჯანდაცვა, 2011).

ჯანდაცვაზე ხელმისაწვდომობის ზრდის თვალსაზრისით, უმნიშვნელოვანესი მიღწევა იყო 2013 წელს საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის დანერგვა, რომელმაც სათავე დაუდო სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული სამედიცინო მომსახურებით მოსახლეობის უნივერსალურ დაფარვას (საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის..., 2017, 5). 2014 წლის ოქტომბრიდან პროგრამა, ფაქტობრივად, სრულად ამოქმედდა და მოსახლეობის 99% მოიცვა.

2017 წლის მაისიდან, რეფორმის შედეგად, ცვლილება შეეხო ორ მთავარ კომპონენტს:

– გაიმიჯნა საყოველთაო და კერძო დაზღვევის პაკეტები, რის შედეგადაც კერძო დაზღვევის პროგრამის მონაწილეები ვეღარ სარგებლობენ საყოველთაო დაზღვევით;

– საყოველთაო დაზღვევის პაკეტები დამოკიდებული გახდა საშემოსავლო და ქონებრივ მდგომარეობაზე.

ცვლილებების მიზნად ხარჯთეფექტიანობის გაზრდა, ანუ თანხების მართებულად ათვისება და ამით ჯანდაცვის მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება დასახელდა. „ხარჯების ეფექტურობა“ გულისხმობს, რომ დანახარჯები, მეტწილად, ***იმ სოციალური ჯგუფებისაკენ მიემართებოდეს, ჰომდებსაც ამის მეტი საჭიროება აქვთ.*** ანუ ხშირად ის, რაც იხარჯება, შეძლებულს უფრო ადგება, ვიდრე ღარიბს. არადა, პირიქით უნდა იყოს. შესაბამისად, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაში სოციალური ჯგუფები, მათი შემოსავლისა და ქონებრივი მდგომარეობის მიხედვით, რამდენიმე კატეგორიად დაიყო.

იმისთვის, რომ ჯანდაცვის ხარჯები ხარჯთეფექტური იყოს, მსოფლიოში აპრობირებული საუკეთესო მექანიზმი ***სადაზღვევო მედიცინის*** მოდელია, როდესაც სახელმწიფო აფინანსებს ჯანდაცვის სექტორს. სასურველია, ეს *სადაზღვევო კომპანიების* გავლით მოხდეს და არა საავადმყოფოებისთვის პირდაპირი გადახდის წესით. ამ შემთხვევაში ეს არა მხოლოდ ხარჯთეფექტური ხარჯვაა, არამედ ამით სადაზღვევო მედიცინის განვითარების ხელშეწყობაც ხდება (საყოველთაო ჯანდაცვის..., 2016).

ჯანდაცვის სახელმწიფო და კერძო სექტორების ფორმირება შეიძლება ორი ნიშნის მიხედვით:

ა) *დაფინანსების წყაროს მიხედვით* და ბ) სამედიცინო ორგანიზაციების *საკუთრების ფორმის* მიხედვით. შესაძლებელია ასეთი თანაფარდობის სხვადასხვა ვარიანტი:

- ***მარტივი შეთანხმება*** – სახელმწიფო დაფინანსება და სამედიცინო დახმარების გაწევა სახელმწიფო დაფინანსების სისტემაში, მხოლოდ საბჭოთა კავშირში არსებობდა, სადაც, პრაქტიკულად, ყველა სამედიცინო დაწესებულება სახელმწიფოს ეკუთვნოდა;
- ***კერძო სამედიცინო სტრუქტურაში სახელმწიფო დაფინანსებით*** მომსახურების მიღება ხდება მაშინ, როცა კერძო სამედიცინო დაწესებულებები ხელშეკრულებას აფორმებენ ჯანდაცვისა და სოციალური პროგრამების სააგენტოსთან სახელმწიფო ჯანდაცვითი პროგრამების განსახორციელებლად;
- ***კერძო დაფინანსების და სახელმწიფო სამედიცინო დახმარების*** შეთავსების მაგალითს წარმოადგენს სახელმწიფო დაწესებულებებში განხორციელებული კერძო სამედიცინო მომსახურება, აგრეთვე სახელმწიფო დაწესებულებებში მომსახურების გარკვეულ სახეებზე თანაგადახდების დაწესება;
- ***კერძო სამედიცინო მომსახურებისა და სამედიცინო დახმარების კერძო დაფინანსების*** შეთავსებისას პაციენტები კერძო სამედიცინო დაწესებულებებში იხდიან მომსახურების ხარჯებს (ვერულავა, 2009, გვ. 650).

დღეისათვის საქართველოს ჯანდაცვის სფეროში მთელი რიგი საკითხებისა კვლავ რჩება პრობლემის სახით, კერძოდ:

- მიუხედავად იმისა, რომ საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამამ, გარკვეულწილად, უზრუნველყო სამედიცინო სერვისებზე მოსახლეობის ხელმისაწვდომობის ზრდა, ექიმის მიერ დანიშნული მედიკამენტების დაფინანსება მხოლოდ ძალიან მცირე ჯგუფს შეეხო. ჯანდაცვის დანახარჯების ნახევარზე მეტი კი სწორედ მედიკამენტებზე მოდის (აბსანძე, 2018);
- კვლავ მთავარ გამოწვევად რჩება მომსახურების გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა. ჯანდაცვის დანახარჯების უდიდესი ნაწილი თბილისსა და დიდ ქალაქებში რჩება. რაც უფრო დაშორებულია სოფელი თუ რაიონი დედაქალაქს და რეგიონულ ცენტრს, მით უფრო იკარგება ჯანდაცვის სერვისები (მჭედლიშვილი, 2017);
- ღირებულებაზე დაფუძნებული ჯანდაცვის სისტემა მნიშვნელობას ანიჭებს კარგი ჯანმრთელობის შენარჩუნებას და არა გაუარესებული ჯანმრთელობის მკურნალობას, რომელიც, როგორც წესი, შენარჩუნებაზე ბევრად ძვირი ჯდება. დღევანდელი სისტემა მიდრეკილია იქითკენ, რომ ხარჯის დიდი ნაწილი წავიდეს გართულებულ მკურნალობაზე და არა პრევენციაზე (ხელაია, 2017; მჭედლიშვილი, 2017);
- მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის რეკომენდაციაა, ჯანდაცვაზე *სახელმწიფო დანახარჯების ხვედრითი წილი* შეადგენდეს ჯანდაცვის მთლიანი დანახარჯების 40%-ზე მეტს. ***ამაზე ნაკლები მაჩვენებელი სახელმწიფოს შეზღუდულ პასუხისმგებლობაზე მიუთითებს.*** საქართველოში ეს წილი 29,8 %-ია. რეკომენდაციით გათვალისწინებული ზღვარი კი გადალახული აქვთ სომხეთს (41,7%), ყაზახეთს (53,1%), უკრაინას (54,5%), ყირგიზეთს (59%), ხოლო განვითარებულ ქვეყნებში ეს შედეგი 85 %-ს აღწევს, რაც იმას ნიშნავს, რომ განვითარებული ქვეყნები ჯანდაცვის მთლიან ხარჯებში კერძო დანახარჯების მხოლოდ მცირე, 15%-იან წვლილს ტოვებენ (ვერულავა, 2015).
- კვლავ მნიშვნელოვნად მაღალი რჩება მთლიან დანახარჯებში ჯანდაცვაზე ჯიბიდან გადახდების წილი (57,3%), რაც მძიმე ტვირთად აწვება შინამეურნეობებს. ჯერ კიდევ მწირია და არამდგრადი ***პრევენციული*** და ***პირველადი ჯანდაცვის სერვისებზე*** დანახარჯები (19%) ჰოსპიტალურ ხარჯებთან მიმართებით (31%) (საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის..., 2017, 16).

საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სისტემის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სტრატეგიაა ჯანდაცვაზე სახელმწიფო დანახარჯების ეტაპობრივი გაზრდა და ოპტიმიზაცია; ასევე, ერთიანი სტანდარტიზებული პაკეტის შემოღება, რომელსაც სახელმწიფო სრულად დააფინანსებს დაბალშემოსავლიანი ჯგუფებისთვის, ნაწილობრივ დააფინანსებს საშუალოშემოსავლიანი ჯგუფებისათვის, ხოლო მაღალშემოსავლიან მოსახლეობას კერძო სადაზღვევო ინდუსტრია დაფარავს (საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის..., 2017, 16).

კითხვები:

1. რა ფორმით შეიძლება მოხდეს სამედიცინო მომსახურების შეთავაზება მომსახურების ფორმებისა და ჯანდაცვის ობიექტების სტრუქტურის მიხედვით?
2. როგორ გესახებათ სადაზღვევო კომპანიების ჩართულობა ჯანდაცვის ხარჯების ხარჯთეფექტურობის მისაღწევად?

დავალება:

მოიძიეთ სათანადო ინფორმაცია საქსტატის ვებგვერდზე (www.geostat.ge) და გააკეთეთ მცირე ანალიზი საქართველოს ჯანდაცვის სექტორის შესახებ.

გამოყენებული ლიტერატურა:

აბსანძე თ., საყოველთაო დაზღვევა არ არის საყოველთაო, 6 თებერვალი, 2018, ნანახია 22 ივნისს, 2018, http://forbes.ge/news/3403/sayovelTao-jandacva-ar-aris-sayovelTao

დემოგრაფიული ვითარება საქართველოში 2017, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2018, ნანახია 21 ივნისს, 2018, http://geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/population/demografiuli%20viTareba%20saqarTveloSi_2018.pdf

დღევანდელი ჯანდაცვა საქართველოში, European. Ge. 03.03.2011, ნანახია 22 ივნისს, 2018, http://european.ge

ვერულავა თ., ჯანდაცვის ეკონომიკა და დაზღვევა, თბილისი, 2009

ვერულავა თ., ჯანდაცვის დანახარჯები ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციით და საქართველოს ჯანდაცვის დაფინანსება, 28.11.2015. ნანახია 22 ივნისს, 2018, http://premieri.ghn.ge/com/news/view/958

მჭედლიშვილი ნ., საყოველთაო ჯანდაცვის რეფორმა – პარლამენტში ძირითად პრინციპებზე მსჯელობა დაიწყო, 27 იანვარი, 2017, ნანახია 26 ივნისს, 2018, https://www.radiotavisupleba.ge/a/sayoveltao-jandacvis-reforma/28262733.html

მჭედლიშვილი ნ., ჯანდაცვის რეფორმები „გლობალური ალიანსის" ჩართულობით, ნოემბერი, 2015, ნანახია 29 ივნისს, 2018, http://www.hwngo.org.ge/analytics/47-jandacvis-reformis-analizi https://www.radiotavisupleba.ge/a/jandatsvis-gamotsvevebi-da-globaluri-konperentsia/27377320.html

საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სისტემის განვითარების ხედვა 2030 წლისათვის, საქართველოს პარლამენტი. ევროკავშირი საქართველოსათვის. გაეროს განვითარების პროგრამა, 2017.

სიღარიბის მაჩვენებლები, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი), 2018, ნანახია 22 ივნისს, 2018, www.geostat.ge

საყოველთაო დაზღვევის „შავი ხვრელები", ნანახია 22 ივნისს, 2018, http://eugeorgia.info/ka/article/359/sayoveltao-jandacvis-shavi-xvrelebi/

ხელაია ნ., საყოველთაო ჯანდაცვის რეფორმის მეორე ტალღა დაიწყო, 28 ივნისი, 2017, ნანახია 22 ივნისს, 2018, http://old.1tv.ge/projects/analytics/?page=detail&id=167232

Age Dependency Ratio, The World Bank, 2017, ნანახია 22 ივნისს, 2018, https://data.worldbank.org/indicator/sp.pop.dpnd;

Age dependencyRatio, Old., Index Mundi, ნანახია 22 ივნისს, 2018, https://www.indexmundi.com/facts/indicators/SP.POP.DPND.OL

World Health Organization, Encyclopedia Britannica, 2018, ნანახია 22 ივნისს, 2018, https://www.britannica.com/topic/World-Health-Organization

6.4. სოციალური დაზღვევა

დაზღვევა რისკის მართვის ერთ-ერთი სახეა, რომელიც მის მოსარგებლეს საშუალებას აძლევს, რისკის დადგომის შედეგად წარმოქმნილი ზარალი თავიდან აიცილოს. სოციალური დაზღვევის სისტემამ, რომელიც უზრუნველყოფდა მოსახლეობის საყოველთაო ხელმისაწვდომობას და უნივერსალობას, ***სოციალური დაზღვევის*** სახელწოდება მიიღო ევროპაში (დუშუაშვილი, 2016; ვერულავა, 2009, 315).

სოციალური დაზღვევის სისტემა ყოველთვის მიჰყვებოდა პროფკავშირებისა და სოციალისტური პარტიების ჩამოყალიბებასა და განვითარებას. შესაბამისად, სოციალურ დაზღვევაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა მუშათა კლასის პოლიტიკური ორგანიზაციის დონე, განსაკუთრებული როლი ენიჭებოდა ქვეყნის სამრეწველო განვითარებას. 1911 წლის აქტის შედეგად დიდი ბრიტანეთის კანონმდებლობაში პირველად დაფიქსირდა *საზოგადოებრივი სოციდახობის პრინციპი,* როდესაც მდიდარი იხდის ღარიბისთვის, ჯანმრთელი – ავადმყოფისთვის. დაზღვეულთა გარკვეულ ჯგუფზე (ყველაზე დაბალშემოსავლიან პირებზე, რომელთა შემოსავალი დღეში 1,5 შილინგს არ აღმატებოდა), ვრცელდებოდა დაზღვევა სადაზღვევო შენატანების გარეშე. მოსახლეობის ამ ფენების დახმარება ხდებოდა მეწარმეთა, აგრეთვე მაღალანაზღაურებადი დაქირავებულების ხარჯზე. 1913 წელს კი სახელმწიფო უკვე ბიუჯეტიდან ფარავდა ავადმყოფობისა და ინვალიდობის დაზღვევის ხარჯებს. იმავე წელს საფრანგეთში მიღებულ იქნა კანონი უბედური შემთხვევებისა და პროფესიული დაავადებების დაზღვევის შესახებ, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საფრანგეთში ჯანმრთელობის დაზღვევის განვითარებაში (ვერულავა, 2009, 315-317).

საქართველოში 1912 წელს მიღებულ იქნა კანონი „ავადმყოფობისას მუშათა დაზღვევის შესახებ“ და კანონი „უბედური შემთხვევების გამო მუშათა დაზღვევის შესახებ“. კანონის მიღება ეხებოდა მშრომელებს, რომლებიც *საავადმყოფო საღახოთა* წევრები იყვნენ და იღებდნენ დახმარებას ავადმყოფობის, დასახიჩრების, მშობიარობისა და გარდაცვალების დროს. დაზღვევა მხოლოდ თბილისში ფუნქციონირებდა. საავადმყოფო სალაროები იქმნებოდა მხოლოდ იმ საწარმოებში, სადაც დასაქმებულთა რაოდენობა 200 ადამიანზე მეტი იყო. საქალაქო საავადმყოფო სალარო ფინანსებს აგროვებდა დამსაქმებელთა შენატანებით. 1919 წლიდან თბილისში დაიწყო საერთო საქალაქო საავადმყოფო სალაროს ჩამოყალიბება.

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ სადაზღვევო საქმე სახელმწიფომ აიღო თავის ხელში. 1921 წელს გამოიცა დეკრეტი, რომლის თანახმად, შემოღებულ იქნა დაზღვევა ავადმყოფობის, დასახიჩრების, ინვალიდობის, მოხუცებულობისა და უმუშევრობის შემთხვევაში (ვერულავა, 2009, 321).

1991 წლამდე საბჭოთა ჯანდაცვის სისტემის ადმინისტრირება და დაფინანსება ცენტრალიზებული იყო. შესაბამისად, სამედიცინო მომსახურება მოსახლეობის 100%-ს მოიცავდა. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საბაზრო ეკონომიკის პრინციპებზე გადასვლამ დღის წესრიგში მთლიანი სისტემის ახალი მოდელის შექმნა დააყენა. მასზე ინტენსიური მუშაობა 1993-1995 წლებში მიმდინარეობდა, რასაც, საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროსთან ერთად, გაეროს ჯანმრთელობის საერთაშორისო ორგანიზაციის (ჯანმო) ჯგუფი ხელმძღვანელობდა. 1995 წლიდან ე.წ. „ფასიან მედიცინას“ მიება დაზღვევა. შეიქმნა *საქართველოს ჯანმრთელობის დაზღვევის სახელმწიფო კომპანია.* გამოიკვეთა, თუ რა სჭირდებოდა ოპტიმალურად ქვეყანას. მოგვიანებით ეს სახელმწიფო სადაზღვევო კომპანია გადანაწილდა კერძო სექტორში. დაიწყო საავადმყოფოების პრივატიზაცია, ამოქმედნენ *კერძო სადაზღვევო კომპანიები* (კვანტალიანი, 2018, ინტერვიუ; ვერულავა, 2009, 322-324).

1997 წლიდან დღემდე, ეტაპობრივი ცვლილებებით, დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოა ***საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური.*** სამსახურმა მთლიანად შეითავსა უფლება-მოვალეობები დაზღვევისა და საპენსიო სქემების ზედამხედველობის საკითხებში (სსიპ საქართველოს დაზღვევის..., 2018).

სადაზღვევო ბაზრის მდგომარეობაზე წარმოდგენას გვაძლევს ორი პარამეტრი – **ერთ სულ მოსახლეზე სადაზღვევო პრემიის სიდიდე** და **მთლიან შიდა პროდუქტში სადაზღვევო პრემიის წილი.** მსოფლიოს სადაზღვევო ინდუსტრიის წილი მსოფლიო მშპ-ში 6,17%-ია; განვითარებული ეკონომიკის ქვეყნებში საშუალო მაჩვენებელია 8,15%, ხოლო განვითარებად ქვეყნებში – 2,71%. საქართველოსთვის ეს სიდიდე 0,83%-ის ტოლია. მსოფლიოში ერთ სულ მოსახლეზე 662 $ პრემია მოდის, განვითარებულ ქვეყნებში, საშუალოდ, 3 666 $, ხოლო განვითარებადში 136 $. საქართველოში ეს სიდიდე არ აღემატება 37 $-ს (ლაზარიაშვილი, 2017). საქართველო არის ძალიან იშვიათი იმ ქვეყნებიდან, სადაც სავალდებულო დაზღვევა საერთოდ არ არსებობს. ახლო მომავალში, სავარაუდოდ, ძალაში უნდა შე-

ვიდეს სავალდებულო დაზღვევა დამსაქმებელთა საკუთარი ხარჯებიდან, დასაქმებულის უბედური შემთხვევის დაზღვევით (დასაქმებულის უბედური შემთხვევის..., 2018).

სადაზღვევო ბაზარი ორ, **საცალო** და ***კორპორაციულ,*** სექტორად იყოფა. კორპორაციული სექტორი უფრო განვითარებულია და კონკურენციაც აქ უფრო მძაფრია.

არსებობს ***სახელმწიფო*** და ***კერძო*** დაზღვევა. სოციალური დაზღვევა *სახელმწიფო დაზღვევას* განეკუთვნება. მას როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მხარეები აქვს. სოციალური დაზღვევის დადებითი მხარეა *სოღიდარობის პრინციპი* ჯვარედინი სუბსიდირების გამო – მაღალშემოსავლიანი პირებიდან დაბალშემოსავლიანებზე, ჯანმრთელებიდან ავადმყოფებზე, ახალგაზრდებიდან მოხუცებზე და ა.შ. თუმცა მხოლოდ სადაზღვევო შენატანები შესაძლოა, არ იყოს საკმარისი (როცა სახელმწიფოს სურს მოიცვას მეტი მოსახლეობა, დიდია ხანდაზმული მოსახლეობის რაოდენობა, მაღალია უმუშევრობა და სხვ.). ამ შემთხვევაში სახელმწიფო ახდენს სუბსიდირებას საერთო გადასახადების მეშვეობით.

სოციალურ დაზღვევას სუსტი მხარეც გააჩნია, მაგალითად: ღარიბი მოსახლეობის ჩართვა სისტემაში მოითხოვს სუბსიდირებას სახელმწიფოს მხრიდან; მეტად ძნელია სოფლად და თითქმის შეუძლებელი არაფორმალურ სექტორში დასაქმებულთა და უმუშევართა გადასახადების შეგროვება; სოციალურ დაზღვევაზე გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა – ეკონომიკური კრიზისის დროს, დასაქმებულთა რაოდენობის შემცირებასთან ერთად, მცირდება სადაზღვევო შენატანების მოცულობა და სხვ. ამგვარად, ჯანმრთელობის სოციალური დაზღვევის სისტემა მოითხოვს ქვეყანაში მძლავრი ეკონომიკური სტრუქტურების არსებობას. სხვა შემთხვევაში, შეუძლებელია მხოლოდ თვიური გადახდების ხარჯზე მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების ფართო სპექტრის დაფინანსება (ვერულავა, 2009, 357-360).

ქვეყნის ეკონომიკური სიძლიერე და სტაბილური პოლიტიკური მდგომარეობა ასევე გადამწყვეტი ფაქტორია *კერძო სადაზღვევო ბიზნესის* განვითარებისათვის. მისი ისტორია საქართველოში 1990 წლიდან იწყება, როცა დაარსდა პირველი კერძო სადაზღვევო-სამედიცინო ფირმა „ალდაგი“. ის ასევე პირველი გავიდა საერთაშორისო სადაზღვევო ბაზარზე და 1992 წელს თანამშრომლობის ხელშეკრულება გააფორმა ბრიტანულ Lloyd-თან. იმავე წელს მან დაიწყო ახალი სადაზღვევო პროდუქტის – სამოგზაურო დაზღვევის განხორციელება (სადაზღვევო კომპანიები, 2011).

2017 წელს, ბოლო წლებთან შედარებით, დაზღვეულთა რაოდენობა თითქმის გაზრდილი არ არის. როგორც ექსპერტები მიუთითებენ, უპირველეს ყოვლისა, ამის მიზეზია სამედიცინო ფასების ინფლაცია. ზრდის ეს ტემპი საკმარისი არ არის, ვილაპარაკოთ, რომ ჩვენი ეკონომიკა, საზოგადოება, სადაზღვევო ბაზარი, სახელმწიფო, სადაზღვევო თვალსაზრისით, კარგად არის დაფარული და რისკების შემთხვევაში ძირითადი ხარჯები ანაზღაურებული იქნება (ქართული სადაზღვევო..., 2018).

დაზღვევის ერთ-ერთი მიმართულებაა ***ქონების დაზღვევა.*** საქართველოში არსებული ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია სახლის, ბინის დაზღვევის მრავალფეროვანი და იაფი სადაზღვევო პაკეტების განვითარება, რაც მომხმარებელს საშუალებას მისცემს, ჰქონდეს მისთვის ხელმისაწვდომი, მისაღები ფასისა და ხარისხის სადაზღვევო პაკეტის თავისუფალი არჩევანის შესაძლებლობა.

მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში მოქმედებს *კატასტროფული რისკებისგან* სავალდებულო დაზღვევის მექანიზმი, როდესაც სტიქიით დაზარალებულები იღებენ დაკარგული ქონების კომპენსაციას. თბილისის 2015 წლის 13 ივნისის სტიქიით გამოწვეულმა შედეგებმა კიდევ ერთხელ ნათლად დაგვანახვა საქართველოში მსგავსი სისტემის შემოღების საჭიროება. სადაზღვევო კომპანიებმა აღწერეს ზარალი და განახორციელეს ანაზღაურება, მაგრამ ასეთი ტიპის დაზღვევას ჩვენთან სავალდებულო ხასიათი ჯერ კიდევ არ აქვს (ვერულავა, გაბუნია, ჯანჯალაშვილი, 2015).

სავალდებულო დაზღვევების ერთ-ერთ წამყვან სახეობას მსოფლიოში წარმოადგენს ***ავტოსატრანსპორტო საშუალებების*** მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა. საქართველოში დაზღვეული ავტოსატრანსპორტო საშუალებების საერთო რაოდენობა დაახლოებით 50 000-ია. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ავტოპარკმა მილიონს გადააჭარბა, ჩანს, რომ დაზღვეული მანქანების რიცხვი საკმაოდ მცირეა. დღეს ბაზარზე მოქმედი ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელის სამოქალაქო პასუხისმგებლობის *ნებაყოფლობითი* დაზღვევა არის მხოლოდ ინდივიდუალურ კონტრაქტზე დაფუძნებული პროდუქტი და მნიშვნელოვნად განსხვავდება ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელის სამოქალაქო პასუხისმგებლობის *სავალდებულო დაზღვევისაგან.* სულ რამდენიმე ქვეყანაა მსოფლიოში, სადაც ასეთი დაზღვევა არ მოქმედებს. აქედან, სამწუხაროდ, ერთ-ერთი საქართველოა (სადაზღვევო ინდუსტრია, 2017, 4-6).

2014 წლის 1 სექტემბრიდან საქართველოში ***აგროდაზღვევის*** სახელმწიფო პროგრამა დაიწყო. სადაზღვევო პრემიაში თანადაფინანსების მექანიზმით სახელმწიფომ ფერმერებს დაზღვევის მო-

ტივაცია შეუქმნა. ერთ-ერთი, რასაც აგროდაზღვევის პროგრამა ითვალისწინებდა, იყო მოსავლის დაზღვევა შემდეგი რისკებისგან: სეტყვა, ჭარბი ნალექი, ქარიშხალი და საშემოდგომო ყინვა (მხოლოდ ციტრუსებისათვის). სოფლის მეურნეობაში დაზღვევის დიდ მნიშვნელობაზე მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ ყოველწლიურად უამრავი ადამიანი, ბუნებრივი მოვლენებით მიყენებული ზიანის გამო, შემოსავლის გარეშე რჩება, რადგან მათი შემოსავლის ერთადერთი წყარო სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაა. აგროდაზღვევის პროგრამის 2-წლიანი ამოქმედების (2014-2015) შედეგები მოცემულია დიაგრამებზე: 1, 2, 3 და 4. სადაზღვევო ბაზრის განვითარებისა და ფერმერებისათვის სტიმულის მიცემის მიზნით 2016 წლის პროექტში განხორციელებული ცვლილებების შედეგად აქცენტი მსხვილი ფერმერებიდან მცირემიწიან ბენეფიციარებზე გაკეთდა, სახელმწიფოს თანადაფინანსების ოდენობა ვაზის შემთხვევაში 40%-ის ნაცვლად 50%-ით განისაზღვრა, პროგრამით გათვალისწინებულ ყველა სხვა კულტურაზე 60%-ის ნაცვლად გახდა 70%. საერთო ჯამში, 2016 წელს აგროდაზღვევის პროგრამისთვის ბიუჯეტიდან 9 მილიონი ლარი გამოიყო. პროგრამით მხოლოდ ფერმერების 6,3%-მა ისარგებლა (სადაზღვევო ინდუსტრია, 2017, 10-14).

დიაგრამა 1

დაზღვეული ფართობი რეგიონების მიხედვით (2014-2015)



დიაგრამა 2

ანაზღაურებული ზარალების ოდენობა ზარალის
მიზეზის მიხედვით (2014-2015)



დიაგრამა 3

ანაზღაურებული ზარალების ოდენობა კულტურების მიხედვით (2014-2015)



დიაგრამა 4

ანაზღაურებული ზარალების ოდენობა რეგიონების მიხედვით (2014-2015)



წყარო: „სადაზღვევო ინდუსტრია“, 2017, 12-13

2018 წლის დასაწყისისათვის საქართველოში რეგისტრირებულია 17 სადაზღვევო კომპანია. ძირითადად წარმოდგენილი პროდუქტებია: სამედიცინო (ჯანმრთელობის) დაზღვევა, ქონების დაზღვევა, სახმელეთო სატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევა, სიცოცხლის დაზღვევა, სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა. 2017 წელს სადაზღვევო კომპანიებმა ყველაზე მეტი შემოსავალი სამედიცინო დაზღვევიდან მიიღეს. მოზიდული პრემიის მოცულობით მეორე ადგილზეა სახმელეთო სატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევა, მესამეზე კი ქონების დაზღვევა (2017 წელს..., 2018; საქართველოს სადაზღვევო..., 2017).

კითხვები:

1. რა დადებითი და უარყოფითი მხარეები აქვს სახელმწიფო/სოციალურ დაზღვევას?
2. სადაზღვევო მომსახურების რომელი სახეებია წარმოდგენილი საქართველოში და რა პრობლემები დგას სადაზღვევო საქმიანობის წინაშე?

დავალება:

საქსტატის ვებგვერდზე (www.geostat.ge) მოიძიეთ ინფორმაცია სადაზღვევო ბიზნესის შესხებ საქართველოში და გააკეთეთ მისი მოკლე ანალიზი.

გამოყენებული ლიტერატურა:

დასაქმებულის უბედური შემთხვევის დაზღვევა სავალდებულო ხდება, საქართველოს სადაზღვევო კომპანიათა ასოციაცია, 2018, ნანახია 12 ოქტომბერს, 2018, http://www.insurance.org.ge/index.php?a=main&pid=500&lang=geo

დუშუაშვილი თ., სადაზღვევო ბაზარი საქართველოში, 19 აპრილი, 2016, ნანახია 12 ოქტომბერს, 2018, http://forbes.ge/blog/177/romeli-sadazRvevo-produqtia-yvelaze-popularuli-saqarTveloSi%3F

ვერულავა თ., ჯანდაცვის ეკონომიკა და დაზღვევა, თბილისი, 2009.

ვერულავა თ., გაბუნია ქ., ჯანჯალაშვილი ნ., სახლის, ბინის დაზღვევის პროდუქტები საქართველოს სადაზღვევო ბაზარზე, სამეცნიერო ჟურნალი *ჯანდაცვის პოლიტიკა და დაზღვევა*, N1, 2015, ნანახია 12 ოქტომბერს, 2018, www.hepoins.com

ლაზარიაშვილი თ., კონკურენცია სადაზღვევო ბაზარზე და მისი რეგულირების მექანიზმები, ნანახია 10 ოქტომბერს, 2018, http://competition25.ge/public/uploads/media/lazariashviliTamar.pdf

სადაზღვევო ინდუსტრია, ნანახია 8 ოქტომბერს, 2018, http://insurance.org.ge/admin/editor/uploads/files/%E1%83%9E%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%94%E1%83%A5%E1%83%A2%E1%83%98%201_1.pdf

სადაზღვევო კომპანიები, სამშაბათი, 12 აპრილი, 2011, ნანახია 12 ოქტომბერს, 2018, http://etibeglarashvili.blogspot.com/2011/04/blog-post_8354.html

საქართველოს სადაზღვევო ბაზრის TOP-5 კომპანია, კომერსანტი, 21.11.2017, ნანახია 12 ოქტომბერს, 2018, http://www.insurance.org.ge/index.php?a=main&pid=471&lang=geo

სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის შესახებ 2018, ნანახია 12 ოქტომბერს, 2018, http://insurance.gov.ge/About-Us.aspx

ქართული სადაზღვევო ბაზარი – ინდუსტრია 2017 წელს აფასებს, 03 იანვარი, 2018, ნანახია 12 ოქტომბერს, 2018, https://www.ipress.ge/new/96738-qartuli-sadazghvevo-bazari-industria-2017-tsels-afasebs

2017 წელს სადაზღვევო კომპანიებმა ყველაზე მეტი შემოსავალი სამედიცინო დაზღვევიდან მიიღეს, 29 მარტი, 2018, ნანახია 12 ოქტომბერს, 2018, https://imedinews.ge/ge/ekonomika/54937/2017-tsels-sadazgvevo-kompaniebma-kvelaze-meti-shemosavali-sameditsino-dazgvevidan-miiges

თავი VII. საქართველოს მდგრადი განვითარების პრობლემები და გამოწვევები

7.1. საქართველო რეგიონულ და გლობალურ კონტექსტში:

თანამედროვე გეოპოლიტიკური გამოწვევები, ეთნოკონფლიქტები და ტეიტოტიული მთლიანობის პრობლემა

საქართველოს თანამედროვე გეოპოლიტიკური გამოწვევებისა და მის ტერიტორიაზე წარმოქმნილი ეთნოკონფლიქტების გაგება შეუძლებელია თუნდაც მოკლე ისტორიულ-გეოგრაფიული წიაღსვლის გარეშე.

სულ მცირე, ბოლო ორი ათასწლეულის განმავლობაში დანარჩენი მსოფლიოს თვალში საქართველო საკმაოდ მდგრად პოლიტიკურ ერთეულს წარმოადგენდა, რასაც მოწმობს ევროპული ისტორიული რუკები, სადაც მისთვის ადგილი ყოველთვის იყო.

მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა დროს მის მეზობლად არსებობდნენ მძლავრი და აგრესიული იმპერიები, – რომი/ბიზანტია, პართია, სასანიანთა ირანი, არაბთა სახალიფო, სელჩუკიანთა იმპერია, მონღოლ ილხანთა იმპერია, სეფიანთა და ყაჯართა სპარსეთი, ოსმალეთი, – განსხვავებით მეზობელი მომცრო ქვეყნებისა და ეთნოსებისაგან, ***საქართველომ, თუნდაც სამეფო-სამთავროებად დაცაღკევებულმა, მოახეხა, შეენახჩუნებინა სახელმწიფოებრიობა.*** IV საუკუნიდან ქართული სუბეთნოსების გამაერთიანებელი იყო საერთო რელიგია და საერთო წერილობითი სალიტერატურო ენა.

სახელმწიფოებრიობის შენარჩუნების ერთერთი მიზეზი იყო შუა საუკუნეების საქართველოს პოლიტიკურ-გეოგრაფიული მდებარეობაც: მისი ტერიტორია ***პეიფეიული იყო ახლო აღმოსავლეთის იმპეიებისათვის,*** რომლებიც, ჩვეულებრივ, ერთმანეთს ეომებოდნენ უფრო სამხრეთით მდებარე მიწებისათვის. საქართველოს ფორმალური გაყოფის შემთხვევაშიც კი ეს იმპერიები მხოლოდ მისი სამხრეთი ნაწილების კოლონიზაციას ახერხებდნენ, ხოლო საქართველოს ბირთვი და კავკასიონის ქედის სამხრეთი ფერდობები მეტ-ნაკლებად დამოუკიდებელი რჩებოდა.

ასე გრძელდებოდა მე-19 საუკუნის დასაწყისამდე, სანამ სამხრეთ კავკასიაში ჩრდილოეთიდან არ მოვიდა ახალი, ევროპეიზებული ძალა რუსეთის იმპერიის სახით, რომლისთვისაც მთელი საქართველოს გეოპოლიტიკურ მნიშვნელობას განაპირობებდა მისი მდებარეობა – ***ის იყო ხელსაყრელი პლაცდარმი უფრო სამხრეთისაკენ ექსპანსიის განსახორციელებლად.***

საქართველოს ტერიტორიაზე დამკვიდრებულმა რუსეთმა, ყაჯართა ირანთან წარმატებული ომების შედეგად, დაიპყრო და 1813-1828 წლებში შეიერთა ირანის შემადგენლობაში მყოფი სამხრეთ კავკასიის სახანოები, რომელთა ტერიტორიაზეც 1918 წელს აღმოცენდა *აზერბაიჯანისა* და *სომხეთის* რესპუბლიკები, დღევანდელი დამოუკიდებელი საქართველოს უშუალო მეზობლები. ერთდროულად იმპერიამ ხელი შეუწყო სამხრეთ კავკასიაში ისეთი ეთნოდემოგრაფიული ბალანსის შექმნას, რომელიც მრავალი წლის შემდეგ კონფლიქტების წყაროდ იქცა (მაგალითად, მთიანი ყარაბაღის პრობლემა).

სამხრეთ კავკასიიდან, კერძოდ საქართველოს ტერიტორიიდან, რუსეთის იმპერია ექსპანსიას განაგრძობდა I მსოფლიო ომის დროსაც კი, ხოლო მისი ფაქტობრივი სამართალმემკვიდრე, საბჭოთა კავშირი, იმავეს გეგმავდა უშუალოდ II მსოფლიო ომის შემდეგ. ეს ექსპანსიონისტური გეგმები ვერ განხორციელდა 1917 წელს თვით რუსეთში მომხდარი რევოლუციების გამო, ხოლო 1945-1946 წლებში – იმ დროს უძლიერესი და 1949 წლამდე ბირთვული იარაღის მქონე, მსოფლიოში ერთადერთი სახელმწიფოს – ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკური წინააღმდეგობის გამო.

მე-19 საუკუნის განმავლობაში იმპერიის მცდელობას, მოეხდინა ქართველების რუსიფიკაცია, ზედაპირული შედეგი მოჰყვა: ის შეეხო მხოლოდ თავადაზნაურობის ნაწილს. ***ქართველი ეროს კონსოლიდაცია კი, პიროქით, სწორედ იმპეიის წიაღში დაჩქარდა.*** როდესაც 1917 წელს რუსეთში მოხდა ორი რევოლუცია და იმპერია პრაქტიკულად დაიშალა, საქართველო პოლიტიკურად და კულტურულად მომზადებული აღმოჩნდა, აღედგინა სახელმწიფოებრიობა ტერიტორიულად გაერთიანებული სახით. 1921 წელს საბჭოთა რუსეთის აგრესიამ და საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში საქართველოს იძულებითმა შეყვანამაც კი ვერ შეაჩერა ეროვნული თვითშეგნებისა და კულტურის განვითარება.

ფორმალურად, „საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი დამაარსებლის“ სტატუსით, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა იყო „სუვერენული სახელმწიფო“, ისევე, როგორც 14 სხვა მოკავშირე რესპუბლიკა. ამ რესპუბლიკებს (მაგრამ არა ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ავტონომიურ ოლქებს) ჰქონდათ ***კავშირიდან თავისუფლად გასვლის უფლება:*** ეს ეწერა საბჭოთა კავშირის კონსტიტუციაში, როგორც 1936 წლის, ისე 1977 წლის რედაქციებში. სწორედ ეს მუხლები გამოდგა საბჭოთა კავშირის 15 სახელმწიფოდ დაშლის იურიდიულ საფუძვლად 1991 წელს, როდესაც ყველა მოკავშირე რესპუბლიკის ადმინისტრაციული საზღვარი ერთიმეორესთან მსოფლიომ აღიარა ურღვევ სახელმწიფო საზღვრებად.

გასაბჭოებულ საქართველოს მოსკოვმა 1921-1922 წლებში თავს მოახვია ***ავტონომიზაცია ეთნიკური ნიშნით.*** უნდა ითქვას, რომ პირველი ქართული რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუციაც (რომელმაც, სამწუხაროდ, პრაქტიკულად ამოქმედება ვერ მოასწრო) ითვალისწინებდა რამდენიმე ავტონომიის შექმნას, მაგრამ ტერიტორიული და არა მხოლოდ ეთნიკური ნიშნით. კერძოდ, ამ კონსტიტუციით ავტონომიური მმართველობა უნდა მინიჭებოდა სოხუმის ოლქს (აფხაზეთს), ბათუმის მხარეს (სამუსლიმანო საქართველოს) და ზაქათალის ოლქს. ამ უკანასკნელს იმდროინდელი სოციალ-დემოკრატიული მთავრობა საბჭოთა რუსეთთან და აზერბაიჯანის სსრ-სთან დადებული ხელშეკრულებებით „სადავოდ“ აღიარებდა, ხოლო საბჭოთა ხელისუფლებამ ეს დავა აზერბაიჯანის სასარგებლოდ გადაწყვიტა.

1921 წლის კონსტიტუცია არ ზღუდავდა, და პირიქით, ახალისებდა ეროვნულ უმცირესობათა კულტურულ-საგანმანათლებლო და პოლიტიკურ უფლებებს მთელი ქვეყნის მასშტაბით და არა აუცილებლად ავტონომიურ ერთეულებში. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის (სსრ) ტერიტორიაზე მცხოვრებ მცირერიცხოვან ეთნოსებს კი – აფხაზებსა და ოსებს – ავტონომიური უფლებები მიენიჭა საქართველოს საერთო ტერიტორიის შესაბამისად 12,3 და 5,4 პროცენტზე. საბჭოთა ეროვნული პოლიტიკა მათ განიხილავდა „სატიტულო ერებად“, რომელთაც უპირატესი უფლება ენიჭებოდათ შესაბამისი ავტონომიის ტერიტორიაზე პარტიულ-ადმინისტრაციულ თანამდებობებზე დასანიშნად. საბჭოთა კავშირის არსებობის ბოლო პერიოდში ასეთმა უფლებებმა დიდი მნიშვნელობა შეიძინა.

საბჭოთა რუსეთსა და თურქეთს შორის 1921 წლის 16 მარტს ხელმოწერილი *„მოსკოვის ხელშეკრულებით“* და თურქეთსა და სამხრეთ კავკასიის სამ საბჭოთა რესპუბლიკას (საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი) შორის იმავე წლის 13 ნოემბერს დადებული ანალოგიური შინაარსის *„ყარსის ხელშეკრულებით“* ყოფილი ბათუმის ოლქის ტერიტორიაზე საბჭოთა საქართველოს შემადგენლობაში შეიქმნა ***აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა (ასსრ).***

ყველა სხვა საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაშიც იყო ეთნიკურად განსხვავებული მოსახლეობის განსახლების არეალები, მაგრამ სულ ორ მათგანში – უზბეკეთსა და აზერბაიჯანში – შეიქმნა, შესაბამისად, ერთი და ორი ავტონომიური ერთეული. საქართველოში კი სამი ავტონომია ჩამოყალიბდა და მათი რაოდენობით საქართველოს სსრ-ს უსწრებდა მხოლოდ რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკა (რსფსრ) – მის ეთნიკურად მრავალფეროვან უზარმაზარ ტერიტორიაზე 20-ზე მეტი ავტონომიური ერთეული დაარსდა.

საქართველოს ფართობის 21,5 %, სხვადასხვა დონის ავტონომიური უფლებებით, თბილისისაგან იურიდიულად გაიმიჯნა.

თითქმის სამი მეოთხედი საუკუნის შემდეგ მოსკოვმა გამოიყენა საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ავტონომიები სრული დამოუკიდებლობისაკენ თბილისის სწრაფვის შესასუსტებლად, როდესაც, ფაქტობრივად, ხელი შეუწყო ოსურ და აფხაზურ სეპარატისტულ მოძრაობებს, ხოლო 2008 წელს ცნო საქართველოს ორი რეგიონის – აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის – „დამოუკიდებლობა“.

1991 წლის ბოლოს, საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად, საქართველო საერთაშორისო სამართლის სუბიექტი გახდა. ის აღიარა მსოფლიოს, პრაქტიკულად, ყველა სახელმწიფომ და დაამყარა მასთან დიპლომატიური ურთიერთობა. თბილისში გაიხსნა ბევრი ქვეყნის საელჩო. საქართველო მიიღეს ძირითად საერთაშორისო ორგანიზაციებში და მან დაიწყო საკუთარი როლის შესრულება საერთაშორისო ასპარეზზე.

საქართველოსათვის უმთავრესი გეოპოლიტიკური გამოწვევა იყო ***საგარეო პოლიტიკური ვექტორის არჩევა.*** დამოუკიდებელი საქართველოს არსებობის პირველივე დღეებიდან, ძალიან სერიოზული შიდა პრობლემების (სამოქალაქო ომი, ეთნოკონფლიქტები) მიუხედავად, მკაფიოდ გამოიკვეთა ძირითადი საგარეო-პოლიტიკური მიმართულება: ესაა თანამშრომლობა საერთო-ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებთან, რაც გადაიზარდა პოლიტიკაში, რომელიც ევროპულ კავშირსა და ნატოში საქართველოს წევრობას ისახავს მიზნად. მას, პირობითად, ***„დასავლური ორიენტაცია“*** შეიძლება ვუწოდოთ.

შიდა პოლიტიკური ცვალებადობის მიუხედავად, დამოუკიდებლობის პერიოდის ყველა მთავრობა იზიარებდა და იზიარებს „დასავლურ ორი-

ენტაციას"; მისადმი მოსახლეობის უმრავლესობის მხარდაჭერას აჩვენებდა და აჩვენებს ყველა სოციოლოგიური კვლევა. გარდა იმისა, რომ ეს საგარეო პოლიტიკური ვექტორი დოკუმენტურად არის ასახული ქვეყნის პარლამენტის რეზოლუციებში, ის შესულია დაუწერელ ***საქართველოს გეოპოლიტიკურ კოდშიც***, რომელიც ასახავს ხელისუფლებისა და ხალხის ერთსულოვან აზრს მისი საგარეო *პოლიტიკური ინტერესების*, ამ ინტერესებისათვის *შექმნილი საფრთხეებისა* და ამ საფრთხეებისათვის *გასაცემი პასუხების* შესახებ. „დასავლური ორიენტაცია" არის ჩვენი ქვეყნის დემოკრატიული განვითარებისა და, საბოლოოდ, მისი ეკონომიკური წარმატების საწინდარი.

ევროპული კავშირის წევრობა საქართველოს საბოლოო მიზანია, თუმცა ნათელია, რომ ამ მიზნის მისაღწევი გზა არც მარტივი იქნება და არც ხანმოკლე. ევროპულ კავშირთან ურთიერთობას საქართველო განიხილავს როგორც საშუალებას, შექმნას ევროპული დონის ეკონომიკა და მიაღწიოს მოსახლეობის მატერიალური მდგომარეობის მკვეთრ ამაღლებას. **ეს გულისხმობს არა მარტო მთავრობის ძალისხმევას ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის დასაჩქარებლად, არამედ საზოგადოების მენტალიტეტის მკვეთრ გარდაქმნას, უპირველესად შრომის კულტურის, საშემსრულებლო დისციპლინის ამაღლების მიმართულებით. განსახორციელებელია რეფორმები, რომლებიც შეუწყობს ხელს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას, მოსახლეობის განათლების რეალური დონის ამაღლებას.**

ევროინტეგრაციის გზაზე საქართველომ უკვე მიაღწია გარკვეულ პროგრესს. სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკებს შორის პირველმა საქართველომ 2014 წლის 27 ივნისს ხელი მოაწერა ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებას ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სივრცის ჩათვლით, რომელიც ძალაში შევიდა 2016 წლის 1 ივლისს. იზრდება ევროკავშირთან საქართველოს ეკონომიკური კავშირები. საქართველო ყველაზე აქტიური მონაწილეა ევროკავშირის „აღმოსავლეთ პარტნიორობის" ჯგუფში, რომელშიც მასთან ერთად შედიან საკმაოდ აქტიური უკრაინა და მოლდოვა და შედარებით პასიური სომხეთი, აზერბაიჯანი და ბელარუსი.

ევროკავშირის ქვეყნებთან სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციამ 2017 წლიდან შესაძლებელი გახადა საქართველოს მოქალაქეების მოკლევადიანი (90 დღემდე) უვიზო მიმოსვლა ე.წ. „შენგენის სივრცის" ევროპის 20-ზე მეტ ქვეყანაში. ევროკავშირი საქართველოში უსაფრთხოების მიმართულებითაც იწყებს პროგრამების განხორციელებას.

საერთაშორისო დონეზე აღიარებული სახელმწიფოები *იუხიდიუღად თანასწორნი* არიან. მაგრამ ეს არ უნდა აგვერიოს *ფაქტობრივ თანასწორობაში*, რაც, პრაქტიკულად, მიუღწეველია. გეოპოლიტიკური რეალობაა, რომ მსოფლიო ასპარეზზე დიდი ქვეყნები (ზესახელმწიფოები) ყოველთვის დომინირებდნენ და თავიანთ ნებას თავს ახვევდნენ ეკონომიკური და სამხედრო პოტენციალით მათზე მცირე ქვეყნებს. ყველა პატარა ქვეყანას კი უხდებოდა და უხდება საიმედო მფარველის მონახვა სხვა ძლიერი სახელმწიფოსაგან მომდინარე საფრთხეებისაგან თავის დასაცავად.

ასეთი საიმედო მფარველის ძებნისას 2002 წელს საქართველოს იმდროინდელმა პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ პირდაპირ განაცხადა, რომ ***საქართველო გეგმავს ნატოს შემადგენლობაში შესვლას.*** 2008 წელს ნატოს ბუქარესტის სამიტის მიერ მიღებულ რეზოლუციაში დაფიქსირდა, რომ საქართველო გახდება ნატოს წევრი, მაგრამ კონკრეტული ვადა დასახელებული არ ყოფილა. ნატოს ბოლო სამიტებზე ყოველთვის აღინიშნება „ღია კარის" პოლიტიკის უცვლელობა, რაც ევროპის ყველა ქვეყანას, მათ შორის საქართველოს, აძლევს უფლებას, გაწევრიანდეს ამ ორგანიზაციაში. ნატო საქართველოს აღიქვამს რეგიონული უსაფრთხოების კონტექსტში, მათ შორის შავ ზღვაზე უსაფრთხოების თანამშრომლობის კუთხით. საქართველო კი განიხილავს ნატოს და, განსაკუთრებით, მის უძლიერეს წევრს, ამერიკას, როგორც პოტენციურ საიმედო მფარველს. ვაშინგტონის პოლიტიკურ წრეებში ძლიერდება იმის შეგნება, რომ ევროპის უკიდურეს აღმოსავლეთ ნაწილში და სტრატეგიულად მნიშვნელოვანი შავი ზღვის აუზში არსებობს დასავლური ორიენტაციისადმი ერთგული ქვეყანა – საქართველო.

ნატოს ყველა გადაწყვეტილების მიღებას ესაჭიროება კონსენსუსი ანუ ყველა წევრის მხარდაჭერა. მაგრამ ამჟამად 30 წევრისაგან შემდგარ ნატოში გაძნელებულია კონსენსუსის მიღწევა საქართველოს გაწევრიანების საკითხზე. ზოგიერთი ექსპერტი კონსენსუსის უქონლობას საქართველოს პოლიტიკურ-გეოგრაფიული მდებარეობით ხსნის, რომელიც ამჯერად ჩვენთვის არახელსაყრელია რეგიონული კონტექსტის გათვალისწინებით. კერძოდ, ნატოს აღმოსავლეთით გაფართოების მიმართ მკვეთრად უარყოფითადაა განწყობილი საქართველოს (და უკრაინის) მეზობელი რუსეთის ფედერაცია, რომლის მძაფრ რეაქციას ერიდება ნატოს ზოგიერთი ევროპული სახელმწიფო.

საქართველოსათვის სერიოზული გამოწვევაა ის, რომ მისი ***გეოპოლიტიკური კოდი წინააღმდეგობაში მოდის რუსეთის ფედერაციის გეოპოლიტიკურ კოდთან,*** რომელიც გულისხმობს მთელი „პოსტსაბჭოთა სივრცის" მისი გავლენის სფეროში დარჩენას. ამ მიზანს ემსახურებოდა „დამოუკიდებელ სახელმწი-

ფოთა თანამეგობრობის“ (დსთ) და „კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციის“ (კუხო) შექმნა, რომლებშიც, საქართველო იძულებული გახდა, შესულიყო 1993 წელს, მაგრამ მოგვიანებით გამოვიდა ორივედან. 2015 წელს რუსეთმა შექმნა „ევრაზიის ეკონომიკური კავშირი“ (ეეკ), რომელშიც შევიდა რუსეთი, ბელარუსი, ყაზახეთი, სომხეთი და ყირგიზეთი. აღსანიშნავია, რომ სომხეთის რესპუბლიკას არა აქვს საერთო საზღვარი ეეკ-ის დანარჩენ ოთხ წევრთან, რადგან სომხეთსა და რუსეთის ფედერაციას შორის საქართველო მდებარეობს.

დამოუკიდებელი საქართველოს უშუალო მეზობლებია: *აზერბაიჯანის რესპუბლიკა*, რომელიც ფორმალურად არც ერთი ბლოკის წევრი არ არის, „ევრაზიის ეკონომიკური კავშირის“ წევრები – *ხუსეთის ფედერაცია* და *სომხეთის რესპუბლიკა*, ნატოს წევრი *თურქეთის რესპუბლიკა*. საქართველოს არა აქვს რაიმე ტერიტორიული პრეტენზია თავის რომელიმე მეზობელთან და ცდილობს, შეინარჩუნოს ნორმალური, მეგობრული ურთიერთობა ყველა მათგანთან, რასაც სამი მისი მეზობელი ნაცვალგებით პასუხობს კიდეც.

გარდა ამ ოთხი ქვეყნისა, სამხრეთ კავკასიის უმნიშვნელოვანესი ისტორიული მეზობელია ირანის ისლამური რესპუბლიკა, რომელსაც არა აქვს საერთო საზღვარი საქართველოსთან. სწორედ **ეს ხუთი ქვეყანა ქმნის საქართველოს რეგიონულ გეოპოლიტიკურ კონტექსტს**. ამ კონტექსტში საქართველოს უხდება, გაითვალისწინოს თავისი მეზობლების საგარეო პოლიტიკის ნიუანსები, მათი ურთიერთდამოკიდებულება (რუკა 1).

ᲠᲣᲙᲐ 1.

საქართველო გეოპოლიტიკურ კონტექსტში

უკრაინა
ᲛᲝᲚᲓᲝᲕᲐ
ᲠᲣᲛᲘᲜᲔᲗᲘ
ᲐᲖᲝᲕᲘᲡ ᲖᲦᲕᲐ
ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲪᲘᲐ
ᲧᲐᲖᲐᲮᲔᲗᲘ
ᲨᲐᲕᲘ ᲖᲦᲕᲐ
ᲑᲣᲚᲒᲐᲠᲔᲗᲘ
ᲗᲣᲠᲥᲔᲗᲘ
ᲡᲘᲠᲘᲐ
ᲙᲕᲘᲞᲠᲝᲡᲘ
ᲮᲛᲔᲚᲗᲐᲨᲣᲐ ᲖᲦᲕᲐ
ᲘᲠᲐᲜᲘ
ᲔᲠᲐᲧᲘ
ᲘᲠᲐᲚᲘ
ᲘᲝᲠᲓᲐᲜᲘᲐ
ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ
ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲘ
ᲡᲝᲩᲘᲗᲘ
ᲙᲐᲡᲞᲘᲘᲡ ᲖᲦᲕᲐ
ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ
ᲤᲝᲗᲐ
ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ
ᲡᲐᲛᲪᲮᲔᲗᲐ
ᲐᲠᲐᲒᲕᲘᲡᲘ
ᲒᲝᲠᲘ
ᲒᲐᲠᲘᲓᲐ
ᲒᲐᲜᲯᲐ
ᲛᲪᲮᲔᲗᲐ
ᲒᲝᲠᲘᲡᲘ
ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘ
ᲒᲣᲠᲯᲐᲐᲜᲘ
ᲐᲠᲐᲠᲐᲢᲘ
ᲐᲠᲐᲠᲐᲢᲘᲡ ᲛᲗᲘᲐᲜᲝ ᲧᲐᲠᲑᲘ
ᲐᲠᲐᲠᲐᲢᲘᲡ ᲛᲗᲘᲐᲜᲝ ᲧᲐᲠᲑᲘ
ᲛᲐᲡᲘᲠᲘ
ᲛᲐᲠᲯᲘᲜᲘ
ᲛᲐᲠᲯᲘᲜᲘᲡ ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲘ
ᲛᲐᲡᲘᲠ

საქართველო აძლევს საშუალებას, სატრანზიტო მიზნით გამოიყენოს მისი სახმელეთო და საჰაერო გზები და შავი ზღვის ნავსადგურები. აზერბაიჯანის კონტაქტები მის სტრატეგიულ პარტნიორ თურქეთთან და სომხეთის კონტაქტები მის სტრატეგიულ პარტნიორ რუსეთთან თითქმის მთლიანად საქართველოს გავლით ხორციელდება. აზერბაიჯანიდან თურქეთისა და ევროპის მიმართულებით გაყვანილი ნავთობ- და გაზსადენები საქართველოს ტერიტორიაზე გადის.

თურქეთის რესპუბლიკასთან საქართველოს აქვს ძალიან მჭიდრო ეკონომიკური კავშირები, მასთან ხელმოწერილია თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება. თურქეთი ჩვენთვის უპირველესი სავაჭრო პარტნიორია. ნატოსთან საქართველოს თანამშრომლობის მნიშვნელოვანი ნაწილი თურქეთის მეშვეობით ხორციელდება. საქართველო ძირითადი სატრანზიტო ტერიტორიაა, რომლის მეშვეობითაც თურქეთი ახორციელებს თავის სახმელეთო კონტაქტებს აზერბაიჯანსა და ცენტრალური აზიის სახელმწიფოებთან. ამავე დროს, საქართველოსათვის გარკვეული გეოპოლიტიკური გამოწვევაა თურქეთის დომინირება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკაში და, აგრეთვე, მზარდი მხარდაჭერა საქართველოში ისლამის აღორძინებისა და გავრცელებისათვის.

ირანთან საქართველოს საკმაოდ მჭიდრო ეკონომიკური კავშირურთიერთობა აქვს, მიუხედავად იმისა, რომ რომ დიდი ხნის განმავლობაში ირანი იყო (და შესაძლებელია, ხელახლა გახდეს) საერთაშორისო სანქციების ობიექტი თავისი ბირთვული პროგრამის გამო. ირანისათვის საქართველოს ნავსადგურები და მათკენ მიმავალი რკინიგზა პოტენციურად საინტერესოა ევროპულ კავშირთან ვაჭრობის გაფართოების კუთხით.

ყველაზე რთული აღმოჩნდა ***საქართველო-რუსეთის ურთიერთობა.*** პრობლემებმა კულმინაციას 2008 წელს მიაღწია, როდესაც რუსეთის არმია შეიჭრა საქართველოს ტერიტორიაზე იმ საბაბით, რომ დაეცვა ცხინვალის რეგიონი, სადაც საქართველოს იმდროინდელ ხელისუფლებას ჰქონდა მცდელობა, აღედგინა თავისი კონტროლი.

იმავე წლის აგვისტოდან საქართველოს არ აქვს დიპლომატიური ურთიერთობა რუსეთის ფედერაციასთან მას შემდეგ, რაც ამ უკანასკნელმა მოახდინა საქართველოს ორი ნაწილის – აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის – ოკუპაცია, ცნო ისინი „დამოუკიდებელ სახელმწიფოებად“, გახსნა თავისი საელჩოები სოხუმსა და ცხინვალში და დააარსა თავისი სამხედრო ბაზები ამ ტერიტორიებზე. საქართველოს დანარჩენ ტერიტორიასთან ამ რეგიონების ადმინისტრაციულ საზღვრებს აკონტროლებს რუსეთის სასაზღვრო ძალები და თვითნებურად ქმნის ხელოვნურ ზღუდეებს.

ჯერ კიდევ 1993 წელს აფხაზეთში, ხოლო ცხინვალის რეგიონში – 1991 წელს და, ძირითადად, 2008 წელს – მოხდა ქართული მოსახლეობის ეთნიკური წმენდა და იქიდან, ჯამში, 250 ათასზე მეტი ადამიანის განდევნა, რომელთა უმეტესობა საქართველოს სხვა რეგიონებს შეეკედლა. მას შემდეგ საქართველოს ყველა მთავრობის მცდელობა – მოხდეს იძულებით გადაადგილებულ პირთა უკან დაბრუნება, რასაც მხარს უჭერს გაეროს გენერალური ასამბლეის ყოველწლიური რეზოლუციები, ბლოკირებულია რუსეთის ფედერაციის მიერ. ოკუპირებულ ტერიტორიებზე დარჩენილ ქართულ მოსახლეობას უმძიმეს პირობებში უხდება არსებობა, ის განიცდის პოლიტიკურ დისკრიმინაციას, მოკლებულია საშუალებას, მშობლიურ ენაზე მიიღოს განათლება, რადგან ქართული სკოლები იძულებით გადაჰყავთ რუსულ ენაზე.

მსოფლიოს უსაფრთხოებისა და სტაბილურობისათვის უმნიშვნელოვანესი გეოპოლიტიკური გამოწვევაა ***სახელმწიფო საზღვრების ცაღმხივად შეცვლის მცდელობა*** ერთ-ერთი მხარის სამხედრო უპირატესობის გამოყენებით. ასეთი შუასაუკუნეობრივი პრაქტიკა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ძალიან იშვიათად ხორციელდებოდა და თუკი ასეთი რამ მართლაც ხდებოდა, მხოლოდ ორივე მხარის თანხმობით (მაგალითად: გერმანიის გაერთიანება, ჩეხოსლოვაკიის გაყოფა, ეთიოპიიდან – ერიტრეის, ხოლო სუდანიდან – სამხრეთ სუდანის გამოყოფა), ან საერთაშორისო საზოგადოების გადაწყვეტილებით (მაგალითად, კოსოვოს დამოუკიდებლობის ნაწილობრივი აღიარება). საზღვრების ძალისმიერი, თვითნებური შეცვლის იშვიათი მაგალითებია: თურქეთის ქმედება კვიპროსში 1974 წელს, ერაყის ქმედება ქუვეითის დასაპყრობად 1990 წელს, რუსეთის ფედერაციის ქმედება 2008 წელს საქართველოში და 2014 წელს – უკრაინაში. ბუნებრივია, რომ ასეთ ქმედებებს გმობს არა მხოლოდ დაზარალებული სახელმწიფო, არამედ მსოფლიო თანამეგობრობაც, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში, რეალურად, ვერაფერს უპირისპირებს მათ. იშვიათი გამონაკლისი იყო ქუვეითის განთავისუფლება საერთაშორისო კოალიციის სამხედრო ძალისხმევით 1991 წელს.

საქართველოს გეოპოლიტიკურ გამოწვევებს შორის მართლაც უპირველესია რუსეთის ფედერაციიდან მომდინარე საფრთხეების ნეიტრალიზაცია, კერძოდ კი მისი დათანხმება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაზე, ანუ საქართველოს ნაწილების „დამოუკიდებლობის“ აღიარების გაუქმებაზე.

თუმცა ეს ურთულესი ამოცანა ჯერჯერობით შეუსრულებადია, საქართველო არ აპირებს უკან დახევას თავისი საგარეო პოლიტიკის „წითელი ხაზიდან“ – ტერიტორიული მთლიანობის მოთხოვნისაგან. ამისათვის ის იყენებს მხოლოდ „რბილ ძალას“ – ოკუპირებულ ტერიტორიაზე დარჩენილი აფხაზი და ოსი მოქალაქეებისათვის სამედიცინო,

საპენსიო და სხვა სახის მომსახურების აღმოჩენას, აგრეთვე საერთაშორისო საზოგადოების მუდმივად ინფორმირებას ამ ტერიტორიებზე არსებული ვითარების შესახებ.

მიუხედავად პოლიტიკური პრობლემებისა, ეკონომიკური კონტაქტები საქართველოსა და რუსეთს შორის 2013 წლიდან განახლდა, რაც ხელსაყრელი აღმოჩნდა ქართველი ექსპორტიორებისათვის. საქართველოს ევროპელი და ამერიკელი პარტნიორები პოზიტიურად აფასებენ საქართველოს პრაგმატულ ნაბიჯებს.

საერთო ჯამში, საქართველო ახორციელებს ე. წ. ***„სტრატეგიული მოთმინების პოლიტიკას“***, რომელსაც აუცილებლად მოჰყვება პოზიტიური შედეგი.

საქართველო აფართოებს თავის ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ კონტაქტებს, რომლებითაც ის მსოფლიოში სულ უფრო ცნობადი ქვეყანა ხდება. საერთაშორისო ტურისტების მზარდი რაოდენობა ასევე ხელს უწყობს საქართველოს პოპულარიზაციას. დიდი მნიშვნელობა ენიჭება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების დადებას: ამით ჩინეთის უზარმაზარი ბაზარი იხსნება ტრადიციული ქართული ექსპორტისათვის, ხოლო ჩინურმა ინვესტიციებმა შეიძლება გააძლიეროს ქართული ეკონომიკა.

კითხვები:

1. რა განაპირობებდა საქართველოს სახელმწიფოებრიობის შენარჩუნებას შუა საუკუნეებში?
2. ავტონომიზაციის როგორ პოლიტიკას ითვალისწინებდა საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია? შეადარეთ ის ანალოგიურ საბჭოთა პოლიტიკასთან.
3. რა იყო უმთავრესი გეოპოლიტიკური გამოწვევა დამოუკიდებელი საქართველოსათვის?
4. რა არის ძირითადი ხელშემშლელი პირობა ნატოსა და ევროკავშირში საქართველოს გაწევრებისათვის?
5. როგორია საქართველოს რეგიონული გეოპოლიტიკური კონტექსტი?
6. როგორ დაახასიათებდით საქართველო-რუსეთის თანამედროვე ურთიერთობებს?

დავალებები

1. გამართეთ დებატები საქართველოს ნატოში მიღების შესაძლებლობის შესახებ.

2. მოიძიეთ ინფორმაცია საქართველოს ორმხრივი ურთიერთობის შესახებ სომხეთთან, აზერბაიჯანთან, თურქეთთან, ირანსა და რუსეთთან. (შეგიძლიათ გამოიყენოთ როგორც ერთგვარი მაგალითი, თავი 26, „საქართველოს სამეზობლო“, მონოგრაფიაში: რევაზ გაჩეჩილაძე, საქართველო მსოფლიო კონტექსტში, თბილისი, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2017, 573-621).

7.2. რეგიონული უთანასწორობა

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ საქართველოს ეკონომიკურმა სისტემამ დიდი ცვლილებები განიცადა. ისევე, როგორც სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებში, საქართველოშიც ეკონომიკის სექტორებისა და ***საწარმოების მასობრივი პრივატიზაცია მიწასა და უძრავ ქონებასთან ერთად*** გარდამავალი პერიოდის უპირველეს მახასიათებლად იქნა მიჩნეული; ლიბერალიზაციის ხარისხით საქართველომ მნიშვნელოვნად გაუსწრო ყველა დანარჩენ ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკას; კერძო საკუთრება და მეწარმეობა რეალობა გახდა, თუმც ეს ცვლილებები ყოველთვის ვერ აისახა ეკონომიკურ ზრდასა და კეთილდღეობაში.

მსოფლიო ბანკის მონაცემებით, საბჭოთა საქართველოს მშპ 1 სულზე 1989 წლისათვის 5174.87 აშშ-ის დოლარს შეადგენდა (Georgia GDP, 2017) და ერთ-ერთი უმაღლესი იყო მოკავშირე რესპუბლიკებს შორის. 1990-1993 წლებში ქვეყანაში გაჩაღებულმა სამოქალაქო ომმა, საბჭოთა კავშირის ეკონომიკური სისტემის დაშლამ, ჰიპერინფლაციამ და ა.შ. უკიდურესად უარყოფითად იმოქმედა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაზე – 1994 წლისათვის მშპ-ის მაჩვენებელი 1 სულ მოსახლეზე 517.1 აშშ-ის დოლარამდე დაეცა (Georgia GDP, 2017). მიუხედავად იმისა, რომ 1990-იანი წლების მეორე ნახევრიდან დღემდე მთლიანი შიდა პროდუქტი 1 სულ მოსახლეზე იზრდება და, მსოფლიო ბანკის მონაცემებით, 2018 წლისათვის 4 717.1 აშშ-ის დოლარი შეადგინა, დამოუკიდებლობის პერიოდამდელ მაჩვენებელს ჯერ ვერ გაუტოლდა. საქართველო ამ ინდიკატორით ჩამორჩება დღევანდელ პოსტსაბჭოთა ქვეყნებს (2018 წ.) – მეზობელ აზერბაიჯანს (4 721.2 $), ბელარუსს (6 289.9 $), ყაზახეთს (9 812.6 $), თურქმენეთსა (6 966.6 $) და რუსეთს; (11 288.9 $) არაფერს ვამბობთ ბალტიისპირა რესპუბლიკებზე, რომელთა მშპ-მა 1 სულზე 15 000 აშშ-ის დოლარს გადააჭარბა (Data, 2019). ცხადია, საქართველოს შედარება ძნელია ისეთ ნავთობ- და გაზმომპოვებელ სახელმწიფოებთან, როგორებიცაა: აზერბაიჯანი, ყაზახეთი, თურქმენეთი და, მით უფრო, რუსეთი; მაგრამ ჩვენი ქვეყანა ჩამორჩება ბელარუსს, რომელსაც 2,5-ჯერ მეტი მოსახლეობა ჰყავს და მცირედ აჭარბებს სომხეთს (4 212.1 $), რომელთან შედარებით ბევრად მეტი რესურსული შესაძლებლობები გაგვაჩნია.

მთავარი ***რეგიონული უთანაბრობა*** საქართველოს შრომის ბაზარზე თბილისსა და ქვეყნის დანარჩენ რეგიონებს შორის აღინიშნება. ურბანიზაციას, მშპ-ის წილსა და რეგიონული წარმოების ტიპს შორის მკაფიო კორელაცია არსებობს. დედაქალაქი თბილისი ყველაზე მეტად ურბანიზებული ადგილია საქართველოში, სადაც სახელმწიფოს მთლიანი შიდა პროდუქტის თითქმის ნახევარი იქმნება (დიაგრამა 1) და, მთლიანად, მესამეული/მეოთხეული (78%) და სამრეწველო სექტორის (22%) მიერ იწარმოება (საქართველოში რეგიონული უთანასწორობების ანალიზი, 2016, 20).

დიაგრამა 1



წყარო: *„რეგიონული მთლიანი შიდა პროდუქტი 2017“, 2018, 1. შედგენილია ავტორთა მიერ*

ქვეყნის დღევანდელი მშპ-ის დარგობრივი სტრუქტურა გვიჩვენებს *სოფლის მეურნეობის წილის კლებას (8%) მომსახურებისა (75.2%) და უბანუღინდუსტრიული დარგების სასარგებლოდ (16.7%),* (დიაგრამა 2). თუ ამ პარამეტრებს მსოფლიო საშუალო მონაცემებს შევადარებთ, საქართველოს მშპ-ში ჯერ კიდევ მაღალია სოფლის მეურნეობის (მსოფლიო საშუალო 3-4%), ხოლო დაბალია მრეწველო-

ბის (მსოფლიო საშუალო 26-37%) წილი; მომსახურების სფეროს მაჩვენებლით კი ის მსოფლიო საშუალოს უტოლდება.

ის, თუ როგორ ნაწილდება სახელმწიფო ინვესტიციები ქვეყანაში, კარგად აჩვენებს ეროვნული ხელისუფლების (საკანონმდებლო და აღმასრულებელი) რეგიონულ პრიორიტეტებს. მაგრამ მნიშვნელოვანია ასეთი ინვესტირების ეფექტურობის განსაზღვრა ანუ შეთანწყობა სახელმწიფო და კერძო ინვესტიციებისა – რამდენად სჭირდება კონკრეტულ რეგიონს სახელმწიფო ჩარევა კერძო ინვესტიციის მისაზიდად. მაგალითად, თბილისისათვის უმჯობესია, სახელმწიფო ორიენტირებული იყოს საჯარო ინსტიტუტებზე (სკოლების დაფინანსების გაზრდა, საზოგადოებრივი ტარნსპორტით მგზავრობის დროის შემცირება და ა.შ.), ვიდრე თანხების ხარჯვაზე კერძო კაპიტალის მოსაზიდად; მაგრამ, მაგალითად, კახეთში, კერძო ინვესტორისათვის სასურველი გარემოს შესაქმნელად სახელმწიფოს მხრიდან გარკვეული ინვესტიციის განხორციელება აუცილებელია.

დიაგრამა 2

მთლიანი შიდა პროდუქტის დარგობრივი სტრუქტურა, 2017 წელი



წყარო: *საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტი 2017, 2018, 3*

დიაგრამა 3 ნათლად ასახავს სახელმწიფო და კერძო ინვესტიციების განაწილებას საქართველოს რეგიონებში, ხოლო ცხრილი 1 იმავე ინდიკატორს ეკონომიკის ზოგიერთი სექტორების მიხედვითაც.

დიაგრამა 3

სახელმწიფო და კერძო ინვესტიციები, 2017



ცხრილი 1

ინვესტიციები ფიქსირებულ აქტივებში*[1] რეგიონებისა და ეკონომიკური საქმიანობის ზოგიერთი სახის მიხედვით, 2017 წელი

რეგიონები	**მლნ. ლარი**	**%**	**განხორციელებული ინვესტიცია ეკონომიკის პრიორიტეტულ დარგებში რეგიონულ ინვესტიციასთან (პროცენტულად)**
საქართველო	**5 586.1**	**100**	**___**
თბილისი	4 171.9	74.6	ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა – 45.2; ვაჭრობა და სხვ. –13.4; ოპერაციები უძრავი ქონებით და სხვ. – 8.2; მშენებლობა – 7.7.
აჭარა	514.6	9.2	სასტუმროები და რესტორნები – 41.4; ოპერაციები უძრავი ქონებით და სხვ. – 22.9; ვაჭრობა და სხვ. – 8.3; ტარნსპორტი და კავშირგაბმულობა – 8.5.
გურია	23	0.4	დამამუშავებელი მრეწველობა – 75.6; კომუნალური, სოც. და პერსონალ. მომსახ. – 11.7.
სამეგრელო-ზემო სვანეთი	248.4	4.4	ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა – 30.4; სოფლის მეურნეობა და სატყეო მეურნეობა – 25.1; ელექტროენერგიის, აირის, წყლის წარმ./განაწ. – 20.9
იმერეთი	104.7	1.8	დამამუშავებელი მრეწველობა – 33.7; სამთო-მოპოვებითი მრეწველობა – 12; ვაჭრობა და სხვ. – 12.3; ჯანდაცვა და სოციალური დახმარება – 10.9.
რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთი	10.6	0.1	ოპერაციები უძრავი ქონებით და სხვ. – 73.5; სოფლის მეურნეობა და სატყეო მეურნეობა –21.6.
შიდა ქართლი	145.7	2.6	დამამუშავებელი მრეწველობა – 79.2; ოპერაციები უძრავი ქონებით – 14.2.
მცხეთა-მთიანეთი	71.9	1.2	დამამუშავებელი მრეწველობა – 57.8; მშენებლობა – 11.5; ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა – 10.5.
ქვემო ქართლი	141.4	2.5	სამთო-მომპოვებელი მრეწველობა – 25.2; დამამუშავებელი მრეწველობა – 21.7; სოფლის მეურნეობა და სატყეო მეურნეობა – 11.1; ელექტროენერგიის, აირისა და წყლის წარმოება/განაწილება – 9.3.
სამცხე-ჯავახეთი	27.3	0.4	დამამუშავებელი მრეწველობა – 42.1; სასტუმროები და რესტორნები – 22.3.
კახეთი	102.2	1.8	სასტუმროები და რესტორნები – 49.5; დამამუშავებელი მრეწველობა – 25.9; სოფლის მეურნეობა და სატყეო მეურნეობა – 11.8.

წყარო: *საქსტატი. „ინვესტიციები ფიქსირებულ აქტივებში", 2018, შედგენილია ავტორთა მიერ*

ინვესტიციების მოცულობა, რომელიც მიდის რეგიონებში, გვიჩვენებს *კაპიტალის მობილობის ხარისხს (განაწილების დიაპაზონს)* ამ რეგიონების მიხედვით. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში დღეისათვის კერძო ინვესტორები, ძირითადად, ადგილობრივია, ***პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს*** მაინც დიდი მნიშვნელობა აქვს. საქსტატის მონაცემებით, 2017 წელს საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ მშპ-ის 12.5 % შეადგინა და ისევე, როგორც წინა წლებში, უპირატესად თბილისსა (77.6 %) და აჭარისკენ (10.2%) იყო მიმართული (დიაგრამა 4). მდგომარეობა არც ბოლო წლებში შეცვლილა, რაც ცხრილი 2-დან კარგად ჩანს. 2018 და 2019 წლებში დედაქალაქსა და

*[1] „ინვესტიციები ფიქსირებულ აქტივებში" – იგულისხმება სახელმწიფო და კერძო ინვესტიციები. ეს არის ერთადერთი სტატისტიკური მონაცემი ინვესტიციების შესახებ, რომელიც შეგვიძლია რეგიონულ კონტექსტში განვიხილოთ. საქსტატის მეთოდოლოგიის მიხედვით, ფიქსირებული აქტივი (ძირითადი კაპიტალი) განისაზღვრება როგორც წარმოებითი აქტივები, რომლებიც მრავალჯერ ან ხანგრძლივად (ერთ წელზე მეტი ხნის განმავლობაში) გამოიყენება წარმოების ძირითად პროცესში.

აჭარის რეგიონის წილი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განაწილებაში კვლავ ყველაზე მაღალი იყო. 2020 წლის მონაცემებით, ინვესტიციები მომატებულია ქვემო ქართლში. კოვიდ 19-ის პანდემიმ, ცხადია, გავლენა იქონია ქვეყანაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინებაზე. საქსტატის მონაცემებით, 2020 წელს მისი მოცულობა წინა წლებთან შედარებით, განახევრებულია (შესაბამისად, 1310,8 და 616,9 მილიონი აშშ დოლარი). ინვესტიციის სიმცირით ხასიათდება შიდა ქართლის, მცხეთა-მთიანეთის, სამცხე-ჯავახეთისა და კახეთის რეგიონები (პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, 2018), სადაც ინვესტიციების დაბანდება, ძირითადად, ადგილობრივი შინამეურნეობებისა და ინდივიდების მიერ ხდება.

ცხრილი 2

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები რეგიონების მიხედვით* (პროცენტებში)

წლები	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020
თბილისი	69,3	69,2	75	72,7	75,1	79,7	85,3	77,6	79,5	69,5	44,1
კახეთი	–0,5**	0,2	1,6	1	0,8	0,9	0,2	0,3	-6,5	0,1	0,2
ქვემო ქართლი	7,8	12,9	4	1,5	3	1,2	1,8	3,3	6,6	3,6	13,4
შიდა ქართლი და მცხეთა–მთიანეთი	1,1	1,2	1,2	–0.02	0,7	–0.9	0,2	0,4	3,7	0,7	6,9
სამცხე–ჯავახეთი	2,7	1	2,5	5	4	1,8	1,9	2	3,4	3,8	4,4
იმერეთი და რაჭა–ლეჩხუმ ქვემო სვანეთი	9,4	0,4	3,9	5,7	1,5	1,5	1,7	3,1	2,1	3,5	3,9
სამეგრელო ზემო სვანეთი და გურია	2,9	6,2	6	5,6	5,1	3	2,2	2,6	-7,9	3,5	5,9
აჭარა	6,9	8,4	5,5	8,1	9,3	12,4	6,3	10,2	5,9	15,1	21
სულ	100	100	100	100	100	100	100	100	100	100	100

* პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განაწილება საქართველოს რეგიონების მიხედვით წარმოებს საწარმოთა სტატისტიკური გამოკვლევების შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე. საფინანსო სექტორის (კომერციული ბანკები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები და სადაზღვევო კომპანიები) მონაცემები მიკუთვნებულია მთლიანად თბილისზე (საქსტატი).

** რეგიონიდან მოცემულ წელს გავიდა მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიცია, ვიდრე შემოვიდა

წყარო: *საქსტატი. „პირდაპირი უცხოური ინვესტიციები რეგიონების მიხედვით“, 2021.*

ზემოთ აღნიშნული ტენდენცია წინა ათწლეულის განმავლობაში ქვეყნის საჯარო პოლიტიკით იყო ნაკარნახევი, კერძოდ: რადგან თავდაპირველად ქვეყანამ მისი ეკონომიკის უპირატესი დარგების (ტრანსპორტისა და ტურიზმის სექტორების) სწრაფი ზრდა მიიჩნია პრიორიტეტულად (და მართებულადაც), ამ მხრივ თბილისი და შავი ზღვის სანაპირო საუკეთესო არჩევანი იყო; ასევე, წინა წლებში ურბანულ არეალებში არსებულმა ფასებმა მოთხოვნად სფეროებში – მშენებლობასა და უძრავ ქონებაში – უფრო განაპირობა ინვესტიციების მიზიდვა, ვიდრე მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში. რაც შეეხება ბიზნესგარემოს ბოლო ეტაპების რეფორმებს, ის ახლა მიმდინარეობს და უნდა ველოდოთ, რომ კერძო ინვესტიციები იმაზე მეტად იქნება რეგიონებში გადანაწილებული, ვიდრე ეს ადრე იყო. ქვეყნის საჯარო პოლიტიკის ტრადიციულ დარგში – მრეწველობაში გადანაცვლების შემთხვევაში შესაძლებელი იქნება კერძო და უცხოური ინვესტიციების მიზიდვა რეგიონებში. სასმელების, ტექსტილისა და ფარმაცევტული წარმოება, ბუნებრივი რესურსების ათვისებასთან ერთად (ჰიდროენერგიის წარმოება და სამთო მრეწველობა), რაც პრიორიტეტულ მიმართულებად ყალიბდება, სამომავლოდ ხელს შეუწყობს ინვესტიციების რეგიონებში დაბანდებას. ეს სასურველი ვარიანტია. მცირე ინვესტორთა წახალისება თანაბრად მნიშვნელოვანია, მაგრამ ქვეყნის პოლიტიკაც ორიენტირებული უნდა იყოს იმ რესურსებზე, რაც გაზრდის მცირე მეწარმეთა პოტენციალს, რომელთა საქმიანობა უღარიბესი რეგიონების განვითარების ხერხემალია. ამ მიმართებით იაფ კრედიტზე ხელმისაწვდომობა და პროფესიონალთა ხელშეწყობა მცირე და საშუალო ბიზნესისათვის გასათვალისწინებელი და ყურადსაღები საკითხია.

დიაგრამა 4



წყარო: *საქსტატი. „პირდაპირი უცხოური ინვესტიციები რეგიონების მიხედვით", 2018.*

მშპ-ის საზომი მნიშვნელოვანი მაკროეკონომიკური მახასიათებელი – ***მთლიანი დამატებული ღირებულება***[2] (Gross Value Added (GVA)) – თვალნათლივ გვიჩვენებს განსხვავებას რეგიონების ეკონომიკური განვითარების დონეებს შორის, ანუ: წარმოებას, ეკონომიკურ აქტივობას, მის მასშტაბებსა და ეფექტურობას რეგიონის მშპ-ში. ამის მიხედვით, გამოვყოფთ რეგიონების ოთხ ჯგუფს: წამყვანი – **თბილისი,** მეორე რანგის – **აჭარა, იმერეთი და სამეგრელო-ზემო სვანეთი;** მესამე დონე – **ქვემო ქართლი, შიდა ქართლი, კახეთი, მცხეთა-მთიანეთი და სამცხე-ჯავახეთი;** და მეოთხე – დანარჩენი ნაკლებად დაწინაურებული აგრარული რაიონები – **რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთი და გურია**.

თბილისის ეკონომიკის სტრუქტურა დღესაც ატარებს სოციალისტური ეპოქიდან მემკვიდრეობით მიღებული მულტიფუნქციური მეტროპოლიტენური ცენტრის თვისებებს. მისთვის დამახასიათებელია მეტ-ნაკლებად დაბალანსებული *მეოხეული* (გადამამუშავებელი მრეწველობა), *მესამეული* და *მეოთხეული* (მომსახურების სფერო) დარგების განვითარება. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, მრეწველობის დარგების მკვეთრად შემცირების შედეგად, თბილისის ეკონომიკურმა სტრუქტურამ ისეთი სახე მიიღო, როგორც ეს მე-5 დიაგრამაზეა ნაჩვენები. 2017 წელს შექმნილი მთლიანი დამატებული ღირებულების მიხედვით, მისი ურბანული მეურნეობა წარმოდგენილია მესამეული და მეოთხეული დარგების – *ვაჭრობის, მშენებლობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის,* ასევე *საჯარო* და *საბაზრო მომსახურების* განვითარებით, სამრეწველო სექტორის წილი კი მეტად მოკრძალებულია. თბილისზე ასევე მოდის ქვეყნის მთლიანი ბიზნესის ბრუნვის 70 %.

მსოფლიო ბანკის კვლევის მიხედვით, თბილისის ეკონომიკის მთავარ ხარვეზებად მიჩნეულ იქნა უმუშევრობის მაღალი დონე, დიდ ფირმებზე დაყრდნობა (დასაქმების 63% და ბრუნვის 85%), მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების დაბალი დონე, შეღავათიანი ინვესტიციების შემოდინება და ისეთი სექტორების ზრდა, როგორებიცაა: ფინანსური სერვისი, მშენებლობა და ტურიზმი, გადატვირთული სატრანსპორტო არეალები და დაბინძურებული საჰაერო აუზი (საქართველოში რეგიონული უთანასწორობების ანალიზი, 2016, 24).

[2] *მთლიანი დამატებული ღირებულება* არის რეგიონში ნაწარმი/შექმნილი პროდუქციის ან მომსახურების ღირებულება გადასახადების გარეშე. იანგარიშება საბაზისო ფასებში, როცა მას დაემატება გადასახადები და გამოაკლდება სუბსიდიები, ვღებულობთ რეგიონის მშპ-ს. რეგიონის მშპ = მთლიან დამატებულ ღირებულებას + გადასახადები – სუბსიდიები.

დიაგრამა 5



წყარო: *საქსტატი. „ტეხიტოხიუი ეხთეუღების მიეხ...", 2018. შედგენილია ავტორთა მიეხ*

მეორე რანგის სამი რეგიონი – **აჭარა, იმერეთი** და **სამეგრელო-ზემო სვანეთი** – ასევე გამოირჩევა ეკონომიკის სექტორების მეტ-ნაკლებად თანაბარი განაწილებით და განვითარების დინამიკას აჩვენებს (დიაგრამები: 6, 7 და 8), თუმცა თბილისისგან განსხვავებით, იქ მცირეა მომსახურების სფეროს დარგების ხვედრითი წილი და უფრო სოლიდურადაა წარმოდგენილი მრეწველობა (*იმეხეთში* 17%), რაც განპირობებულია სამთო-მოპოვებითი მრეწველობის (ქვანახშირის მოპოვება ტყიბულში და მანგანუმის მადნისა ჭიათურაში), ენერგეტიკის (ჰიდროენერგიის წარმოება რიონჰესზე, ვარციხჰესზე, ტყიბულჰესზე, გუმათჰესზე და სხვ.), შავი მეტალურგიის (ფეროშენადნობების წარმოება ზესტაფონში), მანქანათმშენებლობის (ქუთაისის ავტომექანიკური ქარხნისა და ზესტაფონის კაბელების ქარხნების წარმოება), მსუბუქი და კვების მრეწველობის დარგების (ქუთაისი) გავლენით.

დიაგრამა 6



დიაგრამა 7



დიაგრამა 8



წყარო: *საქსტატი. ტეხიტოხიული ეხთეუღების მიეხ..., 2018. შედგენილია ავტოხთა მიეხ*

იმერეთის მეურნეობის სტრუქტურაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს განათლების და ჯანდაცვის სექტორს (17%), რასაც, ძირითადად, ქუთაისში მოქმედი საუნივერსიტეტო და სამედიცინო ცენტრები ქმნის.

იმერეთისაგან განსხვავებით, სადაც სოფლის მეურნეობაზე მთლიანი დამატებული ღირებულების 13 % მოდის, *აჭარის* ეკონომიკის სტრუქტურა უფრო დაბალანსებული და ურბანულად ორიენტირებულია და ჰგავს თბილისისას. მომსახურების სფეროს დომინირება მრეწველობასა (8%) და სოფლის მეურნეობაზე (6%) აქ ტურიზმისა და რეკრეაციის მაღალი წილითაა განპირობებული. ამ რეგიონის წარმოების სისტემა სოფლის მოსახლეობის მაღალი წილით, ურბანული განვითარების თანამედროვე ეკონომიკურ მოდელს წარმოადგენს. ამდენად, დღეისათვის აჭარის სამომავლო განვითარება, როგორც ერთ-ერთი მთავარი გასასვლელისა საერთაშორისო ბაზრებზე, შეიძლება შეფასდეს როგორც ყველაზე ხელსაყრელი საქართველოს დანარჩენ რეგიონებთან შედარებით.

სამეგხეღო-ზემო სვანეთის რეგიონი დანარჩენი ორისაგან ტრანსპორტისა და კომუნიკაციის სფეროში წარმოებული მომსახურების მაღალი წილით გამოირჩევა (22%), რასაც დიდწილად ფოთის პორტი ქმნის, თუმცა მესამეულ დარგებში წარმოება მოკრძალებულია სოფლის მეურნეობასთან (ძირითადად, მემარცვლეობა და სუბტროპიკული მი-

წათმოქმედება) (12%) და მრეწველობასთან (კვების მრეწველობა) შედარებით (12%).

მიუხედავად აღნიშნულისა, ძველ მემკვიდრეობით სექტორებზე დაყრდნობა არასაკმარისია მდგრადი ზრდის უზრუნველსაყოფად. ამასთან, ისეთი ქალაქები, როგორებიცაა ფოთი ან სამრეწველო ზესტაფონი (და სხვა მესამე რანგის რეგიონების ქალაქებიც – ბორჯომი, ბოლნისი, მარნეული, გორი და ა.შ.), საჭიროებენ ახალი, უფრო ეფექტიანი მიდგომების მოძიებას მდგრადობის შენარჩუნებისა და კონკურენტუნარიანობის ხელშეწყობის მიზნით (საქართველოში რეგიონული უთანასწორობების ანალიზი, 2016, 22).

მესამე რანგის 5 აგრარული რეგიონისათვის – **კახეთი, მცხეთა-მთიანეთი, ქვემო ქართლი, შიდა ქართლი** და **სამცხე-ჯავახეთი** – უპირატესად დამახასიათებელია პირველადი სექტორის (სოფლის მეურნეობა) განვითარება მეორეულ სექტორთან, მრეწველობასთან ერთად (დიაგრამები: 9, 10, 11, 12 და13).

დიაგრამა 9



დიაგრამა 10



დიაგრამა 11



დიაგრამა 12



დიაგრამა 13



წყარო: *საქსტატი. „ტეხიტოხიული ეხთეუღების მიეხ...", 2018. შედგენილია ავტოხთა მიეხ*

აგრარულ სექტორში ყველაზე მეტი პროდუქცია *კახეთში* იქმნება (32%), ხოლო მრეწველობაში – *მცხეთა-მთიანეთში* (ძირითადად, კვების მრეწველობა – საკონდიტრო ნაწარმის, ლუდისა და უალ-

კოჰოლო სასმელების წარმოება – 37,8%) და *ქვემო ქართლში* (თბოენერგეტიკა და ქიმიური მრეწველობა რუსთავში; სამთო-მოპოვებითი წარმოება და ფერადი მეტალურგია ბოლნისის მუნიციპალიტეტში – 37,1%). ხუთივე რეგიონში, სოფლის მეურნეობა და მრეწველობა ერთად, ეკონომიკის 40-55 პროცენტს შეადგენს.

დაბოლოს, ყველაზე ნაკლებად განვითარებულ მეოთხე ჯგუფს ორი რეგიონი – **გურია** და **რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთი** ქმნის, რომელთათვის დამახასიათებელია აგრარული სექტორის დიდი ადგილი (18% თითოეულისათვის) მომსახურების სფეროს მეტად ჩამორჩენილი დარგების ფონზე. მათი ეკონომიკის სტრუქტურაში დიდი წილი უჭირავს სახელმწიფო სერვისებს – ადმინისტრაციული მართვა, განათლება, ჯანდაცვა (*გურიაში* 31,1%, ხოლო *რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთში* 34%) და მომსახურების სხვა სახეებს (შესაბამისად, 24,6% და 31%) (დიაგრამები: 14 და 15).

დიაგრამა 14



დიაგრამა 15



წყარო: *საქსტატი. ტერიტორიული ეთეუღების მიეh..., 2018. შედგენილია ავტორთა მიეh*

ამრიგად, პროდუქციისა და მომსახურების წარმოების ზემოთ აღნიშნული მოდელი რეგიონების ეკონომიკური სტრუქტურის შეფასებისა და კლასიფიცირების საშუალებას იძლევა, კერძოდ:

- ***თბილისი,*** როგორც ურბანული ცენტრი, დაბალანსებული ეკონომიკური სტრუქტურით, განსაკუთრებულია საქართველოს რეალობაში, მაშინ, როცა პოლუსის მეორე მხარეს მდებარე აგრარული ***გუჩია*** **და** ***რაჭა-ღეჩხუმ-ქვემო სვანეთი*** მრეწველობის, ტრანსპორტისა და მომსახურების სფეროს სექტორებით, მკვეთრი ჩამორჩენით ხასიათდება და მონოფუნქციურ პერიფერიას წარმოადგენს;
- მეორე რანგის რეგიონებში მეურნეობის დარგების განაწილება მეტ-ნაკლებად დაბალანსებულია, რასაც მნიშვნელოვნად დიდი და საშუალო საქალაქო ცენტრები ***(ქუთაისი, ბათუმი, ფოთი)*** განაპირობებს;
- მესამე რანგის რეგიონები, რომლებიც უშუალოდ ესაზღვრება აღნიშნულ ურბანულ არეალებს ან, განსაკუთრებით, დედაქალაქს და მათი ტერიტორიების მნიშვნელოვანი ნაწილი თბილისის აგლომერაციაში შედის ***(ქვემო და შიდა ქართლი, კახეთი*** **და** ***მცხეთა-მთიანეთი)***, ამ საქალაქო ცენტრების გავლენის ქსელში ექცევა. ეს კი მათ აქტივობას მნიშვნელოვნად უწყობს ხელს. მთავარი ურბანული არეალების მსგავსი გავლენა მიმდებარე პერიფერიულ რეგიონებზე მსოფლიოს ბევრი ქვეყნისთვისაა დამახასიათებელი.

განხილული რეგიონული დაყოფა მოცემულია რუკა 1-ზე.

რუკა 1

საქართველოს რეგიონები ეკონომიკური განვითარების მიხედვით



შედგენილია ვ. ჩხაიძის მიერ

კითხვები:

1. რა უდევს საფუძვლად მოცემულ რეგიონულ დაყოფას?
2. რა ძირითადი მიზეზები განაპირობებს რეგიონულ უთანასწორობას საქართველოში?

დავალება:

1. გააანალიზეთ ცხრილი 1 და მის მიხედვით, მოკლე პრეზენტაციის სახით, წარმოადგინეთ თითოეული რეგიონი. დამატებით შეავსეთ მოცემული ცხრილი შესაბამისი ვიზუალური მასალით (დიაგრამებით).
2. განიხილეთ თქვენთვის სასურველ რამდენიმე რეგიონში შექმნილი დამატებული ღირებულება 2019 წლის მონაცემების მიხედვით.

გამოყენებული ლიტერატურა:

მიმდინარე ეკონომიკური ტენდენციები, 2016, ნანახია 15 ოქტომბერს, 2018, https://www.mof.ge/images/File/BROSHURA/2016/Outlook_november.pdf

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2018, ნანახია 15 ოქტომბერს, 2018, http://geostat.ge/index.php?action=page&p_id=2230&lang=geo

საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტი, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2018, ნანახია 15 ოქტომბერს, 2018, http://geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/nad/Mtliani%20shida%20produqti%202018% 20III%20kvartali%20(geo).pdf

საქართველოში რეგიონული უთანასწორობების ანალიზი, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, 2016, ნანახია 18 ოქტომბერს, 2018, http://www.mrdi.gov.ge/sites/default/files/05_0.pdf

ტერიტორიული ერთეულების მიერ შექმნილი მთლიანი შიდა პროდუქტი ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით, საქსტატი, 2018, ნანახია 18 ოქტომბერს, 2018, http://www.geostat.ge/?action=page&p_id=118&lang=geo

Data, The World Bank, 2019, ნანახია 15 მაისს, 2020, https://data.worldbank.org/indicator/NY.GDP.PCAP.CD?locations=AZ-GE-AM-KZ-TM-BY-RU

GDP per capita, Trading Economics, 2017, ნანახია 20 ოქტომბერს, 2018, https://tradingeconomics.com

Georgia GDP per capita current US$ 1990-1994, 2017, ნანახია 20 ოქტომბერს, 2018, https://wits.worldbank.org

Human Development Report:Country rank, 2018, ნანახია 20 ოქტომბერს, 2018, https://countryeconomy.com/key-rates

7.3. დემოგრაფიული პრობლემები

ფართო გაგებით, ***დემოგრაფიული უსაფრთხოება*** გულისხმობს ცხოვრების პროცესის დაცულობას და ადამიანთა თაობების უწყვეტ ბუნებრივ განახლებას. დემოგრაფიული უსაფრთხოება გულისხმობს სახელმწიფოს დაცვას ისეთი საფრთხეებისაგან, როგორებიცაა: *დეპოპულაცია, დემოგრაფიული დაბეჩება, შობადობის კლება, ემიგრაციული პროცესები;* აღნიშნული ასევე მოიცავს *ეროვნული ჯანმრთელობის მდგომარეობას.*

დემოგრაფიული უსაფრთხოება სახელმწიფოს უსაფრთხოების უმნიშვნელოვანესი მდგენელია. საზოგადოებაში მიმდინარე პროცესებს სოციალურ-ეკონომიკური ხასიათი აქვს, რის გამოც დემოგრაფიული უსაფრთხოება ადამიანის მოღვაწეობის პრაქტიკულად ყველა სეგმენტსა და სფეროს შეეხება. ამავე დროს, მისი უზრუნველყოფა დამოკიდებულია ეკონომიკური, ეკოლოგიური, სასურსათო, სოციალური და კულტურული სფეროების მდგომარეობაზე (Бондаренко, Сюпова, 2017, 183). დემოგრაფიული უსაფრთხოების უმთავრესი მიზანია ისეთი პირობების შექმნა, რომლებიც საკმარისი იქნება ამ საფრთხეების თავიდან ასაცილებლად და ნეიტრალიზებისათვის, როგორც სახელმწიფო, ასევე რეგიონულ დონეზე.

გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში საქართველოში განვითარებული კრიზისული მოვლენების შედეგად მკვეთრად გაუარესდა დემოგრაფიული მდგომარეობა, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, შობადობის კლებით, მოკვდაობის მატებით, განქორწინებათა ზრდით, უმაგალითო ემიგრაციული პროცესებით გამოიხატა. არსებული სიტუაცია, დემოგრაფიულის გარდა, სერიოზული გეოპოლიტიკური პრობლემების წარმოქმნის საშიშროების შემცველია.

ქვეყნის დემოგრაფიული უსაფრთხოებისათვის უმნიშვნელოვანესი გამოწვევა ***მოსახლეობის მასშტაბური კლებაა***. 1990-2018 წწ. საქართველოს მოსახლეობამ 31,2%-ით დაიკლო. აღსანიშნავია, რომ პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებს შორის ყველაზე მეტად ჩვენს ქვეყანაში შემცირდა მოსახლეობა. მისი კლება დაფიქსირდა ქვეყნის ყველა ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ ერთეულში. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაა რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონებში, სადაც მოსახლეობა განახევრდა (დიაგრამა 1).

დაბადებულთა აბსოლუტური რაოდენობა 1990-2017 წწ.-ში 1,7-ჯერაა შემცირებული (საქართველოში 2017 წელს 53,3 ათასი ბავშვი დაიბადა, ნაცვლად 92,8 ათასისა 1990 წელს). დღეისათვის შობადობის ზოგადი კოეფიციენტი მოსახლეობის მარტივი აღწარმოების დონესთან ახლოს იმყოფება, მაგრამ უკანასკნელ წლებში შეიმჩნევა მისი კლების ტენდენცია. შობადობის სფეროში არსებულ მდგომარეობას ართულებს არასტაბილური დასაქმება, უმუშევრობა; ოჯახთა არასაკმარისი შემოსავლების პირობებში საცხოვრებლისა და ბავშვის მოვლა-მომსახურების დაბალი მისაწვდომობა.

თუ მხედველობაში მივიღებთ იმ ფაქტს, რომ, ბავშვთა შობის თვალსაზრისით, ქალების გამორჩეული ასაკობრივი კოჰორტები (20-24 და 25-29 წწ.) რაოდენობრივად მუდმივად კლებულობდა (დიაგრამა 2), მომავალში შობადობის სფეროში მდგომარეობის გაუარესებაა მოსალოდნელი.

დიაგრამა 1

მოსახლეობის პროცენტული ცვლილება საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში 1990-2018 წლებში 1990 = 100%



წყარო: *საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.*

დიაგრამა 2

20-24 და 25-29 წლის ასაკის ქალების რაოდენობრივი დინამიკა 1990-2017 წწ.



	1990	1995	2000	2005	2010	2015	2017
20-24	210.6	181.6	152.6	147.2	152.9	128.6	107.4
25-29	238.7	192.6	150.9	139.8	139.6	138.7	135.6

წყარო: *საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური*

საქართველოსათვის მეტად პრობლემურია ***მოკვდაობის*** სფეროში არსებული ვითარება. გლობალური დემოგრაფიული განვითარებიდან გამომდინარე, მომავალში მოკვდაობის მატებაა მოსალოდნელი. ამ თვალსაზრისით, საქართველო არ არის გამონაკლისი. ჩვენი ქვეყნისათვის უფრო მნიშვნელოვანი გამოწვევაა *1 წლამდე ბავშვთა* მაღალი მოკვდაობა. ჩვილთა არსებული მოკვდაობის დონე, საშუალოდ, სამჯერ აღემატება დასავლეთის ქვეყნებში არსებულ დონეს. შემაშფოთებელია შრომისუნარიან ასაკში (15-64 წწ.) მყოფი მოსახლეობის მოკვდაობის მასშტაბები (განსაკუთრებით მამაკაცების). ამ უკანასკნელთა მოკვდაობის ასაკობრივი კოეფიციენტების დონე ცალკეულ ასაკობრივ ჯგუფებში 3-4-ჯერ აღემატება თავის ევროპულ ანალოგებს. 2017 წელს საქართველოში გარდაცვლილთა საერთო რაოდენობიდან მეოთხედს სამუშაო ასაკის ადამიანები შეადგენდნენ, მათ შორის: მამაკაცების წილი 72,4%-ის, ხოლო ქალების წილი 27,6%-ის ტოლი იყო.

ქვეყანაში ასევე მაღალია *დედათა მოკვდაობის* მაჩვენებლები. 2016 წელს აღნიშნულმა მაჩვენებელმა ყოველ 100 000 ცოცხლადშობილზე 23 შეადგინა (ჯანმრთელობის დაცვა, 2017, 48), რაც ბევრად აღემატებოდა განვითარებული ქვეყნების მაჩვენებლებს.

მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით, საქართველოში საგრძნობლად დაბალია მამაკაცებისა და ქალების ***სიცოცხლის საშუალო მოსალოდნელი ხანგრძლივობა.*** აღსანიშნავია, რომ უკანასკნელი 60 წლის განმავლობაში მამაკაცების სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა მხოლოდ 0,1 წლით გაიზარდა, ხოლო ქალებისა 2 წლით, მაშინ, როცა დასავლეთის ქვეყნებში მამაკაცებში მატებამ საშუალოდ 10, ხოლო ქალებში 12 წელი შეადგინა. დაფიქსირებული ფაქტი, უმთავრესად, ჯანმრთელობის დაცვის სფეროში არსებული არასახარბიელო მდგომარეობით და მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პირობებითაა გამოწვეული.

შობადობისა და მოკვდაობის გარდა, დემოგრაფიული სიტუაცია მიგრაციული პროცესების ზეგავლენის შედეგად ყალიბდება. აღნიშნული პროცესებიდან საქართველოში დემოგრაფიულ სიტუაციას, უმთავრესად, ***მიგრაციული პროცესები*** განსაზღვრავს. 1990-იანი წლების ემიგრაციული ნაკადები უმაგალითო იყო ქვეყნის ათასწლოვან ისტორიაში. 1992-1997 წლებში მიგრაციის უარყოფითმა სალდომ -947,7 ათასი ადამიანი შეადგინა. მიუხედავად იმისა, რომ შემდგომ წლებში ქვეყნიდან გასვლის მასშტაბებმა იკლო, დღეისათვის საქართველოს კვლავ მიგრაციის უარყოფითი სალდო აქვს. 1990-2017 წლებში მიგრაციის უარყოფითმა სალდომ საქართველოში -1363.3 ათასს მიაღწია. შემაშფოთებელია ის ფაქტი, რომ ემიგრანტებს შორის უდიდესი ნაწილი რეპროდუქციული ასაკისაა (15-49 წელი). 2017 წელს ქვეყნიდან წასულთა შორის აღნიშნულ ასაკში იმყოფებოდა ემიგრირებულთა 73%. სამწუხაროდ, საქართველოდან გრძელდება მოსახლეობის გადინება საზღვარგარეთ, რომელშიც, ძირითადად, ახალგაზრდა ასაკის ადამიანები მონაწილეობენ.

საქართველოს წინაშე არსებული დემოგრაფიული საფრთხეებიდან აღსანიშნავია მოსახლეობის

დემოგრაფიული დაბერების სულ უფრო მზარდი პროცესი. 1990 წელს მოსახლეობის საერთო რაოდენობაში 65 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის წილი საქართველოში 8,9%-ს შეადგენდა, ამჟამად (2018 წ.) განხილული მაჩვენებელი 14,6%-ის ტოლია. ქვეყანაში დემოგრაფიული დაბერების პროცესს მნიშვნელოვან სტიმულს აძლევს ემიგრაციული პროცესები, რომელშიც, როგორც აღინიშნა, უმთავრესად, ახალგაზრდა ასაკის ადამიანები მონაწილეობენ. მოსახლეობის დემოგრაფიული დაბერების პროცესი განსაკუთრებით სახიფათოა ამ შემთხვევაში, ვინაიდან იგი წინ უსწრებს ეკონომიკურ განვითარებას. ქვეყანას ჯერ არ დაუგროვებია საკმარისი რესურსები, როგორც ეს მოხდა დასავლეთის ქვეყნებში აღნიშნულ პრობლემასთან გასამკლავებლად. მეტი საპენსიო ასაკის მოსახლეობა ნიშნავს მეტ დატვირთვას საპენსიო ფონდზე და, შესაბამისად, შრომისუნარიან კონტინგენტზე, მეტი თანხების გამოყოფას ჯანდაცვაზე სახელმწიფოს მხრიდან და ა. შ. გაეროს სპეციალისტების მიერ გაანგარიშებული დემოგრაფიული მაჩვენებლების 2017 წლის გადასინჯვის საშუალო პროგნოზის თანახმად, საქართველოში 2027-2028 წლებში 65 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის აბსოლუტური რაოდენობა გადააჭარბებს 15 წლამდე ასაკის ბავშვების რაოდენობას.

საქართველო ისტორიულად გამოირჩეოდა ***განქორწინებათა*** დაბალი დონით. 2008-2017 წწ. განქორწინებათა აბსოლუტური რაოდენობა ქვეყანაში 3-ჯერ და მეტჯერ გაიზარდა. 2008 წელს ყოველ 100 ქორწინებაზე 10 განქორწინება მოდიოდა; 2017 წლის მონაცემებით, ყოველ 100 ქორწინებაზე 43 განქორწინება დაფიქსირდა. 2017 წელს საქართველოში 10,2 ათასი განქორწინების შემთხვევა იყო. აღნიშნული ვითარების შენარჩუნების პირობებში ახლო მომავალში ყოველი მეორე ქორწინება განქორწინებით დასრულდება. საგულისხმოა, რომ კატასტროფულადაა გაზრდილი იმ ოჯახების დაშლის ფაქტები, რომელთა არსებობამ 0-4 წელს გასტანა (დიაგრამა 3).

მიიჩნევენ, რომ შობადობის შემცირება დაბალ დონემდე, დემოგრაფიული დაბერება, არასტაბილური ქორწინება, განქორწინებათა მატება და ა.შ. დემოგრაფიული განვითარების გარკვეულ ეტაპზე ინდივიდუალური ავტონომიისა და ინდივიდუალური არჩევანის ზრდის შედეგია, რაც, თავის მხრივ, დაკავშირებულია მოდერნიზაციისა და დემოკრატიზაციის გაფართოებასთან (წულაძე, მაღლაფერიძე, სულაბერიძე, 2009, 30). სავარაუდოა, რომ ლიბერალური ფასეულობების დანერგვამ თანამედროვე ქართულ საზოგადოებაში გარკვეული გავლენა მოახდინა ქორწინებისა და ოჯახისადმი ტრადიციულ მიდგომებზე. ზოგ შემთხვევაში, პარტნიორთა უთანხმოების დროს, მისაღები გახდა განშორების პერსპექტივა. ეს საკითხი მსჯელობის ფართო საგანია და ღრმად შესწავლას საჭიროებს (ბადურაშვილი და სხვ., 2008).

დიაგრამა 3



წყარო: *საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური*

საქართველოს დემოგრაფიული პრობლემები რთული და მრავალწახნაგოვანია, რაც საშიშროებას უქმნის ქვეყნის დემოგრაფიულ უსაფრთხოებას. არსებული ვითარების დასარეგულირებლად ხელისუფლებამ უნდა შეიმუშაოს და გაატაროს დემოგრაფიულ უსაფრთხოებაზე დაფუძნებული გონივრული სოციალური და დემოგრაფიული პოლიტიკა (Lordkipanidze, 2016, 116). საქართველოს

პარლამენტის დადგენილების მიხედვით, 2016 წელს დამტკიცდა, „საქართველოს დემოგრაფიული უსაფრთხოების კონცეფცია“, რომლის ძირითადი მიზნებია:

ა) ქვეყანაში მოსალოდნელი მოსახლეობის რიცხოვნობის შემცირების/დეპოპულაციის შეჩერება;

ბ) საქართველოს მიგრაციული პოლიტიკისა და მიგრაციული ნაკადების მართვა;

გ) ქვეყნის მოსახლეობის ბოლოდროინდელ და მოსალოდნელ ცვლილებებთან დაკავშირებული გამოწვევების დასაძლევად ერთიანი კონცეპტუალური მიდგომის ჩამოყალიბება და ამით ეროვნული უსაფრთხოების სფეროში არსებული და შესაძლო რისკების თავიდან აცილება. აღნიშნული კონცეფცია სტრატეგიული საფუძველია ეროვნული პოლიტიკის სხვადასხვა ასპექტისათვის, მათ შორის, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული განვითარებისათვის და მიმართული იქნება საქართველოს საზოგადოების მდგრადი განვითარების მისაღწევად.

კითხვები:

3. რა არის საქართველოს დემოგრაფიული მდგომარეობის უმთავრესი გამოწვევები?
4. როგორია საქართველოს დემოგრაფიული სურათი რეგიონების მიხედვით?

დავალება:

განიხილეთ საქართველოს დემოგრაფიული გამოწვევები მსოფლიო დემოგრაფიული პროცესების ფონზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

ბადურაშვილი ი., ჭეიშვილი რ., კაპანაძე ე., წიკლაური შ., სირბილაძე მ., *გენდერული უთანასწორობები თანამედროვე ქართულ საზოგადოებაში,* თბილისი, 2008.

წულაძე გ., მაღლაფერიძე ნ., სულაბერიძე ა., დემოგრაფია, თბილისი, 2009.

ჯანმრთელობის დაცვა: სტატისტიკური ცნობარი საქართველო 2016, თბილისი, 2017.

Lordkipanidze, V., Demographic Development and Demographic Security in Georgia // Bulletinof the Georgian National Academy of Sciences, vol. 10, no. 1, 2016.

Бондаренко, Н.А., Сюпова М.С., Формы проявления демографической безопасности региона и оценка ее угроз // Вестник ТОГУ N3 (46), 2017.

7.4 შრომითი მიგრაცია და მასთან დაკავშირებული გენდერული პრობლემები

საქართველო საერთაშორისო მიგრაციაში 1990-იანი წლებიდან ჩაერთო. საკმაოდ მალე ეს თანამონაწილეობა გლობალური ხასიათის გახდა, რომელიც დღეს დანიშნულების ქვეყნების მეტად მრავალფეროვნებით, მიგრანტთა გენდერულ-ასაკობრივი თუ პროფესიული სტრუქტურის დიდი დიაპაზონით და დროსა და სივრცეში ტრანსფორმაციის მასშტაბებით გამოირჩევა (გაჩეჩილაძე, 1997; Migration in Georgia: A Country Profile, 2008).

ტრანსნაციონალური მიგრაცია ჩამოყალიბებული მიგრაციული ნაკადია მიგრანტის მუდმივი საცხოვრებლიდან წინასწარ მომზადებულ დანიშნულების ადგილამდე. ტრანსნაციონალური ოჯახის წევრები ცხოვრობენ და მოღვაწეობენ ორ ან მეტ სახელმწიფოში: ერთნი, დასაქმებულები, უკეთეს სამუშაო პირობებში, ვიდრე ეს მათ ქვეყანაშია და ოჯახის დანარჩენი წევრები, რომლებიც მიგრანტის მიერ ფინანსური გზავნილით აგრძელებენ ცხოვრებას სამშობლოში (Huang, Yeoh and Lam, 2008, 5). თუმცა ეს იძულება უფროა, ვიდრე მათი სურვილი სხვა არჩევანის არარსებობის გამო. პირველი წარმატებული მიგრანტები კვალავენ ამ გზას, ფუძნდებიან საემიგრაციო ქვეყანაში და ქმნიან სოციალურ ქსელს. ისინი ე. წ. „თოვლის გუნდის“ პრინციპით უწყობენ ხელს პოტენციურ მიგრანტებს საკუთარი ქვეყნიდან მასპინძელ ქვეყნამდე მისაღწევად. ამიტომ ექსპერტები ამ პროცესს „ჯაჭვურ მიგრაციას“ უწოდებენ, ან „ნათესავთა ტრანსნაციონალური კორპორაციის“ სახელით მოიხსენიებენ (Ho & Bedford, 2008, 43).

შრომითი ემიგრაციისათვის საქართველოდან, დამახასიათებელია ***მიგრანტთა პროფესიული ტრანსფორმაცია, ფემინიზაცია, ნუკლეარული ოჯახის პატნიორი წევრების დაცალკევება, ემიგრანტის ფულად გზავნილზე დამოკიდებულია ბიუჯეტი და ეთმშობლიანი გარემო.***

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოდან ქალთა ემიგრაცია დროებითია, მთავარი ***პრობლემაა*** თავად მიგრანტის, საკუთარი ოჯახის წევრებთან განშორების სრულიად გაურკვეველი ხანგრძლივობა, რაც განპირობებულია შრომის უკეთესი ანაზღაურებით მასპინძელ ქვეყანაში, დასაქმების ნაკლები შანსის საპირისპიროდ სამშობლოში. შედეგად, პროცესში მონაწილენი ერთდროულად მოსარგებლენიც არიან და დაზარალებულნიც.

საქართველოდან შრომითი მიგრაციის ძირითადი აქცენტია მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესება (Iashvili, VonReichert and Gvenetadze, 2016). გადაწყვეტილება ემიგრაციის შესახებ ემთხვევა შვილების სასკოლო/საუნივერსიტეტო ასაკისა და ემიგრანტის მშობლების ხანდაზმულობის პერიოდს, როცა მზარდია მოთხოვნა განათლებასა და სამედიცინო მომსახურების ხარჯებზე. ამ მიმართებით *ქალთა ემიგრაცია ოჯახის შემოსავლების დივერსიფიკაციისა და გაზრდის ყველაზე მისაღებ სტრატეგიად მიიჩნევა.* ***ეკონომიკური სარგებლის*** მიუხედავად, ემიგრაციამ უარყოფითად იმოქმედა ოჯახის წევრებს შორის ურთიერთობებზე. ოჯახის წევრების ხანგრძლივად დაშორება ორივე სქესის რესპონდენტების მხრიდან მიგრაციის ***სოციალურ დანაკარგადაა*** მიჩნეული (გოგსაძე, იაშვილი, წულაძე, გვენეტაძე, 2017, 263).

მიგრაციის თეორიებში ერთ-ერთი მნიშვნელოვანია ***შრომითი მიგრაციის ახალი ეკონომიკის მიკროთეორია,*** რომელიც ავითარებს აზრს იმის შესახებ, რომ გადაწყვეტილება ინდივიდის ემიგრაციის შესახებ კოლექტიური განხილვის (ოჯახის, სანათესაოს, ზოგ საზოგადოებაში – თემის) შედეგია *ოჯახის შემოსავლების გაზრდისა* და *რისკების თავიდან აცილების მიზნით* (Massey, 1999, 36). თეორიის მიხედვით, მთელი ოჯახი ერთად არ გადაადგილდება, არამედ უფრო ხშირად აგზავნის მის ერთ ან რამდენიმე წევრს. ბევრ განვითარებულ ქვეყანაში შინამეურნეობის რისკების მართვა ხდება ინსტიტუციური მექანიზმებით, მაგალითად: უმუშევრობის სახელმწიფო დაზღვევა, კერძო ან სამთავრობო საპენსიო პროგრამები, რომლებიც იცავენ მოქალაქეებს მოხუცებულობის ასაკის სიღარიბისგან. როდესაც ასეთი რისკების მექანიზმი სუსტდება (პოლიტიკური ცვლილებები ქვეყანაში, ეკონომიკური კრიზისი და სხვ.), ინდივიდების ბევრად საიმედო დაცვას უზრუნველყოფს *ოჯახი.* ოჯახს აქვს უნარი, იოლად მოახდინოს საკუთარი რესურსების განაწილება. სანამ სამშობლოში არახელსაყრელი ეკონომიკური პირობებია, *ოჯახები ინარჩუნებენ რისკების კონტროლისა და შემცირების მექანიზმებს გეოგრაფიული დივერსიფიკაციის გზით* (Hagen-Zanker, 12). ის, თუ ვინ ჩაერთვება მიგრაციულ პროცესებში, – ქალები, მამაკაცები თუ ორივე სქესის წარმომადგენლები – დამოკიდებულია გამგზავნ ქვეყანაში არსებულ გენდერულ ურთიერთობებზე, რასაც, თავის მხრივ, განსაზღვრავს არსებული კულტურული ნორმები, წარმოშობის ქვეყნის ეკონომიკის განვითარების დონე და ა.შ. პატრიარქალურ საზოგადოებებში ქალთა ავტონომიურობა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში შეზღუდულია. ამიტომ მას, ხშირად, ოჯახი იღებს (ზურაბიშვილი, ზურაბიშვილი, 2017, 409). საქართველოში აღნიშნულ საკითხზე შეთანხმება, ოჯახის წევრებთან ერთად ხდება (თუ-

მცა ყოველთვის ყველა წევრი თანახმა არაა), საბოლოოდ გადაწყვეტილებას კი მეუღლეები ერთად იღებენ (გოგსაძე, იაშვილი, წულაძე, გვენეტაძე, 2017, 265).

მიგრაციის გამომწვევ მიზეზებს ***მაკროდონეზე*** განიხილავს **სეგმენტირებული შრომის ბაზრის (იგივე დუალისტური შრომის ბაზრის) თეორია,** რომლის მიხედვით, საერთაშორისო მიგრაციას თანამედროვე პოსტინდუსტრიულ საზოგადოებებში შრომით რესურსზე რეალური მოთხოვნა განაპირობებს, კერძოდ, დაბალანაზღაურებადი შრომითი რესურსის პერმანენტული საჭიროება (Massey, 1999).

ქართული ემიგრაცია კარგად ერგება ზემოთ აღნიშნულ თეორიულ ჩარჩოებს იმ კუთხით, რომ ქართველი მიგრანტი ნამდვილად დაბალანაზღაურებადი შრომითი რესურსია, თუმცა იმიგრაციის ქვეყანაში მიღებული შემოსავალი საკმაოდ სოლიდურია სამშობლოში არსებულ სტანდარტებთან შედარებით (იაშვილი, 2018, 153-154).

ოჯახების კეთილდღეობა მნიშვნელოვნად დამოკიდებულია მიგრანტის ***ფინანსურ გზავნილზე*** (Massey, 1999, 36). ფულადი გზავნილი ემიგრაციიდან საქართველოში, მიგრანტთა ოჯახების მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების ერთ-ერთ, ხშირ შემთხვევაში, ერთადერთ საშუალებად იქცა. ასეთ ოჯახებში გენდერული როლები შეცვლილია და მარჩენალად ქალი გვევლინება. მისი ფინანსური გზავნილი შინამეურნეობის ძირითად ბიუჯეტს შეადგენს, რაც ფარავს შვილების სწავლის გადასახადს (როგორც მოსწავლეების, ასევე სტუდენტების), მშობლების მკურნალობის თანხებს და საყოფაცხოვრებო ხარჯებს; ოჯახების ნაწილმა შეძლო, გაესტუმრებინა ვალი, შეეძინა მოძრავი თუ უძრავი ქონება. ***თუმცა, ოცა ვეი ხეხხდება ფინანსური გზავნილის შენახვა-დაგროვება ან ბიზნესში ინვესტიხება, ემიგრაციის პროცესი დაუსრულებლად გრძელდება და დადებითად ვეი შეფასდება*** (გოგსაძე, იაშვილი, წულაძე, გვენეტაძე, 2017, 265).

მიუხედავად იმისა, რომ, ამ თეორიის მიხედვით, მთავარი აქცენტი გაკეთებულია ფინანსურ თანადაზღვევაზე, არანაკლებ მნიშვნელოვანია *მოვალეობა-პასუხისმგებლობა* ტიპის თანადაზღვევა. ხშირად, ოჯახის სხვა, ან უფრო ხანდაზმული წევრი/წევრები იღებენ საკუთარ თავზე მშობლის ფუნქციას. ამ უკანასკნელი ტიპის ოჯახს კანადელი მეცნიერი ფულერ-ტომსონი *„გამოტოვებული თაობის შინამეურნეობას“* (skipped generation household) უწოდებს (Fuller-Thomson 2005, 331).

ქართველი ემიგრანტი ქალების დიდ ნაწილს სავიზო რეჟიმი დარღვეული აქვს და ***არალეგალური მიგრანტები*** არიან. მაგალითად, ოფიციალური მონაცემებით, საბერძნეთში დასაქმებული 23 482 ქართველი შრომითი მიგრანტიდან მხოლოდ 13 596-ს აქვს მუშაობის ნებართვა (იაშვილი, 2017, 214)[3]. ეს, ცხადია, სერიოზული პრობლემაა კანონის წინაშე დაცულობის, ჯანმრთელობის დაზღვევისა თუ სხვა კუთხით. ამდენად, მათთვის მეტად მნიშვნელოვანია *დეპორტაციის* საფრთხის მინიმიზაცია. ემიგრანტთა ნაწილმა, დანიშნულების ქვეყანაში ხანგრძლივად ყოფნის შემდეგ, მოახერხა და მიიღო ლეგალურად ცხოვრების უფლება. მაგალითად, 2005-2014 წლებში, აშშ-ში, რომელიც ქართველებისთვის მნიშვნელოვანი საემიგრაციო სივრცეა, 8 810-მა ქართველმა მიიღო მოქალაქეობა ნატურალიზაციის გზით; ამავე პერიოდში 15 101-მა ქართველმა მოიპოვა გრძელვადიანი ბინადრობის უფლება; მწვანე ბარათის მფლობელთა რაოდენობა კი ბოლო ათწლეულის განმავლობაში, ყოველწლიურად 1, 2-2 ათას ადამიანს შეადგენს (US Department, 2014, 103).

ოჯახის წევრების ხანგრძლივად დაშორება ორივე სქესის რესპონდენტების მხრიდან მიგრაციის ***სოციალურ დანაკარგადაა*** მიჩნეული. ***ეკონომიკური სარგებლის*** მიუხედავად, ემიგრაციამ უარყოფითად იმოქმედა ოჯახის წევრებს შორის ურთიერთობებზე – მამაკაცები უფრო მეუღლეებს შორის შეცვლილ ურთიერთობებს გულისხმობენ, ხოლო ემიგრანტი ქალები ყველაზე მტკივნეულად შვილებთან განშორებას განიცდიან (გოგსაძე, იაშვილი, წულაძე, გვენეტაძე, 2017, 270).

ბევრი ექსპერტი დღეს აღნიშნავს საერთაშორისო მიგრაციის ფემინიზაციის შესახებ. 1990-იანი წლების შემდეგ ევროკავშირის ქვეყნებისა და აშშ-ის იმიგრანტთა სტრუქტურა მუდმივად იცვლება ქალების სასარგებლოდ (Rubenstein 2010, 54). ემიგრაცია საქართველოდან გენდერულად დიფერენცირებულია, კერძოდ: რუსეთსა (85,2%) და უკრაინაში მამაკაცები ჭარბობენ, ხოლო საბერძნეთი (70,1%), გერმანია (69,4%) და იტალია ქალთა უპირატესობით გამოირჩევა (იაშვილი, გვენეტაძე, 2013,80). მაგალითად, 2013 წელს იტალიაში ქართველ იმიგრანტთა ოფიციალური რაოდენობა შეადგენდა 9 123 პირს, რომელთაგან 7 746 ქალი გახლდათ; 2012 წლის მონაცემებით, საბერძნეთში ქართველ მიგრანტთა 70-80% ქალია (იაშვილი, 2017, 209; 214).

მიგრაციის ფემინიზაციის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი ისაა, რომ განვითარებულ ქვეყნებში ბოლო წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა ქალთა დასაქმების შესაძლებლობები. მაგალითად, თუ 1950 წელს აშშ-ში დასაქმებული ქალების მხოლოდ 15%-ს ჰყავდა 6 წლამდე ასაკის შვილი, 2006 წელს ეს მაჩვენებელი 65% იყო. შესაბამისად, ასეთ ოჯახებში დიდია მოთხოვნა დამატებით მუშახელზე (ზურაბიშვილი, ზურაბიშვილი, 2017, 415); 2000-იანი წლების დასაწყისიდან საბერძნეთის ეკონომი-

[3] საბერძნეთში მცხოვრებ ლეგალურ და არალეგალურ ქართველ იმიგრანტთა რიცხვი, სხვა წყაროს მიხედვით, 150 ათასს აღწევს.

კის ლიბერალიზაციამ და პრივატიზაციამ ბევრი სამუშაო ადგილი შექმნა. მიგრანტთა მისაზიდად განმსაზღვრელი ფაქტორები აღმოჩნდა მზარდი ხელფასები ქვეყანაში, ბერძენ ქალთა აქტიური დასაქმება მაღალკვალიფიციურ შრომის ბაზარზე და მოხუცთა წილის მატება საბერძნეთის მოსახლეობაში. ამ უკანასკნელ ტენდენციას კი მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის ზრდამ და „ბეიბი ბუმის“ თაობის საპენსიო ასაკში შესვლამ (იაშვილი, 2017, 212-213).

ამგვარად, ქართული შრომითი მიგრაცია მიჰყვება იმ ზოგად ტენდენციებსა და კანონზომიერებებს, რაც დამახასიათებელია განვითარებადი ქვეყნების მიგრანტი მოსახლეობისათვის – ჩაერთონ საერთაშორისო შრომით მობილობაში, რაც მაკროეკონომიკური და ინდივიდუალური ფაქტორებითაა განპირობებული – ესაა მოთხოვნა დაბალანაზღაურებად შრომით რესურსზე პოსტინდუსტრიული ქვეყნების შრომის ბაზრებზე **(მაკროდონე)** და მიგრანტის/ოჯახის მოტივაცია ეკონომიკური სტატუსის გაუმჯობესებისათვის **(მიკროდონე)**.

ემიგრაცია მნიშვნელოვნად ცვლის ურთიერთობებს ოჯახის წევრებს შორის. როგორც ორივე სქესის რესპონდენტები აღნიშნავენ, დაკარგული ურთიერთობების აღდგენა თავდაპირველი სახით თითქმის შეუძლებელია. ქალები, განსაკუთრებით, მათსა და შვილებს შორის გაუცხოების მაღალ ხარისხზე მიუთითებენ. გახანგრძლივებული ემიგრაციის პირობებში რესპონდენტების ნაწილმა შეძლო იმიგრანტის ლეგალური სტატუსის (ზოგმა მოქალაქეობისაც) მიღება, რაც მათი დაცულობის კუთხით დადებითად უნდა შეფასდეს.

კითხვები:

1. რომელი თეორიები (მიკრო- და მაკროდონეზე) განსაზღვრავენ შრომით მიგრაციებს? რას გულისხმობს ეს თეორიები და რამდენად ერგება საქართველოს რეალობა მათ?
2. როგორ შეაფასებთ ქალთა შრომით მიგრაციას საქართველოდან? მოიყვანეთ თქვენეული არგუმენტები.

დავალებები:

1. გამართეთ დებატები ან მოამზადეთ პრეზენტაცია თემის ირგვლივ: „ქალთა ემიგრაცია გამოსავალია თუ დანაკარგი საქართველოსათვის“?
2. გამართეთ დებატები ან მოამზადეთ პრეზენტაცია თემის ირგვლივ: „როგორ შეიძლება, ქართველმა ემიგრანტებმა შეინარჩუნონ საკუთარი კულტურა, ენა და ღირებულებები მასპინძელ ქვეყანაში“? შედარებისათვის მოიყვანეთ მაგალითები სხვა ეთნოსის ემიგრანტების შესახებ.

გამოყენებული ლიტერატურა:

გაჩეჩილაძე რ., *მოსახლეობის მიგრაცია საქართველოში და მისი სოციალურ-ეკონომიკური შედეგები*, თბილისი, 1997.

იაშვილი ი., საზოგადოებრივი გეოგრაფია და მიგრაცია. წიგნში: *„მიგრაციის სახელმძღვანელო“*, თბილისი, 2017.

იაშვილი ი., მიგრაციის თეორიები და თანამედროვე ქართული იმიგრაცია აშშ-ში: რამდენად მივყვებით ზოგად კანონზომიერებებსა და საერთაშორისო გამოცდილებას? კრებულში: ამერიკის შესწავლის საკითხები, VII, თბილისი, 2018.

იაშვილი ი., გვენეტაძე თ., თანამედროვე ქართული შრომითი ემიგრაცია აშშ-ში, კრებულში: საზოგადოებრივი გეოგრაფიის აქტუალური საკითხები, თბილისი, 2013, 76-86.

იაშვილი ი., გოგსაძე გ., წულაძე ლ., გვენეტაძე თ., ქალთა შრომითი მიგრაცია: სოციალურ-ეკონომიკური გავლენა მიგრანტთა ოჯახებზე საქართველოში. კონფერენციის – „გეოგრაფია გლობალურ კონტექსტში: მიღწევები და გამოწვევები" – შრომათა კრებული, 2017, 262-275, ქუთაისი.

ზურაბიშვილი თ., ზურაბიშვილი თ., გენდერი და შრომითი მიგრაცია წიგნში: *„მიგრაციის სახეებმდღვანელო",* თბილისი, 2017.

Fuller-Thomson, E., Canadian first nation grandparents raising grandchildren: A portrait in resilience. *Aging and Human Development*, 60(4), 2005, 331-342.

Hagen-Zanker, Jessica., Why do People Migrate? A Review of the Theoretical Literature. Maastricht Graduate School of Governence. Munich Personal RePEc Archive (MPRA), 2008, ნანახია 25 ნოემბერს, 2018, https://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=1105657

Iashvili, I., Von Reichert Ch., and Gvenetadze, T., „For the Sake of the Family: Contemporary Georgian Migration in the USA". *International Journal of Arts and Sciences, 09(02), 2016, 623-638*, ნანახია 25 ნოემბერს, 2018, http://www.universitypublications.net/ijas/0902/pdf/V6Z340.pdf

Massey, D. „Why Does Migration Occur? A Theoretical Synthesis". From: C. Hirshman, P. Kazinits, and J. DeWind (eds), *The Handbook of International Migration: The American Experience.* New York: Russel Sage Foundation, 1999; ნანახია 10 მარტი, 2017. http://www.migrationpolicycentre.eu/docs/SummerSchool2013/readings/Kaczmarczyk_Reading%201.pdf

Ho, E., & Bedford, R., Asian transnational families in New Zealand: Dynamics and challenges. *International Migration,* 46(4), 2008, 41-61.

Huang, S., Yeoh, B.S.A., & Lam, T., Asian transitional families in transition: The liminality of simultaneity. *International Migration,* 46(4), 2008, 3-15.

Migration in Georgia: A country profile., International Organization for Migration, 2008.

Rubenstein, J. M., *Contemporary Human Geography*. Prentice Hall, 2010.

US Department of Homeland Security, Data & Statistics., Yearbook of Immigration Statistics, 2014.

7.5. გარემო და მდგრადი განვითარება

ეკოლოგიური და გეოგრაფიული გარემოს მდგრადობა მიემართება განვითარების პროცესის ფიზიკურ საფუძველს, რომლის მიზანია იმ ბუნებრივი რესურსების რაციონალურად მოხმარება და დაცვა, რომელთა გამოყენება ხდება ეკონომიკურ აქტივობებში; აქვე მოიაზრება თანამედროვე ეკოსისტემების აღდგენა და დაცვა ანთროპოგენური ზემოქმედებისაგან (Da Cunha, S.k., and da Cunha, J.C., 2005, 53).

მდგრადი განვითარება მოიცავს ***ეკონომიკუი, სოციაღუი*** და ***ეკოღოგიუი*** ასპექტებს. მიიჩნევა, რომ განვითარება უნდა იყოს *ეკონომიკუიად ხეღსაყიეღი, სოციაღუიად სამართღიანი* და *გაიემოსთვის ღამზოგავი* (მდგრადი განვითარება, 2017).

მდგრადი განვითარების *ეკოღოგიუი ასპექტში,* პირველ რიგში, მოიაზრება ბიომრავალფეროვნების დაცვა, ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება და ეკოლოგიურად სუფთა ენერგიის წარმოება (წყლის, ქარის, მზის ენერგია, ბიოსაწვავი). *სოციაღუი ასპექტი* მოიცავს სამართლიანობისა და კეთილდღეობის იდეებზე დაფუძნებულ საზოგადოებას, რომლის წევრებსაც, მათი მატერიალური შესაძლებლობების მიუხედავად, ხელი მიუწვდებათ ისეთ აუცილებელ საჭიროებებზე, როგორებიცაა: საკვები, საცხოვრისი, ჯანდაცვა, განათლება, სამუშაო, ადამიანის უფლებები, საკუთრების უფლება და ა.შ.; მდგრადი განვითარების *ეკონომიკუი ასპექტი* პირდაპირ კავშირშია როგორც ეკოლოგიასა და გარემოს დაცვასთან, ისე სოციალურ სოლიდარობასთან. მდგრადი განვითარება არ ნიშნავს, რომ ადამიანი უარს ამბობს იმ სიკეთეებზე, რომლებიც მას ტექნოლოგიურმა თუ ინდუსტრიულმა პროგრესმა მიანიჭა. ის მხოლოდ ცდილობს, ეკონომიკური კეთილდღეობა ისე მოიპოვოს, რომ რაც შეიძლება ნაკლებად დააზიანოს გარემო და მეტად იზრუნოს საზოგადოების სოციალურ კეთილდღეობაზე (მდგრადი განვითარება და მისი ასპექტები, 2019).

საქართველოს გარემოსდაცვითი პოლიტიკის მთავარი მიზანი არის ქვეყნის მდგრადი და დაბალანსებული განვითარება, ხოლო უმნიშვნელოვანესი ამოცანა გარემოზე სოციალურ-ეკონომიკური საქმიანობებით გამოწვეული უარყოფითი გავლენის თავიდან აცილება, რაც გრძელვადიან პერიოდში მომავალ თაობებს ჯანსაღ გარემოში ცხოვრების საშუალებას მისცემს.

2000 წლიდან დღემდე საქართველომ მოამზადა გარემოს დაცვის მოქმედებათა სამი ეროვნული პროგრამა, რომელთა მომზადების ვალდებულება განსაზღვრულია საქართველოს კანონით „გარემოს დაცვის შესახებ“. მესამე ეროვნული პროგრამა შემუშავდა შემდეგი ძირითადი პოლიტიკური ტენდენციების გათვალისწინებით:

- „საქართველო-ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმება“;
- „გაეროს მდგრადი განვითარების მიზნები“ და ის გარემოსდაცვითი საერთაშორისო შეთანხმებები, რომელთა მხარესაც საქართველო წარმოადგენს;
- გარემოს დაცვასა და ბუნებრივი რესურსების მართვასთან დაკავშირებული ეროვნული და დარგობრივი სტრატეგიები.

გარემოს დაცვის მოქმედებათა მესამე ეროვნული პროგრამის მიზნებია: წყლის რესურსების, ნარჩენებისა და ქიმიური ნივთიერებების მართვის, ატმოსფერული ჰაერის ხარისხის, ბუნებრივი კატასტროფების მართვის, ტყისა და ბიომრავალფეროვნების, ნიადაგის დაცვის, რადიაციული უსაფრთხოებისა და კლიმატის ცვლილების სფეროებში პრევენციული, შემარბილებელი და საადაპტაციო ღონისძიებების გატარება; ასევე, საქართველოს მიერ რეგიონული და გლობალური გარემოსდაცვითი კონვენციებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების გაუმჯობესება და შემდგომი დაახლოება ევროკავშირის გარემოსდაცვით პოლიტიკასთან. მიზნები და ქმედებები განსაზღვრულია ქვეყანაში არსებული ფინანსური და ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით (საქართველოს გარემოს დაცვის..., 2017, 5-7).

ატმოსფეიუი ჰაეის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ბიოსფეროს სხვა კომპონენტებს შორის და მისი მნიშვნელობა დედამიწაზე ყველა ცოცხალი ორგანიზმისათვის შეუფასებელია. ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება იწვევს სხვადასხვა დაავადებასა და ადამიანების ნაადრევ სიკვდილს; დაბინძურება აზიანებს კულტურული და ეროვნული მემკვიდრეობის ობიექტებს.

საქართველოში ატმოსფერული ჰაერის ხარისხის სახელმწიფო მონიტორინგს აწარმოებს *საქაითვეღოს გაიემოს ეიოვნუღი სააგენტო.* დღეისათვის ჰაერის დაბინძურებაზე დაკვირვება წარმოებს 6 ქალაქში (თბილისი, ქუთაისი, ბათუმი, ზესტაფონი, რუსთავი, ჭიათურა) განთავსებულ 10 სადამკვირვებლო სადგურზე, რომელთაგან 4 ავტომატური სადგური თბილისში მდებარეობს (მდგრადი განვითარება, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო). ატმოსფერული ჰაერის დაცვის საკითხები რეგულირდება „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით. გარემოსდაცვითი სტანდარტები დგინდება ატმოსფერულ ჰაერში (ასევე, წყალსა და ნიადაგში) მავნე ნივთიერებათა *ზღვიუღაღ ღასაშვები კონცენტრაციის* (ზდკ) ნორმების მნიშვნელობების სახით. საქართველოს მთავრობის დადგენილებებით ასევე რეგულირდება საავტომობილო საწვავის ხარისხი

და მასში შემავალი კომპონენტების შემცველობა (მაგ., ტყვიის).

მიუხედავად იმისა, რომ მონიტორინგის სადგურების რაოდენობა გაიზარდა, ქვეყნის მასშტაბით არსებული მთლიანი სურათი ჯერ კიდევ არ არის სრულყოფილი. საქართველოში ატმოსფერული ჰაერი ბინძურდება *ავტოტრანსპორტიდან, ენერგეტიკული სექტორიდან, სამრეწველო ობიექტებიდან* და *სოფლის მეურნეობის დარგებიდან*. მათგან ძირითადია ***ავტოტრანსპორტი*** და ***ენერგეტიკა,*** რადგან ბოლო წლებში იზრდება ამ სექტორებში მოხმარებული საწვავის რაოდენობა. სამრეწველო სექტორიდან ატმოსფეროში, ძირითადად, *მტვერი, აზოტისა* და *გოგირდის ოქსიდები* გაიფრქვევა. ჰაერში არსებული *მყარი ნაწილაკების* 64% სამრეწველო სექტორზე მოდის. ჰაერის დაბინძურების განსაკუთრებით მაღალი დონე აღინიშნება ზესტაფონში, სადაც ფეროშენადნობთა ტექნიკურად მოძველებული ქარხნის მუშაობის შედეგად ატმოსფერულ ჰაერში მანგანუმის დიოქსიდის დონე ხუთჯერ აჭარბებს ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციას (საქართველოს გარემოს დაცვის..., 2017, 46). დიაგრამა 1-ზე ნაჩვენებია სტაციონარული ობიექტებიდან ატმოსფეროს დაბინძურების წილი საქართველოს რეგიონების მიხედვით, ხოლო ცხრილი 1-ში მოცემულია საწარმოებიდან გაფრქვეული და დაჭერილი მავნე ნივთიერებების ოდენობა ცალკეული ქალაქების მიხედვით.

განსაკუთრებულ საფრთხეს ქმნის მეტად მზარდი საავტომობილო პარკი (დიაგრამა 2), რომელზეც საჰაერო აუზის გაჭუჭყიანების „ლომის წილი“ მოდის. სატრანსპორტო წყაროდან ჰაერის დაბინძურების მთავარ მიზეზად ითვლება არსებული ავტოპარკის ასაკი და ტექნიკური მდგომარეობა, ავტომობილების რაოდენობა და მოძრაობის ინტენსივობა, საწვავის სახეობა და ხარისხი, არასათანადოდ განვითარებული საზოგადოებრივი ტრანსპორტი და სხვ. საქართველოში 3,5 ადამიანზე ერთი ავტომობილი მოდის; თბილისში კი ეს 2,9 ადამიანს შეადგენს. ყოველწლიურად ავტომობილების რაოდენობა 7-10%-ით იზრდება. საქართველოში არსებული ავტომობილების 90,9% 10 წელზე მეტი ასაკისაა (საქართველოს გარემოს დაცვის..., 2017, 46).

სატრანსპორტო სექტორიდან გაფრქვევის მოცულობის შემცირების მიზნით განხორციელდა რამდენიმე საკანონმდებლო ცვლილება. კერძოდ, 2017 წელს ბენზინის ხარისხის ეროვნული ნორმა ევრო 5 სტანდარტს გაუტოლდა; იგეგმება დიზელის საწვავის ხარისხის სტანდარტის ეტაპობრივი გაუმჯობესება ევრო 4 სტანდარტამდე. ნაკლებად დამაბინძურებელი ავტომობილების იმპორტის გასაზრდელად საქართველომ შემოიღო ეკონომიკური წახალისების მექანიზმები. ამჟამად, საქართველოში ელექტრომობილების იმპორტი გათავისუფლებულია აქციზისა და იმპორტის გადასახადებისაგან. ჰიბრიდულ ავტომობილებზე (6 წელზე ნაკლები ასაკის) აქციზის გადასახადი 2016 წელს 60%-ით შემცირდა. 2017 წლის იანვრიდან თითქმის ყველა სახის ავტომობილზე აქციზის გადასახადი დაახლოებით 25%-ით გაიზარდა, თუმცა 10 წლის ასაკის ავტომობილებისთვის ეს გადასახადი გაორმაგდა, ხოლო 14 წელზე მეტი ასაკის ავტომობილებისთვის თითქმის გასამმაგდა (საქართველოს გარემოს დაცვის..., 2017, 47).

დიაგრამა 1

რეგიონული წილი სტაციონარული წყაროებიდან ქვეყნის ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებაში, 2017 (%)



წყარო: *გარემოს სტატისტიკა, საქსტატი, 2018*

საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმება არის მთავარი დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს ატმოსფერული ჰაერის დაცვასთან დაკავშირებულ სამომავლო სტრატეგიულ მიმართულებებს. საქართველო, როგორც საერთაშორისო თანამეგობრობის წევრი, ცდილობს საკუთარი პოლიტიკური გადაწყვეტილებების საერთაშორისო პროცესებთან შესაბამისობაში მოყვანას (საქართველოს ბუნებრივი რესურსები, 2018, 45-48).

ცხრილი 1

ცალკეულ ქალაქებში სტაციონარულ წყაროებში წარმოქმნილი, დაჭერილი და გაფრქვეული მავნე ნივთიერებები, 2017 წელი

ქალაქები	მავნე ნივთიერებები (ათასი ტონა)			ქალაქის წილი, %	
	წარმოქმ-ნილი	დაჭერილი	გაფრქვეული	რეგიო-ნის ჰაერის დაბინძურებაში	ქვეყნის ჰაე-რის დაბინძუ-რებაში
თბილისი	28.1	26.2	1.9	100	4.1
ბათუმი	5.7	4.5	1.2	76.4	2.5
გარდაბანი	0.9	0	0.9	7.2	1.8
ზესტაფონი	58.8	48.8	10	52	21.4
კასპი	272.9	266.9	6	85.2	13
რუსთავი	333.8	327.7	6.1	51.3	13
ფოთი	51.2	50.9	0.3	37.7	0.6
ქუთაისი	0.3	0.1	0.2	1	0.4

წყარო: *„საქართველოს ბუნებრივი რესურსები“, საქსტატი, 2018, 59*

დიაგრამა 2



წყარო: *საავტომობილო პარკი, 2019*

წყლის რესურსების დაცვის საკითხები რეგულირდება „წყლის შესახებ“ საქართველოს კანონით, ხარისხობრივი ნორმების, ჩაშვების ლიმიტებისა და წყლის გამოყენების კვოტების საშუალებით.

საქართველოს ზედაპირულ წყლებში ხარისხი დამაკმაყოფილებელია. მთავარი პრობლემა ამონიუმის აზოტის შემცველობაა. მდინარეების უდიდეს ნაწილში ამ ნივთიერების კონცენტრაცია აჭარბებს მაქსიმალურად დასაშვებ დონეს, რომლის

გამომწვევ მიზეზად სახელდება *მუნიციპალური* და *სასოფლო-სამეურნეო ჩამდინარე წყლები.* ამონიუმის აზოტის ყველაზე მაღალი შემცველობა ფიქსირდება მდინარე სურამულასა და თბილისის მცირე მდინარეებში. სხვაგან აღინიშნება მძიმე ლითონების მაღალი კონცენტრაცია. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით რთული ვითარებაა მდინარეებში: კაზრეთულა, მაშავერა და ყვირილა, რომელთა შემთხვევაშიც დაბინძურების ძირითადი წყარო სამთო-მოპოვებითი მრეწველობაა. წყალი დაბინძურებულია მდინარე ცხენისწყლის ცალკეულ უბნებზე, სადაც დარიშხანის გადამამუშავებელი ძველი ქარხნის მიმდებარედ დარიშხანის კონცენტრაცია დასაშვებ დონეს აღემატება.

ზედაპირული წყლის რესურსებზე ყველაზე ძლიერ ზეწოლას *საყოფაცხოვრებო სექტორი,* კერძოდ, გაუწმენდავი ურბანული ჩამდინარე წყლების ჩაშვება ახდენს. ამ კუთხით მეტად მძიმე მდგომარეობაა შექმნილი თბილისში. წინა ათწლეულებში მოქმედი გარდაბნის გამწმენდი ნაგებობა აღარ ფუნქციონირებს, რის გამოც ვერ ხდება მტკვრის გაწმენდა საკანალიზაციო ქსელიდან ჩაღვრილი, ორგანული და არაორგანული თხევადი მასებისაგან; ცალკე პრობლემაა მდინარის მყარი ნარჩენებისაგან დაბინძურება. კონკრეტული პროგრამის ფარგლებში 2017 წელს პირველად მოხდა მყარი ნარჩენებისაგან რამდენიმე უბანზე მტკვრის გაწმენდა (მდინარე მტკვრის..., 2017). საქართველოს მოსახლეობის მხოლოდ 31% არის უზრუნველყოფილი საკანალიზაციო სისტემით. ამჟამად ჩამდინარე წყლების გამწმენდი მხოლოდ 3 ნაგებობა ფუნქციონირებს. დაგეგმილია დამატებითი 10 ნაგებობის (გარდაბნის, ქუთაისის, ჭიათურის, მარნეულის, გუდაურის, ფოთის, მესტიის, ზუგდიდის, ურეკისა და ქობულეთის) შექმნა, რომელთაგანაც რამდენიმე უკვე მშენებლობის პროცესშია.

წყლის რესურსებზე ზემოქმედებას *სოფლის მეურნეობა* და *მრეწველობაც* ახდენს. სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებულ ძირითად პრობლემებს მიეკუთვნება სარწყავი წყლის არამდგრადი გამოყენება, რომლის დროსაც წყლის დანაკარგი 50%-ს აჭარბებს, ასევე სასოფლოსამეურნეო სავარგულებიდან ჩამონადენი (ნიტრატები, ფოსფატები და პესტიციდები) (საქართველოს გარემოს დაცვის..., 2017, 30-32).

რაც შეეხება *მრეწველობას,* ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობებით აღჭურვილია მხოლოდ ცალკეული ახალი სამრეწველო ობიექტები. აქედან გამომდინარე, წყლის ობიექტებში გაუწმენდავი სამრეწველო წყლების ჩაშვება დამატებით ზეწოლას ახდენს წყლის ეკოსისტემაზე.

საქართველოში სერიოზული პრობლემაა წყლის *დანაკარგი* (დიაგრამა 3). ერთ სულ მოსახლეზე წყლის საშუალო მოხმარება დღე-ღამეში 600 ლიტრს შეადგენს, რაც ძალზე მაღალია მსოფლიოს საშუალო მაჩვენებელთან შედარებით (ამორტიზებული წყალსადენის სისტემა, წყლის არასტაბილური მიწოდება და სხვ.).

დიაგრამა 3



წყარო: *გარემოსდაცვითი ინდიკატორები, საქსტატი, 2018*

საქართველოს წყლის რესურსების მართვის პოლიტიკის ფორმირებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს საერთაშორისო შეთანხმებები და ქვეყნის მიერ ნაკისრი ვალდებულებები. ახლახან მიღებული დოკუმენტი – „საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმება“ – მოიცავს ევროკავშირის დირექტივებსა და ღონისძიებებს წყალსა და ზღვასთან დაკავშირებულ საკითხებ-

ზე. ერთ-ერთი პრიორიტეტი წერტილოვანი და დიფუზიური წყაროებიდან წყლის დაბინძურების შემცირებაა. შეთანხმებიდან გამომდინარე, საქართველო ვალდებულია, მოახდინოს საკუთარი კანონმდებლობის ჰარმონიზაცია წყლის ხარისხთან დაკავშირებულ რეგულაციებთან (საქართველოს გარემოს დაცვის..., 2017, 47).

ბიომრავალფეროვნების თვალსაზრისით, კავკასია მსოფლიოში ერთ-ერთ გამორჩეულ რეგიონად ითვლება. ეკოსისტემების დეგრადაცია გლობალური პრობლემაა. ამ კუთხით ჩვენი ქვეყანაც მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დგას. სახეობათა განადგურების გამომწვევ მთავარ მიზეზად ინტენსიური სოფლის მეურნეობა, ინფრასტრუქტურის განვითარება, უკანონო ნადირობა, თევზჭერა და ხე-ტყის მოპოვება, გარემოს დაბინძურება, არამდგრადი ტურისტული და რეკრეაციული პრაქტიკა ითვლება.

საქართველოში ბუნებისა და სახეობების დაცვის რეგულირება ხორციელდება საქართველოს კანონებით: „გარემოს დაცვის შესახებ“, „წითელი ნუსხისა და წითელი წიგნის შესახებ“, „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ და სხვ.; საქართველო არის ბიომრავალფეროვნების კონსერვაციასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი საერთაშორისო შეთანხმების მხარე და, შესაბამისად, ვალდებულია, შეასრულოს მათი მოთხოვნები. ახალი კანონი „ბიომრავალფეროვნების შესახებ“ შესაბამისობაშია „საქართველო-ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების“ მოთხოვნებთან, რაც შექმნის ბიომრავალფეროვნების მდგრადი მართვის ხელშემწყობ სამართლებრივ ჩარჩოს. ეს ცვლილებები ასევე ხელს შეუწყობს უკანონო ქმედებების (თევზჭერა და ნადირობა) აღკვეთას, რაც, კანონაღსრულების სისტემის გაუმჯობესების მიუხედავად, საქართველოში ისევ პრობლემად რჩება და სერიოზულ საფრთხეს უქმნის ბიომრავალფეროვნებას.

ზოგიერთი სახეობა და ბუნებრივი გარემო (ჰაბიტატი) განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებაში მათი მნიშვნელობის გამო. ასეთი ჰაბიტატებია: გადამფრენი ფრინველების დასვენების, გამრავლებისა და ბუდობის ადგილები, მაღალი კონსერვაციული ღირებულების მქონე ტყეები და მდელოები და სხვ. ასევე აუცილებელია გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი და განსაკუთრებულად მოწყვლადი სახეობების, კერძოდ: ირმის, არჩვის, ფოცხვერის, ჯიხვის, ზუთხის, კალმახის, დელფინისა, და სხვ. კონსერვაციისაკენ მიმართული ღონისძიებების განხორციელება.

ცხადია, აღნიშნულის უზრუნველსაყოფად ძალიან მნიშვნელოვანია ***დაცული ტერიტორიების*** გაფართოება. მიუხედავად ამ მიმართულებით მიღწეული მნიშვნელოვანი წარმატებებისა, ჯერ კიდევ არის სერიოზული ხარვეზები. დაცული ტერიტორიები ერთმანეთისგან იზოლირებულია, ანუ არ არსებობს *დაცული ტერიტორიების ქსელი,* რაც ცხოველთა სახეობების თავისუფალი გადაადგილებისა და მათი კონსერვაციის მნიშვნელოვანი შემაფერხებელი ფაქტორია. გარდა იმისა, რომ დაცული ტერიტორიები უზრუნველყოფენ ბიომრავალფეროვნების დაცვას, მათ აქვთ ეკოტურიზმის განვითარების ხელშეწყობის მნიშვნელოვანი პოტენციალი, რაც, თავის მხრივ, დადებითად მოქმედებს ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე. დაცვითი და რეკრეაციული ფუნქციების დასაბალანსებლად აუცილებელია ეკოტურიზმის განვითარების ისეთი სტრატეგიებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავება, რომლებშიც გათვალისწინებული იქნება თითოეული დაცული ტერიტორიის როგორც ეკოლოგიური ტევადობა, ასევე მისი პოტენციალი ეკოტურისტების მოზიდვის კუთხით. საჭიროა სხვადასხვა სამიზნე ჯგუფზე მორგებული ინფრასტრუქტურისა და მომსახურების განვითარება/გაუმჯობესება (საქართველოს გარემოს დაცვის..., 2017, 81).

ტყე უმნიშვნელოვანესი ბიომია ბიომრავალფეროვნებისთვის. ტყეების როლი კიდევ უფრო გაიზარდა კლიმატის ცვლილების ფონზე, რადგან ტყე ახდენს ნახშირორჟანგის ეფექტიან შთანთქმას.

საქართველოს ტყეების 100% სახელმწიფო საკუთრებაა. თუმცა 2006-2012 წლებში კერძო კომპანიებზე გაიცა გრძელვადიანი ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიები (5-20 წლით) ტყის მერქნული რესურსების გამოსაყენებლად. ***ინვენტარიზაციის გარეშე ტყის კერძო კომპანიებისთვის გადაცემა სუსტი ზედამხედველობის პირობებში, რომელიც გამოწვეულია შეზღუდული რესურსით, შეფასებულია როგორც ტყის მდგრად მართვასთან შეუსაბამო პრაქტიკა.*** დღეის მდგომარეობით, ტყეების 7% კვლავ ლიცენზირებულია 38 მფლობელზე. ყველაზე ხანგრძლივი დროით გაცემული ლიცენზიების ვადა 2029 წელს იწურება.

უკანონო ჭრა, ტყის დაავადებები და *ტყის ხანძრები* ძირითადი საფრთხეებია საქართველოს ტყის ეკოსისტემისათვის. ტყის ლიცენზირების არსებული რეჟიმი, ტყის მცველთა არასაკმარისი რაოდენობა და ადგილობრივი მოსახლეობის მხრიდან შეშაზე მაღალი მოთხოვნა იმ ფაქტორთა შორისაა, რომლებიც განაპირობებს ტყეებში უკანონო საქმიანობას. მავნებლებისა და პათოგენური სოკოების მიერ გამოწვეული დაავადებები ტყის ეკოსისტემის კიდევ ერთი საფრთხეა. ოფიციალური სახელმწიფო სტატისტიკის თანახმად, 2008-2014 წლებში საქართველოში წელიწადში საშუალოდ 24 ტყის ხანძარი აღინიშნა, რომლებმაც, საშუალოდ, ყოველწლიურად 200 ჰექტარი ტყის ფართობი დააზიანა (საქართველოს გარემოს დაცვის..., 2017, 95).

ეროვნული სატყეო კონცეფცია (2013) არის მთავარი პოლიტიკური დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს ტყის მართვის პრინციპებს და აწე-

სებს პრიორიტეტულ მიმართულებებს სატყეო მეურნეობის დარგის განვითარებაში. ყველა სახის ტყისთვის მდგრადი მართვის ხელშეწყობა, ტყის კარგვის შეჩერება, დეგრადირებული და გაჩეხილი ტყეების აღდგენა და ტყის საფარის ზრდა მდგრადი განვითარების მიზნების ერთ-ერთი ამოცანაა; ადგილობრივი მოსახლეობისთვის ენერგიის ალტერნატიული წყაროების მიწოდება, ასევე, ტყის დეგრადირებული ფართობების აღდგენა ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია.

ნიადაგი უმნიშვნელოვანესი ბუნებრივი რესურსია, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანების, ბიომრავალფეროვნებისა და ეკოსისტემების არსებობას.

კლიმატური პირობებისა და ტოპოგრაფიის გამო ნიადაგების ბუნებრივ ეროზიას საქართველოში საკმაო მასშტაბები აქვს. ქვეყნის დასავლეთ ნაწილში უფრო მეტად წყლისმიერი ეროზია აღინიშნება, ხოლო აღმოსავლეთ ნაწილში – ქარისმიერი ეროზია, რაც, ძირითადად, ქარსაფარი ზოლების განადგურებისა და ადამიანის საქმიანობის შედეგია. როგორც დასავლეთ, ასევე აღმოსავლეთ საქართველოში ჭარბი ძოვება ნიადაგების დეგრადაციის პროცესის გაძლიერების ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია. ქვეყნის საძოვრების დიდი ნაწილი არ არის პრივატიზებული. სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საძოვრები კი გადატვირთული და უკონტროლოა.

ნიადაგში ქიმიური ნივთიერებების ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციის გადაჭარბება, ძირითადად, ქვეყნის სამრეწველო რეგიონებში შეინიშნება. მაგალითად, ამბროლაურში (რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონი) ფიქსირდება ნიადაგში დარიშხანის მაღალი შემცველობა; ჭიათურაში (იმერეთის რეგიონი) გაზრდილია ნიადაგში მანგანუმის შემცველობა; ხოლო ბოლნისში (ქვემო ქართლის რეგიონი) მძიმე ლითონის შემცველობა ნიადაგში აჭარბებს დასაშვებ ზღვარს, რაც გამოწვეულია სპილენძის საბადოებისა და კუდსაცავებიდან წარმოქმნილი გამონაჟონით. ნიადაგების ხარისხის შესახებ სრულყოფილი მონაცემების ნაკლებობის გამო საქართველოში არ არსებობს რუკები, რომლებზეც ასახულია დამლაშებული ან მძიმე ლითონებით დაბინძურებული ტერიტორიები (საქართველოს გარემოს დაცვის..., 2017, 106-111).

ბუნებრივი საფრთხეებიდან საქართველოში მნიშვნელოვანია მეწყერებისა და ღვარცოფის გავრცელება; სტიქიურ ჰიდრომეტეოროლოგიურ მოვლენებს შორის განსაკუთრებით უარყოფითი შედეგები ახასიათებს წყალდიდობასა და გვალვას; ქვეყნის ტერიტორიის 50%-ზე მეტი (დასახლებებით) თოვლის ზვავების საფრთხის ქვეშ იმყოფება. წყალდიდობის რისკის მართვა საქართველოსთვის ახალი კონცეფციაა და, შესაბამისად, განვითარებას საჭიროებს.

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს *ჰიდრომეტეოროლოგიის დეპარტამენტს* აქვს ოპერატიული წვდომა სხვა უწყებების მფლობელობაში არსებული მეტეოროლოგიური რადარების მონაცემებთან, რაც ქმნის ნალექებისა და მათგან გამოწვეული წყალმოვარდნებისა და ნიაღვრების ზემოკლევადიანი, სივრცესა და დროში დეტალიზებული, მაღალგამართლებადი პროგნოზების შედგენის შესაძლებლობას; პრემიერმინისტრის ადმინისტრაციაში შექმნილ *სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისული სიტუაციების მართვის ოპერატიულ ცენტრს* დახმარებას უწევს გაერთიანებული სამეფოს მთავრობა. ცენტრში ხდება ცოდნისა და გამოცდილების გაზიარება ბრიტანელი ექსპერტების მხრიდან. დაგეგმილია საფრთხეების შეფასების არსებული მეთოდის განახლება.

„საქართველო-ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმება“ შეიცავს „წყალდიდობების რისკების მართვის შესახებ“ დირექტივის დებულებებს. კერძოდ, დადგენილ ვადებში შემუშავებულ უნდა იქნეს ეროვნული კანონმდებლობა წყალდიდობების რისკების მართვის შესახებ და მომზადდეს წყალდიდობების რისკის რუკები. ქვეყანაში არსებობს ტექნიკური, ინტელექტუალური და ფინანსური რესურსი, თუმცა სახელისუფლებო დონეებსა და უწყებებს შორის არ ხდება აღნიშნული რესურსების კოორდინაცია (საქართველოს გარემოს დაცვის..., 2017, 129-134).

დღეს მსოფლიო შეშფოთებულია *გლობალური დათბობით* გამოწვეული ***კლიმატის ცვლილებით.*** გლობალური დათბობის ძირითადი მიზეზი ადამიანის საქმიანობის შედეგად ე.წ. *„სათბურის გაზების“* ემისიის (გაფრქვევის) და, შესაბამისად, „სათბურის გაზების“ კონცენტრაციის ზრდაა ატმოსფეროში. მთავარ სათბურის გაზად ნახშირორჟანგი (მეთანთან და აზოტის ოქსიდთან ერთად) ითვლება (მდგრადი განვითარება, საქართველოს მდგრადი განვითარებისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო).

ჩვენს ქვეყანაში სათბურის აირების ემისიების მხრივ პირველ ადგილზეა *ენერგეტიკა,* რომლის წილიც ემისიების მთლიან მოცულობაში 57%-ის ტოლია; მეორე ადგილზეა *მრეწველობა* 18%-იანი წილით, მას მოსდევს *სოფლის მეურნეობა* (17%) და *ნარჩენები* (8%). ენერგეტიკის დარგში ემისიის მოცულობით გამოირჩევა *ტრანსპორტის* ქვედარგი 33%-ანი წილით. საქართველო გეგმავს 2030 წლისათვის უპირობოდ, 15%-ით შეამციროს თავისი „სათბურის აირების“ ემისია.

საქართველოში კლიმატის ცვლილებით გამოწვეული უარყოფითი შედეგებია: ტემპერატურის მატება, ნალექების რეჟიმის ცვლილება, წყლის ხელმისაწვდომობის შეზღუდვა, შავი ზღვის დონის მატება, წყალდიდობების, წყალმოვარდნების, მეწყერებისა და ღვარცოფების სიხშირისა და ინტენსივობის ზრდა და სხვ. კლიმატის ცვლილება უარყოფითად მოქმედებს ტურიზმზეც, რომელიც

საქართველოს ერთ-ერთი წამყვანი დარგია. საქართველოს ტურიზმის მთავარი კონკურენტული უპირატესობა ქვეყნის კლიმატური პირობებია (საქართველოს გარემოს დაცვის..., 2017, 116-120).

2015 წლის 25 სექტემბერს გაეროს 193 წევრი ქვეყანა შეთანხმდა მდგრადი განვითარების დღის წესრიგის დოკუმენტზე. საქართველოს პასუხისმგებლობა აქვს აღებული ისეთი ამოცანების შესრულებაზე, რომლებიც მოიცავს: ენერგოეფექტურობის, განახლებადი ენერგიების, ენერგომომსახურებაზე წვდომის, ეკონომიკური ზრდის, მეწარმეობის, ინოვაციებისა და ახალი ტექნოლოგიების, ტურიზმის, კავშირგაბმულობის, დასაქმების, მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარებისა და მათი ფინანსებზე წვდომის საკითხებს (მდგრადი განვითარება, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო). მდგრადი განვითარების მიზნების მნიშვნელობიდან და თემატიკის მრავალფეროვნებიდან გამომდინარე, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ინიციატივით დაიწყო აღნიშნული მიზნების ნაციონალიზაციის პროცესი, სადაც განსაზღვრულია თითოეული სამინისტროს მიერ აღებული ვალდებულებები.

2016 წელს საქართველო შეუერთდა ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) *მწვანე ზრდის* დეკლარაციას. საერთაშორისო თანამეგობრობა მხარს უჭერს საქართველოში მწვანე ზრდის საფუძვლების შექმნას და მზად არის, აღნიშნული დახმარება კიდევ უფრო გააძლიეროს ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით. მწვანე ზრდაში ყველაზე დიდი როლი ენიჭება მთავრობას, მეწარმეებს, ბიზნესებს და საყოფაცხოვრებო მომსახურებასთან დაკავშირებულ დარგებს.

მწვანე ეკონომიკა ხელს უწყობს „საქართველო-ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებისა“ და „ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების“ (DCFTA) ფარგლებში ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას. მწვანე განვითარებისკენ გადადგმული ნაბიჯები დადებითად აისახება ჩვენი ქვეყნის საერთაშორისო იმიჯზეც.

კითხვები:

1. რა პასუხისმგებლობა აკისრია საქართველოს სახელმწიფოს გარემოს დაცვისა და გაჯანსაღების კუთხით საერთაშორისო ვალდებულებების მიხედვით?
2. რა არის გარემოს დაბინძურების მთავარი გამოწვევები საქართველოში?
3. რა ღონისძიებები ტარდება საქართველოში გარემოს მდგრადობის შენარჩუნების კუთხით?

დავალება:

აირჩიეთ საქართველოს რომელიმე რეგიონი და მოამზადეთ პრეზენტაცია გარემოს მდგრადი განვითარების შესახებ.

გამოყენებული ლიტერატურა:

გარემოსდაცვითი ინდიკატორები, საქსტატი, 2018, ნანახია 2 თებერვალს, 2019 https://www.geostat.ge/ka/modules/categories/565/garemosdatsviti-indikatorebi

გარემოს სტატისტიკა, საქსტატი, 2019, ნანახია 2 თებერვალს, 2019 https://www.geostat.ge/ka/modules/categories/73/garemos-statistika

მდგრადი განვითარება. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, 2017, ნანახია 2 თებერვალს, 2019, http://www.economy.ge/?page=ecopolitic&s=43

მდგრადი განვითარება, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამი-

ნისტრო, http://www.moe.gov.ge/ka/%E1%83%97%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/mdgradi-ganvitareba/

`მდგრადი განვითარება და მისი ასპექტები, სამოქალაქო განათლება ყველასათვის, 2019, ნანახია 15 თებერვალს, 2019, https://www.civiceducation.ge/ka/lessons/3-27

მდინარე მტკვრის დაბინძურების ძირითადი წყარო მოუწესრიგებელი საკანალიზაციო სისტემაა, City.kvira.ge, 2017, ნანახია 5 თებერვალს, 2019 http://www.city.kvira.ge/2017/02/22

საავტომობილო პარკი, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი), 2019, https://www.geostat.ge/ka/modules/categories/565/garemosdatsviti-indikatorebi

საქართველოს ბუნებრივი რესურსები და გარემოს დაცვა 2017, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი), 2018 https://www.geostat.ge/media/13848/Garemo_2017.pdf

საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მესამე ეროვნული პროგრამა 2017-2021წწ., საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო, თბილისი, 2017, http://moe.gov.ge/res/images/file-manager/strategiuli-dokumentebi/strategiebi-gegmebi/2017-2021-----.pdf

Da Cunha, S.k., and da Cunha, J.C., Tourism Cluster Competiveness and Sustainability: Proposal for a systematic Model to Measure the Impact of Tourism on local Development. Brazilian Administration Review. Vol. 2, no.2, art.4., 2005, p.47-62. http://www.anpad.org.br/bar

Georgian Text Editor
Tamar Gabelaia

გამომცემლობის რედაქტორი
თამარ გაბელაია

Typesetting
Nino Ebralidze

კომპიუტერული უზრუნველყოფა
ნინო ებრალიძე

Cover Designer
Mariam Ebralidze

გარეკანის დიზაინი
მარიამ ებრალიძე

0179, თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 14
14, Ilia Tchavtchavadze Ave., Tbilisi 0179
Tel: +995 (32) 2250484, # *6284; #6278*
www.press.tsu.ge